ვახტანგ ჯობაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში



თბილისი
2007

# ვახტანგ ჯობაძე



ცნობილი ხელოვნების ისტორიკოსი და არქეოლოგი ვახტანგ ჯობაძე დაიბადა 1917 წელს. 1940 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და სწავლა განაგრძო ასპირანტურაში ხელოვნების ისტორიის განხრით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სწავლობდა გიოტინგენისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტებში. 1950-იანი წლებიდან დამკვიდრდა აშშ-ში და მოღვაწეობდა ჯერ იუტას, ხოლო შემდეგ კალიფორნიის უნივერსიტეტებში. 1996 წელს ვ. ჯობაძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად.

ვახტანგ ჯობაძის სამეცნიერო საქმიანობა თემატურად ძალზე მრავალფეროვანია. მისი პირველი ნაშრომები — მათ შორის სადოქტორო დისერტაცია (1949 წელი) — ხახულის კარედის მინანქრებს ეხება და მიზნად ისახავს მათ დაჯგუფებას და ქრონოლოგიის დადგენას. მაგრამ მეცნიერის უმთავრესი საკვლევი სფერო ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაა. მის ცალკეულ ნაშრომთაგან აღსანიშნავია ვრცელი სამეცნიერო-პოლემიკური წერილი მცხეთის ჯვრის ტაძრის საქტიტორო რელიეფების შესახებ. წერილობითი წყაროების, წარწერების, გამოსახულ ისტორიულ პირთა ჩაცმულობის და სხვა მასალის ანალიზით ვ. ჯობაძემ დამაჯერებლად დაასაბუთა მცხეთის ჯვრის ტაძრის მოგვიანო გადათარიღების უსაფუძვლობა და შემოგვთავაზა ზოგიერთი გამოსახულების ახლებური იდენტიფიკაცია.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ვ. ჯობაძეს ანტიოქიის მიდამოების ნამონასტრალთა, კერძოდ, ბალაამისა და წმ. სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტრების შესწავლაში. იგი ექვსი წლის მანძილზე თავად ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს ამ რეგიონში. მის მიერ დაზუსტებულია ამ სავანეთა არქიტექტურული სახე, წერილობით წყაროთა ცნობებთან შეპირისპირებით გაანალიზებულია გამოვლენილი ნაშთები. ამ სამუშაოთა შედეგები არსებითი წვლილია ადრექრისტიანული და ბიზანტიური არქიტექტურის კვლევაში.

ანტიოქიის შემოგარენში ვ. ჯობაძის მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება იყო ამ მხარეში ქართველი ბერების მოღვაწეობის ნივთიერი კვალის ძიება. მან საგანგებოდ შეისწავლა ქართული და ბერძნული ნარატიული წყაროები და მათი შეჯერებით აღადგინა ანტიოქიის მიდამოებში ქართველთა მოღვაწეობის ისტორია. მეტიც, ამ საკითხისადმი მიძღვნილ წიგნში გამორკვეულია ქართული ეკლესიის ანტიოქიის საპატრიარქოსთან დამოკიდებულებისა და მის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების საკითხებიც. საგანგებოდ არის აღსანიშნავი ვ. ჯობაძის მიერ შავ მთაზე ძველი ჭეშმარიტის ქართული ეკლესიის სრული გათხრა და გამოკვლევა. ამ კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ უცხოეთში არა მხოლოდ ქართველი მწიგნობრები მუშაობდნენ, არამედ მშენებელი ოსტატებიც. ვ. ჯობაძის გამოკვლევით ძველი ჭეშმარიტის ეკლესიის აგებაში მონაწილეობდნენ როგორც იქაური ქვითხუროები, ასევე საქართველოდან ჩამოსულნიც — ამ უკანასკნელთ შეუსრულებიათ უაღრესად მაღალი ღირსების ჩუქურთმოვანი სამკაულები, რომელნიც, მკვლევრის მართებული დასკვნით, XI საუკუნის პირველი ნახევრისაა და უშუალოდ უკავშირდება სამთავისის კათედრალის ქვაზე კვეთილობას. ვ. ჯობაძემ ისიც გამოარკვია, რომ ქართველი ოსტატები მხოლოდ ერთ მონასტერში არ საქმიანობდნენ — ახლომახლო ზოგან სხვაგანაც მოიძებნა იმავე რიგის ჩუქურთმიანი ფრაგმენტები. ძალზე საგულისხმოა ძველი ჭეშმარიტის მონასტრის ადრე შეცდომით ამოკითხული წარწერის ვ. ჯობაძის მიერ მართებულად წაკითხვა

და გამოქვეყნება — ის აქარწყლებს კავკასიათმცოდნეობაში შემოთავაზებულ ზოგ საეჭვო მოსაზრებას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ვ. ჯობაძის ნაშრომი კვიპროსზე მდებარე ქართული მონასტრის ღალიას (ყალიას) შესახებ. ქართულ წყაროებში მოხსენიებული ღალია / ყალია ვ. ჯობაძემ ვატიკანში დაცულ ერთ დოკუმენტში მოხსენიებულ იალიას მონასტერთან გააიგივა და დაადგინა მისი ადგილმდებარეობა. სამონასტრო კომპლექსის ნანგრევების შესწავლამ დაადასტურა მისი კავშირი საქართველოსთან — აქ აღმოჩნდა კვიპროსის არქიტექტურისათვის უჩვეულო ტიპის სამაფსიდიანი ეკლესია, რომელსაც ვ. ჯობაძის სწორი დაკვირვებით, პარალელები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეძებნა. ვ. ჯობაძემ ცალკე წერილი მიუძღვნა აგრეთვე ხობის ტაძრის სამხრეთ გალერეაში ჩართულ ადრექრისტიანული ამბიონის ფრაგმენტებს.

განსაკუთრებით ღირებულია ვ. ჯობაძის წვლილი ამჟამად თურქეთის ფარგლებში მოქცეული ისტორიული ქართული მხარის — ტაო-კლარჯეთის სიძველეთა შესწავლაში. 1965-1983 წლებში მან ამ მხარეში რვა ექსპედიცია მოაწყო და უზარმაზარი შრომა გასწია როგორც ახალი მასალის გამოსამზეურებლად, ისე მის დასამუშავებლად. აქაც მისი კვლევის ძირითადი სფერო ხუროთმოძღვრება იყო, თუმცა მეცნიერი საკმაო ყურადღებას უთმობდა სახვით ხელოვნებასა და ეპიგრაფიკასაც. ვ. ჯობაძემ ორი წერილი უძღვნა ტაოს ერთ-ერთ უმთავრეს ტაძარს — ოშკს. ამ წერილებში, რომლებიც შემდეგ ქართულადაც გამოქვეყნდა ცალკე წიგნად, განხილულია ნაგებობების მდიდრული სკულპტურული შემკულობის სხვადასხვა საკითხი. აღსანიშნავია, რომ ვ. ჯობაძემ გამოავლინა და პირველმა შეისწავლა ტაძრის ქტიტორთა რელიეფური გამოსახულებები ერთ-ერთ გუმბათქვეშა ბურჯში მოწყობილი ნიშის აქეთ-იქით. მანვე აღმოაჩინა 963 წლით დათარიღებული მანამდე უცნობი წარწერა და მის საფუძველზე დააზუსტა ტაძრის აგების დრო. სხვა სტატიებში ვ. ჯობაძე ეხება ტაო-კლარჯეთის X-XI საუკუნეთა ეკლესიების სამშენებლო ტექნიკას და არქიტექტურულ პლასტიკას. ცალკე წერილი მიუძღვნა მან ხანძთის მონასტრის ისტორიისა და არქიტექტურის კვლევას და, სხვათა შორის, ახალი არგუმენტებით განამტკიცა ხანძთისა და ფორთის იგივეობის ვერსია.

„თურქეთის საქართველოში" ვ. ჯობაძის მრავალწლიანი მუშაობა დაგვირგვინდა 1992 წელს გამოცემული მონოგრაფიით „ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრების ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში". ამ წიგნმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩვენი ცოდნა ტაო-კლარჯეთის სიძველეთა შესახებ. ვ. ჯობაძემ დააზუსტა ოპიზისა და დოლისყანის ეკლესიების სამშენებლო ფენათა ქრონოლოგია; გამოთქვა ახალი მოსაზრება ოპიზის საქტიტორო რელიეფის თაობაზე; მხატვრულ-სტილისტური ანალიზის მოშველიებით გამოჰყო ორი ოსტატის ნამუშევარი დოლისყანის სკულპტურულ დეკორში.; აღნიშნა გადაკეთების კვალი ოთხთა ეკლესიაში და დაადგინა, რომ 960-965 წლებს შორის აგებული ტაძარი ცოტა მოგვიანებით აუმაღლებიათ; მოგვცა ხახულის ტაძრის სამხრეთ პორტალის ქანდაკებების საინტერესო იკონოგრაფიული გარჩევა და ა. შ. ცნობილი მონასტრების გვერდით წიგნში განხილულია მცირე ეკლესიები, რომელთა შესახებ მანამდე ცოტა რამ ან სულაც არაფერი ვიცოდით (აზიზა, ესბექი, პარეხთა, არტანუჯი, ანჩი). ნაშრომის ძალიან არსებითი ღირსებაა ჩუქურთმების დეტალური განხილვა — ამ წიგნამდე არქიტექტურული ორნამენტი სამხრეთქართული ხუროთმოძღვრების ყველაზე სუსტად შესწავლილ სფეროს წარმოადგენდა. აქვე არის გამოქვეყნებული და გარჩეული ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების იმხანად ცნობილი ყველა წარწერა, მათგან რამდენიმე თავად ვ. ჯობაძის აღმოჩენილი.

ამ წიგნის ქართულ თარგმანს სთავაზობს მკითხველს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თარგმანი შესრულდა 1994-1996 წლებში, მაგრამ მაშინ სხვადასხვა მიზეზთა გამო მისი გამოცემა ვერ მოხერხდა. ვ. ჯობაძე თარგმანს გულდასმით გაეცნო და მასში გარკვეული კორექტივებიც შეიტანა, კერძოდ განავრცო ზოგიერთი მოსაზრება და ჩაამატა ახალი მონაცემები. ამის გამო ქართული ტექსტი ინგლისური ორიგინალისგან მცირეოდენ განსხვავებულია.

დავით ხოშტარია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნი დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ილია II-ის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის
„სულიერების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინება და განვითარება“
დაფინანსებით

WACHTANG DJOBADZE

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# EARLY MEDIEVAL GEORGIAN MONASTERIES IN HISTORIC TAO, KLARJET'I, AND ŠAVŠET'I

FRANZ STEINER VERLAG STUTTGART
1992

ვახტანგ ჯობაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2007

უაკ (UDC) 7.0 (0.463.1)
ჯ 603

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაჩინო მეცნიერის, ქართული და, საზოგადოდ, აღმოსავლეთქრისტიანული ხელოვნების ცნობილი მკვლევრის ვახტანგ ჯობაძის მონოგრაფია ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ხუროთმოძღვრებაზე ერთი უმნიშვნელოვანესთაგანია ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე დაწერილ ნაშრომთა შორის. იგი თავს უყრის მრავალწლიანი მუშაობის შედეგებს და სამომავლო კვლევა-ძიების გზებსაც სახავს.

ნაშრომი გათვალისწინებულია ხელოვნებათმცოდნეების, უნივერსიტეტის სტუდენტებისა და, საერთოდ, ქართული კულტურით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის.

მთარგმნელები: პროფ. დიმიტრი თუმანიშვილი
დოქტორი დავით ხოშტარია

რედაქტორი აკად. მარიამ ლორთქიფანიძე

რეცენზენტები: პროფ. ნათელა ალადაშვილი
დოც. თემურ საყვარელიძე

K 24469

ყველა უფლება დაცულია. ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოპირის გადაღება და მაგნიტურ მოწყობილობაზე ჩაწერა, არ შეიძლება გამოყენებულ ან გადაცემულ იქნას საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ვ. ჯობაძე, 2007

გამომცემლობა „უნივერსალი", 2007

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-99940-61-11-2

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


შემოკლებათა სია ..... 9

ქართული გამოცემის წინასიტყვაობა ..... 12

შესავალი ..... 15

ნაწილი პირველი. VIII საუკუნის მიწურულსა და X საუკუნის შუა წლებს შორის აგებული მონასტრები

A. ოპიზის მონასტერი ..... 23
- 1. სამონასტრო ეკლესია ..... 23
  - a. მთავარი ეკლესიის არქიტექტურული ნიშნები და თარიღი ..... 27
  - b. ქტიტორის რელიეფი ..... 28
- 2. წერილობითი წყაროები მთავარი ეკლესიის დაარსებისა და მისი აშენების თარიღის შესახებ ..... 30
- 3. სატრაპეზო ..... 32
- 4. მონასტრის კულტურული და ისტორიული მნიშვნელობა ..... 32

B. ეკლესია არტანუჯის აკროპოლისზე ..... 34

C. მონასტერი და საეპისკოპოსო კათედრა ახიზაში ..... 37

D. ხანცთის მონასტერი ..... 39
- 1. მონასტრის გალავანი ..... 43
- 2. სატრაპეზო ..... 45
- 3. სამონასტრო ეკლესია ..... 46
  - a. ქვის წყობა ..... 48
  - b. ეკლესიის აგების თარიღი ..... 50
- 4. სამრეკლო ..... 51
- 5. ხანცთის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ..... 51
- 6. მონასტრის იდენტიფიკაცია ..... 53
- 7. წარწერები ..... 54

E. შატბერდის მონასტერი ..... 56
- 1. შატბერდში გადანუსხულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები ..... 57

F. ნუკას საყდარი ..... 61

G. ეკლესია და სხვა არქიტექტურული ნაშთები ესბეკში ..... 63

H. პარეხთას მონასტერი ..... 65
- 1. პირველი ეკლესია ..... 66
- 2. მეორე ეკლესია ..... 67

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. ანჩის მონასტერი ..... 70

K. დოლისყანის ეკლესია ..... 74
1. არქიტექტურული პლასტიკა ..... 79
a. მთავარანგელოზთა გამოსახულება სამხრეთი მკლავის ფასადზე ..... 81
b. ოსტატ გაბრიელის „პორტრეტი“ ..... 81
2. წარწერები ..... 85

L. ენი რაბათის ეკლესია ..... 90
1. ეკლესიის ინტერიერი ..... 90
2. გარე მასები ..... 92
3. გუმბათი ..... 93
4. არქიტექტურული პლასტიკა ..... 94

M. ბანას კათედრალი ..... 97
1. კათედრალის მოკლე აღწერა ..... 98
2. ისტორიული და კულტურული მიმოხილვა ..... 103

ნაწილი მეორე. X საუკუნის შუახანების შემდეგ აშენებული და აღდგენილი ეკლესია-მონასტრები

შესავალი ..... 109

A. ოშკის ტაძარი და მისი მიმდებარე ნაგებობანი ..... 112
1. სამშენებლო ტექნიკის ზოგი მხარე ..... 113
2. ეკლესიის აღწერა ..... 115
3. აღმოსავლეთი აფსიდი ..... 115
4. ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავები ..... 115
5. დასავლეთი მკლავი ..... 116
6. დასავლეთი პატრონიკე ..... 117
7. ცენტრალური ბურჯები ..... 117
8. დასავლეთ ბურჯთა ნიჟარებიანი ნიშები ..... 118
9. გუმბათი (ინტერიერი) ..... 121
10. სამხრეთ-დასავლეთი კარიბჭე ..... 122
11. რვაწახნაგა ბურჯის ქანდაკებანი ..... 126
12. ეკლესიის გარე მასები ..... 130
13. გუმბათი (გარე სახე) ..... 131
14. ფასადები და მათი ქანდაკოვანი სამკაული ..... 134
a. აღმოსავლეთი ფასადი ..... 134
b. სამხრეთი ფასადი და „ვედრების“ ჯგუფი ..... 135
c. საქტიტორო რელიეფი ..... 138
d. სამხრეთი მკლავი ..... 142
e. ნადირობისა და ცხოველთა შერკინების სცენები ..... 142
f. შუა დეკორაციული თაღის ქანდაკებანი ..... 142
g. სამხრეთი მკლავის კარიბჭე ..... 145
h. ჩრდილოეთი ფასადი ..... 145

i. დასავლეთი ფასადი ... 146
15. მცირე სარკმლები და კარები ... 148
16. ეკლესიის დათარიღება ... 149
17. ოშკის ორი სამლოცველო ... 151
18. სემინარია-სატრაპეზო და სკრიპტორიუმი ... 153
19. წარწერები ... 155

B. ხახულის მონასტერი ... 164
1. შესავალი ... 164
2. მონასტრის ეკლესია ... 164
3. ეკლესიის გარე მასები ... 170
4. ხუროთმოძღვრული პლასტიკა ... 170
a. აღმოსავლეთი ფასადის ხუროთმოძღვრული პლასტიკა ... 170
b. დასავლეთი ფასადის ხუროთმოძღვრული პლასტიკა ... 171
c. ჩრდილოეთი ფასადის ხუროთმოძღვრული პლასტიკა ... 171
d. სამხრეთი ფასადის ხუროთმოძღვრული პლასტიკა ... 171
e. ორმაგი სარკმლის ქანდაკებანი ... 171
f. სამხრეთი პორტალის ქანდაკებანი ... 172
5. გუმბათი ... 175
6. კარიბჭე ... 176
7. ჩრდილოეთი მინაშენი ... 177
8. დასავლეთი მინაშენი ... 177
9. მცირე ეკლესიები და სამლოცველოები ზღუდის შიგნით ... 177
a. ეკლესია მთავარი ტაძრის ჩრდილოეთით ... 179
10. ორი ეკლესია სავანის გარეთ ... 179
11. ლიტერატურული ცნობები ხახულის მონასტრის შესახებ ... 180

ტაოს ორი ბაზილიკური ეკლესია

შესავალი ... 181

C. ოთხთა ეკლესიის მონასტერი ... 181
1. მთავარი ბაზილიკა ... 181
a. სამხრეთი ნავი ... 183
b. ჩრდილოეთი ნავი ... 184
c. შუა ნავი ... 184
d. აღმოსავლეთი ფასადი ... 185
e. დასავლეთი ფასადი ... 186
2. ეკლესიის ინტერიერი ... 187
a. შუა ნავი ... 187
b. საკურთხეველი და მიმდებარე ოთახები ... 189
3. კედლის მხატვრობა ... 190
4. მოხატულობის დათარიღება ... 192
5. ეკლესიის აღშენების დრო ... 192
6. დასავლეთი კარიბჭე ... 194
7. სემინარია ... 194
8. სატრაპეზო ... 195

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. სამარხი კაპელა ... 196
10. ორი მცირე სამლოცველო ... 197
11. ციხე სოფლის სიახლოვეს და მისი შენობები ... 198
12. წარწერები ... 199

D. პარხლის მონასტერი ... 203
1. ეკლესია ... 203
a. ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასადები ... 205
b. აღმოსავლეთი და დასავლეთი ფასადები ... 206
c. გარეთა ქანდაკოვანი მორთულობა ... 208
d. ეკლესიის შიდა მასები ... 211
2. სამწერლობო მოღვაწეობა და ეკლესიის თარიღი ... 214
3. სამლოცველოები ... 215

E. იშხნის კათედრალი ... 217
1. ნერსეს ტეტრაკონქის ნაშთები და მასთან დაკავშირებული საკითხები ... 218
2. კათედრალის აღწერა ... 221
დასავლეთი მკლავი ... 221
3. მკლავთა გადაკვეთა ... 222
4. გუმბათი (შიგნით) ... 223
5. სამშენებლო ტექნიკა და მისი ზოგიერთი ნიშანი ... 224
6. ფასადები და მათი ხუროთმოძღვრული პლასტიკა ... 224
a. აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასადები ... 227
b. გუმბათი (გარედან) ... 229
7. გურგენ მეფეთა მეფის სამლოცველო ... 231
8. წარწერები ... 236

F. ტბეთის (ჯევიზლის) კათედრალი ... 244
1. ტაძრის აღწერა ... 245
a. სამხრეთი მკლავი ... 247
b. დასავლეთი მკლავი ... 248
c. ფასადები ... 252
(1) აღმოსავლეთი მკლავი ... 252
(2) აღმოსავლეთი მკლავის სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები ... 254
(3) ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასადები ... 256
2. ტბეთის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ... 258

G. დასკვნა ... 260

ილუსტრაციების სია ... 262

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შემოკლებათა სია

| | | |
|---|---|---|
| Beridze, *Monuments* | = | В. Беридзе. Место Памятников Тао-Кларджети в Истории Грузинской Архитектуры. Тбилиси, 1981 (რუსულ და ფრანგულ ენებზე). |
| Blake, "Catalogue-Athos" | = | R. P. Blake, "Catalogue des manuscripts géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au Mont Athos," *ROC* 28 (1931-32) და 29 (1933-34). |
| Bock, "Vank" | = | U. Bock, "Karmir Vank, Bagnair Č'ala und Urt'a," in *Die Karavane: Kaukasische Reise, Christliches Erbe im Kaukasus* (Ludwigsburg, 1983), გვ. 60-82 და 15 სურათი. |
| Brosset, "Inscriptions" | = | M. Brosset, "Inscriptions géorgiennes et autres, recueillies par la P. Nerses Sargisian, Mekhitariste de S. Lazare, et expliquées par M. Brosset," *Mémoires de l'Académie impériale des sciences de St. Petersbourg,* VII ser., t. VIII, no. 10 (S.-Petersbourg, 1864), გვ. 1-24 და ტაბულები. |
| Djobadze, "Churches" | = | W. Djobadze, "The Georgian Churches of Tao-Klarjet'i: Construction Methods and Materials," *OrChr* 62 (1978), გვ. 114-134, 15 ტაბულა და სურათები. |
| Djobadze, "Deesis" | = | -, "Four Deesis Themes in the Church of Oški," *OrChr* 72 (1988) გვ. 168-182. ქართულად: ვ. ჯობაძე, *ოშკის ტაძარი,* თბილისი, 1991, გვ. 54-66. |
| Djobadze, *Investigations* | = | -, *Archaeological, Investigations in the Region West of Antioch on the-Orontes,* Forschungen zur Kunstgeschichte und Christlichen Archäologie, 13 (Stuttgart, 1986). |
| Djobadze, *Materials* | = | -, *Materials for the Study of Georgian Monasteries in the Western Environs of Antioch on the Orontes*, CSCO, 372, Subsidia, 48 (Louvain, 1976). |
| Djobadze, "Observations" | = | -, "Observations on the Architectural Sculpture of Tao-Klarjet'i Churches One Thousand A. D.," in *Studien zur spätantiken und byzantinischen Kunst Friedrich Deichmann gewidmet* II (1986), გვ. 81-100 და 15 ტაბულა. |
| Djobadze, "Reliefs" | = | -, "The Donor Reliefs and the Date of the Church at Oški," *BZ* 69 (1976), გვ. 39-62 და 14 ტაბულა. ქართულად: ვ. ჯობაძე, *ოშკის ტაძარი,* თბილისი, 1991, გვ. 15-53. |
| Edwards, "Architecture" | = | R. Edwards, "Medieval Architecture in the Oltu-Penek Valley: A Preliminary Report on the Marchlands of Northeast Turkey," *DOP* 39 (1985), გვ. 15-37 და 79 ტაბულა. |
| Edwards, "Fortifications" | = | -, "The Fortifications of Artvin: A Second Preliminary Report on the Marchlands of Northeast Turkey," *DOP* 40 (1986), გვ. 165-182 და 45 ტაბულა. |

| | | |
|---|---|---|
| Eid, "Georgien" | = | V. Eid, "Das Konigreich Georgien und seine große Zeit unter David III und Tamar," in *Die Karavane: Anatolisches Mosaik von Stambul zum Kaukasus* (Ludwigsburg, 1977), გვ. 67-102 და სურათები. |
| Eid, *Ost Türkei* | = | -, Ost Türkei, Völker und Kulturen zwischen Taurus und Ararat (Köln 1990). |
| Gutschow, "Kirchen" | = | Niels and Daniel Gutschow, "Kirchen in Tao-Klardjethien in der Nordöstlichen Türkei," *Archäologische Mitteilungen aus Iran* (Deutsches Archäologisches Institut) 4 (1971), გვ. 237-247 და ტაბულა 41-51. |
| Hills, *Travels* | = | D. Hills, *My Travels in Turkey* (London, 1964). |
| ინგოროყვა, *მერჩულე* | = | პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე* (თბილისი, 1954). |
| *ქართლის ცხოვრება* | = | *ქართლის ცხოვრება*, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, წიგნი I (თბილისი, 1955), წიგნი II (თბილისი, 1959), წიგნი III (თბილისი, 1979), წიგნი IV (თბილისი, 1973). |
| Koch, *Reise* | = | K. Koch, *Wanderungen im Oriente während der Jahre 1843 und 1844, II. Reise im pontischen Gebirge und türkischen Armenien* II (Weimar, 1846). |
| MAK | = | Материалы по Археологии Кавказа, вып. III (Москва, 1893), вып. IV (Москва, 1894), вып. XII (Москва, 1909). |
| Марр, *Дневник* | = | Н. Марр, Дневник поездки в Шавшию и Кларджию, წიგნში: Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра, *Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII*, (С.-Петербург, 1911). |
| მენაბდე, *კერები* | = | ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, I-II, (თბილისი, 1962). |
| Mepisašvili, Zinzadze, Schrade, *Georgien* | = | R. Mepisašvili, W. Zinzadze, R. Schrade, *Georgien: Wehrbauten und Kirchen* (Leipzig, 1987). |
| Mepisašvili, Zinzadze, Schrade, *Arts* | = | - - -, *The Arts of Ancient Georgia* (Leipzig, 1979). |
| მერჩულე, *ცხორება* | = | [გიორგი მერჩულე], შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ, და მის თანა ჴსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1963, გვ. 248-319. |
| *ძეგლები* | = | *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, წიგნი I (თბილისი, 1963), წიგნი II (თბილისი, 1967). |
| Sedlmayr, "Östliche Romanik" | = | *H. Sedlmayr*, "Östliche Romanik, das Problem der Antizipation in the Baukunst Transkaukasies," in Festschrift Karl Öttinger, *Erlanger Forschungen, Reihe A: Geisteswissenschaft, 20* (Erlangen, 1967), გვ. 53-70 და 11 სურათი. |

| | | |
|---|---|---|
| Sinclair, *Eastern Turkey* | = | T. A. Sinclair, *Eastern Turkey: An Architectural and Archaeological Survey*, vol. 2 (London, 1989). |
| შოშიაშვილი, *კორპუსი* | = | *ლაპიდარული წარწერები I: აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.)*, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1980. |
| თაყაიშვილი, *ექსპედიცია* | = | ე. თაყაიშვილი, *1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში* (თბილისი, 1960). |
| თაყაიშვილი, *კოლა-ოლთისი* | = | -, *არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს* (პარიზი, 1938). |
| თაყაიშვილი, *ქრონიკა* | = | -, *სუმბატ დავითისძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ* (თბილისი, 1949). |
| Такаишвили, Памятники | = | -, Христианские памятники. Экскурсия 1902 года, *Материалы по археологии Кавказа*, вып. XII (Москва, 1909), გვ. 1-117. |
| Thierry, "Notes" | = | N. Thierry, "Notes d'un nouveau voyage en Géorgie turque," *Bedi Kartlisa: Revue de kartvelologie, vol. XXV* (1968), გვ. 51-65 და 4 სურათი. |
| Thierry, "Peintures" | = | -, "Peintures du Xe siècle en Géorgie méridionale et leur rapports avec la peinture byzantine d'Asie mineure," *Cahiers archéologiques* 24 (1974), გვ. 73-113. |
| Thierry, "Voyage" | = | M. and N. Thierry, "Notes d'un voyage en Géorgie turque," *Bedi kartlisa: Revue de kartvelologie, vol. VIII-IX, No 34-35* (1960), გვ. 10-29,12 სურათი და 1 რუკა. |
| ვახუშტი, *აღწერა* | = | ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ქართლის ცხოვრება, IV (1973). |
| Winfield, "Sculpture" | = | D. Winfield, "Some Early Medieval Figure Sculpture from North-East Turkey," JWarb 31 (1968), გვ. 38-57. |
| Zdanevitch, *L'itinéraire* | = | I. Zdanevitch, *L'itinéraire géorgien du Ruy Gonzales de Clavijo et les églises aux confins de l'atabagat* (Paris, 1966) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული გამოცემის წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი არის ქართული თარგმანი ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული მონოგრაფიისა – Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klarjet'i and Šavšet'i, რომელიც გამოიცა 1992 წელს როგორც მეჩვიდმეტე ტომი ფრიდრიხ გერკეს მიერ დაფუძნებული სერიისა – Forschungen zur Kunstgeschichte und christliche Archäologie.

ტაო-კლარჯეთ-შავშეთის მონასტრები, რამდენადაც მნიშვნელოვანი და მიმზიდველია, იმდენად ნაკლებად არის შესწავლილი. პირველნი, რომელნიც ამ მხარეს ეწვივნენ და მისი რელიგიური დანიშნულების ძეგლების შესწავლა დაიწყეს, იყვნენ ა. პავლინოვი (1888 წელს) და ე. თაყაიშვილი (1902, 1907 და 1917 წლებში). მას შემდეგ, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ამ არეებში შესვლა უცხოელებისათვის აკრძალული იყო, 1965 წლიდან კი, როდესაც ეს კანონი გაუქმდა, ევროპის და ამერიკის მეცნიერებმა ტაო-კლარჯეთს მიაშურეს და იქ ნაგები ეკლესია-მონასტრების გამოკვლევა დაიწყეს.

პირადად მე, ჩემი თანამდგომი მეუღლის ხშირი თანხლებით, 1965 წელსვე ვიმოგზაურე ტაო-კლარჯეთ-შავშეთში და შევადგინე გრძელვადიანი სამუშაო გეგმა, რომლის განხორციელებაც დავიწყე 1967 წელს და დავამთავრე 1983 წელს. ამ ხნის განმავლობაში, ძნელ პირობებში, შევისწავლე ა. პავლინოვისა და ე. თაყაიშვილის მიერ ნანახი ძეგლების დიდი ნაწილი, ასევე – მხოლოდ ლიტერატურული წყაროებით ცნობილი და დღემდე უცნობი ძეგლები.

ჩემი მონოგრაფიის ქართულენოვანი გამოცემა არსებითად უცვლელია, თუმცა შევეცადეთ ტექსტში რამდენიმე დანართის ჩამატებას და შემჩნეული ფაქტობრივი და კორექტურული შეცდომების შესწორებას.

მონოგრაფია ტაო-კლარჯეთ-შავშეთის ამომწურავ შესწავლას არ ჩემულობს, ხოლო თუ რა შევმატე ადრინდელ გამოკვლევებს და რა ღირსებისაა ეს ნაშრომი, თვით მკითხველმა განსაჯოს.

ტაო-კლარჯეთში დიდი მუშაობაა ჩასატარებელი. გამოსაკვლევია არა მხოლოდ ეკლესია-მონასტრები (ეს სამუშაო დავით ხოშტარიას თაოსნობით 1994-1995 წლებში უკვე დაიწყო და, იმედია, გაგრძელდება), არამედ სამოქალაქო დანიშნულების ძეგლებიც: ციხესიმაგრეები, სახელმწიფოს მმართველთა და ეპისკოპოსთა სასახლეები, სტრატეგიული გზები და საკომუნიკაციო შენობები. ასევე აუცილებელია კედლის მხატვრობის შესწავლა. საჭიროა აღდგენითი მუშაობის ჩატარება, განსაკუთრებით ოშკის კარიბჭეში კაკლის ხის სვეტის შეცვლა და ოთხთა ეკლესიაში ჩრდილო-აღმოსავლეთი პილონის გამაგრება. ამ სამუშაოების ჩატარება შესაძლებელია ერზერუმის მუზეუმის, ძეგლთა დაცვის უწყებისა და იქაური კოლეჯის მასწავლებელთა თანამშრომლობით.

მონოგრაფიის წერის პროცესში და მისი გამოცემის შემდეგაც დიდად დამეხმარნენ ჩემი ძველი მეგობრები: ალექსანდრე ჯავახიშვილი, რომელმაც გამარკვია ქართული ნუმიზმატიკის საკითხებში და ელენე მეტრეველი, რომელმაც დიდი მონდომებით ამიხსნა ჩორჩანელთა გვარეულობისა და X საუკუნის ბოლო წლებში ივირონში მოღვაწე ბერების საკითხები. ვახტანგ ბერიძე, პარმენ ზაქარაია, რუსუდან მეფისაშვილი და ჩემი მასწავლებლის – გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სხვა წევრები უხვად მიგზავნიდნენ ჩემთვის საჭირო ლიტერატურას. მათ მიმართ აქაც გამოვთქვამ ღრმად განცდილ მადლობას.

წინამდებარე ქართულენოვანი მონოგრაფიის გამოცემაში ყველაზე მეტი დვაწლი მიუძღვით – დიმიტრი თუმანიშვილსა და დავით ხოშტარიას, რომლებმაც ეკონომიკური სიძნელეების ხანაში არ დაიშურეს თავიანთი დრო და ცოდნა – ინგლისურიდან ქართულად თარგმნეს მთელი მონოგრაფია და გამოსაცემადაც მოამზადეს.

დიდ მადლობას მოვახსენებ ჩემი მონოგრაფიის ქართულ ენაზე გამოცემის ინიციატორს, აკად. როინ მეტრეველს, ამ გამოცემის რედაქტორს, აკად. მარიამ ლორთქიფანიძეს, თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, პროფ. გ. ხუბუას, უნივერსიტეტის პროფესორებს – რუსუდან ლორთქიფანიძეს, ნათელა ვაჩნაძეს და ირა არსენიშვილს.

*ვახტანგ ჯობაძე*

***2003 წელი***

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შესავალი

წინამდებარე გამოკვლევა ნაყოფია შვიდი ექსპედიციისა, რომელთა მიზანი საქართველოს ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი სასაზღვრო ოლქების – ტაოს, კლარჯეთისა და შავშეთის წინანდელი სამთავროების ეკლესია-მონასტრების დათვალიერება და შესწავლა იყო: 1921 წლიდან მთელი ეს მხარე თურქეთის საზღვრებშია (ტაბ. A).

VIII საუკუნის ბოლოს ამ მამაპაპისეულ ქვეყანას შეაფარა თავი ქართველ ხელმწიფეთა საგვარეულომ აშოტ I ბაგრატიონის (780-826) მეთაურობით, რომელიც ამალითურთ გაერიდა არაბ ამირებს დაქვემდებარებულ ტერიტორიას და სტრატეგიულად მარჯვედ განლაგებული არტანუჯი იბერიის ახალ დედაქალაქად აქცია. ამგვარად, კლარჯეთისა და ტაოს საერისთავოებით შეიქმნა ის პოლიტიკური ცენტრი, საიდანაც ძლევამოსილმა ბაგრატიონებმა მოახერხეს აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებლობა და X საუკუნის ბოლოს წარმატებით დაასრულეს ქვეყნის გაერთიანება.

ტაო-კლარჯეთის მმართველებს გაცნობიერებული უნდა ჰქონოდათ, რომ ამგვარი დიადი ამოცანის შესრულება მხოლოდ განათლების ხელშეწყობით შეიძლებოდა, ამიტომაც აღდგენილ იქნა დაქცეული მონასტრები და 12 ახალიც დაარსდა ღრმა სიბერეს მიღწეული ენერგიული სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწის – გრიგოლ ხანცთელის (759-861) თავკაცობით. რა გასაკვირია, რომ ტაო-კლარჯეთ-შავშეთი სამონასტრო კულტურის კერა გახდა. ეროვნული სულიერი ძალების გაცხოველებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კონსტანტინოპოლთან მჭიდრო კავშირსაც. ელინთა კულტურის ათვისებამ განსაზღვრა საქართველოს ინტელექტუალური თუ პოლიტიკური ბედ-იღბალი ადრეული შუა საუკუნეების მანძილზე.

ეს სანახები, სიტყვის პირდაპირი გაგებით, მოფენილია სამრევლო ეკლესიებით, სამლოცველოებითა და მონასტრებით. ტაო-კლარჯეთ-შავშეთისა და მომიჯნავე, მათზე დაქვემდებარებული საერისთავოების საკულტო და საერო არქიტექტურის ძეგლები არასოდეს ყოფილა ზუსტად ანდა სრულად აღრიცხული. პირადად ნანახის, წინანდელი მოგზაურებისა და სწავლულების ცნობების, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების, ასევე საეკლესიო მწერლობის გათვალისწინებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათი რაოდენობა 300-ს აღემატება.

ეს მონასტრები, სადაც ოდესღაც ბერები თავაუღებლად მისდევდნენ სამწერლო მოღვაწეობას, ახლა სავალალო მდგომარეობაშია. XV საუკუნის ბოლოს, თურქების მიერ ტაო-კლარჯეთ-შავშეთის მიერთების და მოსახლეობის გამაჰმადიანების შემდეგ, მონასტრები მიტოვებულ იქნა და დაიწყო კიდეც მათი ნგრევა ბუნებრივი თუ – 1960-იანი წლების დამდეგს – სხვა მიზეზებით. განადგურებულ იქნა[1] ისეთი ცნობილი ეკლესია-მონასტრები, როგორიცაა ეკეკი, ბერთა, ოპიზა, სვეტი და ტბეთის ნახევარი[2]. სხვები მძიმედ დაზიანდა ანდა უპატრონოდ დარჩა. მეორე მხრივ, ზგითუბად გადაქცეული (მაგალითად, დოლისყანა, პარხალი, ხახული, იშხანი და ბოლო დრომდე ოშკიც) თუ სხვა რამ მიზნით გამოყენებული ეკლესიები (მაგალითად, ხანცთის სამრეკლო, მეფე გურგენის ეკლესია იშხანში, ოშკის მცირე დარბაზული ეკლესია და მამაწმინდას გუმბათიანი ეკლე-

---

[1] ამ მხარეში ეკლესიების განადგურება აღნიშნულია: Hills, *Travels*, გვ. 228; Zdanewitch, *L'Itineraire*, გვ. 6; Thierry, "Voyage", გვ. 27.

[2] 1960-იან წლებში, მისი დასავლეთი ნაწილის სრულ დანგრევამდე, ტბეთის კათედრალი ერთი საუკეთესოდ შემორჩენილი ეკლესიათაგანი იყო. მისი აღმოსავლეთი ნაწილი ახლა კარგადაა შენახული და დაცული ჯევიზლის მცხოვრებთა მიერ.

სია) შედარებით უკეთაა დაცული და ზოგ შემთხვევაში შეკეთებულიც (მაგალითად, ხახულს ახალი სახურავი გაუკეთდა).

ამ მონასტერთა კვლევა მხოლოდ 1887 წელს ბერლინის ხელშეკრულების შემდეგ დაიწყო, რომლის ძალით რუსეთის იმპერიამ მიიღო თურქების მიერ დაპყრობილი ქართული მიწები. 1888 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა ა. პავლინოვმა დაათვალიერა ხვეტის, ხანცთის (ფორთა), ოპიზის, დოლისყანის, ენი-რაბათის მონასტრები და ტბეთი. მისი მუშაობის შედეგები გამოქვეყნდა MAK-ის მესამე ტომში. 1902 წელს ნ. მარმა იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა თხზულება – „შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხოვრებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა – გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ, და მის თანა ხსენება მრავალთა მამათა ნეტართაჲ". გიორგი მერჩულეს მიერ 951 წელს დაწერილი ეს თხზულება გვაწვდის ყველაზე ვრცელ, რეალისტურსა და დაწვრილებით ცნობებს კლარჯეთის მონასტრების აღორძინებაზე VIII საუკუნის ბოლოდან X საუკუნის შუახანებამდე. ამ აღმოჩენამ უბიძგა ნ. მარს, 1904 წელს კლარჯეთის სიძველეთა შესწავლისათვის მოეკიდა ხელი. მისი მონაპოვარი იერუსალიმური ხელნაწერის დედნითა და მისი რუსული თარგმანითურთ 1911 წელს გამოქვეყნდა[3]. თითქმის თანადროულად დაიწყო ქართველი სიძველეთმცოდნის – ე. თაყაიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობანი ტაოს სამთავროში 1902, 1907 და 1917 წლებში[4]. ამ არქეოლოგიური კვლევის შედეგების პუბლიკაციები, თუმც ძალზე ღირებული, მაინც ვერ გვაძლევს ტაო-კლარჯეთის ეკლესიების ჯეროვან აღწერასა თუ დამაკმაყოფილებელ ინტერპრეტაციას. თაყაიშვილის „ექსპედიცია", დღევანდლამდე ამ მხარის ეკლესიათა ყველაზე ვრცელი მიმოხილვა, 1917 წელს მისი საველე მუშაობის უცებ შეწყვეტიდან მერე ოცდაათიოდ წლის შემდეგ დაიწერა. მასში უამრავი ფაქტობრივი უზუსტობა თუ ბეჭდვის ხარვეზია. 1921 წლის აქეთ, როდესაც ტაო-კლარჯეთი და მიმდებარე მიწები თურქებმა დაიბრუნეს, ეს ეკლესიები უცხოელებისთვის კვლავ მხოლოდ 1960-იან წლებში, შეზღუდვების შემსუბუქების კვალად გახდა მისაწვდომი. შესაძლებელი შეიქნა, ისიც მარტოოდენ დასავლელ მკვლევართათვის, მცირე მოცულობის საველე კვლევა-ძიება. მათი მუშაობის ანგარიშები სხვადასხვა სპეციალურ ჟურნალში ქვეყნდებოდა[5]. პირადად ჩემი სამუშაოები 1965-1985 წლებში მიმდინარეობდა.

ტაო-კლარჯეთ-შავშეთის რელიგიური ხუროთმოძღვრება მრავალგვარია. ყველაზე გავრცელებული შემდეგი ტიპები ჩანს: 1. მომცრო ცალნავიანი დარბაზული ეკლესია კარიბჭით სამხრეთისა ანდა, უფრო იშვიათად, ჩრდილოეთ მხარეს; 2. სამნავიანი ბაზილიკა, უპირატესად ფართოთაღიანი; 3. ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის ნაირსახეობანი: ა. ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯზე დაბჯენილი გუმბათით; ბ. ორ თავისუფლად მდგომ ბურჯსა და აფსიდის შვერილებზე დაბჯენილი გუმბათით; გ. ტრიკონქი; დ. ტეტრაკონქი; ე. ექვსაფსიდიანი[6].

ამ მხარეში ჩვეულებად ჰქონდათ ქვით მშენებლობა დუღაბის გულზე. იგი ასევე დამახასიათებელია მეზობელი სომხეთის, სირია-პალესტინისა, მცირე აზიის ნაწილისათვის. ამ მხარეში წვრილმარცვლოვან მოყვითალო ქვიშაქვას ხმარობდნენ, რომელშიც კედლის ზედაპირის გასაცოცხლებლად გაურევდნენ მეწამულ ან მოლურჯო ქვებს.

შესასწავლი ნაგებობები გვიჩვენებს ორ განსხვავებულ სამშენებლო პერიოდს: პირველი მოიცავს შუალედს VIII საუკუნის ბოლოდან X საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით. მისი მახასიათებელია დუღაბზე სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნაწილობრივ თლილი დიდრონი ქვებით, რიყის ქვებითა ანდა უხეშად დაკუთხვილი მოგრძო, ზედაპირდაკუნ-

---

[3] Марр. *Дневник*; ლათინური თარგმანი გამოსცა პ. პეეტერსმა: "Analecta Bollandiana", vol. 36-37 (1923).

[4] იხ. შემოკლებათა სია.

[5] ტაო-კლარჯეთ-შავშეთში წარმოებული არქეოლოგიური კვლევის მოკლე მიმოხილვა იხ.: В. Беридзе, *Памятники*, გვ. 209-216.

[6] ტაო-კლარჯეთ-შავშეთის ყველაზე ვრცელი ტიპოლოგიური ნუსხა იხ.: I.Zdanevitch, *L'Itineraire*, 9-16 და გეგმები 21-23 გვერდებზე.

ჭილი ბლოკებით ორპირად ამოყვანილი კედლები. X საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში თანდათან მცირდება და სტანდარტული ხდება ტლანქად თლილი ქვების ზომა. გარეთა და შიდა პირს შუა დარჩენილი შუალედი – დაახლოებით კედლის სისქის ერთი მესამედი – შევსებულია ღორღით, რომელზეც დუღაბია დასხმული. კუთხეები, ფანჯარა-სარკმლები, გუმბათის ყელი სუფთად თლილი, ერთმანეთზე მჭიდროდ მორგებული ქვებითაა ამოყვანილი. მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებას ამ პერიოდში წარმოაჩენს ხანცთის მონასტრის აღმოსავლეთი საყრდენი კედლის (IX საუკუნის დამდეგი) შედარება მის მომდებარე საყრდენ კედელთან (X საუკუნის შუახანა. ტაბ. 25). ამ პერიოდის ეკლესიები, საერთოდ, უფრო მომცროა (არა უმეტეს 14 × 20 მ), მცირერიცხოვანი დეკორაციული ნაქანდაკევით მორთული; ეს მახასიათებლები ასახავს მონასტრების განვითარებას ეკონომიკური სიდუხჭირისა და პოლიტიკური შფოთიანობის პირობებში.

მეორე პერიოდი, რომელიც X საუკუნის შუახანის აქეთ დავით კურაპალატის (†1001) ტაოში ზეობას ემთხვევა, სამშენებლო ტექნიკის სრულყოფის მაჩვენებელია. ეკლესიათა ფასადები ტლანქად კვეთილი კი არა, სუფთაზედაპირიანი, მოდიდო და ზედმიწევნით დაკუთხვილი ქვებითაა ამოყვანილი, რომლებიც ერთმანეთს ისე ზუსტადაა მორგებული, რომ კიდეებს შორის დუღაბი არ ჩანს. ამგვარი წყობა გზას აძლევს სიბრტყეთა ფიგურული თუ ორნამენტული კვეთილობით, სართავი თაღებითა და სხვა არქიტექტურულ-დეკორაციული ელემენტებით დანაწევრებას.

რაც წერილობით წყაროებს შეეხება, მეორე პერიოდისთვის არაფერი გაგვაჩნია, შორეულადაც რომ მიედაროს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებას", თუმც მრავლადა გვაქვს მინაწერები და „ანდერძები". პირველ ყოვლისა კი მკვლევარს ხელთა აქვს ურიცხვი საქტიტორო წარწერები (პირველ პერიოდში ისინი ძალზე იშვიათია).

ტაო-კლარჯეთ-შავშეთი გეოგრაფიულად ზუსტად არაა მოფარგლული. ადმინისტრაციული დაყოფა ხშირად იცვლებოდა, ზოგ შემთხვევაში საზღვრები მომიჯნავე საერისთავოებშიც შეჭრილა. ჩვენი საკვლევი ისტორიული მონაკვეთის სიგრძეზე ამ მხარეს ართვინის, კოლას, ისპირისა და ბასიანის ოლქები (გეოგრაფიულად მიახლოებით ართვინის, არდაჰანის, ოლთუს და ისპირის ახლანდელი თურქული ვილაეთები) ეკუთვნოდა. ტაო, მაგალითად, ნიკიფორე ფოკას (963-968) და ბასილი II-ის (976-1025) მმართველობაში საგრძნობლად განივრცო დასავლეთის მიმართულებით[7].

თანდართული რუკა (სურ. A) ძირითადად ტაო-კლარჯეთ-შავშეთის დასავლეთ მხარეს აჩვენებს, სადაც კვლევა-ძიებას ვაწარმოებდი. რუკაზე დასახლებათა და ასევე ეკლესია-მონასტერთა სახელწოდებები ქართული ფორმითაა მოყვანილი, შუა საუკუნეების წყაროების მიხედვით, რათა თავიდან ამეცილებინა აღრევა, რადგან ქართული ტოპონიმების ქვეშ დაბეჭდილი თურქული შესატყვისები 1960 წლის შემდეგ ძალიან ხშირად იცვლება, რაც იწვევს ნომენკლატურის შეუსაბამობას.

---

7 სომეხი ისტორიკოსის, ასოღიკის – მიხედვით (*Всеобщая история Стефаноза Таронского, Асогика по прозванию, писателя XI столетия*. переведена с армянского и объяснена Н. Эмином /Москва, 1864/, გვ. 134), ზემო ტაო შემდეგ მხარეებს მოიცავდა: კარინს, ჰალის-არიჭს, ბასიანს, სევუკს, პერესა და აპახუნიკს, რომელიც დავით III კურაპალატს (†1001) გადასცა მისი ცხოვრების ბოლომდე ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-მ 978 წელს დავითის მიერ ბასილის მტრის, ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ გაწეული დახმარების საზღაურად. ამის შესახებ იხ. ასევე E.Oikonomidis, *L'organization de la frontière orientale de Byzance aux X*$^{e}$*-XI*$^{e}$ *sicècles et la Taktikon de L'Escorial. XIV*$^{e}$ *Conges internationale des Etudes Byzantines, Bucarest 6-12 septembre 1971, Rapports II*, Bucharest, 1971, გვ. 73; C.Toumanoff, *Studies in Christian Caucasian History*, Washington, D.C. 1963, გვ. 454-456. ეს საგანი უფრო ვრცლად განხილული აქვს შ. ბადრიძეს (*საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან*, თბილისი, 1984, გვ. 57-63). M.Tarchnischvili, "Die Anfänge der schriftstellerischen Tätigkeit des H. Euthymius und der Aufstand des Bardas Skleros", *Or.Chr.* 38, 1954, გვ. 113-124. ტაო-კლარჯეთ-შავშეთის ისტორიული გარემოცვის შესახებ იხ.: Sinclair, *Eastern Turkey*, გვ. 30-45 და Eid, *Ost Turkey*, გვ. 51-54 და სხვ. ასევე: В.А.Арутюнова-Фиданян, *Армяне-халкедониты на восточных границах Византийской империи (XI в.)*, Ереван, 1980, და მისი შეფასება – Djobadze, *B.Z.* 76, 1983, გვ. 59-61.

K 24.469/4

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობისას მოვიშველიე და ალაგ შევასწორე კიდეც შემდეგი რუკები: USAE აერონავტიკული რუკა და აშშ-ის საჰაერო ძალების საინფორმაციო ცენტრის ტაქტიკური პილოტაჟის რუკა, ფ. G-48 (1966, 1 : 500 000); თურქეთის "Kodex-Kultur-Atlas" (1 : 300 000); Deutsche Heereskarte, ართვინ-ოლთუ, ფ. B-XV (1943, 1 : 200 000), თურქული სამხედრო რუკა, ართვინი, ფ. A-XIV, ოლთუ, ფ. B-XIV, (1964, 1 : 200 000); საქართველოს რესპუბლიკის რუკა (1920, 1 : 5000 000).

მონოგრაფია ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში წარმოდგენილია VIII საუკუნის ბოლოდან X საუკუნის შუახანებამდე აგებული ანდა აღდგენილი მონასტრები. მეორე ნაწილში განხილულია X საუკუნის შუა წლებიდან XI საუკუნის დამდეგამდე აშენებული მონასტრები. ყველა განხილული ძეგლი ქრონოლოგიურ რიგზეა დაწყობილი. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ამ წესს არ ვიცავ, როდესაც ეკლესია ადრეა აგებული და მთლიანად გადაკეთებული მოგვიანებით. ასეა იშხნის კათედრალის შემთხვევაში, რომელიც IX საუკუნის დასაწყისში ააგეს, მაგრამ სრულებით სახეშეცვლილია XI საუკუნეში.

გრიგოლ ხანცთელის თაოსნობით IX საუკუნის პირველ ნახევარში აგებული ზოგიერთი მონასტერი (მაგალითად, წყაროსთავი, ბერთა, მიძნაძორი) გამოტოვებულია,ვინაიდან ისინი ან გაქრა პირისაგან მიწისა, ანდა იმდენად განადგურებულია (წყაროსთავი, მიძნაძორი), რომ შეუძლებელია მათი არქიტექტურული სახის განსაზღვრა. სამწუხაროდ, ამჟამად დანგრეულ ეკლესიებზე ჩვენ მხოლოდ ნ. მარის 1904 წელს შესრულებული მოკლე აღწერები და მცირერიცხოვანი ფოტოსურათები გვაქვს. ამ გამქრალ ეკლესიათაგან ზოგიერთი, როგორც მიგვანიშნებს წყაროსთავის დასავლეთი კედლის გადარჩენილი ნაწილი და მისი მიმდებარე პასტოფორიუმი, თავის დროზე ღირსშესანიშნავი შთამბეჭდავი ნაგებობა იქნებოდა[8]. ასევე გამოტოვებულია მამაწმინდა – პაწაა (4.40 კვ. მ) კვადრატული, უაფსიდო ეკლესია პატარა სოფელ იბრიქლის ჩრდილოეთ ფერდობზე, ვინაიდან იგი არ ხვდება ამ გამოკვლევის დროით საზღვრებში. ეს უჩვეულო, შედარებით კარგად შემორჩენილი ეკლესია, რომლის გუმბათი დაფუძნებულია ჩრდილოეთითა და სამხრეთით 0.65 მ კვადრატული შვერილების ორ წყვილზე, ერთიანად დაფარულია კედლის მხატვრობითა და ნაირ-ნაირი ბერძნული და ქართული წარწერებით, მაგრამ მისი მნიშვნელობა უფრო ისტორიულია, ვიდრე მხატვრული. ფერმწერის ვინაობა არაა ცნობილი; მაგრამ მხატვრობის სტილი გვაფიქრებინებს, რომ ეს ის მხატვარი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელმაც შეამკო სუმელას მონასტრის კედლები. მამაწმინდას მოკლე აღწერა გამოქვეყნებულია: MAK III, 58-59, ტაბ. XXIII-XXIV.

რათა უკეთ წარმომეჩინა ამ მონასტრებში გაშლილი მხატვრული და სამწერლო საქმიანობა, სასარგებლოდ ჩავთვალე მომეთავსებინა ამ სახელოსნოებსა და სკრიპტორიუმებში დამზადებული ვერცხლის ნივთებისა (ხატების, წიგნის ყდების, საწინამძღვრო ჯვრების) და ხელნაწერთა ფურცლების ფოტოსურათები.

ამ მხარეში წინანდელი ადმინისტრაციული შეზღუდვების გამო, ჩატარებულზე მეტის მომცველი კვლევა-ძიების განხორციელება შეუძლებელი გამოდგა. შესაბამისად, მიმოხილვაც არათანაბარი გამოვიდა, ერთგვარად დაწყვეტილი, რაც ასახავს ჩემი მუშაობის რთულ პირობებს. მიუხედავად ამისა, თითქმის ოცწლიანი კვლევითი მუშაობის შედეგები სასარგებლო უნდა იყოს მკითხველთათვის და იმათთვისაც, ვინც უკეთეს პირობებში ეცდება უფრო ღრმად შეისწავლოს ტაო-კლარჯეთ-შავშეთის სწრაფი განადგურების გზაზე დამდგარი საკულტო და საერო არქიტექტურა.

მერჩულეს „გრიგოლ ხანცთელის ცხორების" ადგილებს მე მოვიყვან ქართული ორიგინალის ი. აბულაძისეული უახლესი შემოწმებული გამოცემიდან. ასევე, რუსულს ვამჯო-

8 წყაროსთავის მონასტერი მოკლედ აქვს აღწერილი ნ. მარს: *Дневник*, 120-123, სურ. 38. მარის მონაცემებს შეიძლება დავუმატოთ, რომ ეკლესიის უშუალო სიახლოვეს კიდევ ხამი სამლოცველოთა და ნაწილობრივ შემორჩენილი სადარაჯო კოშკი მონასტრისკენ მიმავალი ბილიკის ჩრდილოეთით, ასევე ის, რომ ტოპოგრაფიულ გარემოებათა გამო მთავარი ეკლესია აღმოსავლეთით კი არა, სამხრეთითაა ორიენტირებული.

ბინე ე. თაყაიშვილის 1917 წლის არქეოლოგიური ანგარიშის ქართული გამოცემა, ვინაიდან აქ დედანშია მოყვანილი ჩემ მიერ ნანახი სხვადასხვა ეკლესიის წარწერები.

ჩემ მიერ ადგილზე შესწავლილი წარწერებისათვის მოტანილი მაქვს ფოტოსურათები, ფაქსიმილური პირები და მხედრული ტრანსკრიფციები.

მკითხველთათვის უფრო მოხერხებულად ჩავთვალე დიდი ნახაზების შემცირებული სახით ტექსტში ჩართვა.

ამ მონასტერთა ფრაგმენტებად მოღწეული XI საუკუნის დასაწყისის მოხატულობანი მონოგრაფიაში არ შემიტანია და მათზე სხვა დროს მექნება საუბარი. ასევე არ ვუთითებ ტაო-კლარჯეთის მონასტრებზე ზოგიერთ პუბლიკაციას, რომელთა ავტორებს ტაო-კლარჯეთ-შავშეთის ძეგლები ადგილზე არ შეუსწავლიათ და ამიტომაც მათი ნაშრომები ვერაფერს მატებენ ცოდნას საკუთრივ ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრებაზე. მ. კადიროღლუს დისერტაცია („იშხნის ქართული ეკლესიის ხუროთმოძღვრება" მაინის ფრანკფურტი, 1990, ინგლისურად) იმდენად გვიან მივიღე, რომ მისი განხილვა ვეღარ მოხერხდა.[9]

მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ჩემი კოლეგები, ასევე ის დაწესებულებები, რომელთაც დახმარება გამიწიეს მუშაობაში. განსაკუთრებით უნდა ვუთხრა მადლობა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს, პროფ. ე. მეტრეველს, რომელიც მუდამ მხარში მედგა და დიდად შემიმსუბუქა ტაო-კლარჯეთის მონასტრებში გადანუსხული ხელნაწერების შესწავლა. დაღუპული ეკლესიების ფოტოსურათების მიწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ პროფ. რ. მეფისაშვილსა და ე. მეტრეველს. მადლიერებით მოვიხსენიებ პროფ. ქ. ვაიტცმანის მხარდაჭერას, რომელმაც შესაძლებელი გახადა ჩემი საველე მუშაობის გაგრძელება. დიდად ვარ დავალებული პროფ. ფოლკერ აიდისაგან, რომელიც ხშირად სწვევია ტაო-კლარჯეთს, ბანას კათედრალის ზოგიერთ მხარეზე საუბრისათვის. Forschungen zur Kunstgeschichte-ს სერიაში ჩემი გამოკვლევის მოთავსებას ვუმადლი პროფ. ო. ფელდს. დიდად მადლიერი ვარ პროფ. კარლ შეპარდისა, რომელმაც ბევრი რჩევა მომცა.

ჰუმანიტარული მეცნიერების ეროვნული ფონდის (Endowment) დახმარებამ შესაძლებელი გახადა, 1983 წელს დამესრულებინა ხანგრძლივი კვლევა-ძიება თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში. უწინარეს ყოვლისა კი გულითად მადლობას მოვახსენებ პოლ გეტის საგრანტო პროგრამასა და მის დირექტორს დ. მეროუს, რომელმაც შესაძლებელი გახადა ამ წიგნის გამოცემა.

დიდად ვმადლობ ჩემს ქალიშვილ ეთერს და ბ-ნ ნ. გუდმაუს მათი დაუზარებელი საგამომცემლო მუშაობისათვის. მადლიერი ვარ შტაინერის გამომცემლობისა, მეტადრე ბ-ნ გ. ჰოპენისა და ბ-ნ ვ. ზიუმკინგის, გამოცემის დროს ჩემთვის აღმოჩენილი დახმარებისთვის. ყველაზე მეტად კი ჩემი მეუღლისაგან ვარ დავალებული, რომელიც ხალისით ტვირთულობდა ჩემთან ერთად საველე მუშაობის სიძნელეებს და რომლის კრიტიკული შენიშვნებისა და მუდმივი თანადგომის გარეშე ეს ნაშრომი სულაც ვერ დაიწერებოდა. სწორედ მას ვუძღვნი ამ წიგნს.

[9] 1991 წელს ეს ნაშრომი ცალკე წიგნადაც გამოიცა: M. Kadiroğlu, *The Architecture of the Georgian Church at Işhan*, EUS - XXVIII, vol. 121, 1991.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნაწილი პირველი

# VIII საუკუნის მიწურულსა და X საუკუნის შუა წლებს შორის აგებული მონასტრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# A. ოპიზის მონასტერი

ოპიზა კლარჯეთის უძველესი და ყველაზე ვრცელი მონასტერია. ამ მხარის მონასტერთა უმრავლესობასავით იგი იმერხევისწყლის მარჯვენა ნაპირზეა განლაგებული, დაახლოებით მისი კალაპოტიდან 3 კმ-ზე, ციცაბო მთის ფერდობზე (ტაბ. 1).

მონასტერი შედგება წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიისა, სატრაპეზოსა, საკუჭნაოსა და გაურკვეველი დანიშნულების უამრავი დამხმარე სადგომისაგან. ის 750 წელს დაარსდა და ვიდრე XVI საუკუნეში თურქთა ბატონობის კვალად გაუქმებამდე, ამ მხარეში განათლების უმნიშვნელოვანესი კერა იყო. საუკუნეთა განმავლობაში მივიწყებული, იგი აღმოაჩინეს ქართველმა სწავლულებმა გ. ყაზბეგმა[10] (1874) და დ. ბაქრაძემ[11] (1879), რომელთაც გამოაქვეყნეს თავისი დაკვირვებანი. 1888 წელს იგი მოინახულა არქიტექტორმა ა. პავლინოვმა,[12] 1904 წელს კი სახელგანთქმულმა ენათმეცნიერმა ნ. მარმა.[13] ყოველმა მათგანმა აქ მხოლოდ თითო დღე დაჰყო, მაგრამ მოახერხეს აღეწერათ სამონასტრო ნაგებობანი, დაეთვალიერებინათ ეკლესია და გადმოეღოთ მისი წარწერები. 1959 წელს ოპიზა მოინახულეს ნ. და ჟ. მ. ტიერებმა, რომელთაც თავის მიგნებებთან ერთად გამოაქვეყნეს ჯერაც არსებული გუმბათის ჩინებული ფოტოსურათები.[14] როდესაც ოპიზა 1965 წელს პირველად ვნახე, სახელგანთქმული ეკლესია დანგრეული და ხშირი მცენარეულობით დაფარული დამხვდა. მაშინ მე შევისწავლე შემორჩენილი კედლების სამშენებლო მახასიათებლები, სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და ზოგიერთი ქვა, რომლებზეც კირის ხსნარის ორ ფენაზე დატანილი თავდაპირველი მოხატულობის ფრაგმენტები იყო.

ოდესღაც დიდრონი მანდრის ზღუდემოვლებულ ნანგრევებში თვალს ხვდება ორი ძირითადი ნაგებობის – წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიისა და სატრაპეზოს – კედლები.

## 1. სამონასტრო ეკლესია

ტიპოლოგიურად ეკლესია (შიდა სიგრძე 27.25 მ, სიგანე 11,50 მ) ჯვრული გუმბათიანი ნაგებობაა (სურ. 1, ტაბ. 2), შესამჩნევად დაგრძელებული, კამაროვანი, დასავლეთი მკლავით: უკანასკნელი პილასტრებზე გადაყვანილი თაღებით ხუთად იყოფა, კედლები კი სამსაფეხურიანი კედლის თაღებითაა დანაწევრებული (ტაბ. 4). პილასტრებს იმგვარი მარტივი გეომეტრიული მოყვანილობის ბაზისები და ასეთივე პროფილის იმპოსტები აქვთ, როგორსაც ჩვეულებრივ იყენებენ ამ მხარის ეკლესიებში. კედლის თაღებში მოქცეულ კედლის ზედაპირებზე თანაბარზომიერი, მაგრამ ტლანქად თლილი ქვებია გამოყენებული. ისინი სწორ რიგებადაა დალაგებული და თხლად გალესილი. პირიქით, კამარები ფაქიზად დაკუთხვილი და სუფთად გათლილი ქვებითაა ნაგები (ტაბ. 3), თანახმად X საუკუნის აქეთ ტაო-კლარჯეთში მიღებული წესისა. აღმოსავლეთი მკლავი შედგენილია ნახევარწრიული აფსიდისა (მას ყოველ მხარეს თითო ნახევარწრიული ნიშა აქვს) და ბემისაგან, რომელსაც მასთან უშუალოდ დაუკავშირებელი ორი სწორკუთხა სადგომი (2.50 × 1.90 მ) ახლავს.

---

[10] "Три месяца в Турецкой Грузии", *Записки Кавказского отделения Императорского Русского Географического Общества* 10, 1876, გვ. 75-79.

[11] *Известия Кавказского общества Истории и Археологии*, 1882, გვ. 81.

[12] *МАК* III, 1893, გვ. 63-65, ტაბ. XXVIII-XXXII, рис. 43.

[13] *Дневник*, გვ. 156-166, ტაბ. 58.

[14] Thierry, "Voyage", გვ. 27-29.




1. ოპიზის მონასტერი, გეგმა გადმოხაზული MAK-ის III ტომიდან, სურ. 43

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორსავე გვერდით სადგომს აღმოსავლეთისაკენ მიმართული სარკმლები აქვს, ჩვეულებრივი აფსიდიოლების გარეშე. ნ. მარის თანახმად, სამხრეთი და ჩრდილოეთი ნაწილების ასაშენებლად თხელი აგური უნდა გამოეყენებინათ და არა ქვა. მან ასევე მიაკვლია აგურს აფსიდის კონქსა და გუმბათში.[15] ნ. მარის მტკიცებას ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ, რადგან ეს კედლები მთლიანად განადგურებულია, მაგრამ მისი დაკვირვება შეიძლება სწორიც იყოს. მსგავსი რამ შემხვდა დოლისყანის ახლომდებარე, თითქმის თანადროულ ეკლესიაში, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთი მონაკვეთის კამარა მთლიანად აგურისაა (იხ. ქვემოთ).

საყურადღებოა, რომ ჯვრის სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავების დასავლეთ კედლებში დიდი ნიშებია დატანილი, რომელთა ზომებს ნ. მარი არ იძლევა,[16] მაგრამ დ. ერმაკოვის ფოტოსურათებით[17] თუ ვიმსჯელებთ, ეს თაღოვანი, შეწყვილებული სვეტებით მოჩარჩოებული ნიშები დაახლოებით 2.00 მ სიმაღლისა და 0.90 მ სიგანისა იქნებოდა. თავდაპირველად მათ რაღაც საგანგებო დანიშნულება ექნებოდათ, რომელზედაც ახლა დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით. აღსანიშნავია, რომ მსგავს ნიშებს ვხედავთ X საუკუნის მეორე ნახევრის ზოგიერთ ტაო-კლარჯულ ეკლესიაშიც (ოშკი, ხახული, პარხალი).[18]

გუმბათი ოთხ თაღზეა დამყარებული. კუთხის მონაკვეთი შევსებულია არქიტექტურული ელემენტებით, რომელნიც შეიძლება აღიწეროს როგორც აფრებისა და ტრომპების შერწყმა.[19] ისინი ქმნიან გუმბათის ყელის წრიულ საფუძველს (ტაბ. 5). გუმბათის ორივე პირი (გარედან იგი თორმეტწახნაგაა, შიგნიდან კი წრიული) სწორად დაკუთხვილი და სუფთად გათლილი ქვებითაა ამოყვანილი: ისინი სწორ რიგებადაა დაწყობილი და მათ შორის არ ჩანს დუღაბი. გუმბათის ყელის გარეთა ზედაპირზე თორმეტი დეკორაციული თაღია, რომელთაგან ექვსში სარკმლებია მოქცეული. თაღებს შეწყვილებული სვეტები ზიდავს, მათი ბაზისები კი ბურთულებითა და მათ თავზე სალტეებითაა ხაზგასმული. შეწყვილებული სვეტები დასრულებულია გარდასახული, სტრუქტურულად გადასხვაფერებული კორინთული კაპიტელებით, რომელნიც მორთულია ოსტატურად კვეთილი გრეხილი სარტყლებით, მეტად სტილიზებული აკანთის ფოთლებით, რომელთა ბოლოები გარეთკენ იგრაგნება, ზემოდან კი სადა სწორკუთხა აბაკი აქვთ. გუმბათის ყელის ეს გარეთა სამკაული შიგნითაც მეორდება, მაგრამ გამარტივებული სახით: შეწყვილებული სვეტების მაგიერ ცალფაა ნახმარი, თაღნარი კი შებრტყელებულია.

წყვილად სვეტებზე გადაყვანილი ნახევარწრიული თაღები X საუკუნის შუა წლების შემდეგ საყოველთაოდაა მიღებული ტაო-კლარჯეთის ეკლესიათა გუმბათების სამკაულად. ისინი არა მხოლოდ ანაწევრებენ ერთფეროვან ზედაპირს და ამით აძლიერებენ ცხოველხატულ ეფექტს, არამედ ფარავენ რა წახნაგთა ვერტიკალურ წიბოებს, არბილებენ კიდეც ერთი წახნაგიდან მეორეზე გადასვლას.

ყველაზე საყურადღებოა გუმბათის გადახურვა, რომლის ზედა ნაწილსაც ნახევრად დაკეცილი ქოლგის მოყვანილობა აქვს (Faltendach): ამის შედეგად ჩნდება თორმეტი ერთმანეთზე გადაბმული ფრონტონი დასაფეხუროვნებული კარნიზით. ამას გარდა, ყელის ქვედა, წრიული ლავგარდანი შემკულია ჭადრაკოვანი წნულით, რომელიც წრომის აღმოსავლეთი ფასადის თაღნარის სამკაულს ჰგავს.[20] ყელის ზედაპირის თაღნარად, სვეტებადა და სხვა ელემენტებად, ზედა და ქვედა კარნიზებად დიფერენცირება უაღრესად მნიშვნელოვანია ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის განვითარებისათვის, რადგან აქ პირველად იჩენს თავს მთელი სითამამით ოსტატების გატაცება რელიგიური არქიტექტურის ფორმისეული და დეკორაციული მხარეებით. ამის პირველი გაუბედავი ნიშნები მეზობელ ხანცთაში ჩნდება. სხვა ხუროთმოძღვრულ სამკაულს ვერ მივაგენი და იგი არც წინამორბედ

[15] *Дневник*, გვ. 161. იგივე აქვს აღნიშნული გ. ყაზბეგს, "Три месяца в Турецкой Грузии", 1876, გვ. 75-79.
[16] *Дневник*, გვ. 161.
[17] *МАК* III, ტაბ. XXX.
[18] ამ ნიშნების შესახებ: Djobadze, "Reliefs", გვ. 61, 62, 10.
[19] Н.Северов, *Памятники грузинского зодчества*, Москва, 1947, გვ. 192.
[20] Г. Чубинашвили, *Цроми*, Москва, 1969, ტაბ. 75.

მკვლევრებთან იხსნება, ორი ფილისაგან შედგენილი საქტიტორო რელიეფის გამოკლებით, რომელიც სამხრეთ ფასადს რთავდა.[21]

გუმბათის ყელის შიდა პირი მხატვრობით იყო შემკული: სარკმლების ჭრილში რომბოიდები, სპირალები და სხვა გეომეტრიული სახეები ეხატა, თაღებში კი სრული ტანით იყვნენ გამოსახულნი კეროებსა და ქლამინდებში გამოწყობილი წინასწარმეტყველნი წარწერილი გრაგნილებით ხელში. თანმხლები წარწერებითა და გრაგნილების ტექსტთა შინაარსით ნ. მარმა ამოიცნო მელქისედეკი და იოელი.[22] სამხრეთი მკლავის გადარჩენილ ნაწილში მთელი ტანით იყვნენ დახატული ადგილობრივი ხელისუფალნი მდიდრულ შესამოსელში. კარგად შემონახული ასომთავრული წარწერის მოშველიებით ნ. მარმა ერთი მათგანი აშოტ კურაპალატთან გააიგივა.[23] სამხრეთი მკლავის დასავლეთ კედელზე მცენარეული სახეების მოზრდილი ფრაგმენტები და დიდრონი, მაგნოლიას მსგავსი თეთრი ყვავილები ყოფილა. სამხრეთი მკლავის აღმოსავლეთ კედელზე გაირჩეოდა რამდენიმე ანგელოზი და წმინდანი, რომელსაც ხელთ გრაგნილი ეპყრა, ზედ ათსტრიქონიანი წარწერით.[24]

მე გავკაფე ნანგრევებზე ამოსული ხშირი მცენარეულობა და შევისწავლე ეკლესიისა და სხვა ნაგებობების (მათი მდგომარეობა დანიშნულების გარკვევის საშუალებას არ იძლევა) დარჩენილი კედლები. ეკლესია მოყვითალო ქვიშაქვით, ალაგ-ალაგ ოდნავ მოწითალო ქვებით არის ნაშენი. მისი აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლები გარედან ფაქიზად გამოყვანილი და სუფთად თლილი, რიგებად დაწყობილი ქვებითაა ნაგები. რადგან რიგებს შორის ხსნარი არ ჩანს, იქმნება დიდრონი სადა ზედაპირები, ალაგ-ალაგ გაცხოველებული მოვარდისფრო ქვიშაქვის მახვილებით. აღმოსავლეთი ფასადი დანაწევრებულია სამი დეკორაციული თაღით; ისინი სრულებით ერთნაირია, მხოლოდ შუა უფრო განიერია და მასში სარკმელია გაჭრილი (ტაბ. 3). აქ ჩვენ ვხედავთ ტაო-კლარჯეთში ამ ელემენტის უძველეს ნიმუშს[25], რომელიც განვითარების მწვერვალს X საუკუნის მეორე ნახევარში აღწევს (მაგალითად, ოშკში, ოთხთა ეკლესიასა და პარხალში). დეკორაციული თაღები სხვადასხვაგვარი ხდება: მაგალითად, იშხანში, სადაც ისინი საფეხუროვანია და არა მხოლოდ დეკორაციულად ანაწევრებს ზედაპირს, არამედ სამშენებლო მნიშვნელობისაც არის. კედლების შიდა მოპირკეთებისთვის გამოყენებულია ტლანქად გამოთლილი, ზედაპირმოუსწორებელი ქვები, რომელთა შორის ხსნარის თხელი ფენა მოჩანს. ეს ადასტურებს, რომ დასავლეთი მკლავი მხოლოდ შელესილი იყო, მოუხატავი. ეკლესიის ერთადერთი შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მოთავსებული უჩვეულოდ ვიწრო კარია. დასავლეთით მოქცეულია წაგრძელებული კამაროვანი დარბაზი. მის სამხრეთ მინაკვეთში ა. პავლინოვმა[26] და ნ. მარმა[27] ნახეს არკოსოლიები, რომელნიც წარწერების თანახმად ბაგრატიონთა გვარის ადგილობრივ ხელისუფალთა სამარხები უნდა ყოფილიყო. ამ ვარაუდს ემხრობა „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობა, რომ ოპიზის „მეორედ მაშენებელი“ გუარამ მამფალი (†882), მეფე აშოტ I-ის ძე, ოპიზაშია დაკრძალული.[28] ამ მხრივ საგულისხმოა, რომ ადგილობრივი ხელისუფალნი იმარხებოდნენ ასევე ტბეთსა და ოშკში.[29]

---

[21] 1874 წელს ეს რელიეფი (იხ. ქვემოთ) გ. ყაზბეგმა ეკლესიის სამხრეთ ფასადზე ნახა. ამჟამად იგი საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმში ინახება.

[22] დამატებითი ცნობები და სრული ბიბლიოგრაფია ოპიზის წარწერებზე იხ.: ნ.შოშიაშვილი, *კორპუსი*, გვ. 285-287.

[23] Марр, *Дневник*, გვ. 160.

[24] იქვე.

[25] საქართველოში მისი წინასახე დადასტურებულია წირქოლში (IX საუკუნე): Г. Чубинашвили, "Архитектурные памятники VIII и IX века в Ксанском ущелье", *AG* I, 1942, სურ. 19.

[26] *МАК* III, გვ. 65.

[27] *Дневник*, გვ. 164.

[28] *ქართლის ცხოვრება* I, გვ. $260_{24-25}$.

[29] ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 33.

## ა. მთავარი ეკლესიის არქიტექტურული ნიშნები და თარიღი

წინა განაკვეთში ითქვა, რომ VIII საუკუნის მიწურულისა და IX საუკუნის დასაწყისის ტაო-კლარჯული სამონასტრო ეკლესიები ცალნავიანი (დარბაზული) ნაგებობანი ან სამნავიანი ბაზილიკები იყო. მეორე მხრივ, როგორც დავინახეთ, ოპიზის სამონასტრო ეკლესია ჯვრისებრი გუმბათიანი შენობაა, სადაც გუმბათს მკლავთა კედლები ზიდავს. მკლავებს სწორკუთხა დაბოლოება აქვს, გარდა აღმოსავლეთისა, რომელიც ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული. ტიპოლოგიის მხრივ ეს ეკლესია ენათესავება X საუკუნის შუახანებში აგებულ ორ ახლომდებარე ეკლესიას – ხანცთისა (სურ. 6) და დოლისყანისა (სურ. 12). მართალია, არის განსხვავებაც: ოპიზაში ჯვარი კვადრატში კი არაა ჩაწერილი, როგორც ხანცთაში და დოლისყანაში, არამედ ჩრდილოეთ-სამხრეთით დაგრძელებულ სივრცეში, როგორც ხახულის ეკლესიაშია. რა თქმა უნდა, ამ შედარებისას არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ხანცთასა და ხახულში დასავლეთი მკლავი სამნავიანია. მიუხედავად ამ სხვაობებისა, რომელნიც უფრო გეგმაზეა გამოკვეთილი, ვიდრე ეკლესიათა შიდა მოცულობებში, ისინი ტიპოლოგიურად უკავშირდებიან ერთიმეორეს და იმავე არსებით არქიტექტურულ ელემენტებს შეიცავენ. დროის მოკლე შუალედში, სახელდობრ, X საუკუნის მეორე ნახევარში, ისინი განვითარდა ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიის უფრო რთულ ნაირსახეობად (მაგალითად, ხახული, ოშკი, იშხანი). ოპიზა, ხანცთა და დოლისყანა კი არა მარტო ტიპოლოგიით, სამშენებლო თვალსაზრისითაცაა მონათესავე. ამიტომაც, კარგი იქნება მოკლე ანალიზის გზით მოვნიშნოთ სხვადასხვა ხუროთმოძღვრული ელემენტის ევოლუცია და, იმავე დროს, ოპიზის დროითი ადგილი ამ ევოლუციაში.

სამივე ეკლესიისთვის საერთო ნიშნებს შორის ერთი ყველაზე დამახასიათებელი გუმბათი და მისი შემადგენლებია. გუმბათის ყელი ყველგან თორმეტწახნაგაა, ე. ი. გარეთა ზედაპირი თორმეტ მონაკვეთად შეწყვილებულ სვეტებზე გადაყვანილი დეკორაციული თაღებით თანაბრადაა დაყოფილი. მართალია, ხანცთასა (ტაბ. 31) და დოლისყანაში (ტაბ. 71) გუმბათის ყელში ოთხი სარკმელია, სიმეტრიულად შეთანხმებული ჯვრის მკლავებთან, ხოლო ოპიზაში (ტაბ. 3, 5) სარკმელი ორით მეტია. მას კიდევ ერთი განსხვავება ემატება – სარკმლების ზომა. მათ შორის უადრესში, ხანცთაში სარკმლები საგრძნობლად მცირეა; მათი სიგანე წახნაგის სიგანის მხოლოდ მესამედს შეადგენს. ოპიზაში სარკმლების ზომა შესამჩნევად გაზრდილია, სიგანით ისინი წახნაგის ნახევარს უტოლდება. დოლისყანა ამ მხრივ ამ ორი ეკლესიის შუა ექცევა.

თაღნარის კაპიტელები ხანცთაში მარტივი, შეუხედავი პროფილებითაა შედგენილი, ისინი შორეულად დორიულ კაპიტელს მოგაგონებთ. დოლისყანაში ვხედავთ სქემატიზებულ, უბაზისო კორინთულსა და ერთგვარად შროშანისებრ კაპიტელებს. შესაბამისი კაპიტელები ოპიზაში აღნაგობით უფრო რთულია, დეტალებით – უფრო მდიდარი. მათ შემატებული აქვთ ბაზისები და ისინი გამშვენებულია გრეხილითა და „კალათის“ ნაპირებზე გარეთკენ დახვეული აკანთის ფოთლებით.

შემდეგი შესადარებელი დეტალი ყელის ქვედა ლავგარდანია, რომელსაც ხანცთასა და დოლისყანაში მარტივი კვეთი აქვს; ოპიზაში იგი გამდიდრებულია შეწყვილებული ლენტების წნულით, რომელიც ჭადრაკისებრ ნახატს ქმნის. ამასთან, ხანცთაში ყელის დატეხილი კარნიზი ერთსაფეხურიანია; ოპიზაში იგი გაორმაგებული და დასაფეხუროვნებულია.

საინტერესოა კიდევ ერთიმეორეს გუმბათის ყელის შიდა პირი შევადაროთ. ოპიზაში (ტაბ. 3, 5) და დოლისყანაში (ტაბ. 71) თაღნარის მეშვეობით[30] გამეორებულია გარეთა დაყოფა თორმეტ ნაწილად, ხანცთაში კი ყელი შიგნით თორმეტწახნაგა კი არა, რვაწახნაგაა და სადა.

[30] შეწყვილებულის ნაცვლად ორივეგან ცალფა სვეტებია მოხმარებული.

დასასრულ, ხანცთაში უტყუარი ტრომპებია გამოყენებული. ოპიზასა და დოლისყანაში ქვითხუროებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს და შეიმუშავეს შერეული ელემენტი: ტრომპს შეზრდილი აფრა.

მეზობელი მონასტრების, ხანცთისა და ოპიზის ეკლესიათა მსგავსება-განსხვავების გათვალისწინებით ნათლად ვხედავთ, რომ ოპიზელ ოსტატებს ბევრი სიახლე შეუტანიათ ეკლესიის ფასადების შემკობის მხრივაც და ტექნიკურ-სამშენებლო თვალსაზრისითაც, რაც სავსებით ეთანხმება ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრების განვითარების საერთო მიმართულებასაც.

იმავე დროს ამნაირივე სიახლენი ჩნდება დოლისყანაშიც, რაც ნებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ოპიზა ხანცთის შემდგომ (918-941) განაახლეს, დაახლოებით მაშინვე, როცა დოლისყანა (954-958). შესაძლოა, საბოლოო სახე ოპიზის ეკლესიამ აშოტ IV კურაპალატის (†954) მმართველობის ბოლო წლებში მიიღო. მას მონასტრისთვის მთელი რიგი ნაგებობანი უნდა დაემატებინათ, რომელთა შორის გამოირჩევა სამნავიანი სატრაპეზო. მაგრამ ჩვენი დასკვნა როდი ეწინააღმდეგება საყოველთაოდ მიღებულ აზრს, რომ მონასტერი ბევრად ადრე აშენდა. ოპიზას ნაშთებს შორის მართლაც ვნახე VIII საუკუნეში მიღებული სამშენებლო წესით ნაგები კედლები (ტაბ. 7).

## ბ. ქტიტორის რელიეფი

ოპიზის ეკლესიის შემამკობელი ერთადერთი ფიგურული ნაქანდაკევი გამოსახულება სამხრეთ ფასადზე იყო მოთავსებული, სადაც იგი იხილა და აღფრთოვანებით აღწერა ისტორიკოსმა გ. ყაზბეგმა.[31] ქვიშაქვის ეს რელიეფი, რომელიც ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია გადმოტანილი, შედგენილია ორი, თითქმის ტოლი მოჩარჩოებული ფილისაგან (მარცხენა: სიმაღლე 0,57 მ, სიგანე 0.64 მ, სისქე 0.09 მ, მარჯვენა: სიმაღლე 0.58 მ, სიგანე 0.64 მ, სისქე 0.085 მ). მარცხენა მხარეს დაბალი რელიეფით ნაჩვენები მთელტანიანი ფიგურა მარჯვნივ გამოსახული ქრისტესკენ მიემართება. იგი მოკრძალებით მიართმევს მას მოდელს ეკლესიისას, რომელიც ჯვარგუმბათოვანი ნაგებობა უნდა იყოს. წარწერის მიხედვით ეს კაცი აშოტია. მას აცვია სადარბაზო კაბა გადახსნილი კუთხოვანი საყელოთი და რომბისებრი ლითონის მოსართავებით გაწყობილი სარტყლით, რომლიდანაც ბალთებია ჩამოკიდებული; ფეხთ მას საცხენოსნო ჩექმა უნდა ემოსოს. აშოტის თავი და მკერდი მკაცრად ფრონტალურია. თავი და მარჯვენა მას არაპროპორციულად გადიდებული აქვს. მისი სახის ნაკვთები – თვალები, ცხვირი და წარბები – ხაზგასმით აქცენტირებულია.

მეორე ფილაზე აღსაყდრებულ ქრისტეს ვხედავთ. მსგავსად სოლომონის აღმოსავლური წარმომავლობის საყდრისა (I მეფ. 10, 18-20), მისი საყდარიც ექვს კონცენტრულ ციურ სფეროზეა დამყარებული. შესაბამისად, მეშვიდე ცაზე აღსაყდრებული ქრისტე კოსმიური მნიშვნელობისაა, ვითარცა ქვეყნიერების უფალი,[32] კოსმოკრატორი, მარადის განდიდებული მეუფე (ეს. 66, 1; საქმე, 7, 49, მათ. 5, 34-35). მარცხენა ხელში მას გადაშლილი წიგნი უჭირავს, მაკურთხეველი მარჯვენა კი ეკლესიის გუმბათის თავზეა განთავსებული. რელიეფზე გამოსახული მესამე, ქრისტეს მარცხნივ მოქცეული ფიგურა დავი-

---

[31] Г. Казбек, Три месяца... გვ. 75-79; Э. Такаишвили, *Археологические экскурсии, разыскания и заметки* 2, Тифлис, 1905, გვ. 56-59.

[32] შვიდფენიანი ცისა და შვიდი პლანეტის იდეა აღმოსავლეთიდან და საბერძნეთიდან მოდის. მეორე საუკუნის მეორე ნახევარში ირინეოსი ბრძანებდა, რომ სამყარო შვიდი ცით არის გარშემორტყმული. დაახლოებით იმავე ხანებში კლემენტ ალექსანდრიელისა და ორიგენეს აზრითაც სამყარო გარშემორტყმულია შვიდი პლანეტითა და შვიდი ცით. ამის შესახებ იხ.: G. Ladner, *Handbuch der frühchristlichen Symbolik*, Stuttgart-Zürich, 1992, გვ. 81-82. აგრეთვე: H. P. L`Orange, *The Iconography of Cosmic Kingship in the Ancient World*, Oslo 1953, გვ. 37.

თია, რომლის ვინაობას (მსგავსად დანარჩენი გამოსახულებებისა) მრგვლოვანი ზედაწერილი გვაცნობს. სტილითა და ფორმით დავითი აშოტის მსგავსადაა გამოკვეთილი.[33]

მიუხედავად მთლიანი მონუმენტურობისა, რელიეფი ორგანზომილებიანია, ადამიანის პროპორციებისადმი ყურადღების ნიშანწყლის გარეშე შესრულებული. ფიგურები პარალელური ღარებითაა გადმოცემული, ზედაპირის რაიმენაირი მოდელირების გარეშე. ფიგურული ქანდაკების ასეთი სქემატური, ხაზოვანი დამუშავება დამახასიათებელია X საუკუნის ქართული არქიტექტურისათვის (მაგალითად, კუდარო,[34] კვაისა ჯვარი[35]). ტაო-კლარჯეთში მსგავსი სტილურ-ფორმალური ელემენტები იჩენს თავს დოლისყანის სამხრეთი ფასადის ქანდაკებებში (იხ. ქვემოთ).

ტრადიციულად მიჩნეულია, რომ ქრისტეს მარჯვნივ საპატიო ადგილას მოთავსებულია აშოტ I, რომელიც ამ მხარეს 826 წლის გარდაცვალებამდე მართავდა, ქრისტეს მარცხნივ კი ბიბლიური დავითია.[36] ერთი შეხედვით, ეს იდენტიფიკაცია სარწმუნოა, რადგან აშოტი უთვალსაჩინოესი ხელისუფალი იყო, ტაო-კლარჯეთში სამონასტრო მოღვაწეობის ზოგადად და, სახელდობრ, ოპიზის მონასტრის აღშენების ძლიერი შემწე. სწორედ აქ აღორძინდა შუასაუკუნოვანი ქართული ლეგენდარული ტრადიციაც, რომლის თანახმად დავითი ღვთითდამყარებული მონარქიის წინასახეც იყო და ბაგრატიონთა მმართველი საგვარეულოს წინაპარიც.[37]

მაგრამ რელიეფის უფრო დაბეჯითებით გასინჯვა სხვა იდენტიფიკაციას გაფიქრებინებთ. უფრო სწორი მგონია, რომ ქრისტეს აშოტ I და დავით წინასწარმეტყველი კი არ ახლავს, არამედ აშოტ IV (†954), რომელსაც თავისი წინაპრის, აშოტ I-ის მსგავსად, ნაბოძები ჰქონდა კურაპალატის ბიზანტიური წოდება, და მისი ძმა დავითი, „მეფე ქართველთა" (923-937). ორივემ ბევრი რამ შესძინა მონასტერს — შემატეს ახალი შენობები, ხოლო ბაზილიკა გუმბათიან ნაგებობად აქციეს. ამას გვავარაუდებინებს არა მხოლოდ ეკლესიაში ხელისუფალთა პორტრეტების თანმხლები და ასევე სატრაპეზოს წარწერები, რომელნიც ნ. მარს[38] აქვს აღნიშნული, არამედ რელიეფზე გამოსახული ეკლესიაც, რომელიც ბაზილიკა კი არა, გუმბათიანი ნაგებობაა. დავითის წინასწარმეტყველთან გაიგივების წინააღმდეგ მეტყველებს მისი სიმცირე აშოტის ფიგურასთან შედარებით, მისი ტანისამოსი და პირისახე, რომელიც აშოტისას უფრო ჰგავს, ვიდრე ბიბლიური დავითისას. ეს კი უთუობით დაგვასკვნევინებს, რომ საქტიტორო რელიეფი ოპიზის თავდაპირველი ბაზილიკის გადაკეთების შემდეგაა გამოკვეთილი.

ამგვარად, შეიძლება გამოითქვას აზრი, რომ ქრისტეს ორივე მხრივ მდგომი ქტიტორები არიან აშოტ IV (†954) და მისი ძმა დავითი „ქართველთა მეფე" (923-937), რომ რელიეფი შესრულებულია დაახლოებით X საუკუნის მეორე მეოთხედში, როდესაც თავდაპირველი ბაზილიკა უკვე გადაკეთებული იყო გუმბათიან ნაგებობად და მშენებლობა დასრულდა. ასეთ დასკვნას არც რელიეფის სტილური ნიშნები ეწინააღმდეგება და არც

---

33 რელიეფის წარწერათა წაკითხვისათვის იხ. ნ.შოშიაშვილი, *კორპუსი*, გვ. 285-287. წარწერა 159.

34 Р. Меписашвили, "Архитектурные памятники Кударо", *ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები* 2, 1972, გვ. 160, ტაბ. 5a, b.

35 იქვე, ტაბ. 10, 11.

36 Э. Такаишвили, *Археологические экскурсии, разыскания и заметки* 2, გვ. 56-59. იხ. ასევე, Mepisašwili, Zinzadse, Schrade, *Georgien*, გვ. 223, 244. ამ აზრს იზიარებს კ. თუმანოვი (C. Toumaroff, *Studies in Christian Caucasian History*, გვ. 328), რომელსაც შეცდომით ჰგონია —, ვითომ დავითის სახელის წინ ეწეროს „წ" („წინასწარმეტყველი"); სინამდვილეში კი აქ ე. წ. „ქანწილია".

37 Constantine Porphyrogenitus, *Adm Imp.*, ed. Moravčik, 1948, გვ. 451 (ქართული თარგმანი: *გეორგიკა*, ტ. IV, ნაკვ. II. გამოცემა და თარგმანი ს. ყაუხჩიშვილისა, თბილისი, 1952, გვ. 255-256). იხ. ასევე მეფე აშოტ I-ის შექება გრიგოლ ხანცთელის მიერ: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო! მეფობაი და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრენ ქრისტემან ღმერთმან..." (მერჩულე, *ცხოვრება*, გვ. 11).

38 *Дневник*, გვ. 160, 163.

წარწერების პალეოგრაფია,[39] მაგალითად, ზოგიერთი ასოს ბოლოს გაყოფა, რაც მოგვიანო თარიღზე მიგვითითებს.

## 2. წერილობითი წყაროები მთავარი ეკლესიის დაარსებისა და მისი აშენების თარიღის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოპიზის მონასტრის დაარსების თარიღის დასადგენად ჩვენ უნდა განვიხილოთ ზოგიერთი წერილობითი წყარო, რომლის თანახმად V საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს მეფე ვახტანგ გორგასლის ბრძანებით „ჟამჟსმტემა მისმა არტავაზ“, არტანუჯის ერისთავმა, „აღაშენა ციხე არტანუჯისა, და მონასტერი, რომელი არს ოპიზასა, და სამნი ეკლესიანი: დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა. და განაახლა ციხე ახიზისა და ქმნა იგი ქუაბად.“[40] გამორკვეულია, ამასთან, რომ ამ წინადადებაში ოპიზის ხსენება მოგვიანო ჩანართია; ამიტომაც ეს ცნობა არაა სათვალავში ჩასაგდები. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მკვლევარი კვლავაც თვლის, რომ მონასტერი მართლაც V საუკუნის მეორე ნახევარშია დაარსებული.[41] უფრო სანდოა დასათარიღებლად გრიგოლ ხანცთელისა და სერაპიონ ზარზმელის „ცხორებანი“. პირველი წყარო გვაუწყებს, რომ კლარჯეთში „ყოველთა უდაბნოთა უწინარეს აღშენებულ არს ოპიზა“,[42] და რომ ხანცთის მონასტრის შენებისას ოპიზელი მამანი „თანაშემწე ექმნეს“, რამეთუ „მას ჟამსა სხუა მონასტერი არა შენ იყო მათ ქუეყანათა თჳნიერ ოპიზისა.“[43] ამის გამო იქნებოდა, გრიგოლ ხანცთელს რომ ტაო-კლარჯეთში ჩამოსვლისას (794 წლის ახლოს) ოპიზაში გაჩერება მოუხდა, სადაც იმხანად „იყვნეს... ძმანი მცირედნი შეკრებილ ქრისტეს სიყვარულისათჳს.“[44] სხვა ადგილას იგივე წყარო გვიზუსტებს, რომ ოპიზაში გრიგოლ ხანცთელის მისვლის ჟამს მონასტრის წინამძღვარი, აბბა გიორგი, „მესამე მამაჲ იყო ოპიზისაჲ, რაჲთგან სამოელ და ანდრია გარდაცვალებულ იყვნეს.“[45] ასე რომ, ოპიზა მიახლოებით VIII საუკუნის შუა წლებში უნდა იყოს დაფუძნებული წინამძღვარ სამოელის მიერ. სხვა წყაროდან ვგებულობთ, რომ ოპიზა აუშენებიათ ქვითხუროთ ამონას, ანდრიას, პეტრეს და მაკარის.[46] ასე რომ, უფრო დასაჯერებელი თარიღი V საუკუნის მეორე ნახევარი კი არა, VIII საუკუნის შუახანები უნდა იყოს. ამ თარიღს ემხრობა მონასტრის შემორჩენილი კედლის სამშენებლო ტექნიკაც.

სხვა ადგილას ქართველი მემატიანე შემდეგს ამბობს: „და მოკუდა გუარამ ძე აშოტისი, და დამარხეს ოპიზას, მისგან მეორედ აღშენებულსა.“[47] თუკი ეს „გუარამ“ გუარამ მამფალია (†882), როგორც ფიქრობს სწავლულთა უმრავლესობა, მაშინ ოპიზა გადაკეთებულ, აღდგენილ თუ გაფართოებულ იქნა ახალი ნაგებობების დამატებით მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე. და მაინც, ყველაზე მრავლისმომცველი განახლება-აღმშენებლობა აქ X საუკუნის შუახანებში უნდა განხორციელებულიყო. ამ დროს არსებითად გადაკეთდა წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია და აშენდა სამნავიანი სატრაპეზო, რასაც თავად მონასტერში შემორჩენილი სამი წარწერა გვიმოწმებს.

---

[39] ნ. შოშიაშვილი, *კორპუსი*, გვ. 285-287.
[40] *ქართლის ცხოვრება*, I, გვ. $178_{3-5}$.
[41] პირველ ყოვლისა, პ. ინგოროყვა (*მერჩულე*, გვ. 323-339, 340-344, 364), რომლის აზრს უპირისპირდება ლ. მენაბდე (*კერები*, I, გვ. 385 და შემდ.).
[42] *ცხორება*, თავი 34, გვ. 282.
[43] იქვე, თავი 7, გვ. 257.
[44] იქვე, თავი 5, გვ. 252 და შემდ.
[45] იქვე, გვ. 253.
[46] „ცხორება სერაპიონ ზარზმელისა“, I. ი. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1963, თავი 3, გვ. 233. მე არ მჯერა, რომ ოპიზა V საუკუნის მეორე ნახევარში იყოს აშენებული, როგორც ამას გვამცნობს ჯუანშერი (*ქართლის ცხოვრება* I, გვ. 178), რადგან ამის ნივთიერი დამადასტურებელი ვერაფერი ვიპოვე.
[47] *ქართლის ცხოვრება*, I, გვ. $260_{24-25}$; ე. თაყაიშვილი, *ქრონიკა*, გვ. 79.

1. წარწერა ეკლესიის სამხრეთ მკლავში ხელისუფლის გამოსახულების ქვეშ: „აშოტ კურაპალატი მეორედ მაშენებელი ოპიზისა და წმიდისა ამის საყდრისაი“.[48]

2. სატრაპეზოს სამხრეთი ნავის მეორე თაღის (აღმოსავლეთიდან დასავლეთით) თავზე მოთავსებული ჩაკვეთილი, სინგურით დაფერილი წარწერა, ოთხ ხაზად დატანილი მრგვლოვანი ასოებით: „ესე მე აშოტმან დ წელსა გავასრულე“.[49]

3. საქტიტორო რელიეფის „აშოტის“ და „დავითის“ ვინაობას გვამცნობს თანმხლები წარწერა.[50]

ბევრი რამ დაწერილა ამ წარწერებში ნახსენები აშოტის ვინაობაზე. აშოტი უამრავ ხელმწიფეს ერქვა, მაგრამ მხოლოდ ორს ებოძა კურაპალატის ბიზანტიური ტიტული, სახელდობრ აშოტ I-ს, დიდად წოდებულს (†826), და აშოტ IV-ს (†954), ადარნასე II-ის, ქართველთა მეფის, ძეს. ქართველ მეცნიერთა უმრავლესობა ფიქრობს[51], რომ ზემოთმოყვანილ წარწერებში აშოტ I დიდი იხსენიება. მე კი უფრო იმისკენ ვიხრები, რომ ეს მოგვიანო, აშოტ IV (†954) უნდა იყოს, რადგან, როგორც ვნახეთ, ყველაზე ვრცელი გადაკეთება და მშენებლობა ოპიზაში X საუკუნის მეორე მეოთხედში გაიშალა და საუკუნის შუახანებში გაიფურჩქნა. ეს აზრი, როგორც ვნახეთ, ნაწილობრივ შემტკიცებულია საქტიტორო რელიეფითაც, სადაც აშოტი აღსაყდრებულ მაცხოვარს ბაზილიკურ კი არა, გუმბათიან, ცენტრულ ეკლესიას აწვდის. ე. თაყაიშვილი მართალი იყო, როდესაც ფიქრობდა, აშოტმა მონასტრის აღშენებისას თავდაპირველი ბაზილიკა[52] ჯვარგუმბათიან ეკლესიად აქცია. მაგრამ იგი ცდებოდა, როდესაც ამას აშოტ I დიდს მიაწერდა, რელიეფის მეორე ფიგურას კი დავით წინასწარმეტყველად თვლიდა და არა აშოტ IV-ის ძმად, დავით ქართველთა მეფედ (928-937), რომელიც იქნებ ოპიზაში დიდი აღმშენებლობის წამომწყები ყოფილიყო. ამას გარდა, ოპიზის დიდი და ცნობილი მონასტერი, სახელგანთქმული თავისი ლიტერატურული სკოლითა და განძეულობითა თუ რელიკვიებით, მრავალ კეთილგანწყობილ ხელისუფალს იზიდავდა, რომელთაგან ზოგიერთი აქ ბერად აღიკვეცებოდა, ზოგიც – იმარხებოდა. ბუნებრივია, ვფიქრობთ, რომ მათგან ზოგიერთი, აშოტ I დიდის ჩათვლით, შეეწეოდა მუდამ მზარდ მანდრას შენობათა განახლება-შენებით; „მეორედ მაშენებელი“ ვერც ვინმე ერთი იქნებოდა და ვერც ორი,[53] ხოლო მათი სახელები ან არ აღინუსხა ანდა დაიკარგა ტაო-კლარჯეთის შფოთიანი ისტორიის გამოისობით. სადღეისოდ, წინამორბედ მეცნიერთა დაკვირვებებისა, ჩემი საკუთარი კვლევისა და მოყვანილი წერილობითი წყაროების საფუძველზე ზემორე მსჯელობა შეიძლება ასე დავაჯამოთ:

1. ოპიზის მონასტერი დაარსებულია VIII საუკუნის შუახანებში.
2. იგი გაურკვეველ ხანაზე აღადგინა გუარამ მამფალმა (†882).
3. იგი კვლავ აღადგინეს დავით ქართველთა მეფემ (923-937), პირველ ყოვლისა კი აშოტ IV კურაპალატმა (†954), რომელმაც გარდაქმნა არსებული ბაზილიკა ჯვარგუმბათოვან ეკლესიად, ააშენა სატრაპეზო და, შესაძლოა, დაამატა ზოგი სხვა სამონასტრო ნაგებობაც.[54]

48 Н. Марр, *Дневник*, გვ. 160; ნ. შოშიაშვილი, *კორპუსი*, გვ. 285.

49 Н. Марр, *Дневник*, გვ. 162, 163; ნ. შოშიაშვილი, *კორპუსი*, გვ. 287. ორივე წარწერა დაკარგულია, მათი არც ფოტოსურათი არსებობს და არც პალეოგრაფიული ანალიზი ყოფილა ჩატარებული.

50 ნ. შოშიაშვილი, *კორპუსი*, გვ. 285-287. წარწერა 159.

51 პირველ ყოვლისა, პ. ინგოროყვა, *მერჩულე*, გვ. 57, 342, 343.

52 ეს გადაკეთება თავს იჩენს მეტად დაგრძელებული დასავლეთი მკლავისა და ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილის რამდენადმე უხერხულ შეფარდებაში.

53 ხშირად ხმარებული გამოთქმები – „მეორედ აღშენება“ და „მეორედ აღმშენებელი“ რიგითობას არ მიუთითებს.

54 არ უნდა იყოს საჭირო დასაბუთება, რომ ნ. მარი აშკარად ცდებოდა (*Дневник*, გვ. 146, 147), როდესაც ოპიზის ეკლესიას XII-XIII საუკუნეებში აშენებულად თვლიდა.

## 3. სატრაპეზო

სამონასტრო კომპლექსის მეორე დიდი ნაგებობა (20.80 × 15.00 მ) ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთითაა განლაგებული. ესაა სამნავიანი დარბაზი, რომელიც სატრაპეზოდ არის მიჩნეული (ტაბ. 16). კრონშტაინებზე დამყარებულ თაღებზე გადაყვანილი კამარებით დახურული დარბაზი ბურჯების სამი წყვილითაა დანაწევრებული (0.54 მ). აღმოსავლეთი გვერდითი ნავის სამხრეთ კედელზე ამოკვეთილი წარწერის თანახმად, იგი ააგო აშოტმა,[55] რომელიც, როგორც ვაჩვენე, შეიძლება იყოს მხოლოდ აშოტ IV კურაპალატი, ძე ადარნასე მეფისა (†954) და არა აშოტ I დიდი (†826).

შიდა სივრცის ორგანიზებისა თუ ზომების თვალსაზრისით ეს სატრაპეზო გამონაკლისს არ წარმოადგენს და ბევრი რამით უახლოვდება ოთხთა ეკლესიის, ოშკისა და ხანცთის სატრაპეზოებს. მისი ზომები მიგვანიშნებს, რომ ოპიზა არათუ ტაო-კლარჯეთის ერთი უსახელგანთქმულესი მონასტერი ყოფილა, არამედ უდიდესთაგანიც, მრავალრიცხოვანი ბერების დამტევი. ამას გვავარაუდებინებს მანდრას ზღუდის შიგნით მიმობნეული უამრავი გაურკვეველი ნაგებობის ნანგრევებიცა და ახალი დროის პირველი დამთვალიერებლის, გ. ყაზბეგის განცვიფრებაც, რომელმაც, ცოტა გაზვიადებულად, იგი პატარა ქალაქსაც შეადარა.[56]

## 4. მონასტრის კულტურული და ისტორიული მნიშვნელობა

მთელი რიგი მიზეზებით, მონასტერი დიდად იყო პატივდებული. იგი მოქმედთაგან უძველესი იყო; იყო კულტურული ცენტრი, საიდანაც გრიგოლ ხანცთელი შეუდგა სამონასტრო აღორძინების გაბედული გეგმის განხორციელებას; მორწმუნეთა გადმოცემით, აქ ინახებოდა დიდად სახელმოხვეჭილი რელიკვია – წმ. იოანე ნათლისმცემლის სასწაულმოქმედი ძალით დაჯილდოებული ხორხი.

ოპიზის მონასტერი გამორჩეულად სახელოვანი რომ იყო, უწყოდნენ ძველი მწერლები, რომელნიც ხოტბას ასხამდნენ მას, ვითარცა „წმიდა და დიდებულ ლავრას“ და „კლარჯეთის დიდებულ ლავრას.“[57] ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757) წერს, რომ ოპიზა „იყო დიდ-ჴელოვნებით ქმნული და შენებული ... და იყო ფრიად შემკული და მდიდარი ყოვლითა საეკლესიოს წესითა და მამულითა შეწირულობითა.“[58] 951 წელს შეთხზული „გრიგოლ ხანცთელის ცხორება“ გვაუწყებს, რომ „მას ჟამსა სხუაჲ მონასტერი არა შენ იყო მათ ქუეყანათა თჳნიერ ოპიზისა.“[59] XIII საუკუნეში იგი სავსე იყო დიდი მწიგნობრებითა და წმიდა მამებით.[60]

ოპიზა იზიდავდა მრავალ სახელოვან მწიგნობარსა და ღმრთისმეტყველს, მათ შორის ზემოხსენებულ გრიგოლ ხანცთელსა და მიქელ პარეხელს, სერაპიონ ზარზმელს, გიორგი მაწყვერელს, ათანასე ოპიზელს, ანტონ ოპიზელს, სტეფანე ოპიზელს.

აქაურ სკრიპტორიუმში ურიცხვი ხელნაწერია გადანუსხული, მათ შორის ზოგიერთი დღემდეა შემონახული. ამათთაგანია 913 წელს გრიგოლ ოპიზელის გადაწერილი ოთხთავი, ახლა ათონზე დაცული,[61] და ხსენებული „პარაკლიტონი“, ათანასე ოპიზელის გადაწერილი 1093 წელს (ტაბ. 9), რომელიც ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტშია.[62]

---

55 ეს წარწერა რამდენჯერმე გამოცემული და განსხვავებულად განმარტებული. უახლესი წაკითხვა და ბიბლიოგრაფია მოცემულია: ნ. შოშიაშვილი, *კორპუსი*, გვ. 287, წარწერა 159.

56 Г. Казбек. *Три месяца*, გვ. 76.

57 ასე იხსენიება იგი ოპიზას 913 წელს გადაწერილი ოთხთავის ანდერძებში (A-93, fol. 206r-206v), რომელიც ახლა ათონზე, ივირონში ინახება; იხ. Blake. "Catalogue Athos". *ROC* 9 (1934), გვ. 266.

58 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება* IV, თბილისი, 1973, გვ. 678; შეადარე: *ქართლის ცხოვრება* II, გვ. $259_{21}$.

59 *ცხორება*, თავი 7, გვ. 257. *ქართლის ცხოვრება* II, გვ. $259_{15}$.

60 *ქართლის ცხოვრება* II, $259_{25}$.

61 Blake, "Catalogue Athos", *ROC* 9, 1934, გვ. 266, № 83.

62 *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A-კოლექცია*, გამოც. ე. მეტრეველის მიერ, 1, 1973, გვ. 346-347.

გადამწერთა და მომხატველთა გარდა, ტაო-კლარჯეთის მონასტრებში საქმიანობდნენ ოქრომჭედლებიც, რომელნიც ამზადებდნენ ნაირგვარ სამღვდელთმსახურო საგნებს, მაგალითად, თასებს, ბარძიმებს, ფეშხუმებს, საწერობლებს, გულსაკიდსა თუ საწინამძღვრო ჯვრებს, მოოქრულ ხატებსა და იმ წიგნების ყდებს, რომლებიც განსაკუთრებით ძვირფას სამკაულს იმსახურებდა. ამ ძვირფას ნაკეთობათაგან მრავალი ჟამთა სიავემ შეიწირა, მაგრამ გარკვეულწილად ჩვენ შეგვიძლია ისინი წარმოვიდგინოთ წერილობითი წყაროებითა და გადარჩენილი ნიმუშებით, რომელთა გრძელი წარწერები დამკვეთთაც იხსენიებენ და ოქრომჭედლებსაც. საქართველოს მუზეუმებსა და სხვა დაწესებულებებში დაცულ ნივთთა შორის არის X საუკუნის ბოლო მეოთხედში დავით კურაპალატის დაკვეთით და ოქრომჭედელ ასათის მიერ შესრულებული საწინამძღვრო ჯვარი[63] და იშხნის საწინამძღვრო ჯვარი, რომელიც, წარწერის თანახმად, ილარიონ იშხნელმა ეპისკოპოსმა 973 წელს შეაქმნევინა[64]. სამწუხაროდ, ძნელია მათი წარმომავლობის დადგენა, არც ის ვიცით, ნამდვილად მონასტრებშია ისინი დამზადებული – რაც ყველაზე სარწმუნოა – თუ ადგილობრივ ხელისუფალთა სახელოსნოებში. პირველ შესაძლებლობას ნაწილობრივ მხარს უმაგრებს ორი გამოჩენილი ოქრომჭედლის – ბეშქენ და ბექა ოპიზარების ნამუშევრები, რომელნიც თანადროულად იღვწოდნენ ოპიზაში XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე. ბეშქენს მიეკუთვნება XII საუკუნის მეორე ნახევრის ბერთას ოთხთავის მოჭედილობა (ტაბ. 10, 11). შედარებით უფრო მეტი ვიცით უმცროსზე, ბექაზე, რომელმაც შეასრულა იოანე მტბევარის დაკვეთილი და იოანე ფუკარალისძის და გიორგი სუთარისძის მიერ 1195 წელს გადაწერილი წყაროსთავის ოთხთავის მოჭედილობა. თანადროული ხელნაწერის შემცველი ეს ყდა ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (Q-970) და ბერთას ოთხთავისებრ წინა პირზე „ჯვარცმით", ზურგზე კი „ვედრებით" არის შემკული. ხელნაწერის მინაწერში ნათქვამია, რომ „ამას ოთხთავსა ზედა არს ორასი დრამისა ვერცხლი და ოცისა დრამისა ოქრო, თვლები და მარგალიტი და ოქრომჭედლისა ჭელთფასი კგ [=23]."[65] ამდენად, წყაროსთავის ოთხთავის ყდა მთლიანობაში 243 დრამა ღირებულა. ბექას ნახელავია ასევე მაცხოვრის ხატის მოოქრული მოჭარჭოებაც, რომელიც ანისის ეპისკოპოსმა – იოანე რკინაელმა თამარ მეფის საფასურით გააკეთებინა. ჩვენ არ ვიცით ხატის ჭარჭოს და ყდის შექმნის ზუსტი თარიღი, მაგრამ ჭედურ წარწერებში ნახსენები ისტორიული პიროვნებები გვაძლევს საშუალებას, ისინი 1193-1206 წლებს შორის მოვაქციოთ. სხვა წერილობითი წყაროებით ვიცით, რომ ბექას მოოქრული ყდა შეუქმნია ამჟამად უკვალოდ გამქრალი ანისის ოთხთავისთვისაც.

ბექას და ბეშქენის ლითონმქანდაკებლობა დიდად სჯობნის მათი სხვა თანამედროვეებისას. იგი უკიდურესად დახვეწილია, ტექნიკურად ნატიფი, ერთდროულად ამ მხარის მონასტერთა მაღალი კულტურული დონის მაჩვენებელიცა და ბიზანტიური ნიმუშების თვალსაჩინო ზეგავლენისაც.

---

[63] Г. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство* I, Тбилиси, 1959, გვ. 161-169, სურ. 85; მისივე, "Золотых дел мастера Асата работа для Таоиского владетеля царя царей Давида Куропалата", *საქართველოს მუზეუმის მოამბე*, 15 B (1948), გვ. 115-134, ტაბ. 1, 2.

[64] მისივე, *Грузинское чеканное искусство*, გვ. 54-60, 542, სურ. 56-61.

[65] Ш.Амиранашвили, *Бека Опизари*, Тбилиси, 1956, გვ. 7.

## B. ეკლესია არტანუჯის აკროპოლისზე

არტანუჯი საქართველოს ადრეულ ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქია. მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ V საუკუნეში დაარსებული, ის ტაო-კლარჯეთის პოლიტიკურ ცენტრად რჩებოდა XVI საუკუნემდე. არაბთა მიერ ქართლის ოკუპაციის დროს, IX საუკუნის დასაწყისში, იბერიის დედაქალაქმა გადაინაცვლა მცხეთიდან არტანუჯში, რომელიც ბაგრატიონების – საქართველოს ახლად დაწინაურებული მმართველი გვარის – სატახტო ქალაქი გახდა. კურაპალატმა აშოტ ბაგრატიონმა (813-826) აღადგინა ციხე და საცხოვრებელი უბანი აკროპოლისზე (ტაბ. 16). ამის თაობაზე ქართველი მემატიანე სუმბატ დავითის ძე ამბობს:

„და მისცა [აშოტს] ღმერთმან გამარჯუებაი და აჴელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა... და ამან აშოტ კურაპალატმან პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი; და აოჴრებულ იყო ბაღდადელისა მის ყრუობითგან. იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ. და წინა კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი. და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა მას შინა საფლავი თჳსი, და დაემკჳდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად“.[66]

სტრატეგიულად ხელსაყრელი მდებარეობის მქონე ქალაქი აშოტისა და მის მემკვიდრეთა სამეფო მფარველობაში გადაიქცა მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად, რომელიც ცნობილი იყო თავისი დუქნებითა და სახელოსნოებით. ის გახდა ერთ-ერთი უმთავრესი მაკავშირებელი რგოლი ტრაპეზუნტის გავლით კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალ აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო გზაზე.[67] ამიტომ ბიზანტიელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ არტანუჯს, რაც აისახა იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტის სიტყვებში:

„ადრანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი რაბატიცა და დაბა-ქალაქიც. და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნისა, იბერიისა, აფხაზეთისა, და არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან; და ამ საქონლებიდან მას უამრავი ბაჟი შემოსდის“.[68]

ციხის ნანგრევები და უამრავი სხვა ნაგებობის მწირი ნაშთები განლაგებულია მთის ზედა ნაწილში, გაშიშვლებული უზარმაზარი კლდის მოსწორებულ წვერზე და ქმნის მიუდგომელ ციტადელს, რომელიც ბატონობს გარემომცველ მიდამოზე.[69] ნანგრევებს შორის არის შენობათა კომპლექსის (10.40 × 11.40 მ.) ნაშთები. ის მოიცავს მცირე ეკლესიას,

---

[66] ე. თაყაიშვილი, *ქრონიკა* გვ. 62, §31; ამავე ამბავს მოგვითხრობს გიორგი მერჩულე (*ცხოვრება*, გვ. 266). იხ. აგრეთვე *ქართლის ცხოვრება* I, გვ. 377.

[67] И. Манандян, *О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен*, Ереван, 1954, გვ. 215 და შემდგომ.

[68] *Adm. Imp.*, თავი $46_{46-48}$ (ქართული თარგმანი: *გეორგიკა*, ტ. IV, ნაკვ. II, გამოცემა და თარგმანი ს. ყაუხჩიშვილისა, თბილისი, 1925, გვ. 278-79).

[69] გამოკვლევა არტანუჯის აკროპოლისის შესახებ გეგმითა და მრავალრიცხოვანი ფოტოსურათებით გამოაქვეყნა რ. ედვარდსმა ("Fortifications", *DOP* 40, 1986; გვ. 171-74, ტაბ. 20-30). საგულისხმო ცნობებს არტანუჯის თაობაზე გვაწვდის გერმანელი ბოტანიკოსი კ. კოხი (*Reise* II, 1846, გვ. 189-195). არტანუჯთან დაკავშირებული ქართული წყაროებისათვის იხ.: ლ. ჭილაშვილი, *ქალაქები ფეოდალურ საქართველოში* II, თბილისი, 1970, გვ. 104-111.

ეროვნული ბიბლიოთეკა



2. ეკლესია, გეგმა

მასზე ჩრდილოეთიდან მიდგმულ წაგრძელებულ უსარკმლო სათავსს, დასავლეთ პორტიკსა და პორტიკის ჩრდილო-დასავლეთი კუთხის ქვეშ მოთავსებულ ცისტერნას (ნახ. 2). ეკლესიის დასავლეთი მხარე მთლიანად დანგრეულია, მაგრამ აღმოსავლეთ მხარეს კედლები აფსიდითურთ გადარჩენილია სამიოდე მეტრის სიმაღლემდე. ეკლესიის შიდა სიგრძე 5.70 მ-ია, 1.65 მ სიღრმისა და 2.75 მ სიგანის აფსიდის ჩათვლით. ინტერიერის საერთო სიგანე 3.40 მ-ია. აფსიდის ქვედა ნაწილში და მის ჩრდილოეთ კედელზე შეიმჩნევა წითელი და ლურჯი პიგმენტის კვალი, რაც მოწმობს, რომ ეკლესიის ინტერიერი მთლიანად შელესილი და მოხატული იყო. 1.90 მ სიგანის წაგრძელებული მინაშენი ეკლესიის ჩრდილოეთ მხარეს არაფრით გამოირჩევა, გარდა 0.60 მ სიგანის ნიშისა მის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. ეს მინაშენი ეკლესიის თანადროული და მისი ორგანული ნაწილია.

შენობის ასაგებად გამოყენებული ქვიშაქვის ბლოკები ადგილობრივ არის მოპოვებული. მათი ზომები ძალიან დიდია, ზოგიერთისა 2.00 × 1.08 მ-ს აღწევს.[70] გამორჩეულად დიდი ბლოკების ხმარება სამშენებლო მასალად ამ რეგიონის ადრეული ეკლესიებისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი.[71] ქვის წყობა საკმაოდ ღარიბულია; კედლების შიდა და გარე პერანგი შედგება უხეშად გათლილი ბლოკებისაგან, რომლებიც ირეგულარულ რიგებს ქმნიან, შემავსებელი ხსნარის ხშირი გამოყენებით.

მე ვერ ვნახე ეკლესიის აგების თარიღის მაჩვენებელი რაიმე პირდაპირი საბუთი, მაგრამ სამშენებლო ტექნიკა, კამარის საბჯენი თაღების დასაყრდნობი პილასტრების უქონლობა და არქიტექტურული შემკულობისადმი სრული გულგრილობა IX საუკუნეზე მიგვანიშნებს. ამგვარ დათარიღებას დამატებით მხარს უჭერს ეკლესიის ჩრდილოეთი მინაშენი – სტანდარტული შემადგენელი ნაწილი IX საუკუნის პატარა ცალნავიანი ეკლესიებისა, როგორებიცაა პარეხთას მეორე ეკლესია, სიჩხეკი, უკიამი და ტახტაკრანი. შეიძლება ეს ეკლესია გაიგივდეს აშოტ I კურაპალატის პირად სამლოცველოსთან – მან, როგორც

[70] ასეთები შეიძლება ინახოს, კერძოდ, ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე (Edwards, "Fortifications", *DOP*, ტაბ. 27).

[71] ეს განსაკუთრებით ეხება ქალაქ არტანუჯის ეკლესიას, რომელიც ამჟამად მთლიანად განადგურებულია ახალი გზის გაყვანის გამო. 1904 წლის 2 აგვისტოს ის კარგ მდგომარეობაში ინახულა ნ. მარმა (*Дневник*, გვ. 95-97, ტაბ. 30-31). კ. კოხი (*Reise*, გვ. 190) ლაპარაკობს ნაწილობრივ შემონახულ „ძველ ეკლესიაზე" აკროპოლისის ჩრდილოეთ მონაკვეთზე და გაოცებით აღნიშნავს, რომ მისი ზოგიერთი ბლოკი (10.6 × 6.4 ფუტი) ბაალბეკში აღმოჩენილ ბლოკებზე უფრო დიდია.

სუმბატ დავითის ძისაგან ვიცით, არა მხოლოდ განაახლა ციხე, არამედ მასში წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიაც ააგო თავისი საკუთარი სამარხით. 826 წლის 29 იანვარს ვერაგულად მოკლული აშოტი, შესაძლოა, მართლაც სწორედ ამ ეკლესიის კრიპტაში დაიკრძალა.[72] ამ ჰიპოთეზას განამტკიცებს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების" მონაცემები, ადგილობრივ მმართველთა გამუდმებული მცდელობის შესახებ, დაკრძალულიყვნენ ტაოკლარჯეთის ეკლესია-მონასტრებში.[73] მაგალითად, „მატიანე ქართლისა"-ს მიხედვით, აშოტის შვილი გუარამი (†882) დაიმარხა ოპიზის მონასტრის ეკლესიაში.[74] X საუკუნის II ნახევარში ტაოს ზოგიერთი ადგილობრივი დიდებული დაიკრძალა კრიპტაში, ოშკის ტაძრის დასავლეთი მკლავის ქვეშ. ეს ჩვეულება დიდხანს რჩება და მას ადასტურებს მეფე ვახტანგისა (1443-1446) და მისი მეუღლის – სითი-ხათუნის დასაფლავება ბანას კათედრალში.[75] ამასთან, არ აღინიშნება, რომ ეს მაგალითები სამონასტრო ეკლესიებია და არა პირადი კაპელები, მსგავსად არტანუჯის სამლოცველოისა.

მართკუთხა უსარკმლო სათავსი ეკლესიის ჩრდილოეთით, რომელმაც დღემდე შემოინახა თავისი ცილინდრული კამარის აღმოსავლეთი ნაწილი, არ ებმის დასავლეთ მინაშენს და შეიძლება დამატებული იყოს X საუკუნის შუახანებზე ცოტა ადრე. მისი ჩრდილოეთი კედელი უჩვეულოდ სქელია (1.24 მ), ხოლო იატაკი დაახლოებით 2.5-3.0 მ-ით დაბლაა ეკლესიის იატაკის დონესთან შედარებით. ამ სადგომის ფუნქცია ვერ დგინდება, მაგრამ სარკმლების უქონლობა და წყალგაუმტარი შელესილობის რამდენიმე ფრაგმენტი, რომლებიც ვიპოვე მის ჩრდილოეთ კედელზე, ისევე, როგორც ცილინდრული ცისტერნა დასავლეთი მინაშენის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, გვაფიქრებინებს, რომ, შესაძლოა, ესეც ცისტერნა იყოს. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ აკროპოლისზე წყარო არ არის და მისი მცხოვრებნი ძირითადად წვიმის წყალზე იქნებოდნენ დამოკიდებულნი.

დასასრულ, შეიძლება დავძინოთ, რომ კ. კოხმა აკროპოლისის მონახულებისას მის ნანგრევებს შორის ამოიცნო „მხოლოდ ეკლესია, დაყოფილი ოთხ კაპელად".[76] აკროპოლისის საერთო სურათი კოხის ვიზიტის შემდეგ გასული საუკუნენახევრის განმავლობაში მაინცდამაინც არ შეცვლილა, დღესაც ერთადერთი ამოცნობადი შენობა ეკლესიაა, რომელიც, მართალია, „ოთხ კაპელად დაყოფილი" კი არ არის, არამედ ოთხი განსხვავებული დანიშნულების სათავსისაგან შედგება. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, კ. კოხი გულისხმობდა სწორედ ჩვენს ეკლესიას, თუმცა, სამწუხაროდ, ის დეტალურად არ აღწერა.

---

[72] ე. თაყაიშვილი, *ქრონიკა*, გვ. 63.
[73] Djobadze, *Materials*, გვ. 133.
[74] *ქართლის ცხოვრება* I, გვ. $260_{24}$.
[75] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება* IV, თბილისი, 1973, გვ. $283_{5-7}$.
[76] Koch, *Reise*, გვ. 193.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## C. მონასტერი და საეპისკოპოსო კათედრა ახიზაში

ტაო-კლარჯეთის რეგიონის თორმეტ ლავრათაგან ერთ-ერთი, საეპისკოპოსო კათედრა ახიზა მდებარეობს ზეგანზე, მაღალი, ციცაბო კლდოვანი კონცხის დასავლეთით, მდინარე არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე, იმერხევთან (ჭოროხის ერთ-ერთ უმთავრეს შენაკადთან), მის შესართავზე დაახლოებით 5 კმ-ით ზემოთ. ახიზის მონასტრის მწირი ნაშთები განლაგებულია მსუბუქად დაფერდებულ ზედა და ქვედა ბაქნებზე. უკანა პლანზე დომინირებს სტრატეგიულად გაბატონებული ციხესიმაგრე (ტაბ. 19), რომელიც ადგილობრივ მმართველთა რეზიდენციაც იყო.[77]

ქვედა ბაქანზე არის საძირკვლამდე დანგრეული სამი სამლოცველოს ნაშთები და ორი პატარა ეკლესია. ერთი მათგანი ახლა ნასგრევების გროვადაა ქცეული; მეორისგან, რომელიც ციხიდან 150 კმ-ით სამხრეთით დგას, მხოლოდ აღმოსავლეთი კედლის ნაწილი შემორჩა (ტაბ. 20-21). კედელს აქვს დუღაბის სქელი გული, მოპირკეთებული ქვიშაქვის უხეშად გათლილი მოყარდისფრო და მოყვითალო ბლოკებით. რიგები თანაბრადაა გამოყვანილი, ქვების ზომა არც თუ ისე დიდია.

ზედა ბაქანზე რამდენიმე ნაგებობაა, როგორც ჩანს, სამონასტრო. ისინი ისეა დაზიანებული, რომ აღწერა თითქმის შეუძლებელია. ზემო ახიზის ორ ეკლესიათაგან ერთი (ტაბ. 22,




3. სამლოცველო სამხრეთით, გეგმა

---

[77] *ქართლის ცხოვრება* I, გვ. $178_{45}$. ახიზის ციხე მიმოხილული აქვს რ. ედვარდსს, “Fortifications”, 70f., ტაბ. 11-19.

სურ. 3), უფრო მცირე (გარე ზომებია 10,40 × 6,60მ) ისევე ჩანს აგებული, როგორც ქვემო ახიზის ნახსენები ეკლესია, ოღონდ მისი კედლებისაგან მხოლოდ დუღაბის გული გადარჩა, რომელიც რამდენიმეგან კამარის დასაწყისამდე აღწევს. სამხრეთი კედლის შუაში სასწაულებრივად შემოინახა ერთი კრონშტაინი cyma recta–ს პროფილით. ის ფაქტიც მოწმობს, რომ კამარას საბჯენი თაღი ჰქონდა. გაურკვეველია, იყო თუ არა ეკლესიაში არქიტექტურული პლასტიკა ან ორნამენტი. აღმოსავლეთი სარკმლის თავზე თავისუფლად ჩამოკიდებული ორი გატეხილი ბლოკი გვაფიქრებინებს, რომ მას ჰქონდა სადა, შეუმკობელი თავსართი, დოლისყანის ან ხახულის აღმოსავლეთი სარკმლების თავსართების მსგავსი. ამ ნიშნებს – ზემოაღნიშნული სამშენებლო ტექნიკის ჩათვლით – მივყავართ დასკვნამდე, რომ ზემო ახიზის ორივე ეკლესია აგებული უნდა იყოს მიახლოებით IX საუკუნის ბოლოს ან X საუკუნის I ნახევარში.[78]

კათედრალი, რომელიც ზემო ახიზის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე მდებარეობს, მთლიანად დანგრეულია განძის მაძიებელთა მიერ[79] არაერთი გაძარცვის შედეგად. მე ვერ შევძელი მომეძებნა თუნდაც ფრაგმენტი წარწერის ან არქიტექტურული დეკორისა, რომელიც ამ ეკლესიას, როგორც ყოფილ კათედრალს, უთუოდ ექნებოდა. თუმცა, ადგილობრივმა მოსახლეებმა მაცნობეს, რომ დანგრევამდე ეკლესიის კარ-სარკმლები მცენარეული ჩუქურთმით იყო შემკული. ისინი აქედან წამოიღეს მას შემდეგ, რაც შენობა მიწასთან იქნა გასწორებული. ახიზის ტაძრის დანგრევა განსაკუთრებით სამწუხაროა, ვინაიდან ის არც ფოტოგრაფირებული ყოფილა არასოდეს და არც სიტყვიერად აღწერილი. არის მხოლოდ შ. ამირანაშვილის მოკლე შენიშვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ ტაძრის აფსიდში ა. ფლორენსკიმ ნახა ღმრთისმშობლის მოზაიკური გამოსახულება და რომ მან ამ მოზაიკის რამდენიმე ფრაგმენტი თბილისის მუზეუმში ჩამოიტანა.[80]

თავისი მაცოცხლებელი ჰავით, მშვენიერი პეიზაჟებით, წარმტაცი ტყეებით, გარემომცველი ნაყოფიერი მინდვრებითა და ხეხილის ბაღებით ახიზა შეიძლება შევადაროთ ანჩასა და ტბეთს, რომლებიც ასევე საეპისკოპოსო კათედრებს წარმოადგენდნენ. ისინი უხვად იყო უზრუნველყოფილი სახელმოხვეჭილი ლავრის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყოველგვარი პირობით.

1983 წელს არტანუჯის წყალზე გაიდო ხიდი და გაკეთდა გზა ახიზისაკენ, რამაც ნამონასტრალი ადგილობრივ მცხოვრებთათვის უფრო მისაწვდომი გახადა. ამდენად, გაიზარდა მათი დამანგრეველი საქმიანობის საფრთხეც. იგივე ბედი ეწია მრავალ სხვა სამონასტრო ცენტრსაც. ასწლეულების წინ აქ ჩქეფდა ინტელექტუალური და მხატვრული ცხოვრება, ყვაოდა საეკლესიო ხუროთმოძღვრება, იქმნებოდა ორიგინალური ხელნაწერები და თარგმანები. ახლა კი ყოველივე ამისგან ნანგრევებიღა დარჩა.

---

78 ქართული მატიანეებიდან ვიგებთ, რომ მეფე ვახტანგ გორგასალმა (446-522) დააარსა საეპისკოპოსო კათედრა ახიზაში და აღადგინა ციხე, რომელიც შემდგომ ადგილობრივ ერისთავთა რეზიდენციად იქცა; C. Toumanoff, *Studies*, გვ. 462-463; *ქართლის ცხოვრება* I, გვ. 198ც.

79 როცა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გაიგეს, რომ ახლომახლო ვიღაც ამერიკელი მუშაობდა, ნიჩბებითა და წერაქვებით შეიარაღებულები მოცვივდნენ, რათა დამხმარებოდნენ განძის ამოთხრაში. მე ავუხსენი მათ, რომ იქ განძი არ იყო და რომ მის საძებრად არ ვიყავი მისული. ისინი ეჭვიანი ბურტყუნითა და თავის ქნევით გამშორდნენ.

80 Ш. Амиранашвили, *История грузинского искусства*, Москва, 1963, შენ. 1. ოღონდ მე ვერ შევძელი ამირანაშვილის ცნობის შემოწმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# D. ხანცთის მონასტერი

ხანცთას, ერთ-ერთ უძველეს, უდიდეს და უმნიშვნელოვანეს მონასტერს, ისტორიამ არგუნა ხვედრი არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ სულიერი ძალების შემომკრებისა და ამ გზით ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გამომაცოცხლებლისა. ეს მონასტერი, რომელიც წმ. გიორგის სახელობისაა, VIII საუკუნის ბოლო ათწლეულში დააარსა გრიგოლ ხანცთელმა.

ჩვენ ბევრი რამ ვიცით ამ მონასტრის შესახებ გიორგი მერჩულესაგან, რომელიც არა მხოლოდ აქაური ბერი იყო, არამედ კარგად იცნობდა რეგიონის საეკლესიო და საერო ცხოვრებას. აქაურ სკრიპტორიუმში შექმნა მან მონასტრის დამაარსებლის – გრიგოლ ხანცთელის „ცხორებისა და მოღუაწებისʺ ამსახველი ბიოგრაფიული ნაშრომი. ის შეიცავს მშენებლობის სხვადასხვა ეტაპის ანგარიშს და მასთან დაკავშირებულ ღირსშესანიშნავ ეპიზოდებსა თუ ცალკეულ დეტალებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მერჩულეს ნაშრომი 951 წელს დაიწერა, მისი, როგორც ისტორიული წყაროს ღირებულება დიდად იზრდება, ვინაიდან ავტორი შესაძლოა პირადად ყოფილიყო მოწმე მონასტრის მშენებლობის დასრულებისა კლარჯეთის ერისთავთ-ერისთავ გურგენ IV-ის (918-941) მიერ.

კლარჯეთის სავანეთა უმეტესობის მსგავსად, ხანცთაც მდ. იმერხევის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, მასზე ხუთიოდე კილომეტრით მაღლა, ლამაზი ბუნებით გარემოცულ ციცაბო კლდოვან ფერდზე. ეს ადგილი გიორგი მერჩულეს საოცარი სიზუსტით აქვს აღწერილი:

„რამეთუ ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანაჲ უდაბნოთაჲ მათ და კეთილად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა, რამეთუ არცა ფრიადი სიცხჱ შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურვებს მყოფთა მისთა. არამედ განწესებით დგას თჳსსა საზღვარსა უნოტიოჲ, უხოშაკოჲ, უმიწოჲ, მზუარჱ, რამეთუ კაცთა ნახჳნი ფერჴთანი არა ოდეს თიჴიან ექმნებიან სლვასა მათსა. ხოლო წყალი კეთილი და შუშაჲ ნებისაებრ უნაკლოდ აქუს აღმოცენებული ქუშათა მათ შინა, ურიცხჳ მაღნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთაჲ, ბუნებით მხიარულებაჲ მიცემულ არს ღმრთისაგან. და არს იგი უგზო და მიუალ რაჲთურთით სოფლისა წესითა მცხორებელთაგან, რამეთუ ღადოთა მთათა შინა მაღალთა მიერ, და ჴევნებისა, და წყალთა მათგან საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთაჲსა. და მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქუეყანაჲ, არც ყანაჲ საჴნავი, არამედ დიდითა შრომითა როჭიკისა მისლვაჲ აქუს კარაულისა ზურგითა. და მცირედ ვენაჴნი ჭირით და ურვით დაუნერგავან და ეგრეთვე მტილები, ხოლო მხალთა ველისათაჲ არს სიმრავლე ურიცხჳ. და ამას ყოველსა თანა უშიშ არს გული მათი უქრისტოთა მათ ურწმუნოთაგან შერყევისაგან და ყოვლისა ძჳრისა ჟამსა ჴელმწიფეთა მტერობისასა. და ესრეთ მრავლითა მშჳდობითა მყუდროებით არიან ყოლადვე და ქრისტესა ადიდებენ".[81]

ამავე წყაროდან ვიგებთ, რომ 782 წლის ახლოს კლარჯეთში ახლად ჩასული გრიგოლ ხანცთელი თავდაპირველად ოპიზის მონასტერში დამკვიდრებულა. აქ მან ორიოდე წელი დაჰყო და ამ დროის განმავლობაში მონასტრის ასაგებად შესაფერის ადგილს ეძებდა. სულიწმიდამ იგი ხანცთაში მიიყვანა. აქ დახვდა მარტომყოფი ბერი, სახელად ხუედიოსი, რომელმაც სტუმარს მიდამოები დაათვალიერებინა. გრიგოლს ძალიან მოეწონა ეს ადგილი. თავიდან აიგო ხის ეკლესია, შემდეგ სენაკები ბერების საცხოვრებლად.

[81] *ცხორება*, თავი 21.

მოგვიანებით აშენდა დიდი დარბაზი სატრაპეზოსათვის. მალე, შესაძლოა უკვე IX საუკუნის დასაწყისში, გრიგოლმა ქვის ეკლესიაც ააშენა ადგილობრივი დიდებულის – გაბრიელ დაფანჩულის მატერიალური და მორალური მხარდაჭერით.[82]

IX საუკუნის 10-იან წლებში კლარჯეთში დამკვიდრებულმა ქართლის ერისმთავარმა აშოტ ბაგრატიონმა საფუძველი ჩაუყარა ახალ სახელმწიფოს. მომდევნო ხელისუფალთა უსარიანი მმართველობის წყალობით ტაო-კლარჯეთის უსაფრთხოება და ეკონომიკური მდგომარეობა თანდათან განმტკიცდა, რამაც ხელი შეუწყო მონასტრების სწრაფ ზრდას. ქვის პირველი ეკლესიის აგებიდან ასი წელიც არ იყო გასული, როცა ხანცთის მონასტრის წინამძღვარმა არსენიმ გადაწყვიტა ახალი ეკლესიის აშენება მზარდი ძმობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. „ახლისა მის და შუენიერისა“ ეკლესიის მშენებლობა დაიწყო გურგენ კურაპალატის შვილმა აშოტ კუხმა (896-918), რომელმაც „ურიცხჳ შესაწირავი გარდაჰმატა“ ხანცთას.[83] მოსამზადებელი სამუშაო დაიწყო „ფიცხელსა მას კლდეთა ზედა, რომელიცა ფრიადითა შრომითა და ქვითკირითა მყარითა მრავლითა ჟამსა დააყაკეს და ესრეთ შეპრაცხეს შემზადებაჲ ადგილისაჲ მის, ვითარმცა სრულიად აღეშენა... ხოლო ქვაჲ და კირი ფრიად შორით მოაქუნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა“.[84] სამუშაოს მოცულობა ძალიან დიდი იყო და იგი დაასრულა მხოლოდ აშოტის ძმისწულმა გურგენმა (†941).

ხანცთაში სხვადასხვა დროს აგებულ სამ ეკლესიათაგან პირველი ხისა იყო. ის უთუოდ მალევე გაქრა. მეორე, ე. წ. „ძველი ეკლესია“, გაბრიელ დაფანჩულის ფულადი შემწეობით აგებული,[85] მონასტერსა და მის მიდამოებში არ იძებნება. მისი ადგილსამყოფელი




4. სამლოცველო, მონასტრის სამხრეთით, წყარო თავზე, გეგმა

[82] *ცხოვრება*, თავი 10, გვ. 260. IX-X საუკუნეთა მანძილზე ხშირად ვხვდებით ამ მხარის ადგილობრივ მმართველთა მზადყოფნას, დაეხმარონ ბერმონაზვნობას ეკლესია-მონასტრების აღდგენასა თუ მშენებლობაში. მაგალითად, გიორგი ჩორჩანელმა „მისცნა ყოველნი საჭმარნი, ჯორები და კარაულები, დ რაოდენი რაჲ უჭმდა სიმრავლესა ამათასა“ (*სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება*, ილ. აბულაძის გამოც., 1964, გვ. 335). სხვა შემთხვევაში „სიხარულით უბრძანა ბაგრატ კურაპალატმან შენებაჲ მისი (შატბერდის მონასტრისა) და მისცა ყოველივე საჭმარი საშენებლად (გრიგოლ ხანცთელს)“ (*ცხოვრება*, თავი 25, გვ. 273).

[83] მერჩულე, *ცხოვრება*, თავი 28.

[84] იქვე, თავი 28, გვ. $277_{9-11}$.

[85] იქვე, თავი 28, გვ. $277_{18-20}$.

არც სხვა მკვლევრებს აღუნიშნავთ ოდესმე, გარდა პ. ინგოროყვასი, რომელმაც ის წყაროს თავზე მდგარ სამლოცველოსთან გააიგივა.[86] ეს იდენტიფიკაცია მიუღებელია, ვინაიდან შენობა წყაროს თავზე ეკლესია კი არ არის, როგორც ამას პ. ინგოროყვა ფიქრობს, არამედ მხოლოდ პაწია სამლოცველოა (შიდა ზომები: 3.90 × 2.50 მ) ცილინდრული კამარით. ის შედარებით სწორ ადგილზე დგას და არა მთის ფერდის სპეციალურად დავაკებულ ტერასაზე, როგორც აღწერს გრიგოლის ბიოგრაფი.[87] გარდა ამისა, ამ სამლოცველოს აღმოსავლეთი კედელი პირზე უსწორდება წყაროს თაღოვან ნიშას (სიგანე 2.88, სიმაღლე 1.54 მ). ასეთ თავისებურებას ბიოგრაფი უყურადღებოდ არ დატოვებდა ძველი ეკლესიის მშენებლობის ადგილისა და გარემოებების აღწერისას. მიუხედავად ამისა, ეს პატარა სამლოცველო მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი. ის, როგორც ჩანს, უძველესი ძეგლია ხანცთაში, ჯერ კიდევ მონასტრის მშენებლობის საწყის ეტაპზე აგებული. ამას მოწმობს არარეგულარულ რიგებად დაწყობილი, უხეშად გათლილი მართკუთხა ან ზოგჯერ არასწორი ფორმის დიდი ბლოკები, ღრეჩოების ხსნარით ამოვსება და ასეთი პატარა შენობისათვის უჩვეულოდ სქელი (ერთი მეტრის სისქის) კედლები. თვალში საცემია აგრეთვე დუღაბის მინიმალური ხმარება კედლების შიდა და გარე პერანგს შორის, კამარის საბჯენი თაღისა და პილასტრების არარსებობა და არაჩვეულებრივად ვიწრო სარკმელი. ეს შენობა ასახავს მოახალშენე ბერების ცხოვრების უბრალოებასა და სისადავეს, მათს მატერიალურ სიდუხჭირეს არაბი მოთარეშეების მიერ აკლებულ მხარეში. ამ თავისებურებებით სამლოცველო წყაროს თავზე ახლოს დგას VIII საუკუნისა და IX საუკუნის დასაწყისში აშენებულ სხვა სამონასტრო ნაგებობებთან, როგორებიცაა ართანუჯის წმ. პეტრე და პავლე, ოპიზის ეკლესიის დასავლეთით მდებარე სათავსები, ჩუკას საყდარი და პარეხთა. ამდენად, საფიქრებელია, რომ ჩვენი სამლოცველოც ამავე ხანებშია აგებული, შესაძლო იდუმალებით მოცული მეორე ეკლესიის თანადროულად.




5. სამლოცველო, მონასტრის სამხრეთით, გეგმა

[86] პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 319 და შენ. 1.
[87] მერჩულე, *ცხოვრება*, თავი 10, გვ. 260.

ეროვნული ბიბლიოთეკა




B. ხანცთის მონასტრის გეგმა. მასშტაბი: 1:100

მონასტრის გალავნის გარეთ, გარდა წყაროს სამლოცველოსი, კიდევ რამდენიმე ძეგლია, რომლებსაც მოკლედ შევეხები. მონასტრიდან სამასიოდე მეტრით სამხრეთ-დასავლეთით, ბორცვის წვერზე, ერთიმეორის მახლობლად სამი ერთნაირი სამლოცველო დგას. ერთი მათგანის ზომებია 7.00 × 5.20 მ. უდიდესი და ყველაზე უკეთ შემონახული ამათ შორის არის 9.00 × 6.20 მ-ის (გარე ზომებით) დარბაზული ეკლესია (ტაბ. 39, სურ. D), რომელიც ყველა ნიშნით ჰგავს საქართველოში ადრექრისტიანული ხანიდან აგებულ ცალნავიან ეკლესია-სამლოცველოებს.[88] მისი ერთადერთი აღსანიშნავი არქიტექტურული ელემენტია აფსიდში, სარკმლის აქეთ-იქით სიმეტრიულად განლაგებული ორი ღრმა, ოვალური გეგმის ნიშა, რომლებიც იატაკის დონემდე ჩამოდის. ეს ნიშები და სამშენებლო ტექნიკა გვიჩვენებს, რომ ეკლესია შეიძლება აგებული იყოს IX-X საუკუნეთა მიჯნაზე, როცა მონასტერი გაიზარდა და გასცდა ადრინდელ ფარგლებს. ამ სამლოცველოდან ორასიოდე მეტრით სამხრეთით, ასევე მონასტრის გალავნის გარეთ სხვა შენობა დგას. ის მართკუთხაა, კედლებს სუფთად თლილი კვადრები მოსავს. შენობა მთლიანად დაფარულია განტოტვილი ვაზით და ამჟამად ცისტერნად გამოიყენება. საფიქრელია, რომ ასეთი სამლოცველოები, როგორც ცალკე მდგარი, ისე ეკლესიებთან მდებარე, IX-X საუკუნეებში მხოლოდ კერძო ლოცვისათვის გამოიყენებოდა და არა საერთო ჟამისწირვის ჩასატარებლად. ამასთან დაკავშირებით „გრიგოლ ხანცთელის ცხორება" (თავი 74) თვით გრიგოლის მიერ დაწესებულ მკაცრ აკრძალვას შეიცავს.

## 1. მონასტრის გალავანი

ხანცთა, ოპიზასთან ერთად, რეგიონის უდიდეს მონასტერთაგანია. მისი შემომფარგლავი საყრდენი კედლის სიგრძე უკეთ შემონახულ აღმოსავლეთ მხარეს 51 მ-ს აჭარბებს, სამხრეთ მხარეს კი დაახლოებით 38 მ-ია. გალავნის ეს ნაშთები გვიჩვენებს, რომ მონასტერი იყო მართკუთხედი და რომ ის გაშენდა მთის საგანგებოდ მოსწორებულ სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდზე (ტაბ. 23, სურ. B). მერჩულეს ნაამბობი ციცაბო კლდის დავაკების თაობაზე სიტყვა-სიტყვით არ უნდა გავიგოთ. ადგილზე ჩემმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ მთის ჩრდილო-დასავლეთი ფერდია მოსწორებული ამოვსების საშუალებით, ხოლო სამხრეთი და აღმოსავლეთი ფერდები მთლიანად არ ამოუვსიათ – აქ რამდენიმე განმტვირთავი კამაროვანი სათავსი მოაწყვეს. ასეთი სათავსების არსებობა სამგან დასტურდება: მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში; სატრაპეზოს ქვის იატაკის ქვეშ, მის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან და ეკლესიის სამხრეთი პასტოფორიუმის იატაკის ქვეშ. განმტვირთავი ოთახების მოწყობა არა მხოლოდ გააიოლებდა სამშენებლო მოედნის მოსწორების უკიდურესად მძიმე სამუშაოს, არამედ ასევე შეამცირებდა დაწოლას გალავნის სამხრეთ და დასავლეთ კედლებზე. ამავე დროს, ეს სათავსები გამოიყენებოდა საკუჭნაოებად, მარნებად ან სხვა რაიმე პრაქტიკული მიზნით.

სამონასტრო ნაგებობათაგან ამჟამად თითქმის არაფერია შემორჩენილი – ადგილობრივი მცხოვრებნი მათ იყენებდნენ როგორც მზა მასალას თავიანთი უხეირო სახლებისა და სხვადასხვა პრიმიტიული ნაგებობის მშენებლობისას. 1904 წლის 15 აგვისტოს, როცა აქაურობას ნ. მარი ეწვია, მას გაცილებით უკეთესი სურათი დახვდა.[89] მან ნახა სხვადასხვა სამონასტრო შენობის, მათ შორის სემინარიისა თუ ბიბლიოთეკის, საკუჭნაოებისა და სხვათა ნაშთები, რომლებიც სამ ტერასაზე იყო განლაგებული. სამხრეთ-დასავლეთ მხარეს მან 2.65 × 1.14 მეტრის ზომის საწნახელიც კი აღმოაჩინა.[90] ახლა დასავლეთ მხარეს ერთადერთი ნაგებობა საკმაოდ კარგად შემონახული სამრეკლოა, რომელიც თავის შესანახად გამოიყენება.

---

[88] ამის შესახებ იხ. პარეხთასადმი მიძღვნილი თავი.

[89] ნ. მარმა (*Дневник*, გვ. 142 და შემდგ.) სოფლის მკვიდრთა სახლებში იპოვა ხელახლა გამოყენებული ქვები, რომელთაგან ზოგიერთს წარწერების ფრაგმენტებიც კი შერჩენოდათ.

[90] იქვე, გვ. 153.

მონასტრის თავდაპირველი იერი შეიძლება ნაწილობრივ რეკონსტრუირებულ იქნეს მისი აღმოსავლეთი ნაწილის შესწავლით (ტაბ. 25, სურ. B). ეს ნაწილი 1967 წელს გამოვიკვლიე. აქ გალავანი ნაგებია უხეშად დამუშავებული, მეტწილად მართკუთხა ფორმის დიდი ბლოკებით და რიყის ქვებით, რომლებიც უშუალოდ მონასტრის ქვემოთ მდებარე მდინარის ნაპირიდანაა მოტანილი. კედლის სიმაღლე მერყეობს 6-8 მეტრს შორის. მისი შუა მონაკვეთი (51.15 მ სიგრძისა) გამაგრებულია 4.05 მ სიგანისა და 2.20 მ შვერილობის კონტრფორსით. გალავნით მოფარგლული ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში, ეკლესიის წინ პატარა ღია ეზოა. სამხრეთი ნაწილი უკავია დიდ ორნავიან შენობას, რომელიც უთუოდ სატრაპეზოს წარმოადგენდა (ტაბ. 35). შუაში აღმოსავლეთ მხარეს სამი მცირე, ერთნაირი ზომის (5.80 × 2.50 მ, სიმაღლე 2.60 მ) სენაკია. თითოეულ მათგანს აქვს 1.05 მ-ის სიგანის კარი დასავლეთიდან და ერთი სარკმელი აღმოსავლეთიდან. ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელსა და ჩრდილოეთი განაპირა სენაკის ჩრდილო კედელს შორის კამაროვანი გასასვლელია, რომელიც გვირაბით უკავშირდება ეკლესიის პასტოფორიუმის ქვეშ მდებარე სათავსს. სამხრეთ სენაკს ეკვრის პატარა სამლოცველო (ტაბ. 34). მისი შიდა ზომაა 4.50 × 2.85 მ (სიმაღლე 2.60 მ), 1.50 მ-ის სიღრმის აფსიდის ჩაღრმავებით, რომელშიც ერთი სარკმელია. სარკმლის აქეთ-იქით თითო მართკუთხა ნიშაა, რაც ამ რეგიონის ეკლესიების მოწყობის ჩვეულებრივ წესს წარმოადგენს. იატაკის დონიდან ერთი საფეხურით შემაღლებული აფსიდი თავიდან კედლის მხატვრობით იყო შემკული. მისი კვალი დღემდე გაირჩევა.

მონასტრის ეს ნაწილი უეჭველად სამსართულიანი იყო. ზედა სართულს შეადგენს სამი ერთნაირი სენაკი. მათ ქვემოთ ასევე სამი სენაკია, სულ ქვემოთ – რამდენიმე დამატებითი სათავსი (ახლა მთლიანად ჩაქცეული), რომლებიც ალბათ სატრაპეზოს უკავშირდებოდნენ მისი ჩრდილო-აღმოსავლეთ კარის მეშვეობით. სენაკების დასავლეთით იყო გრძელი ორმხრივი კამაროვანი გასასვლელი თუ აივანი. ის მონასტრის მთავარ ეზოს დაჰყურებდა. ბერებისა და არქიმანდრიტის სენაკები უნდა ყოფილიყო მონასტრის დასავლეთ ნაწილშიც. ეს სენაკები წარმოადგენს ყოველგვარ კომფორტს მოკლებულ, უკიდურესად სადა ოთახებს, ნიშების, ბუხრებისა და ლემლების გარეშე, რაც შეესაბამებოდა მათ მცხოვრებთა ასკეტურ ყოფასა და მკაცრ დისციპლინას. მართლაც, როგორც გრიგოლ ხანცთელის „ცხორებიდან" ვგებულობთ, „არამედ პირველთა მათ დღეთა ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისთა ფიცხელ იყო ფრიად კანონი მოწაფეთა მისთაჲ, რამეთუ სენაკთა მათთა შინა იყო მცირე სარეცელი და შეურაცხი საგებელი და თითოჲ სარწყული წყლისათჳს. ხოლო სხუაჲ ნუგეშინის-საცემელი ჴორცთაჲ არაჲ აქუნდა საჭამადისაჲ და სასუმადისაჲ ყოლადვე. არამედ რომელი ტრაპეზსა ზედა ერთბამად ჭამიან, მით იყო ცხორებაჲ მათი. და მრავალნი მათგანნი არა სუმიდეს ღჳნოსა ყოლადვე, და რომელნიცა მიიღებდეს, მცირედ იჭუმევდეს.[91] და სენაკებსა მათსა საკუამი არა აქუნდა, რამეთუ ცეცხლი არა აღეგზებოდა, და არც ღამჱ სანთელი აღანთიან,[92] არამედ ღამე იყო ფსალმუნებაჲ და დღისი წიგნის კითხვაჲ და ლოცვაჲ მარადის, ვითარცა იტყჳს დავით: დღისი ამცნო უფალმან წყალობაჲ მისი და ღამჱ გალობაჲ მისი" (ფსალმუნი, 42:8).[93]

---

[91] გრიგოლი მარხვის დროს საზრდოობდა უმი კომბოსტოთი, ხოლო ჩვეულებრივ დღეებში იკვებებოდა მცირე პურითა და წყლით, ღვინოს კი სიერმის შემდეგ არ სვამდა (*ცხორება*, გვ. $267_{8-12}$, აგრეთვე გვ. $284_{23-24}$). საკვებისაგან მორიდება წესდებული იყო აგრეთვე ქართველთა მონასტერ ივირონში, სადაც ექვთიმე ათონელი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით ცხინი წყლით და პურით კმაყოფილდებოდა, დანარჩენ დღეებში კი სამმის სატრაპეზოში იკვებებოდა (*ძეგლები* II, გვ. 74).

[92] X საუკუნის მიწურულში ასეთივე წესი იყო დაკანონებული ქართველთა მონასტერ ივირონში ათონზე, სადაც მხოლოდ მწერლებს ჰქონდათ უფლება თავიანთი საქმისათვის ზეთი შეეძინათ და ღამე ლამპარი დაენთოთ (*ძეგლები* II, გვ. $79_{8-11}$, აგრეთვე, ცხორება $294_{2-14}$).

[93] *ცხორება*, თავი 18, გვ. 266-267.

სხვა ადგილას ვკითხულობთ, რომ ყოველი პატარა სენაკი მხოლოდ ერთი ბერისათვის იყო განკუთვნილი.[94]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2. სატრაპეზო

მონასტრის უდიდეს ნაგებობას – ორ ტოლ ნავად გაყოფილ დარბაზს მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე უკავია. დარბაზი ნაგებია დიდი, უხეშად დამუშავებული მართკუთხა ბლოკებით, რომლებიც სწორ რიგებს ქმნიან. ღრეჩოები ხსნარით არის ამოვსებული. კედლებს შუაში ლორღის გული აქვს, რომლის სისქე კედლის საერთო სისქის ერთ მესამედზე ნაკლებია. მასში სამშენებლო ხსნარი ისე ძუნწად არის ჩასხმული, რომ ქვების ზოგიერთი ნატეხი პირითა წყობის ბლოკებს არც ებმის. ეს სრულიად შეესაბამება „გრიგოლ ხანცთელის ცხორების“ ცნობას კირის დეფიციტისა და მისი შეძენის სიძნელეების თაობაზე.[95] კედლების სისქე მერყეობს 0.90-დან (შიდა კედლები) 1.30 მეტრამდე (გალავნის სამხრეთი კედელი). დარბაზის შიდა სიგრძე 17.55 მ-ია, სიგანე – 12.05 მ. აღმოსავლეთ კედელში მას აქვს 1.30 მ-ის სიგანის ორი სარკმელი, სამხრეთიდან – სამი თაღოვანი სარკმელი (გარე სიგანე – 0.50 მ, შიდა – 1.20-დან 1.30 მ-მდე). ამ დარბაზში შესვლა შეიძლება მხოლოდ ჩრდილოეთი მხრიდან, ორი თაღოვანი კარით, რომელთაგან ერთი 1.70 და მეორე 1.08 მ-ის სიგანისაა. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იატაკი ჩანგრეულია და მის ქვეშ ჩანს დიდი სათავსი, რომელიც ალბათ სარდაფად გამოიყენებოდა. ორი ფრონტონი[96] აღმოსავლეთ მხარეს მოწმობს, რომ შენობის თითოეულ ნავს თავისი ორკალთიანი სახურავი ჰქონდა. როგორც შემორჩენილი ნაწილებიდან ჩანს, თანაბარი ზომის ნავებს ყოფდა დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე გამწკრივებული თაღები და ოთხი ჯვრული გეგმის ბურჯი. ნავებს ხურავდა ცილინდრული კამარები, რომელთაც საბჯენი თაღები ამაგრებდა. ისინი ეფუძნებოდა ქვს-ქვს კრონშტაინს ორსავე მხარეს. კამარათა საბჯენი თაღები და კრონშტაინები მჭიდრო სიახლოვეს ამჟღავნებს ერთი-ორი ათეული წლით მოგვიანებით აგებული ოპიზის სატრაპეზოს ანალოგიურ ელემენტებთან. სამშენებლო ტექნიკის ისეთი თავისებურებები, როგორიცაა უჰარმაზარი, უხეშად გათლილი ქვებისა და რიყის ქვების ხმარება და მინიმალური სიგანის გული კედლის შიდა და გარე პერანგს შორის მიგვანიშნებს ადრეულ თარიღზე. შესაძლოა, შენობა აიგო თვით გრიგოლ ხანცთელის სიცოცხლეში. მისი „ცხორების“ მიხედვით, გრიგოლმა თავიდან ააშენა ხის ეკლესია, შემდეგ თავისი საცხოვრებელი, თითო მცირე სენაკი ყოველი ბერისათვის და დიდი დარბაზი სატრაპეზოდ.[97] დარბაზის უჩვეულოდ დიდი ზომა და მისი სტრუქტურული მსგავსება ოშკისა და ოთხთა ეკლესიის სატრაპეზოებთან ეჭვს არ ტოვებს, რომ ჩვენი შენობაც ნამდვილად სატრაპეზო იყო. ამას დამატებით ადასტურებს წყარო, რომელიც მის სამხრეთ კედელს ჩამოუდის. ხანცთისა და ამ რეგიონის სხვა საეკლესიათა სატრაპეზოების ზომების შედარება გვიჩვენებს, რომ ხანცთაში საკმაოდ ბევრი ბერი უნდა ყოფილიყო:

ხანცთა – 17.55 × 12.05 მ
ოპიზა – 20.80 × 15.00 მ
ოშკი – 31.80 × 16.40 მ
ოთხთა ეკლესია – 18.70 × 11.50 მ

„გრიგოლ ხანცთელის ცხორების“ ზემოთ მოყვანილი ნარატიული ცნობები და არქიტექტურული თავისებურებები გვაფიქრებინებს, რომ გალავნის აღმოსავლეთი კედელი და სატრაპეზო აგებული უნდა იყოს VIII საუკუნის ბოლო ათწლეულში.

---

[94] *ცხორება*, თავი 7, გვ. 257.
[95] იქვე, თავი 8, გვ. 277.
[96] ისინი ცხადად ჩანს ნ. მარის მიერ გამოქვეყნებულ ფოტოსურათზე (*Дневник*, ტაბ. 50). ამჟამად ფრონტონის მხოლოდ მცირე ნაწილიდაა დარჩენილი.
[97] *ცხორება*, თავი 7, გვ. 257.

## 3. მონასტრის ეკლესია

მონასტრის სხვა შენობებს შორის ზეაღმართული ეკლესია მდებარეობს სამხრეთისაკენ დაფერდებული პლატოს მაღალ ტერასაზე.[98] ის დგას 6.00 მ-ის სიმაღლის კონსტრუქციაზე, რომელიც აგრძელებს, მაგრამ არ ებმის სტრუქტურულად გალავანს – მისგან განსხვავებულ, უფრო ადრინდელ აღმოსავლეთ კედელს (ტაბ. 25). თავისი ზომისა და შემაღლებული პროპორციების წყალობით ეკლესია დომინირებს არა მხოლოდ მონასტერზე, არამედ მთელ მიდამოზეც. მისი იატაკი სატრაპეზოს ცილინდრული კამარის ქუსლის დონეზეა ტერიტორიის დაახლოებით $30^0$-იანი დაფერდების გამო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

ტიპოლოგიურად ეკლესია ჯვარგუმბათიანი შენობაა (სურ. 6) მართკუთხედში ჩახაზული ჯვრის (croix inscrite) გეგმით – ისევე, როგორც არტანუჯის სამრევლო ეკლესია[99] და დოლისყანა (სურ. 12). მისი შიდა სიგრძე 16.85 მ-ს შეადგენს ნახევარწრიული აფსიდისა




6. ეკლესია, გეგმა

[98] მერჩულეს ვრცელი მონათხრობი მოსამზადებელი სამუშაოსა და ეკლესიის აღსამართად საფუძვლის მოსწორების თაობაზე ზემოთ იყო განხილული. მან არ უნდა შეგვიქმნას მცდარი შთაბეჭდილება, თითქოს მშენებლებმა მთის წვერის მთლიანად დავაკება და მის ადგილას სწორი მოედნის შექმნა მოუხდათ. როგორც ადგილზე ჩანს, აქ, მკვეთრად დამრეც ფერდზე, საყრდენი კედლებით ამოშენებული (აღმოსავლეთი მხრიდან) საფეხუროვანი ტერასები მოუწყვიათ. ასეთი გადაწყვეტა უზრუნველყოფდა მონასტრის მაქსიმალურ უშიშროებას, რაც იმ დროში მისი გაშენების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

[99] Н. Марр, *Дневник*, გვ. 96.

და ბემის (4.70 × 2.40 მ) ჩათვლით. აფსიდის მიმდებარე მართკუთხა სათავსები, თითოეული 4.50 × 2.40 მ, მისკენ არ იხსნება, მხოლოდ განივ მკლავებს უკავშირდება 1.0 მ-ის სიგანის კარებით. ეკლესიის სიგანე 10.50 მ-ია. დასავლეთი ნაწილი არსებითად სამნავიანია. შუა ნავი, რომელიც შეადგენს საკუთრივ დასავლეთ მკლავს, 4.60 მ-ის სიგანისაა, მაშინ, როცა გვერდითი ნავები სიგანეში 2.00 მ-ს ძლივს აღწევს (ტაბ. 29). ამ ზომების შეფარდება (2.3:1) გვიჩვენებს, რომ გარდამავალ ხანაში, როცა აშენდა ჩვენი ეკლესია, შუა ნავის გაფართოების ტენდენცია გრძელდება ცენტრალურგუმბათოვან ეკლესიებში და შენარჩუნებულია შუა და გვერდითი ნავების ის შეფარდება, რომელიც განმსაზღვრელი იყო ბაზილიკური ეკლესიებისათვის (ახიზა, ნუკას საყდარი, ესბეკი). შუა ნავის კედლები ეფუძნება ორ წყვილ ბურჯს (0.95 × 0.85 მ). მანძილი ერთი რიგის ბურჯებს შორის 2.25 მ-ია (ტაბ. 28).

ეკლესია საკმარისად იქნებოდა განათებული მისი ათი სარკმლით, რომელთაგან სამი გაკეთებულია აფსიდსა და მის მიმდებარე სათავსებში, თითო ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ მკლავებში და ოთხიც გუმბათის ყელში. ეკლესიაში შესვლა შეიძლება ორი ვიწრო (სიგანე – 1.20 მ) თაღოვანი კარით, ერთი სამხრეთიდანაა, მეორე კი ჩრდილოეთიდან. შესასვლელები არ არის თვალში საცემი და საკმაოდ უბრალოდ გამოიყურება. ისინი მოგვაგონებს ოპიზის მონასტრის ეკლესიის ძალიან ვიწრო (1 მ-ის სიგანის) კარს. ეს უჩვეულო თავისებურება, როგორც აღნიშნა ა. პავლინოვმა, ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას უსაფრთხოების მოსაზრებით, რასაც მოითხოვდა მშფოთვარე და საშიშროებით აღსავსე დრო.[100]

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთი კედლის წინ, კართან იყო ცილინდრულკამაროვანი გასასვლელი. ის მიემართებოდა ფართო კიბისაკენ, რომელიც ჩადიოდა მონასტრის ეზოში. გასასვლელის კამარა ახლა თითქმის მთლიანად ჩაქცეულია. ის არ ებმოდა ეკლესიის კედელს.

გუმბათი ეფუძნება აფსიდის კედლების დასავლეთ შვერილებსა და დასავლეთი მკლავის აღმოსავლეთ კიდეზე გადაყვანილ ოთხ მსუბუქად შეისრულ თაღს. კედლების ოთხსავე კუთხეზე აყოლებულია მსხვილი ლილვები (დიამეტრი 10.2 სმ) კედლებთან შერწყმული 3/4 სვეტების სახით (ტაბ. 32. სურ. 7). მათ იმპოსტები აბოლოებს. გადასვლა ცენტრალური კვადრატიდან გუმბათის რვაწახნაგა ყელზე ხორციელდება ტრომპების მეშვეობით. გადასვლა რვაწახნაგა ყელიდან გუმბათის წრიულ საფუძველზე მიიღწევა ყელის ზედა კუთხეებში მოთავსებული კონუსური სამკუთხა მონოლითების საშუალებით (ტაბ. 33). გარედან გუმბათის ყელი თორმეტწახნაგაა. მისი ზედაპირი დანაწევრებულია თორმეტი ცრუ თაღით, რომლებიც მსუბუქ შეწყვილებულ სვეტებზე გადადის. სვეტებს აგვირგვინებს დორიული წარმომავლობის სტილიზებული კაპიტელები. ისინი შედგება აბაკის, ექინისა და დაკბილული სარტყლისაგან. სვეტების ბაზისებს შეადგენენ შეწყვილებული ბურთულები, რომელთაც ზემოდან ჰორიზონტალური სალტეები აქვთ. ყველაზე უჩვეულოა სახურავი, ასევე დაყოფილი თორმეტ ერთნაირ სეგმენტად ამოშვერილი და ჩაღრმავებული სახსრებით. მთლიანად მას Faltendach-ის (ტაბ. 30), ანუ, ნ. მარის მოსწრებული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ნახევრად გაშლილი ქოლგის ფორმა აქვს. სახურავის სეგმენტები ისეა განლაგებული, რომ ისინი ცრუ თაღების თავზე ქმნიან ფრონტონებს მართკუთხა ტეხილი კარნიზით. გუმბათის სახურავის ასეთი საინტერესო ნოვატორული გადაწყვეტა უთუოდ უფრო მხატვრულმა მოთხოვნილებამ განაპირობა, ვიდრე სტრუქტურულმა. ის უნდა მიეწეროს ჩვენი ეკლესიის ხუროთმოძღვარს, ამონას, რომელსაც გიორგი მერჩულე ხოტბას ასხამს როგორც „სიბრძნით სრულიად მაშენებელს“ (თავი 28, გვ. 277).

---

[100] *MAK* III, 1893, გვ. 67.

ეროვნული ბიბლიოთეკა



7. ეკლესია. ინტერიერი, ტრომპი და გარდამავალი კონსტრუქცია კვადრატიდან რვაწახნაგა გუმბათის ყელზე

## a. ქვის წყობა

ეკლესიის საშენი ქვა უაღრესად ხარისხიანად არის დამუშავებული. ფასადებზე გამოყენებულია თანაბარი ზომის, ძალიან სუფთად გათლილი მკაფიო მართკუთხა ფორმის ბლოკები. ისინი თანაბარ რიგებად არის დაწყობილი და ისე მჭიდროდ ერგებიან ერთმანეთს, რომ რიგებსა და ქვებს შორის კირის ხსნარი არ ჩანს. შედეგად კედელს აქვს ერთიანი გლუვი ზედაპირი, აქა-იქ აქცენტირებული ღია ვარდისფერი, მოყვითალო ან, უფრო იშვიათად, ღია მოყავისფრო ჩანართებით. სხვადასხვა ფერის კვადრებს, რა თქმა უნდა, შეგნებულად იყენებდნენ. ეკლესიის ინტერიერში ეს პოლიქრომიული ეფექტი განგებ არის გამოყენებული.

გუმბათის შიდა და გარე საპირე წყობისათვის ნახმარია წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვა. აქ შესრულების უფრო მაღალი ოსტატობა იგრძნობა, ვიდრე ეკლესიის სხვა ნაწილებზე და პოლიქრომიული აქცენტების დეკორაციული მიზანიც უფრო აშკარაა (კერძოდ, სარკმლების თავზე რადიალურად განლაგებულ ქვებზე). გუმბათის ყელის დასავლეთი მხარის ქვედა ნაწილის კვლევისას შეწყვილებულ სვეტებზე მრავალგან შევნიშნე ჯერაც კარგად შემონახული მოწითალო-ყავისფერი პიგმენტი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ყველა შეწყვილებული სვეტი მოწითალოდ იყო დაფერილი. ამგვარი პრაქტიკა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო არქიტექტურისათვის უცხო არ ყოფილა. ნაირფერადოვნების ეფექტს საკმაოდ ხშირად მი-

მართავენ X საუკუნის II ნახევარში – მაგალითებად, სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შეიძლება დავასახელოთ ოშკი, ხახული და ოთხთა ეკლესია. ეს ეფექტი მიიღწევა როგორც სხვადასხვა ბუნებრივი ფერის ქვების, ისე პიგმენტების გამოყენებით. თუ მხედველობაში მივიღებთ ხუროთმოძღვრის მცდელობას, ფერადოვანი აქცენტებით [illegible] გარე კედლები პიგმენტებისა თუ ქვების მეშვეობით, დაფერვა სვეტებზე – და, შესაძლოა, ეკლესიის სხვა ადგილებზეც თითქოსდა არ უნდა იყოს თავდაპირველი ჩანაფიქრის შემადგენელი ნაწილი. ამონა ტაო-კლარჯეთში პირველი ხუროთმოძღვარი ჩანს, რომელმაც ცხოველხატული დეკორაციული ელემენტები ეკლესიის არქიტექტურის მნიშვნელოვან ასპექტად აქცია (ეს აისახა აგრეთვე გუმბათის ყელის დანაწევრებაში ცრუ თაღებით და ტეხილ კარნიზში).[101] ამავე დროს უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დეკორაციული ხერხები გამოყენებულია გუმბათის ექსტერიერზე, მაშინ როცა თვით ეკლესიის ფასადები მოკლებულია ორნამენტულ მორთულობასა თუ არქიტექტურულ დანაწევრებას. გამონაკლისს შეადგენს აფსიდის სარკმელი, რომლის ნახევარწრიული თავსართის ზემოთ მოვარდისფრო ქვებით რელიეფური ჯვარია გამოყვანილი. თუ არ ვცდები, ესეც პირველი შემთხვევაა ტაო-კლარჯეთში, როცა ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადი მონუმენტური ჯვრით არის ხაზგასმული. რამდენადაც ეკლესიაში შეკრებილი მრევლი ლოცვას აღმოსავლეთისაკენ აღავლენს, ასეთ ადგილას წარმოდგენილი ჯვარი უნდა განიხილებოდეს როგორც მაცხოვრის მეორედ მოსვლის წინასწარუწყება.[102] აღმოსავლეთი აფსიდის გარე კედლის აქცენტირება მონუმენტური ჯვრით დროთა განმავლობაში ქართული ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი ნიშანი ხდება. პირველად ის თავს იჩენს ბოლნისის სიონში, უფრო გვიან – გურჯაანის ეკლესიაში (VIII-IX საუკუნეები).[103]

ტაო-კლარჯეთის ადრეულ ეკლესიებში (პარეხთა, ჩუკის საყდარი), ისევე როგორც ხანცთის თანამედროვე ეკლესიებში (ოპიზა, დოლისყანა) ჯვრები აღმოსავლეთ ფასადზე არ კეთდება. იგივე ითქმის X საუკუნის II ნახევარში აგებული ტაძრების შესახებაც (ხახული, პარხალი, ეკეკი). თვით ისეთ სახელოვან ეკლესიაშიც კი, როგორიც იყო ოშკი, მხოლოდ წვრილი ჯვარი გამოუკვეთიავთ დასავლეთ ფასადზე – ეს მაშინ, როცა მნახველი განცვიფრებაში მოჰყავს ორნამენტულ მოტივთა სიუხვესა და ფასადებზე გაბნეულ რეალურ თუ ზღაპრულ ცხოველთა ქანდაკებების სიმრავლეს.

მხოლოდ X საუკუნის მიწურულსა (ოთხთა ეკლესია) და XI საუკუნის დასაწყისში (იშხნისა და ტბეთის კათედრალები) ჩნდება კვლავ ჯვრები აღმოსავლეთ ფასადზე, ამჯერად უკვე არა აფსიდის შუა სარკმლის თავზე, არამედ გაცილებით უფრო მაღლა, ფრონტონის არეში. გურგენის ეკლესიაში ჯვარი აღმოსავლეთის ნაცვლად დასავლეთ ფასადზეა გამოსახული. ამავე ხანებში საქართველოს სხვა მხარეებში ეკლესიათა ფასადებზე თამამად წარმოადგენენ მონუმენტურ ჯვრებს, მაგალითად, ნიკორწმინდასა (1010-1014) და სამთავისში (1030). საგულისხმოა, რომ ამ მნიშვნელოვანი მოტივის გავრცელება დროში ემთხვევა საქართველოს სამეფოსა და მისი რელიგიური ინსტიტუტების ცენტრალიზაციას.

---

[101] ტრადიციული ფერადოვანი ეფექტების ხმარება საეკლესიო არქიტექტურაში გრძელდება მოგვიანებითაც, XIII-XV საუკუნეებშიც. ამას მოწმობს ხანცთის სამრეკლო, რომლის გუმბათის ყელის ზედა ნაწილიც გაფორმებულია ყვითელი და მოშავო ქვების ჭადრაკული წყობით.

[102] ჯვარის შესხმის ერთ გალობაში ეფრემ ასური (306-360) გვამცნობს, რომ: „როდესაც ხილულ სამყაროს ბოლო მოეღება და აღმოსავლეთით ქრისტე გამოჩნდება, მას წაემძღვარება ჯვარი ისევე, როგორც ბასილევსს წინ მიუძღვის დროშა" (Th. J. Lamy, *S. Epharaem Syri, Hymni et sermones*, Milan, 1886, გვ. 407). კირილე იერუსალიმელი (315-386) კი ბრძანებს: „ქრისტეს ჭეშმარიტი ნიშანია ჯვარი, ბრწყინვალე ჯვარის ნიშანი მეუფეს წინ წაემძღვარება, რომ ცხადჰყოს ის, ვინც უწინ ჯვარცმული იყო" (De Secundo Christi Adventu XXII, PG. 39, 900B). იხ. აგრეთვე: W. Deichmann, *Einführung in die christliche Archaeologie*, Darmstadt, 1983, გვ. 198; A.Grabar, *Christian Iconography*, Princeton, 1968, გვ. 113, 115, 131, 141.

[103] Mepisasvili, Zinzadse, Schrade, *Arts*, გვ. 120, ქვემოთ მარჯვნივ; Г. Чубинашвили, *Архитектура Кахетии*, 1959, გვ. 276, ტაბ. 191.

ხანცთის ეკლესია ასევე პირველი ნიმუშია ფასადების მთლიანად შემოსვისა სუფთად თლილი ბლოკებით. მოკლედ რომ ვთქვათ, ხანცთა საუკეთესო მაგალითია, რომელშიც მკაფიოდ ჩანს თავს გარდამავალი ხანის თავისებურებები. კედლების შიდა წყობა შედგება ერთნაირად უხეშად დამუშავებული თანაბარი ზომის ქვებისაგან. რიგებს შორის დაახლოებით 1 სმ-ის სისქის მაკავშირებელი ხსნარის ფენა ჩანს. კედლების ქვედა ნაწილებში მოყვითალო ბათქაშის ნაგლეჯები შემოინახა, რაც მოწმობს, რომ ინტერიერი მთლიანად შელესილი იყო. აფსიდში ნ. მარმა კედლის მხატვრობის ნაშთებიც კი იპოვა – წმინდანთა და ანგელოზთა ფიგურების ფრაგმენტები და რამდენიმე ძალიან ლამაზი მთავრული ასო.[104] ამჟამად ყოველივე ეს გამქრალია, რაც მეტად სამწუხაროა, ვინაიდან ნ. მარს მასალა არც გამოუქვეყნებია, არც გაუანალიზებია და არც დაუთარიღებია.

## ხ. ეკლესიის აგების თარიღი

როგორც ზემოთ ვნახეთ, გრიგოლ ხანცთელის ბიოგრაფის ცნობით, ხანცთის მონასტრის უკანასკნელი ეკლესიის მშენებლობა დაწყებულა მეფე აშოტ კუხის დროს, რომელიც მხარეს მართავდა 896 წლიდან სიკვდილამდე, 918 წლამდე. მაგრამ აშოტმა ვერ შეძლო მშენებლობის დამთავრება და ეს ამოცანა დაეკისრა მის ძმისწულს, ერისთავთერისთავ გურგენს, რომელიც ტახტზე ავიდა 918 წელს და გარდაიცვალა 941 წელს. ამდენად, მშენებლობის პერიოდი ექცევა 896-941 წლებს შორის. ეკლესიის აგებას ისეთი დიდი სიძნელეები ახლდა, როგორიც იყო კლდოვანი ფერდის დაჭრა სამშენებლო მოედნის მოსამზადებლად და საყრდენი კედლის ამოყვანა აღმოსავლეთ მხარეს, რომლის სიმაღლე 6,28 მ-ს აღწევს. ჩვენ ასევე ვიცით, რომ მშენებლობისთვის საჭირო კირსა და ქვებს შორიდან ზურგით ეზიდებოდნენ ცოცხალი ბილიკებზე.[105] მიუხედავად ამისა, ეკლესიის შედარება პარეხთას, ოპიზისა და დოლისყანის მონასტრების ეკლესიებთან გვიჩვენებს, რომ მისი აგება უნდა დაწყებულიყო აშოტის მმართველობის მიწურულს. სავარაუდოა, რომ მან მხოლოდ წამოიწყო სამუშაო და მშენებლობა არსებითად დაუტოვა თავის ძმისწულ გურგენს (918-941).[106]

ეკლესიის თარიღის შესახებ მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე მისი მიმართება მონასტერთან. მგონია, რომ აქ 918-941 წლებში ეკლესიის მეტი არაფერი აუშენებიათ. იმხანად ხანცთის მონასტერი თავისი გალავნით, სატრაპეზოთი, ბერების სენაკებით უკვე არსებობდა. ამას გვაფიქრებინებს სამონასტრო შენობათა ანალიზი და გიორგი მერჩულეს ნაშრომი, რომელშიც ლაპარაკია მხოლოდ „ახლისა მის შუენიერისა" ეკლესიის აგების თაობაზე და არაფერია ნათქვამი მონასტერზე.

ის, რომ გურგენმა მთელი ძალები ეკლესიის აგებას მოახმარა, სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს დანარჩენი მონასტერი ზრუნვას ყოფილიყოს მოკლებული. გურგენის მმართველობამდეც და შემდეგაც სხვა ხელისუფალნი, როცა კი საჭიროებას ხედავდნენ, მონასტერს ახალ ნაგებობას უმატებდნენ. მაგალითად, ერთ მოგრძო ქვაზე (ის შემდგომ ხელახლა გამოიყენეს საცხოვრებელი სახლის კედელში) ამოკვეთილი წარწერა გვამცნობს, რომ დავით კურაპალატის (გარდაიცვალა 1001 წელს) შეწევნით აშენებულა სტოა.[107] ეკლესია მხოლოდ ერთ-ერთი ნაგებობა იყო, მაგრამ ისეთი, რომ დაჩრდილა ყველა მანამდე არსებული და საფუძველი მისცა მერჩულეს ჰიპერბოლას.

---

[104] *Дневник*, გვ. 146-147.

[105] ამ ცნობას შეიცავს *ცხოვრება*, თავი 28, გვ. 277.

[106] წინააღმდეგ ნ. მარისა (*Дневник*, გვ. 146, 150), რომელმაც შეცდომით მიაკუთვნა ჩვენი ეკლესია XII-XIII საუკუნეებს. მან შენიშნა, რომ ხანცთის სახურავის ტეხილი კარნიზი პარალელებს პოვებს ანისისა და, საერთოდ, შირაკის პროვინციის ეკლესიებში, მაგრამ მხედველობიდან გამორჩა, რომ ნახევრად გაშლილი ქოლგის ფორმის სახურავი გუმბათზე ტაო-კლარჯეთში ჩნდება X საუკუნის პირველ ნახევარში (ხანცთა, ოპიზა), მაშინ, როცა სომხეთში ის დიდად პოპულარული ხდება მხოლოდ XII-XIII საუკუნეებში (W. Djobadze, *BZ*, 1989, გვ. 98-99).

[107] *Дневник*, გვ. 201-202; ნ. შოშიაშვილი, *კორპუსი* 1, 1980, წარწერა 169.

არის სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორიც, რომელიც ადასტურებს, რომ ახალი ეკლესია დაემატა უკვე არსებული მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეს – ეკლესიის სუბსტრაქციის აღმოსავლეთი კედელი არ ებმის მონასტრის საყრდენ კედელს, თუმცა კი აგრძელებს მას.[108]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 4. სამრეკლო

მონასტრის ტერიტორიის დასავლეთ მხარეს მდებარე სამრეკლო გალავნის შიგნით მდგარ ყველა სხვა სამონასტრო ნაგებობაზე უკეთ შემოინახა (ტაბ. 36, სურ. B). ის ორსართულიანია.[109] პირველ სართულს შეადგენს კვადრატული სათავსი (გარე ფართობი – 4.50 კვ. მ) კარით (სიგანე – 1.35 მ) დასავლეთიდან. ეს სათავსი, რომელიც საფუძველს უქმნის სამრეკლოს ფანჩატურს, ნაგებია უხეშად დაკუთხილი, ბევრგან არასწორ რიგებად დაწყობილი არათანაბარზომიერი ქვებით. მეორე სართული, ანუ საკუთრივ სამრეკლო წარმოადგენს თექვსმეტწახნაგა ფანჩატურს წრიულ საფუძველზე. მასში სიმეტრიულად არის გაკეთებული რვა თაღოვანი პარალელურწირთხლებიანი ღიობი (სიმაღლე – 1.95 მ, სიგანე – 0.58 მ). მათ აქვთ ნახევარწრიული დაბოლოებები და შიგნითკენ დასაფეხურებული ამყოლები, რომლებშიც ჩადგმულია თაროსა და ლილვის პროფილის იმპოსტები. იგივე პროფილი ჩანს რუდიმენტულ კარნიზზე ფანჩატურის ქვედა ნაწილზე. ღიობები ორივე მხრიდან მოჩარჩოებულია ვერტიკალური მახვილპირიანი შვერილებით. ფანჩატურის ზედა ნაწილი აქცენტირებულია ჭადრაკული ფრიზით, რომელიც შედგება ურთიერთმონაცვლე მოგრძო წითელი და მოყვითალო ბლოკებისაგან. ეს მოტივი ხშირად გვხვდება რომანულ არქიტექტურაში, საქართველოში კი ძალიან იშვიათია.

სამრეკლოს კონუსური სახურავი შედგება თექვსმეტი სექციისაგან და დაბურულია ურთიერთგადაბმული დასახსრული ქვის ლორფინით. სახურავის ქვედა ტეხილი (ზიგზაგისებრი) ხაზი ეკლესიის გუმბათის ყელის ტეხილ კარნიზს ეხმიანება. ზემოდან სახურავს აგვირგვინებს პატარა კოპი, რომელიც თვით სამრეკლოს წააგავს. წლის სხვადასხვა დროს ხანცთაში არაერთგზის ყოფნისას ვერც ერთხელ ვერ შევძელი სამრეკლოს ინტერიერის გამოკვლევა – ის ყოველთვის თივით იყო სავსე.

სამრეკლოს ფანჩატურის ხარისხიანი საშენი მასალა და წყობა საოცრად ჰგავს ეკლესიის გუმბათისას. ამ მსგავსებამ მიიყვანა ნ. მარი[110] მცდარ დასკვნამდე, თითქოს სამრეკლო ეკლესიის თანადროული ყოფილიყოს, თუმცა ამგვარ აზრს ეწინააღმდეგება ფანჩატურის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილზე ამოკვეთილი ორი სამშენებლო წარწერა[111] – ისინი, როგორც თავად ნ. მარმა შენიშნა,[112] შეიცავს უამრავ უხეშ ენობრივ და ორთოგრაფიულ შეცდომას, რომლებიც პალეოგრაფიულ თავისებურებებთან ერთად ეჭვს არ ტოვებს, რომ სამრეკლო ვერ აშენდებოდა XIV საუკუნეზე ადრე. მეტიც, თუ არ ვცდები, სამრეკლოები XIII საუკუნემდე საერთოდ უცნობია საქართველოში. ასეა თუ ისე, ხანცთის სამრეკლოს თარიღის თაობაზე ვერ ვიმსჯელებთ, სანამ მისი ინტერიერი არ გამოსუფთავდება და ფასადებს არ მოსცილდება შემოჯარული თანამედროვე შენობები.

## 5. ხანცთის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა

VIII საუკუნის ბოლოს, როცა გრიგოლი მონასტრის ასაშენებლად ხანცთაში ჩავიდა, ტაო, კლარჯეთი და შავშეთი თითქმის მთლიანად გაუკაცრიელებული და აოხრებული იყო ქოლერის საშინელი ეპიდემიისა და არაბი მხედართმთავრის – მურვან ყრუს 736-738

---

108 სამშენებლო ხერხებში ასეთი განსხვავების შესახებ იხ.: W. F. Volbach and J. Lafontaine-Dosogne, *Byzanz und der christliche Osten*, PKG 3, Berlin 1968, ტაბ. 349a და ჩვენი ტაბ. 25.

109 სამრეკლოს აღწერა იხ. ა. პავლინოვთან (*МАК* III, გვ. 67) და ნ. მართან (*Дневник*, გვ. 150).

110 *Дневник*, გვ. 150.

111 ეს წარწერები განხილულია ქვემოთ.

112 *Дневник*, გვ. 145, შენ. 1.

წლების დამსჯელი ლაშქრობების შემდეგ. მეურნეობის სრულ მოშლას შედეგად დემოგრაფიული მდგომარეობის უკიდურესი გაუარესება მოჰყვა. ჩვენ ვიცით, რომ როდესაც წმ. გრიგოლმა და მისმა მიმდევრებმა მონასტრის აგება დაიწყეს, სამშენებლო მუშების მომზადებისას დიდ სიძნელეებს წააწყდნენ, ვინაიდან არც წერაქვები ჰქონდათ, არც ცულები და არც სხვა რამ იარაღი. ოპიზელმა ბერებმა არა მხოლოდ აუცილებელი ხელსაწყოები მიაშველეს მათ, არამედ ასევე დაეხმარნენ ფიზიკურ საჭიროებათა უზრუნველყოფაში, ვინაიდან კლარჯეთის, შავშეთისა და ტაოს რეგიონები მხოლოდ აქა-იქ იყო დასახლებული ტყეებში მიმოფანტული მოსახლეებით. დაუღალავი შრომითა და თავდადებით, ადგილობრივ მმართველთა უხვი შემონაწირებით მოხერხდა მონასტრის მშენებლობის დასრულება. აქ დაასვენეს ხატები, მოიტანეს საეკლესიო წიგნები; სამონასტრო ტიპიკონი იერუსალიმის საბაწმინდის მონასტრიდან ჩამოიტანეს; ხატები კონსტანტინოპოლიდან წამოიღეს.[113] მალე ბერების რიცხვი გაიზარდა და ხანცთის სავანემ საყოველთაო პატივისცემა მოიპოვა, როგორც მისაბაძმა ნიმუშმა და როგორც მაჰმადიან დამპყრობთადმი პატრიოტული წინააღმდეგობის ცენტრმა. ამას მოჰყვა სამონასტრო მშენებლობის დიდი ტალღა. წმ. გრიგოლმა, რომელიც ამასობაში კლარჯეთის უდაბნოთა არქიმანდრიტად აკურთხეს, დააარსა მეორე მონასტერი შატბერდში და აგრეთვე ორი დედათა მონასტერი გუნათლესა და მერეში.[114] გრიგოლს მხარს უბამდნენ მოწაფეები და მიმდევრები. მისმა მუდმივმა თანამგზავრმა, დედის დისწულმა საბამ აღადგინა იშხნის კათედრალი, ხოლო დავითმა, ილარიონმა და ზაქარიამ შესაბამისად დააფუძნეს მიძნაძორის, წყაროსთავისა და ბარეთელთის მონასტრები.[115] ხანცთის სემინარიაში ცოდნას იღებდნენ სულიერი მოძღვრები. აქაურ სკრიპტორიუმებში თავს იყრიდნენ ცნობილი მწიგნობრები, რომელთაც სურდათ შეექმნათ საკუთარი ნაშრომები ან გადმოეწერათ თუ ეთარგმნათ საეკლესიო ლიტერატურა, ზოგჯერ მეზობელი მონასტრებისათვის შესაწირად. თვით გრიგოლი, რომელმაც შესანიშნავი განათლება მიიღო ქართლის ერისთავ ნერსეს კარზე და ჩინებულად იცოდა რამდენიმე ენა (ბერძნული და არამეული?), ასევე ჩაბმული იყო ლიტერატურულ საქმიანობაში. გიორგი მერჩულე წერს, რომ „სიბრძნისა მისისა მდინარეთაგან ირწყვოდეს ყოველნი უდაბნონი კლარჯეთისანი“ და რომ მან შეადგინა საწელიწდო იადგარი (მესაიონი) და რამდენიმე ჰიმნოგრაფიული თხზულება.[116]

ხანცთაში სხვა მწიგნობრებიც მოღვაწეობდნენ. არსენ საფარელმა (830-887), შემდგომში ქართლის კათალიკოსმა, დაწერა ტრაქტატი „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“ და „მოსახსენიებელი აბიბოს ნეკრესელისა“.[117] ხანცთაში განსწავლული ბერი იყო აგრეთვე მაკარი ლეთეთელი, რომელმაც წვლილი შეიტანა ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში. 864 წელს მან შეადგინა „მრავალთავის“ სახელით ცნობილი ქრესტომათია.[118] საბოლოოდ იგი დამკვიდრდა იერუსალიმის საბაწმინდის მონასტერში – ქართული ლიტერატურისა და მწიგნობრობის მნიშვნელოვან ცენტრში. X საუკუნის შუახანებში ხანცთაში მოღვაწეობდა გიორგი მერჩულე, რომელმაც აქ შექმნა თავისი ზემოთ ხსენებული მთავარი ისტორიულ-ბიოგრაფიული თხზულება – „გრიგოლ ხანცთელის ცხორება“. მასში დაწვრილებით არის გადმოცემული მონასტიციზმის ისტორია ტაო-კლარჯეთში და, ამას-

---

113 *ცხორება*, თავი 16, გვ. 265$_{18-19}$. უნდა შევნიშნოთ, რომ ამავე მოვლენას ვხვდებით XI საუკუნეში, როცა საქართველოს პატრიარქი მელქისედეკი კონსტანტინოპოლში მოგზაურობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა იმპერატორ რომანოზ III-ის (1028-1034) მიერ ბოძებული ხატებით, ჯვრებით და საეკლესიო სამოსით (*ქართლის ცხორება* I. გვ. 282).

114 გრიგოლმა მონასტრები ააშენა ტაო-კლარჯეთის ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, უბეში. ამისათვის მან მეფე დემეტრესაგან მიიღო არა მხოლოდ „ფრიად შესაწირავი“ და მშენებლობისათვის საჭირო სახსრები, არამედ ათი ათასი დრამაც (*ცხორება*, თავი 9, გვ. 216$_{18-23}$; თავი 21, გვ. 268$_{33-41}$).

115 *ცხორება*, თავი 27, გვ. 275$_{28-31}$; პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 347-351.

116 პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 547-549, 576-578, 614-615, 619-620, 631, 635-636, 735-743, 07-013, 074-082; ლ. მენაბდე, *კერები*, გვ. 404.

117 პ. ინგოროყვა, გვ. 347 და შემდ. M. Tarchnišvili, J. Assfalg, *Geschichte der kirchlichen georgischen Literatur*, გვ. 99-101.

118 პ. ინგოროყვა, *მერჩულე*, გვ. 348.

თან, განხილულია ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური ცხოვრება.[119] როგორც ჩანს, მერჩულე თავისი დროის წამყვანი ჰიმნოგრაფიც ყოფილა.[120] XI საუკუნის მწერლებს შორის უნდა მოვიხსენიოთ მოსე ხანცთელი, რომელმაც სხვა შრომებთან ერთად 1088 წელს შატბერდის მონასტრისათვის გადაწერა საწელიწდო საწინასწარმეტყველო (H-1350),[121] და ვინმე გიორგი, რომელსაც გამოუსყიდია ურწმუნოთა მიერ ტყვედქმნილი სახარება (A-484) და ის ხანცთისათვის შეუწირავს.[122] აქვე XII-XIII საუკუნეებში ბერმა სტეფანემ გადაწერა დეკემბრის თვენი (მენაიონი, S-4999).[123]

## 6. მონასტრის იდენტიფიკაცია

ნარკვევის დასასრულს მოკლედ უნდა განვიხილოთ ჩვენი მონასტრის იდენტიფიკაციის საკითხი. 1904 წლის 14 აგვისტოს ქვემო ფორთის (ე. ი. ხანცთის) მონასტერში მისულმა ნ. მარმა იმწამსვე განაცხადა, რომ შატბერდში იმყოფებოდა.[124] ხანცთის (ქვემო ფორთის) მონასტრის შატბერდთან გაიგივების მცდარობა შენიშნა და გაასწორა პ. ინგოროყვამ,[125] რომელიც სწორ დასკვნამდე მივიდა ლიტერატურულ წყაროებსა და საკუთარ ინტუიციაზე დაყრდნობით, ტაო-კლარჯეთის სიძველეთა ადგილზე შესწავლის გარეშე.[126] მართლაც, ნ. მარის მიერ შემოთავაზებულ გაიგივებას ხანცთის მონასტრისა შატბერდთან ეწინააღმდეგება მრავალი ურყევი არგუმენტი. ზოგიერთ მათგანს ქვემოთ მოვიყვან:

1. „გრიგოლ ხანცთელის ცხორებაში" გიორგი მერჩულე მოგვითხრობს IX საუკუნის 30-იან წლებში კლარჯეთის მეფე ბაგრატ I-ისა და მისი ორი ძმის მოგზაურობის შესახებ, გრიგოლ ხანცთელისა და მისი თანამოღვაწე ბერების თანხლებით, ამ მხარის მონასტრების მოსანახულებლად. საერო დიდებულებმა და წმინდა მამებმა თავიანთი მოგზაურობა ბაგრატის სამეფოს დედაქალაქ არტანუჯიდან დაიწყეს. პირველად ისინი ეწვივნენ შატბერდის ახლად დაარსებულ მონასტერს, შემდეგ ბერთასა და მისი მიდამოების მონასტრებს; ამის შემდგომ კი მოიარეს ოპიზის, ხანცთის, მიძნაძორის, წყაროსთავისა და ბარეთელთის მონასტრები. მათი მარშრუტი ლოგიკურად მიდის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ[127] და მერე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, მისდევს რა არსებულ მონასტერთა თანმიმდევრობას.[128]

2. ამავე წყაროში ნათქვამია, რომ ოპიზიდან უახლოესი მონასტერი არის ხანცთა.[129] რაც კარგად ეთანხმება მათს ფაქტობრივ გეოგრაფიულ მდებარეობას.

3. გიორგი მერჩულე განაგრძობს: „ხოლო შატბერდი დაღაცათუ სხუათა მათ უდაბნოთა (ე.ი. ხანცთას, ბერთას, ოპიზას, წყაროსთავს) მცირედ შორავს, არამედ განუყოფელად თანამოძმე არს მათი ერისა მის ღმრთისა სიკეთითა და ყოვლითავე საღმრთოჲსა მოძღუარებისა წესითა და კანონითა მონაზონებისა შჯულის-დებისაჲთა."[130] რაკი ადგილობრივმა მმართველებმა და სასულიერო პირებმა თავიანთი მოგზაურობა არტანუჯიდან დაიწყეს და პირ-

---

119 პ. ინგოროყვა, *მერჩულე*, გვ. 10-38; ლ. მენაბდე, *კერები*, გვ. 406-411.

120 პ. ინგოროყვა, *მერჩულე*, გვ. 15-16, 549-550, 636-637, 758, 844-856, 863, 013-014, 066-070; ლ. მენაბდე, *კერები*, გვ. 410-411.

121 იქვე.

122 იქვე.

123 იქვე.

124 Н. Марр, *Дневник*, გვ. 139.

125 პ. ინგოროყვა, *მერჩულე*, გვ. 307-310. ქვემო მონასტრის სწორი იდენტიფიკაცია შემოგვთავაზეს ნ. და მ. ტიერებმაც ("Notes", გვ. 57-58).

126 სამწუხაროდ, პ. ინგოროყვამ შეცდომით მოათავსა შატბერდი ახიზის სამხრეთ-დასავლეთით (*მერჩულე*, გვ. 307, 308, 317 და ტაო-კლარჯეთის მონასტრების რუკა 308 გვერდზე).

127 იხ. ჩვენი რუკა, სურ. A.

128 *ცხორება*, თავი 27; პ. ინგოროყვა, *მერჩულე*, გვ. 309.

129 *ცხორება*, თავი 73 და 75; ამას ადასტურებს ნ. მარიც (*Дневник*, გვ.127).

130 *ცხორება*, თავი 77, გვ. 313.

ველად კლარჯეთის სხვა სავანეებისაგან ყველაზე დაშორებული შატბერდი დაათვალიერეს, შეუძლებელია ქვემო ფორთის მონასტერი შატბერდთან გავაიგივოთ. ის შეიძლება მხოლოდ ხანცთა იყოს. რაც შეეხება შატბერდის მონასტერს, როგორც წერილობითი წყაროები გვიჩვენებს, ის არტანუჯის მიდამოებში უნდა მდებარეობდეს.[131]

4. იმავე წყაროში აღნიშნულია, რომ რაკი ხანცთის მონასტერს არ გააჩნდა საკმარისი მიწა თავის შესანახად, გრიგოლ ხანცთელმა სთხოვა მეფე აშოტს და მიიღო მისგან ნაყოფიერი მიწა შატბერდში, სადაც მან შემდგომ გააშენა მონასტერი, როგორც ხანცთის ფილიალი.[132] მართლაც, ხანცთის კლდოვანი ნიადაგი უნაყოფოა და ძნელად დასამუშავებელი, მაშინ, როცა შატბერდში (თუ მას ენი რაბათთან გავაიგივებდით) მეტად ნოყიერი, სახნავად ვარგისი ნიადაგი და ხეხილის ბაღებია.

5. მეორე თავში საბუთისა, რომელიც აღწერს მესხეთის პროვინციის ეპარქიებს, აღნიშნულია, რომ ოპიზასა და ხანცთას შორის მდებარეობს ადგილი „დახატული".[133] ნ. მარმა დახატულის ადგილმდებარეობა განსაზღვრა ოპიზასა და ქვემო ფორთას შორის,[134] მაგრამ ეს ცნობა არ გამოიყენა ქვემო ფორთის მონასტრის იდენტიფიკაციისათვის.[135]

6. დასასრულ, სინას წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერის (no.77, fol.192 b) მინაწერი მიმართავს „ნეტარ მამა გრიგოლს", როგორც ხანცთის მაშენებელს, და მარკოზს, როგორც ხანცთის სამრეკლოს მაშენებელს.[136] ამ მინაწერის შინაარსი კარგად თანხვდება ქვემო ფორთის მონასტრის სამრეკლოს წარწერას, რომელშიც მაშენებლად მარკოზია დასახელებული (ამ წარწერის შესახებ იხ. ქვემოთ, სურ. 9). რამდენადაც ტაო-კლარჯეთის მონასტრებს შორის მხოლოდ ქვემო ფორთას აქვს სამრეკლო, უეჭველია, რომ სინას ხელნაწერში მოხსენიებული მარკოზი და ქვემო ფორთის სამრეკლოს წარწერაში დასახელებული მარკოზი ერთი და იგივე პირია.

ამ მიზეზების გამო ვასკვნით, რომ მონასტერი ქვემო ფორთაში ვერ იქნება შატბერდი, როგორც ეს ნ. მარს ეგონა. ის უნდა იყოს ხანცთის მონასტერი, აშენებული ცნობილი მამის — გრიგოლ ხანცთელის მიერ.[137]

## 7. წარწერები

ხანცთაში, რომელიც კლარჯეთის წამყვან და ერთ-ერთ უდიდეს მონასტერს წარმოადგენდა, წარწერები მრავლად უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, თავისი ნაჩქარევი ვიზიტის დროს ნ. მარმა იპოვა სულ რვა წარწერა,[138] ყველა ქვაზე ამოკვეთილი და მეტწილად ძლიერ ფრაგმენტირებული. ერთი წარწერიანი ქვა ხელახლა გამოეყენებინათ სახლში კარის ზღუდარად; მეორე ჩართული იყო ტერასის კედელში წყაროს თავზე; მესამე მოიძებნა სატრაპეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელში, კიდევ ერთი — ეკლესიის სამხრეთ კედელში და ორიც — სამრეკლოზე. ეს ორი უკანასკნელი წარწერა, რომლებიც ნახა ნ. მარმა, მე ადგილზე შევისწავლე და აქ მომყავს, ვინაიდან ისინი არა მხოლოდ ყველაზე სრულია და უკეთ შემონახული, არამედ ისტორიულად მნიშვნელოვანიც. ორივე მოთავსებულია სამრეკლოს ფასადზე, შესრულებულია თანაბარი ზომის (სიმაღლე 0.07 მ) კუთხოვანი ასომთავრულით. სიტყვები ორწერტილებით არის გაყოფილი. წარწერების პალეოგრაფიული ნიშნები და შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ ისინი სამრეკლოს თანადროულია და შეიძლება დათარიღდეს XIII-XIV საუკუნეებით.

---

131 ეს შეიძლება იყოს ამჟამად ენი რაბათის სახელით ცნობილი ეკლესია. ამის თაობაზე იხ. ქვემოთ, „შატბერდი".

132 *ცხოვრება*, თავი II, გვ. 262.

133 თ. ჟორდანია, *ქრონიკები* II, 1893, გვ. 187.

134 *Дневник*, გვ. 141, 142; იხ. აგრეთვე პ. ინგოროყვა, *მერჩულე*, გვ. 311.

135 ბოლო ხანს ხანცთის იდენტიფიკაციის საკითხი განიხილა ლ. მენაბდემ (*კერები*, გვ. 396-400), რომელმაც — ჩემი აზრით — წარუმატებლად სცადა ნ. მარის მოსაზრების მხარდაჭერა.

136 ი. ჯავახიშვილი, *სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, თბილისი, 1947, გვ. $241_{17-22}$.

137 ხანცთის მონასტრის იდენტიფიკაციის თაობაზე იხ., აგრეთვე ქვემოთ, ნუკას საყდრის განხილვა.

138 ეს წარწერები განხილული აქვს ნ. მარს (*Дневник*, გვ. 142-148, სურ. 51-53).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. პირველი წარწერა ექვსსტრიქონიანია, მოთავსებულია სამრეკლოს ფანჩატურის სამი სუფთად თლილი ბლოკის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს (ტაბ. 40, სურ. 8):



8. სამრეკლო, გუმბათის ყელი კალატოზის წარწერით

**ქ(რისტ)ე: შ(ეიწყალ)ე: ამისი: ოსტ(ატ)ი: გ(ა)ლ(ა)**
**ტ(ო)ზნი: კლდელი: აბეს**
**ალმას: მისნი: ამხ(ა)ნ(ა)გ**
**ნი: ქამ(ი(რსა: ყაზ(ა)ნსა: მს**
**ახ(უ)რსა: შ(ეუნდვე)ნ: ღ(მერთმა)ნ: ე(ი)ნცა: შენ**
**დობა: ბარ[ძანონ]**

2. მეორე წარწერა სამსტრიქონიანია, ამოკვეთილია ერთ ქვაზე სამრეკლოს ფანჩატურის დასავლეთ მხარეს (ტაბ. 41, სურ. 9):



**ქ(რისტ)ე: შ(ეიწყალ)ე: მ(ა)რკ(ო)ზ:**
**დედა: მამა:**
**მისი: შ(ეუნდვე)ნ: ღ(მერთმა)ნ:**

9. სამრეკლო, გუმბათის ყელი მეორე წარწერით

ეს წარწერა არ ამჟღავნებს მარკოზის სტატუსს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ის არ იყო მშენებელი ოსტატი, რაკი ეს მდგომარეობა აბესალმას ეკავა. მიუხედავად ამისა, სამრეკლოს მშენებლობის პროცესში მას რაღაც მნიშვნელოვანი ფუნქცია უნდა ჰქონოდა, შესაძლოა, სამუშაოთა ხელმძღვანელისა. ასეთი თანამდებობა აღნიშნულია საქტიტორო წარწერაში ოშკის სამხრეთი კარიბჭის ტიმპანზე (იხ. ქვემოთ). ასეა თუ ისე, მარკოზის მონაწილეობას სამრეკლოს მშენებლობაში ადასტურებს ჩვენი წარწერა და სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის 77-ე ხელნაწერის მინაწერი, რომელიც, სხვათა შორის, მოიხსენიებს მარკოზს, ხანცთის სამრეკლოს მაშენებელს.[139]

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ორივე წარწერა ხასიათდება გრამატიკული შეცდომებით და ცუდი სტილით.

[139] იხ. ზემოთ, შენ. 129.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# E. შატბერდის მონასტერი

დაუღალავი და შეუპოვარი საეკლესიო მოღვაწის, გრიგოლ ხანცთელის მიერ ტაო-კლარჯეთში დაარსებულ მონასტერთაგან ერთი უადრესია შატბერდის სავანე, რომელიც ხანცთის მონასტრის მშენებლობის დასრულებისთანავე დაფუძნდა. ამის გამო „გრიგოლ ხანცთელის ცხორება" მოგვითხრობს, რომ აშოტ კურაპალატმა მიიწვია გრიგოლ ხანცთელი თავის სამყოფელში, რათა გამოეთქვა მისთვის აღფრთოვანება ხანცთის ახლად აშენებული მონასტრის ღირსებათა გამო. მათი საუბრიდანვე ვგებულობთ, რომ ხანცთაში „სათესავი ყანაჲ და სათიბელი ქუეყანაჲ რაჲთურით არა არს, არცა ღირღილოვანთა მათ ფიცხელთა მწურვალთა მათ ლაღოთაჲსა" და „ესე ვითარცა ესმა დიდებულსა კურაპალატსა, შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანცთისა. მაშინ სამთა დიდებულთა ძეთა კურაპალატისათა – ადარნასე, და ბაგრატ, და გუარამ შეწირნეს თითოეულად რაჲცა საჴმარი მონასტერსა მისსა უჴმდა, ყოველი უხუებით" („ცხორება", გვ. 262-263).

გრიგოლმაც გადაწყვიტა შატბერდს ნაბოძებ მიწაზე მონასტრის აშენება. ამ განზრახვით მან მიმართა აშოტის მემკვიდრეს, ბაგრატ კურაპალატს, კურაპალატობის ღირსების მინიჭების მისალოცად და მამამისის შესაპირის შესახსენებლად, შატბერდს გიბოძებო. მას უთქვამს: „უკუეთუ მიბრძანოს მეფობამან შენმან, აღვაშენო სადიდებლად ღმრთისა და საცხორებლად სულისა შენისა. და ვიდრე ეგოს ცაჲ და ქუეყანაჲ, ეგოს მას შინა ლოცვაჲ შენთჳს. მაშინ სიხარულით უბრძანა ბაგრატ კურაპალატმან შენებაჲ მისი და მისცა ყოველივე საჴმარი საშენებელად" („ცხორება", გვ. $273_{5-10}$). გრიგოლმა „ჯუარი დაწერა ადგილსა მას ჩინებულსა და იწყეს საქმედ ეკლესიისა და სენაკებსაცა. და ესრეთ ღღითი-ღღე აღორძნდებოდა იგი კეთილად" („ცხორება", გვ. $273_{26-27}$). „ამისა შემდგომად უწოდა კურაპალატმან წმიდასა მას. და ვითარცა მიიწია მის წინაშე, ყოველი აუწყა კეთილად განმარჯუებაჲ მონასტერსა მის ქრისტჱს მიერ. მაშინ უბრძანა ადგილნი მარჯუენი აგარაკად შატბერდსა, და ყოველი, რაჲცა უჴმდა, მისცეს მისთჳს სრულიად საშენებელად" („ცხორება", $273_{35-38}$). ამრიგად, ვარგისი მიწებით მდიდარი შატბერდი ხანცთის თავიდან აგარაკად ებოძა, შემდეგ კი დამოუკიდებელ, თუმც მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ, საკუთარი მიწების პატრონ მონასტრად იქცა.

შატბერდმა მალე გაითქვა სახელი და მერჩულეს თხზულებაში იგი აღმატებულ ხარისხში მოიხსენიება. მან მიიზიდა იმ დროს გამორჩეული ადამიანები, რომელნიც აქ სკრიპტორიუმის ჩამოსაყალიბებლად მოვიდნენ. როგორც შემორჩენილი ხელნაწერები ამტკიცებენ, უკვე IX საუკუნეში აქ იქმნებოდა სასულიერო მწერლობის ყველა დარგის მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. მონასტრის გამორჩეულობა არა მარტო „გრიგოლ ხანცთელის ცხორებიდან" ირკვევა, არამედ აქ თუ სხვაგან გადანუსხული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებითაც. ერთი მათგანია ანტიოქიის მახლობლად, ღმრთისმშობლის მონასტერში, ანტიოქიაში დამკვიდრებამდე შატბერდს მოღვაწე იოანე ჯიბისძის მიერ 1042-1065 წლებში გადაწერილი „დიდი სჳნაქსარის" (H 2211) ვრცელი ანდერძი. შორეთშიც კი არ შენელებულა შატბერდის სიყვარული, „რომელ ეგზების სიყვარულითა შატბერდისაჲთა ვითარცა [ცეცხლითა] და მოქადულ [არს] მატებსა მისსა ზედა სულიერისა მის და ჭეშმარიტისა ცხორებისა."[140]

მიუხედავად დიდი სახელისა, შატბერდის ზუსტი ადგილმდებარეობა არასოდეს ყოფილა ცნობილი და ფუჭი დავის საგანიც შეიქნა. ზოგიერთი მეცნიერი მას დოლისყანას უი-

---

[140] W. Djobadze, *Materials*, გვ. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივებდა, ე. თაყაიშვილი ევფრატის ხეობაში დაეძებდა.[141] ნ. მარი კი, რომელმაც ტაო-კლარჯეთი 1904 წელს მოიარა, დარწმუნებული იყო, რომ შატბერდი ქვემო ფორთშია საძიებელი, რომელიც სინამდვილეში ხანცთის მონასტერია (იხ. ზემოთ).

შატბერდის მდებარეობის შესახებ ნაწილობრივ პასუხს ვპოულობთ „გრიგოლ ხანცთელის ცხორებაში", რომელიც, როგორც დავინახეთ, ტაო-კლარჯეთის მონასტერთა შესასწავლად ძირითად წყაროს წარმოადგენს. ერთხელ გრიგოლმა მიიწვია აშოტის ძენი და დიდებულნი მის მიერ კლარჯეთს აგებული მონასტრების მოსანახულებლად. ისინი არტანუჯიდან გამოეშურნენ, ჯერ შატბერდს მივიდნენ, შემდეგ ანჩის მონასტერს, შემდგომ ღმრთისმშობლის მონასტრებში – ჯმერკსა და ბერთას, აქედან კი დაბას – წმ. გიორგის მონასტერს. დაბადან ისინი გამოემართნენ ოპიზას წმ. იოანე ნათლისმცემლისა და ახლომდებარე ხანცთის წმ. გიორგის სავანეებისაკენ (თავი 27, გვ. 274-275).[142] ხანცთაში გადაწყდა, გრიგოლი კლარჯეთის ყველა მონასტრის არქიმანდრიტად დაედგინათ. ამის მერე უფლისწულებმა გააგრძელეს მოგზაურობა აღმოსავლეთით მდებარე მიძნაძორის, წყაროსთავისა და ბარეთელთას მონასტრებისკენ (თავი 28, გვ. 275).

ამ მონაკვეთიდან ნათელია, რომ არტანუჯიდან მისასვლელად ყველაზე ახლოს შატბერდი იყო, დანარჩენები კი სულ უფრო დიდი მანძილებითაა მას დაცილებული. ამგვარი თანმიმდევრობა საუკეთესოდ ეთანხმება ჩვენს რუკას (სურ. A). შესაბამისად, შატბერდი სხვა მონასტრებზე ნაკლებად უნდა იყოს შორს არტანუჯიდან. ამ დროს, არტანუჯსა და იმერხევს შუა ჩემი მოგზაურობისა და მუშაობის დროს, ვერსად მივაგენი რაიმე ნანგრევსა თუ ნაგებობას, რომელიც შეიძლებოდა შატბერდი ყოფილიყო. ერთადერთი მონასტერი, რომელიც ზემომოყვანილ მონათხრობში ხსენებულ შატბერდად შეიძლება მივიჩნიოთ, უნდა იყოს ადგილი, რომელიც დღეს ენი რაბათის სახელითაა ცნობილი. მართლაც, აქ ნოყიერი ნიადაგიცაა და სათიბებიც, მეტადრე მის ჩრდილოეთით, რაც ძალზე სახარბიელო უნდა ყოფილიყო მშარდი და უმიწო ხანცთის სავანისთვის. თუ ეს იდენტიფიკაცია მისაღებია, გადასახედია სხვა გარემოებანი, თუნდაც ის, აქედან არტანუჯამდე სამნახევარი საათის სავალი რომ არის, ხანცთიდან კი (რომელზედაც იგი იყო დაქვემდებარებული) კიდევ მეტი. არაპირდაპირი პასუხი თვითვე „ცხორებაში" მოიძებნება, სადაც ნათქვამია, შატბერდი მოშორებით არისო ხანცთის, ოპიზის, ბერთის, მიძნაძორისა და წყაროსთავისაგან, რომელნიც ახლო-ახლო არიან ერთმანეთთან (თავ. 77, გვ. 313). მეორე მხრივ, მონასტერთა ისეთი ქომაგისთვის, როგორიც გრიგოლ ხანცთელი იყო, ანდა მისი მოწაფეებისთვის ეს მანძილი ნაკლებად შემაწუხებელი იქნებოდა, ვიდრე ახლანდელი მოგზაურისთვის.

შატბერდის ენი რაბათთან გაიგივების საწინააღმდეგო მეორე საბუთი ეკლესიის გეგმარება და სამშენებლო ტექნიკაა, რომელიც XI საუკუნის შუა წლების პირველ ნახევარს გვიჩვენებს, მაშინ როდესაც შატბერდი, „გრიგოლ ხანცთელის ცხორების" მიხედვით, აშოტ კურაპალატის 826 წელს გარდაცვალების ახლო ხანებში აშენდა. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ IX საუკუნეში გრიგოლ ხანცთელის მიერ აგებულ ტაძართა უმრავლესობა საფუძვლიანად გადაკეთდა ან შეიცვალა და ასე შეიძლებოდა მომხდარიყო ენი რაბათის ეკლესიის შემთხვევაშიც.[143]

## 1. შატბერდში გადანუსხულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები

შატბერდის სკრიპტორიუმი ერთი ყველაზე ცნობილი იყო ტაო-კლარჯეთში, ნაყოფიერიცა და დღეგრძელიც. წერილობით საბუთებში იგი აღმატებული ეპითეტებით იხსენიება, ვითარცა „დიდი და დიდებული ლავრა შატბერდისა" ვიდრე XIII-XIV საუკუნეებამდე. სკრიპტორიუმებში ილვწოდნენ სახელგანთქმული მომხატველნი, გადამწერნი და, რაც მთავარია, მწიგნობარნი. მათ შორის იყვნენ სოფრონ შატბერდელი, იოანე ბერაი, დავით ჯიბისძე, გრიგოლ ვაჩეძორელი, სტეფანე შატბერდელი და თვით უსახელგანთქმულესი

---

[141] ლ. მენაბდე, *კერები*, გვ. 412.

[142] ამასთან დაკავშირებით იხ. ასევე პ. ინგოროყვა, *მერჩულე*, გვ. 351-353.

[143] ეს საკითხი განხილულია თავში ენი რაბათის შესახებ.

სწავლული – გიორგი ათონელი. მათი მოღვაწეობა არ შემოიფარგლებოდა ადგილობრივი მონასტრებით, იგი შორეულ ქართულ კოლონიებსაც სწვდებოდა სინაზე, პალესტინაში, შავსა და საკვირველ მთაზე ანტიოქიის დასავლეთით და, პირველ რიგში, ათონის ქართველთა სავანეს. უზომოა მათი დამსახურება ქართული ჰაგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული და ჰომილეტიკური ლიტერატურის, ასევე ქართული ენის წინაშეც. აქ შატბერდის სკრიპტორიუმში ბერების თავაუღებელი მუყაითი შრომით შექმნილ და გადაწერილ ლიტერატურულ ქმნილებათაგან ზოგიერთი გვაქვს მოყვანილი.

## *1. ადიშის ოთხთავი*

თავიდან ადიშის ეკლესიაში დაცული, ახლა იგი მესტიის ეთნოგრაფიულ მუზეუმშია (ტაბ. 42), ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში. იგი სოფრონ შატბერდელის დაკვეთილია, 897 წელს მიქელის მიერ გადაწერილი; აკინძა და ყდა შეუქმნა მიქელ დიაკონმა, მასალა – ეტრატი. ზომები: 0.38 × 0.32 მ.

*ანდერძი:* „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთის მშობელისაჲთა და წმიდისა იოანე ნათლის-მცემელისაჲთა და წმიდათა მახარებელთა და ყოველთა წმიდათა მისთაჲთა ღირს ვიქმენ მე, გლახაკი სოფრონ, აღსრულებად წმიდასა ამას წიგნსა სახარებასა ოთხთავსა ფრიადითა მოღუაწებითა სულიერთა ძმათა ჩემთაჲთა, სალოცველად ყოვლისა ამის კრებულისათჳს და ყოველთა ნათესავთა ჩუენთა ჴორციელად, და სალოცველად მეფეთა ჩუენთა ღმრთივ დიდებულისა აშოტ კურაპალატისა და ღმრთივ ბოძებულ ნაშობთა მათთა დავით ერისთავისა და მეუღლეთა და ნაშობთა მათთათჳს და სალოცველად სულთა გარდაცვალებულთათჳს: სულისა მამისა გრიგოლისა, სულისა მამისა გაბრიელისა და ყოველთა ძმათა ჩუენთა გარდაცვალებულთათჳს და სულთა მეფეთა ჩუენთათჳს: არსენისა, დავითისა, აშოტისა და ყოველთა თჳსთა გარდაცვალებულთათჳს. აწ ვინცა ღირს იქმნნეთ აღმოკითხვად და მსახურებად წმიდასა ამას სახარებასა მოგჳხსენენით წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა ჩუენ და ყოველნი, რომელნი წერილ არიან, რაჲთა თქუენცა მიგანიჭოს ღმერთმან კეთილი საუკუნო, და ჩუენ ყოველნი ერთობით ღირსამცა ვართ საყოფელსა ცათასა ქრისტე ღმრთისა უფლისა ჩუენისა..."[144]

ამავე ხელნაწერის ფ. 386 V-ზე არის XVI საუკუნის მინაწერი, რომლის თანახმად ჯუმათის მამასახლისყოფილი ნიკოლაოსი დიდი გაჭირვებით მოსულა შატბერდს აქაური ხელნაწერების შესაგროვებლად და უსაფრთხო ადგილას მათ გასარიდებლად – მოწმობა იმისა, რომ კლარჯეთის სამხრეთ ნაწილში მოგზაურობა უხიფათო აღარ ყოფილა, მონასტერი კი იმ ზომამდე მიგდებული, რომ სამღვდელომსახურო წიგნებიც აღარ ესაჭიროებოდა.[145]

## *2. ჯრუჭის ოთხთავი*

ინახება თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში, H-1660. დამკვეთი – გრიგოლ ძე მირდატისა. გადამწერი – გაბრიელ შატბერდელი. თარიღი – 936 წელი. მომხატველი – თევდორე, 940 წელს (ტაბ. 43, 44). მასალა – ეტრატი, ზომები – 0.26 × X0.21 მ., 291 ფ.

*ანდერძი* (ფ. 291): „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულითა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, ძლიერებითა პატიოსნისა ჯუარისაჲთა, მეოხებითა წმიდისა იოვანე ნათლის-მცემლისათა და წმიდათა მახარებელთაჲთა და მოციქულთაჲთა და წმიდათა წინასწარმეტყუელთაჲთა, წმიდათა მღვდელ-მოძღუართა და ყოველთა მამათაჲთა და ყოველთა წმიდათა ნების მყოფელთა მისთაჲთა ღირს ვიქმენ მე, გრიგოლ, დაწერად წმიდაჲ ესე სახარებაჲ ჴელითა გაბრიელ მღდელთა ნარჩევისაჲთა თავად მეუფესა ჩემსა სუმბატს სალოცველად და შემდგომად მშობელთა ჩემთა მირდატისთჳს, თაგუნაჲსთჳს და ძმათა და დათა ჩემთათჳს და ჩემთა ცოდვათა და თანაცხორებულისა ჩემისათა საჴსრად და მკუდართა საჴსენებლად: ილარი-

[144] ა. შანიძე, *ქართული ოთხთავის ძველი რედაქციები*, თბილისი, 1945, გვ. 014, 015.

[145] იქვე, გვ. 015.

ონისთჳს და დაშჯლისთჳს. აწ ვინცა იკითხავდეთ წმიდასა ამას სახარებასა, ნუმცა დავიწყებულ ვართ ლოცვასა წმიდასა თქუენსა ცოცხალნი და მკუდარნი, რაჲთა თქუენცა უფალმან მადლი მოგანიჭოს. ამენ.

დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შატბერდს ჴელითა უცბად მიხრეკულისა ბატრიელი-სითა, თანა-შეწევნითა და მოღუაწებითა გაბრიელისითა და გეორგისითა, რომელთაჲ დი-დი გულს-მოდგინებაჲ აჩუენეს ამის წმიდისა სახარებისა დაწერასა. ჴსენებულმცა არიან კეთილსა შინა! ამენ.

დასაბამითგან წელნი იყვნეს ტფჱ. ქრონიკონი იყო რნვ. სადიდებლად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ."[146]

### 3. პარხლის ოთხთავი

ინახება თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში, A-1453. გადამწერი — იოვანე ბერაი. თარიღი — 973 წელი. ზომები: 0.23 × 0.205 მ.

*ანდერძი* (ფ. 237). „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულითა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა მარადის ქალწულისა მარიამისითა, ძალითა ცხოველ-მყოფელისა პატიოსნისა ჯუარისაჲთა, მეოხებითა წმიდისა და ნეტარისა წინასწარმეტყუელისა იოვანე ნათლისმცემლისაჲთა, მეოხებითა და შეწევნითა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთაჲთა და წმიდათა წინასწარმეტყუელთაჲთა, მეოხებითა წმიდათა მახარებელთაჲთა: მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანესითა, მეოხებითა წმიდათა მოწამეთაჲთა და ღირსთა მღდელთ მოძღუართაჲთა და ნეტართა მამათაითა ღირს ვიქმენ მე, გლახაკი იოვანე, ნართაულად ბერაი, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავსა და მოღუაწებითა სულისა წმიდისაჲთა და შეწევნითა ღმრთო-შემოსილთა კაცთაჲთა, სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა და სამოძღურებლად თავისა ჩემისა და სალოცველად მეფეთა ჩუენთათჳს დიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა ერისთავისა და ღმრთივ მონიჭებულთა ძეთა მათთათჳს დაიწერა დასაბამითგანა წელსა ტფჳ (6577 – 5604 = 973). ქრონიკონი იყო მეცამეტედ ქცეული რჟგ (780 + 193 = 973)."[147]

მეორე ანდერძის თაობაზე იხ. თავი პარხლის შესახებ (ქვემოთ).

### 4. შატბერდის კრებული

ინახება თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში, S-1141. გადამწერი — იოვანე ბერაი. თარიღი — 973-976 წლები. ძომები — 0.28 × 0.22 მ. მასალა — ეტრატი; 287 ფ.

იგი შეიცავს მრავალ ორიგინალურსა თუ ნათარგმნ თხზულებას, რაც შატბერდელი მწიგნობრების მრავალმხრივი მოღვაწეობის მოწმობაა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია:

1. გრიგოლ ნოსელი, „კაცისა შესაქმისათჳს";
2. ეპიფანე კჳპრელი, „თუალთაჲ";
3. ბასილი კესარიელი, „მჴეცთათჳს";
4. იპოლიტე რომაელი, „დავითისა და გოლიათისათჳს განმარტება";
5. „მოქცევაჲ ქართლისაჲ";
6. „თარგმანებაჲ დავითის ფსალმუნთაჲ".

*ანდერძი:* (ფ. 285V). „მე, ცოდვილი და უნარჩევესი ყოველთა მოწყსეთაჲ იოვანე ბერაი, გავასრულე წმიდაჲ ესე წიგნი კაცისა შესაქმჱ და მეორედ წიგნი თუალთაჲ და სასისმეტყუელი და იპოლიტე და ქართლისა მოქცევაჲ და ცხორებაჲ ნეტარისა მის და დიდებულისა მღდელ-მოძღურისა იაკობ ხუცესისაჲ და ნისბინელისაჲ და თარგმანებაჲ ზოგთარე

[146] ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 021-032; Р. Шмерлинг, *Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI столетий*, Тбилиси, 1979, გვ. 33-56 – აქ განხილულია ჯრუჭის ოთხთავის დასურათება. ჯრუჭის ოთხთავის ანდერძი გამოქვეყნებული აქვთ რ. ბლეიკს და ს. დერ ნერსესიანს: "The Gospels of Bert'ay: An Old-Georgian Ms. of the Tenth Century", *Byzantion* 16, 1944, გვ. 253-254.

[147] ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 034.

ფსალმუნთა დავითისა, მოღუაწებითა და თანადგომითა დედის ძმის ჩემისა მიქაელისა და ძმისა ჩემისა დავითისითა... და შევწირე შატბერდს საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, რომელსაცა შინა აღვიზარდე, სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა და მშობელთა ჩემთა და სალოცველად მეფეთა ჩუენთა ბაგრატ მეფისა ყოველთა შვილთა მათთათჳს."[148]

## 5. ბასილი დიდის „ფსალმუნთა განმარტებაჲ"

ინახება თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში, A-135. დამკვეთი – დავით ჯიბისძე, ეზრას ბრძანებით. გადამწერნი – საბა, მიქელი, გაბრიელი და იოანე. თარიღი – 1035 წელი. ზომები – 19.5 × 13 სმ. მასალა – ეტრატი; 257 ფ.

*ანდერძი:* „ამისთჳსცა მე, დავით ჯიბისძემან, ტურთმძიმემან ცოდვითა და უდებმან სინანულითა დავწერე ესე წიგნი ბრძანებითა ეზრა მამადმთავრისა, შემოქმედისა და მწყალობელისა ჩემისა... დავწერე ჴელითა სულიერთა ძმათა ჩემთაჲთა საბასითა, მიქაელისითა და გაბრიელისითა და გავასრულე ჴელითა შვილისა ჩემისა ივანესითა და შევმოსე ულირსითა ჴელითა ჩემითა. და დავდევ შემდგომად სიკუდილისა ჩემისა შატბერდს, საყოფელს წმიდისა ღმრთისმშობელისასა..."[149]

## 6. ბასილი დიდისა და გრიგოლ ნოსელის თხზულებანი

ინახება თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში, A-73. გადამწერი – გრიგოლ ვაჩეძორელი. თარიღი – XI საუკუნე. მასალა – ქაღალდი. ზომები – 16 × 23, 5 სმ., 210 ფ.

*ანდერძი:* „დაიწერა დიდსა ლავრასა შატბერდს, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისა, ჴელითა ფრიად ცოდვილისა გრიგოლ ვაჩეძორელისაჲთა."

## 7. კრებული

ინახება თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში, S-4939. დამკვეთი: გიორგი მროველი. თარიღი – XII-XIII საუკუნეები. მასალა – ეტრატი (პალიმფსესტი). ზომები – 16.5 × 12 სმ., 46 ფ.

*ანდერძი:* „ადიდენ ღმერთმან სული გიორგი მამათმთავრისა, მროველისა... ბრძანებითა მათითა აღიწერნეს ესე დიდსა შატბერდსა და ესეცა წმიდათა მოწამეთა და მამათა საკითხავნი თქომილი წმიდისა მამისაჲ იოანე დამასკელისაჲ შესხმაჲ წმიდათა მოწამეთაჲ."

## 8. საწელიწდო

ინახება თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში, S-1380. დამკვეთი – ეგნატი. გადამწერი – მოსე ხანცთელი, შატბერდის მონასტრისათვის. თარიღი – ტე (305 + 780 = 1085 წელს).

---

[148] *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა* II, 1961, გვ. 326-40. იგი შეიცავს აგრეთვე ანდერძ-მინაწერებსაც (გვ. 38-40). მისი მორთულობა განხილული აქვს შმერლინგს (დასახ. ნაშრ., გვ. 61-63); M. Tarchnišvili, J. Assfalg, *Geschichte der kirchlichen georgischen Literatur*, გვ. 65-66, 357-361, 406.

[149] ლ. მენაბდე, *კერები* I, გვ. 419-420. ანდერძის სრული ინგლისური თარგმანი, ლიტერატურა და კომენტარები იხ.: Djobadze, "*Materials*", გვ. 1-5, 96-97 და ტაბ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## F. ნუკას საყდარი

იდუმალი ეკლესია, რომელიც ახალ დროში პირველმა ნ. მარმა მოინახულა და აღწერა.[150] მაგრამ შეცდომით გააიგივა ხანცთის სახელგანთქმულ მონასტერთან, მდებარეობს მდ. კარჩხლის მარჯვენა ნაპირზე, ოთხიოდე კმ-ის დაშორებით იმ ადგილიდან, სადაც ის მდ. იმერხევს უერთდება. ეკლესია ეულად დგას თითქმის შვეული, ფრიალო ფლატის წვერზე (ტაბ. 45), ძლიერ ციცაბო მთის აღმოსავლეთ მხარეს. ბოლო დრომდე ეკლესიასთან მისვლა ძლიერ ჭირდა მაგრამ  უკანასკნელ ათწლეულში ორი გზა გაიყვანეს მდ. კარჩხლის ორსავე ნაპირზე: ერთი, მდინარის მარჯვენა მხარეს, მიდის ზემოთ, ხანცთის მონასტრამდე, მეორე, მარცხენა მხარეს – მიძნაძორისა და წყაროსთავის მონასტრებამდე. ნუკას საყდარში შესვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ გრძელი მისადგმელი კიბის ან ხიდის მეშვეობით (ტაბ. 46). ისინი აღარ არსებობს და ახლა ეკლესია მიუდგომელია, ამიტომ მე მოვახერხე მხოლოდ მისი გარე კედლების დათვალიერება შორიდან და აგრეთვე ინტერიერის ზოგი ნაწილის დანახვა შესასვლელის უკარო ღიობში (ტაბ. 47). ეკლესია ბურჯების ორი წყვილით დაყოფილი სამნავიანი ბაზილიკაა.

გვერდითი ნავების ზემოთ აღმართულ შუა ნავს აქვს ორფერდა სახურავი. მის გრძივ კედლებში ოთხ-ოთხი სარკმელია. ეკლესიის მთელი სამხრეთი მხარე და აღმოსავლეთი მხარის დიდი ნაწილი აგებულია მასიურ საყრდენ კედელზე, რომელიც თვით ეკლესიაზე ბევრად მაღალია. ნაწილობრივ კლდეში ნაკვეთი ჩრდილოეთი ნავი სამხრეთისაზე ვიწრო და უსწორმასწორო ჩანს.[151] საგანგებოდ არის აღსანიშნავი მართკუთხა კამაროვანი სათავსი (ტაბ. 48) ეკლესიის იატაკის ქვეშ, მის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან. ამჟამად ის ჩანგრეულია. ამ სათავსის დანიშნულება უცნობია. რამდენადაც ეკლესიის ირგვლივ საფლავების მოწყობის პირობები არ არის, შესაძლოა, ეს ოთახი კრიპტად ყოფილიყო გამოყენებული, ისევე, როგორც ოშკში.

ეკლესია ნაგებია ადგილობრივ მოპოვებული ქვიშაქვის უხეშად დამუშავებული ბლოკებით. სამშენებლო ხსნარი ძუნწად არის ნახმარი. ალაგ-ალაგ წყობის ერთი რიგის ფარგლებში ქვების ზომა სხვაობს, რაც რიგების უსწორმასწორობას იწვევს. ფართო  ღრეჩოები ქვებს შორის ხსნარით არის ამოლესილი. ეს IX საუკუნის შენობათა დამახასიათებელი თავისებურებებია, ისინი თავს იჩენს ოპიზის მონასტრის ადრინდელ ნაგებობებში, ხანცთის მონასტრის გალავანში და პარეხთასა და ეკეკის ეკლესიებში. სამწუხაროდ, ნუკას საყდარს არა აქვს რაიმე წარწერა, რომელიც დაგვეხმარებოდა მის იდენტიფიკაციაში ან აგების თარიღის დაზუსტებაში. ზემოაღნიშნული თვისებები გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი ეკლესია შეიძლება მიეკუთვნებოდეს IX საუკუნეს ან, იქნებ, სულაც X საუკუნის I ნახევარს. ასეთი დათარიღების სასარგებლოდ მოწმობს ის სიძნელეებიც, რომლებსაც მოახალშენე ბერები წააწყდნენ, როცა ენთუზიაზმით დაიწყეს ეკლესია-მონასტრების მშენებლობა არახელსაყრელ პირობებში, დახელოვნებული ოსტატებისა და საჭირო ხელსაწყოების გარეშე.[152]

ნუკას საყდრის განხილვისას მოკლედ უნდა შევჩერდეთ მისი მიდამოების ტოპოგრაფიაზეც. როგორც ითქვა, ეკლესია აშენებულია ძლიერ ციცაბო, ძნელად ასასვლელ მთაზე. მიმსვლელისათვის დამატებით დაბრკოლებას ქმნის ზეაზიდული ფრიალო კლდე, რომელზეც უშუალოდ დგას ნაგებობა. ეკლესია იმგვარად არის შეჭრილი კლდის სამხრეთ

---

[150] *Дневник*, გვ. 124-130.

[151] ეკლესიის ინტერიერის აღწერა იხ. ნ. მართან: *Дневник*, გვ. 128-129.

[152] *ცხოვრება*, თავი 7, გვ. $257_{4-6}$.

ფერდში, რომ ჩრდილოეთიდან სრულიად მიუდგომელია. მისი სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლები ასევე შვეულ კლდეზეა აღმართული. შესაბამისად, სტრატეგიული თავისებურება მოწმობს, რომ უსაფრთხოებასა და ბუნებრივ დაცვას ბერებისა და მშენებლებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთი სიფრთხილის საჭიროება იოლი გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ არაბთა მხედართმთავრის – მარვან იბნ მოჰამადის 736-738 წლების დამსჯელი ლაშქრობისა და შემდგომი, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კოლონიზაციის საწყისი ეტაპისდროინდელი შემოსევების უმძიმეს შედეგებს. მონასტრების უშიშროება დამოკიდებული იყო არა გალავნებზე, როგორც სირიასა და საბერძნეთში, არამედ მათ ბუნებრივად დაცულ სტრატეგიულ მდებარეობაზე, რაც, ამასთანავე, მალავდა მათ პოტენციური მტრის თვალისაგან. ეს თავისებურება აშკარად ჩანს ტაო-კლარჯეთის X საუკუნის შუახანებამდე აგებულ ყველა მონასტერში – ოპიზაში, პარეხთაში, ხანცთაში, წყაროსთავში, მიძნაძორსა და შატბერდში. მხოლოდ X საუკუნის შუახანებიდან, ადგილობრივ მეფეთა მიერ რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგ იწყება მონასტრების მშენებლობა იოლად მისასვლელ ხეობებში, როგორც არის გაშენებული ოშკის, ოთხთა ეკლესიის, პარხლისა და ხახულის მონასტრები.

ნ. მარმა ნუკას საყდარი 1904 წელს ნახა და ის ხანცთასთან გააიგივა. იგი ლაპარაკობს სამონასტრო ნაგებობებზე, რომლებიც ზუსტად შეესაბამება გიორგი მერჩულეს მიერ „გრიგოლ ხანცთელის ცხორებაში“ აღწერილს.[153] მაგრამ ჩემ მიერ ადგილზე ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ ასეთი ნაგებობები არ გამოავლინა. მე ვერც ჭიშკრიანი გალავანი ვიპოვე, რომელსაც ახსენებს ნ. მარი. ნუკას საყდრის ახლომახლო არც ბერთა სენაკების ნაშთებია, არც ნაგებობები, რომლებიც შეიძლებოდა ყოფილიყო სკრიპტორიუმი, სატრაპეზო თუ საკუჭნაო. მეტიც, ტოპოგრაფიული პირობები შეუძლებელს ხდის იმგვარი სამონასტრო ნაგებობების არსებობას, როგორიც აღწერილია „გრიგოლ ხანცთელის ცხორებაში“. ნ. მარის მიერ შემოთავაზებული იდენტიფიკაცია ამ ეკლესიისა ხანცთის მონასტერთან აშკარად მცდარია.[154] გარდა ზემოთ ნათქვამისა, ამას ამტკიცებს შემდეგიც:

1. ნუკას საყდარი ბაზილიკაა და სამშენებლო ტექნიკაში IX საუკუნის ეკლესიებისათვის (პარეხთა, ესბეკი) დამახასიათებელ ნიშნებს ამჟღავნებს, რის გამოც შეუძლებელია ის მივიჩნიოთ ხანცთის ეკლესიად, რომელიც X საუკუნის I ნახევარში აშენდა.

2. ისეთ დამრეც ფერდობზე, როგორზეც ნუკას საყდარი დგას, შეუძლებელია საკმარისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მოყვანა ხანცთისოდენა მონასტრის თემის საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

3. გიორგი მერჩულეს მიხედვით, ქვები ხანცთის მონასტრის ასაგებად შორი ადგილიდან მოჰქონდათ, ნუკას საყდარი კი ადგილობრივ მოპოვებული ქვითაა ნაგები.

4. ხანცთის მონასტრის საყრდენი კედლების აღწერა „გრიგოლ ხანცთელის ცხორებაში“, რომელსაც იმოწმებს ნ. მარი თავისი მოსაზრების დასაცავად, მართლაც უდგება ნუკას საყდარს, მაგრამ ის ასევე შეეფერება ქვემო ფორთის მონასტერს, რომელიც, ჩემი აზრით, არის ნამდვილი ხანცთა.

5. „გრიგოლ ხანცთელის ცხორების“ მიხედვით, სანამ ხანცთის ეკლესიის მშენებლობას დაიწყებდნენ, საჭირო გახდარა მიწის მოსწორება. ესეც არ შეესაბამება ნუკას საყდარს – აქ მოსასწორებელი მიწა საერთოდ არ არის, მხოლოდ კლდეა.

6. დასასრულ, ნუკას საყდრის ირგვლივ არ არის სამონასტრო ნაგებობები, რომლებიც შეიძლებოდა მიგვეღო „გრიგოლ ხანცთელის ცხორებაში“ აღწერილ ხანცთის მონასტრად.

ამ მიზეზების გამო ნუკას საყდრის სახელით ცნობილი იდუმალი ეკლესია არ შეიძლება გაიგივდეს ხანცთის მონასტერთან. ის ჯერჯერობით ანონიმური რჩება.

---

[153] *Дневник*, გვ. 127.

[154] ნ. მარის მცდარი იდენტიფიკაციები ნუკას საყდრისა ხანცთის მონასტერთან და ხანცთის მონასტრისა შატბერდთან უარყო პ. ინგოროყვამ (*გიორგი მერჩულე*, გვ. 311, 314), მაგრამ იგი შეცდა, როცა ნუკას საყდარი V საუკუნეს მიაკუთვნა (იქვე, გვ. 314-316, 376-379 და განსაკუთრებით 315). იხ. აგრეთვე ზემოთ თავი ხანცთის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## C. ეკლესია და სხვა არქიტექტურული ნაშთები ესბეკში

მცირე დაბა ესბეკი მდებარეობს ოლთუჩაის მარცხენა ნაპირზე, იშხნის სამხრეთ-აღმოსავლეთ მიდამოებში. თუ წამოვალთ აღმოსავლეთიდან მთავარი გზით, უნდა გავცდეთ პამუკლუს ერთი კმ-ით, გადავუხვიოთ მარცხნივ, გადავიაროთ ოლთუჩაიზე გადებული ხიდი და გავუყვეთ მტვრიან გზას, რომელიც ჩაუვლის ტივაზორს და მიგვიყვანს ესბეკში მიმავალ ოთხკილომეტრიან ბილიკამდე (ტაბ. 49). ბილიკის დაახლოებით ნახევარი მანქანით შეიძლება დაიფაროს. ესბეკის ტოპოგრაფია – ნაყოფიერი, მაგრამ პატარა ხეობა შეზღუდული ბუნებრივი რესურსებით და წყლის ნაკლებობა – გვიჩვენებს, რომ წინათ, ისევე, როგორც ახლა, მას შეეძლო შეენახა მხოლოდ მცირეოდენი მოსახლეობა. X საუკუნის შუახანებამდე აგებული სხვა მონასტრების მსგავსად, ამ დაბასაც სტრატეგიული ადგილმდებარეობა აქვს, კარგად არის დაცული ბუნებრივი სიმაგრეებითა და მის აღმოსავლეთით აღმართული ციხით. ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით, მასში დგას პატარა ეკლესია კედლის მხატვრობით. თვით დაბაში არის შემდეგი ნაგებობები: ბაზილიკური ეკლესია (ტაბ. 50-52), სათვალთვალო კოშკის ნაშთები (შესაძლოა, ციხის კუთვნილი, ტაბ. 55), რაღაც საერო შენობის ნანგრევი და აგურით ნაშენი დარბაზული ნაგებობა. ყველა ეს ნაგებობა, გარდა ეკლესიისა, შემოზღუდულია ქვის კედლით, რომლის სიმაღლე ალაგ-ალაგ 3-4 მ-ს აღწევს. ესბეკი, როგორც ჩანს, ტაო-შავშეთ-კლარჯეთში ერთადერთი დასახლება იყო, რომელიც ხშირად განიცდიდა წყლის ნაკლებობას. ამას ამტკიცებს ქვის მსხვილი კედელი ზედ მოწყობილი არხით. ის გამოიყენებოდა როგორც აკვედუკი, წყლის გადმოსაგდებად ორასიოდე მ-ით დაშორებული მთებიდან. კედლის სიმაღლე 1-დან 7 მ-მდე მერყეობს. ეს შუასაუკუნეობრივი აკვედუკი თავის დანიშნულებას ასრულებდა ბოლო ხანებამდე, სანამ ის არ შეცვალა მიწისქვეშა მილებმა, რომლებმაც – დაბის მცხოვრებთა სამწუხაროდ – შეამცირა წყლის მიწოდება.

საუბედუროდ, გარემოებამ არ მომცა ესბეკის არქიტექტურული ნაშთების ამომწურავი აღნუსხვისა და მიმოხილვის შესაძლებლობა. გთავაზობთ მხოლოდ რამდენიმე ფოტოსურათსა და ეკლესიის მოკლე აღწერას 1983 წელს გაკეთებული ჩემი ჩანაწერების საფუძველზე. ეს სამნავიანი ბაზილიკაა, აგებული დაბის აღმოსავლეთით მდებარე მთებში მოპოვებული ქვით. ბლოკები მიახლოებით თანაბარ რიგებადაა დალაგებული. ზოგი მათგანი საკმაოდ დიდია (1.00 × 1.15 მ). ალაგ-ალაგ მათ ენაცვლება მოკლე რიგები, რომლებიც პარეხთას ქვედა ეკლესიას მოგვაგონებს. ღუდაბის გული შიდა და გარე საპირე წყობას შორის საკმაოდ ფართოა და კედლის მთელი სისქის თითქმის ნახევარს შეადგენს. აფსიდი, რომელიც ბაზილიკის მართკუთხა გეგმაშია მოქცეული, ამოყვანილია 3 სმ სისქის აგურით. ეკლესიას ორი შესასვლელი კარი აქვს, დასავლეთიდან და სამხრეთიდან (ტაბ. 50). ბაზილიკის ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურებაა სარკმლის არარსებობა არა მხოლოდ დასავლეთით, არამედ გვერდითი ნავების გრძივ კედლებზეც. ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ ეკლესიის მშენებლობისას უსაფრთხოების საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მასზე ზრუნვას მოწმობს ციხისა და კოშკის არსებობაც ეკლესიის მახლობლად, მის აღმოსავლეთით. ეკლესიის ერთადერთი დიდი სარკმელი აფსიდშია მოწყობილი. მისი ფორმა და ზომა გვაფიქრებინებს, რომ თავიდან ის ბევრად ვიწრო უნდა ყოფილიყო და გაუფართოებიათ აფსიდის მოხატვის შემდეგ, როცა საჭირო გახდა მეტი შუქი. პასტოფორიუმების სარკმლების ზომა არ შეცვლილა, ისინი უჩვეულოდ ვიწროა (ტაბ. 51). უშიშროების მოსაზრებებით ნაკარნახევი სიფრთხილის მიუხედავად, ეკლესიას სინათლის დამატებითი წყარო უნდა ჰქონოდა შუა ნავის ამჟამად ჩანგრეული ზედა კედლებიდან. გარედან შენო-

ბას არა აქვს არავითარი არქიტექტურული პლასტიკა. მორთულობის ან წარწერის კვალი არ ჩანს.

ჩვენი ეკლესიის კიდევ ერთი დამახასიათებელი ელემენტია გავრცობილი ბემა. ეს შედეგია პასტოფორიუმთა არაპროპორციული სივიწროვისა და წაგრძელებულობისა. ისინი უშუალოდ არ უკავშირდება აფსიდს, მათში მოხვედრა შეიძლება მხოლოდ დასავლეთიდან, ძალიან ვიწრო შესასვლელებით. ყველა ეს თვისება გამომჟღავნებულია ამ რეგიონის VIII-IX საუკუნეთა ბაზილიკურ ეკლესიებში, განსაკუთრებით პარეხთას ქვედა ეკლესიაში (იხ. ქვემოთ).

საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთი ნაწილის მსგავსი გადაწყვეტა თავს იჩენს არა მხოლოდ ბაზილიკებში, არამედ ტაო-კლარჯეთის ადრე შუა საუკუნეთა ცენტრულ ეკლესიებშიც, როგორიცაა ხანცთა და დოლისყანა. ისევე, როგორც ნუკას საყდარსა და პარეხთას ქვედა ეკლესიაში, ესბეკშიც თვალში საცემია გრძივი თაღების გაზრდილი მალები – ისინი თითქმის ორჯერ სჭარბობს განივი თაღების სიგანეს. ასეთი ფართოთაღებიანი ბაზილიკები, რომლებიც ჩრდილოეთ-სირიულ წარმომავლობას ამჟღავნებს,[155] კარგადაა ცნობილი საქართველოში V საუკუნის ბოლოდან – მაგალითად, ბაზილიკები ურბნისში (V-VI საუკუნეები),[156] ვანისუბანში (VI-VII საუკუნეები)[157] და არეშში (VIII-IX საუკუნეები).[158] ფართოთაღებიანი ბაზილიკები გვხვდება სომხეთშიც. მათ შორის უადრესია V საუკუნის ეკლესიები ერერუიქსა[159] და ქასახში.[160]

ესბეკის ეკლესიის მთელი ინტერიერი შელესილი და მოხატული იყო. ფერწერისაგან მხოლოდ აფსიდში დარჩა ძალზე ცუდად შემონახული, გაცრეცილი ფრაგმენტები. მკრთალად განირჩევა „მოციქულთა ზიარება". მოციქულები დაჯგუფებულნი არიან აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს, ხოლო ქრისტე წარმოდგენილია არა ერთხელ, არამედ ორჯერ (ტაბ. 53, 53). ქრისტესა და მოციქულთა სახეები რბილად არის დამუშავებული XI საუკუნის ტრადიციის შესაბამისად, მაშინ, როცა მათი ერთი შეხედვით თითქოს გადაწერილი სამოსი უადრესად ხისტ, ხაზოვან სტილს ავლენს.

ესბეკის ეკლესიის სახურავი აშკარად მოჭიქული კრამიტით იყო დაბურული. შვიდი ფრაგმენტი, რომლებიც ნაჩქარევად შევაგროვე ეკლესიის გარშემო, დაფარულია იმხნის სახურავის მოჭიქული კრამიტის მსგავსი ღია მწვანე ჭიქურით.

ადრეულ წერილობით წყაროებში არც ეკლესია და არც ესბეკის გეოგრაფიული მდებარეობა მოხსენიებული არ არის. თვით ეკლესიასაც არა აქვს რაიმე წარწერა. ხამშენებლო მეთოდისა და ნაგებობის არქიტექტურული ტიპის გათვალისწინებით ის შეიძლება სავარაუდოდ IX საუკუნის ბოლოს ან სულაც X საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნოს.

---

[155] ჩრდილოსირიული ფართოთაღებიანი ბაზილიკებისათვის იხ.: P. Grossman, *San Michele in Africisco zu Ravenne*, Mainz, 1973, გვ. 38-46, ტაბ. 38.

[156] R. Mepisašwili, W. Zinzadse, R. Schrade, *Georgien*, სურ. 140.

[157] იქვე, სურ. 143.

[158] იქვე, სურ. 251.

[159] A. Khatchatrian, *L'architecture arménienne*, Paris, 1949, გვ. 45 და შემდგომ, სურ. 32-39.

[160] იქვე, გვ. 56 და შემდგომ, სურ. 54-66.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# II. პარეხთას მონასტერი

პარეხთას მონასტერი მდებარეობს კარჩხლის ხეობაში, მდ. იმერხევიდან დაახლოებით 15 კმ-ით ჩრდილოეთით, ბერთიდან 8 კმ-ით ჩრდილოეთით. ბოლო ხანებში გაყვანილი მტვრიანი გზის მეშვეობით მანქანით შეიძლება სოფელ პარეხთას გარეუბნამდე ჩაღწევა. აქედან, აღმოსავლეთისაკენ ნახევარი საათის სიარულის შემდეგ, ვხვდებით მონასტერში, რომელიც განლაგებულია მთის პატარა ნაკადულის – დუგანალას მარცხენა ნაპირზე. მონასტერი მდებარეობს დაახლოებით 150 მ სიგრძის ჰორიზონტალურ შვერილზე, რომელიც ნაწილობრივ კლდეშია გამოკვეთილი მდინარის ფსკერის დონიდან 80-ოდე მ-ის სიმაღლეზე. კლდოვანი მთის ზედა ნაწილი სამონასტრო შენობების თავზეა გადმოკიდებული, ეფარება მათ და მიუვალს ხდის როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან.

ერთადერთი მისადგომი მონასტერს დასავლეთიდან აქვს, ვიწრო გამაგრებული კარიბჭის გავლით. ახლა კარიბჭე ჩამქცეულია. აქედან იწყება ვიწრო (1.50-დან 5.00 მ-მდე სიგანის) და გრძელი (150 მ) ბილიკი, რომელსაც მივყავართ განდეგილთა საცხოვრებლებისა და ჩრდილოეთის მხარის სხვა სამონასტრო ნაგებობებისაკენ. აქ ვნახე მარტომყოფ ბერთა ორი დიდი, კლდეში ნაკვეთი სენაკი, რომლებიც დამცავი კედლებითაა გამაგრებული აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან. შვერილის შუაში სამიდან ხუთამდე ნაგებობაა, ყველა უხეშად გათლილი ქვებით ნაშენი, რიგების თანაბარზომიერების დაუცველად. ახლა ყველა დანგრეულია და მათი დანიშნულება ვერ დგინდება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ესენი იყო სენაკები ან საკუჭნაოები. ყველაზე დიდი და უკეთ შემორჩენილი მათ შორის არის 8.90 მ სიგრძისა და 5.70 მ სიგანის მართკუთხა შენობა. მისი ჩრდილოეთი კედელი გადმოკიდული ფრიალო კლდის პირდაპირ არის ამოყვანილი, ისევე როგორც თითქმის ყველა სხვა შენობისა. ერთადერთი შესასვლელი აღმოსავლეთიდანაა. დასავლეთით და სამხრეთით ორი ვიწრო, შიგნითკენ გაფართოებული სარკმელია. ნ. მარი, რომელმაც პირველმა ინახულა პარეხთას მონასტერი 1904 წლის აგვისტოში, ფიქრობდა, რომ ეს ნაგებობა სატრაპეზო უნდა ყოფილიყო.[161] თუ ეს მართალია, აქ თავისუფლად დაეტეოდა ოცი-ოცდაათი კაცი. უხეში სამშენებლო ტექნიკა საერთოა ყველა ზემოხსენებული შენობისათვის. როგორც ჩანს, ისინი ერთ დროს უნდა იყოს აგებული.

სიგრძივად გაშენებული სამონასტრო კომპლექსის შუაში, სატრაპეზოს მახლობლად, ჩანჩქერი და პატარა ცისტერნაა. მასში მომარაგებული წყალი თავისუფლად ეყოფოდა მთელ მონასტერს. გალავანში შემოსასვლელი კარიბჭის ჩრდილო-დასავლეთით არის ორი წყლის წისქვილი, უფრო დასავლეთით გადაშლილია ვრცელი მინდვრები და ხეხილის ბაღები. მთები ირგვლივ დაფარულია ნაძვნარით, ფიჭვნარით, წიფლნარითა და შინდის ბუჩქებით. ეს წარმტაცი გარემო ალბათ სრულად უზრუნველყოფდა მონასტრის თემს საკვებით, ასევე საშენი მასალისა და შეშის შეუზღუდავი რაოდენობით.

კომპლექსის ჩრდილოეთ მხარეს ნ. მარი ახსენებს მოზრდილ სამარხს,[162] რომელშიც მან ადამიანის ძვლები იპოვა. „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაზე“ (ესაა უმთავრესი ლიტერატურული წყარო პარეხთას შესასწავლად) დაყრდნობით მან დაასკვნა, რომ ეს იყო მონასტრის დამაარსებლის – მიქაელისა და მისი მოწაფის ბასილის საძვალე.[163]

ჩემი ყურადღება, პირველ რიგში, მიპყრობილი იყო ორი დაახლოებით პარალელურად მდგარი ეკლესიისადმი. მათ გარდა სხვა შენობა ბილიკის სამხრეთით არ არის. ეკლესიები

---

161 *Дневник*, გვ. 177.
162 იქვე, გვ. 173-178, ტაბ. 57-58.
163 იქვე, გვ. 175-176.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგებულია სპეციალურად აღმართულ სუბსტრაქციაზე, მთის კლდოვან შვერილზე (ტაბ. 56, სურ. 10).

## 1. პირველი ეკლესია

პირველი ეკლესია, რომელიც მონასტერზე გამავალი აღმოსავლეთ-დასავლეთ ბილიკის დონეზეა აგებული, წარმოადგენს კამაროვან, მართკუთხა, წაგრძელებულ დარბაზს (11.15 × 4.75 მ) ნახევარწრიული აფსიდით (4.00 × 2.40 მ). აფსიდში ორი სიმეტრიულად განლაგებული ნიშაა, თითოეული 0.65 მ სიგანისა. საშენი მასალა ადგილობრივ არის (ტაბ. 57) მოპოვებული. წყობა საკმაოდ უხეშია. კედლების შიდა და გარე პირანგი შედგება სხვადასხვა ზომის ცუდად დამუშავებული ქვებისაგან, რომლებიც არათანაბარ რიგებადაა დალაგებული. ღრეჩოების ამოსავსებად ალაგ-ალაგ ძუნწად არის გამოყენებული კირის ხსნარი. შენობის ინტერიერში ნახმარი ქვები შედარებით გულმოდგინედაა გათლილი და სწორად დაწყობილი. უკეთ შემოინახა ეკლესიის დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლები და აფსიდის ნაწილი. სამხრეთი კედელი თითქმის მთლიანად დანგრეულია. ინტერიერი ამოვსებულია ნამსხვრევებით, რომლებზეც მცენარეები – მათ შორის ორი ნაძვი – ამოსულა. ეკლესიის სამხრეთი ნაწილი ეყრდნობა 5.00 მ სიმაღლის სუბსტრაქციას. დასავლეთიდან შენობას აქვს 1.20 მ სიგანის შესასვლელი. მისკენ ჩადის ვიწრო კიბე, რომლის ნაწილი დღემდე შემორჩა. ეკლესია საკმარისად იქნებოდა განათებული აფსიდსა და დასავლეთ კედელში (კარის თავზე) გაჭრილი სარკმლებით, ისევე როგორც ამჟამად დანგრეული სამხრეთი კედლის მიუდგომელი სარკმლებით. ჩრდილოეთ კედელში, უსაფრთხოების მიზნით, ღიობები არ არის.

ჩრდილოეთი მხრიდან ეკლესიას ებმის მოგრძო კამაროვანი დამატებითი სათავსი. მახ-




10. ზედა და ქვედა ეკლესიები, გეგმა

ში მოხვედრა მხოლოდ ეკლესიიდან შეიძლება 1.55 მ სიგანის კარით. აღმოსავლეთიდან სათავსი მოფარგლულია ნახევარწრიული აფსიდით. მასში ერთი სარკმელია მოწყობილი. ახლახან ადგილობრივმა მოსახლეებმა სათავსის დასავლეთ ნაწილში იპოვეს იატაკის ქვეშ ჩაფლული დიდი თიხის ჭური. წითელი თიხის მეორე ჭური, 0.31 მ დიამეტრის პირით, კვლავაც ადგილზეა. თავის დროზე მათში ალბათ ზიარების ღვინოს ინახავდნენ. თუ ამ აზრს შევიწყნარებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩრდილოეთი სათავსი კვეთისათვის გამოიყენებოდა. ამგვარ შესაძლებლობას ადასტურებს ადრეული შუა საუკუნეების სხვა ქართული ეკლესიებიც, რომლებშიც მსგავსი ჭურებია ნაპოვნი.

ტიპოლოგიურად ჩვენი ეკლესია იზოლირებულ გამონაკლისს არ წარმოადგენს. შუა საუკუნეების საქართველოში აურაცხელი სხვადასხვაგვარი ცალნავიანი დარბაზული ეკლესია აშენდა.[164] სტრუქტურული სიმარტივისა და მასალის ეკონომიურობის გამო ეს ტიპი განსაკუთრებით პოპულარული გახდა მოსახლეობისაგან დაცლილ და გაღატაკებულ ტაო-კლარჯეთში, რეგიონში, რომელმაც VIII-IX საუკუნეებში არაჩვეულებრივი სიძნელეები გადაიტანა. ისინი ცოცხლად არის აღწერილი გიორგი მერჩულეს თხზულებაში „შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი..."

ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის განვითარების ადრეულ პერიოდში – VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის I ნახევარში აქაური ცალნავიანი დარბაზული ეკლესიების საერთო თვისებებია: 1. პილასტრებისა და ცილინდრულ კამარათა საბჯენი თაღების არარსებობა; 2. აფსიდის ორივე მხარეს სიმეტრიულად ნიშების მოწყობა; აფსიდი, თითქმის უგამონაკლისოდ, გარე მართკუთხედშია მოქცეული; 3. ეკლესიის სამხრეთიდან ან ჩრდილოეთიდან მინაშენების იშვიათად გაკეთება; 4. უხეშად დამუშავებული ქვის გამოყენება ბლომად კირის ხსნართან ერთად; 5. არქიტექტურული დეკორის სრული არარსებობა. ჩვენი ეკლესიის უახლოეს პარალელებს წარმოადგენს სისკეკი,[165] უკიამი[166] და, განსაკუთრებით, ტახტაკრანი,[167] სადაც ისევე, როგორც ჩვენს შემთხვევაში, ჩრდილოეთის მინაშენში მოხვედრა მხოლოდ თვით ეკლესიიდან შეიძლება ფართო კარის მეშვეობით.

## 2. მეორე ეკლესია

მეორე ეკლესია აღმართულია ოთხმოცმეტრიანი შვეული კლდის კიდეზე, პირველ ეკლესიაზე ექვსი მეტრით ქვემოთ. ის დგას საგანგებოდ ამოყვანილ სუბსტრაქციაზე. ეკლესია მიეკუთვნება სამნავიანი ბაზილიკის ტიპს, რომელსაც ადრეულ შუა საუკუნეებში ვხვდებით არა მხოლოდ ტაო-კლარჯეთში (ნუკას საყდარი, ესბეკი), არამედ საქართველოს სხვა მხარეებშიც. კედლების სისქე საშუალოდ 0.95 მ-ია. პირველ ეკლესიასთან შედარებით მეორე უფრო წესიერადაა ნაგები. კედლების შიდა და გარე საპირე წყობას შეადგენს თანაბარ რიგებად დალაგებული გათლილი, თუმცა არა ყოველთვის დაწახნაგებული ქვები. კირის ხსნარი რიგებს შორის მინიმალურად გამოიყენება. შიდა და გარე საპირე წყობას შორის არის კენჭებზე დასხმული კირის ხსნარით (დუღაბით) ამოყვანილი კედლის გული. აღმოსავლეთ და ნაწილობრივ დასავლეთ კედლებზე წყობის რიგები მონაცვლეობით შედგება ორი სხვადასხვა სიმაღლის (0.40 მ და 0.14 მ) ქვებისაგან. მე ვიცი ფასადთა ამგვარი რიტმული არტიკულაციის ერთადერთი მაგალითი – წირქოლის ეკლესია,[168] რომელიც VIII საუკუნით არის დათარიღებული,[169] მაგრამ იოლად შეიძლება გადმოიწიოს IX საუკუნის შუისკენ ან სულაც ბოლოსაკენ.

---

[164] ცალნავიანი დარბაზული ეკლესიები მოკლედ აქვთ მიმოხილული რ. მეფისაშვილსა და ვ. ცინცაძეს, იხ.: *Arts*, გვ. 117-119.

[165] ე. თაყაიშვილი, *კოლა-ოლთისი*, გვ. 51, ტაბ. 24 d.

[166] იქვე, გვ. 73, ტაბ. 25 c.

[167] იქვე, გვ. 14, ტაბ. 25 e.

[168] Г. Чубинашвили, „Архитектурные памятники VIII и IX веков в Ксанском ущелье", *AG* 1 , 1942, გვ. 16, სურ. 19, ტაბ. $3_2$, $6_1$.

[169] იქვე, გვ. 19.

პარეხთას მეორე ეკლესიის ერთადერთი შესასვლელი არის დასავლეთი კარი (სიგანე – 1.20 მ). მის წინ 4.10 × 12.00 მ ფართობის ტერასაა (ტაბ. 56), რომელიც ახლა ნაწილობრივ ჩანგრეულია, რადგან ზედა მონაკვეთი მისი საყრდენი დასავლეთი კედლისა (ახლანდელი მაქსიმალური სიმაღლე – 9.00 მ) ჩაიქცა. ამ ტერასისაკენ ჩადიოდა ამჟამად განადგურებული კიბე. ის იწყებოდა ზედა, ანუ პირველი ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან.

მეორე, 1.20 მ სიგანის კარი მოწყობილია ეკლესიის სამხრეთ კედელში (ტაბ. 58, 59). ის ზედ უფსკრულის პირასაა და შესასვლელის დანიშნულება ვერ ექნებოდა. როგორც გვიჩვენებს ღრმულები ზღურბლს ქვემოთ, ეს აივნის კარია. საფიქრებელია, რომ ამ უჩვეულო ელემენტის გაკეთებისას მშენებლები უფრო თავბრუდამხვევი ხედით უნდა ყოფილიყვნენ შთაგონებულნი, ვიდრე ეკლესიის აგების ტრადიციული წესებით.

აფსიდის სამხრეთი მხარისა და დასავლეთი კედლის ორსავე პილასტრზე in situ შემოინახა ბრტყელი, სადა იმპოსტები. ამდენად, შენობა რეკონსტრუირებული უნდა იქნეს როგორც სამნავიანი ფართოთაღებიანი ბაზილიკა (მაქსიმალური შიდა სიგრძე – 12.00 მ, სიგანე – 8.30 მ). აფსიდი (სიგანე – 4.30 მ, სიღრმე – 3.70 მ), რომელსაც ეკვრის ორი გვერდითი სათავსი შესასვლელებით მხოლოდ გვერდითი ნავებიდან, ექსტერიერში შვერილი არ არის, ხოლო ჩრდილოეთ კედელს ფარავს ზედა ეკლესიის სუბსტრაქცია. ამდენად, სინათლის ძირითადი წყარო ქვედა ეკლესიაში უნდა ყოფილიყო სამხრეთი კედლის ღიობები, კერძოდ, დიდი სარკმელი (გარე სიგანე – 0.70 მ, შიდა სიგანე – 1.55 მ) და 1.20 მ სიგანის კარი, აგრეთვე შუა ნავის ამჟამად დანგრეული კედლის სარკმლები.

ნ. მარმა ჩრდილოეთი კედლის ერთ კაპიტელსა (რომლის კვალიც ვერ ვიპოვე) და სინათლის ნაკლებობის ფაქტზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ ეკლესია გუმბათიანი იქნებოდა. ეს მოსაზრება ჩემი კვლევით არ დასტურდება. შენობა უთუოდ სამნავიანი ფართოთაღებიანი ბაზილიკაა. თაღის მალი შორი-შორს განლაგებულ ბურჯებს შორის 2.00 მ-ს აღწევს და თითქმის ერთნახევარჯერ აღემატება გვერდითი ნავის სიგანეს. ეკლესია ტიპოლოგიურად ახლო პარალელს პოვებს იმავე მხარეში, ხანცთის მიდამოებში მდებარე ნუკას საყდარსა (იხ. ზემოთ) და სოფელ ეხვევის ეკლესიასთან (იხ. ზემოთ). სამივე ბაზილიკა მსგავსია მასალის გამოყენების, სამშენებლო ტექნიკის, დეკორაციული ელემენტებისა და წარწერების არარსებობის თვალსაზრისით. ერთნაირადაა ორგანიზებული შიდა სივრცე, რომელშიც შუა ნავის მკაფიო დომინირება ვიწრო გვერდით ნავებზე გამოიხატება შეფარდებით 1:3.6. სამსავე ეკლესიაში აშკარაა, რომ არქიტექტორთა ამოცანა იყო ხაზგასმულად გაბატონებული ცენტრალური სივრცის შექმნა და ლიტურგიკული მსახურების გაიოლება ბურჯებს შორის მალის გაზრდით. ამ მცდელობის ლოგიკური შედეგია, რომ X საუკუნის შუახანებიდან ტაო-კლარჯეთში აგებულ ეკლესიათა უმეტესობა (ხანცთა, ოშკი, ოპიზის აღდგენილი ბაზილიკა) ცენტრალურგუმბათოვანი ნაგებობებია.

სამწუხაროდ, პარეხთას არც ერთი ეკლესია თუ სამლოცველო დახამდვილებით არ თარიღდება. სამშენებლო ხერხები, შიდა სივრცის მოწყობა და „გრიგოლ ხანცთელის ცხორების" მონაცემები გვიჩვენებს, რომ პირველი, ანუ ზედა ეკლესია უნდა აეშენებინათ IX საუკუნის შუახანებში, ხოლო მეორე, ანუ ქვედა – IX-X საუკუნეთა მიჯნაზე.

შეგვიძლია უფრო დავაზუსტოთ ზედა ეკლესიის თარიღი გრიგოლის ბიოგრაფიის ცნობების წყალობით. ის მოგვითხრობს, რომ პარეხის მონასტერი დაუარსებია გრიგოლ ხანცთელის მეგობარს, მიქაელს, რომელიც იყო „ქუეყანისა შავშეთისაჲ, სოფლისა ნორგიალისაჲ და მიძნაძოროს მონაზონ იქმნა,"[170] ხოლო საბოლოოდ „დაემკჳდრა პარეხთა."[171] ბიოგრაფი დასძენს, რომ იგი „პარეხთა შინა მრავალ წელიწადთა ცხოვნდა და აღ-რაჲ ესრულა, მუნვე დაემარხა."[172]

---

[170] მერჩულე, *ცხორება*, თავი 32, გვ. 281.
[171] იქვე, თავი 31, გვ. 280.
[172] იქვე, თავი 32, გვ. 281.

მეორე ლიტერატურული წყარო – „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", რომელიც დაწერა მიქაელის ძმისწულმა X საუკუნის I მეოთხედში, დამატებით ინფორმაციას გვაწვდის. ეს თხზულება აღწერს სამონასტრო საქმიანობასა და სოციალურ პოლიტიკურ ვითარებას ტაო-კლარჯეთის ჩრდილოეთიდან მოსაზღვრე პუნქტში – ზარზმაში. ის გვამცნობს, რომ ოპიზის მონასტრის აღდგენის შემდეგ მიქაელი „მოვიდა მუნით (ოპიზით) და აღაშენა მცირე ეგუტერი, შესაკრებელი მცირეთა ძმათაჲ, რომელსა პარეხ უწოდიან."[173] როგორც ამავე წყაროდან ვიგებთ, მიქაელი ფრიად ღირსეული მოღვაწე ყოფილა და უამრავი გამოჩენილი მოწაფე თუ მიმდევარი ჰყოლია.

ზემოთ განხილული წყაროებიდან შეიძლება დავადგინოთ შემდეგი: ჯერ ერთი, მიქაელს პარეხთა დაუარსებია გრიგოლ ხანცთელის სიცოცხლეში (759-861); მეორეც, პარეხთა დაარსდა მას შემდეგ, რაც მიქაელმა აღადგინა ოპიზის სავანე, ე.ი. 826 წლის ახლო ხანების მერე. შესაბამისად, პარეხთას მონასტერი და მცირე ეკლესია აშენებული უნდა იყოს 826-861 წლებს შორის. უფრო საფიქრებელია, რომ ის აიგო გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების ბოლო პერიოდში, როცა 730-იან წლებში მურვან ყრუს მიერ დანგრეული ძველი მონასტრები უკვე აღადგინეს და ახალი სავანეების მშენებლობა წამოიწყეს. ეს მოხდა დაახლოებით 830 წლის შემდეგ,[174] ალბათ, IX საუკუნის შუახანებამდე. ამ დროისათვის მიქაელი უკვე დამკვიდრებული უნდა ყოფილიყო პარეხთას, როგორც მარტომყოფი ბერი და, ბოლოს და ბოლოს, შეუდგებოდა ძმობისათვის სენაკების, სემინარიის შენობისა და სამლოცველოს აგებას. ეს სამლოცველო უცვლელად არის დღემდე შემორჩენილი ზედა ანუ პირველი ეკლესია.

მეორე ეკლესიის დასათარიღებლად წერილობითი საბუთი არ გაგვაჩნია, ვერც რაიმე წარწერა მოვიძიე თვით შენობაზე. ამდენად, იძულებულნი ვართ, მივენდოთ ნაგებობათა არქიტექტურულ ანალიზს, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ის შეიძლება აშენებულიყო IX საუკუნის ბოლოს ან X საუკუნის დასაწყისში – სამეურნეო პირობების გაუმჯობესების პერიოდში, როცა მომცრო პირველი ეკლესია ალბათ უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა მზარდი სამონასტრო თემის მოთხოვნებს და საჭირო გახდა სხვა, უფრო დიდი ეკლესიის აგება. ეს მოსაზრება ეთანხმება სამონასტრო მოძრაობის საერთო სურათს, ისევე, როგორც „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში" აღწერილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას.

დამატებითი ინფორმაცია მონასტერში მიმდინარე საქმიანობის შესახებ საკმაოდ მწირია. მიუხედავად ამისა, ვიცით, რომ ეს იყო ლიტერატურული მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ცენტრი. მიქაელის გარდაცვალების შემდეგ, IX საუკუნის ბოლოსა და X საუკუნის დასაწყისს შორის პარეხელმა ბერებმა შეადგინეს მისი ბიოგრაფია. ჟამთა სიავემ ის არ შემოგვინახა. ასევე ვიცით, რომ ამავე ხანებში მონასტერში მოღვაწეობდა განთქმული მწიგნობარი ილარიონი, რომელსაც დიდად აფასებდა „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების" ავტორი. მეტიც, XV-XVI საუკუნეთა მინაწერი პარხლის 1241 წლის ოთხთავზე, შესრულებული პარეხთას მონასტრის მოძღვრის – მაკარის მიერ,[175] გვიჩვენებს, რომ პარეხთა იმხანად კვლავ მოქმედია.

173 *სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება*, თავი III, გვ. 322.
174 პარეხთას თარიღთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე: ლ. მენაბდე, *კერები* I, გვ. 427.
175 *სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, XIII-XV სს.*, ტექსტები და გამოკვლევა მომზადებულია ქრ. შარაშიძის მიერ, თბილისი, 1982, გვ. 69.

# I. ანჩის მონასტერი

ანჩის მონასტერი მდებარეობს სამწყალის ხეობაში, ტაო-კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოთა" სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფელ ანჩიდან ერთი კმ-ით აღმოსავლეთით (ტაბ. 62) მცირე ბორცვის წვერზე (ტაბ. 63). აქ მისვლა შეიძლება მანქანით ბერთის ხიდით ან არტანუჯიდან (28 კმ), ან ფეხით 13 კმ-იანი ბილიკით. თუ არ ჩავთვლით ტბეთს, ბარაქიანი სახნავ-სათესი მინდვრებით, ხეხილის ურიცხვი ბაღებით, ტყეებით, კაკლის ხის კორომებით გარშემორტყმული ანჩა ამ რეგიონის უმდიდრესი სოფელია.

ანჩის მონასტრის დაარსების თარიღის თაობაზე პირდაპირი წყაროები არ მოიპოვება, მაგრამ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანცთელის ცხორება" შეიცავს ცნობას, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს მომხდარა VI ან VII საუკუნეში, 738 წლის არაბთა შემოსევის წინ.[176] უეჭველია, რომ VIII საუკუნის I ნახევრიდან მაინც აქ იყო საეპისკოპოსო კათედრა და რომ მისი ადმინისტრაციული საზღვრები უფრო ვრცელი იყო, ვიდრე სხვა ეპარქიებისა.[177] ანჩელ ეპისკოპოსებს მაღალი მდგომარეობა ეკავათ, რამაც განაპირობა მათდამი დიდი პატივისცემა როგორც სამეფო კარზე, ისე ტაო-კლარჯეთის სხვა მონასტრებში, სადაც მათ მღვდლებისა და დიაკვნების კურთხევის პრივილეგია ეკუთვნოდათ.[178] ანჩის როგორც საეკლესიო და ასევე ადმინისტრაციული ცენტრის მნიშვნელობა ასახულია „გრიგოლ ხანცთელის ცხორებაში" ცოცხლად მოთხრობილ ერთ ეპიზოდში.[179]

ტაო-კლარჯეთის სხვა სავანეთა მსგავსად, ანჩა დაიცალა XVII საუკუნის შუახანებში, როცა თურქ ხელისუფალთა მიერ შევიწროებულმა ბერებმა სამუდამოდ დატოვეს მონასტერი. მიუვალობის მიუხედავად, სამონასტრო ნაგებობები, როგორც ჩანს, კიდევ ერთი საუკუნის განმავლობაში კარგ მდგომარეობაში იყო.[180] 1879 წელს, როცა ანჩა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ ინახულა, მონასტერი უკვე ძლიერ იყო დაზიანებული.[181] 1904 წელს ანჩა გამოიკვლია და მოკლედ აღწერა ნ. მარმა.[182] მის პუბლიკაციებს ერთვის ორი ფოტოსურათი[183] ეკლესიისა, რომლისგანაც მხოლოდ დანგრეული აღმოსავლეთი ნაწილიღაა დარჩენილი (ტაბ. 64, 65). 1975 წლის ზაფხულში, როცა პირველად მივედი მონასტერში, ეკლესია და ყველა სხვა სამონასტრო ნაგებობა ისე იყო განადგურებული, რომ ვერ ვიპოვე ვერც ერთი დაუზიანებელი ქვის ფილა, წარწერის კვალი თუ არქიტექტურული პლასტიკის ფრაგმენტი.

დღესდღეობით შემორჩენილი ნანგრევი გვიჩვენებს, რომ ეკლესიაცა და სხვა შენობებიც ნაგები იყო ღვინისფერი ქვიშაქვით, ალაგ-ალაგ ღია ყავისფერი, და როგორც ნ. მარი ამბობს[184] – მომწვანო ქვების გამოყენებით. ნ. მარმა, რომელზეც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აკურატულმა სამშენებლო ტექნიკამ, მონასტრის ეკლესია მიიჩნია ჯვარგუმბა-

---

176 *ცხორება*, თავი 63; პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 377-378; ლ. მენაბდე, *კერები*, გვ. 436.

177 პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 379; *ცხორება*, თავი 63; ვახუშტი, *აღწერა*, გვ. 135.

178 *ცხორება*, თავი 27, 63; ლ. მენაბდე, *კერები*, გვ. 436, შენ. 5.

179 იქვე, თავი 68, 69, 70.

180 ამას მოწმობს XVIII საუკუნის ისტორიკოსი ვახუშტი (*აღწერა*, გვ. 135).

181 Д. Бакрадзе, "Об археологической поездке, совершенной в 1879 году по поручению Академии Наук", *Записки Академии Наук* 37, 1880, გვ. 49.

182 *Дневник*, გვ. 93-94.

183 იქვე, ტაბ. 24-25.

184 იქვე, გვ. 94.

თოვან ნაგებობად კარიბჭეებით სამხრეთიდან და დასავლეთიდან.[185] მის მიხედვით, ეკლესიის შიდა ზომებია: სიგრძე – 13.10 მ (კარიბჭის ჩათვლით), სიგანე – 8.20 მ. ჩვენი საკუთარი ანაზომით ეკლესიის სიგრძეა 15.00 მ, სიგანე – 12.30 მ. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სამონასტრო ნაგებობა, რომელიც, შესაძლოა, მოიცავდა ეპისკოპოსის რეზიდენციას, 14.00 × 24.00 მ-ის ზომისაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილობითი წყარო, რომელიც ანჩის მონასტერს ან ეკლესიის რაიმე აღდგენას თუ გადაკეთებას იხსენიებს, არ მეგულება. პირიქით, ანჩის მონასტრის ხშირი ხსენება „გრიგოლ ხანცთელის ცხორებაში" და მრავალრიცხოვან ხელნაწერთა (როგორც თვით ანჩის, ისე სხვა მონასტრების სკრიპტორიუმებიდან მომდინარე) ანდერძ-მინაწერებში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ IX საუკუნის დასაწყისიდან დაახლოებით XVII საუკუნემდე შემოქმედებითი საქმიანობა ანჩაში არასდროს შეწყვეტილა. მეორე მხრივ, ანჩის ეკლესიის სუფთად თლილი, ფასკებიანი მართკუთხა ბლოკები დაცერებული კუთხეებით, რომლებიც უხვად გამოუყენებიათ ახლომდებარე მეჩეთისა და კერძო სახლების კედლებში, ეჭვს არ ტოვებს, რომ ჩვენმა ეკლესიამ საფუძვლიანი გადაკეთება განიცადა X საუკუნის შუახანებში შემდეგ. ამ მოვლენის დათარიღებაში დიდად გვეხმარება სამი ჩუქურთმიანი ქვა, უთუოდ სარკმლის საპირის ფრაგმენტები, რომლებიც ჩადგმულია ჯამეს ფასადებში (ტაბ. 66 და 67, სურ. 11) და ადგილობრივი მასწავლებლის – გიულფაშა აიდოგანის სახლში.




11. მონასტრის ეკლესიიდან წაღებული დეკორატიული ნიშა

ეს ნაძარცვი ფრაგმენტები ლვინისფერი ქვიშაქვისაა და უეჭველად ეკლესიიდან არის მოტანილი. სამსავე ქვას ამკობს ერთი ზომისა და ნახატის ფაქიზად ნაკვეთი ორნამენტი, გამოყვანილი დაღარული ლენტით. ჩუქურთმა ურთიერთგადახლართული წრეებისა და რომბების გაბმული ჯაჭვისაგან შედგება. კიდეებზე ლენტები გადანასკვულია მომაჩარჩოებელ შეწყვილებულ ლილვებთან. ამ ჩუქურთმის არსებითი ელემენტია ლენტი შუაზე დაყოლებული კუთხოვანი ღარით. ის იმგვარად არის ამოკვეთილი, რომ მისი კონტური M-ის მოყვანილობის მახვილ წიბოებს ქმნის. ეს დეკორაციული წნული მოტივი აშკარად გვიან, რომაული იატაკის მოზაიკებითაა შთაგონებული,[186] კერძოდ, ნიმუშებით ორონტის

185 იქვე. ვახუშტის მიხედვით (აღწერა, გვ. 135), ეკლესიის გუმბათი მის დროს ჯერ კიდევ მთელი ყოფილა.

186 *Antioch-on-the-Orontes* III. 1941, no 119.

ანტიოქიიდან, რომელთანაც საქართველოს ეკლესიას ოდითგანვე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. პირველად ის სწორედ ტაო-კლარჯეთში გვხვდება. უადრეს მაგალითს ვხედავთ ოშკის ტაძრის სამხრეთი მკლავის სარკმლის საპირეზე (ტაბ. 160), სადაც მოტივს უკვე განვითარებული სახე აქვს. თანდათან აღნიშნული მოტივი და მისი მრავალრიცხოვანი ვარიაციები მთელ ტაო-კლარჯეთში გავრცელდა (მაგალითად, ტბეთის აღმოსავლეთი და იშხნის სამხრეთი სარკმლების საპირეები) და შემდეგ გადავიდა საქართველოს სხვა მხარეებში. იგი უაღრესად პოპულარული გახდა XI საუკუნის ნახევარში[187] და არქიტექტურული მორთულობის რეპერტუარს კიდევ ოთხ საუკუნეზე მეტხანს შემორჩა. მოტივი მეტწილად გამოიყენებოდა სარკმლის საპირეთა გასაფორმებლად, უფრო იშვიათად – კარის ჩარჩოზე (სავანე) ან სულაც გუმბათის ყელის წახნაგებზე (მანგლისის კათედრალი, ნიკორწმინდის ეკლესია).

საგულისხმოა, რომ ორნამენტი ოშკიდან ამ სახის უადრესი ნიმუში არ უნდა იყოს, მაგრამ თავისი გადაბმული რომბებით ის სტრუქტურულად უფრო რთულია, ვიდრე ჩუქურთმა ანჩის ფრაგმენტებზე, რომელშიც რომბები მხოლოდ ეხებიან ერთმანეთს წვეროებით. მეტიც, ოშკში არა მხოლოდ წრეები (როგორც ეს ანჩაშია), არამედ თვით რომბებიც გადაწნულია ჩარჩოსთან. ეს თავისებურება შეიძლებოდა მიგვეჩნია ანჩის ჩუქურთმიანი ფრაგმენტების უფრო ადრინდელი თარიღის მაჩვენებლად, მაგრამ XI საუკუნის I ნახევრის მანძილზე შექმნილი ორნამენტული მოტივების შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ მოტივის რთული და მარტივი ვარიანტები (ცალღარიანი ან ორღარიანი ლენტით) გვერდიგვერდ თანაარსებობდნენ.[188]

ნიკორწმინდაში, მაგალითად, ორნამენტის ნახატი უფრო მეტადაც არის გამდიდრებული დიდ წრეებში ჩასმული დამატებითი წრეებით. ოშკში ლენტოვანი ჩუქურთმა ისეთი მჭიდრო ხდება, რომ ფონი თითქმის ქრება, მაშინ, როცა მოგვიანო მაგალითებში – როგორიცაა ანჩის ფრაგმენტები – ფონი და ჩუქურთმა შეწონასწორებულია. დასასრულ დავძენ, რომ XI საუკუნეში ცალ თუ ორღარიან ლენტს, რომელიც ჩუქურთმას ქმნის, მახვილი წიბოები აქვს, როგორც ეს არის ანჩაში; ოშკში კი ლენტის შუა ღარს ბრტყელი წიბოები ეკვრის. ყველა ეს თვისება, კვეთის ტექნიკის მკაფიობის ჩათვლით, საფუძველს გვაძლევს, ანჩის ეკლესიის ორნამენტული ფრაგმენტები XI საუკუნის დასაწყისს მივაკუთვნოთ. შენობის ნანგრევის გათხრა და ანჩის ჯამეს შიდა კედლებში ჩადგმული, კირით შეთეთრებული ჩუქურთმიანი ქვების გაწმენდა ამ თარიღის მეტი დაზუსტების საშუალებას მოგვცემდა.

თუ ჩუქურთმიანი ქვების ჩემი დათარიღება სწორია, ანჩის თავდაპირველი, VI-VII საუკუნეებში აგებული ეკლესია XI საუკუნის I ნახევარში უნდა ყოფილიყო აღდგენილი. როგორც ჩანს, ამ დროს შეიმოსა მისი ფასადები სუფთად თლილი ფილებით და შეიმკო ორნამენტული კვეთილობით. ამ აზრს განამტკიცებს ნ. მარის მიერ გამოქვეყნებული ფოტოსურათიც.[189] ის წარმოგვიდგენს ანჩის ეკლესიას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და სუფთად თლილი ქვის პერანგის მიღმა კარგად ჩანს არა მხოლოდ ყორექვის გული, არამედ უხეშად დამუშავებული ბლოკების შვიდი რიგიც. ეს უხეში წყობა, რომელიც გაშიშვლდა პერანგის ფილების განძარცვის შედეგად, დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს X საუკუნის შუახანებამდელ სამშენებლო ტექნიკასთან და შეიძლება თავდაპირველი ეკლესიის კედელს ეკუთვნოდეს.

---

[187] ეს მოტივი და მისი ვარიაციები გამოყენებულია სარკმლის საპირეებზე ნიკორწმინდის (1010-1014) აღმოსავლეთ და სამხრეთ ფასადებზე და სამხრეთი პორტიკის კამარის სახსარზე, აგრეთვე სარკმლის საპირესა და სამხრეთი პორტიკის ლამბაქისებრი გუმბათის სახსარზე მანგლისში (1020), დასავლეთი ფასადის სარკმლის საპირეზე სამთავისში (1030), კარის ჩარჩოზე სავანეში (1046) და გუმბათის ყელის სარკმლების საპირეებზე სამთავროში (XI საუკუნე).

[188] ამ ორნამენტის შესახებ იხ.: Р. Шмерлинг, „Самтавро", *AG* I, გვ. 59-60, 69, სურ. 10, 22; ვ. ბერიძე, „სავანე", *AG* I, გვ. 115, 116, სურ. 22.

[189] *Дневник*, ტაბ. 24.

ანჩის კათედრალის აღდგენა შეიძლება მომხდარიყო ტაო-კლარჯეთის მიერ წამყვანი პოზიციის დაკარგვის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო როგორც შინაური, ისე გარეშე ფაქტორებით, კერძოდ, სამხედრო კონფლიქტით ტაო-კლარჯეთსა და ბიზანტიას შორის (ამას მოჰყვა ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ის მიერ ტაო-კლარჯეთისათვის „დროებით გადაცემული მიწების“ ანექსია) და შიდაპოლიტიკური ცვლილებებით, რომლებმაც გამოიწვია ქართული სამეფოების (ტაო და აფხაზეთი) და სამთავროების გაერთიანება და ერთიანი ცენტრალიზებული სამეფოს ჩამოყალიბება დედაქალაქით ქუთაისში. შედეგად, პოლიტიკურმა ცენტრმა ტაო-კლარჯეთიდან დასავლეთ საქართველოში გადაინაცვლა. რა თქმა უნდა, ამას უნდა მოჰყოლოდა ტაო-კლარჯეთში სამშენებლო აქტივობის შეწყვეტა. მართლაც, X საუკუნის მიწურულიდან არც ამ მხარეებსა და არც შავშეთში არც ერთი დიდი ზომის ეკლესია არ აშენებულა. არქიტექტურული საქმიანობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ არსებული ეკლესიების აღდგენა-განახლებით, როგორც ეს მოხდა ტბეთში, ენი რაბათსა (შატბერდი) და იშხანში, რომელსაც 1014-1027 წლებში გაუკეთდა ბრწყინვალე კარიბჭე, ხოლო 1032 წელს – თლილი ქვის პერანგი და დამატებითი ორნამენტული მორთულობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## K. დოლისყანის ეკლესია

ოპიზისა და ხანცთის მონასტრების მსგავსად, დოლისყანის მონასტერიც მდ. იმერხევის მარჯვენა ნაპირზე, მთის წვერზე მდებარეობს. იქ მისვლა შეიძლება ძველი გზით, რომელზეც ართვინუჯის გზიდან უნდა გადავუხვიოთ მდინარეების – ართანუჯის წყლისა და იმერხევის შესართავთან. მთის ფერდობზე ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით აღმავალ მიხვეულ-მოხვეულ გზას მივყავართ წყალსატევთან. აქედან დოლისყანამდე ფეხით, ციცაბო ბილიკით საათნახევრის სავალია ჩრდილოეთისაკენ. თუმცა, 1970-იანი წლების ბოლომდე დოლისყანაში მანქანითაც შეიძლებოდა მისვლა. მონასტერი მდებარეობს სოფლის ცენტრში (ტაბ. 68), მისი ერთადერთი წყაროს დასავლეთით. თავდაპირველი სავანისაგან გადარჩა მხოლოდ ეკლესია (ტაბ. 69), რომელიც ახლა მეჩეთად არის ქცეული. შენობა შედარებით უკეთ შემოინახა ადგილობრივი იმამის – ილკერ დემირის ზრუნვის წყალობით. მან აღადგინა ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე და შეაკეთა სახურავი. ბოლო ხანებამდე ეკლესია განცალკევებულად იდგა, მაგრამ ახლა მის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს მიდგმულია იმავე იმამის ორსართულიანი სახლი. იმამი ეროვნებით ქართველია და შეუძლია ქართულ ენაზე საუბარი.

ახლა ეკლესია ორ თანაბარ სართულად არის გაყოფილი. ქვედა სართულში, რომელსაც შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, საწყობია გამართული. ზედა მეჩეთად გამოიყენება. ჯამეს ერთადერთი კარი ჩრდილოეთიდანაა. აქ ეზოს დონე თავდაპირველთან შედარებით დაახლოებით სამი მეტრითაა შემაღლებული ნიაღვრების მიერ ჩამოტანილი მიწის გამო. შესაბამისად ეკლესია ბევრად უფრო დაბალი ჩანს, ვიდრე ის იყო სინამდვილეში. შენობის გარე სახე ასევე შეცვლილია მისი დასავლეთი ნაწილისა (ტაბ. 70) და სამხრეთი კამაროვანი გალერეის (ტაბ. 72) დანგრევის გამო.

ეკლესია ნაგებია ქვიშაქვის უხეშად დამუშავებული მართკუთხა ბლოკებით, რომლებიც თანაბარ რიგებადაა ჩასმული დაახლოებით 0.01 მ სისქის სამშენებლო ხსნარში. მოვარდისფრო, მოყვითალო და მოყავისფრო ქვები[190] თითქმის უცვლელად 0.25-0.35 მ-ის სიმაღლის და სიგანისაა. კარ-სარკმლების წირთხლებისათვის, ეკლესიის კუთხეებისა და გუმბათის ყელისათვის მთლიანად, როგორც შიგნიდან, ისე გარედან სუფთად გათლილი და მჭიდროდ მორგებული თანაბარი ზომის კვადრებია გამოყენებული.

ტიპოლოგიურად ეკლესია წარმოადგენს ჯვარგუმბათოვან ნაგებობას, რომელშიც ჯვარი მართკუთხა გეგმაშია ჩახაზული (croix inscrite). ჯვრის მკლავების გადაკვეთის კუთხეებიდან ამოყვანილია ოთხი მსუბუქად შეისრული საფეხუროვანი გუმბათქვეშა თაღი. შუა კვადრატიდან გუმბათის ყელის საფუძველზე გადასვლა ხდება საფეხუროვანი აფრებით. მათ კიდეებში გამოყვანილია ორ-ორი შეღრმავებული წვეთისებური სეგმენტი, რომელთაც უფრო დეკორაციული დანიშნულება აქვთ, ვიდრე კონსტრუქციული. ათიოდე წლის შემდეგ მსგავსი არქიტექტურული მოტივი ჩნდება მეზობელ მხარეში მდებარე კუმურდოს ეკლესიაში (964 წელი).

დოლისყანის უახლოესი პარალელი არის დაახლოებით თანადროული ეკლესია ხანცთის მონასტერში, რომელიც იმავე არქიტექტურულ ტიპს მიეკუთვნება და თითქმის იმავე ზომისაა.[191] დოლისყანის შიდა სიგრძეა 15.80 მ, სიგანე – 11.33 მ, აღმოსავლეთ მკლავს

---

[190] მსგავს სამშენებლო ტექნიკას იყენებდნენ ტურ აბდინში და სომხეთში ადრექრისტიანულ და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდებში. წყობაში შიგადაშიგ მოვარდისფრო და მუქი ყავისფერი ქვებიცაა ჩასმული.

[191] მაქსიმალური სიგრძე – 16.80 მ, სიგანე – 10.50 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




12. ეკლესია, გეგმა




13. ეკლესია, ჭრილი

შეადგენს 5.30 მ სიგანის და 3.50 მ სიღრმის ნახევარწრიული აფსიდი ერთი სარკმლით აღმოსავლეთიდან. აფსიდი ფლანკირებულია 2.85 × 2.40 მ ზომის ორი გვერდითი ოთახით, რომლებიც – ისევე, როგორც ხანცთაში – არ უკავშირდებიან აფსიდს და მხოლოდ 2.65 × 5.20 მ ზომის განივი მკლავებისაკენ იხსნებიან.

დასავლეთ მკლავს (6.40 × 5.30 მ) უკავშირდება 5.35 × 2.50 მ ზომის სათავსი პატრონიკეთი მეორე სართულზე.[192] ეს სათავსი და პატრონიკე ახლა დიდწილად დანგრეულია. მიუხედავად ამისა, მისი ცილინდრული კამარის შემორჩენილი ნაწილებისა და ძირის (ის ებმის დანარჩენ კედელს) შესწავლამ მიმიყვანა დასკვნამდე, რომ კამარა აგურისა იყო და არა ქვის და რომ ეს სათავსი გვიანი დანამატი კი არ არის, როგორც ნ. მარს ეგონა,[193] არამედ ეკლესიის თანადროულია. სათავსის შემონახული კედლები გვიჩვენებს, რომ პატრონიკეზე ხის კიბით ადიოდნენ.

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი თითქმის მთლიანად დანგრეულია, გარდა მისი ცილინდრული კამარის აღმოსავლეთი მონაკვეთისა. მისი რეკონსტრუქცია შეუძლებელია დახვავებული ნაყარი ქვებისგან გაწმენდის გარეშე. შესაძლოა აქაც, ისევე, როგორც ხახულსა და ოშკში, იყო არა ყრუ კედელი, არამედ ღია გალერეა.[194] ამ მოსაზრებას ნაწილობრივ განამტკიცებს მის აღმოსავლეთ მხარეს ღრმა ნიშაში (სიგანე – 0.96 მ, სიმაღლე – 1.07 მ, სიღრმე – 0.42 მ) თავმოყრილი წვრილმასშტაბიანი ქანდაკებები და წარწერები და ასევე კარის ტიმპანის თაღის კვეთილი შემკულობა, რომელიც მთლიანად დაიკარგებოდა, თუ სამხრეთი კედელი ყრუ იქნებოდა. ასეთი პორტიკები უცხო არ არის ადრეულ ქართულ არქიტექტურაში (ბოლნისის სიონი,[195] წრომი[196]), ისევე, როგორც სომხეთში (ოძუნი,[197] ერერუიქი[198]), სირიაში (ცირებიზე,[199] ქფეირი,[200] ბაზილიკა B რუსაფაში[201]) და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში.

მოპირდაპირე, ჩრდილო-დასავლეთ მხარეს ეკლესიას აქვს 9.20 × 2.30 მ-ის ზომის სათავსი. მისი ცილინდრული კამარა 0.06 მ სისქისა და 0.30 კვ. მ-ის ფართობის აგურებითაა ამოყვანილი. დანიშნულება ამ ვიწრო ოთახისა, რომელიც ახლა სანახევროდ ნაგვითაა ამოვსებული, უცნობია. თავისი ფორმითა და პროპორციებით ის დიდად წააგავს შესაბამის სათავსს ხახულის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ამ სათავსში მოხვედრა დასავლეთი მკლავის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთიდან შეიძლება (ასეა დოლისყანაშიც). ე. თაყაიშვილის აზრით, ის საკუჭნაოდ და მარნად გამოიყენებოდა. ეს მოსაზრება ემყარება ღვინის ჭურებს, რომლებიც ე. თაყაიშვილმა იატაკის ქვეშ ნახა.[202] როგორც ზემოთ აღვნიშნე, ღვინის ორი ჭური იატაკის ქვეშ მეც ვნახე პარეხთას მონასტრის ჩრდილოეთ მხარეს მდგარი დარბაზული ეკლესიის მინაშენ ეკვდერში. როგორც სხვა მაგალითებიც მოწმობს, ამგვარი პრაქტიკა უცხო არ ყოფილა საქართველოში და, შესაძლოა, ასეთი ოთახები არა მხოლოდ საკუჭნაოდ, არამედ ზიარების პურის (სეფისკვერის) დასამზადებლადაც გამოიყენებოდა. ეს დანიშნულება შეიძლება ჰქონოდა დოლისყანის ეკ-

[192] 1888 წელს, როცა ა. პავლინოვი ნავიდა დოლისყანაში (*MAK* III, გვ. 68), დასავლეთი კომპარტიმენტი და პატრონიკე მის თავზე ჯერ კიდევ მთელი იყო.

[193] *Дневник*, ტაბ. 186.

[194] სამხრეთ-დასავლეთი პორტიკის ღია თაღების არარსებობა ეკლესიის მოდელზე, რომელიც მეფე სუმბატს უჭირავს (ტაბ. 82), შეიძლება აიხსნას თვით მოდელის სქემატიზმით და ადგილის სიმცირით – თითქმის მთელი სიბრტყე სუმბატის ხელს უკავია. მეორე მხრივ, ოსტატმა ზუსტად გამოკვეთა ამ პორტიკის კარნიზი, რითაც დაადასტურა, რომ ის ეკლესიის თანადროულია.

[195] Г. Чубинашвили, *Болнисский Сион*, Тбилиси, 1940, გვ. 130, სურ. 1, 37, 38, 85.

[196] იქვე.

[197] S. Der Nersessian, *The Armenians*, London, 1972, გვ. 102, სურ. 12.

[198] იქვე.

[199] G. Tchalenko, *Villages antiques de la Syrie du Nord* I, Paris, გვ. 345-373, II, ტაბ. X-1, XIII-1.

[200] იქვე, გვ. 337, ტაბ. X, XIII.

[201] J. Kollwitz, *Neue deutsche Ausgrabungen im Mittelmeergebiet und im vorderen Orient*, Berlin, 1959, გვ. 53, სურ. 6.

[202] *Экспедиция*, გვ. 61.

ლესიის გრძელ ჩრდილო-დასავლეთ სათავსსაც, ვინაიდან მისი იატაკი საკუთრივ ეკლესიის იატაკის დონეზე ბევრად დაბლა უნდა იყოს.

ეკლესიის აფსიდი და, როგორც ჩანს, გუმბათი კედლის მხატვრობით ყოფილა შემკული. ეკლესიის ზედა ნაწილი ახლა მთლიანადაა შეთეთრებული კირით, მაგრამ ქვედა ნაწილში შემორჩა მოხატულობა – მოციქულთა და ეკლესიის მამათა გამოსახულებანი ქართული წარწერებით.[203] პალეოგრაფიული ნიშნები გვაფიქრებინებს, რომ წარწერები და, შესაბამისად, მოხატულობაც XIII საუკუნეშია შესრულებული. აფსიდის სამხრეთ ნაწილში ნაწილობრივ შემორჩენილა უნაკლოდ გამოყვანილი არაბული წარწერა, როგორც ჩანს, რელიგიური შინაარსისა. მის აღმოსავლეთით გამოსახულია დიდი ანთებული სანთლით დაგვირგვინებული შანდალი. მის გვერდით ასევე დიდი არაბული წარწერაა – „ალი რაჯაბ ალი".

უადრესი წყარო, რომელიც დოლისყანას იხსენიებს, „გრიგოლ ხანცთელის ცხორებაა". გიორგი მერჩულე ჩამოთვლის გრიგოლ ხანცთელის დაარსებულ მონასტრებსა და დასძენს: „ხოლო დოლის ყანაი მონასტრად უკუანაის იქმნა" (ცხორება, გვ. 275, თავი 27). რამდენადაც მერჩულეს ბიოგრაფიული თხზულება 951 წელს დაიწერა, დოლისყანა იმხანად უკვე უნდა არსებულიყო. არაბულ წარწერასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დოლისყანის მშენებელი სუმბატი მოხსენიებული ჰყავს ცნობილ არაბ ისტორიკოსს ალ-მასუდის (896-956) და რომ დოლისყანა ერთადერთი არაბულწარწერიანი ეკლესიაა ტაო-კლარჯეთში.

ეკლესიის ადრინდელი სახურველი თითქმის მთლიანად დაკარგულია. ახლა მას ცვლის ცემენტის თხელი ფენა. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ შენობის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელზეც შემოინახა თავდაპირველი ღარიანი კრამიტის ნაშთები. გარდა ამისა, ასევე თავდაპირველი ბრტყელი და მრგვალი (მილის ნახევრის ფორმის) კრამიტები ბლომად შემორჩა გუმბათის კონუსისებრ სახურავს. ისინი ისევეა დალაგებული, როგორც ოშკში,[204] ხახულსა და იშხანში. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ დოლისყანის კრამიტები მოუჭიქავია.

გუმბათის ყელის როგორც შიდა, ისე გარე წყობას შეადგენს სუფთად თლილი ქვების თანაბარი რიგები – ზუსტად ისე, როგორც ოპიზასა და ხანცთაში. ყელის გარე დოდეკაგონალური სიბრტყე დანაწევრებულია თორმეტი ყრუ თაღით, რომლებიც შეწყვილებულ მსუბუქ სვეტებზეა გადაყვანილი. სვეტებს ასევე შეწყვილებული, პალმეტის გაყოფილი მოტივით შემკული კუბური კაპიტელები აგვირგვინებს.[205] ისინი ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: გულმოდგინედ ნაკვეთი, ამოღრმავებული პალმეტის ფოთლები მომრგვალებული ბოლოებით (ტაბ. 77-79) და ზოგადად დამუშავებული ფოთლოვანი ჩუქურთმა წვეტიანი ბოლოებითა და შუა ვერტიკალური ღეროთი (ტაბ. 80). ამოღრმავებული პალმეტები წვეტიანი ბოლოებითა და მრგვალი ბოლოებით გამოყენებულია მეზობელ სომხეთში ზვართნოცის კათედრალში (644-652).[206] უფრო ადრე და უფრო ხშირად ისინი ჩნდება ტურ აბდინის ეკლესიების აფსიდთა არქივოლტების შემკულობაში: არბაის მარ-საბას ეკლესიაში, ბეთ სალუთაში,[207] ყალითის მარ იუპანანის ეკლესიაში,[208] ჰაბსენასის მარ შემუნის ეკლესიაში[209] და დერ ყუბის წმ. მარიამის ეკლესიაში.[210] საინტერესოდ გვხვდება იგივე მოტივი

---

[203] ეს მოხატულობა მოკლედ აქვთ განხილული ნ. და ჟ.-მ. ტიერებს ("Voyage", გვ. 55) და ტ. ა. სინკლერს (*Eastern Turkey*, გვ. 21).

[204] Djobadze, Materials, გვ. 120, სურ. B.

[205] ერთ შემთხვევაში ჩრდილო-დასავლეთ მხარეს კაპიტელის ნაცვლად გაკეთებულია სადა აბაკა.

[206] С. Мнацаканян, *Звартноц*, Москва, 1971, გვ. 101, 118.

[207] G. Weissner, *Christliche Kultbauten in Tur'Abdin*, Band IV, Teil II. Wiesbaden, 1983, (ტექსტის ტ. II), გვ. 20, 21, სურ. 11, 12.

[208] იქვე, გვ. 63. სურ. 32.

[209] იქვე, გვ. 175. სურ. 85-87.

[210] იქვე, გვ. 239, შენ. 98, სურ. 137. სხვა მაგალითებისათვის ტურ აბდინის ეკლესიებიდან (ქეფრ ზეჰი, მარ აზაზიელი) იხ.: M. von Berchem, J. Strzygowski, *Amida*, Heidelberg, 1910, სურ. 178; არნასის მარ კირიაკოსი – სურ. 186; ხახის ელ-ადრა – სურ. 207.

კაპიტელზე სელევკია-პიერიას მარტირიუმში[211] V საუკუნის ბოლოს. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა არა მხოლოდ საქართველოსა და ანტიოქიას შორის მჭიდრო კავშირის თვალსაზრისით, არამედ იმიტომაც, რომ აღნიშნული კაპიტელი[212] დაფარულია მუქ ძოწისფრად – ისევე როგორც დოლისყანის გუმბათის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარის ზოგიერთი კაპიტელი. საქართველოს სხვა მხარეებში ამოღრმავებული პალმეტების მოტივი გაცილებით იშვიათად გვხვდება. ყველაზე ღირსშესანიშნავი მაგალითი ვალეს ეკლესიაა (X საუკუნე), რომელშიც ასეთი პალმეტები გაკეთებულია კაპიტელებზე,[213] დოლისყანის მსგავსად, და კარნიზზე.[214] ამ მოტივის უადრესი ნიმუში კი გვაქვს წრომის აფსიდის მოზაიკის კარნიზზე.

დოლისყანის გუმბათის ორი – სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი კაპიტელების აბაკებზე შემორჩა მშვენიერი მრგვლოვანი ასოებით შესრულებული წარწერები. ისინი მკვეთრად განსხვავდება ეკლესიის სხვა წარწერებისაგან შესრულების გამორჩეული კალიგრაფიული აკურატულობით და გრაფემათა გაყოფილი ბოლოებით.

ისევე, როგორც ოპიზაში, აქაც გუმბათის ყელის ინტერიერში მოწყობილია ყრუ თაღნარი ნახევარსვეტებზე, რომლებსაც სადა კუბური კაპიტელები აქვთ. ხანცთის მსგავსად, გუმბათის ყელში ოთხი სარკმელია ჯვრის მკლავების გასწვრივ. ოთხივეს სიმაღლე 2.27 მ-ია, მაგრამ სიგანე განსხვავებულია: აღმოსავლეთი და სამხრეთი სარკმლებისა 0.63 მ-ია, ჩრდილოეთი და დასავლეთისა – 0.10-0.11 მ-ით მეტი. შესაძლოა, მშენებელმა შეგნებულად გააკეთა უფრო ფართო სარკმლები იმ მხარეებზე, საიდანაც შუქი ნაკლებად შემოდის, რათა გაეწონასწორებინა შიდა სივრცის განათება.

დოლისყანის გუმბათის სახურავი, ხანცთისა და ოპიზის გუმბათებისაგან განსხვავებით, კონუსურია და აქვს თორმეტწახნაგა საფეხუროვანი კარნიზი. მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი მონაკვეთი შემკულია ბრჭყალისებრი ჩუქურთმით, რომელიც ლესბოსურ კიმატიონს ეხმაურება (ტაბ. 76). ეს მოტივი მნიშვნელოვანია, რადგან ტაო-კლარჯეთში სხვაგან არსად გვხვდება. ის ძალზე იშვიათად გამოიყენებოდა საქართველოს სხვა მხარეებშიც. ჩვენი ნიმუშის უადრესი და უახლოესი პარალელი არის ვალეს ეკლესიაში, სადაც ეს ჩუქურთმა ასევე კარნიზზეა გამოყვანილი[215].

სხვა, უფრო მნიშვნელოვანი სტრუქტურული დეტალები დოლისყანისა და ოპიზის გუმბათების უაღრესად მჭიდრო სიახლოვეს მოწმობს. გუმბათის ყელი ორივე შემთხვევაში თორმეტწახნაგაა და გარედან შემოწერილია შეწყვილებულ მსუბუქ სვეტებზე დაფუძნებული ამავე რაოდენობის ყრუ თაღებით. სვეტებს კორინთული წარმომავლობის სტილიზებული კაპიტელები აქვთ. ორივე შემთხვევაში გუმბათის ყელს შიგნიდანაც შემოწერს თორმეტმალიანი თაღნარი, რომელიც ნახევარსვეტებს ეყრდნობა. გადასვლა გუმბათქვეშა კვადრატიდან წრეზე ორივეგან აფრების მეშვეობით მიიღწევა. უმთავრესი განსხვავება ამ ორ ნაგებობას შორის მათ სახურავებშია: ოპიზაში მას ნახევრად გაშლილი ქოლგის ფორმა აქვს, დოლისყანაში – კონუსისა. გარდა ამისა, ოპიზაში გუმბათის ყელის სარკმლების რაოდენობა ორით მეტია, ხოლო გუმბათის ყელის ქვედა კარნიზი გეომეტრიული ჩუქურთმით არის შემკული. თვით სვეტების ბაზისებიც კი გაფორმებულია ორი ლენტის წნულით. შეგვიძლია აგრეთვე დავამატოთ, რომ კვეთა აქ უფრო ნატიფია. ეს თავისებურებები მიგვითითებს არქიტექტურული ფორმების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ტაო-კლარჯეთში[216] და შეიძლება აიხსნას ოპიზის განსაკუთრებით პატივცემული მონასტრის დაწინაურებული მდგომარეობით.

---

[211] *Antioch-on-the-Orontes* III, ed. R. Stillwell, Princeton, 1941, ტაბ. 34, № 49.

[212] იქვე, გვ. 130, 155.

[213] რ. მეფისაშვილი, ვალეს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი. *AG* 3, 1950, გვ. 46, ტაბ. 11, 15. სურ. 26, გვ. 47-ზე.

[214] იქვე, გვ. 46, 47, ტაბ. 15 და სურ. 26, გვ. 47-ზე.

[215] იქვე, გვ. 45. სურ. 24-1, ტაბ. 15-3.

[216] ამ მოსაზრებას განამტკიცებს ოპიზის აღმოსავლეთი ფასადის დანაწევრება სამი ყრუ თაღით, განსხვავებით ხანცთისაგან, სადაც კედლების გარე ზედაპირი გლუვი და დაუნაწევრებელია.

ამავე ჯგუფს ეკუთვნის ხანცთის ეკლესიის გუმბათიც. ოპიზისა და დოლისყანის გუმბათებთან შედარებით ის სტრუქტურულად უფრო სადაა, ნაკლებად მორთული. ხანცთის გუმბათის გამორჩეული თვისება ისაა, რომ მშენებელმა აქ გარდამავალ კონსტრუქციად აფრების ნაცვლად ტრომპები გამოიყენა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ეკლესია სხვა ორზე უფრო ადრე აშენდა. შესაძლოა, ის აიგო თავისი ადრინდელი გეგმის შესაბამისად. ჩვენ ვიცით, რომ ხანცთის ეკლესიის მშენებლობა მიმდინარეობდა თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, 896-918 წლებიდან და არ დასრულებულა 941 წლამდე. როგორც ჩვენს ტაბულაზე ვხედავთ, განსხვავებათა მიუხედავად, სამივე გუმბათი დაახლოებით ერთი ზომისაა და სიმაღლისა და დიამეტრის ერთნაირ შეფარდებას გვიჩვენებს:

| | *დიამეტრი* | *სიმაღლე* | *აშენების თარიღი* |
|---|---|---|---|
| ხანცთა | 5,22 მ | 6,18 მ | 918-941 |
| ოპიზა | 5,42 მ | 6,64 მ | დასრულდა 954 წელს |
| დოლისყანა | 5,42 მ | 6,18 მ | 937-958 |

## 1. არქიტექტურული პლასტიკა

დოლისყანა ტაო-კლარჯეთის უადრესი ეკლესიაა, რომელიც გვიჩვენებს ფასადთა პოლიქრომიისა და საფასადო ქანდაკების მნიშვნელობის ზრდას. ასეთი შემკულობა გვხვდება აფსიდის სარკმლის საჭექი ქვის ზემოთ აღმოსავლეთ ფასადზე (ტაბ. 69). ნახევარწრიული სიბრტყე სარკმლის თაღსა და თავსართს შორის გაფორმებულია რადიალურად განლაგებული ყვითლად და წითლად დაფერილი ბლოკებით (ტაბ. 81). სხვადასხვა ფერის რადიალურად გადაშლილი ქვებით სარკმლების აქცენტირების პირველი შემთხვევა, როგორც უკვე ითქვა, ხანცთაში გვაქვს. X საუკუნის II ნახევრიდან სარკმლის ზედა ნაწილის ამგვარი გადაწყვეტა ტაო-კლარჯეთის ყველა ეკლესიისათვის სავალდებულო ხდება. მიუხედავად მისი ასეთი პოპულარობისა ამ მხარეში, იგი არ გავრცელებულა საქართველოს სხვა პროვინციებსა თუ მეზობელ სომხეთში.

ეკლესიის ერთადერთი შესასვლელის — სამხრეთი კარის ტიმპანს აჩარჩოებს კრონშტაინებზე დაფუძნებული ნახევარწრიული თაღი. თაღის გარე პირს მთლიანად ფარავს ცოცხლად ნაკვეთი ჩუქურთმა — ტალღოვან ღეროზე ორივე მხრიდან ასხმული სამყურა დახვეული ნახევარპალმეტები (ტაბ. 89). შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს მოტივი გრძელდება თაღის აღმოსავლეთ ნაწილზეც, რომელსაც ახლა ფარავს ბათქაში და მასზე დახატული რთულად დამუშავებული მცენარეული ხვეულები. ეს მხატვრობა, ისევე, როგორც მოციქულთა ფიგურები აფსიდში, XIII საუკუნეში ჩანს შესრულებული. თაღის კვეთილ ჩუქურთმასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იგივე ორნამენტი ამკობს აფსიდის სარკმლის თავსართს პარხლის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე (ტაბ. 248).

ეს მოტივი ხშირად გვხვდება ხელოვნების თითქმის ყველა დარგში: არქიტექტურულ პლასტიკაში, — კედლის მხატვრობაში, ხელნაწერთა გაფორმებაში, განსაკუთრებით ადრექრისტიანულ ხანაში. როგორც სტამბოლში, სარაჩჰანეზე ახლახან აღმოჩენილი VI საუკუნის თაღის ფრაგმენტი[217] მოწმობს, მისი ძირითადი ფორმა არ შეცვლილა, მიუხედავად მრავალრიცხოვანი ვარიაციებისა. მე ვფიქრობ, რომ ეს და უამრავი სხვა მსგავსი კვეთილობა, შექმნილი კონსტანტინოპოლის სახელოსნოებში, შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენოდათ დოლისყანისა თუ პარხლის ოსტატებს.

ყველაზე მძლავრი სკულპტურული აქცენტი სამხრეთი მკლავის სარკმლის თავზეა მოთავსებული (ტაბ. 81). ამას ხაზს უსვამს გადანაკვეთებიანი თავსართი, რომლის ზედაპირიც პალმეტების მწკრივით არის მოჩუქურთმებული. X საუკუნის II ნახევარში ტაო-კლარჯეთის არქიტექტურულ პლასტიკაში ამ მოტივის მრავალი სახესხვაობა ჩნდება. იგი იხმა-

217 R. M. Harrison, *Excavations at Saračhane in Istanbul* I, Princeton, 1986, გვ. 156, № 18-a, ტაბ. 196.

რება თითქმის ყოველთვის მხოლოდ თაღებისა[218] და სარკმლის თავსართებისა თუ საპირეების[219] შესამკობად. ოთხთა ეკლესიაში ის აფსიდის პილასტრების მოხატულობაშიც კი არის გამოყენებული.[220] X საუკუნეშივე ეს მოტივი თავს იჩენს მეზობელ მონასტრებში შექმნილ ხელნაწერებშიც. კარგ მაგალითს ვხვდებით მცხეთურ ფსალმუნში (A-38, fol. 248), რომელიც გადაიწერა და დასურათდა ოშკის მონასტერში 974 წელს.[221] მოტივი აშკარად ძალიან პოპულარული იყო. ის გვხვდება აგრეთვე ქსოვილებზე, რომლებსაც აწარმოებდნენ ბიზანტიასა თუ სომხეთში, ისევე, როგორც თვით საქართველოში. ასეთი ქსოვილი უხვად შემოდიოდა ტაო-კლარჯეთში, ვინაიდან ქსოვილით ვაჭრობის მარშრუტები მის ტერიტორიაზე გადიოდა. როგორც ჩანს, ქსოვილი იშოვებოდა არა მხოლოდ შესაკერი მასალის, არამედ მზა სამოსის სახითაც. ასეთ სამოსს უბოძებდნენ ხოლმე ბიზანტიის იმპერატორები ქართველ დიდებულებს. ამ მოსაზრების განმამტკიცებელ საბუთს გვაძლევს ბაგრატ ერისთავთერისთავისა (†966) და დავით მაგისტროსის ქანდაკებები ოშკის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელზე (ტაბ. 156, 157, სურ. 33a-b). ორივე მმართველს მოსავს ოფიციალური სამოსი, რომელზეც დეკორაციული ნახატი დომინირებს.

ტაო-კლარჯეთის გარეთ ეს მოტივი არაერთხელ მეორდება საქართველოს სხვა მხარეებშიც, მაგალითად, ვალეს ეკლესიაში,[222] სადაც ის პორტალის თაღსა და კარნიზზე ჩნდება. ეს ეკლესია, აგებული X საუკუნის ბოლო მეოთხედში,[223] არქიტექტურული ორნამენტაციის რეპერტუარის მხრივ დოლისყანასთან დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს.

დოლისყანის სამხრეთი მკლავის სარკმლის თავსართს ზემოთ მოვარდისფრო ქვიშაქვის ვერტიკალური ფილაა მოთავსებული. მას ამკობს წნული ჩუქურთმა. 0.37 მ სიგანის სარკმლის თაღი ორი ქვისაგან შედგება. მათ გაუყვება ორსტრიქონიანი წარწერა, შესრულებული X საუკუნისათვის დამახასიათებელი მშვენიერი ასომთავრულით (ტაბ. 81, 83, სურ. 14). წარწერა იხსენიებს მეფე სუმბატს (იხ. ქვემოთ), რომლის პორტრეტსაც ვხედავთ (ტაბ. 82) გუმბათის ყელის სამხრეთ-აღმოსავლეთ ყრუ თაღში. კედელზე „გამოკიდული" მონარქი გამოკვეთილია მკაცრად ფრონტალურ პოზაში, გარდა ფეხებისა, რომლებიც პროფილშია ნაჩვენები, რაც აღმოსავლეთისაკენ მოძრაობაზე მიგვანიშნებს. მას ორივე ხელით უკავია დოლისყანის ეკლესიის საკმაოდ ზუსტი მოდელი. სუმბატის ფიგურა ამჟამად დამტვრეულია, ვინაიდან მას სროლაში ვარჯიშისას სამიზნედ იყენებდნენ. მოტეხილია თავის ზედა ნაწილი და სახის ნაკვთები. სახის შემორჩენილ ქვედა ნაწილზე მკაფიოდ განირჩევა წვერი. მის სამოსს, რომელიც, როგორც ჩანს, რაღაც სქელი მატერიისაგან არის დამზადებული, ხაზს უსვამს შევრონები და, მათთან მონაცვლეობით, დანაკეცი ბრტყელი ვერტიკალური ზოლები. ყელთან სამოსი თითქოს V-სებურად არის ამოჭრილი და ღია, გლუვგადანაკეცებიანი საყელო აქვს. მეფის ფეხსაცმელი შეიძლება განისაზღვროს როგორც საჯირითო (უდეზებო) ჩექმები ტყავის ერთგვარი შესაკრავი ღვედებით — ისევე, როგორც ქტიტორთა რელიეფზე ოშკში (იხ. ქვემოთ და სურ. 33). რელიეფი საკმაოდ მაღალია, მაგრამ მის სკულპტურულ ფასეულობას ამცირებს სუსტი მოდელირება და, შესაბამისად, ბრტყელი, დაუნაწევრებელი ზედაპირი. რაკურსში შემცირების წესი მშენებელს არ გაუთვალისწინებია. ნაცვლად ფიგურის წაგრძელებისა ნატუ-

218 მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთი ბურჯის ნიშა პარხალში (ტაბ. 266), დასავლეთი კარის თაღი ბანაში (ტაბ. 117).

219 შეწყვილებული სარკმლის თავსართი სამხრეთ ფასადზე ხახულში (ტაბ. 201).

220 N. Thierry, "Peintures", გვ. 85, სურ. 11.

221 Р. Шмерлинг, *Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI веков*, Тбилиси, 1979, გვ. 63-71, ტაბ. 25.

222 რ. მეფისაშვილი, *AG* 3, 1950, გვ. 45, ტაბ. 10 (მარჯვნივ), 11 (ზემოთ), 14 (ზემოთ მარჯვნივ) და სურ. 22-1; Mepisašwili, Zinzadse, Schrade, *Arts*, სურ. გვ. 248-ზე. დოლისყანაში ეს მოტივი უფრო ხისტად და გეომეტრიულად არის გააზრებული, სიბრტყე გულისებრ ფორმებს შორის შევსებულია შეწყვილებული ამოღრმავებული ღებნებით, რომელთაც აგვირგვინებს სამკუთხა დასახსრული ფორმა ან სიმეტრიული სამყურა (ჩანს თავსართის აღმოსავლეთ გადანაკეცზე).

223 რ. მეფისაშვილი, *AG* 3, 1950, გვ. 48, 51.

რალურ ზომასთან შედარებით, ის, პირიქით, დადაბლებულია, რის გამოც ქვემოდან ყურებისას არაპროპორციულად მოკლე და ჯმუხი ჩანს.

ტაძრის მოდელის ქვეშ ორსტრიქონიანი სავედრებელი წარწერაა: „ქრისტე ადიდენ მეფე ჩუენი სუმბატ“ (იხ. ქვემოთ). სუმბატის მოპირდაპირე მხარეს არ არის არც ქრისტეს გამოსახულება, როგორც შეიძლებოდა გვეფიქრა, არც სხვა ვინმესი, ვისაც შეიძლება ეკლესია წარედგინებოდეს. ამ წარწერაში (და კიდევ ერთხელ სამხრეთი სარკმლის თაღის წარწერაში, ნახსენები პირი მკვლევრებმა უშეცდომოდ გააიგივეს ადარნესეს შვილთან, „ქართველთა მეფე“ სუმბატთან, რომელსაც კურაპალატის ბიზანტიური ტიტული ებოძა 954 წელს და რომელიც მეფობდა 958 წლამდე.

## გ. მთავარანგელოზთა გამოსახულება სამხრეთი მკლავის ფასადზე

სამხრეთი სარკმლის ორივე მხარეს, მკაცრად ფრონტალურად, გაშლილი ფრთებით, წარმოდგენილნი არიან მთავარანგელოზები მიქაელი (დასავლეთ მხარეს, ტაბ. 84) და გაბრიელი (აღმოსავლეთ მხარეს, ტაბ. 85). მათს ვინაობას გვამცნობს თანდართული წარწერები. ორივეს აცვია ერთნაირი სამოსი: გრძელი ტუნიკა და ძვირფასი თვლების (ისინი ნაჩვენებია პუნსონით ჩაჩვრეტილი ღრმულებით) არშიაშემოვლებული პალიუმი. სახელოების გადანაკეცები მორთულია პარალელური ხაზების ნაჭდით. გაბრიელს ფეხზე აცვია მაღალი ხამლები, შემკული ძვირფასი თვლებით თუ მარგალიტებით, რომლებიც ასევე პუნსონით გაკეთებული ღრმულებითაა გამოსახული. მიქაელის ფეხები ამოტეხილია, მაგრამ როგორც დარჩენილი ღრუ გვიჩვენებს, ალბათ მასაც ასეთივე ფეხსაცმელი ჰქონდა. შესაძლოა, შემთხვევითი არ იყოს, რომ ოსტატმა ხაზი გაუსვა გაბრიელის უპირატესობას მისი ტუნიკის ორი მრგვალი მედალიონით (*segmenta*) და კლავუსის ან ლორუმის (თუ არასწორად გაგებული ტაბლიონის?) მსგავსი ფართო ზოლით; ან იქნებ მას *tunica monoloris* მოსავს? როგორც უნდა იყოს, ეს აქსესუარები აშკარად არ გააჩნია მიქაელ მთავარანგელოზს, რომელსაც ოსტატმა მხოლოდ ერთი წვრილი მედალიონი აკმარა.

ორივე მთავარანგელოზს აქვს საიმპერიო ინსიგნიები — ჯვრით დაბოლოებული კვერთხი (ახლა ჯვრები ჩამოტეხილია) და სფერო, კვლავ პუნსონის ღრმულებით გაფორმებული. ისინი დგანან განზე გადგმული ფეხებით, პოზაში, რომელიც შეეფერება მფარველ მთავარანგელოზებს, როგორც ეს ჩანს მურანოს დიპტიქონზე.[224] მათი სახეები ძლიერ დაზიანებულია მსროლელების მიერ, მაგრამ მიქაელის დარჩენილი მარჯვენა თვალი და გაბრიელის ნაწილობრივ შემონახული მარცხენა თვალი, ორივე შესამჩნევად გადიდებული და საკმაოდ ამობურცული, კვლავ დაჟინებით იმზირებიან პირდაპირ. სასუფევლის ამ მცველებს მაყურებლებზე მაგიური შთაბეჭდილება უნდა მოეხდინათ. როგორც გაბრიელის სამოსზე დარჩენილი წითელი საღებავის კვალი გვიჩვენებს, ფიგურები თავიდან დაფერილი უნდა ყოფილიყო, რაც მათ კიდევ უფრო წარმოსადეგს გახდიდა.

მეორე მხრივ, ფიგურათა შესრულების დონე არც თუ ისე მაღალია. ისინი გადმოცემულია სიბრტყობრივად, ხაზოვანი მანერით. ზედაპირები სრულებით არ არის დანაწევრებული თუ მოდელირებული. სამოსის ნაკეცები ნაჩვენებია წვრილი, უსიცოცხლო პარალელური ღარებით, თუმცა, მიუხედავად ცხადი სქემატიზაციისა, სამოსელი ერთგვარად მიჰყვება სხეულთა მოძრაობას. პალიუმის მოქარგული არშიები სივრცის ოდნავ ილუზიას ქმნის.

## ხ. ოსტატ გაბრიელის „პორტრეტი“

სარკმელსა და მთავარანგელოზ გაბრიელს შორის არის გასხივოსნებული მზის სახის მედალიონში ჩასმული ბიუსტი. ის, შესაძლოა, გულუბრყვილო იმიტაციაა *imagines clipeatae*-სი, რომელიც გვხვდება სამარხების ხელოვნებასა და სარკოფაგებზე. მიუხედავად ფიგურის დაზიანებისა, შეიძლება აშკარად გაირჩეს ყელრების პოზაში დასავლეთისკენ

224 F. Vollbach, *Elfenbeinarbeiten der Spätantike und des frühen Mittelalters*[3], 1976, გვ. 87, ტაბ. 66, №125; მთავარანგელოზების შესახებ იხ.: Th. Klauser, *RAC* 5, 1962, გვ. 271-272.

გაწვდილი ხელები. თითქმის მთლიანად გამქრალი სახე, რომლისგანაც მხოლოდ მარცხენა თვალის ნაწილიღა შემორჩა, ფრონტალურად იყურება. მედალიონის ქვეშ გამოყვანილი წარწერის მიხედვით[225], ეს არის დეკანოზი გაბრიელი (იხ. ქვემოთ და სურ. 17). არაერთგზის გამოთქმულა აზრი, რომ ეს გაბრიელი, წარმოდგენილი თავის მფარველ გაბრიელ მთავარანგელოზთან ერთად, არის დოლისყანის ქანდაკებების შემქმნელი ოსტატი და ეგებ თვით ეკლესიის მაშენებელიც. შენობის არქიტექტურის, თვით არქიტექტურული პლასტიკის და საფასადო წარწერათა პალეოგრაფიული ნიშნების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეს მოსაზრება შესწორებასა და დაზუსტებას საჭიროებს. თვალის ერთი შევლებითაც ჩანს, რომ ქანდაკებებიც და წარწერებიც შეიძლება ორ სტილისტურად და ფორმალურად განსხვავებულ ჯგუფად დაიყოს. პირველს შეადგენს მთავარანგელოზთა რელიეფები, დეკანოზის „პორტრეტი", ქრისტეს გამოსახულება სამხრეთ პორტიკში, ქტიტორის რელიეფი გუმბათის ყელის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს და გუმბათის ყელის თაღნარის ზოგიერთი კაპიტელი (ტაბ. 80, 82, 84-85, 87). მეორე ჯგუფში შედის სამხრეთი მკლავის სარკმლის თავსართი, სამხრეთი კარის ტიმპანის თაღი, წნული ჯვარი წრიულ ნაჩოში სამხრეთ პორტიკში, ჯვარი სამმაგი წნულით და გუმბათის ყელის ყრუ თაღნარის კაპიტელების ნაწილი (ტაბ. 77-81, 89-90).

პირველ ჯგუფს აერთიანებს საერთო სტილისტური ნიშნები, როგორიცაა პლასტიკური ფასეულობების უგულებელყოფა, ფიგურული და მცენარეული მოტივების დაყვანა წვრილ პარალელურ ხაზებამდე და სქემატური, დაუნაწევრებელი სიბრტყობრივი ფორმები. როგორც დიაკვნის „პორტრეტის" ქვეშ გაკეთებული წარწერა გვამცნობს, ეს ქანდაკებები თვით გაბრიელ დეკანოზის ნახელავი უნდა იყოს. მეორე, უფრო მცირე ჯგუფისათვის დამახასიათებელია ბუნებრივი პროპორციების დაცვა, მოდელირების მცდელობა (ეს ეტყობა ფოთლებს კაპიტელებზე) და ბევრად უფრო ნატიფი ოსტატობა.[226]

იმავე ოსტატს უნდა შეესრულებინა ორსტრიქონიანი წარწერა სამხრეთი მკლავის სარკმლის საჭაქი ქვის თავზე. ამ წარწერის მშვენიერი მრგვლოვანი ასოები იხეთივე აკურატულობითა და სიზუსტით არის ამოკვეთილი, როგორითაც არქიტექტურული შემკულობა (იხ. ქვემოთ და სურ. 15). მეორე მხრივ, გაბრიელის წარწერას იგივე ნაკლოვანებები ახასიათებს, რაც პირველი ჯგუფის კვეთილ დეკორს. ამდენად, ჩვენი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ არქიტექტურული პლასტიკა ორი ოსტატის მიერ არის შესრულებული. გაბრიელს დოლისყანის ორი წარწერა იხსენიებს როგორც დეკანოზსა და მოძღვარს – ერთი მისივე პორტრეტის ქვეშ და მეორე სამხრეთ-აღმოსავლეთი პორტიკის აღმოსავლეთ კედელზე. ეს მოწმობს, რომ გაბრიელს, მიუხედავად მისი მხატვრული გაუწაფაობისა, გამორჩეული მდგომარეობა ეკავა როგორც მოძღვარსა და დეკანოზს. გაბრიელი მართლაც შეიძლება ყოფილიყო არა მხოლოდ მოქანდაკე, არამედ ხუროთმოძღვარიც, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს.

სწორედ ამავე რეგიონში გაბრიელის თანადროულად მოღვაწეობდა სერაპიონ ზარზმელი, რომელიც ცნობილი იყო როგორც ეკლესიის მამა და, ამასთანავე, „მეცნიერ სჯულთა საეკლესიოთა და ფრიად შემკულ წესითა ხუროობისაითა".[227] მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ოპიზის მონასტრის აღდგენით სამუშაოებში. მსგავსი ვითარება იყო სირიაშიც, რომელსაც მჭიდრო საეკლესიო კავშირი ჰქონდა საქართველოსთან. დარ კიტას დიდი ეკლესიის მაშენებელი მღვდელი დიოდოროსი და მაკარიოს კურისი, რომელმაც 380-415 წლებს

[225] უსაფუძვლოა მისი გაიგივება დავით წინაწარმეტყველთან, როგორც ეს დ. უინფილდმა შემოგვთავაზა ("Sculpture", გვ. 38).

[226] ამ უცნობ ოსტატს 10-15 წლის შემდეგ მონაწილეობა უნდა მიეღო პარხლის ბაზილიკური ეკლესიის (დასრულდა 973 წლამდე) მშენებლობაში, სადაც გამოყენებულია მსგავსი ნახატის ორნამენტები (მაგალითად, გულისებრი სახე სამხრეთი ბურჯის ნიშის თავზე ან ნახევარპალმეტები ტალღოვან ღეროზე აღმოსავლეთი სარკმლის ზემოთ). ყველაზე ღირსშესანიშნავი არის წნული ჯვარი (ტაბ. 87, სურ. 20) წრეში დოლისყანის სამხრეთი პორტიკიდან. იხ. ზუსტადაა გამეორებული პარხლის დასავლეთ ფასადზე (ტაბ. 260, სურ. 64).

[227] Djobadze, "Churches", გვ. 129; *სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება*, გვ. 337.

შორის მრავალი ეკლესია ააგო, მოღვაწეობდნენ არა მხოლოდ როგორც მღვდლები, არამედ როგორც ხუროთმოძღვრებიც (τεχνίτης).[228] ხუროთმოძღვარი (οικοδόμος) იყო დეკანოზი პეტრონიც.[229] სხვა შემთხვევაში წმ. მარტას მარტირიუმის არქიტექტორი ანგულასი წმ. სვიმეონ მესვეტე უმცროსის მონასტრის ბერი იყო,[230] ხოლო იქვე სამების ბაზილიკის სვეტისთავები წმ. სვიმეონის შთაგონებით გამოთალა იმავე მონასტრის ბერმა იოანემ.[231]

ჩვენი გაბრიელ დეკანოზიც შეიძლება ყოფილიყო დოლისყანის მაშენებელი, მაგრამ ამგვარი ვარაუდის საწინააღმდეგოდ მეტყველებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი. პირველ ყოვლისა, დოლისყანის სამშენებლო ტექნიკა, უხეშად დაკუთხილი, სახელდახელოდ ზედაპირმოსწორებული ქვების ხმარება, არ შეესაბამება დოლისყანის თანადროულად – დაახლოებით 954-958 წლებს შორის – აგებული თუ აღდგენილი ეკლესიების ჩვეულებრივ არქიტექტურულ პრაქტიკას. ამავე ხანებში ივარაუდება ხანცთისა და ოპიზის აშენება და იქ სუფთად თლილი ბლოკებია გამოყენებული.

მეორეც, სამხრეთი სარკმლის თავსართი და დანარჩენი კედელი მოუხეშავად ებმის ერთმანეთს. თავდაპირველი უხეშად დათლილი ქვები აქ გამოუცვლიათ სუფთად დამუშავებული კვადრებით, კირის ჭარბი ხმარებით, უკიროდ ან კირის სქელ ფენაში დაუდევრად ჩასმული შევსებით. ჩვენი კვლევისათვის საყურადღებოა აგრეთვე სამხრეთი პორტიკის აღმოსავლეთი კედელი. აქ მოთავსებული ქრისტეს ტონდო (ტაბ. 87) გასაოცარ მსგავსებას ამჟღავნებს გაბრიელის „პორტრეტთან“ და მისი სახელის შემცველ მეორე წარწერასთან. ტონდოს ირგვლივ კედელში უწესრიგოდაა ჩართული ჩუქურთმიანი ქვების ფრაგმენტები და გაფართოებულმკლავებიანი ჯვრის ნაწილები (სურ. 18).

ჩვენს არგუმენტაციას დამატებით განამტკიცებს სამხრეთი მკლავის სარკმლის თავდაპირველი საპირის ქვის ფრაგმენტი.[232] ეს არის ქვედა დასავლეთი კუთხის ნაწილი, გაფორმებული სადა მართკუთხა ლილვით (ტაბ. 81). იგი მოწმობს, რომ ეკლესიის აგებიდან გარკვეული დროის შემდგომ სარკმელი 0.07 მ-ით გაუფართოებიათ. უცნობია, თუ როდის მოხდა ეს ცვლილება, შესაძლოა, X საუკუნის შეახანების შემდეგ, როცა ეკლესიის ინტერიერის მოხატულობით შემკობამ დამატებითი შუქი მოითხოვა. უფრო შესაძლებელია, რომ სარკმლის გაფართოება ქრონოლოგიურად ემთხვეოდეს საქტიტორო წარწერას ამავე სარკმლის საჭეჭ ქვაზე. ამასვე გვაფიქრებინებს ჩრდილოეთი მკლავის განგრეული სარკმლის შემორჩენილი საჭეჭი ქვა, 0.36 მ სიგანისა ლილვიანურთ, რომლის პროფილიც სამხრეთი მკლავის სარკმლის ზემოთ ნახსენებ ფრაგმენტს შეესაბამება.

თუ დავუშვებთ, როგორც მოსალოდნელია, რომ ორივე განივი მკლავის სარკმლები ერთი და იმავე მოხაზულობისა და ზომისა იყო, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამხრეთი სარკმლის თავდაპირველი სიგანე დაახლოებით 0.36 მ-ს უტოლდებოდა და მისი საჭეჭი ქვა ისეთივე იყო, როგორც ჩრდილოეთი მკლავის სარკმლისა. მეფე სუმბატის მიერ შენობის აღდგენისას სამხრეთი მკლავის სარკმელი 0.07 მ-ით გააფართოვეს, სარკმლის სადა, ლილვისპროფილიანი ჩარჩო ჩამოთალეს, ხოლო საჭეჭი ქვა გამოცვალეს და ზედ საქტიტორო წარწერა გააკეთეს.

გარდა ამისა, „გრიგოლ ხანცთელის ცხორებაში“ გიორგი მერჩულე გრიგოლის მიერ VIII-IX საუკუნეებში დაარსებული მონასტრების ჩამოთვლისას შენიშნავს, რომ „დოლისყანაი მონასტრად უკუანაჲს იქმნა[233]“, კერძოდ, გრიგოლის გარდაცვალების (861 წელი) შემდეგ. რამდენადაც მერჩულემ თავისი ბიოგრაფიული თხზულება გრიგოლ ხანცთელის შესახებ 951 წელს დაასრულა, დოლისყანა ვერ იქნება აშენებული 954-958 წლებში მეფე

---

228 H. C. Bulter, *Early Churches in Syria*, Princeton, 1929, გვ. 257; J. Christern, *Das frühchristliche Pilgerheiligtum von Thebessa*, Wiesbaden, 1976, გვ. 289, შენ. 98-100.

229 Bulter, დასახ. ნაშრ., გვ. 257.

230 C. Mango, "Issaurian Builders", *Polychronion: Festschrift für F. Dölger*, München, 1967, გვ. 360 და შემდეგ.

231 კ. კეკელიძე, *Keimena*, თბილისი, 1918, თავი $108_{14}$.

232 ეს ფრაგმენტი, ახლა დაფარული ეკლესიაზე მიდგმული სახლის სახურავით, ნათლად ჩანს დ. უენფილდისა ("Sculpture", ტაბ. 5a) და ნ. მარის (*Дневник*, სურ. 61) ფოტოსურათებზე.

233 *ცხორება*, თავი 27, გვ. 275.

სუმბატის მიერ, ის რამდენიმე ათეული წლით ადრე უნდა იყოს აგებული. ასე თუ ისე, დოლისყანის ეკლესია არსებობდა 951 წლამდე. სამხრეთი პორტიკის ნაკლული წარწერა (იხ. ქვემოთ, ტაბ. 87, სურ. 19) გვაფიქრებინებს, რომ ის აუშენებია ადარნასეს ძეს ბაგრატს (†945). მეორე მხრივ, გუმბათის ყელის რელიეფს „ქართველთა მეფის“ — სუმბატის (954-958) გამოსახულებით, რომელიც მხოლოდ ადარნასეს მეორე შვილი და ბაგრატის ძმა შეიძლება იყოს, გარდაუვალად მივყავართ დასკვნამდე, რომ სუმბატმა ოდენ აღადგინა, ანუ „მეორედ აღაშენა“ ეკლესია. ამასვე ადასტურებს ეკლესიის არქიტექტურული ორნამენტაცია, განსაკუთრებით სამხრეთ ფასადზე, და მისი ეპიგრაფიკა (იხ. ქვემოთ).

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაბრიელ დეკანოზის სავედრებელი წარწერა, მიმართული მისი მფარველის — პირველმოწამისა და პირველდიაკვნის წმ. სტეფანესადმი, ვინაიდან გაბრიელმა ეს წარწერა გააკეთა დაუზიანებელ ნაწილზე მცენარეული მოტივით შემკული ქვისა, რომელიც ხელახლა გამოიყენეს. აქ საყურადღებოა სტილიზებული მცენარეული ჩუქურთმა ქვის მარჯვენა კიდეზე. ის ახლო სტილისტურ მსგავსებას ამჟღავნებს სამხრეთი მკლავის სარკმლის თავსართის ორნამენტაციასთან, მაგრამ არა გაბრიელის მიერ გამოკვეთილ ქანდაკებებთან.

დოლისყანის არქიტექტორი არ ყოფილა არც სამხრეთი მკლავის სარკმლის ბრწყინვალედ მოჩუქურთმებული მონუმენტური თავსართის შემქმნელი უცნობი ოსტატი და არც ენერგიული დეკანოზი გაბრიელი, თავდაპირველი ეკლესია დოლისყანაში უნდა აეგო ანონიმ ხუროთმოძღვარს 945 წელზე ცოტა ხნით ადრე. მალე ხელსაყრელმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ ტაო-კლარჯეთში ხელი შეუწყო განახლებითი სამშენებლო სამუშაოების გაშლას. ამან უბიძგა სუმბატ კურაპალატს (954-958), შეეკო სამხრეთი ფასადი[234] და გუმბათის ყელის შიდა და გარე პერანგი, რომელშიც მან ჩართო საკუთარი გამოსახულება მის მიერ შეკეთებული (მაგრამ არა აშენებული) ეკლესიის მოდელით ხელში. ეს სამუშაო სუმბატმა ორ ოსტატს მიანდო. ერთი მათგანი იყო გაბრიელ დეკანოზი, მეორე ჩვენთვის უცნობი დარჩა. ვფიქრობთ, რომ სუმბატის საქტიტორო რელიეფი გაბრიელ დეკანოზის შესრულებული უნდა იყოს. ის იდეოლოგიურ, სტილისტურ და ფორმალურ პარალელებს პოვებს სუმბატის თანამედროვის — აშოტის (†954) საქტიტორო რელიეფში. ორივე უკვდავყოფილია რელიეფებში, პირველი — დოლისყანაში, მეორე — ოპიზაში (ტაბ. 8). აღსანიშნავია, რომ ამ ქტიტორთა თანმხლებ წარწერებში არც ერთი არ აცხადებს თავს ტაძრის მაშენებლად, მხოლოდ თავისი სახელის ლაკონიური აღნიშვნითა და ვედრებით კმაყოფილდება.

დასასრულ, ცალკე უნდა აღვნიშნოთ და მოკლედ განვიხილოთ კიდევ ორი რელიეფი სამხრეთ ფასადზე, მთავარანგელოზთა ქვემოთ, და მზის საათი. პირველი რელიეფი მთავარანგელოზ მიქაელის ქვეშ ისე განადგურდა, რომ ამოუცნობი დარჩა. მეორე (ტაბ. 81), მთავარანგელოზ გაბრიელის ქვემოთ, არის დავითის ვარკვლავი, ქიმებით გადაბმული შემომწერ წრესთან. ამ კონტექსტში დავითის ვარსკვლავი უნდა განვიხილოთ როგორც გამოძახილი ან აშკარა დადასტურება გრიგოლ ხანცთელის მიერ აშოტ დიდისადმი (780-826) შესხმული ხოტბისა, რომელშიც მან ხაზი გაუსვა ბაგრატიონთა სამეფო სახლის ღვთაებრივ წარმომავლობას.[235] უფრო კონკრეტულად კი ის უნდა განვიხილოთ როგორც მინიშნება მეფე სუმბატის კავშირზე ბიბლიურ მეფესა და წინასწარმეტყველ დავითთან, უფლის წინაპართან.

მზის საათი თავისი გნომონით კარგ სამუშაო მდგომარეობაშია (ტაბ. 88). მისი ნახევარწრე დაყოფილია 12 თანაბარ რადიალურ სეგმენტად, რომელთაგან თითოეული შეესაბამება ერთ საათს. ნაჩვენებს მრგვლოვანი ასოებით ა-დან (=1) იბ-მდე (=12). 1904 წლის 21 აგვისტოს, როცა ნ. მარი დოლისყანაში ჩავიდა, ამ მზის საათს ბაღების რწყვის რეგულირებისათვის იყენებდნენ და ის დღესაც იმავე დანიშნულებას ასრულებს.

---

[234] აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთი და სამხრეთი სარკმლები ერთი ზომისაა, მაგრამ პირველის თავსართი გაცილებით მცირეა და სადა, მაშინ, როცა მეორეს ბევრად დიდი და შესანიშნავი კვეთილობით დაფარული თავსართი აქვს.

[235] *ცხოვრება*, თავი 11 და Constantine Porphyrogenitus, *Adm. Imp.*, ed. Moravcik, თავი $47_{1-7}$.

დოლისყანის მსგავსი მზის საათი იყო აგრეთვე ექქის X საუკუნის ეკლესიის (ახლა დანგრეულია) სამხრეთ ფასადზე.[236]

## 2. წარწერები

ზემოთ განხილულ ქანდაკებათა უმეტესობას ახლავს ისტორიულად მნიშვნელოვანი მრგვლოვანი ამოკვეთილი წარწერები. ისინი მოსახსენებელი შინაარსისაა და თანადროულია ეკლესიის მშენებლობის (თუ გადაკეთების) ბოლო ეტაპისა, რომელიც უკავშირდება მეფე სუმბატ I-ს (954-958), ადარნასეს ძეს. წარწერების დიდი ნაწილი გამოაქვეყნა ნ. მარმა,[237] უფრო გვიან კი, გარკვეული შესწორებებით – პ. ინგოროყვამ[238] და ნ. შოშიაშვილმა,[239] რომელთა წაკითხვა და ინტერპრეტაცია ურთიერთგანსხვავებულია. მე ყველა შემთხვევაში მომაქვს წარწერის ფაქსიმილე, ქარაგმების გახსნა და მხედრული ტრანსკრიფცია.

1. გუმბათის ყელის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, საქტიტორო რელიეფზე, ეკლესიის მოდელის ქვეშ ორსტრიქონიანი წარწერაა (ტაბ. 82, სურ. 14), რომლის სიტყვები დაცალკევებული არ არის. წარწერაში იკითხება:



ქ(რისტ)ე ად(ი)დ(ე)ნ
მეფე ჩ(უე)ნი ს(უმ)ბ(ა)ტ

14. ეკლესია, გუმბათის ყელი, ქტიტორის წარწერა

აქ მოხსენიებული სუმბატი უნდა იყოს მეფე ადარნასე II-ის ძე სუმბატ I. კლარჯეთის მმართველთა შორის მხოლოდ ის ატარებდა მეფის ტიტულს.[240] სუმბატი 954 წელს ეკურთხა „ქართველთა მეფედ" და იმავე წელს მიიღო „კურაპალატის" ბიზანტიური წოდება. ჩვენი წარწერა სუმბატს არ იხსენიებს ეკლესიის მაშენებლად და, ამდენად, ადასტურებს მერჩულეს ზემოთ მოყვანილ ცნობას იმის თაობაზე, რომ დოლისყანის ეკლესია 951 წლამდე არსებობდა. შესაბამისად, სუმბატ I კურაპალატი არის არა მშენებელი, არამედ განმაახლებელი ან „მეორედ მაშენებელი" არსებული ეკლესიისა.

2. ორსტრიქონიანი წარწერა სამხრეთი მკლავის ფასადზე, სარკმლის თავზე (ტაბ. 81, 83, სურ. 15). საკმაოდ დიდი ასოებით გამოყვანილი სიტყვები დაცალკევებული არ არის. ქარაგმის ნიშანი მოკლე მარტივი ჰორიზონტალური ხაზია:



ქ(რისტ)ე ადიდე მეფჱ
ჩ(უენ)ი ს(უმ)ბ(ა)ტ მზ(ე) გრძ(ელო)ბ(ით)

15. ეკლესია, სამხრეთი მკლავი, სარკმლის თაღოვანი დაგვირგვინება, ქტიტორის წარწერა

ეს იგივე მეფე სუმბატია, რომელიც წინა წარწერაში იხსენიება – იმავე მიზეზების გამო.

---

[236] Э. Такаишвили, *Экспедиция*, ტაბ. 112
[237] *Дневник*, გვ. 184-186.
[238] პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 359-360.
[239] *კორპუსი*, წარწერა № 162-166.
[240] სუმბატის მმართველობის შესახებ იხ.: ე. თაყაიშვილი, *ქრონიკა*, გვ. 44, 67, 85, პარ. 68.

3. ერთსტრიქონიანი წარწერა სამხრეთი მკლავის სარკმლის მარცხნივ, მთავარანგელოზის ფრთების ზემოთ. ქარაგმის ჰორიზონტალური ნიშნები და ზოგიერთი ასო ხაზგასმულია სამკუთხა კიდურწერტილოვნებით (ტაბ. 84, სურ. 16).

ეროვნული ბიბლიოთეკა



წ(მიდა)ჲ მ(ი)ქ(ე)ლ

16. ეკლესია, სამხრეთი მკლავი, წარწერა

წმ. მიქაელის შესაბამისად, იმავე სარკმლის აღმოსავლეთ მხარეს ანგელოზის რელიეფის თავზე ერთსტრიქონიანი წარწერაა. ქარაგმის ნიშნის ორივე ბოლო და თვით ასოების ბოლოები ხაზგასმულია კიდურწერტილოვნებით (ტაბ. 85, სურ. 17):



\+ წ(მიდა)ჲ გ(ა)ბრ(იე)ლ

17. ეკლესია, სამხრეთი მკლავი, წარწერა

4. იმავე ქვაზე სოლარული მედალიონის ქვეშ ორსტრიქონიანი წარწერაა. ის გრძელდება სამი სტრიქონით მთავარანგელოზ გაბრიელის მარცხენა ფრთის ქვეშ (ტაბ. 85, სურ. 18):



შ(ეი)ქმნ(ე)ს ჴე[241]
(ლი)თა გ(ა)ბრ(იე)ლ



დ(ე)კ
(ა)ნ(ოზი)ს(ა)ჲ
თა

18. ეკლესია, სამხრეთი მკლავი, წარწერა

№№ 3, 4 და 5 წარწერებს აქვთ საერთო პალეოგრაფიული ნიშნები და ერთი ოსტატის მიერ არიან ნაკვეთი. უკანასკნელი განეკუთვნება სოლარულ მედალიონში გამოსახულ ფიგურას – გაბრიელ დეკანოზს. მან, როგორც ითქვა, ალბათ გამოკვეთა ქანდაკებები და, შესაძლოა, ააგო ან აღადგინა თვით ეკლესია. სასულიერო პირის მოქანდაკეობა ან არქიტექტორობა უჩვეულო რამ არ არის. ეკლესია ოპიზის მახლობლად, მაგალითად, წინამძღვარმა სერაპიონმა ააგო.[242]

---

241 ნ. მარი (*Дневник*, გვ. 184) კითხულობს „ჰე“ და ზოგიერთ ქარაგმას გაუხსნელს ტოვებს, რის გამოც მთელი წარწერა აზრს კარგავს.

242 Djobadze, "Churches", გვ. 129 და შენ. 57.

5. ქვიშაქვის მეწამული ბლოკის მარცხენა მხარეს არის შეეული წარწერა (ტაბ. 86, სურ. 19):

ეროვნული ბიბლიოთეკა



წ(მიდა)ო
სტე
ფან
ე შ(ეიწყალ)ე
მო
ძ
ღ[უარი] ////// გ(ა)ბ(რიე)ლ

19. ეკლესია, ხელმეორედ გამოყენებული წარწერიანი ფილა სამხრეთ-დასავლეთ კარიბჭის აღმოსავლეთ კედელში

ვვარაუდობთ, რომ ქვის შუა ნაწილზე, წარწერასა და მარჯვენა კიდეს აყოლებულ ორნამენტულ ზოლს შორის, თავიდან იყო წმ. სტეფანეს გამოსახულება, რომელიც ამჟამად მთლიანად ჩამოშლილია. მოძღვარ გაბრიელის ვინაობა დანამდვილებით ვერ დგინდება. ის შეიძლება იყოს იგივე № 5 წარწერაში მოხსენიებული გაბრიელი, ვინაიდან საკმაოდ უხეშად ამოკვეთილი № 6 წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით დიდად წააგავს №№ 3, 4 და 5 წარწერებს.

6. სამხრეთი პორტიკის აღმოსავლეთ ნიშაში თავდაპირველად ჩასმული იყო მოყარდისფრო-ყვითელი ქვიშაქვის ხუთი ბლოკი – სამკუთხა ფილა, ზემოდან ფრონტონის მსგავსად მოფარგლული კარნიზის ორი ქვით, და მის ქვეშ ორი კვადრატული ბლოკი. ამ ორთაგან შემორჩა მხოლოდ ერთი, მარჯვენა. ყველა ფილაზე, კარნიზის ქვების გარდა, გაკეთებული იყო კვეთილობა და ერთიანი წარწერა. ფრონტონის ცენტრში ჩანს შარავანდიანი ქრისტეს დაზიანებული ნახევარფიგურა ჩაღრმავებულ წრიულ ფონზე. მარჯვენა ხელით იგი აკურთხებს, მარცხენა, მოსასხამით დაფარული ხელით წიგნი უჭირავს. ქრისტეს ორივე მხარეს ორსტრიქონიანი წარწერაა. კვადრატულ ფილაზე ქრისტეს ქვემოთ, მარჯვნივ, გამოსახულია წნული რელიეფური ჯვარი, გადახლართული წრიულ ჩარჩოსთან. მის ზემოთ და ქვემოთ თითოსტრიქონიანი წარწერებია. მარცხენა, ამჟამად გამქრალი ფილა მის გვერდით ასევე ჯვრით უნდა ყოფილიყო შემკული და ალბათ ასეთსავე წარწერებს შეიცავდა. ქვემოთ გთავაზობთ წარწერის რეკონსტრუქციასა და წაკითხვას (ტაბ. 87, სურ. 20):



ი(ესო)ჳ ქ(რისტ)ე
წ(მიდა)ჲ ესე ეკლესიაჲ წე(?) დღესა
[აღაშენეს] მეფეთა ჩ(უე)ნთა
[სუმბატ და ბაგრატ] ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე

20. ეკლესია, სამხრეთ-დასავლეთ კარიბჭის აღმოსავლეთ კედელი, ბრტყელი ნიშა წარწერებითურთ

პალეოგრაფიული ნიშნებით — ასოთა ბოლოების ხაზგასმა კიდურწერტილოვნებით, ქარაგმის ნიშნები სწორი ჰორიზონტალური ხაზის სახით, სიტყვებს შორის გამყოფი ნიშნების არარსებობა — № 7 წარწერა დიდ სიახლოვეს იჩენს №№ 3, 4, 5 და ნაწილობრივ 6 წარწერებთან. ეს ფაქტი და ასევე წარწერის შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ იგი მათი თანადროულია და, შესაძლოა, შეასრულა იმავე გაბრიელ დეკანოზმა, რომელსაც იხსენიებს №№ 5 და 6 წარწერები. ამ მოსაზრებას განამტკიცებს სტილისტური მსგავსება ქრისტეს ნახევარფიგურას, მთავარანგელოზთა ფიგურებსა და სამხრეთი მკლავის ფასადზე მზისებრ მედალიონში წარმოდგენილი გაბრიელის ბიუსტს შორის.

მე ვერ ვახერხებ ქარაგმის აზრიანად გახსნას სიტყვაში **წე (წინაშე?)**, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს ჩვენი წარწერა, ისაა, რომ ის იხსენიებს ერთზე მეტ მეფეს (**„მეფეთა ჩუენთა“**). ეს თანხვდება ეკლესიის ანალიზის შედეგებს, რომელთა მიხედვითაც იგი დაახლოებით 937-945 წლებს შორის აუგია ბაგრატ მეფეს და 954-958 წლებში განუახლებია მის ძმას სუმბატ მეფეს. ამდენად, თავს უფლებას მივცემ აღვადგინო წარწერა, როგორც **„აღაშენეს სუმბატ და ბაგრატ“**.[243]

7. სამხრეთ ფასადზე, მზის საათის თორმეტ ერთნაირ რადიალურ სეგმენტში ამოკვეთილია თოთხმეტი ასო. პალეოგრაფიული ნიშნებით ისინი წინა წარწერებს ჰგავს (ტაბ. 88, სურ. 21).



21. ეკლესია, სამხრეთი ფასადი, მზის საათი

8. გუმბათის ყელის სამხრეთ მხარეს, შეწყვილებული კორინთული კაპიტელის ნაწილობრივ შემორჩენილ აბაკაზე ორი ასოა. წარწერის თავი და ბოლო ჩამოტეხილია (ტაბ. 80, სურ. 22):



**[...] ად[იდე]**

22. ეკლესია, გუმბათის ყელის სამხრეთ ფასადი,
აბაკა ფრაგმენტული წარწერით

[243] ჩვენი დასკვნა ემყარება საყოველთაოდ მიღებულ აზრს, რომლის მიხედვითაც კლარჯეთში 945-954 წლებს შორის არ ყოფილა მმართველი „მეფის“ წოდებით (ე. თაყაიშვილი, *ქრონიკა*, გვ. 46 და შემდგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. გუმბათის ყელის სამხრეთ მხარეს შეწყვილებული კორინთული კაპიტელის ნაწილობრივ შემორჩენილ აბაკაზე სამი ასოა. ბოლო ჩამოტეხილია (ტაბ. 79, სურ. 23):



**გყა [...]**

23. ეკლესია, გუმბათის ყელის სამხრეთ ფასადი,
აბაკა ფრაგმენტული წარწერით

ამ ფრაგმენტირებულ წარწერებს ქარაგმის ნიშნები არ გააჩნია. მათი თავდაპირველი სახის აღდგენა არ ხერხდება, მაგრამ ეს ორი წარწერა მაინც მნიშვნელოვანია მათი სხვებისაგან გამორჩეული კალიგრაფიული თვისებების გამო. ორივე ამოკვეთილია დახელოვნებული ოსტატის მიერ, გულმოდგინედ და აკურატულად. ასოების შესრულებაში აღინიშნება შემდეგი თავისებურებები: № 9 წარწერაში ორივე ასო თანდათან ფართოვდება შუაში, ხოლო ბოლოები ხაზგასმულია კიდურწერტილოვნებით. ზუსტად ასეთსავე სტილს ამჟღავნებს № 10 წარწერის მესამე ასო ა, პირველი ასო გ სხვა სიახლეს გვიჩვენებს – ბოლოები სამკუთხაა და არა წრიული. ორივე ეს სიახლე, რომელიც მწვერვალს აღწევს XI საუკუნის I ნახევარში, ჩნდება უკვე იშკში (იხ. ქვემოთ, ტაბ. 186, სურ. 43). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დოლისყანის №№ 9 და 10 წარწერები კაპიტელებზე გაკეთდა X საუკუნის II ნახევრის მანძილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# L. ენი რაბათის ეკლესია

ენი რაბათის ეკლესია მდებარეობს არტანუჯის სამხრეთით 18-ოდე კმ-ის დაცილებით. ის დგას მდ. არტანუჯისწყლის მარჯვენა ნაპირზე, სწორი ბაქნის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, ციცაბო ერთკილომეტრიანი ბილიკის ბოლოს. ეს იდუმალი ეკლესია, რომელიც დანამდვილებით არასოდეს ყოფილა იდენტიფიცირებული, პირველმა ინახულა აკადემიკოსმა ა. პავლინოვმა. მისი მოკლე ცნობა 1893 წელს გამოქვეყნდა.[244] შემდგომ აქ იყო ცნობილი ლინგვისტი ნ. მარი. ის ენი რაბათში 1904 წლის 6 აგვისტოს ჩავიდა და იქ გატარებული ოთხი საათის განმავლობაში შეძლო ეკლესიის დათვალიერება და მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვება მოკლე ქართული წარწერის, რამდენიმე ახალი სომხური ასოსა და ეკლესიიდან წამოღებული და მახლობლად მდგარ სახლებში გამოყენებული ჩუქურთმიანი ქვების შესახებ.[245] 1967 წელს ეკლესიის სანახავად მივიდნენ ნ. და მ. ტიერები, რომელთა დაკვირვებანი ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა.[246] მე ვინახულე და ადგილზე გამოვიკვლიე ენი რაბათის ეკლესია 1976 წელს და ხელახლა 1983 წელს.

## 1. ეკლესიის ინტერიერი

ამ მხარის მრავალი ეკლესიის მსგავსად, ენი რაბათი არის ჯვრული გუმბათოვანი ნაგებობა, ვარიანტი croix libre-ის ტიპისა, რომლისგანაც ის განსხვავდება თავისი აღმოსავლეთი ნაწილით, რამდენადაც აქ სივრცე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მკლავებს შორის შევსებულია პასტოფორიუმებით. თუმცა, ეს გადახვევა „ორთოდოქსული“ croix libre-ის ტიპისაგან უფრო შესამჩნევია გეგმაზე, ვიდრე შიდა სივრცეში ან გარე მასებში, ვინაიდან პასტოფორიუმთა სახურავები ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ჯვრის მკლავებისა.

ეკლესიის შიდა ზომებია: სიგრძე – 16.70 მ, სიგანე – 10.70 მ, ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების სიგანე – 5.50 მ; დასავლეთი მკლავი ორი მონაკვეთისაგან შედგება და 5.60 მ სიგანისაა, ნახევარწრიულ აფსიდს აქვს ერთი თაღოვანი სარკმელი, რომელიც ქვემოთ ფლანკირებულია ორი უფრო პატარა კვადრატული ნიშით. აფსიდის სიგანე 4.48 მ-ია, სიღრმე – 4.40 მ. პასტოფორიუმები უშუალოდ კი არ უკავშირდება აფსიდს, არამედ, ამ რეგიონის სხვა ადრეშუასაუკუნეობრივ ეკლესიათა (მაგალითად, ხანცთა, დოლისყანა, სურ. 6, 12) მსგავსად, დასავლეთისაკენ იხსნება. გარდა ამისა, ეკლესიას აქვს თითო თაღოვანი სარკმელი ჩრდილოეთ და დასავლეთ მკლავებში და მომიჯნავე შეწყვილებული სარკმლები სამხრეთისაში. დასავლეთი მკლავის სამხრეთი შესასვლელის უკეთ გასანათებლად აქ დამატებით კიდევ მომცრო მართკუთხა სარკმელია (ტაბ. 103), თაღოვანის ქვემოთ, რაც გვაფიქრებინებს, რომ სამხრეთი კარი ეკლესიის თავდაპირველი გეგმის ნაწილია. შიგნით კედლებისათვის გამოყენებულია უხეშად დამუშავებული ქვა, რასაც ხშირად ენაცვლება რიყის ქვა და კირის ხსნარის შევსება. ქვების ზომა მნიშვნელოვნად მერყეობს, რაც ხშირად არღვევს რიგების სისწორეს. გამონაკლისს შეადგენს პილასტრები, თაღები, კამარები, კარ-სარკმელთა წირთხლები, აფსიდის კონქი, გუმბათი და მისი ყელი. კირის შელესილობის უამრავი ფერწერიანი ფრაგმენტი მოწმობს, რომ ეკლესია მთლიანად მოხატული იყო.

---

[244] *MAK* III, გვ. 69-70, ტაბ. XXVI, XXXIX, XL

[245] *Дневник*, გვ. 99-103, ტაბ. 33.

[246] "Notes", გვ. 52-53.

ეროვნული ბიბლიოთეკა




24. ეკლესია. გეგმა




25. ეკლესია ჭრილი

გუმბათი (ტაბ. 97, სურ. 25) ეყრდნობა კედლის კუთხეებს მკლავების გადაკვეთაზე. კუთხეები გაძლიერებულია 0.37 მ სიგანისა და 0.30 მ სისქის პილასტრებით, რომლებსაც აქვთ 0.13 მ სიგანისა და 0.20 მ სისქის გვერდითი სახსრები. მათ აგვირგვინებს იმპოსტები (ტაბ. 102, 104). ისინი პროფილირებულია ორ-ორ ერთნაირ თაროს შორის მოქცეული ორ-ორი ლილვით. გადასვლა ცენტრალური კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ საფუძველზე ხორციელდება ოდნავ შეისრული გუმბათქვეშა თაღებითა და ჰიბრიდული „ტრომპ-აფრებით" (ტაბ. 105). მათ ზემოდან შემოწყერს ოთხი ერთნაირი ლილვითა და მათი დამაგვირგვინებელი წვრილი თაროთი გამოყვანილი პროფილირებული თაღოვანი სეგმენტები. ოთხივე აფრა, ხანძრისაგან გაშავებული, კარგად შემოინახა და თავიანთი მოყვანილობით ერთნაირია, თუმცა მათი ზედაპირის დეკორი ძლიერ სხვაობს და მე გაჭირვებით შევძელი ზოგიერთი მოტივის ამოცნობა. სამხრეთ-აღმოსავლეთი აფრა შემკულია რადიალურად განლაგებული ღარებით – კარგად ცნობილი მოტივით, რომელიც თავს იჩენს ამ რეგიონის თითითქმის ყველა გუმბათოვან ეკლესიაში. სამხრეთ-დასავლეთ აფრას იგივე ორნამენტი აქვს, რაც გუმბათოვან ეკლესიაში. სამხრეთ-დასავლეთ აფრას იგივე ორნამენტი აქვს, რაც გუმბათის ყელისძირა გარე კარნიზს. აქ ის დაფარულია გადახლართული ნახევარწრეებით. ჩრდილო-აღმოსავლეთი აფრა მორთულია ფრთისებრი წვეტიანი ფოთლებით ღეროზე. ჩრდილო-დასავლეთ აფრაზე ჩანს საკმაოდ გაურკვეველი ცვალებადი ზომის ცრემლისებრი მოტივი, რომელიც ფარშევანგის კუდის მსგავს კომპოზიციას ქმნის. ორი უკანასკნელი აფრის დეკორს, ისევე, როგორც სამხრეთ-დასავლეთი აფრის ურთიერთგადამკვეთი ნახევარწრეების მოტივს, ამ რეგიონში მიახლოებითი პარალელიც კი არა აქვს და მთელი თავისი ბუნებით უცხოა მისთვის. მეორე მხრივ, თავისთავად ფერის გამოყენება – კერძოდ, წითელი და ლურჯი პიგმენტების მონაცვლეობა – მთლიანად ეთანხმება ჩვეულ წესს, რომელსაც ტაო-კლარჯეთის მშენებლები მისდევდნენ IX საუკუნის შუახანებიდან.

ინტერიერში გუმბათის ყელის საფუძველს ქმნის სუფთად გათლილი ბლოკების ერთი რიგი. ყელში ოთხი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი ქვეყნის მხარეების შესაბამისად და გამოყვანილია თორმეტი მსუბუქი, თანაბარი ინტერვალებით განლაგებული პილასტრი, რომლებზეც გადადის ძალიან სადა განმტვირთავი თაღები. ეს პილასტრები სტრუქტურულ პარალელს პოვებს დოლისყანისა და იშხნის გუმბათის ყელის შიდა სახეში, სადაც პილასტრების ნაცვლად ცალი და შეწყვილებული ლილვური სვეტებია გამოყენებული, და, ყველაზე მეტად, ჭანგლის ეკლესიის გუმბათის უფრო რთულ ყელში.[247] ეს ნაგებობა ბევრი სხვა თვალსაზრისითაც ჩვენი ეკლესიის ანალოგიურია.

ეკლესიის ინტერიერი შედარებით კარგად არის შემონახული. ხახულის გარდა, ეს რეგიონის ერთადერთი გუმბათიანი ეკლესიაა, რომელშიც დღესაც მთელია კამარები, თუ არ ჩავთვლით სამხრეთი მკლავის კამარასა და აფსიდის კონქის სამხრეთ ნახევარს.

## 2. გარე მასები

მეორე მხრივ, ეკლესიის გარე მასები აშკარა უწესრიგობასა და ცუდად ჩატარებულ რემონტზე მიგვანიშნებს, რაც, მიუხედავად სრული სიცხადისა, შეუმჩნეველი დარჩა ნ. მარს, თუმცა მის მიერ გამოცემულ ერთადერთ ფოტოსურათზეც ენი რაბათის ეკლესიის ეს ცვლილებები კარგად ჩანს.[248]

აღმოსავლეთი კედელი აფსიდის სარკმლის ქვეშ ადგილობრივ მკვიდრთ გაუნგრევიათ უფრო მოსახერხებელი შესასვლელის მოსაწყობად ეკლესიაში, რომელიც ახლა საქონლისათვის ზამთრის საკვების შესანახად გამოიყენება. ეს სარკმელი ფლანკირებულია ოთხი სამკუთხა ნიშით (სურ. 24). მასთან ახლო მდებარე ნიშები უფრო დიდებია, განაპი-

[247] M. Thierry, "A propos de quelques monuments chretiens du Vilayet de Kars (Turquie)", *Revue des études armeniennes*, II[e] serie, 3, 1966, ტაბ. XXXIX, სურ. 14-15.

[248] მარი აცხადებს: „შენობა ხელუხლებელია, არავითარი გადაკეთება ან მიშენება არ არის, მთლიანად კარგად შემოინახა" (*Дневник*, გვ. 100, ტაბ. 33).

რანი – მცირე. ეს მცირე ნიშები შემკულია რადიალური ღარებით, რომლებიც გამოიყენა შ. ამირანაშვილმა არგუმენტად ეკლესიის XI ს-ის I ნახევრით დასათარიღებლად,[249] თუმცა მსგავსი ღარები ადრეც გვხვდება, მაგალითად, ოშკში.

1.5-დან 7.0-მდე სიმაღლის კედლებით გამაგრებული პლატფორმა [illegible] სამხრეთითა და დასავლეთით, რამდენადაც ორივეს ამ მხარიდან ეკლესიის შესასვლელები აქვს. ამიტომ სწორედ აქ არის მოთავსებული დეკორაციული აქცენტები. ასევე ამ ადგილებში ჩაუტარებიათ ორ სხვადასხვა პერიოდში ფართომასშტაბიანი აღდგენითი სამუშაოები (ტაბ. 93, 96).

მე არ მქონდა შესაძლებლობა დეტალურად გამომეკვლია ჩრდილოეთი ფასადი იქ ამოსული ხშირი მცენარეულობის გამო. მიუხედავად ამისა, კედლის დაუფარავი ნაწილები გვიჩვენებს, რომ არსებითად ის არ შეცვლილა და, როგორც ჩანს, ნაკლებად დაზიანდა. მისი მომაპირკეთებელი ქვები (ტაბ. 95) ეკლესიის თავდაპირველ პერანგს უნდა ეკუთვნოდეს – ეს ძირითადად თანაბარი ზომის, სუფთად გათლილი, ზუსტი მართკუთხა მოყვანილობის ბლოკებია. ისინი, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, თანაბარ რიგებადაა დალაგებული ისე, რომ მაკავშირებელი ხსნარი არ ჩანს. საკვირველია მათი სისქე საშუალოდ სულ 0.18 მ-ია, რაც გულისხმობს, რომ კედლის ორი მესამედი კირიანი დუღაბითაა შევსებული.

ჩრდილოეთისასთან შედარებით დასავლეთი ფასადი, მკაფიოდ აქცენტირებული, მოჩუქურთმებულ თავსართიან საპირეში ჩასმული სარკმლით, კედლის სიბრტყის სულ სხვაგვარ გადაწყვეტას ამჟღავნებს. რიგები ყველგან თანაბარი არაა, ბლოკების ზომა და ტექსტურაც კი დიდად განსხვავებულია. შემორჩენილ ყრუ თაღებს კარსა და სარკმელს შორის აღდგენისა თუ გადაკეთების ნიშნები ატყვია. ეს, კერძოდ, შესამჩნევია სამხრეთ ნაწილში, სადაც პალმეტის ორნამენტის ფრაგმენტები, რომლებიც ეკლესიის კარნიზის შემკულობისა უნდა იყოს, შემთხვევითაა ჩართული კედელში. იგივე ითქმის ქვაზე, რომელიც შეიცავს სამ ბურთულასა და მათ ზემოთ წნული ჩუქურთმით დაფარულ იმპოსტს (ტაბ. 96), და სხვა ქვაზე, სამმაგი ლილვური ნახევარსვეტებით (ტაბ. 101), რომელიც წინასთან შეიძლება ყოფილიყო თავდაპირველად კომბინირებული. მეტიც, მეორე მართკუთხა სარკმელი დასავლეთი ფასადისა, როგორც მისი შიდა პერანგი გვიჩვენებს (ტაბ. 103), თავიდან თაღოვანი უნდა ყოფილიყო. ასეთსავე აღდგენა-შეკეთებებს შეიძლება თვალი გავადევნოთ დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელზე (ტაბ. 94). დიდი ბლოკების სამი რიგი ამ კედლის აღმოსავლეთ ნაწილში შეიძლება მიეკუთვნოს თავდაპირველ ეკლესიას. მის დასავლეთით, კარისა და ყრუ თაღების ზემოთ მთელი კედელი საკმაოდ უხეიროდაა აღდგენილი. აქ მშენებლებს უხმარიათ შედარებით მომცრო ქვები, ზოგიერთი წაგრძელებული ან ირეგულარული მოყვანილობის და არქიტექტურული პლასტიკის ფრაგმენტებიც ჩაუსვამთ კირის სქელ ფენაში. თუმცა ქვემოთაც პერანგის ქვები კვლავ განსხვავებულია არა მხოლოდ განსაკუთრებით სუფთა დამუშავებით, არამედ თავიანთი განლაგებითაც,ვინაიდან ისინი პირზე კი არ უსწორდებიან მიმდებარე ქვებს, არამედ უფრო ღრმად სხედან. სამი სამშენებლო პერიოდი უთუოდ მშენებელთა არასაკმარისი ოსტატობისა და რბილი, ფშვნადი ქვიშაქვის გამოყენების შედეგია. სამხრეთი ფასადის გამორჩეული თავისებურებაა სამხრეთი მკლავის ტყუპი მოჩუქურთმებულსაპირიანი სარკმელი, რომელსაც დასავლეთი ფასადის სარკმელთან ერთად ქვემოთ განვიხილავთ.

## 3. გუმბათი

მკლავების გადაკვეთაზე აღმართული გუმბათი შედარებით უკეთაა შემონახული, გარდა მისი ყელის ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარეებისა, რომლებზეც მომაპირკეთებელი ფილები შემოძარცვულია; კონუსურ გადახურვასაც მთლიანად დაკარგული აქვს საბურველი (ტაბ. 96). ყველაზე ღირსშესანიშნავია გუმბათის ყელი, დანაწევრებული არც მთლად თანაბრად განლაგებული ოცდათოთხი ყრუ თაღით, რომელთა ნახევარი სამკუთხა ნიშებს შემოწერს. ისინი დასრულებულია მონოლითური ქვებით, ყრუ თაღებსა

---

[249] შ. ამირანაშვილი, *ქართული ხელოვნების ისტორია*, თბილისი, 1971, გვ. 172.

და ოთხ სარკმელთან მონაცვლეობით. ნიშები შეესაბამება თორმეტ პილასტრს ყელის ინტერიერში და მათი საშუალებით არის გამაგრებული. ბრტყელი ყრუ თაღები ეყრდნობა შეწყვილებულ ხვეულ ლილვურ ნახევარსვეტებს, რომელთაც აბოლოებს ორი ბურთულა, და მათ ზემოთ მართკუთხა იმპოსტი. თაღები ნიღბავს გუმბათის ყელის წახნაგთა მახვილ კიდეებს და მთლიანი წრიულობის შთაბეჭდილებას ქმნის, რასაც აძლიერებს ზედა და ქვედა კარნიზებიც. ქვედა წარმოადგენს ერთიან სარტყელს, შემკულს ურთიერთგადამკვეთი ნახევარწრეების უწყვეტი ზოლით; ზედა შედგენილია სამი ერთიმეორის თავზე გამოწეული სარტყლისაგან, ამასთან, მხოლოდ ზედა არის გაფორმებული ძლიერ სქემატიზებული პალმეტებით, რომლებიც თევზის ქერცლის ნახატს წააგავს. ეს ძლიერ გამოფიტული ორნამენტული სახე, ახლა მხოლოდ ფრაგმენტულად შემორჩენილი, გამოყენებული იყო ასევე ეკლესიის კარნიზებისა და სარკმელთა თავსართების შესამკობად.

გუმბათის გამორჩეული თავისებურებაა მისი ფორმალური და სტრუქტურული უნიკალურობა. სამკუთხა ნიშები ქართულ და სომხურ არქიტექტურაში გარე მასების დასანაწევრებლად იხმარება, ჩვეულებრივ, გუმბათიან ნაგებობებში. რამდენადაც ვიცი, ნიშები არასოდეს ჩნდება გუმბათის ყელზე. ამ მხრივ ჩვენს ეკლესიას წინამორბედი არა ჰყავს. აშკარაა, რომ მშენებელს განზრახული ჰქონდა, გაეძლიერებინა გუმბათის ცხოველხატული ეფექტი და იმავდროულად შეემცირებინა მისი წონა. ზემოდან ბურთულებით დასრულებული ორმაგი ხვეული ლილვური სვეტები გუმბათის ყელზე ჩნდება X საუკუნის II ნახევრიდან (მაგალითად, ოშკი, ხახული). ენი რაბათში ორმაგი სვეტები ნახევრად შერწყმულია კედელთან (ე.ი. ნახევარსვეტებია) და ამის გამო მოკლებულია პლასტიკურ ღირებულებას. თანაც აქ სპირალური ღარი უფრო წვრილია და თვით სვეტები უფრო მსუბუქი, თითქოს მათი დანიშნულება უფრო დეკორაციულია, ვიდრე სტრუქტურული. ეს ეფექტი, რომელსაც ჩვენ უკვე იშხნის გუმბათზე (1031 წელი) ვხედავთ, ენი რაბათში, ეტყობა, უფრო შორს მიდის. აქედან გამომდინარე, ისე ჩანს, რომ ჩვენი ეკლესია XI საუკუნის შუახანებზე ადრე არ შეიძლება იყოს აგებული, მაგრამ ამას ეწინააღმდეგება გუმბათის ყელის მასიურობა და მისი პროპორციები. ყელის გარე დიამეტრიც დაახლოებით მისი სიმაღლის ტოლია. ამ მხრივ ენი რაბათის ეკლესია უფრო X საუკუნის შუახანების ნაგებობებს (მაგალითად, ხანცთას, დოლისყანას) უახლოვდება და არა იშხანს, სადაც გუმბათის ყელი ბევრად უფრო ვიწრო და შემაღლებულია. განსხვავება თავს იჩენს გუმბათის სარკმელთა რაოდენობაშიც. X საუკუნის II ნახევრიდან მათი რიცხვი იზრდება (მაგალითად, ოშკში 12-ია, იშხანში – 16), რათა ეკლესიის ინტერიერი უკეთ განათდეს. ენი რაბათში საპირისპირო ტენდენცია მჟღავნდება. თავისი ოთხსარკმლიანი გუმბათის ყელით ის ემხრობა ადრეულ ეკლესიებში გამოყენებულ ფორმულას – კერძოდ, ხანცთასა და დოლისყანაში ასევე მხოლოდ ოთხი სარკმელია გუმბათის ყელში. ტიპოლოგიურად ჩვენი ეკლესია უახლოვდება ექქსა (X საუკუნის II ნახ.) და, განსაკუთრებით, ჩანგლს (XI საუკუნის I ნახ.) – მათი შიდა ზომები თითქმის იდენტურია (ჩანგლისა – 15.70 × 9.15 მ, ენი რაბათისა – 16.70 × 10.70 მ).

## 4. არქიტექტურული პლასტიკა

ენი რაბათის ეკლესიას მდიდარი არქიტექტურული პლასტიკა არა ჰქონია. გაბატონებულ მოტივს წარმოადგენს სტილიზებული პალმეტები (ტაბ. 98, 99).[250] ისინი გამოყენებულია ყველა კარნიზზე და ასევე ორი სარკმლის თავსართებზე. პალმეტის ეს ტიპი ამ რე-

[250] ასეთი პალმეტების ნიმუშები არის სასანურ არქიტექტურასა (J. Kröger, *Sasanidischer Stuckdekor*, Mainz, 1982, გვ. 113, სურ. 62, ტაბ. $47_{1,2}$) და ლითონმქანდაკებლობაში (O. Grabar, *Sasanian Silver, Late Antique and Early Medieval Arts of Luxury from Iran, August-September 1967, The University of Michigan Museum of Art*, Ann Arbor, 1967, № 18). ეს მოტივი გვხვდება აგრეთვე ადრექრისტიანულ ლითონმქანდაკებლობაშიც არშიების დეკორში და საქართველოში ნაყოფიერ ნიადაგს პოულობს არა მხოლოდ ხუროთმოძღვრებაში (Р. Шмерлинг, *Самтавро - памятник XI века*, *AG* 1, 1942, გვ. 111), არამედ ოქრომჭედლობაშიც.

გიონში X საუკუნის II ნახევარზე ადრე არ ჩნდება. უადრესი მაგალითია ოშკი (963-973), სადაც ის ვედრების მონუმენტურ კომპოზიციას აჩარჩოებს. მოტივმა, როგორც ჩანს, სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. იშხანში ის ამკობს სარკმლის თავსართს აღმოსავლეთ ფასადზე, დასავლეთი მკლავის სამხრეთი კარის ტიმპანის თაღს, გუმბათის ყელის ზედა კარნიზსა და თვით სამხრეთ-დასავლეთ გუმბათქვეშა ბურჯის ბაზისსაც კი.

ენი რაბათსა და სხვა ქართულ ეკლესიებში გამოყენებული პალმეტის მოტივის მიმოხილვა ცხადად გვიჩვენებს თანდათანობით მზარდ სქემატიზაციას X-XI საუკუნეთა განმავლობაში, რაც თავს იჩენს მის ახლო პარალელშიც ჩანგლის დასავლეთი კარის ტიმპანის არქივოლტზე.[251]

ჩუქურთმის მეორე სახე, რომელიც ნახმარია დასავლეთი და სამხრეთი მკლავების სარკმელთა საპირეებზე, შედგება საკმაოდ რთული წნულისაგან და მოჩარჩოებულია რელიეფური ლილვითა და სპირალურად დაღარული პროფილით. ამ გეომეტრიული ორნამენტის ლაიტმოტივს არსებითად წარმოადგენს ერთმანეთზე გადახლართული ნახევარწრეების უწყვეტი ჯაჭვი. წრეები გამოყვანილია ორღარდაყოლებული ლენტით, რომელიც გადაწნულია საპირეს შიდა და გარე ლენტებთან. შესრულების ხარისხი უნაკლოა, მჭიდროდ დაწნული ჩუქურთმა შესანიშნავია, კვეთა სუფთაა. ეს თვისებები გამოარჩევს მათ ენი რაბათის ეკლესიის დანარჩენი არქიტექტურული შემკულობისაგან, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათი შემსრულებელი და დანარჩენი რელიეფური მორთულობის ავტორი სხვადასხვა ოსტატია, ან, შესაძლოა, ეს საპირეები სულაც მოგვიანებით არის გაკეთებული თავდაპირველის ნაცვლად. ამგვარ შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს აკურატულად გამოყვანილი და სუფთად თლილი ფილები დასავლეთი მკლავის სარკმლის სამხრეთ მხარეს და სამხრეთი მკლავის დასავლეთ მხარეს, უშუალოდ შეწყვილებული სარკმლის გვერდით. ისინი განსხვავებულია დანარჩენი (თავდაპირველი?) პერანგის ფილებისაგან. საპირეების გვიან დამატებას გვავარაუდებინებს აგრეთვე საკუთრივ შეწყვილებულ სარკმლებსა და მათ თავსართს შორის მოქცეული კედლის მონაკვეთის უთანაბრო მოყვანილობა. ამ რეგიონის ორ სხვა ცნობილ შეწყვილებულ სარკმელზე – ოშკის დასავლეთ ფასადსა და ხახულის სამხრეთ მკლავზე – თავსართის ყველა ნაწილი ერთნაირი მანძილითაა დაცილებული სარკმლებისაგან; ენი რაბათში კი თავსართის გვერდითი გადანაკვეთები საპირეებს ეკვრის, მათ შორის სივრცე გამქრალია.

შემდეგი ჩუქურთმა – მჭიდროდ ჩაწნული კომპაქტური ვარდული, შექმნილი ორღარდაყოლებული ლენტის ხლართით გამოყვანილი კონცენტრული წრეებით, გვხვდება ხელმეორედ ნახმარ ქვაზე დასავლეთი მკლავის სამხრეთ ფასადზე. ეს მოტივი იშვიათად იჩენს თავს როგორც ამ რეგიონის, ისე საქართველოს სხვა მხარეების არქიტექტურული პლასტიკის მდიდარ რეპერტუარში. საუკეთესო მაგალითი შემოინახა აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის წრიულ საპირეზე ტბეთის კათედრალში, რომელიც XI საუკუნის შუახანებს შეიძლება მიეკუთვნოს. ენი რაბათში დამატებით გაკეთებულია წრეში ჩაწერილი რვაფურცელა სახის ვარდული და ორი ვერტიკალური კბილანი. ამის ანალოგია არ მეგულება. ამ რელიეფის ქვის თავდაპირველი დანიშნულების დადგენა ძნელია. მისი თანაბრად მორკალული ზედა კონტური გვაფიქრებინებს, რომ ის იყო ნაწილი უფრო დიდი ორნამენტული კომპოზიციისა, რომლის ზუსტად რეკონსტრუირებაც ვერ ხერხდება. შეიძლება მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ზემოთ განხილულ სარკმლებსა და ნაკლებოსტატურად დამუშავებულ ვარდულს ფორმალურად ანათესავებს ერთმანეთთან ორღარდაყოლებული ლენტის ხმარება. მიუხედავად შესრულების სხვადასხვა ხარისხისა, ისინი შეიძლება ერთი და იმავე ოსტატის სახელოსნოში იყოს შესრულებული დაახლოებით XI საუკუნის შუახანებში.

ბოლო ფილა, რომელზეც გამოყვანილია სამი მსუბუქი ნახევარსვეტი, ასევე სამი ბურთულითა და წნულით შედგენილი საერთო ბაზისით, ხელახლა გამოუყენებიათ ეკლესიის ინტერიერში, დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელში. მას მოეპოვება პარალელები

251 Thierry, "A propos de quelques monuments chretiens du Vilayet de Kars (Turquie)", ტაბ. XLII, სურ. 17-18.

ჩანგლსა[252] და, განსაკუთრებით, ტბეთში. ეს უკანასკნელი ნიმუში ასევე XI საუკუნის შუახანებისა უნდა იყოს, რასაც მოწმობს მისი პილასტრების იმპოსტები და აფრები. ჩანგლსა და ტბეთში მოწმენი ვხდებით არქიტექტურული ლექსიკონის გამდიდრებისა X საუკუნის II ნახევრისა და XI საუკუნის დასაწყისის შემდგომ. ოშკში, მაგალითად, პილასტრები დასრულებულია ერთ, ან ორელემენტიანი (თარო და ლილვი) პროფილის იმპოსტებით; ოთხთა ეკლესიაში გვერდითი ნავების (ისინი პირველ სამშენებლო პერიოდს განეკუთვნება) დონეზე პილასტრებს ორელემენტიანი პროფილის იმპოსტები აქვს, შუა ნავის კამარის საბჯენი თაღების პილასტრებს, რომლებიც მეორე სამშენებლო პერიოდშია გაკეთებული — სამელემენტიანი. ამ მაგალითებზე კარგად ჩანს იმპოსტების პროფილების თანდათანობითი გართულება. ეს პროცესი კულმინაციას აღწევს ენი რაბათში, სადაც პროფილი ოთხელემენტიანია. მსგავს გზას — სიმარტივიდან და სისადავიდან მრავალნაწილიანობისა და მდიდრულობისაკენ — გადის აფრებიც, რომლებიც ენი რაბათში დაფარულია კვეთილი პროფილირებული სეგმენტებით.

ენი რაბათის ეკლესიის ფასადები, განსხვავებით ტიპოლოგიურად მონათესავე ყუყის, ჩანგლისა და ივლის ეკლესიების ფასადთაგან, არ არის დანაწევრებული მონუმენტური ყრუ თაღებით. მათ ნაცვლად აქ კედლების ქვედა ნაწილში გაკეთებულია უფრო დაბალი დეკორაციული თაღნარი პილასტრებზე. სტრუქტურულად უფუნქციო თაღების მწკრივი უკეთ შემორჩენა ჩრდილოეთ ფასადზე. ის თითქმის მიუდგომელია გაფოთლილი მცენარეულობის გამო, რომელიც ფარავს კედლებს. მიუხედავად ფასადთა უხეში შეკეთებისა და აღდგენებისა, ჩანს, რომ თაღნარი ამჟამად მდგარი შენობის თანადროულია. ამ ხანის ქართულ ან სომხურ არქიტექტურაში მას პარალელი არ გააჩნია.

რამდენადაც ახალი არქიტექტურული გადაწყვეტებისა და ფორმების დაუცხრომელი ძიება X-XI საუკუნეთა ტაო-კლარჯეთ-შავშეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი თვისებაა, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ენი რაბათის საკმაოდ მწირ არქიტექტურულ პლასტიკაში ზოგიერთ სიახლეს მაინც ვაწყდებით. თუმცა ეს სიახლეები არ ეგუება რეგიონის ხუროთმოძღვრების ტრადიციებსა და საერთო ხასიათს. ამ საკითხის გარკვევა მომავალი კვლევის ამოცანაა.

თუ შევაჯამებთ ენი რაბათის ეკლესიის ამ მოკლე მიმოხილვას, შეიძლება ითქვას, რომ მისი გეგმა და შიდა სივრცე, აფრა-ტრომპების შემკულობა, გუმბათის ყელის კარნიზი, აღმოსავლეთი ფასადის სამკუთხა ნიშების მარაოსებრი დაბოლოება, სარკმლების მორთულობა, ისევე როგორც კედლების გარე პერანგში ხელმეორედ გამოყენებული ჩუქურთმებიანი ქვები — ყოველივე ეს მიგვითითებს XI საუკუნის I ნახევრის ბოლოზე. არქიტექტურული მეტაფრასირება — ეკლესიის აღდგენა-რეკონსტრუქცია, მისი ფასადების სუფთად თლილი ქვით მოპირკეთება და, შესაძლოა, ჩუქურთმებით შემკობა ამ მხარეში უცხო არ ყოფილა. ცნობილია, რომ IX საუკუნემდე აგებული (მაგალითად, ოპიზა) ან გრიგოლ ხანცთელის მიერ აშენებული (თვით ხანცთა) ეკლესიები საფუძვლიანად განახლდა X საუკუნის II ნახევარში. ასევე აღადგინეს ანჩისა და ტბეთის ეკლესიებიც, რომლებიც არა მხოლოდ ხელახლა მოაპირკეთეს, არამედ მნიშვნელოვნად გაზარდეს კიდეც.

დასასრულ დავძენ, რომ ვერ შევძელი გამომეკვლია სამხრეთი მინაშენი, რომელიც არ არის გადაბმული ეკლესიის კედლებზე. ასევე არ გამომიკვლევია ჩანგრეული სათავსი ეკლესიის დასავლეთით, საყრდენ კედელთან. ის ახლა მოქცეულია მჭიდროდ დარგული ხეხილის ბაღში, რომელიც კარგად არის დაცული.

არსებობს მოსაზრება, რომ ენი რაბათი იგივე შატბერდის მონასტერია,[253] მაგრამ დანამდვილებით გასაიგივებლად არ არის არც დოკუმენტური საბუთები და არც რაიმე ისტორიული წარწერა თვით ეკლესიაზე.[254]

---

252 იქვე, ტაბ. XL, XVI.

253 ამასთან დაკავშირებით იხ.: აგრეთვე ზემოთ შატბერდისადმი მიძღვნილი თავი.

254 Ნ. მარი (*Дневник*, გვ. 103) ახსენებს მხოლოდ ორი სიტყვისაგან შემდგარი ქართული წარწერის ფრაგმენტსა და ამჟამად გამქრალ ცალკეულ ქართულ ასოებს, რომლებიც მან ეკლესიის დასავლეთ მკლავზე ნახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## M. ბანას კათედრალი

ბანას კათედრალის დიდებული ნანგრევები განმარტოებით აღიმართება მდ. ოლთუს შენაკადის – ბანასწყლის (ფენეკ სუიუ) ნაპირზე (სურ. A). იგი ოდნავ დამრეც ფერდობზე დგას, შიშველი, თუმც ნაირფეროვანი მთებით გარშემორტყმული, ისტორიულ ტაოს სამთავროში, პაწია სოფელ ფენეკს 1,5 კმ-ით დაშორებული (ტაბ. 106). თავდაპირველად ეკლესიას გარს ერტყა მრავალრიცხოვანი საცხოვრებელი, სამლოცველო და სხვა ნაგებობები, რომელთა ნაწილი ერთი საუკუნის წინათ ჯერაც იხილვებოდა.[255] ახლა ისინი ერთიანად გამქრალია.

ისტორიული წყაროები კათედრალის შესახებ ძალზე მწირია, მაგრამ ორი მათგანი უნდა მოვიყვანოთ. ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757) მოგვითხრობს: „ამას ზევით, ამ წყალზედ, მთაში, არს ბანა, აწ უწოდებენ ფანაქს. აქა არს ეკლესია გუმბათიანი, დიდი, შუენიერად ნაგები, კეთილ-შუენიერს ადგილს. აღაშენა მეფემან ადარნასემ (888-923) და დაფლულ არიან მეფენი. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ფანასკერტისა და სრულიად ტაოსი, ოლთისისა და ნარუმაკისა და აწ არს ცალიერი".[256] უფრო გამოწვლილვით ცნობებს გვაწვდის XI საუკუნის მემატიანე სუმბატ დავითის-ძე: „ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა (†881) დასვეს ქართველთა მეფედ ნაცვლად მის მოკლულისა. და ამან ადარნასე, ძემან დავით მოკლულისამან, აღაშენა ბანა ჴელითა კჳრიკე ბანელისათა, რომელი იგი იქმნა პირველ ეპისკოპოს ბანელ".[257]

სამწუხაროდ, ქართული ხუროთმოძღვრების ეს უნიკალური და შთამბეჭდავი ძეგლი, ახლა ნანგრევებად ქცეული,[258] არასდროს ყოფილა საფუძვლიანად გათხრილი და დამუშავებული. კათედრალის უადრესი და, ეგებ, ყველაზე ღირებული აღწერა ეკუთვნის გერმანელ ბოტანიკოსსა და სიძველეთა დაკვირვებულ დამთვალიერებელს კარლ კოხს, რომელმაც კათედრალი 1843 წელს ნახა[259] თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეებში მოგზაურობისას. გრძნობამოჭარბებული, იგი აცხადებს, „ჩემ მიერ ნანახთაგან ეს უეჭველად ულამაზესი და ყველაზე ამაღლებული მხატვრული ქმნილებაა მთელს აღმოსავლეთში, გარდა კონსტანტინოპოლისა"-ო.[260] კათედრალი თითქმის ათასი წელი უძლებდა ჟამთა სიავეს, ვიდრე 1855 წლისა და 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომებამდე, როდესაც იგი ციხესიმაგრედ აქციეს და აშკარად საგრძნობლად დააზიანეს კიდეც. ვეიდენბაუმისა და ბაქრაძის ცნობები, რომელთაც კათედრალი შესაბამისად 1879 და 1881 წლებში ნახეს, გვიჩვენებს, რომ იგი მათ დაზიანებული და გუმბათმორღვეული დახვდათ.[261] 1902 წელს, როდესაც ე. თაყაიშვილმა პირველად მოინახულა ეკლესია, იგი თითქმის სრულად იყო დანგრეული, გარდა აღმოსავლეთი ექსედრისა, მის მიმდებარე აფსიდიან სადგომთა ნაწილებისა და ეკლესიის ძირითად ბირთვზე შემოვლებული გარშემოსავლელის აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი მონაკვეთებისა. მეორედ დათვალიერებისას, 1907 წელს, დანგრეული კიდევ მეტი იყო. 1984 წელს მიწისძვრამ სანახევროდ ჩამოაქცია გადარჩენილი აღმოსავლეთი კონქის ნახევარი.

---

255 *MAK*, XII, 89.
256 *ქართლის ცხოვრება*, IV, გვ. 638.
257 *ქართლის ცხოვრება*, I, 379. მსგავსი ცნობა ჩართულია „მატიანე ქართლისაჲ"-ში – იქვე, გვ. 261.
258 ნაწილობრივ შემორჩენილი კონქის ნახევარი 1984 წელს მიწისძვრამ ჩამოანგრია.
259 Reise, გვ. 242-248.
260 იქვე, გვ. 243.
261 ნგრევის შესახებ ე. თაყაიშვილის მოკლე ცნობა – *MAK* XII, გვ. 69, 90.

კათედრალი ყველაზე გამოწვლილვით ე. თაყაიშვილმა შეისწავლა[262] 1902 და 1907 წლებში. ბოლო დროს იგი მოინახულეს ჩ. ტიერიმ,[263] ი. კლაინბაუერმა,[264] ფ. ეიდმა,[265] ნ. და დ. გუჩოვებმა[266] და უფრო საფუძვლიანად რ. ედვარდსმა,[267] ყველა მათგანმა მოკლედ გამოაქვეყნა თავისი დაკვირვებანი.

ბიბლიოთეკა

ბანას ქვემოთ მოყვანილი აღწერა ეფუძნება კოხის არასრულ ინფორმაციას, ე. ვეიდენბაუმისა (1879 წ.) და დ. ბაქრაძის (1881 წ.) ალაგ-ალაგ არაზუსტ ანგარიშებს,[268] ეკლესიის დანგრევის შემდეგ მოკლე დროით მის სანახავად მოსული მეცნიერების შთაბეჭდილებათა პუბლიკაციებსა და ჩემს საკუთარ, 1974 და 1978 წლებში ჩატარებულ კვლევას.

## 1. კათედრალის მოკლე აღწერა

კათედრალი (სურ. 26) ტიპური ცენტრული ნაგებობაა, შემდგარი გუმბათოვანი როტონდისაგან მასში ჩაწერილი ტეტრაკონქით და მასზე შემოვლებული ერთიანი გარშემოსავლელისაგან. შუა ნაწილი ჯვრული გეგმისაა; თანაბარი მკლავები ნახევარწრიული სვეტნარებით ბოლოვდება, რომელნიც აფსიდების კედლებს ზიდავს. სვეტებზე გადაყვანილია ნალისებური თაღები, ზემოთ სადა სწორკუთხა პროფილით მოთავებული. აღმოსავლეთი ექსედრა (ტაბ. 108, 109) აღნაგობითა და ფორმით განსხვავებულია დანარჩენისაგან. მასში ექვსი თანაბრად დაშორიშორებული სვეტია, შედგმული მაღალ (2.00 მ) ზღუდეზე, შესაძლოა, სინთრონონზე[269], ჩვენ არაფერი ვიცით დანარჩენი სვეტებისა და სვეტისთავების მოყვანილობისა და შესრულების ხასიათის თაობაზე.

აღმოსავლეთი კონქის სვეტებს საკმაოდ კარგად შერჩენილი იონიური კაპიტელები აქვს, რომელთა ორნამენტული რეპერტუარი, აშკარად უცხოური ზეგავლენის მაჩვენებელი, ყოველ მათგანში რამდენადმე განსხვავებულ სახეს იღებს (ტაბ. 112-115). მკლავებს შორის სივრცე შევსებულია ერთმანეთის თავზე განლაგებული სამი სადგომით, რომელნიც ერთმანეთს ვიწრო (სიგანით 0.57 მ) კიბით უერთდება. მათი გარე კედლების გაზნექა ხელს უწყობს ჯვრის წრიული კედლით მოფარგვლას (ტაბ. 110-111). პირველი სართულის ჯვრული კამარით დახურულ ოთხ ოთახს განიერი აფსიდები აქვთ და თითო სარკმელი აღმოსავლეთით. ვინაიდან ოთახები უშუალოდ უკავშირდება საკურთხეველს, შეიძლებოდა პასტოფორიუმები ყოფილიყო. პირველი ორი სართულის ოთახები ჯვრის გვერდითა მხარეს შეწყვილებული იონიური კაპიტელით დასრულებულ სვეტებზე გადაყვანილი, ნალისებრი თაღებით იხსნება. მესამე სართულის ოთახები, გეგმით სამკუთხა, ასევე ორ მხარესაა გახსნილი, ოღონდ თითო თაღით.[270] სამსართულიანი სადგომები მძლავრ გუმბათქვეშა საყრდენებს ქმნის და შემაგრებულია მკლავთა გადაკვეთაზე მასიური ¾-სვეტებით. ერთი მათგანი, ჩრდილო-აღმოსავლეთისა, ე. თაყაიშვილმა დაწვრილებით შეისწავლა; მას ჰქონდა ლამაზი, სხვადასხვა ფერის თლილი ქვით ამოყვანილი ბაზისი.[271]

---

[262] ორივე ექსპედიციის შედეგები ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა: *MAK*, XII, გვ. 88-115; ტაბ. XVII-XX, სურ. 62-71; მისივე, *კოლა-ოლთისი*, გვ. 19-28.

[263] Thierry "Voyage", გვ. 12-14 და ორი სურათი.

[264] E.Kleinbauer, "Zvartnots and the Origins of Christian Architecture in Armenia", *Art Bull.* 54, 1972, გვ. 251-253.

[265] V.Eid, Ost-Türkei, *Du Mont Kunst Reiseführer*, Köln, 1990, გვ. 198 და შემდ.

[266] "Kirchen in Tao-Klardjethien in der nordöstlichen Türkei", *Arch. Mitt. aus Iran* 4, 1971, გვ. 240- 241, სურ. 2, ტაბ. 41.

[267] Edwards "Architecture", გვ. 27-32, სურ. 38-56. უკანასკნელად ბანას კათედრალი განიხილეს რ. მეფისაშვილმა და დ. თუმანიშვილმა, რომელნიც მას VII საუკუნის შუა ხანით ათარიღებენ (*ბანა*, თბილისი, 1989, გვ. 63).

[268] ე. ვეიდენბაუმისა და დ. ბაქრაძის ცნობები გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა, *MAK*, XII, გვ. 92-95.

[269] *MAK*, XII, გვ. 100 და შემდ. დაწვრილებითი განხილვა: Edwards, "Architecture", გვ. 3, სურ. 54-56.

[270] *MAK, XII*, გვ. 68-70.

[271] იქვე, გვ. 100.

ეროვნული ბიბლიოთეკა




26. კათედრალი, გეგმა

კათედრალის შიდა სივრცე სხვადასხვა დონეზე შემომავალი სხვადასხვა ძალის შუქით უნდა ყოფილიყო გასხივოსნებული: გარშემოსავლელიდან არაპირდაპირი სინათლე შემოდიოდა, აფსიდების თორმეტი და გუმბათის თანაბრად დაშორიშორებული ოთხი სარკმლიდან კი — პირდაპირი.

გარშემოსავლელის გარე კედელი გაძლიერებულია თამამად შვერილი პილასტრებით, რომელნიც კუთხოვანი გამოზიდული ბოლოებითურთ[272] სისქით ცოტათი აღემატება კედელს. ისინი ზიდავენ ბრტყელ განმტვირთავ თაღებს — ამგარ სამშენებლო ტექნიკას ჩვენ ამ მხარის სხვა დიდ კათედრალებშიც ვხედავთ.

გარშემოსავლელის შიდა და გარე პირისთვის ნახმარია სუფთად თლილი ქვა (ტაბ. 107, 108). ქვები სწორ რიგებადაა გულდაგულ დაწყობილი, ისე რომ, დუღაბი კიდეებს შორის არ ჩანს. სხმული გული, შედგენილი ღორღის, ალაგ აგურის ნატეხებისა და კენჭე-

[272] ჩრდილოეთ მხარეს შვიდ ადგილას სწორკუთხა ნაშვერების მაგიერ ¾ სვეტებია.

ბის ნარევისაგან, ოდნავ აღემატება კედლის სისქის მესამედს. ეკლესიის ერთიანად სუფთად თლილი ქვით გამოყვანა ცხადყოფს, რომ თავდაპირველად არ აპირებდნენ ეკლესიის მოხატვას. მაგრამ მშენებლობის დამთავრების შემდეგ გადაუწყვეტიათ ზოგიერთი სიბრტყე მაინც მოეხატათ. ამ მხატვრობის ფრაგმენტები, რომელნიც მრგვლოვანსა და ნუსხურ სახსენებლებსა და სავედრებლებს შეიცავს, ჯერაცაა გადარჩენილი აღმოსავლეთი აფსიდის ჩრდილო-აღმოსავლეთ სადგომში[273] და გარშემოსავლელის სამხრეთ-დასავლეთი პილასტრის სამხრეთ პირზე (მე იგი 1974 წელს ვნახე). ვეიდენბაუმის 1879 წლის ცნობის თანახმად ეკლესიის იატაკი „მინასავით გლუვი" იყო.[274]

ეკლესიის გარეთა გარსი (ტაბ. 107) თანაბრადაა დაწახნაგებული 3.85 მ სიგანის 28 მონაკვეთად. ყოველ მათგანში გაჭრილია თავმომრგვალებული სარკმელი, სავსებით ერთნაირი, სხვანაირია მხოლოდ 1.95 მ სიგანის კარები ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთ მხარეს. თაღნარი შედგება ერთმანეთზე გადაბმული, მოხდენილ შეწყვილებულ ნახევარსვეტებზე (ისინი შიდა პილასტრებს ეპასუხება) გადაყვანილი თაღებისაგან. ეს ჩქმალავს დაწახნაგების წიბოებს და ერთიანობისა და სიცხოვლის შეგრძნებას წარმოქმნის.

ნაგებობის გარეთა გარსი ნაქანდაკევით საკმაოდ ძუნწადაა შემკული. ყველა შემორჩენილი შეტყუპებული თაღი (ზედა — შვერილი, ქვედა — შეწეული) გლუვია, გარდა აღმოსავლეთის, სულ ცოტა, ხუთი თაღისა, რომელნიც ფოსოს, თაროსა და ლილვისგანაა შედგენილი. თაღებსშორისი მცენარეული მოტივითაა მორთული (ტაბ. 116). მას ქმნის ლარნაკიდან ამოზრდილი და ორმხრივხვეული ღეროები, რომლებიც სამკუთხოვნად შეჯგუფებულ ბროწეულებს ზიდავს (ამათში ზედა — ყველაზე დიდიცაა). ტოტები ვაზის სახედ მიემართება გვერდულად და მათზე 3-5ზოლოვანი ფოთლები და მტევნები ეკიდება.[275] მოწისფერი საღებავის კვალი მოწმობს, რომ ადრე მთელი ეს ნაქანდაკევი მოწისფერით იყო გაცხოველებული. ეს წვრილმანი მნიშვნელოვანია, ვინაიდან ბანა არა მარტო რელიგიური, არამედ ადმინისტრაციული ცენტრიც იყო და ტაოს მმართველთა დომენიც. ამ მოტივის უახლოესი პარალელი მოიპოვება სომხეთში, კათალიკოს ნერსეს III-ის ნებით 641-661 წლებში აგებულ ზვართნოცის ტაძარში. აქაც, ბანასავით, ეს მოტივი გარშემოსავლელის გარეთა გარსის თაღთშორისებშია მოხმარებული.[276]

ნაქანდაკევი სამკაულის მეორე ჯგუფი თავმოყრილია დასავლეთი პორტალის თაღზე — ზოგადი მოხაზულობა აქ იგივეა, რაც აღმოსავლეთით, ოღონდ უფრო განფენილია. მისი გარე მხარე მორთულია იშვიათი ორნამენტული სახით, რომელსაც შეადგენს კოვზისებრ ჩაკვეთილი სამყურების მონაცვლეობა სამ-სამ ოთხფოთლოვან ვარდულთან (სურ. 26ა, ზემოთ).[277] აღსანიშნავია, რომ ეს მოტივი არასოდეს მოუხმარიათ საქართველოში. მისი ერთადერთი ახლო პარალელი ქტეზიფონის ახლოს სასანური სახლის სტუკოს მორთულობაში მოიპოვება (სურ. 26ა, ქვემოთ).[278] ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ აქ არ არის,

---

[273] *MAK, XII*, გვ. 92-94, 108.

[274] იქვე, გვ. 102, 107.

[275] ამ ნაქანდაკევის უმეტესი ნაწილი დაკარგულია, მაგრამ იგი განირჩევა ე. თაყაიშვილის 1902 წლის ფოტოსურათებზე — *MAK*, XII, ტაბ. XVII, სურ. 31 და ტაბ. XIX, სურ. 35, აგრეთვე იმავე ექსპედიციის ორ ფოტოზე, რომელიც გამოქვეყნებულია: Mepisašvili, Zinzadse, Schrade, *Arts*, გვ. 95.

[276] М. Мнацаканян, *Звартноц. Памятник армянского зодчества VI-VII веков*, 1971, გვ. 54, 55, სურ. 10, 20, 46-48. მოგვიანებით ბროწეულისა და ყურძნის მტევნების უჩვეულო შეერთების მაგალითები გვაქვს XI საუკუნის ეკლესიებში: სამთავისის კათედრალის აღმოსავლეთ ფასადზე (1030 წ.) (Mepisašvili, Zinzadse, Schrade, *Georgien*, ტაბ. 438) და ჩანგლის ეკლესიის დასავლეთი მკლავის კრონშტეინის წინაპირზე (Thierry, "A propos des quelques monuments chrétiens", სურ. 20), რომელიც XI ს-ის შუახანისა უნდა იყოს და არა, როგორც ქ-ნი ნ. ტიერი ფიქრობს — X ს-ისა (იქვე, გვ. 87).

[277] *MAK*, XII, ტაბ. XX b, სურათი მარცხნივ და ჩვენი სურ. 26ა.

[278] J. Kröger, *Sasanidischer Stuckdekor*, Mainz, 1982, გვ. 95, სურ. 50, ტაბ. 36-6, 38-3b. იხ. აგრეთვე მისი ნაირსახეობა — გვ. 110 და შემდგომ, სურ. 61, ტაბ. 45-2,3. კ. ერდმანის აზრით, ამ მოტივის ელემენტები ელინისტური ხელოვნებიდან მომდინარეობს და გარდასახულია სასანიანთა ოსტატების მიერ (K. Edrmann, *Die Kunst Irans zur Zeit der Sasaniden*, 1969, გვ. 81, სურ. 58).

ეროვნული ბიბლიოთეკა



26ა. დასავლეთი პორტალის თაღი (დეტალი) და
ნაძერწი ფრიზი ქტესიფონიდან, კრიუგერის მიხედვით

ბირისებრ, სპირალები სამნაწილიანი ვარდულის ძირთან. ეს, რა თქმა უნდა, არ ამცირებს ბანას არქიტექტორის მიერ სასანური სტუკოს ცოდნის შესაძლებლობას. შესამჩნევად გამარტივებული და სქემატიზებული ნაირსახეობანი ამ მოტივისა გვხვდება დოლისყანის სამხრეთი სარკმლის თავსართზე (იხ. ზემოთ, ტაბ. 81), ვალეს დასავლეთი პორტალის არქივოლტსა[279] და ხახულში (ტაბ. 201). საყურადღებოა, რომ დასავლეთი პორტალის დეკორაციული თაღი ორს კი არა, ოთხ კორინთულ კაპიტელს ებჯინება. კაპიტელების პირველი წყვილი თაღების ქვედა საფეხურს ზიდავს, მეორე კი, თაღთაშორისებში მოქცეული – თაღის ზედა საფეხურს. საინტერესოა, რომ კაპიტელების მეორე წყვილი ძლიერ ენათესავება მკლავებშორისი ოთახების შეწყვილებული თაღებისას. თუ ეს დაკვირვება მართებულია, იგი ეკლესიის მშენებლობის უწყვეტობას მოწმობს.

ამჟამად არაფერი ვიცით ჩამოქცეული კედლების ხუროთმოძღვრული სამკაულის შესახებ. მიუხედავად ამისა, სამკაულის ერთი შეხედვით უცნაური, არათანაბარი გამოყენება ფასადებზე ვერ იქნება იმის უტყუარი საბუთი, რომ მშენებლობა წყვეტილებით მიმდინარეობდა. ამას ეწინააღმდეგება ნაშენისა და სამშენებლო მასალის ერთიანობა. ხუროთმოძღვრული სამკაულის გამოყენება უთუოდ პრაქტიკული ან სულაც ეკონომიკური მოსაზრებებით იქნებოდა ნაკარნახევი, როგორც ეს გვაქვს ოშკსა და ხახულში, სადაც გუმბათის გადმოშვერილი ლავგარდანის მარტოოდენ ცხადლივ სახილველი ადგილებია მორთული.

ოდესღაც, ეკლესიის მშენებლობის დასრულების შემდგომ მასში ცვლილებები იქნა შეტანილი. გარშემოსავლელის ყველა სარკმელი და შესაბამისი სივრცეები მისი შიდა პირის პილასტრებს შორის გულდაგულ ამოავსეს ტლანქად ნათალი ქვით. აღმოსავლეთითა და სამხრეთით მიდგმულ იქნა კვადრატული კოშკისებრი კონტრფორსები. გარშემოსავლელის წრიული კედელი შესამჩნევად აამაღლეს, აღმოსავლეთი აფსიდის ინტერკოლუმნიები მთლიანად ამოქოლეს ტლანქად თლილი, უსწორმასწორო, შეულესავი ქვებით. ამ დანამატებს არც ეკლესიის პირვანდელ გეგმასთან აქვს რამ საერთო და ისინი არც ლიტურგიკული მოთხოვნილებებითაა განსაზღვრული. შესაძლოა, ისინი ნაკარნახევია სულ-

[279] Mepisašvili, Zinzadse, Schrade, *Arts*, სურ. გვ. 248-ზე.

ჩუქთა შემოსევის გამუდმებული საფრთხით XIII საუკუნის მეორე ნახევარში; უფრო საფიქრებელი კი არის, რომ ისინი XIX საუკუნის შუახანისაა, რუსეთ-თურქეთის ომის დროინდელი, როდესაც კათედრალი ციხესიმაგრედ გადააქციეს.

ჩემმა მცირედმა საველე მუშაობამ ბანაში ნათელყო რამდენიმე უზუსტობა მის ზოგიერ ბოლოდროინდელ აღწერასა და რეკონსტრუქციაში.[280] ზემოხსენებული კვადრატული კოშკისებრი კონტრფორსი, რომელიც აღმოსავლეთ სარკმელს ეფარება, ნაგებია უხეშად ნაკვეთი, ზოგჯერ უხეშად გათლილი, ქვებით რიგებს შორის ხსნარის სქელი ფენით: ტექნიკის მხრივ ის სრულებით განსხვავდება გარშემოსავლელის გარე პირისაგან. აღმოსავლეთი და სამხრეთი კონტრფორსები ფარავს გარეთა კედლის თაღების პროფილებსა და თაღთაშორის სამკაულებს. ამას გარდა, ისინი გარშემოსავლელის გარეთა კედელზე უბრალოდ მიბჯენილია და არა მასთან გადაბმული. შემდგომ, აღმოსავლეთ მთლიან კონტრფორსს შიგნით აფსიდი არა აქვს,[281] ასევე აღმოსავლეთ შვერილებს შორის მანძილი არ აღემატება მომიჯნავე მონაკვეთებისას. გარშემოსავლელის გარეთა თაღნარს ზევით აღმართული კედელი მოგვიანო დანამატია, რაც გვარწმუნებს, რომ თავდაპირველი ეკლესია ორსაფეხუროვანი კი არა, სამსაფეხუროვანი მოხაზულობისა იქნებოდა. ედვარდსის ბოლოდროინდელი მონაცემებით, აღმოსავლეთი აფსიდი არ ძევს ზუსტად დასავლეთი კარის ხაზზე.[282] ამგვარი ასიმეტრია შეუძლებელია სამშენებლო თვალსაზრისით. ეკლესიის ბუნებრივი თუ განზრახი დაზიანება, ისევე როგორც კათედრალში დახვავებული ნანგრევები, შეუძლებელს ხდის ზუსტი მონაცემების მოპოვებას. ამას გარდა, არ არსებობს არც ლიტერატურული და არც ნივთიერი საბუთი, თითქოს არსებულიყო 2.60 მ სიგანის წრიული, შიგნითკენ 24 სვეტზე გადაყვანილი თაღედით გახსნილი გალერეა. ამგვარი რეკონსტრუქცია, შემოთავაზებული ა. კალგინის მიერ,[283] მოკლებულია სინამდვილეს. მისი შეცდომა უნდა მომდინარეობდეს დ. ბაქრაძის მიერ სიტყვა „გალერეის" არაზუსტი ხმარებისაგან, რომლითაც ის უთუოდ ვიწრო (ასე 0.40 მ?) ჭვირულ ლითონის გისოსს აღნიშნავდა, დადგმულს გუმბათის იმგვარ შიდა შვერილ ლავგარდანზე, ხშირად რომ გვხვდება ბიზანტიურ, სომხურ და ქართულ ეკლესიებში. ტაო-კლარჯეთში არ გადარჩენილა ამგვარი მოაჯირი. მაგრამ ოშკში, გუმბათის ყელის შიგნითკენ მიმართული წამოწყების გარეთა კიდეებზე მე ვნახე ლითონის ღეროების უამრავი, ტყვიით ამოვსებული ბუდე, რომელშიც შეიძლებოდა ჩამაგრებულიყო ლითონის თხელი დგარები.

მრავალი ამ უზუსტობათაგანი, რომელნიც კვლავ და კვლავ მეორდება, მოდის ე. თაყაიშვილის არქიტექტორის მიერ მცდარად აღდგენილი გეგმებიდან.[284] ისინი ადგილზეა შესრულებული და აჩვენებს ეკლესიის ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ მხარეს სამ ერთნაირ, დაახლოებით 1.50 მ სიღრმისა და 2.00 მ სიგანის კარიბჭეს. უყურადღებოდ არის დატოვებული ის გარემოება, რომ სამხრეთი კარიბჭის ნაწილობრივად შერჩენილი დასავლეთი კედელი სამხრეთით გარშემოსავლელის გარე სიბრტყეს სულ ცოტა 4.00 მ-ით სცდება და, რომ მას, დასავლეთ მხარეს, ერთი (იქნებ ორი?) ღია თაღი უნდა ჰქონოდა.[285] ვინაიდან ეს, დღეს ფრაგმენტული კედელი ზუსტად იმავე ტექნიკითა და იმავე მასალითაა ნაგები, როგორც მთლიანად თავდაპირველი ეკლესია და გადაბმულია გარშემოსავლელის კედელს, იგი თავდაპირველი ეკლესიის დროისა უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, სამხრეთი კარიბჭე ისეთივე არ იყო, როგორც ჩრდილოეთისა და დასავლეთის, მათზე მნიშვნელოვნად დიდიც ყოფილა და, იქნებ, უფრო რთულად დანაკვთულიც.

ჩვენი ეკლესიის აღდგენისას გასათვალისწინებელია ახლომდებარე ოშკის ეკლესიის სამხრეთ აფსიდში ამას წინათ აღმოჩენილი მხატვრობაც (ტაბ. 118). იგი უეჭველად 1036

[280] იქვე, სურ. გვ. 94-ზე; W. Beridze, *Monuments*, სურ. 92; И. Северов, *Памятники грузинского зодчества*, 1947, გვ. 189; A. Alpago-Novello et al., *Art and Architecture in Medieval Georgia*, Louvain, 1980, გვ. 396, 397.
[281] ეს შენიშნეს გუნოევემა ("Kirchen", სურ. 2) და ედვარდსმა ("Architecture", გვ. 29, სურ. 38, 41).
[282] Edwards, "Architecture", გვ. 30, სურ. 38.
[283] *MAK*, XII, გვ. 105, ტაბ. XX ა, ბ.
[284] იქვე, სურ. 64, 68.
[285] ეს გამომდინარეობს: Edwards, "Architecture", ტაბ. 41.

წლისაა და სხვა კომპოზიციების გარდა, მოიცავს ბანას ეკლესიის გამოსახულებასაც შესაბამისი ქართული წარწერითურთ. საუბედუროდ, ეკლესიის გამოსახულების ზედა ნაწილი ჩამოთლილია. დარჩენილი ქვედა ნახევარი ბანის ეკლესიის გარე[illegible]ორით უნდა გადმოსცემდეს. გარდა მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი წვრილმანებისა,[286] აქ გამოხატულია დაქანებული კრამიტის სახურავით დასრულებული[287] და ოშკის სამხრეთი მკლავის შემორჩენილი კარიბჭის მსგავსად ორ სვეტზე დამყარებული ორი ერთნაირი კარიბჭე (ქვემოთ, ტაბ. 163). გამოსახულების მარცხენა მხარეს მოქცეული მესამე კარიბჭე მათგან საგრძნობლად განირჩევა – სირთულითაცა და ზომითაც. გადარჩენილია მხოლოდ გარშემოსავლელის კედლის მიმდებარე შვეული ზოლი, მაგრამ სადებავის ლაქები მოწმობენ, რომ იგი უფრო განიერი იყო და მაღალიც – სამსართულიანი. პირველ სართულზე ოთხკუთხა სარკმელია, მის ასწვრივ – თავმომრგვალებული; ზემოთ კიდევ ამოიცნობა კომპარტიმენტი ოთხი პატარა სწორკუთხა სარკმლით. მხატვრობას გადარჩენილი მონაკვეთების გაწმენდა, ალბათ, დამატებით მონაცემებს მოგვაწვდის და რეკონსტრუქციის საკითხსაც მეტი ნათელი მიადგება. მიუხედავად ამისა, პატარა შენობა გამოსახულების მარჯვენა ნაწილში, რომელიც ბანას ეკლესიის სამხრეთი მხარე უნდა იყოს, აშკარად გვეუბნება, რომ მესამე კარიბჭე დიდად განსხვავებული იყო ჩრდილოეთისა და დასავლეთისაგან და ამ დაკვირვებას თითქოს ემხრობა სამხრეთი კარიბჭის შემონახული კედელიც.[288]

შიდა მხარე პორტალისა, რომელიც დღემდე მოღწეულ ორთაგან უკეთ არის შემონახული, გარშემოსავლელის შიგნიდან იხილვება (Edwards, სურ. 41). მისი კარები (2.00 მ სიგანეში) დასრულებულია ნახევარწრიული მონოლითური ტიმპანით, რომლის მსგავსი ტაოს სხვა ეკლესიათა კარიბჭეებშიც მოიპოვება და მასზე იქნებ დამკვეთის წარწერაც ყოფილიყო. პორტალის პილასტრები იმავე მოყვანილობისა და ზომისაა, როგორიც სხვანი მათ აქეთ-იქით, მაგრამ საგრძნობლად დაშორებული ერთმანეთს (3.58 მ.). მათი განმტვირთავი თაღი მიმდებარე თაღთა სიმაღლისაა, რამაც მოითხოვა მისი საბჯენი იმპოსტების ერთი რიგის სიმაღლით ქვევით ჩამოტანა.

ბანას კათედრალზე მსჯელობა ამომწურავი ვერ იქნება; ეს მხოლოდ სხარტი შენიშვნებია, რომელიც, იმედია გამოადგება მომავალ მკვლევართ, ვისაც ზემოაღწერილზე უფრო სახარბიელო ვითარებაში მიეცემა საშუალება ადგილზე სისტემატური გათხრების ჩატარებისა თავდაპირველი ეკლესიის ნამდვილი სახის აღსადგენად, ტიპოლოგიურად მსგავს ძეგლებთან მისი სტილური და ფორმისეული ნათესაობის დასადგენად და სხვა, ჯერჯერობით გაურკვეველ კითხვებზე პასუხის მოსაპოვებლად.[289]

## 2. ისტორიული და კულტურული მიმოხილვა

ერთ დროს ბანა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი ქართული სამთავროს ერთ-ერთი უმდიდრესი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი ყოფილა. მას შემდეგ, რაც ბაგრატიონთა საბრძანებელი ტაოსა და კლარჯეთის სამთავროებად გაიყო,[290] ბანა გახდა ტაოს

[286] მაგალითად, ეკლესია ორსაფეხურიან პლატფორმაზე ყოფილა დადგმული. გარშემოსავლელის ფასადის შეწყვილებული ნახევარსვეტები არ სწვდება სტილობატს, რაც უჩვეულოა ქართული ხუროთმოძღვრებისთვის.

[287] ეკლესიის ნანგრევებში მე ვიპოვე ცისფერი მოჭიქული კრამიტის ორი ნატეხი, რომელთა მსგავსნი ახლომდებარე ესტეკის ეკლესიასთანაც შემიგროვებია. ეს ლარიანი კრამიტის ნატეხები იმის საბუთი ჩანს, რომ კარიბჭეცა და მთლიანად ეკლესიაც ცისფრად მოჭიქული კრამიტით იყო დახურული.

[288] "Peintures historiques d'Oški (Tao)", *Revue des études géorgiennes et caucasiennes* 2, 1986, გვ. 146-147, სურ. 4 a, b.

[289] ტიპოლოგიურად ბანას მონათესავე ტაძრებისთვის იხ.: E. Kleinbauer, "Zvartnots and the Origins of Christian Architecture in Armenia", *Art Bull.* 54, 1972, გვ. 250-256.

[290] ამგვარი დაყოფა ადარნასე II-ის (†923) შემდეგ ჩნდება. მის ძეთაგან ერთი, ბაგრატ ქართველთა მეფე (†945), აფუძნებს ტაოს სამთავროს; მეორე ვაჟი, სუმბატ კურაპალატი (†958) – კლარჯეთი-

დედაქალაქი, XI საუკუნიდან კი, ხანგამოშვებით – ქართველ მეფეთა სამყოფელიც.[291] ბანას კათედრალში აკურთხეს მეფე ბაგრატ IV (1027-1072)[292] და აქვე მან 1032 წელს დაიწერა ჯვარი ელენეზე, ბიზანტიის იმპერატორის – რომანოზ III არგიროსის (1028-1034) ძმისწულზე.[293] აქვე იყო დასაფლავებული ტაოს რამდენიმე მმართველიც – უკანასკნელად აქ საქართველოს მეფე ვახტანგ IV (1443-1446) დაკრძალეს, წინა წელს კი მისი მეუღლე სითიხათუნი.[294]

მთელი მისი არსებობის მანძილზე ბანას სიმშვიდე არ ღირსებია. მანზიკერტთან ბიზანტიელთა დამარცხების შემდეგ თურქ-სელჩუკთა მარბიელები 1074-1080 წლებში „ვითარცა მკალნი"[295] მოედვნენ ტაოსა და მის მეზობელ საერისთავოებს. XII საუკუნის პირველ ნახევარში ბანა სელჩუკების ხელში იყო. 1160-იან წლებში მეფე გიორგი III-მ (1156-1184) წამოიწყო მათზე ძლიერი შეტევა, მაგრამ უშედეგოდ.[296] ბანა მხოლოდ თამარ მეფის ზეობაში (1184-1213) იქნა განთავისუფლებული.[297] მშვიდობა ხანმოკლე აღმოჩნდა, მალევე განახლდა შემოსევები, მეტადრე მეფეთა – გიორგი ლაშასა (1213-1222)[298] და დავით VIII-ის (1293-1311) ზეობაში.[299] მაგრამ მიუხედავად ამ შფოთიანობისა და ნორმალური ცხოვრების დარღვევისა, კულტურული და ლიტერატურული ტრადიცია აქ XVI საუკუნეში თურქთაგან ასექსიამდე არ შეწყვეტილა.

ბანასთან დაკავშირებულ უადრეს თვალსაჩინო სწავლულთაგანია ზაქარია ბანელი, იგივე ზაქარია ვალაშკერტელი, ანუ ხვინგელოზი,[300] რომელიც სომეხი ისტორიკოსის – არისტაკეს ლასტივერცის მიხედვით, 1021-1022 წლებში ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ისა და საქართველოს მეფის – გიორგი I-ის მოლაპარაკებაში მონაწილეობდა. კონსტანტინოპოლში გადახვეწილი ზაქარია აგრძელებს სამწერლო მუშაობას და უკვეთავს უამრავ ხელნაწერს ქართული სამონასტრო კოლონიისათვის. ზოგი მათგანი შემორჩენილია და ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. მათ შორისაა ლამაზად მორთული „ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდისა გრიგოლ ღმრთისმეტყუელისაჲ" (A-1), ბასილ ეტრატაის მიერ გადაწერილი 1031 წელს,[301] წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის ქადაგებათა კრებული ზაქარია მირდატისძისა და სხვათა მიერ კონსტანტინოპოლის ქართველთა ღმრთისმშობლის სახელობის მონასტერში გადაწერილი (A-92),[302] 1030 წელს შესრულებული „სჯულისკანონი" (S-143),[303] „მცირე სჯნაქსარი"[304] (A-648) და მაქსიმე აღმსარებლის ეგზეგეტიკურ თხზულებათა „კრებული"[305] (Q-34), გადანუსხული 1029-1031 წლებში. ხელნაწერის 336 გვერდზე

ხას, დედაქალაქით არტანუჯში (C. Toumanoff. *Studies in Christian Caucasian History*, Washington, 1963, გვ. 496 და შემდგომ).

[291] *ქართლის ცხოვრება* I, გვ. 318, 385.

[292] იქვე, გვ. 295; ლ. მენაბდე, *კერები* I, გვ. 461.

[293] იქვე, გვ. 294; ე. თაყაიშვილი, *კოლა-ოლთისი*, გვ. 19-20.

[294] *ქართლის ცხოვრება* IV, გვ. 283.

[295] ი. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია* II, 1914, გვ. 461.

[296] *ქართლის ცხოვრება* II, გვ. 16; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 565.

[297] *ქართლის ცხოვრება* I, გვ. 368.

[298] იქვე, გვ. 209.

[299] იქვე, გვ. 250.

[300] *ისტორია*, თარგმნა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1974, გვ. 51.

[301] *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, *A კოლექცია* I-1, 1973, 7-1; Шмерлинг, *Художественное оформление*, გვ. 143 და შემდ.

[302] *აღწერილობა*, გვ. 326-332; Шмерлинг, *Художественное оформление*, გვ. 143 და შემდ.

[303] *აღწერილობა*, *S კოლექცია I-I*, 1960, გვ. 152-154.

[304] Ф. Жордания, *Описание рукописей Тифлисского Церковного Музея*, II, Тифлис, 1902; Шмерлинг, *Художественное оформление*, გვ. 143 და შემდ.

[305] *აღწერილობა*, *Q კოლექცია I*, 1957, გვ. 36-38. ზაქარია ბანელის დაკვეთილი ხელნაწერების შესახებ იხ. ასევე: ლ. მენაბდე, *კერები* I, 1962, გვ. 463-464; ე. მაჭავარიანი, *მრავალთავი* 4, 1975, გვ. 24-29; ე. მეტრეველი, *ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან*, თბილისი, 1996, გვ. 145-166.

მოყვანილ ანდერძში ნათქვამია, რომ „დაიწერა ბრძანებითა და ნებითა ზაქარიაჲ ეპის-კოპოზისა ბანაელისა და სუნგულოზისათა ჴელითა უღირსისა და უცბათ მხრექელისა ისაკისათა, ქალაქსა კონსტანტინოპოლის მონასტერსა მისვე ბანაელისა ეპისკოპოზისა, სუნგულოსისა, ყოველთა წმიდათასა აგიაპანტს მეფობასა რომანოზისსა".

ბანაში გადაწერილი უგვიანესი შემორჩენილი ხელნაწერი 1511 წლისაა (A-647).[306] ესაა საბაწმიდის ტიპიკონი,[307] ანდერძის ცნობით დაკვეთილი ქეთევან დედოფლისთვის.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში ბანა, ტაო-კლარჯეთ-შავშეთის სხვა მონასტერთა მსგავსად, თურქ ხელისუფალთა ხელში მოექცა, რომელთაც ბოლო მოუღეს აქაურ გაცხოველებულ კულტურულსა და ლიტერატურულ საქმიანობას. XVI-XVII საუკუნეებში ჯრუჭის ოთხთავისთვის (H-1697) დართულმა რამდენიმე გვერდმა შემოგვინახა მოთხრობა იმ აუტანელი მდგომარეობის შესახებ, რომელშიც იმყოფებოდნენ თურქთა საბრძანებელში მოხვედრილი ქრისტიანები ბანას უშუალო სიახლოვეს: „იყო კაცი ვინმე მოშიში უფლისა, რომელსა სახელი ერქუა ავქსენტი, და ესე იყო ლუაწლსა და სამსახურსა შინა ღმრთისასა... მსწრაფლ იწყო შენებად და მრავლითა ღონისძიებითა აღაშენა ეკლესია წმიდისა გიორგისა თემსა მას ბანისასა, რომელსა ქარგლუხი[308] ეწოდების, და მრავალნი ნაწილნი დაასუენნა. ჟამსა მას იჯდა ბატონად უსჯულო სანჯახი, რომლისა სახელი ერქუა თათრულისა ენითა ბაადინ ბეგ. ესმა რა აღშენება ტაძრისა მის მოიყუანეს კაცი იგი ღმრთისაი და დილეგსა შინა შთააგდეს".[309]

---

[306] Ф. Жордания, *Описание рукописей*... II.

[307] წმ. საბას მონასტერი პალესტინაში.

[308] ქარგლოხი პატარა სოფელი ქოროლუ უნდა იყოს, ოლთისიდან (ოლთუ) ჩრდილოეთით 12 კმ-ში მდებარე. იგი მოინახულა 1907 წელს ე. თაყაიშვილმა (*კოლა-ოლთისი*, გვ. 45-46) და აქ ორი ეკლესია დაათვალიერა. ერთი მათგანი, წმ. გიორგისად მიჩნეული, აფსიდმორღვეული იყო და მეჩეთად გამოიყენებოდა. ე. თაყაიშვილმა აღწერა ის და გეგმაც გააკეთებინა (იქვე. ტაბ. 24ა.).

[309] ლ. მენაბდე, *კერები* I, გვ. 462. დამოწმებული ხელნაწერი ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. იგივე ბედი ეწია სომხებსა და ბერძნებს ერზინჯანში, ტაოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში: 1403 წელს ყველა მათი ეკლესია თემურლენგის განკარგულებით დაანგრიეს (R. Gonzales de Clavijo, *Ambajada a Tamerlan*, ed. R. Alba, Madrid, 1984, გვ. 108). მეორე შემთხვევაში, ერზინჯანის აღმოსავლეთით სომხებით და ბერძნებით დასახლებულ ქალაქ პაგარისზე მიმავალმა თემურლენგმა ბრძანა დაენგრიათ ყველა სომხური ეკლესია, რომელსაც არ გამოისყიდიდნენ 3000 ესპეროდ (ესპერო უდრის ნახევარ რეალს) – იქვე, გვ. 113.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნაწილი მეორე

# X საუკუნის შუახანების შემდეგ აშენებული და აღდგენილი ეკლესია-მონასტრები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შესავალი

X საუკუნის მეორე ნახევარში პირველობა უთუოდ საქართველოს ისტორიაში გამორჩეულ პიროვნებას, დავით III-ს ეკუთვნის. ის 958-1001 წლებში გასაოცარი წარმატებით მართავდა ტაო-კლარჯეთს. დავითს დიდად აფასებდნენ ბიზანტიის საიმპერატორო კარზე, როგორც სანდო მოკავშირეს არაბთა საფრთხის პირისპირ. არაბთა წინააღმდეგ წარმოებულ ომებში, მეტადრე ნიკიფორე ფოკას მმართველობაში (963-969), ქართველები ბიზანტიელთა მხარდამხარ იბრძოდნენ, რასაც ბიზანტიური მიწა-წყლის მაჰმადიანთა ხელიდან გამოხსნა მოჰყვა. დავითს სახელი მეტადრე მას მერე გაუვარდა, როდესაც იგი მიეხმარა ბასილი II-ს აჯანყებული ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართველების ჯარს წარჩინებული დიდებული იოვანე თორნიკე მეთაურობდა, რომელიც ათონის მთაზე იბერთა მონასტერში ბერად შემდგარიყო და საგანგებოდ იქნა იქიდან გამოხმობილი.[310] ბიზანტიელთათვის გაწეული სამხედრო დახმარებისთვის დავითმა ჯეროვანი საზღაური მიიღო – მას მიწა-წყალიც ებოძა და 978 წელს „კურაპალატის" ბიზანტიური ღირსებაც.[311] მის ზეობაში ტაო-კლარჯეთი დიდ მიწა-წყალს მოიცავდა, სამხრეთი საზღვარი კი ვანის ტბასა და ერზინჯანს სწვდებოდა. სამხედრო და დიპლომატიურმა წარმატებამ მალევე მისცა ბიძგი ქვეყნის ეკონომიკასაც. დიდი შემოსავალი მოჰქონდა სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მოხერხებულად განლაგებულ მარტოოდენ ქალაქ არტანუჯსაც კი. ამის თაობაზე კონსტანტინე VII პორფიროგენეტი შემდეგს ამბობს: „ადრანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი რაბატიცა და დაბა-ქალაქიც და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნდისა, იბერიისა, აფხაზეთისა, და არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან; და ამ საქონლებიდან მას უამრავი ბაჟი შემოსდის".[312] დავითის მიერ ტერიტორიის შესამჩნევად გაზრდამ, რამაც მის კონტროლს დაუქვემდებარა სპარსეთისა და შუამდინარეთის საწარმოო ცენტრებიდან შავი ზღვით (ტრაპეზუნდი) ბიზანტიისკენ მიმავალი სავაჭრო გზები, შემოსავლის სწრაფი ზრდა მოიტანა. ამას გარდა, 978 წელს დავით კურაპალატმა ბიზანტიელთაგან კარინი და ხალტო-არიჭი მიიღო, მნიშვნელოვანი არა მხოლოდ სავაჭრო თვალსაზრისით, არამედ ბუნებრივი სიმდიდრითაც და ნაწარმითაც.[313] თანადროულად ტაო-კლარჯეთის სამთავროს მჭიდრო კავშირმა ბიზანტიის სამეფო კარის კულტურულ გარემოსთან, რომელიც განსაკუთრებით ნიკიფორე II ფოკას ხანაში განმტკიცდა, და თვით დავითის თითქმის ნახევარსაუკუნოვანმა ბრძნულმა მმართველობამ შექმნა ტაოში დიდი გაქანების ხუროთმოძღვრული საქმიანობის თუმც ხანმოკლე, მაგრამ მრავლის მომცემი აღმავლობისათვის საჭირო სულიერი ვითარება და ნივთიერი საფუძველი. მას ზურგს უმაგრებდა საინჟინრო ნაგებობანიც, კერძოდ, ხიდები და

---

310 ასოღიკ (სტეფანოს ტარონელი), პატმუთიუნ ტიეზერაკან, გამ. ს. მალხასეანცისა (1885), გვ. 136; Н. Ломоури. К истории Варды Склира, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები* 67, 1957, გვ. 29-46. ტაოს სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოებათა გამო იხ.: B. Martin-Hisard, "Du Tao-Klarjet'i à l'Athos: Moines géorgiens et réalites sociopolitiques (IX$^{e}$-XI$^{e}$ siècles)", *Bedi Kartlisa: Revue de Kartvélologie* 41, 1983, გვ. 34-36; M. Tarchnišvili, "Die Anfänge der schriftstellerischen Tätigkeit des Hl. Euthimius und der Aufstand von Bardas Skleros", *OrChr* 32, 1954, გვ. 113-124.

311 ქართულ წყაროებში დავითი „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატად" იწოდება – ვ. კოპალიანი, „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატისა საკითხისათვის", *მაცნე* 3, 1972, გვ. 171-176.

312 *Adm. Imp.*, თავი $46_{42-46}$ (ქართული თარგმანი: *გეორგიკა*, ტ. IV, ნაკვ. II, გამოცემა და თარგმანი ს. ყაუხჩიშვილისა, თბილისი, 1925, გვ. 278-79).

313 *Всеобщая история Степаноса Таронского, Асогика по прозванию - писателя XI столетия*, Москва, 1864, გვ. 135, დამატებითი მაგალითები იხ.: H. A.Manandjan, *The Trade and Cities of Armenia in Relation to Ancient World Trade*, ნ. გარსოიანის თარგმანი, Lisbon, 1965, გვ. 146, 148, 156.

უთვალავი ციხესიმაგრე, რომელნიც ჯერაც არაა გამოწვლილვით შესწავლილი.[314] თითქმის არაფერი ვიცით იმდროინდელ საერო ხუროთმოძღვრებაზე, თუნდაც ადგილობრივ ხელისუფალთა სამყოფლებზე, სასტუმროებსა და სასნეულოებზე. აი საკულტო ხუროთმოძღვრების მიმართ კი საფუძვლიანი დებულებებია წამოყენებული და ზოგიერთი მათგანიც კარგ მდგომარეობაშია ჩვენამდე მოღწეული.

დავითის ზეობის პირველ ნახევარში, მისი უშუალო შემწეობით ოთხი სამონასტრო ეკლესია აიგეს: ოშკი, ხახული (ორივე ცენტრული), ოთხთა ეკლესია და პარხალი (ბაზილიკები). დავითივეა იშხნის კათედრალის გადაკეთების მოთავე.

ამ ძეგლთა შესწავლისას ჩვენ არა გვაქვს ხელთ ვრცელი წერილობითი წყარო, რომელიც ისეთ გვიმეგზურებდა, როგორც X საუკუნის შუახანებამდე აგებულ მონასტერთა შემთხვევაში გიორგი მერჩულეს „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება". მიუხედავად ამ ნაკლისა, მაინც სახარბიელო მდგომარეობაში ვართ, რადგანაც დავით კურაპალატის აგებული ეკლესიები არა მხოლოდ შედარებით კარგადაა დაცული, არამედ, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მოგვიანებით გადაუკეთებელიც. ამას გარდა, X საუკუნის აქეთ მრავლად გვაქვს შიდა კედლების ბათქაშებზე დატანილი თუ გარე კედლებზე ამოკვეთილი ისტორიულად დიდმნიშვნელოვანი წარწერები. დავითის ზეობის დასაწყისში აგებული ეკლესიები იმგვარ არსებით სიახლესა და მონუმენტურობას გვიჩვენებენ, როგორიც შეესაბამება ამ ახალი ხანის სიდიადეს. მჭიდრო ჩანს ქვითხუროთა მომეტებული გაწაფულობაც. წინანდელ ხანასთან შედარებით საგრძნობლად იზრდება ეკლესიათა ზომებიც. ხანცთისა (16,85 × 15,00 მ) და დოლისყანის (15,80 × 11,38 მ) სამონასტრო ეკლესიები დავითის აგებულ ოშკს (41,00 × 27,00 მ), ხახულს (34,43 × 24,00 მ), პარხალსა (28,40 × 18,55 მ) და ოთხთა ეკლესიას (28,46 × 18,60 მ) ორჯერ და მეტად ჩამოუვარდება.

უაღრესად გაცხოველებული შემოქმედებითი მოღვაწეობის ამ ხანაში შეიქმნა ახალი ხუროთმოძღვრული ტიპი – ტრიკონქი (ოშკი, ისი, კოლას „ოთხთა ეკლესია", ორთული), რომელიც, თუ არ ვცდები, ადრე არ გვხვდება საქართველოს სხვა ნაწილებში და უშუალოდ ადგილობრივ ქვითხუროებს უნდა მიეწეროს. რომ ეს ფორმა დიდად მოსაწონი აღმოჩნდა, ქუთაისისა (ბაგრატის ტაძარი, 1003 წ) და ალავერდის (XI ს-ის პირველი მეოთხედი) კათედრალებიც გვიდასტურებენ. მართალია, ტრიკონქი დღემოკლე გამოდგა და აღარასდროს აშენებულა XI ს-ის შემდეგ. ამ ეკლესიათა გარე კედლები გლუვად თლილი, გულდაგულ დაკუთხეული, იშვიათი გამონაკლისით უწყვეტ რიგებად დაწყობილი ქვითაა შემოსილი, რომელნიც ისე ზუსტადაა მორგებული, რომ რიგებს შორის დუღაბი არ ჩანს. კედლების ამგვარი დამუშავება ჯერ კიდევ ბანასა და ხანცთაში ჩნდება, მაგრამ ახლა, ოშკით მოყოლებული, კედლები სადა აღარაა, გამდიდრებულია კვეთილი პროფილებითა და ნართავი თაღების რიტმული მწკრივებით,[315] რომლებიც გამოყენებულია შენობის სამ (ოშკი) ან ოთხსავე (იშხანი) მხარეს. სხვადასხვა სიმაღლისა და სიგანის ეს ნართავი თაღები ასახავს შიდა მოცულობათა წყობასა და ლოგიკას, აუმჯობესებს სტრუქტურულ თვისებებს და, უპირველეს ყოვლისა, კედელთა ზედაპირის დანაწევრებით დეკორაციულ ზემოქმედებას, მათი ცხოველხატული თვისებების ზრდას ემსახურება. ნაირგვარ, საოცრად დახვეწილ ორნამენტულ მოტივთა სიმრავლე ნათელყოფს დეკორაციული ეფექტების თანდათანობით გამძაფრებას (მაგალითად, იშხანსა და ტბეთში) და მათთვის უპირატესი მნიშვნელობის მინიჭებას ოსტატ-გალატოზთა მხრიდან. თანადროულად მცირდება კედლის სვეტების სისქე, თუმცა ისინი ორ-ორად ან სამ-სამად იკონება ხოლმე. მომრავლებულია პილასტრთა პროფილების რაოდენობა, თან კი მატულობს ნართავი თაღების სიღრმეც.

ტაო-კლარჯეთის მეორე მახასიათებელია სამკუთხა დაფერილი ნიჟარისებრი კონქებით მოთავებული ნიშების ხშირი გამოყენება.[316] ისინი მონიშნავენ შიდა მასათა დანაწილებას და დეკორაციულობას მატებენ კედელთა გარე პერანგს. იმავე მიზნითაა მოხმარე-

[314] ამ მხარის ციხესიმაგრეები გამოიკვლია რ. ედვარდსმა ("Architecture", გვ. 15-37; მისივე, "Fortifications", გვ. 165-182).

[315] ამგვარი ნართავი თაღების წინამორბედს ვხედავთ ოპიზაში, სადაც აღმოსავლეთი ფასადი ერთი სიმაღლის სამი თაღითაა ჩაზგასმული (იხ. ზემოთ და ტაბ. 3).

[316] ამგვარი ნიშების წინამორბედნი ჩნდება მცხეთის წმ. ჯვრის ტაძარსა (586-604/5) და წრომში (626-634).

ბული სარკმლის მდიდრულად დაჩუქურთმებული საპირეების ურიცხვი ნაირსახეობა და ომეგასებრი გადანაკეცებიანი თავსართები – როგორც წესი, მონოლითური. სტრუქტურული (არა ორნამენტის) თვალსაზრისით, სარკმლის საპირეთა დამაბოლოებელი ჩუქურთმოვანი არშიები სირიული და ახლოაღმოსავლური ხუროთმოძღვრების მემკვიდრეობით ჩანს შთაგონებული. ლავგარდანებიც ასევე უხვად ნაკვეთი მცენარეული თუ გეომეტრიული სახეების არშიებითაა გამშვენებული. მეორე პერიოდის დასაწყისშივე დიდად თვალსაჩინო ხდება გარეთა მონუმენტური ხუროთმოძღვრული ქანდაკების მიმართ სულ უფრო მეტი გულისყური. X საუკუნის შუა წლებიდან ჩვენ ვხედავთ მხატვრული მოღვაწეობის საერთო აღმავლობასაც, და უფრო მეტად, ამ მხარის საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში დეკორაციული მხარის თამამ ხაზგასმას.

კეთილდღეობის ხანამ საზოგადოდ ტექნიკური შესრულებისა და ხელოსნობის გვარიანი გაუმჯობესებაც მოიტანა. ტაო-კლარჯეთში შემუშავდა კამაროვანი ან ბრტყელგუმბათიანი ღია კარიბჭეების ახლებური, დახვეწილი სისტემაც, იმატა სარკმლების – გუმბათის ყელის ღიობთა ჩათვლით – რაოდენობამ. შესაბამისად, ეკლესიებში, რომელთა კედლები ახლა უკვე მთლიანად იფარება მხატვრობით (და არა ადრინდელივით მხოლოდ აფსიდი), მეტი შუქი შემოდის. გუმბათის რვა- და თორმეტწახნაგა ყელის წახნაგთა რაოდენობაც იზრდება, ისინი უფრო წერწეტა და ვერტიკალურია. ყოველივე ეს შეიძლება ახსნილ იქნეს როგორც გეომეტრიული იერის ცხოველხატულით შეცვლა.

უფრო რთული ხდება შიდა მასების გაწყობა. გუმბათიან ეკლესიებში (ოშკი, ხახული, იშხანი) მკლავთა გადაჯვარედინება ბაზილიკური გეგმის გადმონაშთის, დაგრძელებული დასავლეთი მკლავის გამო, უფრო მეტად დაუახლოვდა აფსიდს, რაც, იწვევს რა მონუმენტურობის მეტ შეგრძნებას, საგრძნობლად ცვლის შიდა სივრცის აღქმას.

არსებითი სხვაობანი ჩანს ტაო-კლარჯეთის მონასტერთა განთავსებაშიც. ისინი განსაკუთრებით მთელი მხარის გეოგრაფიასა და ცალკეულ ადგილთა ტოპოგრაფიაში იჩენს თავს. როგორც ზემოთ აღინიშნა, VIII საუკუნის მიწურულიდან, ვიდრე X საუკუნის შუახანამდე მომუშავე ქტიტორებს, თვით ლავრათა ფუნქციიდან გამომდინარე წანამძღვრების გარდა, უნდა გაეთვალისწინებინათ სტრატეგიული მდებარეობაც.[317] ამ პერიოდში აგებული ყველა მონასტერი (ოპიზა, ხანცთა, წყაროსთავი, ესბეკი) უკიდურესად ციცაბო, თითქმის მიუდგომელ მთის კალთებზეა მოთავსებული და ხშირ მწვანეში ჩამალული. სხვანი, კიდევ უფრო ადრეულნი, საერთოდ მიუვალია, თუ კიბით ან საგანგებო „ლიფტით“ არ აგიყვანეს. მთლიანად მიდამოც ძალზე დასერილია და მნახველს ურიცხვი ბუნებრივი დაბრკოლებით განაცვიფრებს. ეს ყოველივე წარსული ხიფათიანი დროების ანარეკლია, როდესაც მოსალოდნელი იყო სარკინოზთა გამანადგურებელი ლაშქრობანი თუ სხვათა თავდასხმები, რაც აუცილებელს ხდიდა ამგვარი მოფარებული ადგილების შერჩევას. მაგრამ, როგორც იქნა, შემოსავლის ზრდამ წარმოშვა თავდაცვის გაუმჯობესებული სისტემა, რაც განსაკუთრებით დავითის მეფობაშია თვალსაჩინო, როდესაც ქვეყნის საზღვრები საიმედოდ იყო დაცული. X საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, მონასტრების უსაფრთხოება მათი სტრატეგიული მდებარეობით კი არა, სათვალთვალო კოშკებითა და მთავარისა და მეორეხარისხოვანი გზების დამცველი ვეებერთელა ციხესიმაგრეებით იყო უზრუნველყოფილი. ახლა უკვე მონასტრებს (მეტადრე ტაოს სამეფოში) გადაშლილ, ადვილად მისადგომ ველებზე აშენებდნენ, სადაც ისინი სრულადაა შეთანხმებული საამო პეიზაჟს (მაგალითად, ბანა, ოშკი, ხახული,[318] პარხალი, ოთხთა ეკლესია). ეს სავსებით შეესაბამება ქართული მონასტრების საზოგადო ხასიათს. მათგან განსხვავებით, მესოპოტამიის, სირიის, საბერძნეთის (მაგალითად, ათონის) მონასტრები გარემოს მაღალი შემომფარგვლელი ზღუდით არის გამოყოფილი. ამ სიახლეთა მაჩვენებლები პირველად მონუმენტური მასშტაბით ჯერ, ალბათ, ბანას კათედრალში გამოჩნდა, უფრო ჭარბად კი ოშკის ეკლესიაში.

---

317 იხ. ამის გამო Djobadze, *Materials*, გვ. 115. ბუნებრივ სიმაგრეებს ხშირად იხსენიებს კოხი, იხ. *Reise*, გვ. 190 და შემდგომ.

318 გამონაკლისია ამ მხრივ ხახულის მონასტერი, მაგრამ მისი ზღუდე წვიმიანობის დროს ადიდებული ხახულისწყლის მოვარდნისგან მონასტრის დასაცავად იყო გამიზნული.

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

# A. ოშკის ტაძარი და მისი მიმდებარე ნაგებობანი

ოშკის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია (ტაბ. 119) თორთუმის ტბის დასავლეთითაა განლაგებული. ფეხით ანდა მანქანით ახლად გაყვანილი ყამირგზის მეშვეობით იგი ადვილად მისადგომია. სამხრეთიდან მომავალი მდ. თორთუმისწყლის ტბასთან შერთვის ადგილას უხვევს მარცხნივ და აუყვება მის შენაკადს, რომელიც გაზაფხულზე ნაპირებს გადალეკავს, ხშირად გზისა და მიმდებარე ხეხილის ბაღების ნაწილებს წაიღებს, ზაფხულობით კი უმეტესად გადამშრალია. ექვსი კილომეტრის მერე მიადგებით ეკლესიას, რომელიც 80-ოდე მეტრის მოშორებით დგას მდ. თორთუმისწყლის შენაკად პატარა ღელის პირას (სურ. A).

ოშკი არა მხოლოდ მოზრდილი მონასტერი იყო, არამედ, ბანასთან ერთად, ტაო-კლარჯეთის ხელისუფალთა ადმინისტრაციული ცენტრიც. როგორც უფრო ხშირად ხდება, საერო ნაგებობათაგან თითქმის არაფერი შემოგვრჩა. მთავარი ეკლესიის გარდა დაცულია (ნაწილობრივ მაინც) რამდენიმე სამონასტრო შენობა. ეკლესიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 50-ოდე მ-ის მანძილზე, სატრაპეზოსა და მიმდებარე სკრიპტორიუმის ნანგრევებია. ეკლესიის ჩრდილოეთით 30-ოდე მ-ის დაცილებით, გორაკზე, საიდანაც ადგილობრივი მცხოვრებნი ახლა დაკუთხვილ ქვებს ეზიდებიან, შეიძლებოდა ეპისკოპოსის სამყოფელი ყოფილიყო. სამხრეთ-დასავლეთით ერთი კმ-ის მოშორებით, ეკლესიის ზევით, სამლოცველო და სხვა ნანგრევებია. უსახურავო მოზრდილი სწორკუთხა შენობის შიგნით ახლა ბოსტანია გაშენებული. ამ გაქანების ეკლესიას ექნებოდა სამღვდელოებისა და მომსვლელთა მოსათავსებელი ბინებიც, აბანოც, საწყობებიც, ადმინისტრაციული შენობებიც, რომელნიც ალბათ დროთა განმავლობაში გაქრა.

თავად ეკლესია მთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ფერდის საგანგებოდ მოსწორებულ მონაკვეთზეა მოქცეული (ტაბ. 120). ეკლესიის სამხრეთით ოთხი მეტრის სიმაღლის საბჯენი კედლებიც ააგეს, რათა 25 მ-ის სიგანის ეზო გამოსვლოდათ. ეს კედელი, აწ ნაწილობრივ შელახული, ახალ დროს უხარისხოდ შეუკეთებიათ. მჭედელი, რომელმაც თავისი სახელოსნო კედლის შუაში გათხარა, ამბობს, რომ მისი სადგომი ეკლესიის ქვეშ მოთავსებულ აკლდამებს ადგება.

ამ შთამბეჭდავ ნაგებობას ბუნებრივი მისადგომი სამხრეთიდან აქვს[319]. ეს მხარე ხაზგასმულია უღრესად დეკორაციული, ფრონტონიანი ღია კარიბჭით, სამხრეთ მკლავზე მიდგმული მცირე კარიბჭითა და ურიცხვი ხუროთმოძღვრული ქანდაკებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ოშკი ტაო-კლარჯეთის უადრესი ეკლესიაა, სადაც მაქსიმალურადაა თავჩენილი მეორე პერიოდისთვის დამახასიათებელი სტრუქტურული თუ დეკორაციული სიახლეები. იგი მნიშვნელოვანია ეკლესიის გარე კედლებზე შიმობნეული უამრავი (ამდენი ქართულმა ხუროთმოძღვრებამ სხვაგან არც იცის) წარწერითაც.

ეკლესიას არავინ იცავს და ამის გამო იგი იძარცვება, ერთიანად გამქრალია კამარები, მოცილებულია პილასტრების ქვები, მეტადრე ჩრდილოეთ ფასადზე და ნაწილობრივ ინტერიერის კედლებზეც. მეტად გადაიშალა სამხრეთი კუთხის ბზარი, რომელიც 1917 წელს ე. თაყაიშვილის ექსპედიციის დროს უკვე იყო და რომელმაც იმსხვერპლა დასავლეთი ფრონტონის ნაწილი (ტაბ. 122). ეკლესიის ფასადების ხუროთმოძღვრული ქანდაკებები დაზიანებულია თოფით მსროლელთა მიერ, გამქრალია ასევე იატაკის უმეტესი ფილებიც.

---

319 ამგვარი განთავსება ტიპურია ტაო-კლარჯეთის ყველა ეკლესიისათვის, თუკი ამას ხელს არ უშლიდა ადგილობრივი პირობები, როგორც, მაგალითად, პარეხთაში, ნუკა საყდარსა და ოთხთა ეკლესიაში.

## 1. სამშენებლო ტექნიკის ზოგი მხარე

სამსაფეხურიან პლატფორმაზე ამოყვანილი და სტილობატზე დაფუძნებული ეკლესია დაკუთხვილი, გლუვად გათლილი მოყვითალო კირქვითაა ნაგები: ქვები სწორ რიგებადაა ნაწყობი, ალაგ-ალაგ შევსება-ჩანამატებიც ჩანს (ტაბ. 120). რიგების საშუალო სიმაღლე 0,48 მ-ია და მცირედად თუ იცვლება. ქვების ზედაპირი ირიბულადაა თლილი: მათი კიდეები არაა ჩათლილი. ისინი მჭიდროდაა ერთმანეთზე მორგებული ისე, რომ დუღაბი არ ჩანს. შედეგად გვაქვს დიდრონი, გლუვი ზედაპირები, მეტად ხელსაყრელი კვეთილი ჩუქურთმის, ხუროთმოძღვრული ქანდაკებებისა და წარწერების განსათავსებლად, რომელთაც სახელი გაუთქვეს ოშკს.

მეორე მხრივ, კედლის შიდა ზედაპირებზე უხეშად დაკუთხვილი ქვები სქელ დუღაბზე სწორ რიგებადაა დაწყობილი, რომელთა სიმაღლე 0,20 და 0,26 მ შუა მერყეობს (ტაბ. 128). ზედაპირი გლუვი კი არ არის, უსწორმასწოროა. შიდა კედლები მოსაბათქაშებლად და მოსახატად იყო გათვალისწინებული. კარები, სარკმელთა საპირეები, მათი შიდა პირები და წირთხლები, პილასტრები და კამარები გარეთა კედლების მსგავსადაა დამუშავებული. კედელთა გარე და შიდა პირს შორის დარჩენილი შუალედები, რომლებიც კედლის სისქის (0,95 მ) დაახლოებით 1/3-ს უტოლდება, საკმაოდ მასიური დუღაბის გულით არის შევსებული, რაც გამოარჩევს ქართულსა და სომხურ ეკლესიებს.

ეს სამშენებლო ტექნიკა ახალი არ გახლავთ. იგი ფართოდ გამოიყენებოდა მცირე აზიის სანაპირო ზოლის, კაპადოკიის, ჩრდილოეთ სირიისა და ტურ აბდინის ადრექრისტიანულ ძეგლებში. იგი უშუალოდ რომაულ-ელინისტური ტრადიციიდან მომდინარეობს. ამ ტრადიციის მიდევნებას ასახავს აგრეთვე ეკლესიის გარე კედლებზე განთავსებული ხუროთმოძღვრული ქანდაკება, აქაური სვეტისთავების აღნაგობა, ჩუქურთმიანი სახეები და შეწყვილებული სარკმლები. ოღონდ ეს ხუროთმოძღვრული რეპერტუარიცა და ჩუქურთმოვანი სახეებიც გარდასახულია, გამდიდრებულია და ადგილობრივ გემოვნებასა და ტრადიციას მორგებული.

ნაგებობის შესამსუბუქებლად და მისი მდგრადობის გასაუმჯობესებლად მშენებლებმა შემოგვთავაზეს თავისებური კონსტრუქცია – კონქებში საჭექი ქვიდან 12 წიბო გამოდის და კონქის ქუსლამდე ჩადის. წიბოებს შორის მორჩენილი კონუსის სეგმენტები პემზით, ლორღით და ხის ნახშირითაა შევსებული, ზედ კირხსნარია გადასხმული, გარედან კი გლუვად თლილი ქვებითაა გადამოსილი. როგორც ირკვევა, სამივე კონქის შიდა პირზე და თვით ნახევარწრიულ გუმბათზეც პემზაა გამოყენებული. ამგვარადვე, აფრებს უკან მონაკვეთები შევსებულია ლორღით, რომელშიც პემზა და ნახშირია გარეული. ზედ ლავგარდანს ქვეშ, დასავლეთი მკლავის ჩრდილო-დასავლეთი კედლის მთელი შუა ნაწილის გაყოლებით ფიჭვის (*Pinus Silvestrus* ან *Pinus Nigra*, 0,24 მ დიამეტრისა) მორია ჩატანებული.[320]

ე. თაყაიშვილის თანახმად,[321] გუმბათის ერთ-ერთ სარკმელში შენახული იყო თხელი თაბაშირის ალათი, რომელიც, ალბათ, იმის საბუთია, რომ გუმბათის ყველა სარკმელში ასეთი ფირფიტები იყო ჩასმული, რაც აცხრობდა ეკლესიაში შემავალ შუქს.

სამხრეთი კარიბჭის სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის ნახევარსვეტებზე ახლაცაა კვალი წითლით დატანილი ორნამენტული სახისა, რომლის გამოკვეთა ძირიდან დაუწყიათ.[322]

---

[320] როგორც ჩანს, ტაო-კლარჯეთისა და შავშეთის ეკლესიებში ამ მხარეებში მრავლად არსებული ხე-ტყის გამოყენება ხშირი უნდა იყოს. იგი უმრავლესად მოხმარებულია შენობის კონსტრუქციული მდგრადობის გასაზრდელად. მაგალითად, ბანას კათედრალის გარშემოსავლელში, ანდა განბრჯენის შესამცირებლად, როგორც ტბეთის აღმოსავლეთ ნაწილში.

[321] *ექსპედიცია*, გვ. 35, ტაბ. 57-3.

[322] Djobadze, *Materials*, გვ. 122, სურ. 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა




27. ხახული, გეგმა

## 2. ეკლესიის აღწერა

ოშკის ეკლესია რთული, მდიდრულად მორთული და ხალვათი ნაგებობაა (ტაბ. 120, სურ. 27),[323] რომლის შიდა სიგრძე დასავლეთი მინაშენის გარეშე 40.60 მ-ია, სიგანე – 27.00 მ, სიმაღლე კი 34.00 მ-ს აღწევს. ტიპოლოგიურად ეს ტრიკონქია, ჯვრული გეგმით, სადაც გუმბათი ეყრდნობა ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯს.[324] მისი აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავები ნახევარწრიული აფსიდებითაა დაბოლოებული, დასავლეთი მკლავი კი გრძელ კამაროვან ნავს წარმოადგენს.

## 3. აღმოსავლეთი აფსიდი

აღმოსავლეთი აფსიდი (ტაბ. 124) ეკლესიის იატაკის დონეს 0.78 მ-ითაა აცილებული. მასში სამ 0.26 მ სიმაღლის ნახევარწრიულ საფეხურს ავყავართ. აფსიდი 7.50 მ-ის სიგანისა და 7.30 მ-ის სიღრმისაა. მის სამ სარკმელთაგან ერთი, შუალა (ყველა ერთ დონეზეა), უფრო განიერია, თან მოხატულობისთვისაც საკმაო ადგილია დატოვებული. აფსიდის იატაკსა და სარკმლებს შორის კედლიდან ქვებია ამოღებული. ორი დარჩენილი ქვა მიგვანიშნებს, რომ თავდაპირველად აქ, კედლის შუა ადგილას, ეპისკოპოსის საყდარი იქნებოდა, როგორც ტბეთის ახლომდებარე კათედრალსა და ოშკისავე ქტიტორის მიერ აღშენებულ ხახულისა და პარხლის ეკლესიებში.

საკურთხევლს ორი პასტოფორიუმი ახლავს (5.23 × 3.35 მ). ისინი ორსართულიანია, ყოველ აფსიდში თითო სარკმლით. საკმაოდ უჩვეულოა პასტოფორიუმების უშუალოდ საკურთხეველთან დაკავშირება. ტაო-კლარჯეთის ყველა ეკლესიაში პასტოფორიუმები იხსნება მრევლისთვის განკუთვნილი მონაკვეთებისაკენ და არა საკურთხეველში. ეს თავისებურება აჩვენებს, რომ ადრე შუა საუკუნეებში აქ მიღებული ქამისწირვა არ მოითხოვდა საკურთხეველ-პასტოფორიუმების უშუალო დაკავშირებას. ოშკში კი საზოგადო წესიდან ამგვარი გადახვევა, იქნებ, პასტოფორიუმებიდან საკურთხეველში შესასვლელების მოწყობით (გვიანი გადაკეთებისას) უნდა აიხსნას.

1917 წლამდე აფსიდის სარკმლიდან დასავლეთით, ორი მეტრის მოშორებით იდგა აწ გამქრალი ტრაპეზი. ე. თაყაიშვილი მის მარტოოდენ ზომებს იძლევა: სიგრძე – 1.75 მ, სიგანე – 0.86 მ, სიმაღლე – 0.85 მ.[325] დაკარგულია აფსიდის იატაკიც; შერჩენილი ფრაგმენტებით იგი 0.15 მ სისქის ქვიშაქვის ფილებით იყო მოგებული. აფსიდსა თუ ეკლესიის სხვა ნაწილებში ტაძრის გამართულობის კვალიც აღარაა შემორჩენილი.

## 4. ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავები

ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავები ერთნაირია (ტაბ. 125, 126). აღმოსავლეთი აფსიდისაგან ისინი მხოლოდ ზომებით განსხვავდება – ცოტათი მასზე განიერია (8.30 მ), სიღრმით კი ნაკლები (5.70 მ). ყოველ მათგანს, აღმოსავლეთი აფსიდის მსგავსად, სამი

---

323 უკანასკნელად ოშკი დ. უინფილდმა აზომა (“Sculpture”, გვ. 38-57). სურ. 2-ზე უინფილდი იძლევა ოშკის ახალ გეგმას, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან შეცდომას შეიცავს: 1. სამხრეთი პასტოფორიუმის სამხრეთი კედლის კარი არა მხოლოდ არასწორადაა განთავსებული, არამედ არცაა ტაძრის თავდაპირველი ნაწილი, იგი ადგილობრივმა განძის მაძიებლებმა 1960-იანი წლების დასაწყისში გაარღვიეს. 2. გამოტოვებულია სამხრეთ პასტოფორიუმსა და სამხრეთ მკლავს შორის მოქცეული ოთახის აღმოსავლეთი კედლის სარკმელი. 3. სამხრეთ-დასავლეთი კუთხის კედელი მოგვიანო დანამატია. 4. არაა ნაჩვენები ეკლესიის საყრდენი ორსაფეხურიანი პლატფორმის ხილული ნაწილი. 5. ყველაფერთან ერთად, გეგმას დართული მასშტაბი არ იძლევა ეკლესიის ნამდვილ ზომებს. ოშკის ეკლესიის შესახებ დამატებითი ცნობები მოიპოვება: Eid, *Ost Türkei*, გვ. 187-193; სურ. 20.

324 ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 34. საქართველოში ოთხი თავისუფლად მდგომი ბურჯი პირველად წრომში ჩნდება (626-634): G.Tschubinashvili, *Georgische Baukunst*, Bd. II. Die Kirche in Zromi und ihr Mosaik, Tbilissi, 1934, გვ. 23 (რუსული გამოცემა: Г. Чубинашвили, *Цроми*, Москва, 1969, გვ. 41).

325 ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 36.

სარკმელი აქვს. შუალა სარკმელი შესამჩნევად აწეულია (3.00 მ), რათა ეკლესიას შიგნით თანაბარი შუქი მოეფინოს. კათედრალის ოთხი კარიდან ორი ამ აფსიდებშია მოქცეული. ორივე 1.68 მ-ის სიგანისა და 3.00 მ სიმაღლისაა.

ეროვნული

ჩრდილოეთი და სამხრეთი ნახევარგუმბათების ნახევარწრიული სა[illegible] ქვებიდან რადიალურად გამოდის ექვსი ყვითელი და ხუთი წითელი მონოლითური ქვის მონაცვლე ზოლები. ვერ ვიტყვით, ასევე იყო მორთული თუ არა აღმოსავლეთი აფსიდის კონქიც, ვინაიდან იგი თითქმის მთლიანად დაკარგულია. კონქების გამოსაყოფად ამგვარი ხერხების გამოყენება უთუოდ არ ყოფილა უჩვეულო რამ შუა საუკუნეების საქართველოში და ისინი ასახავს დეკორის სისტემას, მიღებულს ეკლესიათა მოხატვამდე, რასაც ვხედავთ ოშკისა და ოთხთა ეკლესიის მთავარ ტაძრებსა და მათ მიმდებარე სამარხ კაპელებში. ბოლოდროინდელ მონოგრაფიაში თ. ვირსალაძემ დაადასტურა, რომ წითელი და ყვითელი საღებავით დატანილი მონაცვლე ზოლების რადიალური ნახატი ამკობდა ატენის ეკლესიის კონქს XI საუკუნის მეორე ნახევარში მხატვრობით გამშვენებამდე.[326]

ჯვრის სამივე მკლავს აქეთ-იქით ახლავს დამატებითი ორსართულიანი, ნახევარწრიული აფსიდებით დასრულებული ოთახები. აღმოსავლეთი აფსიდის მიმდებარე სადგომთა გამოკლებით, რომელნიც 1.70 მ-ით ღრმაა დანარჩენებზე, ყველა ერთი მოყვანილობისა და ზომისაა. ყველა ოთახის სიგანე 3.15 მ-ს შეადგენს. ჩრდილო-აღმოსავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ოთახების ნახევარგუმბათები 1.20 მ-ის სიგანისაა. ამათგან ოთხს თითო სარკმელი აქვს, ხოლო ჩრდილოეთი მკლავის მიმდებარეს კი თითოეულს ორ-ორი, უთუოდ, ეკლესიის ნაკლებად განათებულ ჩრდილოეთ ნაწილში შუქის ინტენსივობის გასაზრდელად. მსგავს შემთხვევას მივაგენი ღოლისყანის გუმბათზედაც, სადაც ჩრდილოეთ მხარეს სარკმლები დანარჩენებზე 0.10-0.15 მ-ით განიერია. უნდა დავძინოთ აგრეთვე, რომ ეკლესიის აღნაგობის სირთულის მიუხედავად, ეს მცირე ორსართულიანი განცალკევებული თუ ნახევრად ავტონომიური გვერდითი აფსიდიანი სადგომები არაა შერწყმული შუალა მონაკვეთს და არ მონაწილეობს ერთიანი შიდა სივრცის შექმნაში.

## 5. დასავლეთი მკლავი

საკმაოდ წაგრძელებული დასავლეთი მკლავი (ტაბ. 127), რომელიც ბაზილიკურ ნაგებობებს მოგვაგონებს, სიგანით 9.70 მ-ია, სიგრძით კი თითქმის ორჯერ მეტი. მას სხვადასხვა ზომის უბეებად ყოფს ხუთი წყვილი 0,48 მ სიგანის პილასტრი, რომლებიც ასტრაგალითა და თაროთი შედგენილი მონოლითური იმპოსტებითაა დასრულებული. პილასტრის თანხმლები ორი შვერილიდან ერთი საპირისპირო მხარეს გადადის და სართავ თაღს წარმოქმნის, მეორე კი იმპოსტის ზემოთ გრძელდება და შეამტკიცებს ყოველი უბის ოდნავ წაისრულ გარდიგარდმო თაღს.

მარტივი გეომეტრიული მოყვანილობის იმპოსტები ზედმიწევნით იმეორებენ მსგავს ფორმებს, რომელნიც ამ მხარისავე 10-20 წლით ადრე აშენებულ ტაძრებში (ოპიზა, ხანცთა) გვხვდება. იგივე ითქმის პილასტრებზე (0.24 მ სიგანე-შვერილობის), რომელნიც კედლების მომატებული სიმაღლის გამო ოშკში ორჯერ მეტია. გლუვად გათლილი, დაკუთხეული ქვებით სარკმელთა ჩარჩოები, საფეხუროვანი პილასტრები და კამარებია გამოყვანილი (დღეს თითქმის ყველაფერი განძარცვულია). დასავლეთი მკლავის დანარჩენი ნაწილი — თავდაპირველად შელესილი, კვლავ შებათქაშებული და მხატვრობით დაფარული 1036 წელს — ტლანქად კვეთილი ოთხკუთხა ქვებითაა ამოყვანილი. დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ მხარეს ორსართულიანი გალერეაა. ქვედა სართულის გალერეის სიგრძე 16 მ-ია, სიგანე — 2.80 მ, სიმაღლე — 4.70 მ. იგი კამაროვანია და აღმოსავლეთ მხარეს ნახევარწრიული აფსიდით ბოლოვდება. ამ დერეფანში შესვლა დასავლეთი მკლავის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთიდან შეიძლება. ჩრდილოეთი კედლის თანაბრად დაშორიშორებული სარკმლებიდან მასში საკმაო შუქი შედის. მათი გარე სიგანე ყველგან 0.50 მ-ია, შიდა — 0.93 მ, კედლის სისქე კი — 0.95 მ.

---

[326] თ. ვირსალაძე, *ატენის სიონის მოხატულობა*, თბილისი, 1984, გვ. 5, სურ. 7, ტაბ. 14, 16.

გალერეის მეორე სართულის ზომები იგივეა, რაც პირველისა: მასში მოხვედრა დასავლეთიდან, ხის კიბით შეიძლებოდა. იგი უხვადაა განათებული (ცხრა სარკმლით: ოთხი ჩრდილო-დასავლეთ კედელზეა, ერთი დასავლეთ ბოლოში, ოთხი დიობიც დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელშია გაჭრილი. უხვად შედის შუქი დასავლეთის კედლის შეწყვილებული თაღიდან და ჩრდილოეთი მკლავის თანმხლები დასავლეთი ოთახის მეორე სართულიდანაც.

როგორც ეტყობა, ეს გალერეა ნახევრად ავტონომიურ ელემენტად იყო ჩაფიქრებული, რადგან მასში მოხვედრა უშუალოდ, ეკლესიაში შეუსვლელადაც შეიძლებოდა დასავლეთ მხარეს მოწყობილი ვიწრო კარიდან (სიგანე – 1.00 მ). გალერეის დანიშნულების საკითხი გამოარკვია ოშკში ყოფნისას ე. თაყაიშვილმა. მისი აზრით, ეს „გინეკეუმი", „საქალებო" იყო.[327] ამგვარ დასკვნას მხარს უჭერს სხვა ქართული ეკლესიების შესწავლაც. მეორე მხრივ, XI საუკუნის მეორე ნახევრის შემდგომ ამგვარი გალერეების ზომები და მნიშვნელობა საგრძნობლად კლებულობს. XIII საუკუნის შემდეგ ისინი სავსებით მივიწყებულია, რადგან ჟამისწირვის შეცვლამ ისინი სავსებით ზედმეტი გახადა. ამასვე მიგვანიშნებს ისიც, რომ ეკლესიის დასრულების შემდეგ, რომელიღაც დროს, ამოუქოლავთ საქალებოში უშუალოდ შესვლის ხელშემწყობი ვიწრო დასავლეთი კარი. ვერ ხერხდება იმის ახსნა, თუ რატომ ამჯობინეს ხის კიბე მუდმივს, ქვისას. ამას გარდა, გალერეაში გახსნილი ოთხი თაღი უკიდურესად ვიწროა – მათი უდიდესი განი 0.80 მ-ია. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ მსხდომი ქალები ჯეროვნად ვერ მიადევნებდნენ თვალს ტაძარში აღსრულებულ ჟამისწირვას.

დასარულს, უნდა აღინიშნოს, რომ გალერეის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ზედ კამარის წამოწყებასთან, კედლის სისქეში ამოყვანილია 0.66 მ სიგანისა და 1.50 მ სიმაღლის კამაროვანი კიბე, რომელსაც გუმბათზე ავყავართ. კიბე აგურითაა ნაშენი (გვერდი – 0.30 მ, სისქე – 0.55 მ). ამგვარი კიბეები ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების ერთი ნიშანთაგანი ჩანს. ამ ადგილზევე აღმოვაჩინე კიბე ახლომდებარე ხახულში, რომელიც ამავე ქტიტორის აგებულია, და იშხნის კათედრალშიც, სადაც მისი მეოხებით გუმბათის ყელამდე ავაღწიე.

## 6. დასავლეთი პატრონიკე

ნავის დასავლეთ კედელსა და პილასტრების დასავლეთ წყვილზე შემორჩენილი სამი თაღის ნაშთები მოწმობს, რომ თავდაპირველად ნავის დასავლეთ კედელთან 3.00 მ-ის სიგანის პატრონიკე იყო ამოყვანილი (ტაბ. 127). იგი შეიძლებოდა ოშკის თანადროულსა და იმავე ქტიტორის აღშენებული პარხლისა (ტაბ. 265) და ოთხთა ეკლესიის (ტაბ. 228) ბაზილიკების კარგად დაცული და გადაუკეთებელი დასავლეთი პატრონიკების მსგავსი ყოფილიყო. ორივე შემთხვევაში ისინი ქალების სამყოფელი იყო და ასევე უნდა ყოფილიყო ოშკიც. ქართულ ჟამისწირვებში არაა საგანგებო ცნობა, თუ წირვის დროს ქალების ადგილი სად უნდა ყოფილიყო. სამაგიეროდ, მცხეთის წმ. ჯვრის ტაძრის (585-604/5) უნიკალური წარწერა გვაწვდის არქეოლოგიურ საბუთს, რომ ქალთათვის ეკლესიის დასავლეთი ნაწილი იყო განკუთვნილი.

## 7. ცენტრალური ბურჯები

ოთხ ოდნავ წაისრულ თაღზე აღმართული გუმბათისა და მისი მაღალი ყელის განბრჯენას შეგებებულია 2.00 მ-ის სიმაღლის მრგვალ კვარცხლბეკებზე ამოყვანილი ოთხი მასიური თავისუფლად მდგომი ბურჯი. ჯვრული ბურჯების აღმოსავლეთი წყვილი გეგმით თორმეტწახნაგაა (ტაბ. 130), დასავლეთი წყვილი ჯვრულია და ოთხი დამატებითი საფეხურით არის შემტკიცებული. ყველა ბურჯის კვარცხლბეკი წრიულია, გამდიდრებული ნაირგვარი პროფილებით, ხშირი მცენარეული და ჩახლართული გეომეტრიულ-

---

[327] ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 36.

წნულიანი სახეებით, რომელთაგან ზოგიერთი, მნახველის თვალის სიახლოვეს მოქცეული, კალიგრაფიული მკაფიობითა და წვრილმანებისადმი ხელმიწევნით გულისყურითაა ნაკვეთი (ტაბ. 132-134). აღმოსავლეთი ბურჯების კვარცხლბეკები ერთნაირადაა გადაწყვეტილი (ტაბ. 130), ისინი ანტიკური ელემენტებით (პლინთი, ტროქილუსი, ტორუსი, გრეხილი გადმოზნექილი სტილიზებული ფოთლები, თარო და ღილები) არის შემკული. ზოგიერთი მათგანი საფუძვლიანადაა გადასხვაფერებული და ოსტატის მიერ სავსებით განუმეორებელ, ორიგინალურ ფორმებად ახლად გაწყობილი. მაგალითად, ტორუსის ქვემოთ ბრტყელი დორიული კანელიურებია, მეღერი წითლით შეღებილი, მაშინ როდესაც კანელიურებს ზევით მონაკვეთები ლურჯი საღებავითაა ხაზგასმული. ორივე ნიშანი, კანელიურებისა და საღებავის გამოყენება, კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს ოშკში კლასიკური ტრადიციის სიცხოველეს. დასავლეთი ბურჯების კვარცხლბეკთა სიმაღლე მიახლოებით 3.00 მ-ის, გარშემოწერილობა კი 7.55 მ-ის ტოლია. მათი ორნამენტული მორთულობა კიდევ უფრო მდიდრულია, ვიდრე აღმოსავლეთი ბურჯების კვარცხლბეკებისა. ისინი აღნაგობითაც სხვაობს და ორნამენტული სამკაულითაც (ტაბ. 131-134). ტაბ. 130 გვიჩვენებს ნატიფ ხელობასა და ორნამენტულ სახეთა დეტალების კვეთის უმაგალითო გულმოდგინებას. ორივე დასავლეთი ბურჯის ქვედა კანელირებულ ნაწილზე მივაკვლიე წითელ საღებავს კანელიურების თავზე და მათ შორის. კვარცხლბეკის გაწმენდამ შეიძლება სხვა ფერადებიც გამოაჩინოს. ასეა თუ ისე, ეს კვარცხლბეკები, ნაწილობრივ მაინც, შეღებილი იქნებოდა, რითაც გაიზრდებოდა მათი დეკორაციული ზემოქმედება.

ასეთ კვარცხლბეკს წინასახე არ ეძებნება და ისინი ოშკელი ოსტატის მონაფიქრი უნდა იყოს, მაგრამ ისიც, ტრიკონქის ტიპივით, დღემოკლე გამოდგა. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მისი ნაირსახეობანი გვხვდება ტბეთსა (იხ. ქვემოთ, სურ. 82, ტაბ. 342) და იშხანში (1032 წ., იხ. ქვემოთ, ტაბ. 285-286). უფრო მცირე მასშტაბით — ქუთაისის ბაგრატის კათედრალის (1003)[328] სამხრეთ კარიბჭესა და მღვიმევში (XIII საუკუნის მეორე ნახევარი).[329] ოშკის გარდა ჯვრისებრი ბურჯები ამ მხარის სხვა ეკლესიებშიც მოიპოვება (მაგალითად, ოთხთა ეკლესიაში, პარხალსა და იშხანში). ამგვარი ბურჯები ტიპურია საქართველოსთვის. როგორც ბოლო დროს აჩვენა ფ. ვ. დაიხმანმა, მათი უადრესი წინასახე ბოლნისის სიონის V საუკუნის ბაზილიკაში იძებნება.[330]

## 8. დასავლეთ ბურჯთა ნიშარებიანი ნიშები

ორსავე დასავლეთი ბურჯის აღმოსავლეთ მხარეს მოთავსებულია დაახლოებით 3.60 მ-ის სიმაღლისა და 1.46 მ-ის სიგანის რთულად გამოყვანილი ნიშები (ტაბ. 126, 127, 132). სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის ნიშა უფრო მრავალნაწევრიანია (ტაბ. 132, სურ. 28), ვიდრე მეორე. მის პირზე, იქვე ნიშარის — მეუფეებისა ანდა ხელმწიფეების ნიშნის — ქვემოთ, ორივე მხარეს გამოკვეთილია ადგილობრივ მმართველთა და ეკლესიის მაშენებელთა, დავით მაგისტროსისა (მოგვიანებით — კურაპალატის) და ბაგრატ ერისთავთერისთავის რელიეფური ნახევარფიგურები. ყოველი გამოსახულება წვრილმარცვლოვანი კირქვის ბლოკზეა ამოჭრილი, დავითი მარცხნივ არის, ბაგრატი კი მარჯვნივ (ტაბ. 136, 137, სურ. 38, 39 a, b). რელიეფები შედარებით პატარაა (0.35 × 0.48 მ, სტილიზებული მცენარეული ორნამენტის 0.08 მ-ის სიგანის არშიის ჩათვლით). ისინი ძლიერაა დაზიანებული, მეტადრე სახეები და ჯვრები, რომლებიც განზრახ ამოუკოდავთ წამახული იარაღით. ორივე რელიეფის ფონი სინგურით შესრულებული თანადროული მრგვლოვანი წარწერებითაა შემკული.[331] ორივე ხელმწიფე წვეროსანია და მეტად ჰგავს ერთიმეორეს. მარცხენა ხელი მათ მორჩილების ნიშნად აუწევიათ, მარჯვენა მხართან კი ორივეს ჯვროვანი კვერთხი

[328] Mepisašvili, Zinzadse, Schrade, *Arts*, სურ. გვ. 143-ზე.

[329] ი. გომელაური, *მღვიმევი*, თბილისი, 1982, გვ. 26, ტაბ. 44.

[330] F. W. Deichmann, "Zur Entwicklung der Pfeilerbasilika: Die Basilika Sioni von Bolnisi", *Rom, Ravenna, Konstantinopel, Naher Osten: Gesammelte Studien zur spätantiken Architectur, Kunst und Geschichte*, 1982, გვ. 825-837.

[331] ამის შესახებ იხ. Djobadze, "Reliefs", გვ. 39-62, ტაბ. 12-14 და ქვემოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




28. ეკლესია, სამხრეთ-დასავლეთი ბურჯი, ბაზისი და ნიშა, ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთით

უპყრია, ქრისტესადმი რწმენისა და სასოების ნიშნად. კვერთხის ჯვართან შეერთებას კონსტანტინე დიდის აქეთ ხანგრძლივი ტრადიცია აქვს.[332] ამასთან, ამგვარი ჯვროვანი კვერთხისა და მარცხენა ხელის მოძრაობის უახლოესი პარალელებია დუმბარტონ-ოუქსის მუზეუმის X საუკუნის სპილოს ძვლის ფირფიტა კონსტანტინე დიდის გამოსახულებით[333] და კორტონას რელიკვარიუმი (963-969), სადაც პატარა მედალიონზე კვლავ კონსტანტინეს გამოსახულებაა.[334] ჩვენს რელიეფებზე ორივე ხელმწიფეს გეომეტრიული სახეებით მოქარგული გრძელსახელოებიანი კვართი მოსავს. დავითის კვართზე გულისებრი ნაყში წრეებში ვარდულისებრ იხატება. ბაგრატის კვართი ვარდულებითაა მოხატული, გულისპირი კი სამკუთხედებით. მათ თავს ზემოთ დარჩენილი კვალი აჩვენებს, რომ თავდაპირველად მეფეებს გვირგვინები ეღგათ. მათი სახეები კარგადაა მოდელირებული. რელიეფები შედარებით მაღალია, მათი ზედაპირი კი სუფთად მოსწორებული.

რელიეფების დანიშნულების გასაგებად საგულისხმოა, რომ ორივე ხელმწიფის უკან მოთავსებული საყდრებელი წარწერები ერთ წმინდანს მიმართავს: დავითის მარჯვნივ მოქცეული ღმრთისმშობელს, ბაგრატის მარჯვნივ კი წმ. იოანე ნათლისმცემელს. კონქის ძირშივე აღსაყდრებული ქრისტეს ფერწერული გამოსახულების ნაშთებია. ამდენად, ამ ნიშაში ჩვენ „ვედრების“ უჩვეულო ნაირსახეობას ვხედავთ, სადაც მეოხნი, მარიამ ღმრთისმშობელი და წმ. იოანე ნათლისმცემელი წარწერილი სახელებით წარმოგვიდგებიან, მათ ზევით კი ქრისტეა დახატული. ამ არატიპურ „ვედრებას“, რომლის პარალელად გარეთა სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელზე ადამიანის ზომის „ვედრებაა“ გამოკვეთილი (მასზე მოგვიანებით გვექნება საუბარი), ავსებს ხელისუფალ ძმათა, დავითისა და ბაგრატის ბიუსტები, რომელნიც თანმდევი წარწერების მიხედვით მავედრებლად გვესახებიან.[335]

იშვიათად თუ უჭირავთ საერო პირთა გამოსახულებებს ეკლესიაში ეგზომ გამორჩეული ადგილი. მოათავსეს რა რელიეფები ნიჟარით დასრულებულ ნიშაში, მშენებლები მისდევდნენ ანტიკურ ხერხს, რომელიც სამოქალაქო თუ საკულტო ხუროთმოძღვრებაში ძალზე წარმატებულად გამოიყენებოდა წარჩინებულ პირთა ღირსების გამოსაკვეთად[336]. რაკიღა ეკლესია ღვთის სახლია, წმიდა ადგილი, შესაბამისად მის სამსახურად და განსადიდებლად გათვალისწინებული, ამქვეყნიურ ხელისუფალთა ქანდაკოვანი გამოსახულებები ბურჯებზე მათ ყველაფერ მიწიერს აღმატებული პატივით მოსავდა. აქ ისინი სამარადისო ღირებულებათა მოზიარენი ხდებოდნენ და თვითვე — თაყვანისცემის საგანი. ამგვარივე ნიშები გვაქვს ხახულისა (ტაბ. 194-195) და პარხლის (ტაბ. 266-267) ეკლესიებშიც და, ამდენად, ისინი ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრული სკოლის ტიპური მოვლენაა. მეორე მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კონქიანი ნიშები ოდნავ გამოზიდული გვერდებით მოიპოვება დეირ ზაფარანის VI საუკუნის ეკლესიის სამხრეთ ეგვტერსა და მთავარ ეკლესიაში[337] და ჩვენი ნიშებისათვის სწორედ ისინი შეიძლებოდა გამხდარიყო სანიმუშო.

ქართულ სამთავროთა არაბულ სამყაროსთან ურთიერთკავშირის გამო, არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ომაიანთა ხანაში მსგავსი ნიჟარებიანი ნიშები გამოიყ-

---

[332] A. Alföldi, "Der Kreuzszepter Konstantin des Grossen", *Schweizer Münzblätter*,1954, გვ. 81-86; M. Ross, "A Byzantine Imperial Scepter for Easter and a Pectoral Cross", *Jahrbuch der Österreichischen Byzantinischen Gesellschaft* 9, 1960, გვ. 93, 95.

ჩვენი რელიეფები ადასტურებენ, რომ ჯვარი არა მხოლოდ ეკლესიის რელიგიური სიმბოლოა, არამედ „გაწმინდანებული“ მიწიერი მმართველის ატრიბუტიც. ამის შესახებ ნახეთ A. Alföldi. "Hoc Signo Victor eris", *Pisciculi Studien zur Religion und Kultur des Altertums*, Münster, 1939, გვ. 18 და შემდ.

[333] K. Weitzmann, *Cattalogue of the Byzantine and Early Medieval Antiquites in the Dumbarton Oaks Collection, Ivories and Steatites* III, 1978, № 25 A.

[334] D. Talbot Rice, *Art of Byzantium*, 1954, გვ. 67. ტაბ. 121.

[335] ოშკის „ვედრებათა" შესახებ იხ. Djobadze, "Deesis", გვ. 168-182.

[336] A. Alföldi, "Insignien und Tracht der Römischen Kaiser", *Mitteilungen des Deutschen Archaeologischen Instituts, Römische Abteilung* 50, 1935, გვ. 130-134.

[337] G. Bell, *The Churches and Monasteries of the Tur Abdin*, with an introduction and notes by M. M. Mango, London, 1982, გვ. 69, 70 (Bell), 134 (Mango), ტაბ. 190-193, 198.

ენებოდა საერო მიზნებით სამეუფო ტახტის ჩასადგმელად, საკულტოში კი მიჰრაბად (ამას მოწმობს დამასკოს დიდი მეჩეთის მოზაიკაზე გამოსახული ნაგებობა).[338]

ამ ნიშათა დანიშნულებაზე ნათქვამია, რომ ისინი ეპისკოპოსის საყდრადაა გამართული.[339] მაგრამ ამგვარი შეხედულება არ შეესაბამება ქართულ ლიტურგიულ წესებს. ამას გარდა, ოშკში – ისევე, როგორც ხახულში, პარხალსა და ოთხთა ეკლესიაში – აღმოსავლეთი აფსიდის შუა სარკმლის ქვეშ მოწყობილია ნიშები, რომელნიც საეპისკოპოსო დასაჯდომებად ითვლება, ესე იგი, ბურჯთა ნიშები ამ ფუნქციისათვის ზედმეტი იქნებოდა. ამასთან ერთად, ოშკსა და ზემოხსენებულ ეკლესიებშიც ერთი კი არა, ორი კონქია ბურჯებს მიდგმული. სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება რაიმე საბუთი, რომელიც ამ ბურჯთა ნიშების დანიშნულებას განგვიმარტავდა, შესაძლოა, ისინი კავშირშია ადგილობრივ მმართველებთან, ოშკისა და სხვა ახლომდებარე ეკლესიების მაშენებლებთან და საგანგებო შემთხვევებში გამოიყენებოდა.[340] ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ ოშკში (ასევე პარხალსა, ხახულსა და იშხანში) ნიშები იმდენად დიდია, რომ ხელმწიფეთ აქ არა მხოლოდ ჯდომა შეეძლებოდათ, არამედ დგომაც, იმგვარად, როგორც, მაგალითად, თეოდორა დედოფალს ვხედავთ რავენას სან ვიტალეს აფსიდის მოზაიკაზე და რისი ურიცხვი სხვა მაგალითიც მოგვეპოვება.

## 9. გუმბათი (ინტერიერი)

ოთხ ცენტრალურ ბურჯს ერთმანეთს ოდნავ წაისრული წიბოვანი თაღები აერთებს. კვადრატული უბიდან გუმბათის ყელის წრიულ ძირზე (შიდა დიამეტრით 8.95 მ) გადასვლა ოთხი მონოლითური აფრით ხდება, რომელთაგან სამი მორთულია სამ-სამი პროფილებული რადიალური ღარით, მეოთხეზე, სამხრეთ-დასავლეთისაზე კი ცხრა ღარია. ჩრდილო-დასავლეთ აფრაზე მე შევნიშნე წითელი და ცისფერი საღებავი, რაც მოწმობს, რომ თავდაპირველად ისინი ფერით იყო გაცხოველებული ანი რაბათის ეკლესიის მსგავსად, სადაც წითლად და ლურჯად დაფერილ-დაღარულ აფრებს დღევანდლამდე შერჩენიათ კაშკაშა ფერადოვნება (იხ. ზემოთ).

გუმბათის შიდა ლავგარდანის სიგანე 0.38 მ-ია. მასზე უთუოდ ყოფილა ლითონის წრიული მოაჯირი, რომლისგანაც სამაგრთა ბუდეებია შემორჩენილი. ჩრდილო-დასავლეთი აფრის უკან დუღაბის გულში ნახშირის ნატეხები აღმოჩნდა. თავად ნახევარწრიული გუმბათი „სპონდიკად" წოდებული მსუბუქი ფოროვანი პემზითაა ნაგები. ორივე შემთხვევაში ოსტატის მიზანი კედლის შემსუბუქება იქნებოდა.[341] გუმბათის ყელში 12 დიდრონი სარკმელია გაჭრილი: კონქისა და დასავლეთი მკლავების სარკმლებთან ერთად ისინი საკმარის შუქს ატარებდნენ ეკლესიის პრესბიტერიუმში, სადაც დიდი აღტკინებით ღვთიური მისტერია სრულდებოდა. სინათლის ეს წყარო საკმაო იქნებოდა აგრეთვე წარჩინებული დიდებულის, ჯოჯიკის დაკვეთით 1036 წელს შესრულებული კედლის მხატვრობის გასანათებლად. „პატრიკიოსის" პატივის მქონე ჯოჯიკი დორისტოლონში „სტრატეგოსად" იყო. იგი უნდა განვასხვავოთ პაპამის ჯოჯიკისაგან, რომელიც თორნიკე ბერთან ერთად დავით კურაპალატმა 1200 ცხენოსანისაგან შემდგარ ქართულ ლაშქარს უთავა ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩასახშობად.[342]

---

[338] R. Ettinghausen, *From Byzantium to Sasanian Iran and the Islamic World*, Leiden, 1971, გვ. 33, სურ. 70; მიჰრაბის შესახებ: K. Otto-Dorn, *Kunst des Islam*. Baden-Baden, 1966, გვ. 16-22.

[339] ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 35.

[340] ამ ნიშების ეპისკოპოსთა დასაჯდომებად გაგებას უარყოფს ხახულის ნიშებში შემონახული მოკლე წარწერების შინაარსიც: სამხრეთ ნიშაში მღვდლის სამახსოვრო წარწერაა, ჩრდილოეთისაში კი – პილიგრიმისა (ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 65, ტაბ. 91, მარჯვნივ).

[341] Djobadze, *Materials*, გვ. 118, „სპონდიკი" უთუოდ დიდი რაოდენობით უხმარიათ, რაკი ამ მსუბუქი მასალის მოსაზიდად მუდამ 30 ჯორი სჭირდებოდათ (იქვე, გვ. 127-128).

[342] ე. თაყაიშვილი, ექსპედიცია, გვ. 56-57. ჯოჯიკის გენეალოგია მარჯვედ აქვს გადმოცემული ნ. ტიერის ("Peintures historiques d'Oški /Tao/", *Revue des etudes géorgiennes et caucausiennes* 2, 1986, გვ. 150-152.

## 10. სამხრეთ-დასავლეთი კარიბჭე

ოშკის მაშენებელთა ახლის მაძიებლობა ცხადყოფილია 15.50 მ სიგრძისა და 2.55 მ-ის სიგანის კარიბჭითაც, რომელიც დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელს მიჰყვება (ტაბ. 139, სურ. C). იგი ერთი ზომის ოთხი კვადრატული უბისა (მხარე 2.55 მ) და 2.15 მ-ის სიგანისა და 2.10 მ-ის სიღრმის აფსიდისაგან შედგება. უკანასკნელის აღმოსავლეთი ბოლო მხატვრობითაა შემკული. ყველა ამ უბეში, დასავლეთიდან მესამის გამოკლებით, იატაკიდან 0.50 მ-ის სიგანისა და 0.57 მ-ის სიღრმის ნიშებია მოწყობილი, მესამე კი 1.60 მ-ის სიგანის ეკლესიაში შესასვლელ კარს მოიცავს. კარიბჭის ჩრდილოეთი მხარე დასავლეთი მკლავის კედელს ებჯინება, სამხრეთი მხარე კი 2.70 მ-ის სიმაღლის ოთხ სვეტზეა დაფუძნებული. მათი ზედაპირი მთლიანადაა დაფარული გეომეტრიული, მცენარეული და ფიგურული კვეთილობით. აღნაგობისა და ფორმის თვალსაზრისით ისინი თითქმის ყოველმხრივ განსხვავდება ერთმანეთისაგან. აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთისკენ გავუყვებით, პირველი გარდასახული დორიული სვეტია: სვეტის ტანის კანელიურები ექვსისა და დიდი თორუსისა და კვადრატული პლინთით შედგენილ ბაზისზე გადადის (ტაბ. 140). თაღები ეყრდნობა ჯვრისსახა აბაკს, რომლის ქვედა ნაწილი პალმეტებითაა გამდიდრებული.

ოთხყურა კვეთის მეორე სვეტი ნახევარსვეტებითაა შეკონილი. მისი ზედაპირი მთლიანად თევზისფხური კვეთილობითაა მოჩუქურთმებული. მის მეტად უჩვეულო კაპიტელს ბრტყელი აბაკის სახე აქვს, რომელიც ჰორიზონტალურად დაწყობილ ძელაკებსა და კუთხეებმოკვეთილ ფილაზე ძევს. მესამე სვეტის ტანიც ერთიანად გადაჭდობილი სტილიზებული მცენარეული სახეებით არის მოფენილი, რომლებშიც ტოლმკლავიანი ჯვრებია ჩაწერილი (ტაბ. 141). იგი ეყრდნობა დიდრონ მრგვალ პლინთსა და მასიურ თორუსს, რომელიც ბრტყელი თაღებითაა მორთული, შიგ სტილიზებული მცენარეებით. მისი სვეტისთავი თორუსისავე ზომისა და მოყვანილობისაა, ზედაპირი კი მარაოსებრ გადაშლილი რვაფოთოლა პალმეტებითაა დაჩუქურთმებული. სხვებზე დიდი და მრავლისმთქმელია მეოთხე სვეტი. მისი კვარცხლბეკი ოთხი პროფილისაგან შედგება: ქვემოთ თორუსია, შემდეგ რვაწახნაგა თარო, ასტრაგალი და ფესტონები. სვეტის ყველა ნაწილი რვაწახნაგაა, ფიგურული გამოსახულებანი (მათზე ქვემოთ ვისაუბრებ) და მცენარეული ორნამენტი 0.38 მ-ის სიგანის წახნაგებსა და მასიურ სვეტისთავზეა განთავსებული (ტაბ. 140. სურ. 30).

ზედაპირების კვეთილობით გამშვენების მოთხოვნილება უთუოდ საკმაოდ დიდი იქნებოდა, რაკი გუმბათის ყელის შეწყვილებული სვეტებიც კი დაჩუქურთმებულია. აღწერილი სვეტების აღნაგობა და ორნამენტული სიმდიდრე უცხოა წინამორბედი ქართული არქიტექტურისათვის. ამ სვეტთა შექმნისას ოსტატებს შთაგონების წყაროდ ანტიკური ან ადრექრისტიანული ნიმუშები ექნებოდათ, დიარბაკირის იუსტინიანესეული სვეტის,[343] ორონტის ანტიოქიის დასავლეთით წმ. სვიმეონის მონასტრის წმ. სამების ბაზილიკის სოფიტების[344] ანდა სულაც ხირბათ ალ-მაფჯარის ომაიანური ციხე-დარბაზის შეწყვილებული სვეტების მსგავსი.[345] მათ შეეძლოთ ასევე მიეღოთ ბიძგი VI საუკუნის კონსტანტინოპოლური ინკრუსტირებული სვეტებისაგან, რომელთა მაგალითები წმ. პოლიევქტეს,[346] ჰებდომონის წმ. იოანეს[347] და წმ. ევფემიას[348] ეკლესიებიდან ვიცით, ვინაიდან აღმოსავლეთის სავაჭრო გზები ჩრდილოეთ სპარსეთის გამოვლით არტანუჯსა და ტრაპეზუნტზე გადიოდა, ქართველ

იხ. აგრეთვე: ე. მეტრეველი, *ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან*, თბილისი, 1996, გვ. 5-57.

343 G. L. Bell, "Churches and Monasteries of the Tur Abdin and Neighbouring Districts", *Zeitschrift für Geschichte der Architectur* 9, 1913, გვ. 8, ტაბ. 10; იხ. ასევე სვეტი მარ იაკუბში ნისიბისში (Bell-Mango, ტაბ. 82).

344 Djobadze, *Investigations*, გვ. 100, 106, სურ. XXIX, 132-134, 137, 140-143, 146, 148, 150, 153.

345 R. W. Hamilton, *Khirbat al Mafjar*, 1959, ტაბ. LXV-1.

346 T. Mathews, *The Early Churches of Constantinople: Architecture and Liturgy*, 1971, გვ. 54, ტაბ. 41.

347 იქვე, გვ. 56, ტაბ. 44.

348 იქვე, გვ. 52, ტაბ. 49-50; R. Naumann, H. Belting, *Die Euphemiakirche am Hippodrom zu Istambul und ihre Fresken*, 1966, გვ. 55, ტაბ. 7.



C. ოშკის ეკლესია, სამხრეთ-დასავლეთი კარიბჭის ლამბაქისებრი გუმბათები

გალატოზებს კარგად უნდა სცოდნოდათ სასანური ნიმუშებიც, დამგანის (ჩრდილო-აღმოსავლეთი ირანი, VI ს-ის ბოლო – VII ს.) მრგვალი ბურჯის მსგავსი.[349] ისიცაა, რომ თუ ეს ნიმუშები მართლაც იქნა გამოყენებული, ისინი უმეტესად ისე საფუძვლიანადაა გარდასახული, რომ თავდაპირველ წინასახეებს ძნელად თუ ამოიცნობ.

ოშკის ოსტატთა შემოქმედებითი სულისკვეთება სამხრეთი კარიბჭის ოთხივე (2.55 მ გვერდის მქონე) უბის გადამხურავ ბრტყელ სეგმენტოვან გუმბათებსაც ატყვია. ისინი საკმაოდ მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია, წიბოების, ლუნეტების და აფრების კვეთილობა კი, ამასთან, კოცონთა კვამლისგანაა გაჭვარტლული. აღმოსავლეთიდან პირველი და მესამე უბის „ლამბაქისებრი“ გუმბათები (ტაბ. 143, სურ. C) შედგება რვა გრძივი სწორკუთხა წახნაგისა და მათ შორის მოქცეული ამდენივე კონუსური სეგმენტისაგან, რომლებიც ორ ტოლ ნაწილადაა დასახსრული. მართკუთხა წახნაგებიცა და კონუსური სეგმენტებიც თანაბრად, რადიალურად იშლება ცენტრიდან რვაწახნაგა ფუძისკენ და რვა ნახევარწრიულ ლუნეტს ემყარება. კვადრატს რვაწახნაგად ოთხი აფრა გარდაქმნის. იმავე წესითაა ნაგები მეორე და მეოთხე გუმბათიც (ტაბ. 142, 144, სურ. C), მაგრამ ლუნეტების, მართკუთხა წახნაგებისა და კონუსური სეგმენტების რაოდენობა აქ თორმეტამდეა გაზრდილი. ყველა შემთხვევაში მხოლოდ შუალა აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი წახნაგებია შიგნით მოჩუქურთმებული, რითაც ტოლმკლავიანი ჯვარი წარმოიქმნება, მათ შორის მორჩენილი წახნაგები კი სადაა. აფრებსა და ლუნეტებსაც სხვადასხვაგვარი ჩუქურთმები ამკობს, რომლებიც კარიბჭის სვეტების, გუმბათის ბურჯების კვარცხლბეკების და „ლამბაქისებრი“ გუმბათებისას ჰგავს. განსაცვიფრებელია ორნამენტული მოსართავების ნაირგვარობა, რომელთა შორის გვხვდება გეომეტრიული წნულები, მცენარეული სახეები ან მათი შენაერთი (სურ. C). პირველი და მეორე გუმბათების ჯვრები რომბული ნახატის ნაირსახეებით არის ხაზგასმული (ტაბ. 142). მესამე ბრტყელი გუმბათის ჯვარზე გულისებრი ნახატი ფრთისებრი ფოთლების ნახევრებითაა შედგენილი (ტაბ. 143), რაც ბიზანტიურ ქსოვილებს მოგვაგონებს.[350] მეოთხე ჯვარი ნახევარი S-ების მცენარეული ხვიებითაა შედგენილი (ტაბ. 144): ყოველ მკლავზე გამოკვეთილია ოთხ-ოთხი სამფოთლიანი კონა, ამოზრდილი რქისებრი დადარული სპირალიდან, რომელიც კიდეებზე „მარგალიტების“ ჰორიზონტალური არშიებითაა აქცენტირებული.

ამ უკანასკნელ ორნამენტულ მოტივს, ნახევარ-S-ს, წილად ხვდა შემდგომ ქართული ხუროთმოძღვრული დეკორისა და გამოყენებითი ხელოვნების ერთი წამძღოლი ელემენტი გამხდარიყო. თუ არ ვცდები, ოშკი უადრესი ქართული ეკლესიაა, სადაც მას ვხვდებით. მოტივის განვითარებაში ორი ხაზი განირჩევა. ერთი ოშკის მაგალითს მისდევს (ბედია, 1002 წლის ხცისის დასავლეთი ფასადი, ზედა ვარძიის სამხრეთი ფასადი, იშხნის აფსიდისა და სამხრეთი მკლავის სარკმლები 1032 წლისა) და ოდნავ თუ ამცირებს ნახატის მცენარისებურობას. მეორე გზა, რომელსაც ახასიათებს ბუნებრივი ფორმის სრული უკუგდება აბსტრაქტული გეომეტრიზმის სასარგებლოდ (მაგალითად, ქუთაისის ბაგრატის კათედრალის ჩრდილოეთი სარკმელი, 1003 წლისა და გურგენ მეფეთა მეფის მიერ 1006 წელს აშენებული იშხნის სამლოცველოს ჩრდილოეთი კარის ტიმპანი – ტაბ. 309), საბოლოოდ ჯაბნის პირველს.

უნდა აღინიშნოს, რომ ოშკის ნახევრად-S-ისთვის პარალელების ძიებისას, საუკეთესო ნიმუშები ორონტის ანტიოქიაში, მეტადრე დაფნე-ჰარბიეს ადრექრისტიანულ მარმარილოს მოპირკეთებაში აღმოჩნდა.[351] მიუხედავად ზოგიერთი სხვაობისა (ანტიოქიურ ყლორტებზე ფოთლები შიგნითკენ ეხვევა, ოშკში კი ფოთლები სწორია), მათ შორის თვალში საცემი ფორმალური და სტილური კავშირი ჩანს უმცირეს დეტალებშიც კი, როგორიცაა, მაგალითად, შემავსებელი მცენარეული ელემენტები, ანდა ჩინებულად გამოყვანილი სპირალი გეომეტრიული პროფილებით, ანდა ორკაპა ფოთლები. არაფერი გასაკვირია, რომ

---

[349] J. Kröger, *Sasanidischer Stuckdekor*, 1982, გვ. 194, ტაბ. $88_{1-2}$.

[350] O. v. Falke, *Kunstgeschichte der Seidenweberei* I, 1913, სურ. 68, 86, 89.

[351] *Antioch-on-the-Orontes*, ed. G. W. Elderkin, R. Stillwell, III, 1941, ტაბ. 43, № 227-229, 237-238.

ოშკის დასავლეთი ფასადისა და კარიბჭის მეოთხე სვეტების ამგვარი რელიეფები წმ. სვიმეონ მესვეტის სავანისას ჰგავს (ტაბ. 122, 166, 167).

თავად სამხრეთი კარიბჭის თაობაზე, დასასრულ, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ახალი ხუროთმოძღვრული ხერხი ხალისით აიტაცეს ქართველ ქვითხუროთა შემოქმედმა თაობებმა და არც რამ არსებითი ცვლილება შეუტანიათ, იმის გარდა, რომ ბრტყელი წიბოვანი გუმბათებით დასრულებული ოთხი უბის ნაცვლად, ერთუბიან კარიბჭეს აკეთებდნენ. ერთი უბის საუკეთესო ნიმუშებს XI საუკუნის პირველ ნახევარში არა მხოლოდ საქართველოში ვხვდებით (ნიკორწმინდა, კუმურდო, კაცხი, მანგლისი, სამთავრო, სავანე), არამედ მის საზღვრებს გარეთაც, ორონტის ანტიოქიის მახლობლად „ძელი ცხორებისას" 1040 წლის ეკლესიაში, რომელიც ასევე ქართველი ოსტატების აშენებულია.[352] ოშკის კარიბჭეს პირდაპირი წინასახე არ ეძებნება. მაგრამ ოშკის შემოქმედ-მაშენებელთ იქნებ სცნობოდათ ნახევრად გახსნილი ქოლგის სახის გუმბათები კონსტანტინოპოლსა ანდა სულაც მესოპოტამიაში.[353]

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით 1.25 მ-ის სიგანისა და 14.50 მ-ის სიგრძის კამაროვანი ღია კარიბჭეა ვიწრო ნიშით მის აღმოსავლეთ ბოლოში. მისი დატეხილი ლავგარდანი საზგასმულია აჭრილი პროფილირებული კარნიზითა და მარგალიტთა მწკრივით, რომელსაც უახლოესი პარალელები ოპიზისა და ხანცთის გუმბათის ყელის კარნიზებში ეძებნება.

კარიბჭის დასავლეთ ბოლოში არსებული ოთახი, რომელიც განათებას აკლებს რვაწახნაგა სვეტის რელიეფებს, არაა გადაბმული ეკლესიასთან. იგივე ითქმის დასავლეთ ნართექსზეც, რომელიც აღარ არსებობს. ორივე მინაშენი ამახინჯებს კათედრალის იერს და მოგვიანებით ჩანს დამატებული.[354]

ამ კარიბჭის აღმოსავლეთ კედელზე დიდებული მკლავებგადაშლილი ჯვარია ამოკვეთილი. მისგან ამოიზრდება სიმეტრიულად განლაგებული რტოების ორი წყვილი (სურ. 29). ჯვარი მოქცეულია სწორკუთხა ჩარჩოში თაღისებრი, ცარგვალის მიმანიშნებელი დაგვირგვინებით. არ უნდა იყოს უბრალო დამთხვევა, რომ crux florida, სამოთხის ხე ცხორებისა, უფრო თაყვანისცემის საგანი, ვიდრე ქრისტეს ვნების სიმბოლო, ეკლესიის შესასვლელის უშუალო სიახლოვესაა მოთავსებული.[355] ამგვარი აყვავილებული ჯვრები საკმა-



29. ეკლესია, სამხრეთ-დასავლეთი კარიბჭე, აღმოსავლეთი კედელი, განედლებული ჯვარი

[352] Djobadze, *Investigations*, გვ. 157-160.

[353] შდრ.: ზაგალითად, დერ მატინას სამხრეთი ეკლესია. იხ.: G.Weissner, *Nordmesopotamische Ruinenstätten* II, 1980, გვ. 56, ტაბ. XV, სურ. 7.

[354] თაყაიშვილის მიხედვით – XV-XVI საუკუნეებში (*ექსპედიცია*, გვ. 40).

[355] ამ ჯვრის სამოთხისეულობის თვალსაზრისით ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ განედლებული ჯვარი გამოკვეთილია ხახულის სამარხ-სამლოცველოს შესასვლელის ტიმპანზე (იხ. ქვემოთ და სურ. 50)..

ოდ ხშირია ქართულ ხუროთმოძღვრულ მქანდაკებლობაში. ადრეული, V-VI საუკუნეების ნიმუშები გვაქვს ბოლნისის სიონში,[356] მცხეთის ტაძრის სამხრეთი კარის ტიმპანზე (587-604/5 წლები),[357] წრომის ტაძრის (626-634 წლები) სამხრეთი კარის ტიმპანზე და აღმოსავლეთი ფრონტონის წვერში.[358] ჩვენი ჯვრის მოყვანილობაცა და ატრიბუტებიც ადასტურებს, რომ crux florida ძველთაძველი კოსმიური სიცოცხლის ხის გახსენებაა, რასაც გოლგოთას ჯვრის შესახებ წარმოდგენა და სამოთხის წიაღხსნისა და მარადისი ცხოვრების ქრისტიანული მოლოდინი ერთვის.[359]

მსგავსი საზრისი უნდა შევუფარდოთ ტაო-კლარჯეთის ეკლესიათა გარე კედლებზე მოთავსებულ განედლებულ ჯვრებსაც. განსაკუთრებით უნდა შეესაბამებოდეს ასეთი ახსნა ხახულის ეკლესიის გალავანში, მის სამხრეთით აგებულ სამლოცველოს. იგი უთუოდ სამარხი უნდა ყოფილიყო და მისი ყველაზე თვალსაჩინო სამკაული მთელი ტიმპანის შემავსებელი განედლებული ჯვარია (სურ. 50).

სამნაწილიანი მიწისქვეშა კამაროვანი ოთახი, რომელიც დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედლიდან სამხრეთით მიემართება, ახლა ნაგვითაა სავსე. გ. თაყაიშვილს მასში ადამიანის ძვლები უნახავს, რაც მოწმობს, რომ ეს კრიპტაა, სადაც იქნებ ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრები იმარხებოდნენ.[360]

## 11. რვაწახნაგა ბურჯის ქანდაკებანი

კარიბჭეზე ჩვენი დაკვირვებების გადმოცემისას უნდა შევჩერდეთ მეოთხე რვაწახნაგა სვეტის ქანდაკებებზეც, რომელნიც 1965 წელს in situ შეისწავლა დ. უინფილდმა და შემდეგ გამოაქვეყნა კიდეც თავისი დასკვნები ტაო-კლარჯეთის მონასტრებზე სხვა მონაცემებთან ერთად.[361]

სამხრეთი კარიბჭის მეოთხე დასავლეთი ბურჯი და სვეტისთავი მთლიანადაა დაფარული მცენარეული და ფიგურული ნაქანდაკევით. სვეტის ტანზე წამყვანი მოტივი სიმეტრიულად დაწყვილებული გადაჭდობილი პალმეტებია, ისეთი სიხშირით დატახილი, რომ ისინი თითქმის ავსებენ მოცემულ ზედაპირს (ტაბ. 140, სურ. 30). ეს მცენარეული სახე გაცხოველებულია უამრავი პატარა, უსხეულო ადამიანის თავით, რომელთაგან თხუთმეტიოდე კვლავაც განირჩევა. ამათგან რვას ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთი ბურჯისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის „კედრებაში" გამოსახულ მომგებელთა გვირგვინების მსგავსი ქუდები ადგას. ერთ შემთხვევაში ფიგურას იმგვარი მოთვალული გვირგვინი აქვს, როგორიც დავითსა და ბაგრატს მოსავს. იგი დგას ჯვრის უკან, რომლის მკლავები მის ნიკაპს სწვდება (ტაბ. 145). მისი ვინაობა გაურკვეველია, მაგრამ ეს შეიძლება იყოს კონსტანტინე გოლგოთის დიდი ჯვრითურთ. კაპიტოზე გარკვეულ ისტორიულ პიროვნებათა გამოსახვა

---

[356] Г. Чубинашвили, *Болнисский Сион*, 1940, გვ. 95-105, სურ. 64.

[357] Г. Чубинашвили. *Памятники типа Джвари* I, 1948, გვ. 149-153; II, ტაბ. 24-25.

[358] G. Tschubinashvili, *Georgische Baukunst* II, 1934, გვ. 45, ტაბ. 13.

[359] განედლებული ჯვრის ნაირსახეობანი განხილულია: J. Flemming, "Kreuz und Pflanzenornament", *Byzantinoslavica* 30, 1969, გვ. 83-115; D. Talbot Rice, "The Leaved Cross", *Byzantinoslavica* 30, 1950, გვ. 68-81; C. Sheppard, "Byzantine Carved Marble Slabs", *The Art Bulletin* 51, 1969, გვ. 65-71. ჯვრისა და ცხოვრების ხის ზოგიერთ მხარეზე საუბრობს V. Elbern, "Plastische Kreuzkompositionen an mittelalterlichen Sakralbauten Armeniens und ihr ikonologisches Verständnis", *OrChr* 67, 1983, გვ. 167 და შემდგომ, მეტადრე, გვ. 179.

[360] თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 33.

[361] D. Winfield, "Some Early Medieval Figure Sculpture from North-East Turkey", *Journal of the Warburg and Courtauld Institutes* 31, 1968, გვ. 45-57. აქ მოყვანილია ჩინებული ფოტოსურათები (ტაბ. 11-27) და სვეტის დაწვრილებითი ზუსტი ნახატი, შესრულებული ქ-ნ ჯ. უინფილდის მიერ (გვ. 48-49-ს შუა). ამ ნახატს აქაც ვათავსებ (სურ. 30). მისი მცირე ხარვეზი ის გახლავთ, რომ რვაწახნაგას აღმოსავლეთი, სამხრეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი წახნაგები დანარჩენებზე 0.03 მ-ით განიერი უნდა იყოს.

უნდა ჰქონოდა განზრახული, მაგრამ ამის დაბეჯითებით თქმა ვერ ხერხდება განმარტებითი წარწერების ცუდი მდგომარეობის გამო.

ჩრდილოეთი წახნაგის შუაში ფოთლებში მომწყვდეულია კვართითა და ქლამიდით მოსილი წვეროსანი მამაკაცის ფიგურა. მარჯვენა ხელი მას მკერდზე [illegible], მარცხენაში კი რაღაც საგანი უპყრია.

ყველაზე მდიდრულად მორთული და მრავლისმთქმელი ბურჯის დასავლეთი წახნაგია. აქ ვხედავთ წვეროსან, მუხლმოყრილ ფიგურას, მის თავზე გამოკვეთილი „ვედრებისადმი“ ლოცვად ზეაპყრობილი ხელებით (ტაბ. 145, 146); ტანი პროფილშია გამოხატული, თავი კი ფრონტალურად, ფიგურას ახლავს თითქმის მთლიანად გადასული წარწერა, რომელსაც ე. თაყაიშვილი ასე კითხულობს: „ქე შე მნი შენი გრიგოლ“.[362] ე. თაყაიშვილი სწორად აიგივებს მას სამხრეთი კარის ტიმპანის გარე პირის გრძელ წარწერაში ნახსენებ „საქმესა ზედა-მდგომ“ გრიგოლთან.[363] ამ ვარაუდს ემხრობა გრიგოლის მსოფლიური გრძელი კაბა ნაქარგი არშიებით და განიერი, კვეთილი მოხართავების ვერტიკალური რიგებით მორთული სარტყლით. ამას გარდა, გრიგოლი თავდაუბურავია. ყველაფერი ეს შეუძლებელს ხდის მის სეხნიასთან, ცნობილ მწიგნობარ გრიგოლ ოშკელთან აღრევას, რომელიც სამონასტრო კრებულის ძმათაგანი იყო და საერო ტანისამოსი ვერ ეცმეოდა.

გრიგოლის თავზე მორჩენილი არე „ვედრებას“ აქვს დათმობილი (ტაბ. 146). მისი შემადგენელი სამი მკაცრად ფრონტალური ფიგურა გამსჭვალავ მზერას მოაპყრობს მნახველს. მხოლოდ შუაში მოქცეულ ქრისტეს აქვს შარავანდი, რომელზეც წითელი და ლურჯი საღებავით დაფერილი ტოლმკლავა ჯვარია მოთავსებული. ღმრთისმშობელს, აღმოსავლური იკონოგრაფიის თანახმად, ქრისტეს მარჯვნივ საპატიო ადგილი აქვს მიჩენილი, წმ. იოანე კი მარცხნივაა. ქრისტესა და წმ. მარიამს მარცხენა ხელში გაშლილი გრაგნილები უპყრიათ, რომელნიც მათი ფეხის წვერებს სწვდება. ე. თაყაიშვილი, რომელმაც ეს სვეტი 1917 წელს შეისწავლა, აღნიშნავს, რომ გრაგნილები წითელი საღებავით იყო წარწერილი, მაგრამ აღარაფერი იკითხებოდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქრისტეს გრაგნილზე გრიგოლის ვედრება იქნებოდა წარწერილი, რომელიც მას ეს-ესაა გადაეცა ქრისტესკენ ტრადიციულად ხელებშიპყრობილი წმ. იოანე წინამორბედის ლოცვითა და მეოხებით. მიუხედავად კომპოზიციის მკაცრი ფრონტალურობისა, წმ. იოანეს ფეხები ისეა შექცეული, თითქოს იგი ქრისტესკენ მიდიოდეს.

ქრისტესა და წმ. იოანეს ნაკვთები ნაკლებად განსხვავდება ერთი-მეორისაგან, სხვადასხვანაირი მათ მხოლოდ თმა აქვთ. ქრისტესი სულ გლუვია, წმ. იოანეს თმა-წვერი კი თუმც გაშლილი არ არის, როგორც მოსალოდნელი იყო, მკვეთრად დაღარული კია, მეტადრე ორ ბლუჯად გაყოფილ შუა ადგილას. ამას გარდა, გალატოზი მათ ქრისტეს შუბლზე ნაოჭების ჩაკვეთითაც განასხვავებს. მას ტრადიციული კვართი და ჰიმატიონი მოსავს, წმ. იოანეს კი – ადრეული ბიზანტიური ტიპის მიდევნებით გრძელი კვართი და უჩვეულოდ მოკლე, მუხლებამდე ჩამოგრძელებული გადასაცმელი. მისი მოსასხამი ნაქარგობითაა მოარშიებული და ისევეა შეკრული მკერდზე, როგორც მარტვილის კარედის (VIII საუკუნის ბოლო – IX საუკუნე) „ვედრების“ წმ. იოანესი.[364] აღსანიშნავია, რომ ქრისტესა და წმ. იოანეს თვალის გუგები ჩაბურღულია, ღმრთისმშობლისა კი გლუვი და ამოზნექილი. იქნებ, არც იყოს შემთხვევითი, რომ სხვა წმ. დედის – წმ. ნინოს თვალებიც ასევეა დამუშავებული (სურ. 30). მამაკაცებისა და ცხოველთა ყველა გამოსახულებას ჩაბურღული გუგები აქვს.

ამ მოუხეშავი ფიგურების სხეულებრივ უძრაობას ძლიერ უპირისპირდება კიდეებწამახული, ხისტი, არაბუნებრივად დაგრაგნილი სამოსის ნაკეცები. „ვედრების“ გამოსახულებათა სულიერი გამომხატველობა კიდევ მეტი იქნებოდა, როდესაც ამ კომპოზიციისთვის

---

[362] ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 40. უინფილდი (“Sculptures”, გვ. 55, ტაბ. 20b), ფიქრობს, რომ გრიგოლი ხუროთმოძღვარი იყო. ამის შესახებ იხ. Djobadze, “Churches”, გვ. 128.

[363] ამ წარწერის შესახებ იხ. ქვემოთ.

[364] ეს დეტალი საუკეთესოდ ჩანს: A. Djavakhishvili, G. Abramishvili, *Jewellery and Metalwork in the Museums of Georgia*, 1986, ტაბ. 88.




30. ეკლესია, სამხრეთ-დასავლეთი კარიბჭე, ქანდაკოვანი წახნაგები ჯ. უინფილდის მიხედვით

მოხმარებული ფერები (მაგალითად, გრაგნილების ზედაწერილთა წითელი, ქრისტეს შარავანდის წითელი და ლურჯი, ღმრთისმშობლის მაფორიუმის ვარსკვლავთა ლურჯი წინწკლები) უკეთ განირჩეოდა.

რვაწახნაგა სვეტის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ გვერდებზე „ვედრების“ მიმდებარე ოდნავ ამოზიდულ ზედაპირებზე გამოკვეთილია სახელგანთქმულ სირიელ მკურნალთა – წმ. კოსმასა (ჩრდილოეთით) და წმ. დამიანეს (სამხრეთით) დიდრონი ნახევარფიგურები. ორივე დღესაც იოლად ამოსაცნობია სინგურით დატანილი ქართული წარწერებით. მარცხენა ხელში ორივეს სასინჯი ჩხირები უპყრია, სამოსლით დაბურვილ მარჯვენაში კი – წამლის ჭურჭელი. თავი ორივეს მოკვეთილი აქვს, მაგრამ წმ. კოსმას თავს ე. თაყაიშვილის ექსპედიციის წევრებმა ერთ-ერთ მეზობელ სახლში მიაკვლიეს და დააბრუნებინეს. ახლა იგი თბილისშია, ეროვნულ მუზეუმში და ვრწმუნდებით, რომ თავიდან მათ მაღალი რელიეფით ნაკვეთი თავები ჰქონიათ.

სვეტის ტანის დამაგვირგვინებელი კაპიტელი ერთიანად ზეციურ დასთა გამოსახულებებითაა შევსებული, რაც ლოგიკურად აგრძელებს „ვედრების“ იდეას. რვაწახნაგა ღეროს თავზე კაპიტელს წრიულად ევლებიან გარს ანგელოზები, მთავარანგელოზები, სერაბინნი, ქერობინნი და ძალნი (ყველას განმარტებითი წარწერა ახლავს – ტაბ. 147-148). ზეციურ ძალთა თანმიმდევრობა სავსებით თანხვდება წმ. იოანეს ლიტურგიას. „ვედრების“ თავზე ზეციური არსნი არიან, ქვემოთ – მიწიერნი. თუმცა წმ. ნინო და წმ. სვიმეონ საკვირველმოქმედი არ მონაწილეობენ ვედრების დიდი კვერექსის ლიტურგიულ მსახურებაში.[365] მათი აქ ჩართვა აიხსნება საქართველოში მათდამი საგანგებო თაყვანისცემით, რადგან პირველი ქვეყნის განმანათლებელია, მეორე კი ქართველ ბერთათვის სანიმუშო მოღვაწე. „ვედრების“ შინაარსს შეეფერება ხალხისთვის საყვარელ მკურნალთა, წმ. კოსმასა და დამიანეს შემოყვანაც. თავდაპირველად, მათგან ყოველს მრგვლოვანი წარწერა ახლდა, რომელთა ზოგიერთი ახო ახლაც მოჩანს.[366] ანგელოზთა სახეები, თვალები, ფრთები, ზოგ შემთხვევაში სამოსელიც, ძოწისფრით, ლურჯითა და მწვანითაა დაფერილი.

დასავლეთ მხარეს, ზედ კაპიტელის თავზე წვეროსანი, ბერულად შემოსილი წმ. სვიმეონ საკვირველმოქმედის გამოსახულებაა.[367] ორივე ხელი მას ვედრებად აქვს ზეაპყრობილი, როგორც იგი ხშირად გამოიხატება თანადროულსა და შუასაუკუნოვან თიხისა და ტყვიის ევლოგიებზე, რომელნიც ორონტის ანტიოქიის დასავლეთით მდებარე მისი სახელობის მონასტრიდან მომდინარეობს.[368] იმავ კაპიტელის ზევით, ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, ქართველთა განმანათლებლის – წმ. ნინოს ნახევარფიგურაა.[369] რელიეფი ორანტა წმ. ნინოს გამოსახულებით ფორმითა და სტილით ისეთივეა, როგორც წმ. სვიმეონისა. დ. უინფილდს ეს საკითხები ჯეროვნად აქვს განხილული და მათზე აღარ შევჩერდებით.[370]

ცალკეული, ამოუცნობი ფიგურების (მაგალითად, უსხეულო თავების) უჩვეულო დაჯგუფებაცა და მთლიანობაში სვეტის ერთადერთობაც თითქმის შეუძლებელს ხდის მათ ერთიანი აზრით გაერთიანებას. გამოთქმულია ვარაუდი, რომ იგი ბაგრატიონთა სამეფო გვარის დიდების მიმანიშნებელია.[371] ამ განმარტების თანახმად, ორი ყველაზე მეტად სათაყვანო, სვეტის ზედა ნაწილში გამოკვეთილი წმინდანი, წმ. ნინო ქართველთა განმანათლებელი და ქართულ ბერობას უმჭიდროესად დაკავშირებული სირიელი ასკეტი, წმ. სვიმეონ საკვირველმოქმედი, ბაგრატიონთა მეოხად არიან წარმოდგენილნი. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ თანადროულ მოვლენებს, სახელდობრ, სამეფო გვარის შიგნით ატეხილ შუღლს, რასაც 961 წელს მოჰყვა მეფე ადარნასე III-ის „უნებური“ სიკვდილი, ამგვარი გააზრება მეტად მიმზიდველია. ამას გარდა, ეკლესიის სამხრეთ კედელზე მოთავსებუ-

[365] იხ. ამის შესახებ: F. G. Brightman, *Liturgies, Eastern and Western*, 1896, გვ. 436.

[366] ე. თაყაიშვილი, ექსპედიცია, 41; Winfield, "Sculptures", გვ. 50-53. ტაბ. 12, 18, 19b, 22-26, 27a.

[367] Winfield, "Sculptures", ტაბ. 18a, 22b. ქართული შუასაუკუნოვანი პარალელები, იხ. იქვე, გვ. 45.

[368] Djobadze, Materials, გვ. 66-68, სურ. 221-225.

[369] Winfield, "Sculptures", გვ. 48, ტაბ. 19a.

[370] იქვე, გვ. 45-46, ტაბ. 12b-27a.

[371] იქვე, გვ. 54.

ლი ადამიანისხელა „ვედრება“ (ტაბ. 153), რომელშიც ჩართულნი არიან ადარნასე ძენი, ბაგრატ ერისთავთერისთავი და დავით მაგისტროსი, ასევე სამხრეთი მკლავის ტიმპანის საქტიტორო წარწერა, ნათლად წარმოგვიჩენენ, როგორ ეწადათ სამეფო სახლის წევრებს სულის ცხონება. მართალია, ამგვარ დაშვებას გვარიანად უკარგავს ფასს ქტიტორთა სვეტზე გამოხატვის უგულებელყოფა. თუკი გალატოზს სურდა პატივი მიეგო სამეფო სახლისათვის, მას ისინი „ვედრების“ გამოსახულებათა ზომისად უნდა გამოეკვეთა, როგორც ამას ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელზე ვხედავთ, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ისინი უთუოდ „ზედა-მდგომ“ გრიგოლზე უფრო დიდად მაინც უნდა გამოეხატა. ამიტომაც, სვეტის ფიგურულ გამოსახულებებს სხვა ახსნა ესაჭიროება. შეიძლება გვეფიქრა, რომ ვაზის ყლორტებში ჩახლართული თავები და ფიგურები ზეციურ დასთა და „ვედრების“ ქვემოთ მშენებლობის ზედამდგომისა და ქვითხუროებისაა. აქვე შეიძლება იყოს ჯვრის უკან მდგომი კონსტანტინე დიდის სრული ფიგურაც. ამგვარი გადაწყვეტა სავსებით შეესაბამება ქვითხუროების სახელოსნოთა ტრადიციას საქართველოში, მეტადრე ტაო-კლარჯეთში, სადაც მშენებელთა სახელები ეკლესიის გარე კედლებზე თვალსაჩინო ადგილას გვხვდება (მაგალითად, პარხლის მთავარი ნავის სამხრეთ კედელზე, ოშკის გუმბათის ყელზე), ანდა ისინი სულაც ქანდაკოვნად გამოისახებიან (პარხალი, დოლისყანა). მაგრამ მაშინ სხვა დაბრკოლებას ვაწყდებით: თავსამკაული სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელსა და ეკლესიის ბურჯთა ნიშებზე გამოკვეთილი ტაო-კლარჯეთის ხელმწიფეებისას ჰგავს.

რვაწახნაგა სვეტზე მსჯელობისას ისიცაა ანგარიშგასაწევი, რომ ყველა გამოსახულება, გარდა ეპისკოპოსის რელიეფისა ჩრდილოეთ მხარეს, სვეტის დასავლეთ მხარესაა თავმოყრილი (დასავლეთი, ჩრდილო-დასავლეთი, სამხრეთ-დასავლეთი), სადაც ისინი ადვილად მოსახილველია და ბუნებრივი შუქიც მათ ჭარბად ეცემა. ნათელ ფერადთა სიცხოვლის, სინგურით დატანილი მრგვლოვანი წარწერების დეკორაციულობის, უხვი მცენარეული ჩუქურთმის, „ვედრების“ უჩვეულო კომპოზიციის (რომელიც იმხანად თუ ერთადერთი არა, ახლებური მაინც იყო) გამო, რვაწახნაგა სვეტს მნახველზე წარუშლელი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა.

## 12. ეკლესიის გარე მასები

საქართველოში მიღებული ჩვეულების თანახმად, ოშკის ტაძარი სამსაფეხუროვან სტილობატზეა ამოყვანილი, რომლის უმეტესი ნაწილი ამჟამად მიწითაა დაფარული, სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის გარდა, რომლის საფეხურთა სიმაღლეცა და სიგანეც 0.21 მ-ია (სურ. 27).

გარე კედლები ერთიანად გლუვად მოსწორებული კვადრატული ქვებითაა შემოსილი. თაღნარი, რომელიც მოკრძალებულად გამოჩნდა ოპიზის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, ოშკში წამყვანი თემა ხდება. აქ ეკლესიის ყველა გარეთა კედელზე, გარდა დასავლეთი მკლავისა, ორსაფეხურიანი სართავე თაღებია გამოყენებული. მათ ¾-იანი კედლის სვეტები ზიდავს (დიამეტრი 0.40 მ). თაღები 0.21 მ-ის სიგანისა და სიღრმისაა. ყოველ მხარეს ხუთი თაღია, რომელნიც ზომით რიტმულად იზრდება მცირე კიდურათაგან უმთავრესი, მაღალი, გეომეტრიული წნულებითა და მონუმენტური მოჩუქურთმებული წარბით გამშვენებული სარკმლით ხაზგასმულ შუა თაღამდე. სარკმელთა თავზე ნაირგვარი ქანდაკებებია.

დეკორაციული თაღები მკაცრ კანონზომიერებას მატებენ ხუროთმოძღვრულ მორთულობას და ჰარმონიისა და კომპოზიციური მთლიანობის შთაბეჭდილებას ქმნიან. სამივე მკლავს აქეთ-იქიდან სამკუთხა ნიშები საზღვრავს (ტაბ. 158), რომელთა ნიჟარები, მონაცვლეობით წითლითა და ლურჯით დაფერილი თორმეტი ღარისგან შემდგარი, გამორჩეულად ნატიფი ხელობისაა. ნიშების ზომები განსხვავებულია: აფსიდის მომსაზღვრელნი 2.75 მ-ის სიგანე-სიღრმისაა; უფრო განიერი ჩრდილოეთი და სამხრეთი აფსიდების თანმხლებნი კი მომცროა, 2.50 მ-ის სიგანისა და სიღრმის. იგივე ითქმის დეკორაციულ თაღებზეც. აღმოსავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი ფასადების კიდურა თაღები 1.85 მ-ის სიგანისაა. ხოლო აფსიდის შუა დეკორაციული თაღის სიგანე კი მხოლოდ 3.06 მ-ია, ჩრდილოე-

თისა და სამხრეთი აფსიდების შესაბამისი თაღები კი 3.70 მ-ის სიგანისაა. მიუხედავად ზომათა ამგვარი სხვაობებისა, ყოველი მკლავის საერთო სიგანე მიახლოებით 19.00 მ-ია.

¾-იანი სვეტებისა და დეკორაციული თაღების ზომის თანდათანობითი ზრდა შუა თაღისკენ, სამკუთხა ნიშების გამოყენებასთან ერთად, კედლის ორსიბრტყიანობის შთაბეჭდილებას ქმნის და ზრდის მის დეკორაციულ ღირსებებს. ამავე დროს, ეს ელემენტები ასახავენ ეკლესიის შიდა სივრცის დანაწევრებასაც. ოშკელი ოსტატების მიერ შემუშავებული თაღნარის სისტემა სამაგალითო გახდა შუა საუკუნეების ქართულ ტაძართათვის და ამგვარადვე საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა. ამას გარდა, სამკუთხა ნიშები ემსახურებოდა ნაგებობის გეგმაში ჩადებული „ძლევის ჯვრის“ უარსებითესი იდეის გამკვეთრებასაც.

ოშკის ექსტერიერი თამამადაა დანაწევრებული გუმბათის ოთხივე მხარეს მოწყობილი სწორკუთხა შვერილებით (ტაბ. 121). მკლავთა ოთხი ფრონტონიანი სახურავი შიგნით მათ გადაკვეთაზე აღმართულ ბურჯებს შეესაბამება. ფრონტონიან სახურავებზე, ასე 0.40 მ-ით დაბლა, მკლავებს შორის სახურავებია, რომელნიც ბურჯებთან კუთხეებში მდებარე სადგომებს ეპასუხება. კიდევ ქვემოთ ექვსი ცალფერდა სახურავია, მთავარი აფსიდების მიმდებარე სადგომების შესაბამისი. ამ სახურავების ლავგარდანები დეკორაციულადაა პროფილირებული, სახელდობრ, განიერი დაბალი თარო — ასტრაგალითა და ფესტონებით. სამხრეთ ფასადზე ორი მშვენიერი კარიბჭეა. ყველა სახურავი 90 გრადუსითაა დაფერდებული. ამგვარად, მასები ხუთ საფეხურადაა დაწყობილი. გარე მასების ასეთი სისტემა არა მარტო სრულად შეესატყვისება არქიტექტურული გეგმის დედააზრს, არამედ გამოკვეთს ეკლესიის ჯვრისებურობას, შიდა სივრცის დაყოფასა და მის შემადგენელ ელემენტებს. თანადროულად, საფეხურებიანი დეკორაციული თაღებით, გადახურვათა სისტემითა და გუმბათით დანაწევრება მთლიანად ნაგებობასაც აცხოველებს. ეს მახასიათებლები ასახავს ქართულ ხუროთმოძღვრულ ტრადიციას, რომლის ნიმუშია თუნდაც წრომის ტაძარი (626-634), სადაც ოშკის ოსტატთა მიერ სრულად განვითარებული ზოგიერთი სხვა ხუროთმოძღვრული ფორმის (მაგალითად, გუმბათის თავისუფლად მდგომი ბურჯები, აღმოსავლეთი ფასადის სამკუთხა ნიშები) წინასახეებსაც ვხედავთ.

## 13. გუმბათი (გარე სახე)

ტაძარი დაგვირგვინებულია ოცდაოთხწახნაგა გუმბათით (შიდა დიამეტრი 9.00 მ),[372] რომელიც ოცდაოთხ უხვად მორთულ შეწყვილებულ სვეტზე გადაყვანილი ამდენივე დეკორაციული თაღითაა დანაწევრებული (ტაბ. 120, 121). მათი ბაზისები ასტრაგალითა და ბურთულების წყვილებითაა ხაზგასმული, რომელნიც ფორმითა და აღნაგობით ხანცთისა (ტაბ. 30) და ოპიზის (ტაბ. 5) ამგვარივე ელემენტების მსგავსია. სვეტთა კაპიტელები მდიდრული კვეთილობითაა მორთული, ძალზე ნაირფეროვანი გეომეტრიული და მცენარეული სახეებითა და ცხოველებით, მათ შორის კარიატიდითაც. ყველა შეწყვილებული სვეტის ტანი — ზოგიერთი მათგანი თან სპირალისებრიცაა — მთლიანადაა დაფარული მრავალნაირი ორნამენტული მოტივით, რაც დიარბაკირის მეჩეთის იუსტინიანისეულ სვეტსა[373] და ხირბათ-ალ-მაფჯარის შეწყვილებულ სვეტებს მოგვაგონებს.[374]

თაღნარში, ერთის გამოკლებით, თაღოვანი სარკმლებია გაჭრილი, რომლებშიც, ე. თაყაიშვილის მოსაზრებით, თაბაშირის ალათები იყო ჩასმული.[375] ყოველ სარკმელს ასრულებს სამნაწილიან კვარცხლბეკზე შედგმული crux immissa, მორთული რვა-რვა გაშლილი ყვავილითა და ნახევრად ძვირფასი თვლებით (crux gemmata) — ეს ღვთის გამარჯვებისა და დიდების ნიშანია. ჯვრები თანაბარი ზომისაა და მეწამული საღებავითაა დახატული (ტაბ. 138).

---

[372] დიამეტრი განივი მკლავების სიგანის მესამედს უტოლდება.

[373] M. van Berchem und I. Strzygowski, *Amida*, Heidelberg, 1910, ტაბ. XI, სურ. 78.

[374] R. W. Hamilton, *Khirbat al Mafjar*, 1959, ტაბ. LXV-I, LXVI-I.

[375] ეს ვარაუდი ამგვარი ნარჩის არსებობას ემყარება: *ექსპედიცია*, გვ. 35, ტაბ. 57 ქვემოთ მარჯვნივ.




31. ეკლესია, გუმბათის ყელის კარნიზი, გამოქანდაკებული ცხოველები

გუმბათის ზედა კარნიზი გრეხილითა და ყელტონებითაა შედგენილი. ქვედა კარნიზს სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით დიდი, წითლით ნახატი წრეები და კვეთილი მძივები გასდევს. იმავე კარნიზის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებზე მძივების მაგივრად გამოკვეთილია ლომი, რომელიც ქურციკს სდევს [illegible], მასში მოქცეული არსებული თუ მითიური ცხოველების თავებით (სურ. 31[illegible]) [illegible]ული ცხოველები, პროფილით ნაჩვენები ანდა მნახველისკენ უცნაურად თავშექცეულნი, მოძრაობითა და მოხდენილობითაა აღსავსე, თავები კარგადაა მოდელირებული და ფონზე მკაფიოდ გამოიკვეთება. ისინი სიცხოველესა და პლასტიკურობას მატებენ გუმბათის ყელის ცხოველხატულობას.

ჩვენი ზოომორფული გამოსახულებების პარალელები მრავლადაა ჩრდილოეთ სირიის ადრექრისტიანულ ეკლესიებში, მეტადრე ანტიოქიის მიდამოებში, რომელიც ტაო-კლარჯეთთან მრავალნაირად მჭიდროდაა დაკავშირებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ სელევკია-პიერიას სამარტვილე, სადაც მოსაპირკეთებელი ფილები მცენარეულ ხვიებში მოქცეული სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის გამოსახულებებითაა შემკული (მაგალითად, ლომი, სახედარი, აქლემი, ჯიქი, ცხენი, ქურციკი, იხვი, სირაქლემა, ფარშევანგი).[376] ამგვარივე ქანდაკებანი მოიპოვება დაფნე ჰარბიეში[377], ელ ბარასა[378] და ტურ აბდინში, დეირ ზაფარანის მონასტრის მთავარი ეკლესიის გარეთა კარნიზზე.[379] ჩვენი ფრიზი სამარტვილისას უფრო უახლოვდება, ვიდრე სხვა სირიულ ნიმუშებს, რადგან ორივეგან ფონი წითლით არის გაცხოველებული. ოშკელი ოსტატი ძოწისფრით თავად ცხოველებსაც ფარავს. ამასთანავე, აქ დაწყვილებულ ხვიებში ერთმანეთისკენ პირშექცევით არის განთავსებული ერთი და იმავე ცხოველის თავები. გამონაკლისია ერთი შემთხვევა, სადაც (სურ. 31ე) არწივი და გოჭი ერთმანეთისკენ ზურგშექცევითაა მოცემული და არა პირით, როგორც სხვა დანარჩენები. ყოველ წყვილს ენაცვლება ერთმანეთისკენ მხტომარე კურდღლების სრული გამოსახულება. ეს უმაგალითო კომპოზიცია უცაბედი ვერ იქნება და ოსტატს რაღაც ჩვენთვის უცნობი, ალბათ კოსმიური აზრი უნდა გამოეხატა.

ოშკის კარნიზის ცხოველებთან დაკავშირებით ნიკორწმინდის ეკლესია (1014) უნდა მოვიხსენიოთ. გუმბათის ქვედა კარნიზზე აქ უამრავი ფანტასტიკური ცხოველი (ფრთოსანი ცხენი, სენმურვი, გრიფონი) და წმ. მამაა გამოკვეთილი. ამ შემთხვევაში ყველა კეთილისმყოფელ არსებასა და წმინდანს დაცვის ფუნქცია უნდა ჰქონდეს. ოშკის კარნიზის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთზე გამოსახული ცხოველების შერჩევის გასაგებად გასათვალისწინებელია, რომ ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმართულ ფერდობზე ადრე სხვა ქვითკირის ნაგებობანი იდგა, ეგებ ეპისკოპოსის პალატიც, საიდანაც ჩინებულად გამოჩნდებოდა ცხოველთა სიცოცხლით სავსე რელიეფები.

ნახევარსფერული გუმბათი დაბურულია მუქწითლად, მწვანედ და მოყავისფროდ მოჭიქული ღარიანი კრამიტით. იგი არაა ეკლესიის თანადროული, რადგან ეკლესიის სახურავი 1022-1025 წლებს შორის განაახლეს ბიზანტიის იმპერატორებმა ბასილი II-მ და კონსტანტინე VIII-მ.[380] მთლიანობაში გუმბათი მოჭიქული სახურავიანად, რომელიც შუა წელში ოდნავ განზიდულია, შედარებით კარგ მდგომარეობაშია.

გუმბათის ყელის შიდა დიამეტრი 9.00 მ-ია, რაც ჩრდილო და სამხრეთი მკლავების სიგანის მესამედს უდრის. ასე დიდი გუმბათი თუ მისი მშვენიერი დეკორაციული სვეტები, რომლებიც ჩქმალავენ ყელის წიბოებს, უმაგალითო იყო და ქართული არქიტექტურის ისტორიაში უთუოდ მიჯნას წარმოქმნის. იგივე ითქმის თორმეტ დიდ სარკმელზედაც,

---

[376] *Antioch-on-the-Orontes*, ed. G. W. Elderkin and R. Stillwell, III, 1941, ტაბ. 22, № 414, 417, 420, 423; ტაბ. 23, № 424, 425,427, 428, 429, 430, 433; ტაბ. 27, № 481, 483-490.

[377] იქვე, ტაბ. 43, № 232, 235, 237, 238.

[378] J. Mécérian, *Expédition archéologique dans l'Antiochene occidentale*, Beyrouth, 1965, ტაბ. XXXIII, სურ. 99-100, იხ. ასევე ჩემი შენიშვნები.

[379] G. Bell, *The Churches and Monasteries of the Tur Abdin*, with an introduction and notes by M. M. Mango, London, 1982, გვ. 133-135, ტაბ. 189 და ჩემი საკუთარი ფოტოსურათები.

[380] *ქუხმულისვილი*, გვ. 53 და შემდგომ.

რომლებიც გააუწყებენ ახალი ხანის მოთხოვნილებას ინტერიერში რაც შეიძლება მეტი შუქის შემოყვანისა, რადგან ამიერიდან მხატვრობა მარტოოდენ აფსიდს კი არა, მთელ ეკლესიას ფარავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 14. ფასადები და მათი ქანდაკოვანი სამკაული

### ა. აღმოსავლეთი ფასადი

მოსწორებული ბაქანი, რომელზედაც ეკლესიაა აგებული, ყველაზე მეტად აღმოსავლეთ მხარეს ვიწროვდება – აქ იგი შენობას 4,6 მ-ით თუ სცილდება. შემდეგ ნიადაგი უეცრად ეშვება გაზაფხულის ნიაღვრებისგან გაგანიერებულ ხევში. ამიტომაც ეკლესიის აქედან მთლიანობაში დათვალიერება არ ხერხდება. ეს ხარვეზი ქვითხუროთ აღმოსავლეთი ფასადის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა ჰქონოდათ. ამან განსაზღვრა აქ მოთავსებული ხუროთმოძღვრული ნაქანდაკევის რაოდენობა.

აფსიდის თანმხლები გვერდითი ოთახების სიგანე სხვადასხვანაირია: სამხრეთისა სიგანით 3.90 მ-ია, ჩრდილოეთისა კი მხოლოდ 3.72 მ. ეს სხვაობა აისახა დეკორაციულ თაღებშიც. სამხრეთ-აღმოსავლეთისა 2.25 მ სიგანისაა, ჩრდილო-აღმოსავლეთისა კი – მარტოოდენ 2.00 მ-ის, მაგრამ ეკლესიის გრანდიოზულობის გამო ეს შეუსაბამობანი შეუმჩნეველია.

აფსიდის დეკორაციული თაღი აღმოსავლეთ ფასადზე ზომებითაც (მისი სიგანე 3 მ-ია) ბატონობს და ქანდაკოვანი მორთულობის ბრწყინვალებითაც. შუაგულში თაღოვანი სარკმელია, ასტრაგალით მოვლებული მჭიდროდ დანასკვული წნულით მოჩარჩოებული (ტაბ. 152). ომეგას მოყვანილობის წარბი შევსებულია დაწნული არშიით, რომლის სახე საპირისას წააგავს, უკანასკნელი, თუმცა, ოდნავ უფრო ბრტყლადაა ნაკვეთი. ამ მხარეში, და საზოგადოდ საქართველოშიც, იშვიათი კია, რომ პროფილები მომრგვალებული იყოს და არა სწორკუთხა. საინტერესოა აგრეთვე, რომ ქართულ ჩუქურთმაში ეგზომ გავრცელებულ წნულებში არ მოიძებნება მისი პირდაპირი პარალელი. სარკმლის წარბის თავზე ლომის დაზიანებული პროტომია.[381] იგი ტაო-კლარჯეთში ერთადერთი როდია, მსგავს ლომებს ტბეთის კათედრალისა (ტაბ. 322) და ხახულის ქანდაკებებშიც ვხედავთ. თაღნარის ყოველ შეწყვილებულ სვეტს უჩვეულო აღნაგობის საერთო კაპიტელი აქვს (ტაბ. 149-151). ყველა კაპიტელის ძირი ერთნაირია – თოკისებრი პროფილის მსგავსად გადაწნული ორი ლენტი. მათი კიდეები ჩაღარულია, შუა ნაწილი კი ამობურცული. ამგვარი ორნამენტი პირველად ჩნდება ბანას კათედრალის (881-923) აღმოსავლეთი აფსიდის სვეტისთავთა ძირებზე (იხ. ზემოთ და ტაბ. 113-115). მოგვიანებით მას ვხედავთ იშხნის მცირე ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე (1006 წ., იხ. ქვემოთ და ტაბ. 310). მისივე ნაირსახეობანი მოიპოვება ოშკის სამხრეთ ფასადსა (ტაბ. 160) და ოპიზის გუმბათის ყელზე (ტაბ. 5). ჩვენი კაპიტელების შუა ნაწილი ორივე შემთხვევაში ვაზის მტევნებითაა შედგენილი. სამხრეთის კაპიტელზე ისინი აბაკის ქვემოთ ვაზის ჰორიზონტალურ რტოზე ეკიდება. ჩრდილოეთისაზე ვაზის მტევნები (ქრისტეს იგავის მიმანიშნებელი – იოანე, 15; 1-8) სტილიზებული ფოთლებით დაჩუქურთმებულ ბალიშზე ეკიდება. ყოველი რუდიმენტული ვოლუტის შუიდან ეკიდება თითო გამოზნექილი ფოთოლი, ალბათ ვოლუტისავე არასწორად გაგებული ხვია. აბაკი აქ ღადარულია. მსგავსი, რამდენადმე გამარტივებული ფორმის კაპიტელი გვხვდება დასავლეთი ფასადის ორმაგი სარკმლის გამყოფ სვეტზეც (ტაბ. 167). ერთი სიტყვით, ჩვენ ვხედავთ იონიური კაპიტელის ნაწილების შერწყმას ქართველ ოსტატთა მიგნებებთან, რაც ადრექრისტიანულ ტრადიციას მოგვაგონებს. აღმოსავლეთი ფასადის კიდევ ერთი მამკობი ელემენტი იყო აწ დაკარგული, დეკორაციულ თაღში მოქცეული ფიგურა. მას, მართალია, კარგად ვიცნობთ ფოტოსურათით, რომელიც გვიჩვენებს, რომ ეს ოსტატის გამოსახულება კი არ ყოფილა, როგორც ე. თაყაიშვილს ეგონა,[382]

---

[381] ეს ლომი ფრონტონიდან დაგათვალიერე, რათა დამენახა მისი მკაფიოდ მოხაზული ფაფარი.
[382] *ექსპედიცია*, გვ. 36, 37.

არამედ ანგელოზისა.[383] ეს ქანდაკება თავისი მხატვრული ღირსებითაცაა მნიშვნელოვანი და მრგვლოვანი ქართული ოთხსტრიქონიანი წარწერითაც, რომელიც გვაუწყებს, ოშკის ტაძარი ათი წლის განმავლობაში აშენდაო.[384]

აღმოსავლეთი, ასევე სამხრეთი და ჩრდილოეთი აფსიდების ფერდებში სარკმლებია გაჭრილი, რაც ზრდის ინტერიერის განათებას. X საუკუნეში ეს აუცილებლობა შეიქნა, რადგან კედლები მთლიანად მხატვრობით დაიფარა. ამ სარკმლებს არა აქვთ ჩუქურთმებიანი საპირე, მათ მხოლოდ წნულოვან მოტივებს შემოყოლებული მონოლითური თაღოვანი პროფილები ამკობს. ორთაგან უფრო საგულისხმო სამხრეთისაა, რადგან იგი მოიცავს წარწერას ეკლესიის ქტიტორთა, ბაგრატ მეფისა (†966) და მისი ძმის, დავითის (†1001), ხსენებით (ტაბ. 182, სურ. 38).[385] ჩრდილოეთ დეკორაციულ თაღში მოქცეული ორი სარკმლის წარბი ძალზე დაზიანებულია, მათი მოპირდაპირენი კი, სამხრეთ თაღში მოთავსებულნი, კარგადაა დაცული. სამხრეთი პასტოფორიუმების სარკმლებზე სამნაწილედ წნულ წრეებს ვხედავთ (ტაბ. 185), რომელთა ნახევარი, უშუალოდ წარბის ქვედა კიდის ქვემოთ მდებარე, შეიცავს ნაკლულ წარწერას, რომელშიც იხსენიება ოშკის ტაძრის ერთ-ერთი ქტიტორი, ბაგრატ ერისთავთერისთავი.[386] სამხრეთი პატრონიკის შესაბამისი სარკმლის თავზე მოთავსებულ ქვაზე აქეთ-იქით ორი ფრთაგაშლილი მტრედია გამოკვეთილი (ტაბ. 168). მათი ღია ნისკარტებიდან ვაზის ყლორტები გამოდის, მათში რვაფურცლოვანი ვარდულებით. ეს თემა უთუოდ ადრექრისტიანული ძეგლებიდანაა გადმოღებული.

## ს. სამხრეთი ფასადი და „ვედრების“ ჯგუფი

სამხრეთი ფასადი არა მარტო დანარჩენებზე უხვადაა შემკული, არამედ აქ წარწერების მეტი რაოდენობაცაა მოცემული. მის შთამბეჭდავ ქანდაკებათა შორისაა „ვედრების“ ჯგუფიც, ფიგურულ გამოსახულებათა მთავარი თემა. იგი იმყოფება სამხრეთი პასტოფორიუმის სამხრეთის კედელზე, მიწიდან დაახლოებით 3.00 მ-ის სიმაღლეზე (ტაბ. 153, 154, სურ. 32). კომპოზიცია ხუთი ადამიანისხელა ფიგურისგანაა შედგენილი (1.46 მ სიმაღლისა და დაახლოებით 0.70 მ-ის სიგანის), რომელთაგან ყოველი კირქვის ცალკე ბლოკზეა ამოკვეთილი. ისინი დაგვირგვინებულნია თევზისფხური სახით დაფარული კოზმიდით. კომპოზიციის შუაში „სუპედანეუმზე“ ქრისტე დგას, ფრონტალურად, აწეული მარჯვენით, რომლითაც, ასე ჩანს, აკურთხებს. წმ. მარიამი[387] (ტაბ. 155) მის მარჯვნივაა მოცემული, ვითარცა დიდებით მოსილი ღმრთისმშობელი, იმ დიდი პატივისცემის შესაბამისად, რომელიც მისდამი საქართველოში ჰქონდათ[388] და ეკლესიის მრავალ სავედრებელ წარწერაშიცაა გაცხადებული. ქრისტესა და წმ. იოანე ნათლისმცემლის მსგავსად, ისიც სამკუთხა და მცენარეული სახეებით მორთულ კვადრატულ კვარცხლბეკზე დგას. მას, ჩვეულებისამებრ, მაფორიუმი მოსავს, ხელები კი ვედრების ტრადიციული ჟესტით ქრისტესკენ აქვს გაწვდილი. მისი ჰარმონიულობა, სკულპტურულობა, მიღწეული ღმრთისმშობლის კეთილადნაგ სხეულს მიყოლებული ნაკეცების დამუშავებით, მოგვაგონებს კონსტანტინოპოლის სახელოსნოებიდან გამოსულ X საუკუნის სპილოს ძვლის ნაკეთობებს, მეტადრე „პალაცო ვენეციას“ სპილოს ძვლის სამკარედს (რომი, XI საუკუნის შუახანი).[389] მიუხედავად ქრისტესა და წმ. იოანე ნათლისმცემლის ფიგურების ძლიერი გამოქარვისა, მათი

[383] Djobadze, "Reliefs", გვ. 60 და შენ. 128. ოშკის რელიეფები განლაგებულია იერარქიული კანონის მიხედვით; რამდენადაც უფრო მაღლაა მოთავსებული გამოსახულება, მით უფრო დიდია მისი საკრალური პატივი. იხ.: O. Demus, *Byzantine Mosaic Decoration*, London, 1947, გვ. 15.

[384] ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 37, ნ. შოშიაშვილი, *კორპუსი*, გვ. 302, 303.

[385] ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 51, 52, წარწერა II. ამ წარწერის წაკითხვისათვის იხ. ქვემოთ.

[386] იქვე. გვ. 52, წარწერა III. იხ. აგრეთვე ქვემოთ, წარწერა 7-ის განხილვა.

[387] ამ ქანდაკების ქვემოთ კედლის ჩამოშლის გამო ის ჩამოვარდა და ამჟამად მიწაზე დევს.

[388] ოშკის სამ სხვა „ვედრებაშიც“ ღმრთისმშობელი მუდამ ქრისტეს მარჯვნივაა.

[389] A. Goldschmidt, K. Weitzmann, *Die byzantinischen Elfenbeinskulpturen des X-XIII Jahrhunderts* II, 1934, გვ. 33 და შემდგომ, № 31; Talbot Rice, *Kunst aus Byzanz*, 1959, № 98-101.



32. ეკლესია, სამხრეთი პასტოფორიუმი, სამხრეთი კედელი, „ვედრება" ფლანკირებული ქტიტორებით

დათვალიერება მაინც მრავლისმომცემია. ქრისტეს საკმაოდ გრძელი კისერი, ფონზე უსწორმასწოროდ ჩამოტეხილი, გვიჩვენებს, რომ მისი თავი მაღალი, ღრმად ჩაკვეთილი რელიეფით იყო შესრულებული.

ქრისტეს კურთხევად აწვდილი მარჯვენის ნახევარი მაინც ფონს კი არ ეკვრის, მრგვლადაა გამოკვეთილი და ოდნავ წინ გამოწეული, მთელი მისი სხეული პროპორციულად უფრო განიერი და ღრმად ჩაკვეთილი უნდა ყოფილიყო. გარშემოწერილობის თანდათანობითმა გამოქარვამ დაავიწროვა ფიგურა და, შესაბამისად, პროპორციებიც შეუცვალა. თავდაპირველად დიაგონალურად გამოწეული მარცხენა ფეხი ზრდიდა წინისკენ მოძრაობის შთაბეჭდილებას და დაზიანებაც არ აქარწყლებს იმ შთაბეჭდილებას, რომ ქრისტეცა და სხვა ფიგურებიც ანტიკური ტრადიციების მიდევნებითაა ჩაფიქრებული. ამ ფიგურების სტილური შედარება დოლისყანისა და ოპიზის მიახლოებით თანადროულ, სქემატურ რელიეფებთან გვიმოწმებს, რომ ოშკში, X საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში, თანაარსებობდა კლასიკური და აბსტრაქტული ტენდენციები.

აღსანიშნავია, რომ ქრისტეს მარჯვენა ჩვეულებისამებრ მკერდის სიმაღლეზე კი არა აქვს, არამედ მკვეთრადაა ზემოთ აწვდილი. იქნებ, მის ქვემოთ ეწერა ამბავი მისგან დალოცვისა, რომლისაც მხოლოდ ორი უკანასკნელი მრგვლოვანი ასო შემოგვრჩა (იხ. ქვემოთ, წარწერა 8, ტაბ. 186, სურ. 43). ამ წარწერის გაქრობა დიდად სამწუხაროა, რადგან მას შეეძლო ცხადეყო „ვედრების“ საზრისის ზოგიერთი მხარე. ქრისტეს მარცხენა ხელის კვალიც აღარ გვაქვს. მისი მოსასხამის ბოლოს მიხედვით, ხელი მოღუნული უნდა ყოფილიყო და მასში მას წიგნი ან სულაც გრაგნილი ეჭირებოდა. ამგვარი იკონოგრაფიული ფორმულა უმაგალითოა, იგი მხოლოდ აქვე, ოშკში, „ვედრების“ ორ სხვა გამოსახულებაში გვაქვს, სადაც ქრისტეს დაწერილი გრაგნილი უპყრია: რვაწახნაგა სვეტის თანადროულ ნაქანდაკევსა (ტაბ. 146) და სამხრეთი მკლავის 1036 წლის მოხატულობაში (ტაბ. 188). თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენს ეკლესიაში „ვედრების“ სამი სხვა ნაირსახეობა გვაქვს და რომ კომპოზიციას ახლავს თანადროული სავედრებელი წარწერა, სადაც შუამავლად ღმრთისმშობელი და წმ. იოანე ნათლისმცემელი ჩანან,[390] ნიშანდობლივ, „ვედრების“ ამ ჯგუფსაც ემატება მნიშვნელობა. მისი გაგებისათვის კი ყველაზე მრავლისმეტყველია სამხრეთი მკლავის შესასვლელის დასავლეთი წირთხლის წარწერა (იხ. ქვემოთ, წარწერა 6, ტაბ. 184, სურ. 41). ეს წარწერა სრულად განვითარებული „ვედრების“ სიტყვიერი ეკვივალენტია:[391]

> **იესუ ქრისტე, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისაჲთა და წმიდისა ძელისა ცხორებისაჲთა და ყოველთა წმიდათაჲ, ადიდენ მეფენი ჩუენნი წინაშე შენსა, მაშენებელნი ამის ეკლესიისანი ბაგრატ ერისთავთ ერისთავი და დავით მაგისტროსი.**

ვედრება აქ ქრისტესადმია მიმართული, რომელიც ღმრთისმშობლის, წმ. იოანე ნათლისმცემლის, ძელი ცხორების და ყოველთა წმიდათა შუამავლობით აღამაღლებს ხსნის მაძიებელთ, ხელმწიფეებს დავითს და ბაგრატს.

არანაკლებ საყურადღებოა, რომ ეს ქანდაკება უადრესი „ვედრებაა“ მასში ჩართული ქტიტორებითურთ. დროით უახლოესი პარალელი კაპადოკიურ ყარანლეგის ეკლესიაშია, რომელსაც დე ჟერფანიონი 1050 წლის ახლო ხანებით ათარიღებს.[392] იქ ქტიტორთა ორი პაწია ფიგურა „პროსკინესისადაა“ განრთხმული აღსაყდრებული ქრისტეს აქეთ-იქით, იგი კი ღმრთისმშობელსა და წმ. იოანე ნათლისმცემელს შორისაა მოქცეული. სულ სხვაა

---

[390] ეს წარწერები ადგილზე შეისწავლა და შემდგომ გამოსცა ე. თაყაიშვილმა (*ექსპედიცია*, გვ. 52-53). მათი ახალი წაკითხვისა და თარგმანისათვის იხ.: Djobadze, “Reliefs”, გვ. 43; მისივე, “Four Variants of the ‘Deesis’ in the Church of Oski (963-973)”, *The $17^{th}$ International Byzantine Congress, 1986, Abstracts of Short Papers*, Washington, D. C., August 3-8, Baltimore, 1986, გვ. 93-94.

[391] „ვედრების“ გააზრებასა და მის თანმხლებ საზრისებზე იხ.: Ch. Walter. “Two Notes on the Deesis” *REB* 26, 1968, გვ. 311-336; 28, 1970, გვ. 161-186; ასევე: Djobadze, “Reliefs”, გვ. 41, შენ. 12.

[392] *Les Eglises rupestres de Cappadoce*, 1925-1942, I, 397; II, 421-1, ტაბ. 98-1.

ჩვენი ქტიტორები, რომელნიც „ვედრების“ ფიგურების თანასწორადაა ნაჩვენები, ხოლო თავისი მდიდრული რეგალიებით მათ ჩრდილავენ კიდეც. თვით ბიზანტიამაც კი არ იცის ხელმწიფეთა ჩვეულებრივი ადამიანური მდგომარეობის მიღმა აღზევება. ეს წინააღმდეგობაშია თანმხლები წარწერის შინაარსთან და ღვთისმოსაობის ისეთ ფორმულებთან, როგორიცაა „მონა ღვთისა“ ანდა „მორჩილნი მსახურნი ღმრთისანი“. როგორც საზოგადოდ ყველგან ხდება შუა საუკუნეებში, ამგვარი ფორმულები არ გულისხმობს აბსოლუტურ დაქვემდებარებას.[393]

## ც. საქტიტორო რელიეფი

„ვედრების“ ჯგუფში საუკეთესოდ მეფე-ქტიტორთა ფიგურებაა შემორჩენილი (ტაბ. 154, 156, 157), რომელნიც ახარხოებენ კომპოზიციას და თანმხლები წარწერების მიხედვით განისაზღვრებიან როგორც ბაგრატ ერისთავთერისთავი (†966) ქრისტეს მარცხნივ (ე. ი. აღმოსავლეთით) და დავით მაგისტროსი (†1001) მის მარჯვნივ. ისინი მეფე ადარნასე III-ის ძენი არიან, რომელსაც ბიზანტიელებმა 958 წელს კურაპალატის პატივი მიანიჭეს. რაკიღა თანმხლები წარწერები არ შეიცავენ ქტიტორთა სულის შეწყნარების თხოვნას, ორივე ხელმწიფე ქანდაკებათა შეკვეთის ჟამს ცოცხალი უნდა ყოფილიყო. ამ აზრს ემხრობა მათი ოთხკუთხა შარავანდედებიც.[394] ორივეს მდიდრული სადარბაზო ტანისამოსი აცვია – გრძელსახელოებიან კვართზე გადაცმული ქლამინდი, რაც par exellence ხელისუფალთა ჩასაცმელს წარმოადგენდა. ორივეს შესამოსელი მძიმე, უხვად დაქარგული ქსოვილისაა – დავითის კვართი ერთიანადაა დაფარული მარგალიტის მედალიონებით მათში სტილიზებული პალმეტებიანად (სურ. 33). ამ სახეს ხშირად ვხვდებით ბიზანტიურ ქსოვილებზე, მაგალითად, წმ. ვილიგისის (975-1007) ჩასაცმელზე მაინცის წმ. სტეფანეს ეკლესიაში[395] და ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმის აბრეშუმის ნაჭერზე.[396] მე არ ვიცნობ ქართულ ქსოვილებს, ადგილობრივ დამზადებულსა თუ ჩამოტანილს, რომელზედაც პალმეტის მოტივი იქნებოდა მოხმარებული. მაგრამ მას საკვირველად ჰგავს მოტივი, რომელსაც ვხვდავთ X საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ჭედურ ხატებზე (ხობის ხატი,[397] მღვიმევის ხატი,[398] მღვიმევის მეორე ხატი[399] და ხატი კაცხიდან[400]). საქართველოს ხუროთმოძღვრულ პლასტიკაში პალმეტთა მოტივი სრულად განვითარებული სახით პირველად გვხვდება ქუთაისის კათედრალში (1003).[401] მისი ნაირსახეობანი მოიპოვება კონსტანტინოპოლის კონსტანტინე ლიფსის მონასტრის ჩრდილოეთ ეკლესიაში (X საუკუნის დამდეგი).[402] პალ-

[393] ამის თაობაზე იხ.: K. Schmitz, "Ursprung und Geschichte der Devotionsformel", *Kirchenrechtliche Abhandlungen* 81, 1913, გვ. 16-19.

[394] სწორკუთხა შარავანდედები განხილულია: G. Ladner, "The So-called Square Nimbus", *Medieval Studies* 3, 1941, გვ. 15-45. კვადრატი, ოთხივე გვერდის სიმეტრიის გამო, ცნობილი იყო როგორც სრულქმნილების ნიშანი. ის გვხვდება თესალონიკის წმ. დიმიტრის ეკლესიაში (630), სადაც წმ. დიმიტრის გამოსახულების ორივე მხარეზე ქტიტორებს ოთხკუთხა შარავანდედები აქვთ: G. Ladner, *Images and Ideas* I, Rome, 1983, გვ. 155 და შემდგომ; II, გვ. 1020. იხ. აგრეთვე პაპ პასხალიუს პირველის მოზაიკა წმ. პრაქსედეს ეკლესიაში (820): G. Ladner, *Bildnisse der Päpste der Altertum und Mittelalter*, Vaticano, 1941-1984, გვ. 132 და შემდგომ.

[395] O. V. Falke, *Kunstgeschichte der Seidenweberei* II, 1913, გვ. 9, სურ. 231; C. Bunt, *Byzantine Fabrics*, 1967, სურ. 33; W. F. Volbach, *Early Decorative Textiles*, 1969, გვ. 145, 148, ტაბ. 70.

[396] Bunt, დას. ნაშრ., სურ. 36.

[397] Г. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство* I, Тбилиси, 1959, გვ. 276; II, ტაბ. 63, 65.

[398] იქვე, I, გვ. 600; II, ტაბ. 70.

[399] იქვე, I, გვ. 592; II, ტაბ. 71, 75-77.

[400] იქვე, I, გვ. 598; II, ტაბ. 83.

[401] I. Baltrusaïtis, *Etudes sur l'art mediéval en Géorgie et en Arménie*, Paris, 1929, ტაბ. 32.

[402] C. Mango, E. Hawkins, "The Monastery of Lips (Fenari Isa Camii) at Istanbul", *DOP* 18, 1964, გვ. 307, სურ. 15-16.



33ა. სურ. 32-ის დეტალი. ქტიტორი დავით მაგისტროსი, ეკლესიის მოდელით ხელში



33ბ. სურ. 32-ის დეტალი. ქტიტორი ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი ეკლესიის მოდელით ხელში

მეტთა მოტივის გამორჩეულობას ქართულ ხელოვნებაში გვიჩვენებს მისი ხშირი მოხმარება საეკლესიო მოწყობილობასა[403] და ხეზე კვეთილობაში.[404]

დავითის კვართის ქვედა კიდე და საყელო მოქარგულია ერთმანეთის მონაცვლე რომბოიდებისა და სწორკუთხედების არშიით, რომელსაც ჩაბურღული ღრმულების მწკრივი ახლავს. ამგვარი სახე გვხვდება აუარებელ ბიზანტიურ ნაკეთობაზე, მეტადრე სპილოს ძვლის ლორფინზე კონსტანტინე II-ის ეპიფანიის გამოსახულებით (945 წლის ახლოს).[405]

დავითის მჭიდროდ ნაქსოვი ქლამინდი თავისუფლად მოღიავებული ეშვება და მის ქვეშ კვართს აჩენს. მისი ქვედა ნაპირისა და ვერტიკალური არშიების სახე ქლამინდისას ჰგავს, რომლის საყელო ისეა ატკეჩილი, რომ მისი პირვანდელი იერი და ტექსტურა ძნელი დასადგენია. ზედ მის ქვემოთ დაკაზმული ტაბლიონია, ხაზგასმული ჩაბურღული ღრმულების ვიწრო მორკალული ზოლით. სადა, მრგვალი ფიბულა მას წესისამებრ მარჯვენა მხარზე კი არა, მარცხენაზე აქვს დაბნეული. ეს შეგნებული მცდელობა უნდა იყოს დავითის დგომის (მას ეკლესიის მოდელი[406] უჭირავს) მოგვარებისა და ქლამინდის სწორად

[403] მაგალითად, XI საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული ხოვლესა და საფარის კანკელები. იხ.: Р. Шмерлинг, *Малые формы в архитектуре средневековой Грузии*, 1962, გვ. 118, ტაბ. 32, გვ. 185, ტაბ. 38.

[404] Н. Чубинашвили, *Грузинская средневековая художественная резьба по дереву*, 1958, გვ. 17, ტაბ. 32-33.

[405] A. Bank, *Byzantine Art in the Collection of the USSR*, 1965, გვ. 353, № 124-125.

[406] ორივე მოდელი გადმოსცემს ერთსა და იმავე ეკლესიას, ოღონდ სხვადასხვა მხრიდან. დავითის მოდელი მას დასავლეთიდან წარმოგვიდგენს, ბაგრატისა კი მხოლოდ სამხრეთი ფასადის სამხრეთ მკლავს.

გადმოცემისა. ჩვეულებისგან ასეთი გადახვევის წყალობით ქვითხურომ კომპოზიციური სიმეტრიაც შეინარჩუნა და დავითის კაზმული შესამოსელიც მომეტებულად გამოარჩინა.

ქსოვილის მოტივს შეერთებული წრეები შეადგენს, მათში პროფილით მოცემული არწივებითურთ. მათი ნისკარტებიდან „სამეფო სამკაულებია" გადმოკიდებული. წრეთაშორისები სტილიზებული მცენარეებითაა შევსებული. ორნამენტული სახეების პროტოტიპებს შეგვიძლია თვალი მივადევნოთ სასანურ კლდის რელიეფებამდე, სადაც ფრინველთა მოტივი ჩვეულებრივი რამაა მეფეთა თუ დიდმოხელეთა ტანისამოსისათვის.[407] სასანურ ქსოვილებზე ჩვეულებრივია მოტივი ფრინველისა მომარგალიტებულ მედალიონში. უადრესი ამგვარი ნიმუშია IV საუკუნის აბრეშუმის ნაჭერი ლატერანის „სანკტა სანქტორუმის" რელიკვარიუმიდან (ამჟამად ვატიკანშია).[408] ფრინველთა სასანურ მოტივს კარგად იცნობდნენ სომხეთსა[409] და საქართველოშიც.[410] ზოგჯერ, ოშკის მსგავსად, ნისკარტიდან გადმოკიდებულია ყელსაბამი სადაფის სამი „წვერითურთ" ან სხვა საკიდით.[411] აქვე გვაქვს ჩვენ ამ მოტივის კიდევ ორი მაგალითიც: დასავლეთი ფასადის შეწყვილებული სარკმლის საპირეზე ორ გრიფონს ნისკარტით სამნაწილედი საკიდი უჭირავთ (ტაბ. 167), სამხრეთი მკლავის აღმოსავლეთი ნიშის სარკმლის წარბზე კი ორი ერთმანეთისკენ პირმოქცეული ფრინველია, ნისკარტში ამგვარი საგნით (ტაბ. 168).

ბაგრატ ერისთავთერისთავს (ტაბ. 157) ისეთივე სადარბაზო ტანსაცმელი მოსავს, როგორც მის ძმას. სხვაობა მხოლოდ ორნამენტულ სახეებშია (სურ. 336). განსაკუთრებით ხვდება თვალს არწივის მოტივის არარსებობა. ქლამინდზე გულისებრ სახეებს გრეხილი შემოუყვება, ისინი კი, თავის მხრივ, გარს ერტყმიან „მარგალიტების" წრეებს. კვართი მორთულია მარგალიტების წრეებით, რომლებშიც სამყურა გულისებრი ფოთლებია მოქცეული.

თავდაპირველად ორივე ხელმწიფეს გვირგვინი ედგა. ახლა გადარჩენილია მხოლოდ დავითის გვირგვინის ნაწილი. იგი კვადრატებითა და რომბოიდებითაა მორთული, რაც ძვირფას თვლებს უნდა გადმოგვცემდეს. გვირგვინის ფორმა მსგავსია თანადროული ბიზანტიური ნიმუშებისა, მაგალითად, კონსტანტინე VII-ის გვირგვინისა მოსკოვის საისტორიო მუზეუმის 945 წლის სპილოს ძვალზე,[412] ანდა რომანოზ II-ისა და ევდოკიას გვირგვინებისა – პარიზის „მედალთა კაბინეტის" 945-949 წლების სპილოს ძვლის რელიეფზე.[413]

მართალია, მათ საიმპერატორო გვირგვინები (στέμμα)[414] ადგათ და არა „სტეფანოს", რომელსაც ბიზანტიის იმპერატორები სხვა ქვეყნის ხელმწიფეთ უბოძებდნენ გაწეული სამსახურის ჯილდოდ. ბაგრატის თითქმის რომ გამქრალ გვირგვინს, ასე თუ ისე, შერჩა ორივე *pendilia*,[415] რომელიც შეიძლება აღვადგინოთ როგორც სამკუთხედებით დაბოლოე-

[407] მაგალითად, ტაქ-ი-ბუსტანში, სადაც ცალკეული ფრინველი გამოხატულია სპილოთა მხედრების სამოსლებსა და შარვლებზე (Elsie Holmes, "The Representation of Costumes in the Relief of Tag-i-Busnat", *Artibus Asiae* 31, 1969, ტაბ. XII), მაჰუტის ხიფთანებსა და შარვლებზე (იქვე, ტაბ. XVI) და მენიჩბეთა და კეთილშობილთა ხიფთანებზე (იქვე, ტაბ. XVII).

[408] O. von Falke, *Seidenweberei* I, 1913, გვ. 81, სურ. 99, Volbach. *Early Decorative Textiles*, 1969, გვ. 105, ტაბ. 23. ეს მოტივი გავრცელებული იყო ვიდრე თურქესტანამდე, სადაც მას ყიზილის (ტურფანის) მოხატულობაში ვხედავთ (von Falke, დას. ნაშრ. 81, სურ. 100).

[409] მაგალითად, მეფის კაბაზე ვანის ტბის აღთამარის ეკლესიის (915-921) დასავლეთ ფასადზე. იხ.: S. der Nersessian, *Aghthamar, Church of the Holy Cross*, 1965, გვ. 31, სურ. 7.

[410] ქართული მაგალითებისთვის იხ.: Djobadze, "Reliefs", გვ. 47-49; მისივე, "Churches", გვ. 132-134.

[411] შესაბამისი მაგალითები იხ.: Djobadze, "Reliefs", გვ. 47, შენ. 43 და გვ. 48.

[412] A. Grabar, *L'empereur dans l'art Byzantine*, Paris, 1936, ტაბ. XXV; A. Bank, *Byzantine Art*, ტაბ. 124, 125.

[413] A. Grabar, დასახ. ნაშრ. ტაბ. XXV-2.

[414] *stemma*-სა და *stephanos*-ის ფორმულისეული და იდეოლოგიური განსხვავებანი განხილულია: I. Deer, "Ursprung der Kaiserkrone", *Schweizerische Beiträge zur allgemeinen Geschichte* 8, 1950, გვ. 78 და შემდგომ, შენ. 131; იხ. აგრეთვე: Schramm, *Herrschaftszeichen und Staatssymbolik* II, 1955, გვ. 428, შენ. 1.

[415] *pendilia*-ს ფორმასა და მის საგანგებო საზრისზე, იხ.: Schramm, დას. ნაშრ. 381, 536 და K. Wessel, *RBK* III, 1973. "Insignien", გვ. 383, §5.

ბული ბრტყელი ოქროს ფირფიტა. „პენდილიას“ ტარება იმპერატორის პრეროგატივა იყო. ბაგრატის გვირგვინზე მის არსებობას სხვაგვარად ვერ ავხსნით, თუ არა ბაგრატის მიერ იმპერატორის ღირსების მითვისებას. თანაც, ეს ერთადერთი შემთხვევა როდია, საქართველოში, სულ ცოტა, კიდევ ორი სხვა მაგალითიც ვიცით: დავით აღმაშენებლის 1123 და 1125 წლებში მოჭრილი მონეტები[416] და გიორგი III-ის 1174 წლის მონეტა.[417] საყურადღებოა დავითის ფეხსამოსზე დაკვირვებაც. მას აცვია მაღალი, ჭინტიანი უქუსლო წუღები, დამაგრებული კოჭზე გვერდით შებნეული ტყავის ღვედებით. თავდაპირველად წუღები შემკული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქვა ისეა გამოქარული, რომ ორნამენტული სახის აღდგენა ვერ ხერხდება. ეს წუღები მეტად წააგავს საჯირითო წუღებს (τζάγγιον), რომელთაც საიმპერატორო რეგალიებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდათ მიჩენილი და საზეიმო მსვლელობების დროს გამოიყენებოდა.[418] აშკარაა, რომ დავითისა და ბაგრატის ჩასაცმელი ბიზანტიური წარმომავლობისაა. ქართველთა შორის პირველმა ამგვარი საბოძვარი წათემ, ლაზთა მეფემ მიიღო, რომელსაც მიანიჭეს გვირგვინი, თეთრი ქლამინდი იუსტინიანეს ამოქარგული გამოსახულებით „ტაბლიონზე“ და ასევე დაქარგული სტიქარონი, სპარსულ ყაიდაზე მომარგალიტებული წითელი წუღები და ასეთივე ოქროს სარტყელი.[419] გვაქვს მეორე შემთხვევაც – ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი I-მა (867-886) გამოგზავნა ტაოში საგანგებო დესპანი, პატრიკი კონსტანტინე, ბაგრატიონთა სახლის ერთ-ერთი წევრის, გურგენისთვის (881-891)[420] „მაგისტროსის“ ღირსების აღმნიშვნელი საგანგებო საბუთების, ინსიგნიებისა და სამოხელეო კვართის გადმოსაცემად. დავითისა და ბაგრატის ტანისამოსის წარმომავლობის დასადასტურებლად უპირატესი მნიშვნელობა იოანე სკილიცეს ცნობა აქვს, რომელიც გვაუწყებს, რომანოზ I-მა იბერთა მეფეს, დავითს (ეს კი უთუოდ ოშკის ერთ-ერთი აღმშენებელია), „კურაპალატობის“ წოდება და ინსიგნიები გამოუგზავნა.[421]

დავითისა და ბაგრატის ბიზანტიური შესამოსელი უმაგალითო როდია. ტბეთის კათედრალს ოდესღაც ამკობდა ადამიანისხელა ქანდაკება, მისი აღმშენებლის, აშოტ კუხის (†918), რომელსაც ლომებით მოქარგული გახსნილი მოსასხამი აცვია (იხ. ქვემოთ, ტაბ. 346, სურ. 84).

ჩვენს ქანდაკებებზე საუბრისას არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მთელი კომპოზიციის ფონი ოდესღაც მეწამული იყო. დავითის მოსასხამს ოქროს ნაკვალევი ატყვია, ღმრთისმშობლის მაფორიუმს – ინტენსიური ვარდისფრისა, ფეხსადგამზე კი აშკარად მოჩანს ღია ლურჯი საღებავის ნაშთი. ეს გვაფიქრებინებს, რომ მთელი კომპოზიცია ძალზე ნათელი ძირითადი ფერებით იყო შეღებილი, ხოლო ორივე „ღმრთივდამყარებული“ ხელმწიფე, როგორც დავითის რელიეფი გვიმოწმებს, ეკლესიის იდეალურ პატრონებადა და მფარველებად წარმოგვიდგებოდა. ისინი მნახველს ფრონტალურად, საკულტო ქანდაკებებივით უმზერდნენ. მათ დაჟინებულ გამოხედვასა და თვალშისაცემ ფერადოვნებას მაგიური ზემოქმედება უნდა მოეხდინა სულშეძრულ მიმსვლელზე. საფიქრებელია, რომ დავითი და ბაგრატი საუკეთესოდ განასახიერებენ ადრე შუა საუკუნეების მქანდაკებლობაში შემუშავებულ ხელისუფლის იდეოლოგიას.

---

416 დ. კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, თბილისი, 1969, გვ. 66-68, № 54.

417 იქვე, გვ. 73, № 61, 62. ყველა ამ მონეტაზე ხელმწიფეთა გვირგვინებს არა მარტო პენდილიები აქვთ, არამედ ისინი ჯვრითაცაა დაგვირგვინებული. ესეც, უეჭველად, საიმპერატორო ატრიბუტია, *stemmata*-ს ნაწილი.

418 O. Treitinger, *Die oströmische Kaiser- und Reichsidee nach ihrer Gestaltung im höfischen Zeremoniell*, 3rd ed., 1969, გვ. 113; K. Wessel, *RBK* III, 1973, “Insignien”, XIV, გვ. 445 და შემდგომ.

419 *Chron. Paschale* 552 წლისა, I, გვ. $613_{14}$ და შემდგომ (Bonn edn); Djobadze, “Reliefs”, გვ. 51-53.

420 Constantine Porphyrogenitus, *Adm. Imp.*, $46_{49-53}$; Treitinger, დას. ნაშრ., გვ. 194, შენ. 52.

421 იქვე; ამას უნდა დაემატოს იაჰია ანტიოქიელი, რომელიც გვამცნობს, 979 წელს რომანოზ II-მ უზურპატორ ბარდას წინააღმდეგ დახმარებისთვის ტაო-კლარჯეთის მეფე დავითს ინსიგნიები, შესამოსელები და „კურაპალატის“ პატივი უბოძა – I. Kračkovski, A. Vasiliev, “Histoire de Yahya-Ibn-Said d’Antioch”, *Patrologia Orientalis*, 23, fasc. 3, 1932, გვ. 429-430; Djobadze, “Reliefs”, გვ. 53, შენ. 95.

## d. სამხრეთი მკლავი

სამხრეთი მკლავი ქანდაკებებით ტაძრის ყველა სხვა ნაწილზე მეტად არის მორთული. ამას გარდა, მას დამატებული აქვს მშვენიერი კარიბჭეც. როგორც კათედრალის სხვა მონაკვეთებზე, აქაც ხუროთმოძღვრული პლასტიკა დეკორაციული თაღებითა და ნიშებით მოხაზღვრულ ფიგურულსა და ორნამენტულ მოტივებს აერთიანებს.

## e. ნადირობისა და ცხოველთა შერკინების სცენები

სამხრეთი მკლავის აღმოსავლეთი დამატებითი ოთახის მეორე სართულის პატარა სარკმელი ორი მონოლითური ფიგურული რელიეფით არის შემკული: ერთი თვით სარკმლის ზღუდარზეა (ტაბ. 158, 159), მეორე კი იმავე სარკმლის ქვემოთ, მასზე მიჯრით მოქცეულ კვადრატულ ქვაზე. პირველი, ასტრაგალით მოვლებული კომპოზიცია ნადირობას წარმოგვიდგენს. მის შუაგულში მოთავსებულია ჯვრისებრი სტილიზებული ხე, აქეთ-იქით კი ორი ფურ-ირემი,[422] რომელნიც მის ფოთლებს შეექცევიან. ეს სცენა მოგვაგონებს ძველაღმოსავლურ „ცხოვრების ხეს", რომელსაც შთანთქავენ ცხოველები. ქვის აღმოსავლეთ ბოლოში ხისკენ მიმავალი მესამე შველია, ხოლო მოპირდაპირე მხარეს მარჯვენა მუხლზე ჩამოყრდნობილი, მშვილდ-ისარ მომარჯვებული მონადირეა. იგი უმიზნებს ცენტრში გამოსახულ ცხოველებს და მზადაა ისარი მოსხლიტოს. მთლიანობაში სცენა გადმოსცემს ძველ აღმოსავლეთსა და საქართველოშიც უსაყვარლეს გასართობად ცნობილ ნადირობას.[423]

იმავე სარკმლის ქვემოთ მოქცეულ ქვაზე გამოხატული კომპოზიცია გადმოსცემს ორ ლომს, რომელნიც თავს ესხმიან ხარირემს, მესამე კი, ზედა მარჯვენა კუთხეში წარმოდგენილი, სცენის სახილველადაა თავმობრუნებული: მის თავს ქვემოთ თითქოს მის მიერ დათრგუნვილი ცხოველია დამატებული. ცხოველთა შერკინების ამგვარი სცენები საკმაოდ ხშირია ტაო-კლარჯეთის ეკლესიებში. ერთი ჯიშის ცხოველები არასდროს ებრძვიან ერთმანეთს. ლომები უფრო ხარს ესხმიან თავს (ტაბ. 167) ან რქოსან პირუტყვს, ანდა, ჩვენს შემთხვევაში — ხარირემს. მტაცებლები ტაო-კლარჯეთში დოგმატური ან კიდევ მორალისტური გაგებით კი არაა წარმოდგენილი, არამედ კოსმოლოგიურით, ისინი მოწინააღმდეგე ძალთა ჭიდილის ძველთაძველ სიმბოლიკას წარმოგვიდგენენ.[424] საკულტო ნაგებობის კედლებზე ამგვარი არარელიგიური თემების გამოხატვა, ჩანს, შეწყნარებული ყოფილა ეკლესიის მიერ.

## f. შუა დეკორაციული თაღის ქანდაკებანი

სამხრეთი მკლავის შუა დეკორაციული თაღი (ტაბ. 160) იმავე მოყვანილობისა და ზომისაა, როგორისაც შესაბამისი ნაწილები აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს, განსხვავებულია მხოლოდ კაპიტელები. ისინი შედგება ყელზე ღრმად ჩაკვეთილი ჯაჭვისა, კუთხეებიდან გადმოშლილი სტილიზებული პალმეტებისა და ზედდებული სადა აბაკისაგან. თაღით მოფარგლულ კედლის ზედაპირზე განთავსებულია მრავალი, გამორჩეული გულმოდგინებითა და უაღრესი ოსტატობით გამოკვეთილი ქანდაკება. შუა თაღოვან სარკმელს შემოუყვება ორმხრივ ასტრაგალით მოვლებული ურთულესი წნული. სარკმლის

---

[422] ეს ცხოველები ე. თაყაიშვილმა განსაზღვრა (ექსპედიცია, გვ. 38) როგორც ხარები. უინფილდი ამბობს, „ირმები ან გარეული თხებია"-ო. ეს მცდარი იდენტიფიკაცია გამოიწვია გადმოზნექილმა გრძელმა ამოღრმავებულმა ფოთლებმა, რომელნიც რქებივით ჩალაგებულია ცხოველებს თავს უკან.

[423] ქართველი არისტოკრატია ნადირობას განიხილავდა როგორც სხეულებრივი გაკაჟების, გამძლეობის, სიმარჯვის, სიმარდის და ვაჟკაცობის განვითარების საშუალებას. ასეთი თვისებები მუდამ იდეალიზებულად აქვს დასახული შოთა რუსთაველს.

[424] Djobadze, "Observations", გვ. 86-89, ტაბ. 13-1.

თავზე წარბია, რომელიც, ეკლესიის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი მხარეების მსგავს ელემენტთაგან განსხვავებით, 0.25 სმ-თაა ამოზიდული ფონიდან და დაფარულია რთული, მრავალგვარად ჩაწნული, ამოღარული ფოთლებისაგან შედგენილი ორნამენტით. არსებითად, ეს გადაბმული პალმეტების იგივე მოტივია, რაც სამხრეთი კარიბჭის ორმაგწახნაგა სვეტზე (ტაბ. 140), ოღონდ უფრო განვითარებული სახით. აქ იგი განსხვავებული დაჯერებით და მკაფიობით, დეტალებისადმი გამორჩეული გულისყურით არის ნაკვეთი. წარბის შიდა პირზე წითლითაა დახატული რომბოიდების მწკრივი. წარბის მთელი ქვედა ნაპირი ასტრაგალის სახისაა, რომბოიდების გაბმული მწკრივით გაწყობილი. სარკმლის წვერისა და წარბს შორის მორჩენილი არე შევსებულია წითლით, ლურჯითა და ყვითლით დახატული ზოლებით. წარბის ბოლოებში პალმეტოვან ხვიებში ორი რელიეფია: ლომის თავი დასავლეთ და სახედარი აღმოსავლეთ მხარეს. ასეთი შეხამება — თან ეკლესიის ეგზომ გამორჩეულ ადგილას — უმაგალითოა. არც ამ უჩვეული შეპირისპირების საზრისია ჩემთვის ნათელი. ეს იდუმალი კომპოზიცია საერო ხასიათისა შეიძლება იყოს, რადგან მსოფლიური გამოსახულებები ოშკში მნიშვნელოვანიცაა და თამამად ხაზგასმულიც. ამას მოწმობენ ცხონების მაძიებელი ადამიანისხელა ქტიტორები, ცხოველთა უამრავი გამოსახულება და, პირველ რიგში, ნადირობის სცენა. ამ არცთუ ჩვეულებრივ გამოსახულებასთან დაკავშირებით იმის თქმაღა შემიძლია, რომ მას შეიძლება ჰქონდეს ასტროლოგიური კონოტაციები. ამას ნაწილობრივ მაფიქრებინებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", რომელშიც არათუ ხშირია ასტროლოგიური მინიშნებანი, არამედ ჩართულია ერთ-ერთი გმირის, ავთანდილის ლოცვა კოსმოსის შემადგენელი შვიდი ცთომილის მიმართ. ამ ადგილას რუსთაველი ერთიმეორის მიყოლებით ნათლად აღგვიწერს შვიდი ზეციური სხეულის ნიშნებს, ფერებსა და სხვა თვისებებს. ათში უმთრესის, სატურნის შესახებ ნათქვამია:

„მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, მიმეც ჭირსა,
გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც ხშირსა,
შემომყარე კაეშნისა ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა,
მას უთხარ, თუ: „ნუ გასწირავ, შენია და შენთვის ტირსა."[425]

აქედან ვგებულობთ, რომ ცთომილი ზუალი (სატურნი) ავის მოქმედია, რომ იგი მწუხარებას, ვაებასა და ბნელს უკავშირდება, რომ ამ არაკეთილმოსურნე და საშიშარი ცთომილის ფერი შავია. ეს ნიშნები სავსებით ემთხვევა ზუალის (იგივე სატურნი, კრონოსი, ქალდ-ნინიბუ) ძველაღმოსავლურსა თუ პტოლემაიოსის გაგებას. ზემოყვანილ ნაწყვეტში ახალი მხოლოდ ისაა, რომ ზუალის ასტროლოგიური ნიშანი მერწყული კი არაა, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ ვირი.[426]

ასე რომ, სავარაუდოდ გთავაზობთ შემდეგ განმარტებას: სამხრეთი ფასადის სარკმლის წარბზე მოცემულია ზოდიაქური ნიშნები შვიდთაგან უმთავრესი ორი ცთომილისა: „ლეო", ლომი და მისი მოპირდაპირე, ავის მოქმედი ზუალი თავის ნიშანთან — ვირთან ერთად.

ამგვარ ინტერპრეტაციას ნაწილობრივ ემხრობა სამხრეთი სარკმლის წარბის ასწვრივ მოთავსებული ჰორელიეფიც. ეს რელიეფი, რომლის ზედა ნაწილი მნახველისკენაა გადმოხრილი, გადმოგვცემს არწივს, რომელიც ჭანგებით ხარს ჩაფრენია. არწივი, მის მსხვერპლზე ბევრად დიდი, მოძრაობაშია გამოსახული, სანახევროდ გაშლილი ფრთებით. ამნაირი არწივი უნდა განვიხილოთ როგორც ჰერალდიკური ემბლემა, ამ კონკრეტულ ვითარებაში — სამეფო ძალაუფლების სიმბოლო, რასაც კიდევ ამტკიცებს მის ყელზე მოვლებული მარგალიტები.

დეკორაციული თაღის უმაღლეს მონაკვეთში ერთმანეთის გვერდით ფრონტალურად მდგომი ორი ანგელოზია მოთავსებული (ტაბ. 161). მათი ვინაობა წითელი საღებავით და-

---

425 შდრ. მარჯორი სკოტ უორდროპის ინგლისური თარგმანი, სტროფი 938.

426 ავთანდილის ლოცვა მნათობებისადმი განხილულია: ზ. ავალიშვილი, *„ვეფხისტყაოსნის" საკითხები*, პარიზი, 1931, გვ. 3-30; იხ. აგრეთვე XII საუკუნის დასურათებული ასტროლოგიური ტრაქტატი (A-65), გამოცემული ა. შანიძის მიერ (*„ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის"*, თბილისი, 1975).

ტანილი წარწერებითაა განსაზღვრული. აღმოსავლეთ მხარეს მთავარანგელოზი გაბრიელია მოცემული, დასავლეთით კი მიქაელ მთავარანგელოზი. ორივე ფიგურა შედარებით კარგადაა დაცული, თავების გამოკლებით – მიქაელისა დაკარგულია, გაბრიელისა კი ძლიერ დაშავებული. ისინი მაღალი რელიეფითაა გამოკვეთილი, თავების გარდა, რომელნიც, ეტყობა, სამმხრივ გამოიზიდებოდა, რადგან ფონი მათ უკან სუფთადაა მოსწორებული. გაბრიელს მარჯვენით წაწვეტებული კვერთხი უპყრია. მის ჩამოტეხილ თავზე ისეთივე პალმეტისებრი ორნამენტი შეიძლებოდა ყოფილიყო, როგორიც ოშკის სამხრეთი კარიბჭის რვაწახნაგა სვეტის ჩრდილო-დასავლეთი მხარის მთავარანგელოზ მიქაელის გამოსახულებაზე.[427]

გაბრიელზე ოდნავ მომცრო მიქაელ მთავარანგელოზს უპყრია კვერთხი ორკაუჭა ქვედა ბოლოთი. მარცხენა ხელში, ცერსა და საჩვენებელ თითს შუა, უჭირავს პაწია ბადრო, რომელზეც კონცენტრული წრეებია გამოსახული. ეს არც სარკეა და არც გლობუსი, როგორც შეიძლებოდა გვეფიქრა, უფრო იმ დისკს ჰგავს, რომელიც უპყრია „რომას" პერსონიფიკაციას კონსტანტინოპოლური სახელოსნოდან გამოსულ კონსულ მაგნუსის დიპტიქონზე (518).[428] ეს იშვიათი ნივთი, τςοχίσκοι-ს[429] მსგავსი, ქართულ არქიტექტურულ პლასტიკაში სხვაგან ერთადერთხელ გვხვდება, სახელდობრ, ატენის სიონის X საუკუნის ეკლესიის სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთის ნიშაში – აქ ქტიტორს ხელთ საჩვენებლად უჭირავს ამგვარივე ზომის ბადრო, ოღონდ კონცენტრიული წრიული ღარების გარეშე.[430]

მიუხედავად აშკარა ფორმისეული მსგავსებისა, ჩვენს ანგელოზებს არსებითი განსხვავებაც ახლავს. გაბრიელის კვართის მორთული არშია, მისი სახელოების ორნამენტული სახეები და სამოსის ნაკეცები ფორმალურად და სტილურად უაღრესად ჰგავს აღმოსავლეთი ფასადის ანგელოზისას[431] და შეიძლება ის იმავე ოსტატის ნახელავიც იყოს. ამ ოსტატის ხელიდან შეიძლება იყოს გამოსული დასავლეთი მკლავის სამხრეთი კარნიზის გაყოლებით თანაბარი შუალედებით მოთავსებული კიდევ სამი ანგელოზი (ერთი მათგანი მთლიანადაა ჩამოტეხილი).[432] მისივე უნდა იყოს სამხრეთი კარიბჭის რვაწახნაგა სვეტის კაპიტელზე სხვა ზეციურ არსებებთან ერთად გამოსახული ანგელოზებიც.[433] ყველა ამ შემთხვევაში გადაჭარბებული დრაპირება მომრგვალებული V-სებრი ნაოჭებით გვიმჟღავნებს X საუკუნის ბიზანტიურ სპილოს ძვლის ნაკეთობათა ცოდნას. მიქაელის ფიგურას სხვა სტილური მახასიათებლები აქვს, აბსტრაქტულ ხაზოვანებად გამოვლენილი. დაგრაგნილი ნაკეცები არ მისდევს სხეულის მოყვანილობას. აბსტრაქტული დეკორაციულობა იჩენს თავს კვართის ქვედა არშიასა და მოსაცმლის შუა ნაწილის წამახულ დატეხილ ნაკეცებში. ამავე ნიშნებს ვხედავთ ზემოგანხილული რვაწახნაგა სვეტის გრიგოლისა და „ვედრების" ფიგურებზე. ეს ცხადლივ განსხვავებული მახასიათებლები მიგვითითებს ოსტატთა ორი ან რამდენიმე ჯგუფის არსებობას, რომელნიც სხვადასხვა სტილურ პრინციპს იზიარებდნენ.

დასასრულ, შევნიშნავ, რომ თითქმის ყველა სხვა ფიგურასავით, ჩვენი ანგელოზები, ნაწილობრივ მაინც, დაფერილი იყო. ფერის გამოყენება და წინ გადმოხრილი თავები მათ უფრო აქტიურად მიმართავდა მნახველისკენ, ვიდრე ეს ეკლესიის მამკობ სხვა, უფრო პასიურ ფიგურებზე ითქმის.

---

[427] Winfield, "Sculptures", გვ. 50, ტაბ. 23a.

[428] *Elfenbeinarbeiten der Spätantike und des frühen Mittelalters*[3], 1976, № 24 და შენ. 15, 31.

[429] ამის შესახებ იხ.: R. Delbrück, *Die Konsular Diptychen*, 1929, გვ. 117 და შემდგომ.

[430] Г. Чубинашвили, *Памятники типа Джвари* II, 1948, ტაბ. 54, მარჯვნივ.

[431] ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, ტაბ. 55.

[432] Winfield, "Sculptures", ტაბ. 9.

[433] იქვე, ტაბ. 19b, 23a. ამავე ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს სამხრეთ-დასავლეთი ოთახის ტიმპანის ანგელოზის ნახევარფიგურა, რომელიც შეიძლება 10-20 წლის შემდეგ იყოს დამატებული, ოღონდ არა XV-XVI საუკუნეებში, როგორც ვარაუდობს ე. თაყაიშვილი (*ექსპედიცია*, გვ. 40).

## g. სამხრეთი მკლავის კარიბჭე

სამხრეთ მკლავს დამატებული აქვს მშვენიერი, კვადრატული ღია კარიბჭე (ტაბ. 163). მისი შიდა ფართობი 2.85 $მ^2$-ია. გარედან მას წაწვეტებული სახურავი აქვს საფეხუროვანი, ფესტონებიანი კარნიზებით; შიგნით ნახევარწრიული ლამბაქისებრი [illegible] სამი შედარებით ვიწრო რიგისგან შემდგარი (ტაბ. 164). ბოლო რიგში რვა ერთნაირი ზომის ქვაა, საჭექით შუაგულში. ერთის გამოშვებით ქვები წითლადაა დაფერილი, რაც ფართომკლავებიან წითელ ჯვარს წარმოქმნის. კარიბჭის ბურჯთა სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებზე თითო ნახევარსვეტია. ამათგან, სამხრეთ-აღმოსავლეთისა მცენარეული ხვიებისაგან შედგენილი ხაყშითაა მორთული; ყოველ ხვიაში ხუთყურა ფოთოლია, მათ შორის კი ოვალოიდი. შესაბამისად, სამხრეთ-დასავლეთით, ასევე მცენარეული ჩუქურთმა გვაქვს, ოღონდ განსხვავებული სახისა. ეს უკანასკნელი საგანგებოდაა საინტერესო, რადგან კვეთილობა დაუმთავრებელია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ზოგჯერ მაინც ჩუქურთმა უკვე წყობაში მოქცეულ ქვებზე სრულდებოდა. სახე უთუოდ ჯერ წითელი მელნით იხატებოდა, მერე კი ქვემოდან ზევითკენ გამოიკვეთებოდა. ისევე როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, ნაქანდაკევი მცენარეები თამამად ამოიზიდება წითელ ფონზე.

ბურჯთა შიდა პირზე და სამხრეთი მკლავის განბრჯენ პილასტრებზედაც შეწყვილებული სვეტებია მოთავსებული. მათაც ტანის ორივე ბოლოში ბაზისები და ბურთულები აქვთ, რაც ხანცთის გუმბათის ყელის ნახევარსვეტებს მოგვაგონებს (ტაბ. 30). ბურჯთა კაპიტელები მორთულია ხვეული ფოთლებითა და ვაზის მტევნებით, რომელნიც ასე მრავლადაა ოშკის კაპიტელებზე. კარიბჭიდან ეკლესიაში სამხრეთ მკლავში გაჭრილი კარით შევდივართ. კარის თავზე, ტიმპანზე გრძელი წარწერაა, რომელიც ტაძრის დათარიღების საშუალებას იძლევა (იხ. ქვემოთ, წარწერა 1, ტაბ. 181, სურ. 37).

## h. ჩრდილოეთი ფასადი

ჩრდილოეთი ფასადი ისე უხვად არაა შემკული, როგორც მისი მოპირდაპირე სამხრეთისა. ჩრდილოეთი კედელი 4-5 მ-ის სიმაღლემდე ნაწილობრივ დაფარულია ქვა-ღორღით და ტაძრის უკან მდებარე ბორცვიდან ჩამონაშალი მიწით. მრავალგან ხავსმოკიდებულ კედელს დიდრონი ხეების ჩრდილიც ეფინება. საყურადღებოა, რომ ჩრდილოეთი სარკმლისათვის არ გაუკეთებიათ, ჩვეულებისამებრ, წნულოვანი დეკორაციული ჩარჩო. მას მხოლოდ ორნამენტული ფოთლებისა და ვაზის მტევნების მონაცვლეობით შედგენილი თავსართი აქვს (ტაბ. 165). ისევე როგორც სამხრეთით, აქაც თაღოვანი სარკმლის წვეროსა და თავსართს შორის დარჩენილი არე შევსებულია მარაოსებრი რადიალური ზოლებით, რომელნიც აქ თორმეტია, ფერითა და სახეებით განსხვავებული მრგვალი ბადროებით დასრულებული.[434] არ მეგულება ნიმუში, რომელიც ასეთი გადაწყვეტის წინასახედ შეიძლებოდა მიგვეჩნია. ნახევარი საუკუნით გვიან კი ამგვარი ბადროები გვხვდება მცხეთის კათედრალის აღმოსავლეთ ფასადზე.[435] აქ სარკმლის ორივე მხარეს ურთიერთდაპირისპირებული ცხოველების ქანდაკებებია. დასავლეთით უკან იხევს ხარი, აღმოსავლეთით კი შეტევაზე გადასული, მბრდღვინავი ლომია – ეს ტრადიციული წყვილია, რომელიც ეკლესიებში ხშირად თვალსაჩინო ადგილებზე ჩნდება.[436]

---

[434] ბადროების სხვადასხვა ფერის ნაშთები კარგად განირჩეოდა 60-ოდე წლის წინათ (ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, ტაბ. 53, მარცხნივ).

[435] ლ. მუსხელიშვილი, „მცხეთის სვეტიცხოვლის უძველესი წარწერები", *AG* 1, 1942, გვ. 137, ტაბ. 36. წარწერას აშკარად არ იცნობს ვ. ელბერნი, რომელიც ამ მოტივში საკრალური ბუნების სამწყრობელს ხედავს: "Plastische Kreuzkompositionen an mittelalterlichen Sakralbauten Armeniens und ihr ikonologisches Verständnis", *OrChr*. 67, 1983, გვ. 180, სურ. 6.

[436] Djobadze, "Observations", გვ. 86.

## i. დასავლეთი ფასადი

როგორც ითქვა, ოშკის ყველა გარე კედელი დეკორაციული თაღებითაა დამშვენებული. გამონაკლისია მხოლოდ დასავლეთი მხარე, რომელიც სადაა და შესაფერის ფონს ქმნის დიდი ზომის ქანდაკოვანი მორთულობისთვის. აქ ოსტატმა გონებამახვილურად მოაქცია შეწყვილებული სარკმელი. იგი უხვადაა მორთული გამორჩეულად შეერილი საპირით, მონუმენტური წარბითა და სვეტზე მჯდომარე წმ. სვიმეონ მესვეტის რელიეფური ბიუსტით (ტაბ. 166-167). ტაო-კლარჯეთში შეწყვილებული სარკმლის სხვა მაგალითები მხოლოოდენ ენი რაბათის და ხახულის ეკლესიებსა და ოპიზის სატრაპეზოში მოიპოვება. თუმცა ოშკში ეს სარკმელი არაა, ენი რაბათივით (ტაბ. 98), ჩვეულებისამებრ, წნულოვანი ჩარჩოთი შემკული, ოსტატი სავსებით ახალ გადაწყვეტას გვთავაზობს. სარკმლის ორივე მხარეს იგი ათავსებს ფესტონებიანი ბარიტყელას კვეთის კრონშტაინებზე დამყარებულ ორ-ორ გრეხილ სვეტს. კაპიტელებს შეადგენს კუთხეებიდან გამოსული და თანდათან ორმხრივ გადაფენილი, ამოღარული აკანთის ფოთლები. შეტყუპებული სვეტების ტანს, ჩვეულებრივ, ბურთულები ახლავს. სარკმელთშორისი ხაზგასმულია კანელირებული სვეტით, რომელიც დორიულს მოგვაგონებს, ფესტონიანი ყელი აქვს და იმავე ელემენტებით შედგენილი კაპიტელი, რომელთაც აღმოსავლეთი ფასადის თაღნარის კაპიტელებზე ვხედავთ (ტაბ. 150-151). ყოველი ელემენტი გადასხვაფერებულია, რათა შეიქმნას ფორმათა ახლებური, გამახალისებელი ურთიერთმიმართება.

შეწყვილებული სარკმლის მონოლითურ თაღებზე ცხოველთა ამსახველი კონტრასტული ფიგურული კომპოზიციებია. ჩრდილოეთ ნახევარზე ნაჩვენებია ლომი, რომელიც თავს ესხმის ხარს (ტაბ. 167). მისი მრისხანედ მზირალი პირი ფრონტალურადაა მოქცეული და მთლიანადავსებს ადგილს ხარის რქებს შორის. ჩვენ უკვე შევხვდით ამ კომპოზიციას, ბუნების კეთილ და ბოროტ ძალთა ჭიდილის სიმბოლოს,[437] ოშკის ჩრდილოეთი ფასადის კიდურა აღმოსავლეთი სარკმლის საჭეჭზე. მოიპოვება იგი ხახულის ახლომდებარე ეკლესიაშიც, რომელიც იმავე ქტიტორის, დავით კურაპალატის აგებულია (ტაბ. 203, სურ. 49).

სამხრეთ თაღზე ჰერალდიკურადაა გამოსახული ორი გრიფონი შიგნითკენ მორკალული ფრთებითა და ნახევარპალმეტების სახის გაფოთლილი კუდებით.[438] მათი კისერი ლომის ფაფრით არის ხაზგასმული. ამ ფანტასტიკური პოლიმორფული არსებების ზოგადი იერი უთუოდ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც გრიფონის სახეს წაეყენება. მაგრამ გულდაგულ დათვალიერება ცხადყოფს მნიშვნელოვან გადახვევებსაც – მაგალითად, მძივარი ცხოველის გაყოფილი ჩლიქების შეცვლას ლომის თათებითა და კლანჭებით. ნისკარტში გრიფონებს საკიდები უჭირავთ – ფრთისებრი ფოთოლი, რომლის შუიდან კონუსისებრი საგანია გადმოკიდებული. მე არ ვიცნობ ნიშანდობლივ ამ მოტივის რაიმე პარალელს, მაგრამ ჩვენი გრიფონები უეჭველად იმ ცხოველთა და ფრინველთა ოჯახიდანაა, რომელთაც ნისკარტში სამეფო სამკაულები უპყრიათ.[439] თვით ოშკშიც კიდევ ორი ასეთი მაგალითი გვაქვს: სამხრეთი მკლავის დასავლეთი სარკმლის ზღუდარზე (ტაბ. 172) და დავით მაგისტროსის გადასაცემელის ნაქარგობაში (ტაბ. 156). ამავე მოტივის მესამე ნიმუში ამოკვეთილია პარხლის ჩრდილოეთი ფასადის სარკმლის ზღუდარზე (ტაბ. 255). თვით საქართველოში ქსოვილების, ხუროთმოძღვრული პლასტიკის, ლითონმქანდაკებლობის უამრავი ნიმუში მოწმობს, რომ სასანური წარმომავლობის ეს მოტივი აქ კარგად იცოდნენ. იგივე ითქმის სხვა, ფანტასტიკურ, კეთილისმყოფელ, თუმც არასწორად გაგებულ ცხოველზე, სენმურვზე,[440] რომელიც გრიფონების მარცხნივაა მოთავსებული.

---

[437] Djobadze, "Observations", გვ. 87

[438] უადრესი ნიმუში გრიფონისა ნახევარპალმეტიანი კუდით გვიან სასანურ ხანაშია დამოწმებული. იხ.: J. Kröger, *Sasanidischer Stuckdekor*, Bagdader Forschungen 5, 1982, გვ. 206, ტაბ. $99_2$.

[439] Djobadze, "Observations", გვ. 89.

[440] Iქვე, 89-92. ოსტატს კარგად არ სცოდნია სენმურვის აგებულება, რადგან იგი ორ კი არა, ოთხფეხა გამოსახა, სამი ბრჭყალის მაგიერ კი ხუთი გაუკეთა, მსგავსად „სანიმუშო" სენმურვისა X საუკუნის მარტვილის ტაძრის აფსიდზე. ოსტატი ალბათ შეცდომაში შეიყვანა რომელიმე შუა

სარკმლის თაღთაშორისში მოქცეული მცენარეული მოტივის ზემოთ საწვეხებია ხელ-აპყრობილი წმ. სვიმეონ საკვირველმოქმედის ფიგურა. როგორც ჩვეულებრივ, ის ჩიდება სვეტზე, რომელსაც, – ისევე, როგორც მის მონასტერში არსებულ რეალურ სვეტს, – სამ-საფეხუროვანი საფუძველი აქვს. წმინდანის სამყოფლის სამსაფეხუროვანი ბაქანის მხატვრული გამონაგონია. წმ. სვიმეონს ბერულად აცვია; მკერდზე ორი ტოლმკლავა ჯვა-რი ჰკიდია, ერთიმეორის ზემოთ. ქუდად მას კუნკული აქვს. მისი სახის მარცხენა ნა-წილი, რომელსაც მერცხლის ბუდე ეფარება, მსროლელებს გაუნადგურებიათ. მთელ კომ-პოზიციას ასრულებს წნული სახეებით, თაროთი და გრეხილი ლილვით მორთული დიდი თაღი.

წმ. სვიმეონის ამ ადგილას გამოსახვის მიზანზე მსჯელობისას უნდა გავიხსენოთ, რომ მას განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ საქართველოში, როგორც ბერობის ნიმუშს, მისი მფარველობა-კურნების უნარისა და ანტიოქიის ახლოს საკვირველ მთაზე მისგან მოხდენილ ურიცხვ აპოთროპეულ სასწაულთა გამო.[441] მასავით თვალსაჩინო, მისთვის სა-ნიმუშო და თან ანტიპოდის, წმ. სვიმეონ მესვეტის (უფროსის) დიდებამ რომს ჩააღწია, სადაც, თეოდორეტის თანახმად, ყველა სახელოსნოს კარიბჭეში მცველად წმ. სვიმეონის პატარა გამოსახულებები ჰქონიათ.[442] შესაბამისად, მეტისმეტი სითამამე არ იქნება ვივა-რაუდოთ, რომ წმ. სვიმეონის რელიეფს ოშკის დასავლეთი ფასადის შეწყვილებული სარ-კმლის თავზე ასეთივე მაგიური, მხსნელი ფუნქცია ეკისრებოდა.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთი სარკმლის ნოვატორული ფორმა ერთხელღა გა-მეორდა, იმავე ქტიტორის მიერ X საუკუნის ბოლოსკენ აგებულ, ახლომდებარე ხახულის ეკლესიის სამხრეთ სარკმელში (ტაბ. 201). მოგვიანებით განვითარება კომპოზიციის შეკვ-რისკენ მიდის, საპირისა და წარბის შერწყმისაკენ, რაც გააქრობს მათ შორის რადიალუ-რი ზოლების ადგილს, აქედან გამომდინარე, სვეტებს სარკმლის საჭექი კი აღარა, წარბი ეფუძნება. იშხნის ტაძრის სამხრეთი ფასადის (ტაბ. 293, 295-297, 300) და XI საუკუნის ეხ-ვევის ეკლესიის აღმოსავლეთი და დასავლეთი სარკმლები[443] მაგალითებია ამ განვითარე-ბისა, რომელიც XI საუკუნის დასაწყისში დასტურდება.

ეკლესიათა სარკმლების დეკორაციული ჩარჩოებითა და წარბებით მორთვის ჩვეულე-ბა ჩრდილოეთ სირიის ტაძრების დამახასიათებელი ნიშანია და ეს არ უნდა გამოპარვო-დათ ქართველ ოსტატებს, რომელთაც ეს ხუროთმოძღვრული დეტალი საგრძნობლად გა-

---

საუკუნეების ქსოვილმა, სადაც სენმურვის ორი ფრთა გადმოკიდებულია მისი ტანის ბოლოს ქვე-მოთ (F. W. Volbach, *Early Decorative Textiles*, ტაბ. 16). ოშკის სენმურვი და ხპილოზე ამხედრებული გრიფონი, დახატული ფხოტრერის ხატის ზურგზე (სვანეთი), რომელიც 1985 წელს ადგილზე შე-ვისწავლე, მაფიქრებინებენ, რომ ქართველ ქვითხუროებსა და ფერმწერებს შთაგონების წყაროდ ფიგურატიული ქსოვილები ჰქონდათ, საიდანაც ისინი, უწინარეს ყოვლისა, მითოლოგიური გამო-სახულებების მოტივებს სესხულობდნენ.

[441] წმ. სვიმეონს ასევე შეხწევდა ძალა ადამიანთა მტაცებელ მხეცთაგან დაცვისა: van den Ven, *La vie ancienne de S. Syméon Stylite le jeune* I, Brussels, 1970, თავი 103, გვ. 15-19; 130, გვ. 1-38; 253, გვ. 1-3; II, გვ. 53-57. მათ შორის ლეოპარდისა და ლომისაგან (თავი 68, 183); Djobadze, *Materials*, გვ. 63-108.

[442] PG 82, 1473; შესაბამისი ადგილის თარგმანი იხ.: C. Mango, *The Art of the Byzantine Empire 312-1453*, Sources and Documents in the History of Art Series, ed. H. W. Hanson, 1972, გვ. 41. ამგვარ გამოსახულებათა მაგიურ ძალმოსილებაზე იხ.: E. Kitzinger, "The Cult of Images in the Age before Iconoclasm", *DOP* 8, 1954, გვ. 109, 118; van der Ven, დასახ. ნაშრ., II, თავი 118 და შენ. 6, სადაც განხილულია წმ. სვიმეონის გამოსახულების მფარველი ძალა. წმ. სვიმეონის დედის, წმ. მართას „ცხოვრებიდან" შეიძლება და-ვასკვნათ, რომ ამგვარი გამოსახულებანი მის მონასტერში მზადდებოდა და მომლოცველს შეეძ-ლო ისინი მფარველად წაეღო: G. Garitte, *Version géorgienne de la Vie de sainte Marthe*, CSCO, Louvain, 1968, თავი 54.

[443] E. Takaišvili, "Four Basilican Churches of the Quirila Valley", *Georgica* 1-2, 1936, გვ. 169-172, ტაბ. XX, XXII. ამ ეკლესიის თარიღის გამო იხ.: გ. ბერიძე, *AG* 1, 1942, გვ. 47. ეხვევი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და მისი ხუროთმოძღვრული პლასტიკა მრავალმხრივ მსგავსებას ამჟღავნებს იშხნის კათედრალთან.

ამდიდრეს ახლებური და დიფერენცირებული ორნამენტული სისტემით და საეკლესიო ფასადის მთავარ თემად აქციეს იგი.

სხვადასხვა გეომეტრიული და მცენარეული მოტივით შემკული სარკმელთა წარბები ხშირად გვხვდება სომხურ ტაძრებში. თან აქ ისინი ცალკეულ სარკმელს კი არა რთავს, არამედ, ჩრდილო-სირიული წინასახეების მიდევნებით, სარკმლიდან სარკმელზე გადადის და უწყვეტ სარტყლად იკვრება. განსაცვიფრებელია, მაგრამ აქ ვერ ვნახავთ სარკმელზე სრულად შემოვლებულ საპირეს, ხოლო სვეტებზე ჩამოყრდნობილი წარბი იშვიათობაა და არაფრით უკავშირდება ჩვენს ნიმუშებს. ამ ფორმის ორად-ორი მაგალითი ვიცი: აბუღამრენცის 994 წლის ეკლესიაში ანისს[444] და გოშავანქის 1231 წლის მცირე ეკლესიაში.[445] მართალია, არც ერთს არ გააჩნია საკუთრივ ჩუქურთმიანი საპირე.

ოშკის ფასადთა არქიტექტურული პლასტიკის კვლევის შესაჯამებლად უნდა დავსძინოთ, რომ მას არა მხოლოდ ჩინებული ხელობა, წვრილმანების მიმართ საგულდაგულო ყურადღება და ფორმის მკაფიობა გამოარჩევს, არამედ შუქ-ჩრდილის მახვილთა თავისებური განცდაც და ხუროთმოძღვრულ პლასტიკაში ფერის თამამი გამოყენება, რაც ერთობით ძალზე ზრდის ფასადთა სიცხოველეს.

გამომსახველობის ახალი და ინოვაციური ფორმების ძიება ჩანს სარკმელთა ზედაპირზე და საჭდეებზე გამოკვეთილ ორნამენტთა ტექნიკაშიც. მაგალითად, ჩვეულებრივ რელიეფურ ქანდაკებათა გარდა (ტაბ. 165-170) ოსტატები აკეთებენ ბრტყელზედაპირიან, ჩაკვეთილ კომპოზიციებსაც კონტრასტულად დაფერილ ფონზე (ტაბ. 171), ანდა კვეთენ მცენარეულ ორნამენტს „სგრაფიტოს“ ტექნიკით – წითელი საღებავით გამკვეთრებული ხაზებით ან სულაც დეკორაციული თაბაშირით აჩარჩოებენ სარკმელს (ტაბ. 170).

## 15. მცირე სარკმლები და კარები

მცირე სარკმლები (ტაბ. 168, 172, 182, 185) აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების კიდეებზე და ასევე მათი მიმდებარე კომპარტიმენტების ორივე სართულზეა განთავსებული. არც ერთ მათგანს არ გააჩნია იმგვარი სრული მოჩარჩოება, როგორც ოთხი მკლავის დიდ სარკმლებს, რითაც ხდება შუა ადგილის აქცენტირება. ყველა მათგანი ხაზგასმულია დეკორაციული, თაღოვანი წარბით, რომელნიც ძალზე ნაირგვარი გეომეტრიული და მცენარეული მოტივებითაა შედგენილი. ორგან, აღმოსავლეთ და სამხრეთ ფასადებზე, მცენარეულ სახეებში ფრინველებია ჩართული. ასეთია, მაგალითად, სარკმლის თავსართის ორივე მხარეს მოთავსებული ორი გაშლილფრთებიანი ფრინველი, რომლებიც ერთმანეთს მათი ნისკარტებიდან გამოსული გრძელი მცენარეული ხვეულით უკავშირდებიან (ტაბ. 168). ეს წარმტაცი კომპოზიცია – ერთადერთი საქართველოში – შეიძლება შთაგონებული იყოს ადრექრისტიანული ქანდაკებებით, როგორიცაა V საუკუნის სპილოს ძვლის რელიეფი ვენის ხელოვნების ისტორიის მუზეუმიდან.[446] სხვა სარკმლის თავსართის ორივე მხარეს ერთმანეთის პირისპირ ორი ფრინველია, რომელთა ნისკარტებიდან მარგალიტები ეშვება და მათი აპრეხილი ბოლოები დახვეულია. ასეთი გამოსახულებები, რომლებიც ხშირად გვხვდება ქართულ ხელოვნებაში, სასანური წარმომავლობისაა.[447] სხვა შემთხვევაში მცენარეულ სახეში ჩართულია ლომისა და ხარის ორთაბრძოლა. უკანასკნელი რელიეფი, რომელიც ჩრდილოეთი ფასადის აღმოსავლეთ სარკმელს ამშვენებს, ხანძრისაგან ისეა შერუჯული, რომ თითქმის არ განირჩევა. როგორც წესი, ჩუქურთმის რელიეფი მაღალია, სამხრეთი ფასადის ზემოთ უკვე ნახსენები ორი სარკმლის წარბთა გამოკლებით. ასეა თუ ისე, სარკმელთა მორთულობაც, ტაძრის დან-

[444] O. Халпахчьян, „Церковь Григория рода Абугамренц в Ани и ее место в истории закавзского зодчества“, *Архитектурное наследство* 23, 1975, გვ. 107, სურ. 1, 8-14.

[445] A. Zarian, *Goshavank*, Documenti di architettura armena 7, 1974, გვ. 6, სურ. 24.

[446] W. F. Volbach, *Elfenbeinarbeiten der Spätantike und des frühen Mittelaletrs*[3], Mainz, 1976, № 38, ტაბ. 21.

[447] Djobadze, "Reliefs", გვ. 46.

არჩენ ხუროთმოძღვრულ ნაქანდაკევსავით, ადასტურებს, რომ ოშკში მომუშავე ხელოვანნი ესწრაფოდნენ, შემოქმედებითი სული შთაებერათ ტრადიციული არქიტექტურული ფორმულებისთვის და დახვეწილი ოსტატობის წყალობით მათ შექმნეს შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში უბადლო ძეგლი.

ბიბლიოთეკა

ტაძარს ხუთი შესასვლელი აქვს. ამათგან ორი სამხრეთითაა, ორი – დასავლეთით და ერთიც – ჩრდილოეთ მხარეს. მათი სიგანე 1.62 მ-დან 1.68 მ-დეა. ჩრდილო-დასავლეთის მცირე კარის გარდა (სიგანე 1.00 მ), რომელსაც პატრონიკეზე ავყავართ, კარები ხუფთადაა დამუშავებული, მაგრამ გარედან სრულებით შეუმკობელი. მათ გვიანრომაული პროფილირებული ჩარჩოებიც კი არ გააჩნია, საყოველთაოდ მიღებული ჩრდილოეთ სირიის, მესოპოტამიისა და თვით სომხეთის ეკლესიებში. კარების შემკობას მხოლოდ X საუკუნის ბოლოს (ხახული, სურ. 49) და XI საუკუნის დამდეგს (იშხნის კათედრალი – ტაბ. 293 და გურგენ მეფისეული ეკლესია 1006 წლისა – ტაბ. 309) მიჰყვეს ხელი. აქ შემოთავაზებულ იქნა ორიგინალური გადაწყვეტა. ჩუქურთმათა სახეებიცა და აღნაგობაც სხვაობს სირიის, ტურ აბდინისა და სომხეთის ტაძრების შესასვლელთა მორთულობისაგან.

## 16. ეკლესიის დათარიღება

გაურკვეველია, როგორ მოხდა, რომ ოშკის აგრერიგად მნიშვნელოვანი ტაძარი გაკვრითაც არ იხსენიება ქართულ მატიანეებში. მეორე მხრივ, ისტორიულ წყაროთა ამ ხარვეზს საკმარისად და საკმარისზე მეტადაც ავსებს შუასაუკუნოვან, უმეტესწილად, ოშკის სკრიპტორიუმში გადანუსხულ[448] ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები და, უწინარეს ყოვლისა, თავად ეკლესიის უამრავი წარწერა.

განსაკუთრებით გვეხმარება ეკლესიის დასათარიღებლად ორი წარწერა. ერთი მათგანი სამხრეთი მკლავის კარის ტიმპანზეა მოთავსებული, მეორე კი ასევე სამხრეთ მკლავშია, მეორედ გამოყენებულ ქვაზე დატანილი.

პირველი წარწერა ნერსეს სარგისიანის მიერ გადმოღებული და გამოქვეყნებული მ. ბროსეს, ე. თაყაიშვილის, მოგვიანებით კი ჩემ მიერ,[449] გვამცნობს, რომ ტაძარი აგებულია ადარნასე III-ის (†961) ძეთა, ბაგრატ ერისთავთერისთავისა (†966) და დავით კურაპალატის (†1001) მიერ. წარწერაში ადარნასე კურაპალატის ტიტულით იხსენიება, რომელიც მას 958 წელს ებოძა; ე. თაყაიშვილს, ქართულ მატიანეთა ცნობებზე დაყრდნობით, მიაჩნდა, რომ წარწერის შესრულების დროს იგი ცოცხალი უნდა ყოფილიყო და მან ეკლესიის აგება 958-961 წლების შუალედში ივარაუდა.[450]

მეორე წარწერა მე ვიპოვე და გამოვაქვეყნე (იხ. ქვემოთ, წარწერა 5). იგი სამ საყურადღებო ფაქტს გვატყობინებს: ჯერ ერთი, ტაძრის მშენებლობის მონაწილე ბაგრატ ერისთავთერისთავი გარდაცვლილა პარასკევს, ოქტომბრის ორს 966 წლისას.[451] შემდგომ ეკლესიის მშენებლობა 963 წლის 25 მარტს, ხარებას დაწყებულა. მესამეც, ამავე წარწერებიდან ვგებულობთ, რომ სამი წლის შემდეგ, ბაგრატის გარდაცვალების ჟამს, ეკლესია კვლავაც დაუმთავრებელი ყოფილა. მაგრამ მშენებლობის ხანგრძლივობა შეგვიძლია გამოვითვალოთ ანგელოზის იმ რელიეფის მოშველიებით, ეკლესიის აღმოსავლეთ ფრონტონს რომ ამშვენებდა. მისი წარწერის მიხედვით ტაძარი ათი წელი შენდებოდა.[452] ამგვარად, ოშკის ეკლესიაააგეს ათ წელიწადში გრიგოლის ზედამხედველობით, რომელიც ზოგიერთს იგივე სახელგანთქმული მწიგნობარი გრიგოლ ოშკელი ჰგონია.

მშენებლობის თარიღზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია შემდეგი: 1. სააღმშენებლო წარწერაში ადარნასე III იხსენიება მხოლოდ და მხოლოდ როგორც ქტიტორთა,

---

448 ლ. მენაბდე, *კერები* I, გვ. 449-454.

449 ესა და სხვა წარწერები ქვემოთაა განხილული.

450 ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 50-51, 58; Djobadze, "Relief", გვ. 57.

451 ბაგრატის გარდაცვალების თარიღს ემოწმება ოშკის წარწერაც (ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 55).

452 იქვე, გვ. 36-37.

ბაგრატისა და დავითის, მამა და არა როგორც ქტიტორი. ამასვე გვეუბნება ტაძრის სამხრეთ ფასადზე გამოსახულ ქტიტორთა შორის ადარნასეს რელიეფის არარსებობა. 2. არ არის სწორი ე. თაყაიშვილის მტკიცება,[453] თითქოს სააღმშენებლო წარწერაში თავიდან ყოფილა მშენებლობის დასრულების თარიღი და იგი მოგვიანებით ამოუფხეკიათ. ადგილზე წარწერის შესწავლამ დამარწმუნა, რომ ამგვარ თარიღს ის არასდროს შეიცავდა (იხ. ქვემოთ). მართლაც, მასში დასახელებულია მშენებლობისთვის სხვადასხვა საჭიროებაზე ყოველწლიურად გაწეული ხარჯი და არა მთელი დანახარჯი. ამდენად, იგი მშენებლობის წარმოების საწყის საფეხურზეა შესრულებული, რაც გვიხსნის დასრულების თარიღის მოუხსენიებლობას. 3. ნ. შოშიაშვილის საბუთს,[454] თითქოს ჩვენი წარწერა შენობის დამთავრების შემდეგ უნდა იყოს შესრულებული, რადგან ასეთი იყო ქართველ მომგებელთა ჩვეულება, არ ეთანხმება ხცისის წარწერა (1002), რომელიც გვამცნობს მხოლოდ მშენებლობის დასაწყისის თარიღს და არა მისი დასრულებისას.[455] ნ. შოშიაშვილის არგუმენტი მართებულიც რომ ყოფილიყო, გასათვალისწინებელია, რომ ოშკის ხუროთმოძღვრებაში იმდენი სიახლეა, რამდენსაც საქართველოს ვერც ერთ სხვა ეკლესიაში ვერ ვნახავთ და აქ არც უჩვეულო წარწერა იქნებოდა გასაკვირი. 4. საქტიტორო წარწერის 6-8 სტრიქონები არ გვავალდებულებს ვიფიქროთ, რომ მისი შესრულების დროს ადარნასე ჯერაც ცოცხალია. აქ ნათქვამია: „...ღმერთმან შეეწიენ ორთავე ცხორებათა ძეთა ღმრთივ კურთხეულისა ადარნასე კურაპალატისათა ბაგრატ ერისთავთა ერისთავმან, დავით მაგისტროსმან. სამებამან წმიდამან სამნივე დაიფარენ მარჯუენითა თჳსითა და ადიდენ ორთავე ცხორებათა“ (იხ. ქვემოთ, წარწერა 1).

ყურადსაღებია, რომ პირველ წინადადებაში ადარნასე მხოლოდ ორივე ხელმწიფის მამად იხსენიება და „ღმერთმან შეეწიენ ორთავე ცხორებათა“ მხოლოდ ბაგრატსა და დავითს ეკუთვნის. ამ ადგილას ადარნასეს გამოტოვება გასაგებია, თუკი იგი უკვე გარდაცვლილია. მეორე წინადადებაში ადარნასე მოიხსენიება და ხაზგასმულია, სამივე დაიფაროს წმიდა სამებამ და მარჯვენით თვისით დაამკვიდროსო, რაც ესქატოლოგიური მნიშვნელობის, საშინელ სამსჯავროზე მინიშნებაა. წარწერის ბოლო – „ადიდენ ორთავე ცხორებათა“ – კვლავ მხოლოდ ბაგრატსა და დავითს ეკუთვნის, რადგან წინადადებას გვარიანად თუ არ გაავრცობდა, ოსტატი ვერ მოაცილებდა მათ ადარნასეს.

მეორე წარწერის (იხ. ქვემოთ, წარწერა 5) თავში ნათქვამია: „დავიწყეთ ეკლესიათა ქრონიკონსა რპგ (= 963)“. ტაძრის ნართექსში ერთ ქვაზე დატანილი ეს წარწერა თვით ამ ეკლესიას უნდა გულისხმობდეს და არა ორ უმნიშვნელო სამლოცველოს[456]: მათ ასაშენებლად დიდი ლოდების ხმარება და ხუროთმოძღვრული პლასტიკის სიმწირე გვიჩვენებს, რომ ისინი მთავარ ტაძრამდე რამდენიმე წლით ადრე უნდა იყოს აშენებული. საგულისხმოა ასევე, რომ არც ერთ ამ სამლოცველოს არ გააჩნია წარწერა.

ზემოთ მოყვანილი დოკუმენტური მასალა უეჭველს ხდის, რომ ოშკის ტაძრის შენება 963 წელს დაიწყო და ათ წელიწადში, 973 წელს დასრულდა.

ოშკის ეკლესიამ ჩვენამდე თავდაპირველი სახით, გადაუკეთებლად მოაღწია. მხოლოდ მისი გუმბათის სახურავი გამოაცვლევინეს 1022 და 1025 წლებს შორის ბიზანტიის იმპერატორებმა – ბასილი II-მ და მისმა მემკვიდრემ, კონსტანტინე VIII-მ (იხ. ქვემოთ, წარწერა 14). 1036 წელს მისი ინტერიერი გააცხოველეს ჯოჯიკის მიერ შესრულებული კედლის მხატვრობით (იხ. ქვემოთ, წარწერა 11).

---

[453] ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 49.

[454] *კორპუსი*, გვ. 54.

[455] Р. Шмерлинг, „Древний Цвимоэтский храм близ селения Хциси“, *AG* 4, 1955, გვ. 154-156.

[456] ეს სამლოცველოები მოკლედ აქვს განხილული ე. თაყაიშვილს (*ექსპედიცია*, გვ. 45-46). იხ. ასევე ქვემოთ. ნ. შოშიაშვილის აზრით (*კორპუსი*, გვ. 55), ეს ორი მცირე კამაროვანი სამლოცველო ათი წელიწადი შენდებოდა. თვით ეკლესია კი, რომელიც ამ მხარის ერთი ურთულესი ნაგებობაა, მისი შეხედულებით, სამიოდ წელიწადში იქნა აგებული.

## 17. ოშკის ორი სამლოცველო

ადრეულ მონასტერთა, თუნდაც ხანცთისა და ოპიზის, მსგავსად ოშკსაც ჰქონდა სამლოცველოები და ორატორიუმები, რომელთაგან ორი მონასტრიდან სამხრეთ-დასავლეთით, ასე, 250 მ-ის დაშორებითაა განლაგებული. ისინი ე. თაყაიშვილს აქვს აღნიშნული და მოკლედ აღწერილი[457].

ამათგან უფრო დიდი (სურ. 34) ძალზე დაზიანებულია და მისი გარე პერანგი, ოდესღაც სუფთად დამუშავებული ქვით გამოყვანილი, თითქმის მთლიანად გამქრალია. ე. თაყაიშვი-




34. სამლოცველო A, ეკლესიის სამხრეთით, გეგმა და ჭრილი

ლიც ამბობს და ამას არც შემორჩენილი კედლები ეწინააღმდეგება, რომ ეს იყო კამაროვანი დარბაზული ეკლესია (6.06 × 3.20 მ) აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდითა და წაგრძელებული სწორკუთხა დარბაზით ჩრდილოეთ მხარეს (6.50 × 2.88 მ). უკანასკნელი ეკლესიას ერთადერთი, სამხრეთ-დასავლეთი კარით უკავშირდება. სამშენებლო მასალა და ტექნიკა აქ ისეთივეა, როგორც მთავარ ტაძარში. ერთია, რომ საბჯენი თაღები აქ პილასტრებს კი არა, როგორც ჩვეულებრივ კეთდებოდა X საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული, არამედ, როგორც უფრო ძველ ნაგებობებში იციან, კრონშტაინებს ეყრდნობა.

ტიპოლოგიურად ეკლესია ახლო ენათესავება პარეხთას მონასტრის პირველ ეკლესიასა და არტანუჯის კარის სამლოცველოს, რომელთაც, აგრეთვე, ახლავს ჩრდილოეთი სადგომი. ამგვარი მინაშენები X საუკუნის შუახანის შემდეგაც ასევე საჭირო ყოფილა, რადგან მათ ვხედავთ ოშკის ტაძარშიც (სურ. 27) და, კიდევ უფრო გვიან, ხახულშიც (სურ. 70), სადაც ამგვარი სათავსები ეკლესიის აშენების შემდგომაა დამატებული.

ამ ოთახების დანიშნულებაზე პარეხთას პირველი ეკლესია მიგვახვედრებს და ოშკისა და ხახულის ტაძრები, სადაც ჩრდილოეთ სათავსებში იატაკში ქვევრებია დაყოლებული, რაც მოწმობს, რომ აქ საწყობები ყოფილა და ჟამის წირვის სამზადისი ხდებოდა. ამასვე გვაფიქრებინებს პასტოფორიუმების უქონლობა (პარეხთაში, არტანუჯსა და ჩვენს ეკლესიაში) ან პასტოფორიუმების მცირე ზომა (პარეხთას – სურ. 10 და ესბეკის ეკლესიები). მნიშვნელოვანია, რომ ჩრდილოეთი სადგომები არაა მორთული არც ხუროთმოძღვრული სამკაულით და არც მხატვრობით, რაც მათი ლიტურგიკული მსახურებისთვის გამოუყენებლობას მოწმობს.

---

[457] *ექსპედიცია*, გვ. 45-46.




35. სამლოცველო B, ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით, გეგმა და ჭრილი

მეორე ნაგებობა, მცირე ორატორიუმი (4.30 × 2.50 მ) პირველის დასავლეთით, გორაკის ფერდობზე მდებარეობს (სურ. 35). იგი საკმაოდ კარგადაა დაცული. მე ორჯერ უშედეგოდ ვცადე მისი თივით ამოვსებული ინტერიერის შესწავლა. გარეთა კედლებს მიდგმული აქვს ორატორიუმს შემოყოლებული ნაირ-ნაირი თანამედროვე სათავსი. მისი წყობა – დუღაბის გული, შემოსილი სუფთად დაკუთხვილი მოზრდილი ქვებით – ჩინებულ ხელობას გვიჩვენებს. სახურავი ქვის სწორკუთხა ლორფინისაა. მისი შეზნექილი კარნიზი მორთულია ორმაგი მომარგალიტებული ლილვით შეფერილ ფონზე.[458] ასეთივე ორნამენტული სახეა მოხმარებული სამხრეთი კარის ტიმპანს შემოვლებულ შვერილ თაღზეც (ტაბ. 173). მეორე მხრივ, სამხრეთი სარკმლის ომეგასებრ წარბზე სტილიზებული ნაწილობრივი პალმეტია, რომელიც მოგვაგონებს ოშკის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი კარიბჭის ლამბაქისებრი გუმბათის წიბოსა (ტაბ. 174) და რვაწახნაგა სვეტის კაპიტელის მცენარეულ მოტივს (ტაბ. 148). მცირე სამლოცველოს აღშენების თარიღი უცნობია, მაგრამ მისი სამშენებლო ტექნიკა (დიდრონი, გულდაგულ გათლილი ქვები) და ორნამენტული, თუმც ძალზე მწირი, რეპერტუარის ნათესაობა მთავარი ტაძრისასთან, ასევე მისი სიახლოვე ადგილობრივი მმართველის საცხოვრისთან, გვაფიქრებინებს, რომ იგი მთავარი ტაძრის თანადროული ან მასზე ოდნავ ადრეულიც კია. ასევე შეიძლება საკარაუდოდ დავათარიღოთ ზემოაღწერილი მოზრდილი სამლოცველოც, გარდა მოგვიანებით მიშენებული ჩრდილოეთი სათავსისა.

ამდენად, ჩვენ არ უნდა ავყვეთ ჩვეულებრივ მოსაზრებას, რომ მონასტერთა მომცრო ნაგებობანი მონასტრის მთავარი ტაძრის დასრულების მერმინდელია. ხახულის მონასტერში მცირე ეკლესია მდინარის მარჯვენა ნაპირზე წინ უსწრებს მთავარ ტაძარს. ასევე პარხალშიც, პატარა ეკლესია მთის თავზე მონასტრის მთავარ ეკლესიაზე ადრეა აგებული.

[458] *ექსპედიცია*, გვ. 46; მცენარეული და გეომეტრიული ჩუქურთმებისა თუ არქიტექტურული პლასტიკის ფონზე მეწამულით, ლურჯითა და ოქროთი დაფერვა ოშკში ჩვეულებრივი მოვლენაა.

## 18. სემინარია-სატრაპეზო და სკრიპტორიუმი

ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 40 მეტრში, მდებარეობს სამნავიანი სწორკუთხა შენობა ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს დამატებული კვადრატული სადგომით. ამათგან პირველი მოზრდილი შენობაა, 31.80 მ-ის სიგრძისა და 16.40 მ-ის სიგანისაა. შიგნით ეს ნაგებობა გეგმით ჯვრისებრი ბურჯების ოთხი წყვილით ხუთ თანაბარ უბედაა დაყოფილი. შუა ნავი 6.70 მ-ის სიგანისაა. სამხრეთი ნავი 0.50 მ-ით ვიწროა, მისი კედლები 0.20 მ-ით სქელია, ხოლო ბურჯები აქეთ მხარეს უფრო დიდრონი და რთულია, ვიდრე ჩრდილოეთი ნავისა (ტაბ. 175, 177, სურ. 136). ასეთი აცდენა შეიძლება აეხსნათ ტოპოგრაფიული ვითარებით, რადგან შენობა მოსწორებულ ბაქანზე დგას, რომელმაც მოითხოვა საგანგებო საბჯენი კედლისა და თავად შენობის დასაყრდენის ამოყვანა. იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში თანაბარი შუალედებით გაჭრილი ხუთი დიდრონი სარკმლით ნათდება (ტაბ. 175), თან შეიძლებოდა ადრე არსებულიყო სარკმლები აწ დანგრეულ შუა ნავის კედელშიც. მოპირდაპირე, ჩრდილო-დასავლეთი კედელი უსარკმლო უნდა ყოფილიყო, რადგანაც ამ მხარეს საკმაოდ ციცაბოდ აზიდული მთის ჩრდილი აფენია. დიდი სარკმლებია ორი კარის ახწერივაც. კედლებს ორი პირი აქვს: გარეთ გამოყენებულია ტლანქად გამოთლილი, სწორ რიგებად დაწყობილი ქვები, შიგნით კი, ბურჯების ჩათვლით – კარგად თლილი ქვები. ყველა კედელი სადაა. ე. თაყაიშვილი იხსენიებს აივანს მთავარი ნავის სახურავზე, საიდანაც თვალწარმტაცი გადასახედი ყოფილა და მოჩანდა ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი და ცხოველების რელიეფები გუმბათის ყელის ქვედა კარნიზზე.[459] მე ვერ შევისწავლე ეს აივანი, ვინაიდან შუა ნავის სახურავი ახლა მთლიანად განადგურებულია.

ამ მხარის სხვა მონასტრებშიც (ხანცთა, ოპიზა, ოთხთა ეკლესია) მოიპოვება მსგავსი ზომისა და გეგმარების შენობები ე. თაყაიშვილი მართალი უნდა იყოს, მათ სატრაპეზოებად, ამასთან კი, შესაძლოა, სემინარიებად რომ მიიჩნევს.

სატრაპეზოზე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მიდგმულია კვადრატული გუმბათოვანი შენობა (7.00 $მ^2$), ტრომპებითა და ერდოთი ნახევარსფერულ გუმბათში (სურ. 36). იგი განსხვავდება ამ რეგიონისათვის ჩვეულ გუმბათიან შენობათაგან, რადგან გუმბათი აქ პირდაპირ კვადრატზეა ამოყვანილი, ყელით გაშუალების გარეშე, იმგვარად, როგორც სარვისტანის სასანურ სასახლეში. აიღო რა ხელი ყელის გამართვაზე, – რომელიც მუდამ მოეთხოვებოდა გუმბათიან ეკლესიას, – ოსტატმა შექმნა კომპაქტური, ერთიანი საზეიმო სივრცე. ეს სათავსი შეიძლება მონასტრის სკრიპტორიუმი და ბიბლიოთეკა ყოფილიყო. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ოშკი სწავლისა და მწიგნობრობის დიდი კერა იყო, სადაც ცხოვრობდა არაერთი თვალსაჩინო მწიგნობარი, ღმრთისმეტყველი, ჰიმნოგრაფი თუ სახელმწიფო მოღვაწე, თუნდაც გრიგოლ ოშკელი, რომელმაც X საუკუნის მეორე ნახევარში თარგმნა სომხურიდან წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის „საკითხავი თქმული სამხილებელი არიანოზთა და ევნომიანოსთაჲ ბოროტ უწყსობისაჲ“ (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული A-87).[460] 977 წელს სტეფანე დიაკონმა ბერძნულიდან თარგმნა იოანე მოსხის „სამოთხე“, დაცული ათონის ივირონის მონასტერში (№ 9).[461] აქვე ინახება იოანე ჩირაჲს ნაშრომიც (№ 3), რომელიც ოშკში იღწოდა და წმ. იოანე ოქროპირის „ცხორება“ უთარგმნია.[462] უკანასკნელი ორი ხელნაწერის ანდერძებიდან ვიცით, რომ ისინი დაუკვეთიათ სწავლა-მწერლობის მფარველთ, იოანე-თორნიკესა და მის ძმას, იოანე ვარაზვაჩეს. ეს ის იოანე-თორნიკეა, თვალსაჩინო არისტოკრატი და გამოჩენილი მხედართმთავარი, რომელიც, ვიდრე იგი საერო წარჩინებას ბერის სენაკზე გაცვლიდა, დავით კურაპალატმა

---

[459] *ექსპედიცია*, ტაბ. 80-83, 79 (გეგმა).

[460] *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. A კოლექცია*, გამოცემული ე. მეტრეველის მიერ (1973), გვ. 308, § 37; კ. კეკელიძე, *ეტიუდები* 5, 1957, გვ. 30. გრიგოლ ოშკელის სამწერლო მოღვაწეობის შესახებ იხ.: M. Tarchnišvili, J. Assfalg, *Geschichte der kirchlichen georgischen Literatur*, Vatican, 1955, გვ. 114-115.

[461] Blake, "Catalogue-Atos", *ROC* 28, 1931-1932, გვ. 329 და შემდგომ, § 37 და ანდერძი გვ. 337-338-ზე.

[462] იქვე. გვ. 309-310.

ეროვნული ბიბლიოთეკა




36. სატრაპეზო, გეგმა

თორმეტი ათას მხედარს უთავა და ბასილი II-ის წინააღმდეგ ამბოხებულ ბარდა სკლიაროსთან საბრძოლველად გაგზავნა. ამავე თორნიკემ დაუკვეთა ბიბლიის უძველესი და ყველაზე სრული ხელნაწერი, ამჟამად ივირონის მონასტერში დაცული (№1).[463] ამ ხელნაწერის ანდერძ-მინაწერები შემდეგ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ჴელითა სამთა მწერალთაჲთა: მიქელისათა, გეორგისითა და სტეფანესითა. ოდეს ესე წიგნი დაიწერა, ქრონიკონი რჲჱ (=198; 198+780=978). შეიმოსა ჴელითა გლახაკისა სტეფანესითა“ (ფ. 428). იმავე ხელნაწერის მეორე ანდერძში ნათქვამია: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ლავრასა შინა დიდსა ოშკს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემელისასა სალოცველად სულკურთხეულისა თორნიკ სუნგელოზისათჳს და შვილთა მისთა“ (ფ. 219). იგი შეიცავს თვით თორნიკეს ანდერძსაც: „მე, იოვანე, თორნიკყოფილმან, ძემან სულკურთხეულისა ჩორდვანელისამან მოვიგე წმიდაჲ ესე წიგნი მეფეთაჲ სალოცველად თავისა ჩემისა და ძმათა ჩემთა და შვილთა ჩემთათჳს და მოსაჴსენებლად სულთა ყოველთა მიცვალებულთა ჩემთასა“ (ფ. 428). ჩვენს მონასტერში მოღვაწეობდა სახელგანთქმული მგოსანი და ჰიმნოგრაფი მიქელ მოდრეკილიც. მან მრავალი საგალობელი შექმნა (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, S-425).

1030 წელს აქ გადაიწერა და მოიხატა ილარიონ[464] იშხნელი ეპისკოპოსის დაკვეთით მესტიის ოთხთავი (ტაბ. 178). აღსანიშნავია, რომ ამ ოთხთავის დასურათებას ბიზანტიური ნიმუშების თამამი მოშველიება ემჩნევა,[465] რაც ასახავს ამ მხარის აქტიურ პოლიტიკურსა და კულტურულ ურთიერთობას კონსტანტინოპოლთან.

ოშკის ტაძარში მრავლად იქნებოდა სამღვდელმსახურო ჭურჭელი და სხვადასხვა ჯვარი, რომელთაგან არაფერი შემოგვრჩა, გარდა ერთი, მისი აღმაშენებლის, დავით კურაპალატის მიერ დაკვეთილი ვერცხლის საწინამძღვრო ჯვრისა (ტაბ. 179). მისი ქვედა მკლავის ზურგზე დაცული წარწერის მიხედვით (ტაბ. 180) იგი X საუკუნის მიწურულს შეუსრულებია ასათ ოქრომჭედელს.[466]

## 19. წარწერები

ოშკი არა მხოლოდ ყველაზე დიდი და სტრუქტურულად ურთულესი, ყველაზე მეტად შემკული და გამორჩეულია ტაო-კლარჯეთში დავითის მიერ დაარსებულ ეკლესიათაგან, არამედ წარწერებითაც ყველაზე მდიდარი. ისინი 963-1036 წლებისაა და რაკი მათი უმრავლესობა ეკლესიის აღშენების საწყისი საფეხურის დროისაა (963-966 წლები), ტაოს ხელმწიფეთა – დავითისა და ბაგრატის ვედრების შემცველი, მათ საქტიტორო და მოსახსენებელი შინაარსიც აქვთ. ერთი წარწერა, რომელიც გვამცნობს ბიზანტიელ იმპერატორთა, ბასილი II-ისა (976-1025) და კონსტანტინე VIII-ის (1025-1028) მიერ ეკლესიის სახურავის ახლად გამართვას, დაახლოებით 1020-1028 წლებისაა. მეორე, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა (†966) და ბასილი II-ის (†1025) განსვენების მაუწყებელი, 1025 წლისაა; უგვიანესი 1036 წლის კედლის მხატვრობას მიეკუთვნება.

ყველა წარწერა კედლების გარე პირზე ჩაკვეთით, მრგვლოვანი დამწერლობითაა შესრულებული. ზოგიერთი მათგანი სინგურითაა შეღებილი. ინტერიერის წარწერები სხვადასხვა ფერადებითაა დატანილი მოხატულობაზე, სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის ნიშის გამოკლებით, სადაც ის ქვის სწორ ზედაპირზე სინგურითაა დამჩნეული.

აქ წარმოდგენილ წარწერათაგან № 3, 4, 5, 8, 9 და 10 ჩემ მიერაა მიკვლეული და გამოქვეყნებული სხვადასხვა შემთხვევის გამო. № 1, 2, 6 და 7 მ. ბროსესა და ე. თაყაიშვილს აქვთ გამოქვეყნებული. ისინი მეც შევისწავლე ადგილზე და შემომაქვს ჩემი იკითხვი-

---

[463] იქვე, გვ. 301, 304. ოშკის ბიბლია ვრცლადაა აღწერილი და გაანალიზებული ამავე ავტორის მიერ: “The Athos Codex of the Georgian Old Testament”, *Harvard Theological Review* 1, 1929, გვ. 39-56; მისივე, “Catalogue-Athos”, vol. 28, გვ. 301-304.

[464] Р. Шмерлинг, *Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI столетий* (1979), გვ. 133.

[465] იქვე, გვ. 136-137, ტაბ. 38-40.

[466] Г. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство* I, 1959, გვ. 161-169.

სები, ჩემი წინამორბედების წანაკითხის შევსება-გასწორების იმედით. დანარჩენები (№ 11-17) ასევე ხსენებულ სწავლულებს აქვთ გამოქვეყნებული, მაგრამ ისინი ან გახუნდა თუ უკიდურესად დაზიანდა, ანდა საერთოდ გაქრა და ველარ გადავამოწმე.

I. მომგებელთა წარწერა სამხრეთი მკლავის კარის ტიმპანზე (ტაბ. 181, სურ. 37). სინგურით ნაწერი თორმეტი სტრიქონი განუკვეთელია, ქარაგმები სწორი ჰორიზონტალური ხაზებითაა დატანილი.[467]



37. ქტიტორის წარწერა სამხრეთი მკლავის ტიმპანის ქვაზე

1. მოწყალებითა ღ(მრ)თისაჲთა რ(ომე)ლი სცავს ყ(ოვე)ლთა მოშ(ი)შთა მ(ი)სთა და წაროუმართ(ე)ბს მოყოვარეთა სახელისა მისისათა ყ(ოვე)ლთა ს(ა)ქმ(ე)
2. თა ქ(ე)თ(ი)ლთა ამის წ(მი)დისა ს(ა)მ(ე)ბ(ი)სა სარწმოუნოვებ(ი)თა და მ(ეო)ხ(ე)ბ(ი)თა წ(მი)დისა დ(ე)დოფლისა ჩ(უე)ნისა ღ(მრ)თ(ი)სმშობ(ე)ლისაჲთა მ(ა)დლითა წ(მი)დ(ა)ჲსა ძ(ე)ლისა ცხორებისაჲ
3. თა შეწ(ე)ვნითა და მეოხ(ე)ბ(ი)თა დიდებოულისა ნათლი[ს]მცემელისაჲთა და ყ(ოვე)ლთა წმიდაჲთაჲთა რ(ომელ)ნი საოუკოუნითგ(ა)ნ სათნო ეყ(უ)ნ(ე)ს ღ(მერ)თსა ამათ ყ(ოვე)ლთა
4. წმიდათა სადიდებ(ე)ლ(ა)დ და საქებ(ე)ლ(ა)დ იწყ(ე)ს ღ(მრ)თივ გოურგოჳნოს(ა)ნთა მ(ე)ფ(ო)ა ჩ(უე)ნთა შ(ე)ნ(ე)ბ(ა)დ ამის წმიდისა ს(ა)ყდრისა რ(ა)თა ამას შ(ი)ნა აღესროულებოდიან დღესა
5. სწაოულნი და შეიმკვებოდიან ჴსენებ(ა)ნი წმიდათანი ვ(ითარ)ც(ა) წერილ არს ჴსენებასა წმიდათასა ეზიარებოდ(ე)თ ამათ ყ(ოვე)ლთა წმიდათა სოურვილითა
6. ამათ დიდებოუ[ლ]თა მ(ე)ფ(ე)თა ჩ(უე)ნთა ოუშოურვ(ე)ლ ყ(უ)ნენ საფას(ე)ნი წარმავ(ა)ლნი წარ[ო]ჳვალისა მ(ი)სთოჳის რ(ა)თა ყ(ოველ)ნი წმიდანი შემწ(ე)დ მოიგნენ და ღმერთმან შ(ეე)წ(იე)ნ ორთავე
7. ცხორებ(ა)თა ძ(ე)თა ღ(მრ)თ(ი)ვ კოურთხეოულისა ადარნასე კოურაპალატისათა ბ(ა)გრ(ა)ტ ერისთავთა ერისთ(ა)ვმ(ა)ნ დავით მაგისტროსმ(ა)ნ სამებამ(ა)ნ წმიდამან
8. სამნივე დაიფარენ მარჯოუენითა თ(ჳ)სითა და ა(დი)დ(ე)ნ ორთავე ცხორებ(ა)თა და მე გრიგოლ ღირს მყო ღ(მერთმა)ნ მსახოურებ(ა)სა ამას მ(ა)თსა ღ(მრ)თისა მიმართ და მე ვიყ

[467] Brosset, "Inscriptions", გვ. 7-9, ტაბ. I, №1; ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 46-51, სურ. 27, წარწერა I. უახლესი დაწვრილებითი ცნობები წარწერაზე: Djobadze, "Churches", გვ. 123-128, სურ. C, ტაბ. IV.

9. ავ სა[ქ]მესა ზ(ედ)ა-მ[დ]გომი და არწმოჳნა ღ(მერთმა)ნ გონებასა მ(ა)თსა ერთ-გოჳლობაჲ ჩ(ე)მი მ(ო)ნისა მ(ა)თისაჲ ესე იყო გალატოზთა და მოქმედთა მიზდი და აზავერთა მექოჳიშე

10. თაჲ რ(ომე)ელ წელიწადსა წარეგების დრამაჲ :კ: ათასი დოჳინოჲ ფ(ის)ხი :ჳ: რკინაჲ ლიტრი :ნ: ხოჳარბალი გრივი :ს:მ:ი: გალატოზი და ხო[ჳ]როჲ და მჭედელი რ(ომე)[ლ მა]რადის შ(ჳ)რებო.

11. და ჲ:ი: ჭ(ა)რი რ(ომ)ელ ქვასა კრ(ე)ბდა :ლ: ჯორი და სხ(ჳ)აჲ აზავერი რ(ომე)ლ გრიგოჳლ-წმიდით სპონდიკსა კრ(ე)ბდა :ლ: სხოჳაჲ აზავერი რ(ომე)ლ [———] [კრ(ე)]ბდა :ჲ: [———]

12. ჲდა [——] [ყი] ერი და მოქმედი :პ:

ამგვარად, ამ იშვიათად მრავლისმეტყველი წარწერით ჩვენ ვგებულობთ არა მხოლოდ ქტიტორთა (ბაგრატ ერისთავთერისთავი და დავით კურაპალატი) და მშენებლობის ზედამდგომლის (გრიგოლი) სახელებს, არამედ ასევე მონასტრის ყოველწლიური ხარჯების (20.000 დრამა), ნატურალური გადასახადისა (ღვინის 5.000 ფისოხი და მარცვლეულის 250 გრივი) და მშენებლობის საჭირო მასალის (ქვიშა, ქვიშაქვა, მსუბუქი ფოროვანი ქვა – სპონდიკი და რკინის 50 ლიტრა) ოდენობასაც. მუდმივად მომუშავე გალატოზნი, მშენებელნი და მჭედელნი 50-ნი ყოფილან: მშენებლობაში სულ 80 კაცი მონაწილეობდა, ქვებს 30 ხარი ეზიდებოდა, 30 იყო ფოროვანი ქვის მომტანი ჯორი და სხვა პირუტყვიც.

წარწერა არ შეიცავს ეკლესიის მშენებლობის დასრულების თარიღს. იგი ბაგრატ ერისთავის სიცოცხლეშია დაწერილი. ასე რომ, ეს წარწერა 963 და 966 წლებს შუა თავსდება.

2. აღმოსავლეთ ფასადზე, აფსიდის სამხრეთ პირზე, წნულით მორთული სარკმლის წარბის თავზე ოთხსტრიქონიანი საქტიტორო წარწერაა (ტაბ. 182. სურ. 38). ჩაღრმავებული მრგვლოვანი ასოები სინგურითაა შეღებილი. ეს დიდი მონოლითური ქვა შუაზეა გახეთქილი. ზევით იგი სამკუთხოვნადაა ამოტეხილი, რის გამოც დაკარგულია პირველი სტრიქონის ორი ასო, რომლის აღდგენა ძნელი არ არის. სიტყვები განუკვეთელია. ქარაგმის ნიშნებად სწორი ჰორიზონტალური ხაზებია წერტილებით თავ-ბოლოში. ეს წარწერა გამოქვეყნებული აქვთ მ. ბროსესა[468] და ე. თაყაიშვილს.[469]



38. წარწერა აფსიდის სამხრეთი ფასადზე

1. ქ(რისტ)ე ძ(ე)ო ღ(მრთი)ს(ა)ო ად(ი)დ(ე)ნ მ(ე)ფ(ე)ნი ჩ(უენ)ნი მო(ნა)ნი შ(ენ)ნი ბ(ა)გრ(ა)ტ და დ(ავი)თ
2. ორს(ა)ვე ცხ(ო)რ(ე)ბ(ა)სა წ(მიდა)ო ნ(ა)თლის მც(ემე)ლო მეოხ და მფ(ა)რვ(ე)ლ ეყ(ა)ვ აზ
3. ნაორნი და მსახორნი[470] მათნი დაჲცვენ მ(ა)მ(ა)ჲ მ(ი)ქ(ე)ლ
4. და მ(ა)მ(ა)ჲ ი(ო)ვ(ა)ნე და გრ(ი)გ(ო)ლ ყ(ოვ)ლ(ი)ს(ა)გ(ა)ნ[471] ბ(ო)რ(ო)ტისაგ(ა)ნ.

---

[468] "Inscriptions", გვ. 9, 10, ტაბ. II, № 4.

[469] *ექსპედიცია*, გვ. 51, 52, სურ. 28, წარწერა II.

[470] უნდა იყოს: „აზნაურთა და მსახურთა მათთა".

[471] უნდა იყოს: „ყოვლისა".

გარკვეული მოსაზრებებით, ეს წარწერაც, № 1, 3 და 8-ის მსგავსად – ტაძრის მშენებლობის ადრეულ ხანას, 963-966 წლებს უნდა მიეკუთვნებოდეს.

3-4. ეს წარწერები ახარჩოებს სამხრეთ-დასავლეთი გუმბათქვეშა ბურჯის ნიჟარიანი ნიშის (იხ. ზემოთ) ორივე მხარეს მოთავსებულ ოშკის მაშენებელთა – დავითისა და მისი ძმის, ბაგრატის, რელიეფურ ბიუსტებს (ტაბ. 135, 136, 137, სურ. 39 ა, ბ). წარწერა წითელი საღებავითაა შესრულებული. ხაზების რაოდენობა მიახლოებით ტოლია – კონქის სამხრეთით გამოსახულ დავითს 13 სტრიქონი ახლავს, ბაგრატს კი 14. ამ წარწერებს 1973 წელს მივაკვლიე.[472]



39ა. წარწერა ნიჟარიანი ნიშის დავითის რელიეფზე



39ბ. წარწერა ნიჟარიანი ნიშის ბაგრატის რელიეფზე

| | | | |
|---|---|---|---|
| ღ(მრ)თ(ი)ს | წ. მონა | წ(მიდა)ჲ ნათ | მ(ე)ფჱ ჩ(უე)ნი |
| მშო | ჲ ღ(მრ)თისაჲ | ლი | ბ(ა)გრ(ა)ტ ერის |
| ბელი | დ(ა)ვ(ი)თ მ(ა)გის | სმ | თავთა |
| | ტროსი მა(შენე) | ცე | ერისთა |
| | ბელი წ(მი)დი | მე | ვი მაშ(ე)ნ(ე)ბ(ე)(ლ |
| | სა ამის | ლი | ი წ(მი)დისა |
| | ს(ა)ყდრ | | ამის |
| | ისა | | ს(ა)ყდ |
| | ა(დი) | | რის |
| | დ(ე) | | ქ(რისტ)ე |
| | ნ | | ა |
| | ღ(მერთმა)ნ | | დ(ი) |
| | ა(მე)ნ | | დ(ე)ნ |
| | | | ა(მე)ნ |

ვინაიდან ტაძრის მშენებლობა 963 წელს დაიწყო, ბაგრატი (✝966) ცოცხალი იხსენიება, ხოლო მისი ძმა მაგისტროსის წოდებას ატარებს, რომელიც მას მამის, ადარნასეს გარდაცვალების შემდეგ (961 წელს) მიენიჭა, წარწერა ბაგრატის გარდაცვალებამდე (966 წ.) ცოტა ხნით ადრე უნდა იყოს შესრულებული.

---

[472] Djobadze, "Reliefs", გვ. 53-56, ტაბ. VII, XII-XIV.

5. საქტიტორო წარწერა საგანგებოდ გათლილი ქვიშაქვის ფილაზე (მაქსიმალური სიმაღლე 1.27 მ, სიგანე 0.60 მ), რომელიც მეორედ გამოიყენეს სამხრეთი მკლავის კედელში (სადაც მეწეთი იყო გამართული),[473] ოშკის წარწერათა უმრავლესობასავით, სინგურითაა ნაწერი. სტრიქონები თანაბრად არის დაშორიშორებული (ტაბ. 183, სურ. 40). მრგვლოვანი ასოების ზომა ცოტათი თუ იცვლება (სიმაღლე 0.025 მ, სიგანე 0.023 მ), მანძილი სტრიქონებს შუა დაახლოებით 0.02-ია. წინადადებების ბოლოში დეფისით გაყოფილი ორწერტილი უზის. წარწერა 12 სტრიქონს შეიცავს, რომელთაგან ასე თუ ისე იკითხება ცხრა:



1. დაიწყეთ ეკლესიათა ქრო
2. ნიკონსა: - რპგ: - მარტსა: - კ [ე] |
3. დღესა ხარებასა: - აღესროუ
4. ლა ბაგრატ ერისთავთა ერ
5. ერისთავი: - ეკლესი(ი)ს ამის მა
6. შენებელი: - ქრონიკ(ო)ნსა რპვ
7. ოკდ(ო)ნბერსა: - ბ: - დღესა: - ს [აშ] |
8. თშ(ა)ბათსა: - დიდებ(უ)ლმცა არს
9. ს(უ)ლ(ი მ(ა)თი და ადიდენ ღ(მერთმა)ნ დ(ავი)თ
10. [—] მ(ა)ნ მ(ა)თმ(ა)ნ [——]
11. —— ბე დაგ [————]
12. [——] თისა [———] ბ

40. ქტიტორის წარწერა სამხრეთ მკლავში

აქედან ორ მნიშვნელოვან ფაქტს ვგებულობთ: ჯერ ერთი, ბაგრატ ერისთავთერისთავი 966 წლის 2 ოქტომბერს, სამშაბათს გარდაცვლილა[474] და, რაც მთავარია, ეკლესიის მშენებლობა 963 წლის მარტს, ხარება დღეს დაწყებულა. სამწუხაროდ, არაა მოცემული მშენებლობის დამთავრების თარიღი, მაგრამ ეს ხარვეზი შეიძლება შეივსოს ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული აღმოსავლეთი ფასადის ფრონტონის წარწერით. იგი გვამცნობს, რომ ტაძარი ათ წელიწადში აშენდა,[475] ამდენად, 963 და 973 წლებს შუა.[476] წარწერა სადღაც ბაგრატის გარდაცვალებასა და ტაძრის მშენებლობის დასრულებას შორის თავსდება.

6. დასავლეთი გარე კედლის სამხრეთი კარის ქვედა კიდესთან სინგურითაა დატანილი გრძელი, ვიწრო მრგვლოვანი წარწერა. იგი მიახლოებით 27 სტრიქონს შეიცავს, რომელთაგან უთუობით მხოლოდ ზედა 15 სტრიქონი იკითხება. ასოები 0.046 მ სიმაღლისაა და 0.035 მ სიგანისა (ტაბ. 184, სურ. 41) პირველად იგი მ. ბროსემ გამოსცა,[477] მოგვიანებით კი ე. თაყაიშვილმა,[478] რომელმაც თავისი იკითხვისი მ. ბროსეს ტრანსკრიფციას დააფუძნა. ფოტოსურათი არ გამოქვეყნებულა და წარწერის ადგილმდებარეობაც ორივეგან არასწორადაა მითითებული:

[473] Djobadze, "Observations", გვ. 58-61, ტაბ. VIII; ნ. შოშიაშვილი, *კორპუსი*, გვ. 52-53.
[474] ამ თარიღს ემოწმება დასავლეთი ბჯის სამხრეთი შესასვლელის ტიმპანის აწ დაკარგული წარწერა (ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 55, წარწერა X).
[475] იქვე, გვ. 36-37, ტაბ. 55.
[476] Djobadze, "Observations", გვ. 58-61.
[477] "Inscriptions", გვ. 9, № 2.
[478] *ექსპედიცია*, გვ. 54-55, სურ. 32, წარწერა IX.



1. ქ ი(ეს)უ ქ(რისტ)ე მეოხებითა
2. წ()მი)დისა ღ(მრ)თისმშო
3. ბელისაჲთა და
4. წ(მი)დისა იოვანე
5. ნათლისმცემე
6. ლისაჲთა და
7. წ(მი)დისა ძელისა
8. ცხორებისაჲთ
9. ა და ყ(ოვე)ლთა წ(მი)და
10. თა(ჲ)თა ადიდენ
11. მეფენი ჩ(უენ)ნი წ(ინაშ)ე შ
12. ენსა მაშენე
13. ბელ(ნ)ი ამის ეკლ
14. ესი(ი)სანი ბაგრ
15. ატ ერისთავთ
16. ა [ერისთავი]

41. წარწერა სამხრეთ მკლავის კარში

ეს წარწერა ისევე როგორც № 5, და იმ მოსაზრებითვე 963-966 წლებით უნდა დათარიღდეს.

7. აღმოსავლეთ ფასადზე, სამხრეთი პასტოფორიუმის ჩუქურთმიანი წარბის ჩრდილოეთი ნახევრის ქვის ნაპირის გაყოლებით არასრული ერთსტრიქონიანი მრგვლოვანი წარწერაა (ტაბ. 185, სურ. 42):



42. წარწერა აღმოსავლეთ ფასადზე სარკმლის საპირეზე

**ქ მეფესა ჩ(უ)ენ(ს)ა ბაგრ(ა)ტ ერი(ს)თავთა ერისთ(ა)ვსა [მეოჴ ეყავ]...**

ოშკის წარწერებში მიღებული მოსახსენიებელი ფორმულის მიხედვით აქ უნდა აღდგეს „მეოხ ეყავ".

ამ წარწერის თარიღი 963 და 966 წლებს შუა უნდა დაისვას იმავე მოსაზრებით, რაც № 1, 6 და 8 წარწერებისა. არ ვიცით, რატომაა იგი დაუბოლოებელი. იქნებ ბაგრატის უეცარი სიკვდილის გამო? ამ შემთხვევაში ხომ წარწერა მთლიანად უნდა შეეცვალათ? ის გამოქვეყნებული აქვს ე. თაყაიშვილს,[479] მრგვლოვანი გადმონახატისა და ფოტოსურათის გარეშე.

8. სამხრეთი პასტოფორიუმის სამხრეთ კედელზე „ვედრების" რელიეფზე, ქვაზე, სადაც ქრისტეს რელიეფია, ქვედა კუთხეში დარჩენილია ახლა მთლიანად გადასული ვერტიკალური ვიწრო წარწერის ორი ასო (ტაბ. 186. სურ. 43):

---

[479] *ექსპედიცია*, 52, წარწერა III; აქ არაა წარწერის გადმონახატი ან ფოტოსურათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



43. ქრისტეს წარწერის ფრაგმენტები ვედრების კომპოზიციაში; პასტოფორიუმის სამხრეთი კედელი

ეს ასოები, რომელნიც შეიძლება ვერც შენიშნოთ, დაზიანებულია, მაგრამ მათი აღდგენა ადვილად ხერხდება. ისინი რამდენიმე გარემოების გამოა მნიშვნელოვანი. 1. ისინი მეტად სხვაობს ოშკის სხვა ქვაზე კვეთილი წარწერებისგან უაღრესად გულმოდგინე შესრულებით. ისეთივე დახვეწილი ხელობით, როგორც „ვედრების“ ფიგურული გამოსახულებანი. ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ისინი თვით „ვედრების“ შემსრულებელმა ოსტატმა გამოკვეთა. 2. ისინი უადრესი ნიმუშია სრულად განვითარებული „წაისრული“ ან „ტყუბწვეტოვანი“ მრგვლოვანი დამწერლობისა, რომლის აყვავების დრო XI საუკუნის დასაწყისია (იხ. 1030 წლის სამთავისის ტაძარი). 3. ეს ასოები სუფიქსად უნდა ჰქონოდა ქვედა სიტყვას ვიწრო ვერტიკალური წარწერისა, რომელიც ქრისტეს აღმოსავლეთ მხარეს ისევე ჩამოსდევდა, როგორც დაახლოებით თანადროულ კონსტანტინოპოლურ სპილოს ძვლის ნაკეთობებზე არის, მაგალითად – კონსტანტინე პორფიროგენეტოსის მეფედ კურთხევის გამოსახულებაზე (დაახლოებით 945 წ.) მოსკოვის ხელოვნების მუზეუმში.[480] ასონიშნების სტილი და აწ გამქრალი ვერტიკალური წარწერა გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი ოსტატი კარგად იცნობდა X საუკუნის კონსტანტინოპოლურ ნამუშევრებს.

9. სამხრეთი მკლავის აფსიდის მოხატულობაში „ვედრების“ ქრისტეს უპრყია გაშლილი გრაგნილი ლამაზად და წესიერად ნაწერი მრგვლოვანი ასოებით, რომელნიც დამახასიათებელია XI საუკუნის პირველი ნახევრისათვის. წარწერის ზედა ნაწილი, გარდა დაზიანებული პირველი ხაზისა, ცხრა სტრიქონს შეიცავს. იგი ადვილად იკითხება: გრაგნილის ქვედა ნაწილი შებათქაშებულია:



კრ(ა)ვო ღ(მრ)თის(ა)ო
ს(ო)ფლ(ი)სა ც(ო)დვ
ათა ამხ(უ)მ(ე)ლო
გ(ე)ვ(ე)დრ(ე)ბი ვ(ითარ)ცა
წ(ი)ნ(ა)მ(ო)რბ(ე)დი და მ
(ე)გ(ო)ბ(ა)რი იხილე ოჳძლ
ოჳრ(ე)ბ(ა)ჲ გ(ო)ნ(ე)ბ(ი)ს(ა)ჲ რ(ომელ)იც
ა შ(ე)მოსე: ოჳლხინე
მ(ეო)ხ(ე)ბ(ი)თა ვ(ითარ)ცა ღ(მრ)თ(ი)ს მ...

44. სავედრებელი წარწერა სამხრეთი მკლავის აფსიდში

ეს ტექსტი, უთუოდ, წმ. წინამორბედის ვედრებაა, რომელიც უკვე შესმენილ იქნა მაცხოვრის მიერ და მისი შინაარსი საყურადღებოა „ვედრების“ იდეის გასაგებად,[481] წარ-

[480] Goldschmidt-Weitzmann, *Elfenbeinskulpturen*, II, № 35.

[481] ამის თაობაზე იხ.: Djobadze, "Deesis", გვ. 168-182, ქ-ნი ნ. ტიერი თაყაიშვილის მიხედვით (*ექსპედიცია*, რუს. გამოცემის გვ. 54) შეცდომით მიიჩნევს შუალა ფიგურას იოანე ნათლისმცემლად და არა ქრისტედ ("Peintures historiques d'Oski (Tao)", *Revue des études géorgiennes et caucasiennes* 2, 1986, გვ. 136), ქრისტეს მარცხნივ მდგომ ფიგურას კი – ოშკის მოხატულობათა მომგებელ ჯოჯიკად. ამ

წერა 1036 წლისა უნდა იყოს, როდესაც ჯოჯიკმა ეკლესია კედლის მხატვრობით შეამკობინა.[482]

10. არასრული მრგვლოვანი წარწერა, შემონახული სამხრეთი მკლავის აფსიდში (ტაბ. 118, სურ. 45):

**ႡႠႬႠႱႠ ႤႩႪႤႱႨჂ ႣႠႫ** ბანასა ეკლესი(ა)ჲ დამ...

45. დაუსრულებელი წარწერა სამხრეთი მკლავის აფსიდში

ქვემოთ მოგვყავს ე. თაყაიშვილის მიერ 1917 წელს ადგილზე შესწავლილი წარწერები, რომელნიც ახლა ან ჩამოფხეკილია, ან გადასული, ანდა სრულებით გამქრალი.

11. აღმოსავლეთი აფსიდის შიდა პირზე, აღსაყდრებული ქრისტეს ფერწერული გამოსახულების ქვემოთ ორსტრიქონიანი მრგვლოვანი წარწერაა. მისი თავი და ბოლო გაუჩინარებულია.

**...განვაშუენე და შევამკე ტაძარი წმიდისა წინამორბედისაჲ საფასჲთა სულ-კურთხეულისა ჯოჯიკ პატრიკისაჲთა, აკურთხენ ღმერთმან და ადიდენ! ქორონიკონსა: სნვ (1036) ბერძენთა...**[483]

წარწერაში ნახსენები ჯოჯიკი, რომლის შემოწირულობით მოიხატა ტაძარი, ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე და დორისტოლონის სტრატეგოსი იყო, ტაოს მფლისწული, თევდატის ძე და ბიძა ფარსისა, რომელთაც იხსენიებენ „მატიანე ქართლისა“ და XI საუკუნის მემატიანე სუმბატ დავითის ძე.[484] მისი წოდება – „პატრიკიოსი“ მოწმობს, რომ იგი ბიზანტიელთა სამსახურში ყოფილა და რაღაც ადმინისტრაციული თანამდებობა ჰქონია ტაოს იმ ნაწილში, რომელიც დაისაკუთრა ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-მ.

12. სამხრეთ-დასავლეთ კარიბჭეში მოქცეული სამხრეთი კარის ტიმპანზე იყო ორსტრიქონიანი, ამჟამად დაღუპული წარწერა:

**გარდაიცვალა თუთმპყრობელი წმიდაჲ მეფჱ ბერძენთა ბასილი ქრონიკონსა: სმე (1025) თუესა დეკემბერსა იბ (12) დღესა კჳრიაკესა, ღმერთმან სული მისი წმიდათა მეფეთა თანა დააწესოს!**[485]

ჩვენი წარწერა ეთანხმება ბერძნულ წყაროებს, რომელთა ცნობით ბასილი II აღესრულა 1025 წლის 12 დეკემბერს, პარასკევს – და არა კვირადღეს, როგორც აქაა ნათქვამი.

13. ამავე ტიმპანზე ყოფილა სხვა მოსახსენიებელი წარწერაც:

**ჴსენებაჲ არს ბაგრატ მეფისაჲ (ამას დღესა გარდაიცვალა ს(ულითა კურთხეული ბაგრატ ქრონიკონი იყო რპვ (186): დღესა სამშაბათსა ღმერთმან ღირს ყავ სასუფეველთა საუკუნოთათა. ამენ.**[486] (780+186=966).

---

იდენტიფიკაციას ეწინააღმდეგება შუა ფიგურის გრაგნილის ზედაწერილის შინაარსი – ეს ქრისტეა და არა იოანე, და ქრისტეს მარცხნივ მდებარესა და დანარჩენი ფიგურების სტილური არაერთგვაროვნება. ეს ფიგურა სხვებთან შედარებით, სრულებით არაა მოდელირებული (*ექსპედიცია*, ტაბ. 6), რაც გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად ქრისტეს მარცხნივ წმ. იოანე ნათლისმცემელი მდგარა, რომელიც შეცვალეს თუ გადაწერეს და აქციეს სხვა ფიგურად, იქნებ მართლაც ჯოჯიკად. ისიც საყურადღებოა, რომ ოშკის „ვედრებაში“ წარმოდგენილი ისტორიული პირნი, ამ ვითომც ჯოჯიკის გამოკლებით, თანმხლები წარწერითაა სახელდებული.

482 ეს ირკვევა აღმოსავლეთი აფსიდის მხატვრობაში დაცული წარწერით (ტაბ. 189), იხ. ქვემოთ, წარწერა № 11.

483 *ექსპედიცია*, გვ. 56, 57, სურ. 33, წარწერა 14.

484 *ქართლის ცხოვრება* I, გვ. $287_2$, $384_4$. J. Lefort, *Acts d'Iviron*, Paris, 1985, გვ. 18. ჯოჯიკისა და მისი ნათესავთა ვინაობის შესახებ ცნობები კარგად აქვს თავმოყრილი ნ. ტიერის ("Peintures", გვ. 150-152); იხ. ასევე ე. მეტრეველი, *ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან*, თბილისი, 1996, გვ. 5-57.

485 *ექსპედიცია*, გვ. 55, წარწერა XI.

486 იქვე, გვ. 55, წარწერა X.

ბაგრატის (დავით III-ის ძმის, ოშკის ტაძრის ერთ-ერთი აღმშენებლის) გარდაცვალე-ბის ამ თარიღს გვამცნობს ჩვენი წარწერა № 5-ც.

14. სამხრეთი მკლავის თაღნარის დიდი სარკმლის ქვემოთ ძალზე გადასული წარწე-რაა, რომელიც წაკითხული აქვს ე. თაყაიშვილს.[487]

ეროვნული ბიბლიოთეკა

**წმიდაო სამებაო, ადიდენ შენ მიერ გჳრგჳნოსანნი მეფენი ბასილი და კონსტანტი, რომელთა მიერ განსრულებულ იქმნა მეორედ დაბურვითა ტაძარი ესე ღმრთისაჲ მონაზონობასა გრიგოლისსა და დავითისსა ქრისტე შეიწყალე მონაჲ შენი გრიგოლ და წყალობით მოიხსენე გალატოზი იესე.**

წარწერაში იხსენიებიან ბიზანტიის იმპერტორები ბასილი II (976-1025) და კონსტანტინე VII (1025-1028), რომელთაც ახლად გადახურეს ტაძარი. ეს უნდა მომხდარიყო 1022 და 1025 წლებს შორის, როდესაც დავით კურაპალატის გარდაცვალების (1001 წელს) შემდეგ ბიზანტიელებმა დაიბრუნეს ე. წ. „ნათხოვარი ქვეყანა" ქართველთაგან და თავიანთი გამარჯვებებით დაიმკვიდრეს ის მიწა-წყალი, რომელზედაც მდებარეობდა ოშკის ტაძარი.

15-17. სამხრეთი პასტოფორიუმის სამხრეთ კედელზე სამი სინგურით დატანილი წარწერაა, რომელნიც „ვედრებას" ახლავს. სამივე წარწერა 1917 წელს გადმოიღო და შეისწავლა ე. თაყაიშვილმა.[488] 1965 წელს, ოშკში ჩემი პირველი ყოფნისას, ისინი დიდწილად წაშლილიყო, მაგრამ მე შევძელი გადამემოწმებინა ე. თაყაიშვილის წანაკითხი.

პირველი, ყველაზე გრძელი (№ 15) წარწერა შუაშია, „ვედრების" თავზე და, დახარჩენებივით, ხუთსტრიქონიანია:

**1. წმიდაო ღმრთისმშობელო და წმიდაო ნათლისმცემელო, ადიდენ მეფენი ჩუენნი**
**2. გლახაკნი შენნი, მაშენებელნი ამის წმიდისა ეკლესიისანი |**
**3. და კუალად წარუმართენ**
**4. მეფეთა ჩუენთა ბაგრატს |**
**5. და დავითს.[489]**

მეორე წარწერა (№ 16) ღმრთისმშობლისა და დავით მაგისტროსის თავზე ასე იკითხება:

**მონაჲ ღმრთისაჲ, მეფჱ ჩუენი**
**დავით მაგისტროსი,**
**ადიდენ ღმერთმან ორთავე**
**ცხორებათა მაშენებელი ამის წმიდისა**
**ეკლესიისაჲ. ამენ.[490]**

მესამე წარწერა (№ 17) „ვედრების" აღმოსავლეთით, წმ. იოანე ნათლისმცემლისა და ბაგრატ ერისთავთერისთავის ზემოთ, გვამცნობს:

**მონაჲ ღმრთისაჲ, მეფეჲ ჩუენი**
**ბაგრატ ერისთავთ ერისთავი**
**ადიდენ ორთავე**
**ცხორებათა მაშენებელი ამის წმიდისა**
**ეკლესიისაჲ. ამენ.[491]**

ეს წარწერებიც, წინამორბედივით, იმავე მოსაზრებებით 963-966 წლების შუალედით და, ალბათ, ამ პერიოდის ბოლოთი უნდა დათარიღდეს.

---

[487] *ექსპედიცია*, გვ. 53-54, წარწერა VIII, სურ. 31.
[488] იქვე, გვ. 52-53, სურ. 29-30, წარწერა V-VII.
[489] იქვე, გვ. 52-53, წარწერა V, სურ. 29.
[490] იქვე, გვ. 53, წარწერა VI, სურ. 30.
[491] იქვე, გვ. 53, წარწერა VII. „ვედრების" კომპოზიციის თანმხლები ამ სამი წარწერის შესახებ იხ. აგრეთვე: Djobadze, "Reliefs", გვ. 40-53.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# B. ხახულის მონასტერი

## 1. შესავალი

ისევე როგორც პარხლის, ოთხთა ეკლესიისა და ოშკის, ხახულის მონასტრის მშენებლობის თაოსანიც დავით კურაპალატია. ოშკის მსგავსად, ისიც თორთუმისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, ხეხილოვანი, ნაყოფიერი შვიდკილომეტრიანი ველის ბოლოში. მონასტერი ძალზე ცხოველხატულ გარემოში დგას, ხახულის წყლის, თორთუმის წყლის („თორთუმ ჩაი" სურ. A) შენაკადის მარცხენა მხარეს (ტაბ. 190, სურ. D).

მთავარი ეკლესია 3.00 მ სიმაღლის ირეგულარულად ამოყვანილი კედლითაა შემოვლებული (დაახლოებით 60 × 50 მ). აქაც, ისევე როგორც ამ მხარის სხვა მონასტრებში, თავიდან იგი სხვადასხვა ნაგებობით იყო გარშემორტყმული. აქ იყო პატარა ეკლესია, სამი სამლოცველო და ორატორიუმები, რთული სახის ბჭე და სხვა შენობებიც, რომელთა კვალიღა მოჩანს (მაგალითად, სატრაპეზოები, ბერების სადგომები, ბიბლიოთეკა-სკრიპტორიუმი, სახელოსნოები), ზუსტი მდებარეობა და დანიშნულება კი გათხრების შედეგად თუ გაირკვევა. ზოგიერთი სამლოცველო, მაგალითად, დარბაზული ეკლესია მთავარი ტაძრის ჩრდილოეთით და სამარხი კაპელა სამხრეთი მიმართულებით, აზომილი და აღწერილი ე. თაყაიშვილის მიერ[492] 1917 წელს, ძლიერაა დაზიანებული. ორი სხვა სამლოცველოსგან (ერთი – მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთითა და მეორე – სამხრეთი ბჭის დასავლეთით, ზღუდეზე გადაბმული) საძირკვლებიღაა დარჩენილი. მეორე მხრივ, მთავარი ტაძარი, რომელიც მთლიანად მეჩეთადაა ქცეული, რიგიანადაა დაცული და მოვლილი, ბოლო დროს კი მას ერთიანად გამოუცვალეს სახურავი.[493] სამწუხაროდ, შიგნით კედლების ქვედა ნაწილი ნაირფერადი ზეთის საღებავებითაა მოხატული.

მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ასევე თორთუმის წყლის მარჯვენა ნაპირზე, კიდევ ერთი დარბაზული ეკლესიაა, მისგან დასავლეთით, ერთ კილომეტრში კი, კლდის წვერზე – სამლოცველო (ტაბ. 213).[494] აქედან ხახულის ხეობის პანორამული ხედი იშლება (ტაბ. 190). ნაგებობათა რაოდენობა მიგვანიშნებს, რომ აქ მოზრდილი, ძალზე მრავალრიცხოვანი სამონასტრო ძმობა ყოფილა და შემთხვევით როდი უწოდებს მას სახელოვანი მწიგნობარი გიორგი მცირე „დიდ ლავრას".[495] იგი „ყოვლად წმიდა ღმრთისმშობლის" სახელობისა ყოფილა.[496]

## 2. მონასტრის ეკლესია

სავანეში, მის შუაგულში მოქცეული სამონასტრო ეკლესია გამოირჩევა. ეს გვარიანი ზომის ჯვრული, გუმბათიანი ტაძარია (ტაბ. 191, სურ. 46). მისი მაქსიმალური გარე სიგრძე 34.43 მ-ია, სიგანე კი 24.00 მ-ს უტოლდება. სამშენებლო ტექნიკა და მასალა არსებითად იგივეა, რაც ამ მხარის მეორე პერიოდის ეკლესიებისა. იგი ოშკის ამშენებლის აგე-

---

[492] *ექსპედიცია*, გვ. 59-67.

[493] ახლა ტაძრის იატაკი მთლიანად ხალიჩებითაა მოფენილი, კედლების ქვედა ნაწილი კი შეთეთრებული. ხახულის ეკლესიის აღწერა იხ. ასევე: Eid, *Ost Turkei*, გვ. 160-187.

[494] ამ ეკლესიებს მოკლედ იხსენიებს ე. თაყაიშვილი: *ექსპედიცია*, გვ. 66-67, ტაბ. 108.

[495] *ათონის კრებული*, 1901, გვ. 289.

[496] ვახუშტი, *აღწერა*, გვ. $686_{22}$.

ეროვნული ბიბლიოთეკა




D. ხახულის მონასტერი, გეგმა, მასშტაბი: 1:100

ბულია, თუმცა მასზე ბევრად მოკრძალებული, ნაკლებად უხვად მორთული, არცთუ გარედან თაღებითა და სამკუთხა ნიშებით გაწყობილი.

თავიდან ეკლესია შედარებით მომცრო უნდა ყოფილიყო, „თავისუფალი ჯვრის“ გეგმისა, შიგნით – 24.65 × 16.75 მ. აღმოსავლეთი მკლავი სამნაწილიანია და შედგება 4.00 × 3.00 მ ფართობის აფსიდიანი პასტოფორიუმებისა და 6.95 მ-ის სიღრმისა და 5.75 მ-ის სიგანის აფსიდისაგან, რომლისკენაც სამი ნახევარწრიული საფეხური (ყოველი მათგანის სიმაღლე 0.24 მ-ია) ადის. საკურთხევლის ჩრდილოეთით და სამხრეთით, კედლებზე სწორკუთხა, ფრონტონისებრ დასრულებული ნიშებია, ალბათ, ხატების დასასვენებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა




46. ეკლესია, გეგმა

ეროვნული ბიბლიოთეკა




47. ეკლესია, ინტერიერი, სამხრეთ-დასავლეთი ბურჯი



48. ეკლესია, ინტერიერი, ხედი სამხრეთ-დასავლეთით

აფსიდში ახალ თავისებურებას ვხედავთ: რვა ერთნაირი თაღოვანი ნიშა აღიმართება იატაკის დონიდან დაახლოებით 5.30 მ-ის სიმაღლემდე.

ეს ხუროთმოძღვრული მოტივი (ტაბ. 192), სხვადასხვა რაოდენობის, თანაბარი მოცულობის, 4.98 მ-ის სიმაღლის ნიშების რიგი, ძალზე ხშირად მოიხმარება X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში აგებულ ქართულ ტაძრებში. ამ ტიპის ადრეული ნიმუში ორი მოკრძალებული ეკლესიაა: აგარის დარბაზული ეკლესია, სადაც ცხრა ნახევარწრიული ნიშაა განთავსებული,[497] და ურთას სამნავიანი ბაზილიკა[498] – ორივე X საუკუნის ბოლოთი თარიღდება. მათი ანალოგიურია XI საუკუნის დამდეგის ხცისი (1002), სადაც აფსიდში ოთხი, 5.20 მ-ის სიმაღლის ნიშაა,[499] მცხეთისა (1010-1029)[500] და ალავერდის (XI საუკუნის პირველი მეოთხედი)[501] თავი ეკლესიები. ორ უკანასკნელში თერთმეტ-თერთმეტ დაბალ ნიშას ვხედავთ. სომხეთში ნიშებიანი აფსიდის ერთადერთ ნიმუშს ვიცნობ – ანისის კათედრალს (988-1000).[502]

ეს დეკორატიული არქიტექტურული მოტივი არც ქართველების მონაპოვარია და არც სომხების. აფსიდებში ამგვარ ნიშებს სრულიად განვითარებული სახით ვხედავთ ტურ აბდინში, ხახში, ელ ადრას ეკლესიაში,[503] სადაც იგი შეუძლებელი იყო არ შეენიშნათ ქართველ ქვითხუროებს. არაფერი საკვირველია, რომ უადრესი ნიშებიანი აფსიდები საქართველოში სამხრეთ მხარეებში მოიპოვება, სადაც უფრო ადრე ჩნდება ტურ აბდინის მონათესავე არქიტექტურული ფორმები, რომელნიც, ოდნავ სახეცვლილნი, ჩრდილოეთისკენ გადადიოდა.

დავუბრუნდეთ კვლავ ხახულის აფსიდს. ზუსტად აფსიდის ერთადერთი სარკმლის რაფის ჩამოსწვრივ გამოშვერილია სწორკუთხა კედელი, მასში 0.85 მ-ის სიგანის ნახევარწრიული ნიშაა, მის წინ მობრტყელო ფეხსადგამით. მისი ნიჟარებიანი კონქი, ნახევარწრიული ბატიყელაოი (*cyma recta*), თითქმის შევსებულია სანახევროდ ფრთაგაშლილი, ფრონტალურად გადმოცემული მტრედის კარგად მოდელირებული ჰორელიეფით. თავი მას მოტეხილი აქვს, მაგრამ მისი ჭანგები და ლონიერი სხეული მოგვაგონებენ ამავე ეკლესიის სამხრეთი მკლავის სარკმლის თავზე გამოქანდაკებული არწივისას. ნიშის დანიშნულებისთვის საბუთი არ გაგვაჩნია, მაგრამ ივარაუდება, რომ მასში ეპისკოპოსის დასაბრძანებელი იქნებოდა გამართული.[504] ისე ჩანს, რომ ამნაირი ნიშები სავალდებულო იყო ტაო-კლარჯეთის ეკლესიათათვის. მათ ვხედავთ ოშკში, ოთხთა ეკლესიაში, პარხალსა და ტბეთში; ადრეული მსგავსი გამოსახულებები მტრედებისა, მოთავსებული კონქებში, ცნობილია ტურ აბდინის ეკლესიებში: ხახის ელ ჰადრას ეკლესიაში (571-700-734),[505]

---

[497] Беридзе, *Памятники*, გვ. 135. სურ. 91.

[498] Bock, "Vank", გვ. 73, სურ. გვ. 80-ზე.

[499] Р. Шмерлинг, "Древний Цвимоэтский храм близ с. Хциси", *AG* 4, 1955, გვ. 141, სურ. 1-2, ტაბ. 54 (ზემოთ).

[500] Mepisašvili, Zinzadse, Schrade, *Arts*, ეკლესიის გეგმა. გვ. 152-ზე ზემოთ; A. Alpago-Novello et al., *Art and Architecture in Medieval Georgia*, Louvain, 1980, გვ. 396-397.

[501] იქვე, გვ. 277, № 314, 315.

[502] J. M. Thierry, წიგნში: *Ani*, Documenti di architettura armena, Milano, 1984, გვ. 93, სურ. 1 გვ. 97-ზე.

[503] G. Bell, *The Churches and Monasteries on the Tur Abdin*, with an introduction and notes by M. M. Mango, London, 1982, გვ. 20-23, 54-58, სურ. 12, 37-38. U. Monneret de Villard, *Le chiese della Mesopotamia*, Orientalia Christiana Analecta 128, 1940, გვ. 59, სურ. 61. ამ მოტივის სახეცვლილი ფორმის შესახებ მარ იუჰანანის ეკლესიაში ნურლუში იხ.: G. Wiesner, *Christliche Kultbauten in Tur'Abdin*, Göttingener Orientforschungen Reihe II, Band 4, Teil I, Wiesbaden, 1982, გვ. 94, სურ. 20 და Tafelband, 1981, ილ. 56.

[504] რესაფას წმ. ჯვრის ეკლესიასა (Th. Ulbert, *Die Basilica des Heiligen Kreuzes in Resafa Sergiupolis* II, 1986, გვ. 33; G. Tchalenko, E. E. Baccache, *Églises de village de la Syrie du Nord* I, Paris, 1979, ტაბ. 312-313) და ტეტრაკონქში (G. Tchalenko, *Églises Syriennes à bema* III, Paris, 1990, გვ. 207; J. Kollwitz, "Die Grabungen in Resafa, Herbst 1954 und Herbst 1956", *AA* 1957, გვ. 98, სურ. 13) ეპისკოპოსის დასადგომისთვის შემაღლებებია აგებული.

[505] Bell-Mango, გვ. 115, ტაბ. 137-138.

მაიაფარკინის ელ ჰადრაში[506] და შორეულ ეგვიპტეშიც – დანდარას VI საუკუნის მეორე ნახევრის ეკლესიაში.[507] მართალია, ამ ქანდაკებათაგან ერთიც არ უკავშირდება ეპისკოპოსის დასაჯდომს.

საკურთხევლის ტრაპეზი დაკარგულია, მაგრამ მისი თავი, რომლის კვალსაც ვეღარ მივაგენი, ნანახი აქვს ე. თაყაიშვილს[508] ეკლესიის სამხრეთით. აფსიდის შიდა კედლების დასავლეთ ბოლოებსა და კედლის სვეტოა კუთხეებზე რამდენიმე ხვრელობი ჩანს. საკურთხევლის საფუძვლიანად გამოკვლევამდე დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, თავდაპირველი კანკელის ზღუდის მოსარგებად ამობურღეს ისინი (ასე ფიქრობს ე. თაყაიშვილი)[509] თუ ეკლესიის 1916 წელს ამოქმედების შედეგია, როდესაც აქ ხის იკონოსტასი დაიდგა.

პასტოფორიუმებად გამოყენებული აფსიდის გვერდითი ოთახები ძალზე მარტივი აგებულებისაა და, ოშკისგან განსხვავებით, ერთსართულიანია. ისინი აფსიდს კი არ უკავშირდება, არამედ, ხანცთის მსგავსად, დასავლეთისკენ იხსნება (სურ. 6).

თითქმის კვადრატული დასავლეთი მკლავი (ტაბ. 193, 194, სურ. 46.) არსებითად სამნავიანი ბაზილიკაა. შუა ნავი გვერდითებზე სამჯერ განიერია. ინტერიერი სამადაა გაყოფილი ბურჯების სამი წყვილით, რომელთაგან აღმოსავლეთისა (სურ. 46-48 – იგი გუმბათის დასავლეთ ნაწილს ზიდავს) სხვებზე დიდია (სურ. 47). მათში ჩაკვეთილია 3.00 მ-ის სიმაღლის, გრეხილით შემოვლებული ნიშები (ტაბ. 194, 195). ნიშების თაღოვანი დაგვირგვინების ზევით წნულოვანი გეომეტრიული ჯვრებია – როგორც ჩანს, ტაო-კლარჯეთში ძალზე პოპულარული მოტივი, რომლის ნაირსახეობანი დოლისყანის სამხრეთი კარიბჭის აღმოსავლეთ კედელზეც გვაქვს (ტაბ. 87, სურ. 20) და პარხლის ბაზილიკის გარე კედლებზეც (ტაბ. 250, 260, სურ. 64). ეს ნიშები, რომელთაც პირველად ოშკში ვხვდებით, აღნაგობითა და ფორმითაც ძლიერ ახლოსაა პარხლის ნახსენები ბაზილიკისა (იხ. ქვემოთ) და იშხნის ნიშებთან. ხახულის ორთავე ნიშა მოხატული იყო, რისი კვალიც, მათგან ჩრდილოეთისას ზედა ნაწილშია გადარჩენილი – ის გვიჩვენებს, რომ, სახელდობრ, ამ ნიშაში „მირქმა“ იყო გადმოცემული, იქვე კი წარწერა იყო, მღვდელმსახურის ხსენებით.[510] ეს მნიშვნელოვანია ამ ნიშის ფუნქციის თვალსაზრისით.

დასავლეთი მკლავის დასავლეთი ბოლოს ორი წყვილი სვეტი (ტაბ. 193, 194, 196) ერთნაირი ზომისაა. მორთულობით ისინი განსხვავებულია, ასევე, ნაწილობრივ, აღნაგობითაც. ისევე როგორც ოშკის სამხრეთ-დასავლეთ კარიბჭეში, მათი შემადგენელი ელემენტები (პლინთი, თორუსი, კანელღურები) სხვადასხვა ხარისხის ნათესაობას ავლენს ანტიკურ წინასახეებთან.

მკლავების კამარები ოდნავ წაისრული მოხაზულობისაა, დასავლეთი მკლავის გარდიგარდმო თაღები, ისევე როგორც ხანცთასა და ოპიზაში, ერთგვარად პროფილირებულ კრონშტაინებს ეყრდნობა (სურ. 48).

მკლავთა გადაჯვარედინებაზე აღმართული გუმბათი ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯს კი არ ემყარება (ტაბ. 197-198), როგორც ოშკსა და იშხანში, არამედ აფსიდის დასავლეთ ბოლოებსა და დასავლეთი მკლავის აღმოსავლეთ კედლებს, ზუსტად ხანცთის ეკლესიასავით, რომელიც ხახულის ეკლესიას ძალზე ჰგავს აგებულებითა და სივრცითაც, მიუხედავად მათ შორის ტიპოლოგიური სხვაობისა: ხანცთა „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპისაა, ხახული კი სწორკუთხედიდან გამოშვერილი მკლავებით croix libre-ს მისდევს, თუმცა მასზე უფრო განვითარებული კია. გადასვლა კვადრატული უბიდან გუმბათის წრიულ ძირზე კანელირებული აფრებითაა განხორციელებული, რომელთაც პაწია ნახევარგუმბათები ახლავს (ტაბ. 198). ეს სიახლე არ არის, რადიალურად დაღარული აფრები პირველად

[506] Bell-Mango, გვ. 126 და შემდ., ტაბ. 51.

[507] P. Grossmann, H. Severin, წიგნში: Beat Brenk, *Spätantike und frühes Christentum*, Propyläen Kunstgeschichte, Supplementband 1, Frankfurt a. M., 1977, გვ. 250, სურ. 279c.

[508] *ექსპედიცია*, გვ. 60.

[509] იქვე.

[510] იქვე, 65. მე გადმოვიღე და ფოტო გადავუღე ამ წარწერას, რომელიც ახლა შეთეთრებულია და, ეტყობა, ე. თაყაიშვილის აქეთ – დაზიანებულიც.

ოშკში ჩნდება (ტაბ. 129). ისინი უთუოდ ამ მხარეში განვითარდა, სადაც მათ დიდი მოწონებაც ხვდათ წილად. ოშკისა და ხახულის გარდა ეს არქიტექტურული ელემენტი გვხვდება ამ მხარის ცენტრული გეგმის ყველა უმთავრეს ეკლესიაში – [illegible]ბერდში (ენი-რაბათი), ტბეთსა და იშხანში. მიუხედავად ასეთი პოპულარობისა [illegible]რებული აფრები ტაო-კლარჯეთის საზღვრებს არ გასცილებია და არასოდეს გამხდარა საქართველოს სხვა კუთხეების ეკლესიების შიდა მორთულობის ელემენტი - იქ იგი მხოლოდ კარიბჭეებში გვხვდება. ეს მოვლენა შეიძლება კედლის მხატვრობით არა მხოლოდ აფსიდის ნახევარგუმბათის, არამედ კედლების მთელი ფართობის მორთვის XI საუკუნიდან შემოღებული წესით ავხსნათ: იკონოგრაფიული სქემა მოითხოვდა აფრებზე მახარებელთა გამოხატვას.

ეკლესიის იატაკი, ახლა მთლიანად ნოხებით დაფარული, კვლავაც თავდაპირველი, კარგად შენახული, წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვის დაკუთხვილი ფილებითაა მოგებული.

ტაო-კლარჯეთის სხვა ეკლესიათაგან განსხვავებით, ხახულის კედლების შიდა პერანგისთვის გამოყენებულია სუფთად დამუშავებული ქვები, რაც გვიმოწმებს, რომ ინტერიერი თავიდან არ უნდა მოხატულიყო. მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზით, XI საუკუნეში ის მხატვრობით შეამკეს, რომლის ფრაგმენტები დღემდეა შემორჩენილი.[511]

## 3. ეკლესიის გარე მასები

შიდა სივრცეში გაბატონებული ჯვრის ფორმა გამეორებულია ეკლესიის გარეთა მასებშიც. აღმოსავლეთი მკლავის სიგანეა 16.05 მ, დასავლეთისა – 14.00 მ, სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავებისა – მხოლოდ 7.20 მ. უცნაურია, რომ აღმოსავლეთ მკლავს არა აქვს სამკუთხა ნიშები, რომელნიც ჩვეულებრივია ცენტრულ ეკლესიებში X საუკუნის 60-იანი წლების აქეთ. ასევე ხვდება თვალს, რომ გარეთა სიბრტყეები არაა დანაწევრებული კედლის თაღებით, რომლებიც ასე წარმატებულადაა მოშველიებული ოშკში.

## 4. ხუროთმოძღვრული პლასტიკა

ხახულის ეკლესია არაა მდიდარი ხუროთმოძღვრული ნაქანდაკევით, ვერც მისი შესრულების ხარისხი შეედრება ოშკის სკულპტურას. ტაო-კლარჯეთის სხვა თანადროული ეკლესიების მსგავსად, დეკორაციული ეფექტი სამხრეთი ფასადითა და გუმბათის ყელით შემოიფარგლება. იგივე ითქმის აღმოსავლეთი და დასავლეთი მკლავის სარკმლებზედაც, რომელნიც მოკლებულია განიერ ორნამენტულ ჩარჩოებს, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდრონი თავსართები აქვთ.

### ა. აღმოსავლეთი ფასადის ხუროთმოძღვრული პლასტიკა

აღმოსავლეთი ფასადის ხუროთმოძღვრული პლასტიკა აფსიდის სარკმლის თავზეა შეყურსული (ტაბ. 199). იგი მონოლითურია, თაროსა და ასტრაგალის კვეთის თავსართით შედგენილი. უშუალოდ სარკმლის ზევით თაროა, ორი სურიდან ამოსული ფოთლებით დაფარული. ყოველი სურის ტანი ხაზგასმულია ტოლმკლავიანი, ბოლოებგაშლილი ჯვრებით. მას ვიწრო ყელი აქვს, გამოშვერილი ტუჩითა და სახელურით. ისინი იმ ჭურჭელს ჰგავს, რომელიც იხმარებოდა შუა საუკუნეების საქართველოში, ირანსა და ახლო აღმოსავლეთში. მათი ხახვისებრი ტანის შუაში დატანილი ჯვრები გვიჩვენებს, რომ ეს საკულტო ჭურჭელია, თანაც ყოველი მათგანის თავზე რტოა, სამ-სამი ფოთლით დაბოლოებული.

სარკმლის თაღიდან ამოდის 13 ზოლი, მოყვითალო კირქვითა და მეწამული აგურით ნაწყობი. მათ გადავლებული აქვს ნახევარწრიული ორნამენტული წარბი, შედგენილი გრე-

---

[511] კედლის მხატვრობა ცალკე უნდა იყოს განხილული.

ხილით, გადახლართული წრეებით და ერთმანეთში გადასული, დაწყვილებული ფოთლებით შედგენილი მცენარეული მოტივით. წარბი კრონშტაინებზეა დამყარებული, რომელთა ზემოთ აბაკებია თევზისფხური სახითა და „ისრების“ რიგით. აღნაგობითა და თემატურადაც ამ სარკმლის ნაქანდაკევი მორთულობის ახლო პარალელები იშხნისა და ოშკის ეკლესიაში. ისიცაა, რომ ზოგან ვნახულობთ განსაცვიფრებლად ახლებურ ორნამენტულ სახეებს, მაგალითად, წარბის შეწყვილებულ ფოთლებსა და სურებს საჭექზე: უკანასკნელი ერთადერთია ტაო-კლარჯეთის ეკლესიათა ორნამენტულ რეპერტუარში.

## b. დასავლეთი ფასადის ხუროთმოძღვრული პლასტიკა

დასავლეთი ფასადის ერთადერთი სამკაული დასავლეთი მკლავის სარკმელია (ტაბ. 200). აღნაგობით იგი, მცირედი ცვლილებებით, იმეორებს აღმოსავლეთ სარკმელს – ასე უფრო მარტივია მისი ორნამენტული საჭექის პროფილი. რადიალური, შენაცვლებით ყვითელი და მეწამული ზოლების რაოდენობა ჩვიდმეტამდეა გაზრდილი. სარკმლის წარბი დაფარულია სტილიზებული დანაწევრებული პალმეტებით, რომელთაგან ზოგიერთი დაუმთავრებელია. მსგავსად მისი შესატყვისი აღმოსავლეთი სარკმლისა, ისიც ძალზე უახლოვდება ოშკის მკლავების სარკმლებს, თუმცა მისი ორნამენტული ნაკრები არსებითად ახალია.

## c. ჩრდილოეთი ფასადის ხუროთმოძღვრული პლასტიკა

ტაო-კლარჯეთის ეკლესიების ჩრდილოეთი ფასადები თითქმის მთლიანად მოურთავია არქიტექტურულად. ამას ვხედავთ ოშკივით გამორჩეულ ტაძარშიც, სადაც ჩრდილოეთი ფასადის ერთადერთი დეკორაციული დანამატი სარკმლის თაღოვანი თავსართია.

## d. სამხრეთი ფასადის ხუროთმოძღვრული პლასტიკა

სამხრეთი ფასადის ხუროთმოძღვრული პლასტიკა ორგანაა თავმოყრილი: ა) სამხრეთი მკლავის ორმაგი სარკმლის ირგვლივ და ბ) სამხრეთ პორტალზე.

## e. ორმაგი სარკმლის ქანდაკებანი

სამხრეთი მკლავის ზედა ნაწილი თითქმის მთლიანად არის შევსებული თამამად ხაზგასმული ორმაგი სარკმლით (ტაბ. 201), რომელიც აგებულებით იმეორებს ოშკის დასავლეთი მკლავის მსგავსი სარკმლის აღნაგობას, თუმცა ორნამენტიკაში სავსებით ახლებური გადაწყვეტაა მოძიებული. ოშკისებრ, თვალს ხვდება ორმაგი სარკმლის ორნამენტული მოჩარჩოება. მას აქეთ-იქიდან მოფარგლავს ჩინებულად კვეთილი, შეწყვილებული სვეტები, დაბჯენილი პროფილირებულ კომპოზიტურ ბაზისებზე ორი ბურთულით. ისინი მორთულია სარტყლებით, ფესტონებით და სპირალისებრი, ჩაკვეთილი ფოთლებითა და კომპოზიტური, ფესტონებიანი აბაკებით შედგენილი კაპიტელებით. გამყოფი სვეტი შედგენილია ცალი დორიული ღეროთი: იგი შედგმულია ცალი გულისებრი მცენარეული მოტივით მორთულ ბაზისზე, მოთავებული კი – კომპოზიტური კაპიტელით. ქვემოთ ის ფესტონებითაა შემკული, ზემოთ – „წვეთების“ ჰორიზონტალური რიგით. ამგვარი, ასე აღნაგი თუ მორთული ბაზისები და კაპიტელები ქართულ ხუროთმოძღვრებაში კვლავ აღარასოდეს გამოუყენებიათ.

პროფილი ორმაგი სარკმლის თავზე სტილიზებული გულისებრი სახითაა მოჩუქურთმებული. ზევით ლონიერი არწივია, სანახევროდ გაშლილი ფრთებით – იგი ბასრ კლანჭებს ასობს ირემს. თითქმის სამგანზომილებიანად გადმოცემული არწივი კომპოზიციურ და იდეურ ფოკუსადაა მოაზრებული. იგი საკმაოდ კარგადაა დაცული. მის შთამბეჭდავ, მოჩერებულ თვალებს ახლაც კი მეწამული რგოლები აქვს მოვლებული. ამ კომპოზიციის

გამომკვეთ ოსტატს ნანახი უნდა ჰქონოდა ოშკის სამხრეთი ფასადის სარკმელი (ტაბ. 160), სადაც იგივე თემაა გამოქანდაკებული. იგი ხახულელი ოსტატის გულს განსაკუთრებით მოხვედრია, რაკი მან იგი გუმბათის ყელის თაღნარის ბაზისზეც გაიმეორა.[512]

## f. სამხრეთი პორტალის ჩანდაკებანი

ტაძრის ერთი გამორჩეული თავისებურებათაგანია მისი სამხრეთი პორტალი (სურ. 49). იგი მოჩარჩოებულია წნულის არშიებითა და გასასვლელის ორივე მხარეს მოთავსებული რელიეფებით. ასეთივე წნულით მოჩარჩოებულ ტიმპანზე რელიეფია ოთხი ანგელოზის მიერ „ჯვრის ამაღლების" გამოსახულებით (ტაბ. 202). ბოლოებში გირჩებით გაფართოებული ტოლმკლავიანი ჯვარი სფეროზე აღიმართება. ანგელოზთა ტანის მდგომარეობა და ჟესტები ჯვრის ამაღლებას მიგვანიშნებს. ოთხი ანგელოზისგან „ჯვრის ამაღლების" გამოსახულებათაგან (ისინი ენაცვლება „ქრისტეს ამაღლებას"),[513] უადრესი და უთუობით დათარიღებული 541-555 წლებით, აღმოჩენილია წმ. სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტრის (ორონტის ანტიოქიის დასავლეთითაა)[514] წმ. სამების ბაზილიკის ჩრდილოეთი არქიტავრის შიდა პირზე. ეს თემა, როგორც ეტყობა, უადრესად პოპულარული იყო საქართველოში.[515] ამ კომპოზიციის ორი შესანიშნავი ნიმუში არის ნიკორწმინდის ეკლესიაში (1010-1014), სადაც იგი, ხახულის მსგავსად, ტიმპანზეა მოქცეული,[516] და კაცხში (1010-1014).[517] კაცხში მას შემოსდევს მრგვლოვანი წარწერა, რომელიც არა მხოლოდ განმარტავს მას „ჯვრის ამაღლებად", არამედ შეიცავს ფრაგმენტს ქტიტორის ასულის ვედრებისას საშინელი სამსჯავროს ჟამს მეოხებისათვის.[518] ეს გვაწვდის პირდაპირ საბუთს, რომ ოთხი ანგელოზის მიერ „ჯვრის ამაღლება" არა მარტო „ჯვრის ტრიუმფის" იდეის მომცველია, არამედ „პარუსიისაც",[519] მეორედ მოსვლის დროს, ქრისტეს წინ ჯვარი წარმოუძღვება (მათე, 24, 30); წმ. პეტრეს აპოკრიფულ სახარებაში ქრისტეს აღდგომის სასწაული „ჯვრის ამაღლებითაა" გამოხატული.[520] ამ იდეას მიგვანიშნებს ისეთი კოსმიური

[512] ამ და მსგავსი სიუჟეტების განხილვა იხ.: Djobadze, "Observations", გვ. 92-94, ტაბ. $14_3$.

[513] B. Brenk, *Tradition und Erneuerung in der christlichen Kunst des ersten Jahrtausends*, Wiener Byzantinische Studien III, 1966, გვ. 64, აქვე საკითხის შესაბამისი ლიტერატურაც. იხ. ასევე: A. Grabar, *Les ampoules de Terre Sainte*, 1958, გვ. 58-59 და ტაბ. III, XVII, XIX, XXI, XXIX, XXX და LIII. მჭიდრო იდეურ კავშირზე „ჯვრის ამაღლებასა" და „ქრისტეს ამაღლებას" შორის მიგვანიშნებს ხახულისა და იშხნის გუმბათები, რომლებზეც ჩვეულებრივი „ქრისტეს ამაღლების" ნაცვლად „ჯვრის ამაღლებაა" გამოსახული. იხ. ამის შესახებ: ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 65, ტაბ. 97 (ხახული), გვ. 20, ტაბ. 27 (იშხანი), ასევე: Thierry, "Peintures", გვ. 88-94, სურ. 16-17.

[514] W. Djobadze, *Investigations*, გვ. 102-103, სურ. 138, № 24.

[515] ამის თაობაზე იხ.: Н. Аладашвили, *Монументальная скульптура Грузии. Фигурные рельефы V-XI веков*, 1977, გვ. 165 და შემდგომ; Н. Чубинашвили, "Рельеф «вознесение креста» на каменном кресте из сел. Качагани", *AG* 6, 1963, გვ. 9-27.

[516] Н. Аладашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 167.

[517] იქვე, სურ. 193.

[518] ვ. ბერიძე, *AG* 3, 1950, გვ. 68.

[519] ამის შესახებ და ჯვრის ვითარცა ქრისტეს წინამორბედის შესახებ იხ.: Brenk, *Tradition*, გვ. 64, შენ. 38. გ. ჩუბინაშვილის თანახმად (*Памятники типа Джвари* I, 1948, გვ. 149-153), ამავე იდეის გამომხატველია მცხეთის ჯვრისებრი ეკლესიის (VI-ის ბოლო) სამხრეთი შესასვლელის ტიმპანიც.

[520] E. Dinkler, *Das Apsismosaik von S. Appollinare in Classe*, Opladen, 1964, გვ. 81. ფსევდო- იოანე ოქროპირის ქადაგებაში, სადაც საუბარია ქრისტეს მიერ ამაღლებამდე ორმოცი დღით ადრე მოწაფეებთადმი გამარჯვების ჯვრის საიდუმლოს განმარტებაზე, ნათქვამია: „...როდესაც მე განვსჯი მთელს ქვეყნიერებას და მას შემდეგ, რაც განვყოფ მართალთა და ცოდვილთ, ჯვარი კვლავ ამაღლდება ზეცად დიდებითა... და ყველა მისი მსახურველი ამაღლდება ზეციურ მყოფებად, რათა დაიმკვიდროს მარადისი ცხოვრება და სამოთხე სიხარულისა" (G. Browney, *Griffith's Stauros Text*, 1983, გვ. 82-88).

ელემენტებიც, როგორიცაა ვარსკვლავები, მზე, მთვარე და ზეცის სეგმენტი,[521] რომელნიც ჩნდება კაცხის „ჯვრის ამაღლების" ფონზე. როგორც გამოჩნდება, ხახულის ტიმპანის კომპოზიცია სავსებით ეთანხმება პორტალის იკონოგრაფიაში ჩადებულ იდეას.

კარის ორივე წირთხლი დაბალი რელიეფით შესრულებული ადამიანთა და ცხოველთა ფიგურების უცნაური ნაკრებითაა მორთული. ისინი, ტიმპანის ზედა მონაკვეთივით, ნაწილობრივ დაფარულია XIV საუკუნეში დამატებული კარიბჭის წყობით. კარის დასავლეთით დღესაც შეიძლება გაარჩიოთ სამი გამოსახულება, ერთმანეთის თავზე ვერტიკალურად განლაგებულ ქვებზე გამოსახული (სურ. 49). თუმცა ზედა ქვა ნაწილობრივ დაზიანებულია, მაინც ამოიცნობა ალექსანდრე დიდის ზეცად მგზავრობა.[522] ალექსანდრე უწვერულ ყრმად წარმოგვიდგება, გვირგვინის ნაცვლად თავზე შემოძდგარი ვიწრო შარავანდით (ტაბ. 203). იგი ზევით მიჰყავს გრიფონებით შებმულ ეტლს. მარცხენა გრიფონის კისერზე ნათლად მოჩანს განიერი ყელსაბამის კვალი. სამი დღის განმავლობაში დამშეული, ფანტასტიკური არსებანი დახვეულან, რადგან ეხარბებიან დასწვდნენ ღვიძლის ნაჭრებს, წამოცმულს ორ ჯოხზე, ალექსანდრეს ჰერალდიკურად რომ უპყრია.

კარის აღმოსავლეთით წარმოდგენილია წმ. პეტრე, როგორც ზეციური ბჭის მცველი (მათე, 16, 19). ამის შესაბამისად მარცხენა ხელში მას გასაღები უჭირავს, მარჯვენაში – კლიტე (ტაბ. 204).

წმ. პეტრეს ქვემოთ გამოკვეთილია იონა, რომელსაც ხახიდან ამოანთხევს ვეშაპი. იგი მელოტია, რადგან, გადმოცემის თანახმად, მცხუნვარებამ ვეშაპის ყაშვში მოსპო მისი ტანისამოსი და თმა დააცვინა. მაგრამ აქ იონა ჩაცმულია, რასაც გვიჩვენებს არშიები მის მაჯებზე. ალბათ, ისიც სათქმელია, რომ ლეგენდარულ ზღვის ურჩხულს, „კეტოსს", გამოუსახეს ორი მოკლე ფეხი და ლომისებრი თავი, რაც ფანტასტიკური არსების შთაბეჭდილებას ქმნის. ამ ტიპურად ადრექრისტიანული, რომის კატაკომბებსა და სარკოფაგებზე მრავლად დამოწმებული თემის უახლოესი პარალელი იძებნება აღთამარის ეკლესიის რელიეფზე (915-921), სადაც ზღვის ურჩხულს ასევე აქვს ორი ფეხი, იონა კი მელოტია.[523]

სასახლისა თუ ქალაქის ყველაზე სუსტ წერტილად მისი ბჭე უნდა ჩაითვალოს. ძველ შუამდინარეთსა და ირანში მათი დაცვისათვის არა მარტო სათავდაცვო ნაგებობანი და კლიტეები იყო მოხმობილი, არამედ მაგიური ანდა რელიგიური საშუალებებიც, ბჭის წინ გამოქანდაკებული საშიშარი რეალური თუ მითური მხეცების ჩათვლით. ეს ძველაღმოსავლური თავისებურება უნდა იყოს ასახული წირთხლების დანარჩენ ოთხ რელიეფზე, რომელნიც გულუბრყვილოდაა შერწყმული ზეციური ბჭის ქრისტიანული იდეოლოგიის გამომხატველ ქანდაკებებთან – ასეთია მიწაზე განრთხმული გრიფონი, მორთული ძვირფასი თვლების ერთგვარი რახტით. გრიფონი, რომელსაც შერჩენილი აქვს, საზოგადოდ, მცველისა და, ნიშანდობლივ, ბჭის მცველის ფუნქცია, გამოკვეთილია ასევე ეკლესიათა ხის კარებზე – საქართველოში – ოცინდალეში, და ბიზანტიაში.[524] იგივე ფუნქცია უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთი წირთხლის ქვედა ქვაზე გამომკვეთილ ლომსაც. ლომის თავზე მამალია, დაკაზმული ყელსაბამითა და ლენტებით მორთული. ეს მოტივი ხშირია სასანურსა და პოსტსასანურ მოხატულობებში, ვერცხლის ნივთებსა[525] და ხუროთმოძღვრებაში. საქართველოში იგი შეიძლებოდა მცირე ხელოვნების, მეტადრე ქსოვილების გზით

---

[521] H. Schrade, "Zur Ikonographie der Himmelfahrt Christi", *Vorträge der Bibliothek Warburg* 1928-29, 1930, გვ. 66-190, განსაკუთრებით მითითება ეფრემ ასურზე (†373).

[522] ეს კომპოზიცია სხვადასხვანაირადაა ახსნილი. ე. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ იგი გამოსახავს „წმ. გიორგის ლახვარით, ქალს მის წინა და ცხოველს მის უკან". (*ექსპედიცია*, გვ. 63); ტიერი თვლის, რომ ესაა „გველეშაპის განმგმირავი წმ. გიორგი" ("Voyage", გვ. 181, ასევეა სინკლერთან: „წმ. გიორგი და გველეშაპი (*Eastern Turkey*, გვ. 10), ხოლო უინფილდი ვარაუდობს, რომ ესაა „დანიელი ლომების ხაროში" ("Sculpture", გვ. 60). ამის შესახებ ვრცელი მსჯელობა იხ.: Djobadze, "Observations", გვ. 96 და შემდ

[523] Der Nersessian, *Aghtamar*, სურ. 19.

[524] ნიშანდობლივ ნიმუშებზე იხ.: Djobadze, "Observations", გვ. 96-99.

[525] იქვე, გვ. 98.

ეროვნული ბიბლიოთეკა



49. ეკლესია, ექსტერიერი, სამხრეთი პორტალი

შემოსულიყო, რომელთა კარგი ნიმუშებია დაცული საქართველოს ჩრდილოეთ კუთხეში, სვანეთში.[526] მართალია, ძველ წინა აღმოსავლეთში მცველი ცხოველები, როგორც წესი, წყვილად, გასასვლელის აქეთ-იქით გამოისახებოდა, ხახულში კი – თუკი მათ მართლაც შესასვლელის დაცვა ეკისრებოდათ – ისინი ნაუცბათევადაა განაწილებული.

ხახულის ეკლესიის სამხრეთი კარი ქართულ სატაძრო ხუროთმოძღვრებაში პორტალის მორთვის უადრესი ცდაა. ხახულის წირთხლთა რელიეფების თანადროული სხვა ეკლესიების ტიმპანებზე მრავლად მოიპოვება წარწერები, რომელნიც კარს უფლისა და სასუფევლის ბჭეს უწოდებენ (ფს. 118, 20), რომელშიც მხოლოდ მართალნი შევლენ.[527] ამ-

[526] იქვე, ტაბ. 14,2. ამ რელიეფის ჩინებული პარალელია VIII საუკუნის ირანული ქსოვილი ვაშინგტონის ქსოვილთა მუზეუმში. იხ.: O. Harper, *The Royal Hunter: The Art of the Sasanian Empire*, Wachington, D. C., 1978, გვ. 137, № 61.

[527] Djobadze, "Observations", გვ. 99. მსგავს წარწერებს სირიული ეკლესიების კარების ზღუდარებზეც ვხვდებით: K. Prentice, *Publications of the Princeton University Archaeological Expedition to Syria in 1904-1905 and 1909. Greek and Latin inscriptions. Section B, Northern Syria*, 1922, №№ 825 (10), 841 (17), 907, 911, 916; M. Kaufmann, *Handbuch der altchristlichen Epigraphik*, 1917, გვ. 389, 397, 390; L. Jalabert, R. Mouterde, *Inscriptions greques et latines de la Syrie* IV, 1955, № 1688, 1693, 1947, 1966. ასეთივე წარწერები იპოვება კონსტანტინოპოლის წმ. სოფიის ეკლესიის ნართექსის ე. წ. „იმპერატორების კარიბჭის" თავზე (H. Kähler, *Santa Sophia*, 1967, გვ. 29-30 და ტაბ. 62) და ალაჯაჰისარის ეკლესიის დასავლეთი (ცენ-

დენად, ღვთის სახლი და მისი ბჭე გაგებულია როგორც მიწიერი ანარეკლი ზეციური სამოთხისა, რომელშიც მხოლოდ ქრისტეს მეოხებით შეხვალ (იოანე, 10; 7-9).[528] ეკლესიის სახუფეველად გაგება მომდევნო თაობებსაც შერჩათ. კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ფოტიოსი ამასთან დაკავშირებით შემდეგს ამბობს თავის მეათე ჰომილიაში, აღწერს რა ფაროსის ღმრთისმშობლის ეკლესიას: „როდესაც ეკლესიაში შეიხედავ, რა სიხარულით, ძრწოლითა და განცვიფრებით აღივსები! გეგონება, თვით ზეცაში მოხვედრილხარო".[529]

აშკარაა ხახულის პორტალის იკონოგრაფიული პროგრამის არაერთბუნებოვნება. შერჩეული თემები თვალნათლივ განიყოფა ორ ჯგუფად. ერთი, ხსნის იდეის მიმათითებელი, ადრექრისტიანული რეპერტუარიდან მოდის, რომლის სიმბოლოებია „ჯვრის ამაღლება", წმ. პეტრე და „იონა და ვეშაპი". მეორე, რომელსაც ძველთუძველეს შუამდინარულ-სასანურ ნიმუშებთან მივყავართ, მოიცავს მცველი ცხოველების გამოსახულებებს, რომელნიც ნაირსახოვნად იყო გავრცელებული აბასიდთა, ბიზანტიისა და დასავლეთის ხელოვნებაში.

სამხრეთი პორტალის ყველა კომპოზიცია ერთი ოსტატის შესრულებულია, რელიეფი დაბალია, ხისტად მოხაზული. და მაინც, თავისი იერითა და ზომით ეს რელიეფები საკმაოდ შთამბეჭდავია. თავიდან, სანამ აშენდებოდა სამხრეთი გალერეა და მისი სვეტები და წყობა დაფარავდა სამხრეთი კარის ყველა რელიეფს, მათი ზემოქმედება უფრო დიდიც იქნებოდა. მიუხედავად ადრექრისტიანული თემატიკისა, სტილი უეჭველყოფს, რომ რელიეფები ეკლესიის თანადროულია.

ხახულის პორტალს, რომლის იკონოგრაფიული შინაარსი მოგვიანო რომანული პორტალების მომასწავებელია, გამგრძელებელი არ გამოსჩენია. როგორც ჩანს, ქართველ ოსტატებს ერჩივნათ ხუროთმოძღვრული პლასტიკის ეკლესიის გარე მასებზე დანაწილება, მაშინ როდესაც რომანულ ეკლესიებში ქანდაკება თანდათანობით მორთულ პორტალებსა და აფსიდებზე შეიყურსა.[530]

## 5. გუმბათი

ხახულის ეკლესია ტაო-კლარჯეთისა და მიმდებარე მხარეში საუკეთესოდ შემონახული შუა საუკუნეების ნაგებობაა. განსაკუთრებით კარგ მდგომარეობაში მოაღწია ჩვენამდე გუმბათმა, რომელსაც თავდაპირველი ფორმა აქვს შენარჩუნებული (ტაბ. 205-207).

გუმბათის ყელი გარედან თაღნარით 16 თანაბარ წახნაგადაა დაყოფილი. მათგან რვაში სარკმლებია გაჭრილი, მოთავსებული ნახევარწრიული, მდიდრული ჩუქურთმით ორნამენტირებული თაღებითა და განიერი შეწამული წარბებით მათ თავზე. თაღები ემყარება ორმაგ ხვეულ სვეტებს სწორკუთხა პლინთებზე, რომელნიც სხვადასხვა კვეთილი ორნამენტებითაა მორთული. ზოგიერთ პლინთზე დატანილია ეკლესიის მშენებლობაზე მომუშავე ქვითხუროთა სახელები.[531]

მდიდრულად ნაჩუქურთმევ კაპიტელებს მცენარეული და გეომეტრიული მოტივები ამკობს. სამხრეთი მხარის ერთ-ერთ კაპიტელზე გამოკვეთილია არწივი, რომელიც კლანჭებით წაქცეულ ხარს ჩაფრენია (ტაბ. 206). ეს თემა ხშირად გვხვდება ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრულ პლასტიკაში[532]. ოშკივით, აქაც შეწყვილებულ სპირალურ ღეროებს ორივე

ტრალური შესასვლელის ზემოთ (R. M. Harrison, "Churches and Chapels in Lycia", *Anatolian Studies* 13, 1963, შენიშვნა 109).

528 J. Sauer, *Symbolik des Kirchengebäudes und seiner Ausstattung in der Auffassung des Mittelalters* II, Freiburg i. B., 1924, გვ. 119, 296, და შემდ. 308 და შემდ. იხ. ასევე: U. Götz, "Die Bilderprogramme der Kirchentüren des11. und 12. Jahrhunderts", Diss. Tübingen, 1971; M. Frazer, "Church Doors and the Gates of Paradise: Byzantine Bronze Doors in Italy", *DOP* 27, 1973, გვ. 147-162.

529 C. Mango, *The Art of the Byzantine Empire 312-1453*, Englewood Cliffs, N. J., 1972, გვ. 195.

530 E. Neubauer, "Untersuchungen zur georgischen und deutschen Portalarchitektur des Mittelalters", $II^{e}$ *Symposium international sur l'art géorgien*, Tbilisi, 1977, გვ. 8-9.

531 ისინი გამოქვეყნებული აქვს ე. თაყაიშვილს: *ექსპედიცია*, გვ. 62, სურ. 34-39.

532 მარტოოდენ ოშკში იგი ორჯერ გვხვდება: სამხრეთ და დასავლეთ ფასადებზე.

მხარეს ბაზისად ბურთულები აქვს. გუმბათის ყელის ზედა და ქვედა ლავგარდანებს ლილვის მოყვანილობა აქვს. ქვედა ხადაა, სამხრეთი მონაკვეთის გამოკლებით, სადაც ლენტის წნულს ვხედავთ, იშვიათ ნაოსტატარს. ზედა კარნიზი ფოსოსებრია, ზევით-ქვევით გრეხილებით.

ამ მხარის ოსტატთა მუდმივი სწრაფვა სიახლისაკენ თავს იჩენს გუმბათის ყელის თაღნარის ბაზისებსა და კაპიტელებზედაც, სადაც ერთი ორნამენტული მოტივიც კი არ მეორდება.

ჩვენი კაპიტელების და, საზოგადოდ, მთლიანობაში ამ ეკლესიის ხუროთმოძღვრული პლასტიკის სტილური თავისებურება, მეტადრე მცენარეული მოტივებისა, ხაზოვანი საწყისის გამოკვეთასა და შუქისა და ჩრდილის დაპირისპირებაში მდგომარეობს. ასე, მაგალითად, ფოთლები და ღეროები არც მოდელირებულია და არც ჩაკვეთილი, როგორც ეს ოშკში გვაქვს. ისინი ბრტყელია, კონტური კი ფონის მიმართ $90^{0}$-ითაა ჩათლილი.

სარკმლებსზედა თაღების კოლორიტული ზემოქმედება გაძლიერებულია გუმბათის მოჭიქული კრამიტებითაც. ისინი ანტეფიქსებითაა აქცენტირებული.[533] ეკლესიის დანარჩენი ნაწილი ახლად გადახურეს 1970-იან წლებში.

შიგნით გუმბათის ყელი (ტაბ. 198) ცილინდრულია: თავდაპირველად იგი მთლიანად იყო დაფარული მხატვრობით, რომლის ნაწილი კვლავაც შემონახულია, თუნდაც „ელიას ამაღლების" იშვიათი თემის გამოსახულება.[534]

## 6. კარიბჭე

დასავლეთ მკლავს სამხრეთი მხრიდან მიდგმული აქვს 11.30 × 4.25 მ-ის ფართობის კამაროვანი კარიბჭე. მისი სამხრეთი პირი ახდილია 1.70 მ-ის სიგანის სამი თაღით, რომელთა აქეთ-იქით თითო კედლის თაღია (ტაბ. 208). დასავლეთი კედლის თაღში ნახევარწრიული ნიშაა, რომელიც სასანთლე იქნებოდა, რასაც მისი ქვების გაშავებული ზედაპირი და მასზე ნალექი მიგვანიშნებს. თაღებს დაბალი ჯვრისებრი ბურჯები ზიდავს. მათი ბაზისების და კაპიტელების წინა პირი გამშვენებულია მცენარეული და გეომეტრიული კვეთილობით (ტაბ. 209-210). სამხრეთი კარიბჭის დეკორაციული ზემოქმედება გაზრდილია თაღების თავზე ამოზიდული ორი ლომის გამოსახულებით.[535] ჩრდილოეთიდან კარიბჭის კამარა ეფუძნებოდა სამ პილასტრსა და მათზე გადაყვანილ თაღებს, რომელნიც ნაწილობრივ ფარავს ქანდაკებებს. პილასტრების კაპიტელები შემკულია სტილიზებული მცენარეული მოტივებით, რომელნიც ენათესავება დასავლეთი მკლავის კაპიტელებისას, თუმცა ნაკლებად ნაოსტატარია.

კარიბჭის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ნიშაა (სიგანე 1.30 მ), რომელშიც მოთავსებულია ტლანქად ნაკვეთი რელიეფი ღმრთისმშობლისა ჩვილი ქრისტეთი ხელში. იგი საყდარზეა დაბრძანებული სალხინებლის ქვეშ, აქეთ-იქიდან რაღაც გაურკვეველი ფიგურები ახლავს, ალბათ, ანგელოზები.[536] საზოგადო იერით რელიეფი გვაფიქრებინებს, რომ იგი ზოგიერთი ადრექრისტიანული რელიეფით, მეტადრე სპილოს ძვლის დიპტიქონებით არის შთაგონებული[537].

კარიბჭის აღმოსავლეთ მხარეს მიდგმული ჰქონდა პატარა სამლოცველო (2.15 × 4.00 მ). იგი მთლიანად მოანგრიეს 1970-იან წლებში. არც სამხრეთი კარიბჭე და არც პატარა ორატორიუმი მის სამხრეთ-აღმოსავლეთით არაა გადაბმული ეკლესიასთან, რაც მიგვა-

---

533 Djobadze, *Materials*, გვ. 119 და შემდ., სურ. 13.

534 ელიას ამაღლება ხახულის ეკლესიაში მოკლედ განხილული აქვს ნ. ტიერის: "La peinture medieval géorgienne", *Corsi di cultura sull'arte ravennata e bizantina* (1973), გვ. 411-412, სურ. 1.

535 ამგვარივე ლომები ტაო-კლარჯეთში მხოლოდ ორჯერ გვხვდება: ტბეთის კათედრალის სამხრეთი მკლავის აღმოსავლეთ ფასადზე (ტაბ. 322) და ოშკის აღმოსავლეთ ფასადზე, საკურთხევლის სარკმლის თავზე (ტაბ. 152).

536 Winfield, "Sculpture", გვ. 62, სურ. 7.

537 E. Volbach, *Elfenbeinarbeiten der Spätantike und des frühen Mittelalters*$^{3}$, Mainz, 1976, № 142, 145, 156.

ნიშნებს, რომ ისინი მოგვიანო დანამატებია, იქნებ მშენებლობის დამთავრებიდან ცოტა ხნის მერე შეიქმნა.[538]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 7. ჩრდილოეთი მინაშენი

ჩრდილოეთ მხარეს დასავლეთ მკლავს, სამხრეთი სტოას გასაწონასწორებლად, მინაშენი ახლავს (11.50 × 4.20 მმ). ეს მოგრძო, ხუთ მონაკვეთად დაყოფილი კამაროვანი დარბაზია. სამხრეთით მისი სადა თაღები პილასტრებზეა დაბჯენილი, ჩრდილოეთით კი – კრონშტაინებზე. ე. თაყაიშვილის მიხედვით, ამ მკრთალად განათებულ დარბაზში (მას ორად-ორი სარკმელი აქვს აღმოსავლეთ და დასავლეთ ბოლოებში), იატაკს ქვეშ ქვევრები იყო ჩაყრილი[539]. ასეთ რამეს პარეხთას პირველ ეკლესიაშიც ვხვდებით, სადაც ჩრდილოეთი მინაშენის იატაკში დაყოლებულია ორი საღვინე ჭური, რაც გვაფიქრებინებს, რომ ხახულსა და პარეხთაში ჩრდილოეთ მინაშენში ჟამის წირვის სამზადისი ხდებოდა. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ხახულშიცა და პარეხთაშიც ჩრდილოეთი მინაშენი ეკლესიას ერთადერთი კარით უკავშირდება, რომელიც ორივეგან მინაშენის სამხრეთ-დასავლეთ ბოლოშია. შესაძლოა, ასეთი განლაგება შემთხვევითი არც იყოს და ჟამის წირვის რიგს ასახავდეს.

## 8. დასავლეთი მინაშენი

დასავლეთი მინაშენის (გარეთა ზომები 14.00 × 7.85 მმ) კედლები არც გადაბმულია და არც შეთანხმებული ეკლესიის დასავლეთ ფასადს. სამშენებლო ტექნიკისა და მასალის მხრივ იგი მთავარი ტაძრის იგივეობრივია. მისი სახურავი მხოლოდ ნახევრამდე სწვდება დასავლეთ ფასადს, იატაკის დონე კი მას ბევრად დაბლა აქვს. მინაშენის ჩაბინდული ინტერიერი მარტოოდენ სამი მცირე სარკმლით ნათდება, რომელნიც იმდენ შუქს არ ატარებს, რომ მისი დაწვრილებით დათვალიერება ხერხდებოდეს. წყლისა და ნანგრევთა გროვის გამო ვერც მისი ზუსტი აზომვა ხერხდება. თავდაპირველად მასში შესვლა ერთადერთი კარით შეიძლებოდა დასავლეთი მკლავიდან – ახლა ის ამოქოლილია. დასავლეთი მინაშენის დამატებას უნდა მოეთხოვა სამხრეთი სტოას ჯვრისებრ ბურჯებზე (მათ არა აქვთ ჩუქურთმიანი ბაზის-სვეტისთავები) დაყრდნობილი კიდევ ორი თაღით დაგრძელდება. 1917 წლამდე ცოტა ხნით ადრე სტოა მეჩეთად გადააქციეს[540].

## 9. მცირე ეკლესიები და სამლოცველოები ზღუდის შიგნით

მთავარი ეკლესიის სიახლოვეს, მონასტრის ზღუდის შიგნით განლაგებულია ოთხი მცირე დარბაზული ეკლესია.[541] ორი მათგანი მთლიანადაა განადგურებული, თუმც მიწაზე დარჩენილი საფუძვლებით ხერხდება მათი გეგმის აზომვა. ერთი მათგანი მონასტრის ზღუდის დასავლეთით მდებარეობდა, ზღუდის სამხრეთ კედელზე მიბჯენილი (სურ. D); მეორე მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, შემაღლებულზე იყო აღმართული.

მესამე სამლოცველო (გარედან 7.31 × 4.71 მმ) ეკლესიის სამხრეთით, ხუთიოდ მეტრში აშენებული. ე. თაყაიშვილის აქ ყოფნაში, 1917 წელს, სუფთად თლილი, დაკუთხვილი

---

[538] ეს ვარაუდი ემყარება ეკლესიის სხვა ნაწილებთან სამშენებლო თვალსაზრისით მსგავსებასა და გალერეის ბურჯთა ორნამენტაციის სტილურ ნიშნებს, რომელნიც ენათესავება გუმბათის ყელის კაპიტელთა ორნამენტებისას. ე. თაყაიშვილი (*ექსპედიცია*, გვ. 61) გალერეის თარიღად, რაიმე ახსნა-განმარტების გარეშე, XIV საუკუნეს ამბობს.

[539] *ექსპედიცია*, გვ. 61.

[540] ამას ამტკიცებს დ. ერმაკოვის ფოტოსურათი (ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 61, ტაბ. 101 ზემოთ), რომელზედაც თაღები ღიაა.

[541] ე. თაყაიშვილი (*ექსპედიცია*, გვ. 66) საუბრობს მეხუთე ეკლესიაზეც, რომლის კვალს მე ვერ მივაგენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



50. სამლოცველო, ექსტერიერი, დასავლეთი კარი, ტიმპანი

ქვებით ნაგები ეს მშვენიერი სამლოცველო კვლავაც შედარებით კარგად იყო დაცული და მისი ღია დასავლეთი კარიბჭეც ჯერ მთელი იყო.[542] ამ კარიბჭის ნაწილები ჯერაც არსებობდა 1975 წელს, როდესაც ხახული მესამედ მოვინახულე (ტაბ. 211). სამწუხაროდ, 1981 წელს კარიბჭე მთლიანად, თავისი ლორფინებითა და ქვის იატაკიანურთ გამქრალიყო. დაზიანებული აღმოჩნდა კარის წირთხლები, ხოლო დასავლეთი კარის ლამაზი ტიმპანი კი – დაკარგული. საბედნიეროდ, წინა ჩასვლაზე შევისწავლე ეს ტიმპანი, მთლიანად დაფარული ქვაზე კვეთილი ჯვრით, რომლის საფუძვლიდან ამოიზრდებოდა შეფოთლილი რტოები და სიმეტრიულად ავსებდა სივრცეს მის აქეთ-იქით (სურ. 50). პაწია რკალი, რაზედაცაა აღმართული ჯვარი, შეიძლება გოლგოთის მთაზე მინიშნებად მივიჩნიოთ, შესაბამისად კი, თვით ჯვარი – ცხოვრების კოსმიურ ხედ.

სამლოცველოს აღმოსავლეთი ფასადი (ტაბ. 212) ახლაც კარგადაა დაცული. კიდეებზე მას სამკუთხა შეღრმავებული ნიშები აქვს, რომელთა სიღრმეში, წრომის ტაძრის აღმოსავლეთ ნიშებივით,[543] თითო სვეტია ჩადგმული. აღმოსავლეთი ფასადის შუაგულში ერთადერთი სარკმელია, ქვემოთ გადაკვანძული ორი გრეხილი პროფილით შექმნილ კვეთილ ჩარჩოში მოქცეული. ზემოთ განიერი სარკმლის წარბია, კიდეებზე დახვეწილ კედლის სვეტებზეა დაბჯენილი.

ჩვენ არ გაგვაჩნია რაიმე წერილობითი საბუთი სამლოცველოს აშენების თარიღის შესახებ. ე. თაყაიშვილი ახსნა-განმარტების გარეშე ამტკიცებს, იგი დავით I კურაპალატმა 976-981 წლებს შუა ააშენებინაო.[544] ჩემი დაკვირვებით, რომელიც უპირატესად შენობის აღმოსავლეთ ფასადს ემყარება, – კერძოდ, მის დახვეწილ დაღარულ კონქებსა და მათ ზიგზაგისებრ ნაპირებს და ერთადერთი აღმოსავლეთი სარკმლის ორნამენტულ სამკაულს – შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ტაძარზე ცოტათი გვიან უნდა აეშენებინათ. ამას გარდა, მისი ერთადერთი აღმოსავლეთი სარკმელი, მეტადრე კი კაპიტელის მცენარეული მოტივი, ეკლესიის დასავლეთი ფასადის სარკმლის წარბის მსგავსი, მაფიქრებინებს, რომ იგი X საუკუნის დამლევისა უნდა იყოს.

მეორე მხრივ, სამლოცველოს ბჭე, გადაუბმელი მის დასავლეთ კედელს, უთუოდ მოგვიანო დანამატია. კარიბჭის დასავლეთი ბურჯების ოთხნაწილედ სვეტთა კონის ბაზისებსა და კაპიტელებზე მოხმარებული მცენარეული მოტივების სტილი უთუო მოწმობაა ოსტატის მცდელობისა, მიაღწიოს დეკორაციულ ერთიანობას მთავარი ტაძრის სამხრეთ

---

[542] *ექსპედიცია*, გვ. 66.

[543] ეს მსგავსება შენიშნული აქვს ე. თაყაიშვილსაც (*ექსპედიცია*, გვ. 66, ტაბ. 107 მარცხნივ).

[544] ექსპედიცია, გვ. 66. ე. თაყაიშვილის ეს დებულება მოულოდნელია, რადგან დავით I არა 981, არამედ 881 წელს გარდაიცვალა.

ფასადთან, უფრო მეტად მის სამხრეთ კარიბჭესთან.[545] ეს მიღწეულია ეკლესიის კარიბჭის კაპიტელებისა და ბაზისების ნახატისა და სტილის მიბაძვით, კიდევ მეტად კი [illegible] კვეთითა და ორნამენტისა და ფონის მჭიდრო ნათესაობით. კარიბჭის აღმოსავლეთი პილასტრები, ოთხი ტანწვრილი კედლის სვეტით შედგენილი, ასევე [illegible], რომ კარიბჭე მართლაც მოგვიანო დანამატია, იქნებ სულაც XIII საუკუნის [illegible]ისა.

## ã. ეკლესია მთავარი ტაძრის ჩრდილოეთით

ოთხი სამლოცველოსაგან უკანასკნელი და უდიდესი ეკლესიის ჩრდილოეთით, მისგან ხუთი მეტრის დაცილებით დგას. ესაა კამაროვანი დარბაზული ეკლესია სამი აფსიდით მის აღმოსავლეთ ბოლოში. მისი კედლები გულდაგულ დაკუთხვილი, გლუვზედაპირიანი ქვებითაა ნაგები. შიდა და გარე მოპირკეთება თითქმის მთლიანადაა დაკარგული და დარჩენილია მხოლოდ დუღაბის სქელი გული. კამარა ჩამოქცეულია, გამქრალია აფსიდის სარკმლის შიდა მოპირკეთება. სამივე აფსიდის სარკმელთა შიდა პირი და კონქების ნაშთები ფაქიზად თლილი ქვებითაა გამოყვანილი. დასავლეთი კარის ქვემოთ სივრცეა, რომელიც, ე. თაყაიშვილის აზრით, ბერთა სამარხი იქნებოდა.[546]

## 10. ორი ეკლესია სავანის გარეთ

მონასტრის ზღუდის გარეთ შევისწავლე ორი კამაროვანი ცალნავიანი ეკლესია. ერთი მათგანი მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, 100 მ-ის დაშორებით, ხახულის წყლის მარჯვენა მხარეს. მისი გარეთა ზომები 6.20 × 4.05 მ-ია (სურ. 51). მას ერთადერთი კარი აქვს ჩრდილოეთი მხრიდან. მის ზღუდარზე (1.95 × 0.87 მ) ამოკვეთილი მრგვლოვანი წარწერა არ შეიცავს რაიმე მათარიღებელ მონაცემებს.[547]

მეორე ნაგებობა მომცრო სამლოცველოა. იგი კლდოვან მთაზე დგას, რომელიც მთელს ხეობას გადაჰყურებს, დაახლოებით ორი კილომეტრის მანძილზე კათედრალის დასავლეთით. კლდეზე 3.00 მ-ის სიმაღლის სუბსტრაქციაა ამოყვანილი სწორკუთხა ბაქნისათვის, რომელზედაც სამსაფეხურიან სტილობატზე სამლოცველოა აღმართული. სამლოც-




51. მეორე ეკლესია მონასტრის ეზოს სამხრეთით, გეგმა




52. სამლოცველო მონასტრის ეზოს დასავლეთით, გეგმა

---

[545] შეადარე ტაბ. 107 მარჯვნივ (*ექსპედიცია*) სამხრეთი კარიბჭის ბაზისებსა და კაპიტელებს ჩვენს ტაბ. 209-210-ზე.

[546] *ექსპედიცია*, გვ. 66.

[547] *ექსპედიცია*, გვ. 67.

კელის გარე პერანგი, ასევე მისი კამარაც, სწორ რიგებად დაწყობილი, გლუვად დამუშავებული ქვიშაქვის ბლოკებით იყო ნაგები (ტაბ. 213, სურ. 52). მისი 1.75 სიღრმისა და 2.10 მ-ის სიგანის აფსიდში ერთი სარკმელი იყო და ორი გვერდითი სწორკუთხა ნიშა — ეს მიღებული გამართულობაა ამ მხარის ერთნავიანი, კამაროვანი სამლოცველოებისა. ერთადერთი კარი მას, წინააღმდეგ ე. თაყაიშვილის მტკიცებისა, დასავლეთით აქვს და არა სამხრეთით. იგი იხსენიებს კიდევ ორი ეკლესიის ნაშთს მონასტრის აღმოსავლეთით, რომელთა კვალი მე ვერ ვნახე.

## 11. ლიტერატურული ცნობები ხახულის მონასტრის შესახებ

ხახულის მონასტერი მთელს საქართველოში განათლებისა და მწერლობის ერთი უთვალსაჩინოესი კერა იყო. სწორედ აქ თარგმნა X-XI საუკუნეებში იოვანე ხახულელმა კირილე ალექსანდრიელის სწავლანი[548] და თებერვლის თვის წმინდანთა საკითხავები.[549] აქვე ილვაწა დიდად განსწავლულმა, ფილოსოფიას კარგად დაუფლებულმა პირმა ბასილიმ, ბაგრატ III-ის (975-1014) ძმ. მისი წვლილი პოეზიისა და ჰიმნოგრაფიის რეფორმა გახლავთ.[550] ხახულში მოღვაწეთაგან გამოირჩევიან ასევე დავით ტბელი, რომელმაც გადანუსხა წმ. იოანე ოქროპირის „თარგმანებანი",[551] გრიგოლ ხახულელი, ოქტომბერ-ნოემბრის საკითხავთა გადამწერი,[552] და სახელგანთქმული წმ. გიორგი ათონელი. იერუსალიმში დაცული ხელნაწერი (№ 2) მიგვითითებს ხახულისა და ორონტის ანტიოქიის მიდამოების კალიპოსის ქართული მონასტრის მწიგნობართა მჭიდრო ურთიერთობაზე.[553] მიუხედავად ხახულში გაჩაღებული ფართო საგანმანათლებლო და სამწერლობო მოღვაწეობისა, არ შემოგვრჩენია სემინარიის, სკრიპტორიუმის, ბერების საცხოვრებელთა თუ სხვა ნაგებობათა კვალი. როგორც ეტყობა, მონასტერი XVI საუკუნის შუა წლებამდე მოქმედი იყო.[554] იქნებ ყველაზე ცხოველი დანატოვარი ხახულის სახელმოხვეჭილი მონასტრისა იყოს ამჟამად თბილისში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცული ღმრთისმშობლის მონუმენტური ხატი (ტაბ. 214-215).[555]

---

[548] R. P. Blake, "Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothéque patriarchale grecque à Jerusalem", *ROC* 23, 1922-23, № 151.

[549] იქვე, № 35.

[550] ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 658-659, 661-662.

[551] Blake, დასახ. ნაშრ., № 32.

[552] იქვე, № 54.

[553] Djobadze, *Materials*, გვ. 97-100; Blake, დასახ. ნაშრ., № 2 გვ. 362-ზე. ხახულში სამწერლობო მოღვაწეობის თაობაზე იხ.: ლ. მენაბდე, *კერები* I, გვ. 454-459.

[554] ხახულის მონასტერი უკანასკნელად იხსენიება 1556 წელს ხელნაწერში, რომელიც ახლა თბილისშია, ხელნაწერთა ინსტიტუტში (S კოლექცია, № 252).

[555] W. Djobadze-Zizichwili, "El icono y los esmaltes de Jajuli", *Archivo Español de Arte*, № 93, 1951, გვ. 11-33, № 97, 1952, გვ. 25-51, სადაც ხახულის ხატის უამრავი ლიტერატურაა მოტანილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ტაოს ორი ბაზილიკური ეკლესია

## შესავალი

მეორე პერიოდის სიგრძეზე ტაო-კლარჯეთში აგებული სამრევლო, საეპისკოპოსო და სამონასტრო ეკლესიები თითქმის ერთიანად გუმბათიანი ტიპისაა. ორი გამონაკლისია ოთხთა ეკლესიისა და პარხლის სამნავიანი ბაზილიკები, რომელნიც თავისი ზომების სიდიადით, აღნაგობის სირთულითა და სამშენებლო ხელოვნების სინატიფით ჯაბნის ამ მხარის ყველა მანამდელსა თუ მერმინდელ ბაზილიკურ ეკლესიას და ამიტომაც, თანადროულ ცენტრულ ეკლესიებთან უნდა იქნეს გათანაბრებული.

## C. ოთხთა ეკლესიის მონასტერი

ოთხთა ეკლესიის მონასტერი (მას აგრეთვე სიტყვა-სიტყვით თურქული თარგმანით „დოორთ კილისე"-დ იცნობენ) მდებარეობს ცხოველხატულ ტყიან მთაზე, ასე, რვა კილომეტრის დაშორებით დასახლება დორთ კილისესგან, რომელიც მდ. ჭოროხის მარცხენა ნაპირზეა გადაჭიმული, მის შენაკადთან, დორთ კილისესთან შესართავის სიახლოვეს.

მონასტერი განთავსებულია საგანგებოდ მოსწორებულ, მაღალ 1.350 მ-ის სიმაღლის მთის ფერდობში შეჭრილ სამკუთხა ბაქანზე. ზუსტად დორთ კილისეს ღელის მარჯვენა მხარეს მისი ქანი გამოშიშვლებულია. სავანიდან ჩრდილოეთით ორ კილომეტრში იწყება პარხლისკენ მიმავალი ბილიკი, რომელიც საძოვრებს გადაივლის და სულისშემძვრელი გადასახედებით ცნობილი გუნ-გერმესის უღელტეხილისკენ მიემართება.

მონასტერი გარშემორტყმულია მსხლის, კომშის, შინდის, თუთისა და კაკლის ძველი ბაღებით. თავის დროზე მათი ნაყოფი ბერების კვების გვარიანი წილი უნდა ყოფილიყო, რადგან ამ ხეებს ამ მხარის თითქმის ყველა სავანეში ნახავთ. მონასტერი რამდენიმე შენობისგან შედგება. აქაა: დიდებული ბაზილიკა, ორსართულიანი სამარხი ეგვტერი მის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სატრაპეზო მისგან დასავლეთით, ორნავიანი დარბაზი ჩრდილო-დასავლეთით, რომელიც სემინარია და სკრიპტორიუმი იქნებოდა. მონასტრის დასავლეთით, 150-ოდე მეტრის დაცილებით, მცირე სამლოცველოსა და ორსართულიანი კამაროვანი ნაგებობის ნაშთებია, რომელნიც, ე. თაყაიშვილის თანახმად, ბერთა კრებულის სამყოფელი იყო.

### 1. მთავარი ბაზილიკა

მონასტრის უთვალსაჩინოესი ნაგებობა, სამნავიანი ბაზილიკა (ტაბ. 216, სურ. 53), საკმაოდ მნიშვნელოვანი ზომისაც (გარეთა სიგრძე 28.46 მ, სიგანე 18.60 მ, სიმაღლე 22.07 მ) არის და ნატიფი ხელობისაც.

მას სამი შესასვლელი აქვს: თითო – ჩრდილოეთითა და სამხრეთით (სიმაღლე 3.74 მ, სიგანე – 1.87 მ.) და ერთიც – დასავლეთით. ეკლესიის გარე პერანგისთვის ნახმარია ერთნაირად სუფთად გათლილი ტუფის ქვები, იშვიათი სიზუსტით დაკუთხვილი და სწორ რიგებად ისეთი სიზუსტით დალაგებული, რომ მათ ნაპირებს შორის ადგილიც კი არ რჩება. იგივე მასალა, ოღონდ ტლანქად ნათალი, გამოყენებულია შიდა წყობისთვისაც, სადაც მას აგური (0.50 × 0.50 × 0.07 მ, 0.34 × 0.34 × 0.09 მ) და ზოგჯერ რიყის ქვებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა




53. მონასტერი, გეგმა

ენაცვლება. კედლის გული შედგენილია ტუფის ერთგვაროვანი ხსნარით აგურის ნატეხებისა და ხრეშის მინარევებით. ყველა პილასტრი სუფთად თლილი ქვებისაა.

ეკლესია საკმაოდ კარგადაა დაცული, სამხრეთი და ჩრდილოეთი გარე კედლების გამოკლებით, რომელთა დიდი ფართობები შეეწირა საშენი მასალის მრავალგზის მოპოვებას. მთელია ციცაბო სახურავებიც, გარდა 0.02 მ-ის სისქის კრამიტებისა, რომელთაგან ერთიც არაა დარჩენილი და ზომებსაც ვერ დაადგენ ზუსტად.

ეკლესიის ორსაფეხურიანი საძირკველი ნაგებია დაკუთხვილი, სუფთად თლილი ქვებით (სიმაღლე და სიგანე 0.19 მ), მისი სტერეობატი და სტილობატი მხოლოდ აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ჩანს, რადგან სამხრეთი კედელი და, ნაწილობრივ, დასავლეთი კედელიც ორ მეტრამდე ნაშალითაა დაფარული. გარეთა კედლები ერთიანადაა დანაწევრებული 0.50 მ-ის სიგანის პილასტრებზე გადაყვანილი კამაროვანი თუ დეკორაციული თაღებით.[556] სართავი თაღების სიგანე უცვლელად 1.85 მ-ია; გამონაკლისია 1.87 მ-ის სიგანისა და 3.75 მ-ის სიმაღლის კარების მომცველი თაღები, რომელთა სიგანე 2.28 მ-დეა გაზრდილი, თუმცა სიმაღლე 9.20 მ-ის დონეზე რჩება.

[556] გარდა მიმდებარე კუთხის პილასტრებისა, რომელთა სიგანე 0,25 სმ-ით მეტია, ე. ი. 0,75 სმ-ია.

## ა. სამხრეთი ნავი

ქვის მძარცველთა მეცადინეობით, ეკლესიის სამხრეთ მხარეს (ტაბ. 217, სურ. 54) პერანგის დიდი ნაწილი ჩამოცლილია. დარჩენილი ნაწილი გვაფიქრებინებს, რომ სამხრეთი და ჩრდილოეთი ფასადები ერთნაირად იყო აგებული: ორივეზე კედლის თაღედებია, მათში ორ სართულად გაჭრილი, 1.05 მ-ის სიმაღლის, თაღოვანი შიგნითკენ გაფართოებული სარკმლებით (გარეთა სიგანე 0.28, შიდა – 0.95 მ); ზედა მწკრივში ხუთი სარკმელია, ქვედაში – შვიდი. ისინი ვერ მოეწყობოდა იქ, სადაც შიგნით თაღების მზიდი კრონშტაინებია დატანებული. კედლის სისქე 1.03 მ-ია.



54. ეკლესია, სამხრეთი ფასადი

სამხრეთი ნავის სარკმლებს შვერილი, ომეგას ფორმის, ჰორიზონტალურად გაკეცილი წარბები აქვს, გვერდებზე პილასტრებს მიბჯენილი. შუა ნავის სარკმლების პროფილები თითქმის მთლიანად განძარცვულია. ორგან ვიპოვე ნახევარწრიული პროფილების ფრაგმენტები, შემკული წრეების წნულითა და ორმაგი ლენტით, რაც მიგვანიშნებს, რომ აქ ისეთივე მორთულობა იყო, როგორც ჩრდილოეთ ფასადზე. აქ არ უნდა გამეორებულიყო ჩრდილოეთი ფასადის სარკმელთა მეტისმეტად გაწელილი გადანაკეცები (ტაბ. 220-221). მათი მოუხერხებელი განლაგება და მეტად დიდი ზომა გვაფიქრებინებს, რომ ეს მოგვიანო დანამატია.

## b. ჩრდილოეთი ნავი

უკეთ შერჩენილ ჩრდილოეთ ფასადზე (ტაბ. 219) ქვედა რიგების სარკმლებს მონოლითური თაღები ახლავს, გამშვენებული რადიალური ღარებით, ზედ გადაწნული წრეებით, ორმაგ ლენტთან გადაბმული პარალელური წრეებით და ბატიყელაით. ზედა რიგის სარკმლები (ტაბ. 220-221) შემკულია სხვადასხვა მცენარეული და გეომეტრიული სახეებით, მაგალითად, ექვსფურცელა ვარდულებით, მათ შორის ვაზის მტევნებითურთ, განახევრებული S-ის ყლორტებით, ორლენტოვანი წნულით, აქეთ-იქით ტოლმკლავიანი განედლებული ჯვრებითურთ, თევზისფხური სახითა და გადაწნული კვადრატებით.

ჩრდილოეთი ფასადის კაპიტელების უმეტესობა მორთულია ორ-და სამმაგი ნაჭდევით, ორფა გრეხილით, რომბებით, მაკრატელა და კბილანა სახეებით, მაშინ როდესაც მათი შესაბამისი შერჩენილი სამხრეთი ფასადის კაპიტელები სადაა. ასე რომ, დეკორაციული მახვილი აქ, ჩვეულებისამებრ, სამხრეთით კი არ ყოფილა, არამედ ჩრდილოეთით. ეს გვიჩვენებს, რომ ოსტატი იძულებული იყო გადაწყვეტის მოძიებისას უფრო მეტად ადგილის ვითარებისთვის გაეწია ანგარიში, ვიდრე ტრადიციისთვის. გასაკვირველი კია, რომ პარხლის ეკლესიაში, ოთხთა ეკლესიის ზუსტ ასლში, დეკორაციულად ჩრდილოეთი კედელია გამახვილებული და არა მზით გაჩახჩახებული სამხრეთი ფასადი.

## c. შუა ნავი

შუა ნავი და მისი ციცაბო სახურავი გვერდითების თავზეა ამოწვდილი, კედლების ზედაპირის ქვედა ნაწილი დანაწევრებულია გრეხილებით შექმნილი, ორსაფეხურიანი ჩაწეული თაღების უწყვეტი რიგით (ტაბ. 217-218, სურ. 54). ისინი ემყარება შეწყვილებულ სვეტებს, მოთავებულს წყვილი ბურთულებითა და პროფილირებული აბაკით – X საუკუნის მეორე ნახევარში ამ მხარეში ეს საყოველთაოდ მიღებული დეკორაციული ელემენტია (მაგალითად, ოშკი, ხახული). ყველა შემორჩენილი პლინთი სადაა. როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ მხარეზე ამ საროაკი თაღების სიმაღლე მუდმივ 2.80 მ-ია. მათი სიგანე და სარკმლების განთავსება საკმარისად ცვალებადია (1.20 მ-დან 1.70 მ-მდე), მაშინ როდესაც პარხლის ეკლესიის შესაბამის ადგილებზე თაღების სიგანე უცვლელია, ერთი და იგივე, როგორც ეს უნდა იყოს კიდევაც. ეს შეუთანხმებლობაც იმის დამადასტურებელია, რომ ოთხთა ეკლესიაში თაღნარი ეკლესიის დასრულების შემდეგ პარხლის წაბაძვითაა მიმატებული. მეორე მხრივ, სარკმლების განთავსება ნაწილობრივ აიხსნება კამარებისა და თაღების განლაგებითა და ეკლესიისთვის შუქის რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მიწოდების სურვილით. აღსანიშნავია, რომ შუა ნავის სამხრეთი და ჩრდილოეთი სარკმლების აღმოსავლეთი წყვილი კედელში $90^{0}$-ით კი არაა ჩაჭრილი, არამედ აღმოსავლეთისკენაა გადახრილი – ეს ოსტატის აშკარა მცდელობაა, გაზარდოს აფსიდში შუქის რაოდენობა და ამით შემატოს ღვთიური ხასიათი ეკლესიისა და, პირველ ყოვლისა, საკურთხევლის შიდა სივრცეს. ამგვარადვეა გადაწყვეტილი კიდურა დასავლეთი სარკმლებიც, რომელთა წირთხლები იშლება დასავლეთისკენ და უმატებს შუქს დასავლეთ პატრონიკეს. შუა ნავის სარკმელთა თაღები, რომელთაც, სიშორის გამო, ახლოდან ვერ დაათვალიერებ, სრულებით შეუმკობელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ტაო-კლარჯეთის ეკლესიებში გრეხილი შეწყვილებული სვეტები, რომლებიც X საუკუნის შუახანიდან ჩვეულებრივი ხდება, პირველად გუმბათის ყელზე გამოჩნდა (მაგალითად, ოშკი, ხახული) და მერედა გადაინაცვლა თანდათანობით ტაძართა ფასადებზეც. შეწყვილებული სვეტები ყველგან კედელსაა გადაბმული. ოთხთა ელესიის შემთხვევაში კი (ტაბ. 217) სვეტები მთლიან ქვაშია გამოკვეთილი, რომელიც გადაბმული კი არა, უბრალოდ მიბჯენილია გლუვად დამუშავებულ კედელს. ეს დამატებითი დასტურია იმისა, რომ ბაზილიკის სიმაღლე გაზარდეს 978 წლის შემდეგ, დავით კურაპალატის ზეობაში. ამ დასკვნას კიდევ ორი გარემოება ემხრობა: 1. შუა ნავის სარკმელთა რაფები თითქმის გვერდითი ნავების სახურავთა სიმაღლეზეა მოქცეული, რაც

მიგვანიშნებს, რომ ეკლესიის დასრულების შემდეგ აწეულ იქნა გვერდითი ნავების სახურავები. 2. ქრონოლოგიურად ოთხთა ეკლესიის ორ სამშენებლო პერიოდს შუა მოქცეული ორი თვალსაჩინო ტაძრის, პარხლისა და ოშკის, შუა ნავის ყველა მონოლითური იმპოსტი მორთულია ასტრაგალითა და თაროთი მის თავზე. აი ოთხთა ეკლესიაში კი ორგვარი იმპოსტებია მოხმარებული. ერთი რიგისანი, ზუსტად ისეთივე, როგორც პარხალსა და ოშკში, აგვირგვინებს შუა ნავის დასაფეხუროვნებული თაღების მზიდავ კედლის ბოძებს. მეორენაირი, სადა იმპოსტი შუა ნავის ქვედა დონეზეა მოხმარებული, მისი ზუსტი პარალელი კი ათი წლით ადრეულ ხანცთის ტაძარში იძებნება.

სამხრეთისა და ჩრდილოეთი კედლების სართავი თაღები გამოგრძელებულია აღმოსავლეთითაც და დასავლეთითაც, სადაც კედლები შვიდ-შვიდი საფეხუროვანი სართავი თაღითაა დანაწევრებული. აღმოსავლეთ ფასადზე თაღების სიგანე უმნიშვნელოდ იცვლება (1.59 მ-დან 1.64 მ-მდე), მხოლოდ შუათანაა 1.79 მ-ის სიგანის. ყველაზე გასაკვირი აქ გვერდითი ნავების თავზე მკვეთრად აზიდული შუა ნავის ცენტრისკენ მათი სიმაღლის თანდათანობითი მატებაა. ზოგიერთი მეცნიერი გარე კედლის ვერტიკალურობის ასეთ ხაზგასმას შუა ევროპის რომანულ ტაძართათვის მაგალითის მიმცემად მიიჩნევს.[557]

## d. აღმოსავლეთი ფასადი

აღმოსავლეთ ფასადს (ტაბ. 222, სურ. 55) 11 თაღოვანი და სამი მრგვალი სარკმელი აცხოვლებს. ქვედა ნაწილში ოთხი სარკმელი პასტოფორიუმებს ანათებს, იმავე დონეზე კიდევ ორი დამატებითი კი – ოვალურ სადგომებს პასტოფორიუმების ზევით. ზედა ნაწილის ექვსივე სარკმელი მორთულია შვერილი ჰორიზონტალურქუსლებიანი ნახევარწრიული წარბებით. სარკმლის თაღოვან თავებსა და წარბებს შორის სადებავით რადიალური ლურჯი და წითელი ზოლებია დატანილი. ოთხი ზედა სარკმელი შუქს პასტოფორიუმებისზედა ოთახებს აწვდის. მათი პაწია თავსართები შემკულია უხეშად კვეთილი ნაირგვარი ფოთლოვანი მოსართავებითა და გეომეტრიული სახეებით, რომელთაც გადაწნული ლენტები ქმნის. აფსიდში გაჭრილი შუალა სარკმელი (ტაბ. 223) ზომით სხვებზე დიდია (სიმაღლე 2.16 მ, სიგანე 1.08 მ). უცნაურია, რომ მას არა აქვს პროფილირებული მხრები და ის უხერხულად ადგება მომფარგვლელ პილასტრებს. მის ასწვრივ მდებარე დეკორაციული თაღის ზედაპირზე მხოლოდ და მხოლოდ გადაჭდობილი წრეების მარტივი მწკრივია, რომელნიც წყვილი ლენტითაა შექმნილი – ეს მოტივი გაბატონებულია ბაზილიკის გეომეტრიულ კვეთილობაში. სამწუხაროდ, ვერ გამოვიკვლიე ფრონტონის სამი წრიული სარკმელი, რომელნიც ტაძრის ინტერიერის კი არა, ძნელბედობის ჟამს თავდამსხმელთაგან ძვირფასი ნივთების შესანახად მოწყობილი სამალავის გასანათებლადაა დაყოლებული.

ზედ ფრონტონის კიდესთან მეწამულ წრეში ლურჯი მალტური ჯვარია (ტაბ. 239). ამ რგოლის ქვემოთ ერთსტრიქონიანი მრგვლოვანი წარწერაა დავით კურაპალატის ხსენებით. ის გვიმოწმებს, რომ წარწერა 978 წელს დავითის გაკურაპალატებასა და 1001 წელს მის გარდაცვალებას შორისაა შესრულებული.[558]

უჩვეულოა ორი ხაზი, რომელიც კუთხით ეშვება შუა თაღის წვერიდან შუა ნავის კედლების თაღნართა სიმაღლემდე (ტაბ. 222). რაკიღა მასვე იმავე ადგილას ვხედავთ დასავლეთ ფასადზეც (ტაბ. 224), საფიქრებელია, რომ თავიდან შუა ნავი გვარიანად დაბალი იყო, სახურავი კი ნაკლებად დამრეცი. ესეცა და სხვა გარემოებანიც, რომელთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ, ასევე ფრონტონის წარწერა, აჩვენებს, რომ საბოლოო სახე ტაძარმა 978 წლის მერე მიიღო. ამ თარიღზე ცოტა გვიან შუა ნავი 4.00 მ-ზე უფრო მეტად აამაღლეს, გვერდითა ნავები – დაახლოებით 2.20 მ-ით. თანადროულად მიემატა სიმაღლე შუა

---

[557] ამასთან დაკავშირებით იხ.: H. Sedlmayr "Östliche Romanik", გვ. 64-67; E.Neubauer, "Zu den Beziehungen zwischen der kaukasischen mittelalterlichen Baukunst und der mitteleuropäischen Romanic", *Georgica* 6, 1983, გვ. 74-78.

[558] *ექსპედიცია*, გვ. 17. წარწერების შესახებ იხ. ქვემოთ, სურ. 59.

ეროვნული ბიბლიოთეკა




55. ეკლესია, აღმოსავლეთ ფასადი

ნავისა და ორივე გვერდითი ნავის თაღნარებსაც. ჩვენს ფოტოსურათზე (ტაბ. 224) ნაჩვენებია, როგორ კვეთს და ჭრის გვერდითი ნავების თაღები აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე სახურავის ხაზს. ყველა მონაცემი გვეუბნება, რომ 978 წლის ახლო ხანებში გადაუწყვეტიათ ეკლესიის სიმაღლის მომატება და ეკლესიის მასათა მძაფრი ზესწრაფვის ხაზგასმა. იგივე ტენდენცია იჩენს თავს პარხლის მიახლოებით თანადროულ ბაზილიკაშიც, ხოლო გარკვეულ ზომაზე – ოშკისა და იშხნის ცენტრული გეგმის ეკლესიებშიც, სადაც ეს მიზანი თვალისთვის კედლის თაღების სიმაღლის გაზრდითაა მიღწეული. საგულისხმოა ისიც, რომ სომეხ ქალკედონიტთათვის ტაო-კლარჯეთის აღმოსავლეთ პროვინციებში აშენებულ ქართულ ეკლესიებსა (ჭალა, ურთა) და თვით საკუთრივ სომხურ ტაძრებშიც (ანისი, სანაინი, ჰაღბატი) საწინააღმდეგო ტენდენცია შეიმჩნევა.

## ე. დასავლეთი ფასადი

დასავლეთი ფასადი, აღმოსავლეთის მსგავსად, შვიდი ზემსწრაფი თაღითაა დანაწევრებული, რომელთა სიმაღლე შუაგულისაკენ იზრდება (ტაბ. 224). სამაგიეროდ, სარკმლების რაოდენობა ნაკლებია, მათი განთავსება კი – განსხვავებული. ქვედა დონეზე აქ ოთხი კი არა, ექვსი სარკმელია. შუა, ყველაზე დიდი, შესაბამის აღმოსავლეთისაზე ბევრად მაღლაა მოთავსებული, ფრონტონში სამის ნაცვლად მხოლოდ ერთი მრგვალი სარკ-

შულია, მცენარეული მოტივით მორთულ ჩარჩოში (ტაბ. 225). ჩრდილოეთიდან მესამე თაღში მოწყობილია პატრონიკეზე (საქალებოში) შემავალი კარი. მის ნაწილობრივ შერჩენილ ზღუდარზე ნაკვეთი ქართული წარწერაა (იხ. ქვემოთ). ეს კარი მეორე სამშენებლო პერიოდში უნდა იყოს გაჩენილი. თავისთავად ცხადია, მაშინდელივეა დასავლეთი ფრონტონის სარკმელიც, რასაც ემხრობა სარკმლის წრიული ჩარჩოს სტილი, აგებულება და ნატიფი ხელობა.

დასავლეთი ფასადის სარკმლები მოკლებულია მორთულობას, რადგან მიმდებარე ნაგებობა ჩრდილში აქცევს მის დიდ ნაწილს. ამიტომაც დიდი შუა სარკმელი, აქცენტირებული სადა შვერილი წარბით, საგრძნობლად მაღალია (მიახლოებით 4.30 მ), ვიდრე შესაბამისი ღიობი აღმოსავლეთ ფასადზე.

## 2. ეკლესიის ინტერიერი

### ა. შუა ნავი

შუა და გვერდითი ნავები ხუთ მონაკვეთადაა დაყოფილი ტოლმკლავა ჯვრის მოყვანილობის ბურჯების ოთხი წყვილით (სურ. 35). ეს ბურჯები ერთი ზომისაა (სიგრძე 1.65 მ, ყოველი მკლავის სიგანე 0.53 მ), გარდა აღმოსავლეთი წყვილისა, რომელიც სხვებზე 1.90 მ-ით განიერია. ყველა მათგანს პროფილირებული ბაზისები აქვს და შემტკიცებულია 0.28 მ-ის ზომის კვადრატული ზოლებით. დასავლეთის სამი უბე თანაბარია (სიგანე 2.55 მ.), რომელსაც მოსდევს უფრო განიერი მალი (4.55 მ), შემდგომ კი – ვიწრო (0.95 მ), უკვე საკურთხევლის ფარგლებში. ყველა ბურჯის იმპოსტები ერთ სიმაღლეზეა, მაგრამ ღერძზე მდებარე, ოდნავ წაისრული თაღების სიმაღლე კი თანდათან მატულობს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. პირველი 8.73 მ-ის სიმაღლისაა, მეორე 8.83 მ, მესამე 8.94 და მეოთხე 9.37 მ-ისა. თაღების სიმაღლის თვალსაჩინო მატება აღმოსავლეთი მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ როგორც ხუროთმოძღვრის შეგნებული ცდა სივრცის განცდის გამახვილებისა სალოცავის აღმოსავლეთი ბოლოსკენ და საკურთხევლისა და მთლიანად აფსიდის აქცენტირებისა.[559] სწორედ საამისოდ შუა ნავის სარკმელთა აღმოსავლეთი წყვილი დანარჩენებივით კი არ არის დახრილი, არამედ მიზანდასახულად მიქცეული აღმოსავლეთისკენ, საკურთხევლისა და, უფრო მეტად, კონქისთვის შუქის რაც შეიძლება დიდი რაოდენობის მისაწოდებლად, რათა მაქსიმალურად გამოიხატოს მათი სულიერი და ღვთიური მნიშვნელობა. იმავე მიზანს ემსახურება საკურთხევლის სარკმლის გაგანიერებაც. აღნიშვნად ისიც ღირს, რომ თანადროულად საკურთხევლისათვის თეოლოგიური შინაარსის გასავრცობად აღმოსავლეთი ბურჯების დასავლეთ წახნაგზე დიდრონი ფრონტონიანი ნიშები გამართეს. ეს ლამაზი ნიშები, ისე ჩანს, რომ ხახულის ხატის მსგავსი დიდი ხატების დასასვენებელი იქნებოდა (ტაბ. 227). ისინი მდიდრულად არის მოჩარჩოებული ორმაგი გრეხილით, რომელიც ბურთულებს ემყარება. მათი ბაზისები გამშვენებულია თაროთი და სამმაგი არშიის პროფილებით. მათ ქვემოთ მომცრო თაღოვანი ნიშებია, რომელნიც, საგულვებელია, ხატების მოსათავსებლად იყო გამიზნული. ამას გარდა, აღმოსავლეთის ბურჯებს სხვებივით სადა კი არა, ნაირგვარი კვეთილობით მორთული ბაზისები აქვთ. ჩუქურთმა მოხმობილია საკურთხევლის (იგი სიგრძით თითქმის 7.0 მ-ია, სიმაღლით კი 0.70 მ) შემაღლების წინა პირის მოსართავადაც. მისი მთელი ზედაპირი დაჩუქურთმებულია მკვეთრი გეომეტრიული ორნამენტის ოთხი არშიით (იხ. ქვემოთ). ყველა ეს ელემენტი გვითვალსაჩინოებს, რომ ხუროთმოძღვრის უპირველესი მიზანი საკურთხევ-

---

[559] იხ. ზემოთ, სურ. 46. X-XI საუკუნეებში ეს ტენდენცია ჩანს ტიპოლოგიურად სხვა გუმბათოვან ეკლესიებში, რომლებშიც გუმბათი ეკლესიის შუაგულიდან საკურთხევლისკენ ინაცვლებს. პრესბიტერიუმის თეოლოგიური მნიშვნელობის მატება აშკარად გამოსჭვივის იმავე ხანის ბიზანტიის ლიტურგიაში. იხ.: U. J. Schulz, *Die byzantinische Liturgie*, Freiburg, 1964, გვ. 62-75; R. Krautheimer, *Early Christian and Byzantine Architecture*, 1986, გვ. 299 და შემდგომ.

ლის მონაკვეთის საგანგებო გამოყოფა იყო როგორც ოპტიკური და ლიტურგიკული ცენტრისა.[560]

შუა ნავის კამარის საბჯენი თაღები მოყვანილობითა და ზომით ისეთივეა, როგორც შუა ნავის დერძს გაყოლებული თაღები. ამასთან, მთავარი ნავის სარკმლების დონეზე იზრდება მათი სისქე (ტაბ. 228).

ყველა ბურჯი, პილასტრი, თაღი, კამარა, კარი, სარკმელთა ზედა ნაწილები გამოყვანილია დაკუთხვილი, წმინდად დამუშავებული ბლოკებით. მეორე მხრივ, კედლებისთვის, მეტადრე ქვედა ნაწილში, უპირატესობა მიენიჭა ტლანქად დაკუთხვილ და გათლილ კირქვას, რიყის ქვასა და სხვადასხვა ზომის აგურს (0.50 × 0.50 × 0.07 მ. და 0.34 × 0.34X0.09 მ. ტაბ. 229). ეს აგურები სხვა ზომისაა (თუმც იმავე მასალისაა, სახელდობრ, წითელი თიხისა), ვიდრე სამარხ ეგვტერში მოხმარებული: იგი 0.455 × 0.455 × 0.07 მ-ია; — 0.34 × 0.43 × 0.07 მ-ია სამხრეთისა და ჩრდილოეთი ნავების კედლის სართავ თაღებში გამოყენებული აგური, ზოგჯერაც — კრამიტის 0.02 მ-ის სისქის ფრაგმენტი. გვერდით ნავებში შეიმჩნევა მშენებლობის უზუსტობანი, უმთავრესად იმ მონაკვეთებში თავჩენილი, სადაც მალები არ დაემთხვა კედლების სართავ თაღებს და სადაც კამარის საბჯენი თაღები და კედლის თაღები ირეგულარულადაა შეუღლებული ან კიდევ თაღების ქუსლი ბურჯს კი არ ხვდება, არამედ თანდათანობით იძირება კედელში.

ეკლესია მთლიანად სწორად დაკუთხვილი ქვებით უნდა ყოფილიყო მოგებული. შუა ნავის დასავლეთ ბოლოში სამთაღედი პატრონიკეა, ვიწრო სწორკუთხა ბურჯების ორ წყვილზე დაშყარებული (ტაბ. 228, სურ. 53). გვერდებზე პატრონიკეს დამატებით საბჯენად პილასტრები და მათზე საგანგებოდ მიშენებული ვიწრო, საყრდენი კედლები აქვს. ამ კედლებსა და ბურჯებზე დაბჯენილია პატრონიკის კამარის მზიდავი თაღები. პატრონიკის დასავლეთი ბურჯები იჭრება ეკლესიის დასავლეთ სარკმელში, რაც გვიმოწმებს, რომ ეს პატრონიკე მოგვიანო დანამატია. ამას დაგვანახებს ამ პატრონიკისა და პარხლის უახლოესად მონათესავე ეკლესიის დასავლეთი პატრონიკის შედარება, სადაც არ არსებობს ამგვარი შეუსაბამობანი. ოთხთა ეკლესიის დასავლეთი პატრონიკის უზუსტობანი გვაფიქრებინებს, რომ იგი 976 და 1001 წლებს შორის დაამატეს, მაშინვე, როდესაც გაზარდეს ეკლესიის სიმაღლე.

პატრონიკეზე მოსახვედრად დასავლეთი ფასადის ჩრდილოეთიდან მესამე სართავ თაღში გაჭრილია 2.10 მ-ის სიმაღლისა და მიახლოებით 1 მ-ის სიგანის კარი (ტაბ. 224). დღესდღეობით დანამდვილებით ვერ ირკვევა, რანაირად ადიოდნენ იატაკის დონიდან დაახლ. 3.00 მ-ის სიმაღლეზე მდებარე ამ კართან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასავლეთის კარიბჭიდან აქ ხის მისადგმელი კიბის მეშვეობით ხვდებოდნენ. ე. თაყაიშვილი[561] იმასაც ფიქრობს, რომ ამ კარში შედიოდნენ X საუკუნის ბოლოში ჩატარებული გადაკეთების დროს დამატებული კარიბჭის სახურავიდან. ამ თარიღს მიგვანიშნებს ასევე წარწერა[562] კარის საჭეჭ ქვაზე.

პატრონიკეზე ასასვლელის საკითხზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია, რომ ოშკის ჩრდილოეთისა და დასავლეთი პატრონიკეების შესასვლელებიც დასავლეთი ფასადის ჩრდილოეთის ნაწილშია გაჭრილი. პატრონიკეებზე მოხვედრა ეკლესიის შიგნიდანაც, ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აგებული ხის კიბის მეშვეობით შეიძლებოდა. ამასთანავე, პარხლის ბაზილიკის, ოთხთა ეკლესიის ზუსტი ასლის დასავლეთ პატრონიკეს არ გააჩნია საგანგებო კარი — მასში ეკლესიის შიგნიდან ადიოდნენ.

---

560 ამ სიახლეთაგან არც ერთი ჩანს მიახლოებით თანადროულ პარხლის ბაზილიკაში, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ოთხთა ეკლესიამ საბოლოო სახე პარხლის აშენების შემდეგ მიიღო.

561 *ექსპედიცია*, გვ. 77.

562 იქვე.

## ხ. საკურთხეველი და მიმდებარე ოთახები

საკურთხეველი იატაკის დონეს 0.70 მ-ითაა აცილებული. მისი პირი (7.00 მ-ის სიგრძის) მთლიანადაა შემკული ორნამენტული კვეთილობით. ესენია ასტრაგალით მოთავსებული მძივების წყება, ქერქისებრი არშია და ზემოთ დაღარული გრეხილი. მასში ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ორი საფეხურით ავდივართ. მოსალოდნელია, დასავლეთი პირის შუაში დამატებით ნახევარწრიული ორსაფეხუროვანი აღსავალიც იყოს, ამ მხარის ეკლესიათა საზოგადო ნიშანი. მაგრამ მე არ შემიძლია ამის დაზუსტება, რადგან წინა მხარეს ნაქცევებია დახვავებული. 7.10 მ-ის სიგანისა და 4.50 მ-ის სიღრმის აფსიდში გამართულია 0.64 მ-ის სიგანისა და 0.45 მ-ის სიმაღლის სინთრონონი. აფსიდის აღმოსავლეთი სარკმლის ჩამოსწვრივ მოჩარჩოებული ბრტყელი ნიშის ნაშთებია, რომელიც აგებულების ხასიათით ხახულისა და პარხლის მსგავსი ნიშების მონათესავეა. ყველა ნიშნით, თავდაპირველად მასში საეპისკოპოსო საყდარი იქნებოდა. ამ აფსიდის მეორე თავისებურებაა ოთხი დაცალკევებული, სიმეტრიულად განაწილებული თაღოვანი შეღრმავებული ნიშა, ყველა ერთი ზომისა. მათი სიმაღლე და სიღრმე 0.64 მ-ია, სიგანე კი 0.45 მ-ს უტოლდება.

აფსიდს ახლავს მასთან უშუალოდ დაუკავშირებელი სწორკუთხა პასტოფორიუმები, რომლებშიც მხოლოდ გვერდითი ნავებიდან შეიძლება შესვლა (სურ. 53). თავდაპირველად პასტოფორიუმები დიდრონი კედლებით ორ თანაბარ სადგომად იყო გაყოფილი. ყოველ მათგანს სარკმელი აქვს. ასევე ორ მოგრძო, 4.26 მ-ის სიმაღლის სადგომადაა გაყოფილი ოთახები პასტოფორიუმების თავზე; ორივეს ნახევარწრიული აფსიდი და პატარა სარკმელი აქვს. ამ სადგომებსა და მთავარ აფსიდს შორის დამატებითი ოვალური ოთახებია, რომელნიც ვერ შევისწავლე, ე. თაყაიშვილის მიხედვით კი ისინი 5.60 მ-ის სიმაღლისაა. მე ვერც საიდუმლო ოთახების ასასვლელს მივაკვლიე, რომლებიც ჩვენს ნახაზზე ნაჩვენები სამი წრიული სარკმლით უნდა ნათდებოდეს (ტაბ. 222, სურ. 55). დაზუსტებით არ ვიცით პასტოფორიუმებსზედა ოთახების დანიშნულება. აქ არ ჩანს რაიმე ნივთიერი მოწმობა, რომ ისინი ორატორიუმებად იყო გამოყენებული (ეკლესიებს გარს არტყია უამრავი სამლოცველო კერძო წირვების ჩასატარებლად). ოშკის, ბანას და, ალბათ, პარხლის ამგვარ სათავსთა მსგავსად მათში მოხვედრა მარტოოდენ პასტოფორიუმიდან შეიძლებოდა. პარხლის მსგავსი ოთახები უაფსიდოა. ამას გარდა, ოთხთა ეკლესიასა და პარხალში მეორე სართულის ზევით სამალავი სათავსებიცაა, შიშიანობისას ძვირფასი საღვთო ნივთების გადასანახად. გაწმენდამ და შემდგომმა კვლევამ იქნებ განსაზღვროს ამ ოთახების დანიშნულება.[563]

ოთხთა ეკლესიის და X საუკუნის მეორე ნახევარში აგებული სხვა ძირითადი ტაოკლარჯული ეკლესიების თავისებურება მათი პასტოფორიუმების აგებულებისა და ზომების მსგავსება და ჩვენი ეკლესიის შესასვლელთა სივიწროვეა. აქ, მაგალითად, კარები მხოლოდ 0.93 მ-ის სიფართოვისაა და საკითხავია, რანაირად ხერხდებოდა ზიარების შემზადება და ჩატარება სამკვეთლოს კარის გაუფართოებლად. სირიულ არქიტექტურაში, რომელიც ზოგჯერ ქართული ეკლესიებისთვის სანიმუშოდაა მიჩნეული, V საუკუნიდან მოყოლებული, სამკვეთლოს შესასვლელი სადიაკვნესთან შედარებით შესამჩნევად განიერია.[564]

---

[563] ზედა სართულის სათავსთა ვრცლად განხილვა იხ.: B. Schellewald, "Zur Typologie, Entwicklung und Funktion von Oberräumen in Syrien, Armenien und Byzanz", *JbAChr* 27/28, 1984/85, გვ. 171-218; N. Teteriatnikov, "Upper-Story Chapels near the Sanctuary in Churches of the Christian East", *DOP* 42, 1988, გვ. 65-72. გვერდითი ოთახების სხვადასხვა დანიშნულება ვრცლად არის განხილული: G. Descoeudres, *Die Pastophorien in syro-byzantinischen Osten*, Wiesbaden, 1983, გვ. 1-25.

[564] K. Liesenberg, *Der Einfluß der Liturgie auf die frühchristlische Basilika*, Neustadt, 1928, გვ. 60; A. M. Schneider, "Liturgie und Kirchenbau in Syrien", *Nachr. Gött G. 3*, 1949, გვ. 59. მაგალითად, ბაბისკას სამხრეთი პასტოფორიუმი (E. Baccache, G. Tchalenko, *Eglises de village de la Syrie du Nord* I, 1979, ტაბ. 168), ბეჰიო (იქვე, ტაბ. 245), კალბლუზე (იქვე, ტაბ. 257, 258, 260) და რუვეიჰაში (იქვე, ტაბ. 289). ჩრდილოეთი სირიის ეკლესიებში საკურთხევლის თანმხლებ ოთახებს არა აქვს მტკიცედ განსაზღვრული ფუნქცია. მათში ხდებოდა ევქარისტიის შემზადება, ვითარცა სამკვეთლოში, იმართებოდა სანათ-

## 3. კედლის მხატვრობა

ეკლესიის კედლები მოურთაველია, ხოლო აფსიდი კი, კამარიდან დაწყებული ქვემოთკენ, შემკულია ორნამენტის ზოლებით ხუთ რეგისტრად დაყოფილი მხატვრობით. როგორც ჩვენს ფოტოსურათზე (ტაბ. 226), მოხატულობა ისეთ ზომამდე ფერგადასული და დაზიანებულია, რომ კომპოზიციათა ამოცნობაც კი სიძნელეს წარმოადგენს. ეს მხატვრობა ყველაზე საფუძვლიანად ქ-ნმა ნ. ტიერიმ შეისწავლა.[565]

პირველ რეგისტრზე, უშუალოდ კონქის ქვემოთ, გამოხატულია აღსაყდრებული ქრისტე ჯვრული შარავანდით მანდორლაში. მის თავზე, ცის სეგმენტიდან გამოწვდილია უფლის ხელი. უფრო ქვემოთ საყდარია ორი ანგელოზისგან ტვირთულ მედალიონში; მასზე აღმართულია ჯვარი ზედ მტრედით. მესამე რეგისტრზე, ზედ აფსიდის შუა სარკმლის თავზე აღსაყდრებული ღმრთისმშობელია აქეთ-იქით ანგელოზებითურთ. აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს ორი რეგისტრია. ამათგან მომაღლო მოიცავს ოთხ წინასწარმეტყველსა და ოთხ წმინდანს სამღვდელმთავრო შესამოსელში. წინასწარმეტყველებს მარცხენა ხელში გახსნილი, იატაკამდე ჩამოსული გრაგნილები უჭირავთ, მარჯვენა კი განდიდების ნიშნად აქვთ აპყრობილი. გრაგნილებზე დატანილი წინასწარმეტყველებანი ქართული მრგვლოვანითაა შესრულებული, რომელიც პალეოგრაფიულად მეტად ჰგავს ოშკის კედლის წარწერებისას. საეპისკოპოსო (?) შესამოსლით საცნობ ეკლესიის მამებს დაბურვილ მარცხენა ხელში წიგნები უჭირავთ. წინასწარმეტყველთა მსგავსად, ისინიც აფსიდის სარკმლისკენაა მიქცეული, რომელიც ასევე შემკულია, თანაც უჩვეულო, საქრისტიანოს აფსიდთა მოხატულობისთვის უცხო თემით. სარკმლის შიდა მხარეს მთლიანად ავსებს ზედა ნაწილი შარავანდიანი ქალის გამოსახულებისა ლურჯ ფონზე, მრგვალ, სტილიზებული შროშანისებრი ყვავილებით შედგენილ ჩარჩოში. გამოსახულს თავს ევლება ვიწრო, ქვემიმართული სამკუთხედის მოხაზულობის ჩარჩო. მარჯვენა ხელით, რომელიც უხვად დაქარგული სამაჯითაა ხაზგასმული, მას უჭირავს მოდელი ბაზილიკური ეკლესიისა შვიდი სართავი თაღით განივსა და ხუთი-ექვსი თაღით გვერდით ფასადებზე. უეჭველია, რომ აქ ძალზე სწორადაა გადმოცემული თვით ოთხთა ეკლესია. ოსტატი ამ ეკლესიისთვის ტიპური ციცაბი სახურავისა და მოყვითალო-ნარინჯისფერი ფერის გამეორებასაც ცდილა. თუმცა მხატვრობის ეს მონაკვეთი გადალესულია, ნათლად განირჩევა გამოკვეთილი ფრონტონი, ხაზგასმული რომბისებრი სარკმლითა და ხუთი კედლის თაღით. ეკლესიის ქვედა ნაწილიც მსგავსი სართავი თაღებითა და სამი რომბისებრი სარკმლით ჩანს დანაწევრებული. ფიგურის მოყავისფრო სახე მთლიანად განადგურებულია, გარდა მარჯვენა ფრაგმენტისა, სადაც ქუთუთო და მის ქვემოთ გუგის ნახევარია

---

ლავები თუ სამარტვილეები ნაწილთა სათაყვანოდ ანდა სამარხოდ. იხ.: J. Lassus, *Sanctuaires chrétiens de Syrie*, Paris, 1947, გვ. 162; G. Bandmann, *Kunstgeschichtliche Studien für Hans Kaufmann*, Berlin, 1956, გვ. 19 და შემდ. W. Djobadze, *Investigations*, გვ. 80 და შემდ. აფრიკის ეკლესიებში საკურთხევლის მომფარგვლელ ოთახებს არ ჰქონიათ საგანგებო დანიშნულება და „სადიაკვნესა" და „სამკვეთლოს" („პროთეზისი") მსგავსი ტერმინები მათ მიმართ უხმარია; იხ.: J. Christern, *Das frühchristliche Pilgerheiligtum von Tebessa*, Wiesbaden, 1976, გვ. 10, 229. ტაო-კლარჯეთში პასტოფორიუმთა განსაზღვრისათვის საგულისხმოა გავიხსენოთ ერთი ამბავი, მომხდარი ხანცთის ეკლესიაში, როდესაც წმ. გრიგოლ ხანცთელმა უბრძანა მღვდელს, შეეწყვიტა წირვა, შესულიყო სადიაკვნეში და განეძარცვა სამღვდელო შესამოსელი (მერჩულე, *ცხორება*, გვ. $293_{11-14}$). თუ არ ვცდები, ეს პირველი შემთხვევაა საქართველოში საკურთხევლის გვერდის ოთახის მიმართ ტერმინ „სადიაკვნეს" მოშველიებისა. ამასთან, იგი გვიჩვენებს, რომ მისი ერთი დანიშნულებათაგანი შესამოსლების შენახვა იყო. „მატიანე ქართლისაც" ბრძანებს, რომ წმიდა მოწამეთა მარტირიუმის დიაკონიკონი, რომელშიც საქართველოს პატრიარქმა მელქისედეკმა თავისი საფლავი მოამზადა, ეკლესიის სამხრეთით მდებარეობდა (*ქართლის ცხოვრება* I, 1955, გვ. $296_{45}$). პასტოფორიუმთა დანიშნულების გამო იხ.: J. Lassus, *Sanctuaires chrétiens de Syrie*, Paris, 1947, გვ. 162; G. Bandmann, *Kunstgeschichtliche Studien für Hans Kaufmann*, Berlin, 1956, გვ. 19 და შემდგომ; J. Christern, *Das frühchristliche Pilgerheiligtum von Tebessa*, Wiesbaden, 1976, გვ. 10, 229.

[565] Thierry, "Peintures", გვ. 75-86.

გადარჩენილი. ფიგურა მდიდრულ კაბაშია გამოწყობილი, განიერი, მარგალიტებითა და თვლებით მოოჭვილი საყელოთი – ძვირფასი ქვების ქვემოთ მხრებზე გადავლებული მარგალიტების სამი პარალელური ძაფია. კაბა მრგვალი ფიბულითაა შებნეული; მის გარშემოწერილობას რვა მარგალიტი შემოუყვება და ერთიც შუაგულშია. ფიგურის აქეთ-იქით უხვად ინკრუსტირებული დიდპირა რქებია, რომელთაგან ფრთისებრი ფოთლები ამოიზრდება. შეფოთლილი მცენარეებია ამოსული ჩარჩოს ზედა ნაწილიდანაც.

ამ უჩვეულო გამოსახულების ვინაობას, რომელიც ოთხთა ეკლესიის მშენებლად ანდა წმ. ნინოდ იყო მიჩნეული, გვამცნობს მის ორივე მხარეს თანაბრად განაწილებული, მუქ ლურჯზე თეთრით დატანილი წარწერა, რომლის თანახმად ეს „სიონის" პერსონიფიკაციაა (იხ. ქვემოთ). სიონის ფიგურის ჩამოსწვრივ, სარკმლის სამხრეთ წირთხლზე წარმოდგენილია მაღალი, მოწიფულობის ასაკში მყოფი მოსე. ტანისამოსის კუთხით (თუ კიდით?) დაბურვილ ხელებს იგი აგებებს ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ოთხი სეგმენტიდან გადმოსული უფლის მარჯვენით მოწვდილ მოწმობის დაფებს. ცის ყოველ სეგმენტს განსხვავებული ფერი აქვს, რომელთაგან საუკეთესოდ შემორჩენილი და ინტენსიურია ლურჯი. წვეროსანი მოსე მკვეთრად უბრუნებს პირს სხივოსან ზეცასა და თითქმის ცარგვალამდე ასულ დიდ, კონუსურ ცეცხლგამძლე ბუჩქს. აალებული ბუჩქი ნარინჯისფერითაა გამოხატული, ცეცხლის ენები კი ყავისფერი ზოლებით. საგულისხმოა, რომ ცეცხლი არა მარტო ბუჩქს აქვს მოდებული, არამედ მთელს გარემომცველ არესაც, თვით სივრცეს მოსეს ფეხებს შუა. ამგვარად, ზედმიწევნითაა გადმოცემული გამოსვლათა 19; 18-1: „ხოლო მთა სინა მკმოლვარე იყო ყოვლად გარდამოსვლისათვს". ბუჩქის გაპობილ წვერსაც კი მხატვარი ღუმელის ან საკვამურის სახეს აძლევს.

ჩრდილოეთ წირთხლზე, მოსეს საპირისპიროდ, სრული ტანით ფრონტალურად გამოსახულია გრძელი პირისახის, წაწვეტებულწვერიანი ფიგურა. მას სამღვდელო სამოსი აცვია და კვადრატული ფირფიტებითა თუ თვლებით მოოჭვილი გვირგვინი ადგას, რომელთა შუაში რომბისებრი მოსართავია. ზევით და ქვევით მას მარგალიტის ძაფები დაუყვება. ძველი აღთქმის მღვდელმთავართა (მაგალითად, აარონის) გვირგვინების მსგავსად, ამ გვირგვინსაც მცირედი, სამი მრგვალი საგნით მორთული ამონაზარდი უჩანს. მისი შესამოსელი, თითქოს სქელი ნაჭრისაგან შეკერილი, ასევე მდიდრულადაა მორთული, მხრებზე იგი სამკუთხოვნადაა დაქარგული, მკერდზე მას თამამად ხაზგასმული ფიბულა აქვს, შედგენილი შუაგულში რომბოიდითა და აქეთ-იქით სწორკუთხა ფირფიტებით. ფიბულას ქვემოთ თანატოლი ინკრუსტირებული სწორკუთხედების წყებაა, კიდევ ქვემოთკენ კი გადაბრუნებული გულისებრი რამ სწორკუთხა ბაზისზე. ქვევით კვლავაც განირჩევა კიდევ ორი ჰორიზონტალური ზოლი – ეს სამოსლის კარგად დაცული ოლეილია. იგი დაქარგულია კვადრატებით, რომლებშიც ერთის გამოტოვებით ოთხფურცელა ვარდულებია ჩაწერილი. ორნამენტირებული არშია ზემოთ-ქვემოთ მარგალიტის ძაფებითაა მოფარგლული.

გამოსახულებას, ისევე როგორც მოსეს, ნაკლული წარწერა ახლავს: იგი ქ-ნმა ნ. ტიერიმ მართებულად გააიგივა მელქისედეკთან,[566] სალემის მღვდელთმთავართან. იგი ფიქრობს, რომ მელქისედეკს უპყრია ფეშხუმი პურითა და ღვინით, რაც უკავშირდება დაბადების 14; 18-20-ს, სადაც ნათქვამია, რომ „მელქიზედეკ, მეფემან სალემისამან" მიიღო აბრაამი და „გამოართუა აბრაჰამს პური და ღვინოჲ",[567] სცენა კი, მისი დასკვნით, ზიარებაზე მინიშნებაა.[568] ქ-ნ ნ. ტიერის ახსნა მართლაც ეთანხმება მელქისედეკის გამოსახულებებს ადრექრისტიანული და ბიზანტიური ხელოვნების ნაწარმოებებში. მაგრამ მხატვრობის ადგილზე გასინჯვისას მე ვერ დავადასტურე ფეხშუმისა და მასზე დაწყობილი ნივთების არსებობა. ამას გარდა, კომპოზიციის განხილვისას სათვალავშია ჩასაგდები მელქისედეკის მარჯვნივ მდგომი იდუმალი ფიგურა.

566 Thierry, "Peintures", გვ. 78, სურ. 7.

567 იქვე, გვ. 78, სურ. 8.

568 იქვე.

ჩრდილოეთით აფსიდის სარკმლის ქვედა ნახევარს ახლავს: „ხარება", „მოკითხვა ელისაბედისა" და ქრისტეს ცხოვრების სცენები: „ნათლისღება", „ჯვარცმა" და სხვა,[569] მათი ცუდი შენახულობის გამო ძნელად ამოსაცნობი კომპოზიციები.

კომპოზიციები ერთმანეთისაგან გამოიყოფა მოჭრილი რქებიდან ამოზრდილი ვაზის ყლორტების ჰორიზონტალური ზოლებით.[570] აფსიდის პილასტრების ვერტიკალური ზოლები მორთულია გულისებრი სტილიზებული ყვავილოვანი სახით. ორივე მოტივი X საუკუნეში პოპულარულ ორნამენტს წარმოადგენს, რომელსაც, უწინარეს ყოვლისა, ოშკის ხუროთმოძღვრულ პლასტიკაში ვხედავთ,[571] სადაც საყვირისებრი რქიდან ამოზრდილი ვაზის ყლორტები სამხრეთი გალერეის ბრტყელი გუმბათის წიბოებზეა მოტანილი (ტაბ. 144). მოგვიანებით, ვაზის ყლორტი ურქოდ იშხანში გვაქვს, ჩრდილო-აღმოსავლეთი ბურჯის ბაზისსა და სამხრეთი მკლავის საპირეზე.[572] ეს მცენარეული მოტივი ხშირია ბიზანტიკურ ძეგლებში, მეტადრე ანტიოქიისა და მისი მიდამოების მარმარილოს ნაქანდაკევზე.[573] იმ მხარეში კი ქართველების რაოდენობამ დიდად იმატა X საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული.[574] მეორე მხრივ, გულისებრი მოტივი ქსოვილებიდან ჩანს წამოსული.[575] სხვათა შორის, მის ნაირსახეობას ვხედავთ დოლისყანის სამხრეთი მკლავის სარკმლის წარბსა (ტაბ. 81) და ოშკის სამხრეთ ფასადზე – ბაგრატ ერისთავთერისთავის ჩასაცმელზე (ტაბ. 157, სურ. 330).

## 4. მოხატულობის დათარიღება

ჩვენი კედლის მხატვრობის თარიღზე საუბრისას ანგარიშგასაწევია შემდეგი გარემოებანი. 1. ოთხთა ეკლესიის აფსიდი თავიდან სუფთად დამუშავებული კირის ხსნარით დაფარეს და არ მოუხატავთ; 2. ჩვენი მხატვრობა მოგვიანებით შეასრულეს კირის ნალესობის მეორე ფენაზე; 3. წინასწარმეტყველთა გრაგნილების მრგვლოვანი ზედაწერილები პალეოგრაფიულად აშკარად ჰგავს ოშკის სამხრეთი აფსიდის „ვედრების" წმ. იოანე ნათლისმცემლის გრაგნილისას (ტაბ. 188, სურ. 44). უკანასკნელი კი 1036 წელსაა შესრულებული. ეს ნიშნები გვაფიქრებინებს, რომ ოთხთა ეკლესიის აფსიდი დავით კურაპალატის ზეობის ბოლო ხანებში უნდა მოხატულიყო; მეორე მხრივ – „სიონის" განმარტებითი წარწერის საკვირველი მსგავსება ოშკის დიდი „ვედრების" წარწერასთან (წარწერა 8) – სახელდობრ, ერთი და იგივე არის ტყუბწვეტოვანი და ისრისებრი დაბოლოება (ტაბ. 240, სურ. 60). ოთხთა ეკლესიის მთავარი ნავის აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლების ზედა ნაწილების შეულესავად დატოვებაც გვავარაუდებინებს, რომ მხატვრობა კედლების ამაღლებამდეა შესრულებული. ეს შეიძლებოდა 960-იანი წლების დასაწყისში მომხდარიყო, რაც თანხვდება ქ-ნ ნ. ტიერის მიერ თვით მოხატულობის სტილური ანალიზის შედეგებს ("Peintures", გვ. 86).

## 5. ეკლესიის აღშენების დრო

ჩვენ არ მოგვეპოვება რაიმე პირდაპირი წერილობითი მონაცემები ოთხთა ეკლესიის მთავარი ტაძრისა თუ რომელიმე სხვა ნაგებობათა აშენების თარიღის შესახებ. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია მიახლოებითი თარიღის გამოანგარიშება ორი სამკუთხა აგურის (პირველად, იქნებ, ანტეფიქსების) დახმარებით, რომელნიც ჩართულია ჩრდილოეთი ნა-

[569] Thierry, "Peintures", გვ. 84 და შემდ.
[570] იქვე, გვ. 85, სურ. II.
[571] იხ. ტაბ. 157 და ოშკის სამხრეთ-დასავლეთი გალერეის რეკონსტრუქცია, სურ. C.
[572] იხ. ტაბ. 286.
[573] Djobadze, *Investigations*, სურ. 280, № III, 126; სურ. 289, № III, 147; სურ. 290, № III, 148; სურ. 291, № III, 149; სურ. 300 № III, 163.
[574] მიხივე, *Materials*.
[575] O. von Falke, *Kunstgeschichte der Seidenweberei* I, 1903, გვ. 96, სურ. 133; ტ. II, გვ. 8, სურ. 230.

ვისა და სამხრეთი პასტოფორიუმის კედლებში. წინა პირზე რელიეფური მრგვლოვანით დატანილია მონოგრამა, სადაც იკითხება: „იესუ ქრისტე ადიდე დავით" (იხ. ქვემოთ, წარწერა 1). რადგან დავითი 978 წელს მისთვის მონიჭებული კურაპალატის ღირსების გარეშეა მოხსენიებული, ეკლესია ამ მოვლენამდე უნდა იყოს აშენებული. მეორე მოწმობა, რომელიც ჩვენი ეკლესიის აგების კიდევ უფრო ადრეულ terminus ante quem-ს გვაძლევს, მოიძებნება თხზულებაში „ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ ნეტართა მამათა ჩუენთაჲ იოვანესი და ეფთჳმესი", ე. ი. ათონის იბერთა მონასტრის დამფუძნებელი და მისი კიდევ მეტად განთქმული, თავისი სამწერლობო მოღვაწეობით სახელდამკვიდრებული ძის ცხოვრების აღწერაში. „ცხორებაში" ნათქვამია, რომ „ვინაჲთგან ცეცხლი იგი ქრისტეს სიყვარულისაჲ" იოვანეს გულსა „მძაფრად აღეტყინა", მან დაუტევა „ყოველივე დიდებაჲ ამის სოფლისაჲ" და ფარულად შევიდა „ლავრასა დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასა" და მონაზვნად ეკურთხა მამათა მოსესა და გელასის მიერ, „რომელნი-იგი... ბრწყინვიდეს სათნოებითა მათ ჟამთა".[576] თუკი, როგორც მიიჩნევენ, ეს დაახლოებით 965 წელს მოხდა, ხოლო „დიდებული მონასტერი" უკვე ყოველნაირად გამართული ყოფილა, ეკლესია დაახლოებით 965 წლისთვის უკვე აშენებული იქნებოდა, უთუოდ 961 წლის მერე,[577] როდესაც დავითი ტაოს ფაქტობრივი მმართველი გახდა,[578] ოღონდაც არა IX საუკუნეში თუ უფრო ადრეც, როგორც ვარაუდობდა ე. თაყაიშვილი.[579]

მშენებლობის დამთავრებიდან ცოტა ხნის მერე, ანდა სულაც მისი ბოლოსკენ, ეკლესია ერთხელ თუ ორჯერ გადაკეთდა. საამისო საფუძველს გვაძლევს ზოგიერთი იოლად დასანახი ნიშანი: შუა ნავის აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე, ზედ სართავი თაღების თავზე მკაფიოდ მოჩანს სახურავის თავდაპირველი ხაზების კვალი (ტაბ. 222, 224), რაც გვიჩვენებს, რომ გვერდითი ნავების ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები დაახლოებით 2.20 მ-ითაა ამაღლებული. შუა ნავის სიმაღლე 4 მ-ზე მეტად გაიზარდა და ძალზე წაწვეტებული ფრონტონიც გაჩნდა. კიდევ მეტად უტყარ საბუთს გვაწვდის შუა ნავის შიდა დასავლეთ კედელზე თავდაპირველი ბათქაშის ნახევარწრიული მოხაზულობა უშუალოდ მრგვალი სარკმლის ქვემოთ (ტაბ. 228), რომელიც მოფარგლავს ძველსა და უფრო ახალსა თუ უფრო გვიან დანამატ კედელს. ამას გარდა, გვერდითი ნავების ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასადების მეორე რიგის სარკმლების უხერხულად, უწესოდ მორგებული მოჩუქურთმებული თაღები (ტაბ. 220, 221), ისევე როგორც სამხრეთი ფასადის ერთიან ქვებში გამოჭრილი, კედლის სადა ზედაპირზე გადაუბმელად მიყუდებული შეწყვილებული გრეხილი სვეტები (ტაბ. 217), საკმარისად გვისაბუთებს, რომ სარკმლები ამაღლებული, ხოლო კედლის თაღები და მათი მზიდავი სვეტები კი დამატებულია. მეორე სამშენებლო პერიოდის კიდევ ერთი მაჩვენებელია შუა ნავის გაგანიერებული დიდი აღმოსავლეთი სარკმელი, რამაც შეამცირა სარკმლის წარბისთვის განკუთვნილი ადგილი, რის გამოც მას მოაკლეს ჰორიზონტალური ქუსლები და გვერდითი დაბოლოებანი. მეორე მხრივ, დასავლეთი ფასადის შესაბამის სარკმელს ხელი არ ახლეს და, ამის კვალად, შენარჩუნებულია მისი სადა, მომიჯნავე პილასტრებს მიბჯენილი წარბის ქუსლები.[580] აფსიდის სარკმლის გაგანიერება, შესაძლოა, საჭირო გახდა საკურთხევლის უკეთ გასანათებლად, რაკი იგი უნდა მოხატულიყო.

---

[576] მერჩულე, *ცხოვრება*, გვ. 42-43.

[577] რაკი დავითის მამა ადარნასე III, რომელიც 961 წელს გარდაიცვალა, მანამდე ძალდატანებით იყო შემონაზვნებული, დავითი შეიძლებოდა ტაოს de facto მმართველი 961 წლამდე ცოტათი ადრე გამხდარიყო.

[578] M. Tarchniscvili, J. Assfalg, *Geschichte der kirchlichen georgischen Literatur*, Studi Testi 185, 1955, გვ. 127, 128.

[579] *ექსპედიცია*, გვ. 76. ე. თაყაიშვილის თარიღს ეკლესიის აბსოლუტური ზომები ეწინააღმდეგება.

[580] ამგვარი წარბები, რომელნიც სირიიდან უნდა იყოს შთაგონებული (F. W. Deichmann, *Qalb Loze und Qal'at Seman*, 1982, გვ. 34, სურ. 46), საქართველოში V-VI საუკუნეებში, წილკნის ბაზილიკაში ჩნდება (Mepisašvili, Zinzadse, Schrade, *Georgien*, გვ. 88, სურ. 137); აქაც, ოთხთა ეკლესიისა და პარხლის მსგავსად, ჰორიზონტალური ქუსლები ორ პილასტრს შორისაა ჩამაგრებული.

თუ ზუსტად როდის მოხდა ეს გადაკეთება, შეიძლება დავიანგარიშოთ ფრონტონის წვერის წარწერის მოშველიებით (იხ. ქვემოთ). იგი იხსენიებს დავით კურაპალატს, რომელიც, ისტორიული თუ პალეოგრაფიული მოსაზრებებით, კრამიტის ზედაწერილში ნახსენები ეკლესიის მაშენებელი დავით III-ა. მან თითქმის ორმოცი წელი წარმატებით იმეფა და ამ ხნის მანძილზე ააშენა თუ აღადგინა ტაოს თითქმის ყველა ეკლესია და მონასტერი. ვინაიდან დავითი აქ „კურაპალატად" იწოდება, ეს პატივი კი მან 978 წელს მიიღო, მეორე სამშენებლო პერიოდი 978 და 1001 წლებს შორის ხვდება.

ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, ყველა მაჩვენებელი ეწინააღმდეგება ე. თაყაიშვილის დაუსაბუთებელ აზრს, რომ ოთხთა ეკლესია IX საუკუნემდეა აგებული. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დასავლეთ ტაოში IX საუკუნესა თუ მანამდე ერთი მოზრდილი ეკლესიაც არ აშენებულა. არც ისაა სარწმუნო, მერჩულესავით ბერობის ობიექტურ მცოდნესა და პროპაგანდისტს, ერთხელაც არ ეხსენებინა ოთხთა ეკლესია.

დათარიღების პრობლემის გადაჭრისას, სხვა გარემოებანიც უნდა ჩავაგდოთ სათვალავში, თუნდაც ფიგურული ქანდაკების სრული უქონლობა, გვერდითი ნავებისა და სარკმელთა თაღების აღნაგობა და დეკორი. ყველაზე მეტად თვალს ის ხვდება, რომ თაღები შენობასთან მთლიანობაში არაა მოყვანილი, ისინი თავის ადგილს მოუხეშავადაა მორგებული. ხშირად ისინი არარეგულარულია, არათახაბარი (ტაბ. 220) ანდა დაუბოლოებელი (ტაბ. 221), რაც მკვეთრად უპირისპირდება კედლის ნაოსტატარ წყობას. ორნამენტული რეპერტუარი შედგება სხვადასხვა როული წნულების, რომბებთან გადაბმული წრეების, ორმაგი თუ სამმაგი ლენტებით გადახლართული კვადრატების, თაღად შეკრული გრეხილების, ქერუჭისებრი სახეების, დაღარული ხვიების (ან ნახევარი S–ის სახის), ვაზის მტევნების და სადა შეფოთლილი ტოტებისაგან. ყველა ეს ორნამენტული სახე, მცირედი გადარჩენილი ნაწილი თავდაპირველი მორთულობისა, სრულ განვითარებას პოვებს X საუკუნის ბოლო მეოთხედში, რაც კვლავ განამტკიცებს ჩვენ მიერ შემოთავაზებულ დათარიღებას.

## 6. დასავლეთი კარიბჭე

დასავლეთი კარიბჭე (სურ. 53) ახლა დანგრეულია, მაგრამ გადარჩენილი ნაწილი გარკვეული აზრის გამოტანის საშუალებას იძლევა: დასავლეთი კედლის პილასტრებზე დაბჯენილი თაღების წამოწყება გვაფიქრებინებს, რომ ეს სამმალიანი კამაროვანი ნაგებობა ყოფილა. ე. თაყაიშვილის გამოანგარიშებით, შუა მალის თაღის სიმაღლე 5.06 მ იყო, გვერდითი ნაწილები – 3.72 მ-ის სიგანისა. კარიბჭის ქვეშ საძვალე უნდა ყოფილიყო, სადაც მოხვედრა ჩრდილოეთი მხრიდან, აქ მოთავსებული ერთადერთი კარით შეიძლებოდა.[581] წყობა აქ ნაკლებ ზედმიწევნითია, ვიდრე ეკლესიისა, მისი კედლები კი დასავლეთ ფასადს გადაუბმელია. იგივეა პარხლის ბაზილიკის დასავლეთი კარიბჭის შემთხვევაშიც, რომელიც აღარ არსებობს, მაგრამ ე. თაყაიშვილის იქ ყოფნაში ჯერ კიდევ მდგარა.[582]

## 7. სემინარია

კარიბჭის დასავლეთი ნაწილი მოგრძო დარბაზს ებჯინება. იგი ოთხ მონაკვეთად იყოფა თაღებით, რომლებიც გადაყვანილია პილასტრებზე და დასრულებულია პროფილირებული იმპოსტებით, რომლებიც ისეთივე ფორმისაა, რაც თვით ბაზილიკაში. ახლა აქ საზამთროდ საქონლის საკვებს ინახავენ და მისი სრულად შესწავლა შეუძლებელია. ე. თაყაიშვილის განაზომით ის 16.76 მ-ის სიგრძისა და 5.32 მ-ის სიგანისაა, რაც ავსებს ჩემს ნაწილობრივ ანაზომებს.[583]

---

[581] *ექსპედიცია*, გვ. 79

[582] იქვე, გვ. 86.

[583] იქვე, გვ. 79.

ამ შენობაში ტლანქად გათლილი და რიყის ქვებია გამოყენებული, შემავსებლად – ხურდა ქვები და აგურებიც კი. შენობის აღმოსავლეთ კედელში სამი სარკმელია გაჭრილი (ტაბ. 230, სურ. 53). ორ მათგანს, ზედა რიგისას, პროფილირებული წარბი აქვს. დაზუსტებით არ ვიცით ამ ნაგებობის დანიშნულება, მაგრამ შესაძლებელია იგი სემინარია ყოფილიყო. ინტერიერის ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, 1.40 მ-ის სიმაღლეზე, შევნიშნე სამკუთხა აგური. ამ აგურზე, რომელიც ყველა ნიშნით ანტეფიქსის ფრაგმენტია, დავით III კურაპალატის ამოკოდილი მონოგრამაა (იხ. ქვემოთ), რაც მიგვანიშნებს, სადგომის ეკლესიის თანადროულად, დავით III-ის ზეობაში აგებაზე.

## 8. სატრაპეზო

სემინარიის ჩრდილოეთით განლაგებულია დიდრონი (ტაბ. 230, 232, სურ. 53), ბაზილიკის გამოკლებით, ყველაზე დიდი ზღუდისშიდა შენობა. მისი შიდა ზომები 13.00 × 20.80 მ-ია, ხოლო ამ მხარეში ჩვეულებრივი ჯვრისებრი ბურჯები მას ორ არატოლ კამაროვან ნავად ყოფს. სამხრეთი ნავის სიგანე 6.80 მ-ია, ჩრდილოეთისა – 5.15 მ. სამხრეთი ნავის უმეტესი სიმაღლე დაახლოებით 6.10 მ-ია. ერთადერთი შემორჩენილი, დასავლეთის კიდურა დასაფეხუროვნებული თაღი ოდნავ წაისრულია, როგორც ამას ტაოში ოშკშიც ვხედავთ და სხვაგანაც. უჩვეულო ამ შემთხვევაში ისაა, რომ თაღის შუა საფეხური უშუალოდ პილასტრის ზევით იწყება და თანდათანობით იზრდება სიგანეში. პილასტრების იმპოსტებს არა აქვთ პროფილი, როგორც ტაძარში – ესაა სადა, ცალმაგი თარო. დარბაზი დაახლოებით 0.007-0.015 მ-ის სისქის კირის ხსნარზე სწორ რიგებად დაწყობილი, უხეშად ნათალი მონაცრისფრო ქვებითაა ნაგები, რიყის ქვების ჩართვით. გამონაკლისია ბურჯები, პილასტრები და თაღები, რომელთათვისაც გამოყენებულია სუფთად თლილი და გულდასმით დაკუთხეული ბლოკები; კირის ხსნარი ნაპირებს შორის არსად ჩანს.

ამ ორნავიან დარბაზში ათი სარკმლიდან საკმარისი რაოდენობით შუქი შემოდიოდა: ოთხი აღმოსავლეთითაა, სამი ჩრდილოეთით, ორი დასავლეთით და ერთიც სამხრეთ მხარეს. სარკმლები თაღოვანია, მაგრამ მოურთველი, გარდა აღმოსავლეთი ორი დიდი სარკმლისა (ტაბ. 230), რომელთა თავზე დეკორაციული მახვილებია თავმოყრილი. ისინი, სწორკუთხა და კარგი ნაოსტატარი, ახლა, სამწუხაროდ, ძალზე შელახული შვერილი წარბებითაა მორთული. მონოლითურ ნახევარწრიულ ტიმპანსა და წარბს შორის ლურჯ-წითელი რადიალური ზოლებით დაფერილი მონაკვეთია. შენობაში შესასვლელი, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს დატანებული, ორი სწორკუთხა კარია. მათაც ასევე მონოლითური ტიმპანები და სადა სწორკუთხა თავსართები აქვთ.

ხალისიან ფერად რადიალურ მოსართავებს სარკმლების თავზე, ასევე კარის პროფილების ფორმასა და აღნაგობას ზუსტი პარალელები ეძებნება მთავარ ეკლესიაში. პირველის მსგავსს ვხედავთ მთავარი ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის სარკმლებთან, მეორის – ჩრდილოეთისა და სამხრეთი ფასადების ქვედა რეგისტრების სარკმლების წარბებზე. ამ მაჩვენებლების თანახმად, მთავარი ტაძარი და მისი მიმდებარე დასავლეთი კომპლექსი თავდაპირველად ერთიანად იყო დაგეგმილი და კიდევაც დაახლოებით თანადროულად აშენებული – ჯერ ტაძარი, შემდგომ კი მისი თანმხლები ნაგებობანი დასავლეთ მხარეს.

ჩვენს დარბაზს უახლოესი პარალელები მოეპოვება ოშკში, ოპიზასა და, პირველ ყოვლისა, ხანცთაში, სადაც იგი ასევე ორნავიანია. ყველა ეს დარბაზი მსგავსი ტიპისა და ყველა საკვირველად დიდი ზომისაა. ოპიზასა და ხანცთაში ისინი თავისი ვეება ზომებით თვით სამონასტრო ეკლესიებსაც ჩრდილავს, მაგრამ ყველა შემთხვევაში მთავარი ეკლესიის ორგანულად და ფიზიკურად განუყოფელი ნაწილია, ოშკის გამოკლებით, სადაც დარბაზი ტოპოგრაფიის გამოა განცალკევებული. არც ამ ნაგებობათა და არც ჩვენი ორნავიანი დარბაზის დანიშნულების თაობაზე არ მოგვეპოვება რაიმე საბუთი. ჩვეულებრივად და, ჩემი ფიქრით, მართებულად, მათ სემინარიებად ანდა სატრაპეზოებად მიიჩნევენ.

## 9. სამარხი კაპელა

ბაზილიკის სამხრეთ-დასავლეთით, მისგან 6,47 მ-ის მანძილზე, ბაქნის აღმოსავლეთ ნაპირზე, სადაც თავდაღმართი იწყება, ორსართულიანი სამარხი კაპელა დგას (ტაბ. 233, სურ. 56 a, b). ეს აგურისა და თლილი, კარგად დაკუთხვილი ქვების ერთი ან ორი რიგის მონაცვლეობით ამოყვანილი შენობაა. აგური (0.45 × 0.45 × 0.07 მ) დაწყობილია 0.15 მ-ის სისქის დუღაბის შრეზე, რომელიც კედლის პირზე ამოდის. ხსნარი შედგება კირხსნარში არეული ქვიშის, ღორღისა და დაფშვნილი აგურისაგან. კაპელას გარეთა ზომებია: სიგრძე – 10.20 მ, სიგანე – 6.55 მ. ამჟამად აქედან საშენ მასალას ეზიდებიან და იგი სწრაფად ნადგურდება.






56ა. სამარხი კაპელა, გეგმა

56ბ. სამარხი კაპელა, ჭრილი

კაპელა სწორკუთხედში ჩაწერილი ცალნავიანი კამაროვანი ნაგებობაა. აღმოსავლეთ ბოლოში მას აფსიდი აქვს ერთსაფეხურიანი სინათრონონითა და კედლებში ამოღებული ოთხი ნიშით. აფსიდა (ტაბ. 234) იატაკიდან ერთი, 0.32 მ-ის სიმაღლის საფეხურითაა ამაღლებული. წითელი საჭექის ქვემოთ კონქი აგურისა და მოყვითალო ქვის რიგების მონაცვლეობითაა ამოყვანილი, ისევე, როგორც ოშკის ტაძრის აფსიდები. კაპელას რვა თაღოვანი სარკმელი ანათებს: ორ-ორი დარბაზის გვერდით კედლებზე, ერთი კარის თავზე, ერთი აფსიდში და ორიც (უფრო მცირე) – აფსიდის მიმდებარე პაწაწინა ოთახებში. ეს გრძელი და ვიწრო სადგომები აფსიდისაკენ კი არა, დასავლეთიდანაა გახსნილი. დარბაზს ორად ყოფს პილასტრების ერთი წყვილი და დასაყრდენებული თაღი.

ნალისებრი აფსიდის თაღი ფოროვანი ვულკანური ქვებითაა გამოყვანილი. ამავე მასალითაა ამოყვანილი ჩრდილოეთი კედლის ორი რიგი თაღის წამოწყების ზემოთ. ეს დამატებით მოწმობს, რომ ჩვენი კაპელის კამარა აგურის კი არა, მხოლოდ კარგად გათლილი ფოროვანი ვულკანური ქვისა და კირქვისა იყო, ისევე როგორც თავად ეკლესიაში. მეორე მხრივ, აგური ყველაზე უხვად კონქისთვისაა ნახმარი: აქ ქვების ერთ რიგს

აგურის ხუთი-ექვსი რიგი ენაცვალება. კედლის გარე პერანგში ქვის ერთი რიგი აგურის ერთ ან სულაც ხუთ რიგთან მონაცვლეობს.

კაპელაში შესასვლელი დასავლეთიდან უნდა ყოფილიყო, ბაქნის დონეზე გაჭრილი კარიდან. ქვედა სადგომი, სანახევროდ ჩაშენებული ფერდობში, აშკარა მიზეზების გამო მხოლოდ აღმოსავლეთიდანაა გახსნილი. იგი ერთიანად თივითა და საქონლის საზამთრო საკვებითაა ამოვსებული და ვერ აიზომა. ე. თაყაიშვილი აცხადებს, რომ იგი ზომით კაპელაზე მომცროა: მისი სიგანე მხოლოდ 4.83 მ-ია.[584] საეჭვო არ უნდა იყოს, რომ იგი სამარხ კაპელას წარმოადგენდა: ქვედა ნაწილში საძვალე იქნებოდა, ზედაში კი ჟამის წირვას ატარებდნენ.

კაპელას როგორც შიდა, ისე გარეთა კედლებს არ გააჩნიათ ფიგურული თუ ორნამენტული მორთულობა, აფსიდიც კი არ არის მოხატული. ვარაუდს, რომ ეს ორსართულიანი ნაგებობა მთავარი ტაძრის თანადროულია, ადასტურებს გამოყენებული მასალა და მშენებლობის ტექნიკაც. საქართველოში ორსართულიანი მემორიალური ნაგებობები ადრექრისტიანულ ხანიდანვე გვხვდება ჭერემსა (626-634)[585] და მცხეთაში (ჯვრის მცირე ეკლესია – VI საუკუნის ბოლო).[586] სომხეთში ამგვარი ნაგებობები, როგორც ჩანს, IV საუკუნის აქეთ შენდებოდა.[587] X საუკუნის აქეთ ქართველი ბერები დასახლდნენ მათ მიერვე აღდგენილ სამსართულიან სამარხ ნაგებობაში[588] წმ. ბარლაამის მონასტრის (ორონტის ანტიოქიის სამხრეთ-დასავლეთით) ზღუდის გარეთ. ნეკას საყდრისა და ოშკის ეკლესიებში, ასევე ხახულის დარბაზულ ეკლესიაში, საგანგებოდ დასაკრძალავად აგებული კრიპტები სამხრეთი და დასავლეთი შესასვლელების ქვეშაა განთავსებული.

## 10. ორი მცირე სამლოცველო

მონასტრის ეზოდან მოჩანს მდინარის მარცხენა მხარეს, ტაძრიდან ჩრდილოეთით ერთი კილომეტრის მოშორებით, სამხრეთ ფერდობზე მდებარე პატარა (5.50 × 3.50) სამლოცველო (სურ. 57). მისი დახვეწილი წყობა მასალითა და სამშენებლო ტექნიკით მონასტრის ეკლესიის იგივეობრივია. კედლების ნაშთები გვაფიქრებინებს, რომ ამ მხარის ყველა სხვა მცირე ეკლესიასავით, ისიც კამაროვანი იყო. მისი მსგავსია მეორე სამლოცველოც (სურ. 57), მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მთავარი ტაძრის დასავლეთით. ისიც იმგვარადვეა ნაგები და გარედან იმავე მასალითაა შემოსილი, როგორც ზემონახსენები სამლოცველო და სამონასტრო ეკლესია. თხელი დუღაბის გულზე შემოწყობილი სუფთად თლილი პერანგის ქვები ახლა თითქმის მთლიანადაა დაკარგული. ზომებით (10.95 × 6.50 მ) და შიდა აგებულებით იგი ჰგავს მეფე გურგენის სამლოცველოს იშხანში (სურ. 72). ამ სამლოცველოს აღმოსავლეთით საერო შენობის, შესაძლოა, ბერების ან მომლოცველთა საცხოვრებლის ნანგრევებია – ამჟამად ეს მხოლოდ დუღაბის გროვაა.

ეკლესიის მიდამოებში სხვადასხვა სამონასტრო ნაგებობაა, რომელთა უმრავლესობა ტაძრის აგების შემდეგ უნდა იყოს აშენებული. ზოგიერთი ნაგებობა, მაგალითად, ბერების საცხოვრებელი დარბაზები თუ მომლოცველთა სამყოფლები ახლა განადგურებულია და მათ მხოლოდ ე. თაყაიშვილის მოკლე აღწერით ვიცნობთ.[589] სხვები, თუნდაც ზემოხსენებული ცალნავიანი სამლოცველო ოთხთა ეკლესიის წყლის მარცხენა ნაპირზე, იმავე მდგომარეობაშია, როგორც ე. თაყაიშვილის აღწერით ვიცით.

---

584 *ექსპედიცია*, გვ. 80.

585 Г. Чубинашвили, *Архитектура Кахетии*, 1959, გვ. 208.

586 მისივე, *Памятники типа Джвари* I, 1948, გვ. 14.

587 С. Мнацаканян, "Проблема ярусности в средневековых мемориальных памятниках стран Закавказья", *IV$^e$ Symposium international sur L'art géorgien en 1983, recuiel de rapports* II, 1989, გვ. 319-333.

588 W. Djobadze, *Investigations*, გვ. 21, სურ. VII. სირიული სამარხი კაპელებისათვის იხ.: J. Lassus, *Sanctuaires chrétiens de Syrie*, 1947, გვ. 112-120.

589 ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 80-81.

ეროვნული ბიბლიოთეკა




57ა. სამლოცველო გალავნის გარეთ



57ბ. სამლოცველო გალავნის გარეთ

## 11. ციხე სოფლის სიახლოვეს და მისი შენობები

ვიდრე იუსუფელიდან დაბა დორთ კილისეში მიხვალთ, შარაგზის მარჯვნივ 60 მ-ის სიმაღლის ბუნებრივ, გასაოცრად მონუმენტურ გამოშიშვლებულ ქანს დაინახავთ, რომელიც თესალიის მეტეორას მოგაგონებთ. მის დასავლეთ წვერზე პაწაწინა ფეოდალური ციხეა, დიდებულის სამყოფელი მისი თანმხლები შენობებით – პატარა სამლოცველოთი და სხვა, გაურკვეველი ნაგებობების ნაშთებით (ტაბ. 235-237). ეს პატარა ფეოდალური ციხე-დარბაზი ამ მხარეში ერთადერთი როდია. ამგვარი ციხე-კოშკები მე მინახავს სვეტში, ესბეკში და, უწინარეს ყოვლისა, არტანუჯსა და ოპიზაში. ადრე მწვერვალზე ქანში ამოკვეთილი უამრავი საფეხურით შეიძლებოდა ასვლა, რომელთაგან ახლა უმნიშვნელო ნარჩენები თუ იხილვება. ჩემი ცდა კლდის უმაღლეს ადგილას მოხვედრისა უშედეგო აღმოჩნდა – წინ შვეული სიბრტყე დამხვდა, უმაღლეს ადგილას 2 მ-ის სიმაღლისა.

კლდოვანი მწვერვალის წვერზე შემორჩენილ ძეგლებზე მონაცემები ე. თაყაიშვილის ექსპედიციის წევრისგან მომდინარეობს, რომელმაც სამოცდაათიოდე წლის წინათ უფრო ხელსაყრელ პირობებში მოახერხა ზევით ასვლა. აქ ვათავსებ მის ცნობებს, გამოქვეყნებულს ე. თაყაიშვილის მიერ,[590] ჩემს დაკვირვებებსა და 1965 და 1981 წლებში გადაღებულ ფოტოსურათებთან ერთად.

გეგმით კვადრატული პაწია ციხე კლდოვანი „სვეტის“ უმაღლეს ადგილასაა აშენებული. იგი გზასა და ჭოროხის ხეობას სდარაჯობს. ციხის აღმოსავლეთით, 2.00 მ-ის სიმაღლის ორი საფეხურით გასრულებულ ბაქანზე სამლოცველოა აშენებული (ტაბ. 237). მისი სამშენებლო ტექნიკა ისეთივეა, როგორც ოთხთა ეკლესიისა: დუღაბის საკმაოდ სქელი გული ორმხრივ კარგად თლილი ქვებითაა შემოსილი. სამლოცველოს დასავლეთი ფასადის სუფთა მოპირკეთება მთლიანადაა დაკარგული, სამხრეთი და ჩრდილოეთი მხარეები

590 ექსპედიცია.

კი შედარებით კარგ მდგომარეობაშია. ეკლესიის ზედა კარნიზი ფოსოს კვეთისაა. კამარა თითქოს მთელია, კრამიტის საბურველი კი სრულებით აღარა აქვს. ე. თაყაიშვილის მიხედვით, შიდა ზომები 5.52 × 3.70 მ-ია. ეკლესიის შიდა კედლები ერთიანადაა მოხატული; ფერწერა ნაწილობრივ შერჩენილია. დასავლეთ მხარეს „ხარება“ და „ჩამოსვლება“ გამოხატული, სამხრეთ კედელზე ცალკეული ფიგურების კვალია. აფსიდის შემოსვლებ დაიწროებულ ორ ნიშაში ანგელოზის თითო ფიგურაა. ჩრდილოეთი კედლის ზედა რეგისტრში 12 მოციქულია ნაჩვენები. ქვედა რეგისტრში ქტიტორებია: ბიჭი, აქეთ-იქით, მარჯვნივ მამაკაცი ქართულ ეროვნულ ტანისამოსში, მარცხნივ კი თეთრკაბიანი ქალი. ბიჭის სახე საკმაოდ კარგადაა შემონახული, დანარჩენები კი გვარიანადაა შელახული. ყველა გამოსახულს თავი აღმოსავლეთით, ქრისტესკენ აქვს შებრუნებული. მათ ზემოთ ხუთსტრიქონიანი ქართული წარწერაა:

> **სახელითა ღმრთისაჲთა მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა,**
> **მეოხებით ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა,**
> **მე, მურვან კავკასიძემან, აღვაშენე ეკლესიაჲ ესე მეორედ**
> **განსრულებით.**
> **სალოცველად სულისა...**[591]

კავკასიძეთა საგვარეულო XI საუკუნიდან ჩანს ამ მხარის de facto მმართველად. მათი ძალაუფლება ოთხთა ეკლესიის მონასტერზედაც გავრცელებულა. ვერაფერი შევიტყვე მურვანის შესახებ, მაგრამ ე. თაყაიშვილის მიხედვით,[592] XI საუკუნის ერთი წარწერა იხსენიებს პატრიკ კავკასიძეს მეფე ბაგრატ III-ის მეუღლესთან, მარიამთან ერთად. შემოქმედის მონასტრის XV საუკუნის ხატის წარწერაში მივაკვლიე გიორგი, გედეონ და ლელობელახშ კავკასიძეების ხსენებას.[593] პარხლის ოთხთავის (1241) ანდერძ-მინაწერებში იოანეს სახარების ბოლოს (გვ. 468) ესტატე, ბეჟან და ელია კავკასიძეები იხსენიებიან, ვითარცა წმ. თევდორესთვის (ეს ჩვენთვის უცნობი ეკლესია თუ მონასტერია) ვენახის შემწირველნი.[594] გაბრიელ პატარაისა თუ მისი რომელიღაც თანამედროვის მიერ პარხლის სკრიპტორიუმში გადაწერილ A-144-ში ნახსენებია ასევე გიორგი და გულბად კავკასიძეები.[595]

ე. თაყაიშვილი ვარაუდობს, რომ ჩვენი სამლოცველოს წარწერის მურვან კავკასიძე, იგივე მურვანია, რომელიც ზუბა კავკასიძესა და მის მეუღლესთან თინათინთან ერთად ურბნისის ოთხთავის XV საუკუნის მინაწერშია მოხსენიებული.[596]

## 12. წარწერები

მთავარ ტაძარში შვიდი წარწერა მოიპოვება. სამი მათგანი კედელზეა გამოკვეთილი, ერთი ფერწერულია, ორი ერთი რიგის რელიეფური წარწერა თიხის სამკუთხა ანტეფიქსზეა ამოტვიფრული. კიდევ ერთიც ასეთსავე მესამე ანტეფიქსზეა, რომელიც სატრაპეზოს კედელშია ჩატანებული. ხუთი მათგანი ე. თაყაიშვილს ნანახი აქვს, ამათგან ოთხი მან გამოქვეყნა კიდეც. ორი წარწერა, ერთი სარკმლის შიდა პირზე და მეორე სატრაპეზოს მონოგრამა, ამ წიგნის დამწერმა შესაბამისად 1971 და 1983 წლებში გადმოიღო. ორივე აქ პირველად ქვეყნდება. საჭიროდ მივიჩნიე აქ ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადის ფრონტონზე მოთავსებული დავით კურაპალატის მოსახსენიებელი წარწერის ხელმეორედ გამოქვეყნებაც ე. თაყაიშვილის წაკითხვის გასასწორებლად.

---

[591] ექსპედიცია.

[592] *Археологические путешествия, разыскания и заметки* I, Тифлис, 1905, გვ. 71.

[593] Г. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство* I-II, Тбилиси, 1959, გვ. 628, სურ. 494, 495, 529.

[594] ქ. შარაშიძე, *სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები*, თბილისი, 1982, გვ. 70-71.

[595] M. van Esbroeck, *Les plus anciens homeliaires géorgiens: Etude descriptive et historique*, Publications de l'Institut Orientaliste de Louvain, № 10, 1975, გვ. 37-49, მეტადრე გვ. 44-46.

[596] Ф. Жордания, *Описание рукописей Церковного музея*, Тифлис, 1903, გვ. 23. (მომყავს ე. თაყაიშვილის მიხედვით).

1. სატრაპეზოს აღმოსავლეთი კედლის ჩრდილოეთ ნაწილში, მიწიდან 1.40 მ-ის სიმაღლეზე, დიდ ლოდებს შორის ჩატანებულია ტოლგვერდა აგური (ანტეფიქსი? ტაბ. 238, სურ. 58).[597] მასზე დაბეჭდილია ფაქიზად გამოყვანილი რელიეფური ბერძნული ჯვარი გაგანიერებული მკლავებითა და ჯვრის წვერის ირგვლივ განაწილებული მონოგრამული წარწერით. ზოგიერთი ასო ამოკოდილია, მაგრამ მათი რელიეფური მონაზნი და ასოები, რომელნიც ჯერაც იკითხება, გვიმტკიცებს, რომ მრგვლოვანი წარწერა უაღრესად ზედმიწევნითი და ლამაზი ყოფილა. ორი მსგავსი წარწერა ე. თაყაიშვილმა ეკლესიის შიდა კედლების წყობაში ნახა. ერთი მან გადმოიღო და გამოსცა ფოტოსურათის გარეშე.[598] მისი წანაკითხი, თუკი იგი სწორია, დაგვეხმარება დაღუპული ასოები აღვადგინოთ. მე სავარაუდოდ ქარაგმებს ასე ვხსნი:



**ი(ე)ს(უ) ქ(რისტ)ე ა(დიდე) და(ვით)**

58. წარწერა ანტეფიქსის წინაპირზე

ეს დავითი, უთუოდ, ეკლესიის მომგებელი დავით III-ა, რომელიც ჩვენს წარწერაში ტიტულის გარეშეა მოხსენიებული.

ამ წარწერის გამორჩეული თვისება ისაა, რომ ასოები უაღრესად ზუსტადაა გამოყვანილი, თანაც ტყუბწვეტოვანია, რაც X საუკუნის მიწურულის ნიშანია.

2. აღმოსავლეთ ფასადზე, იქვე ფრონტონის კიდესთან, ბოლოებგაშლილი ტოლმკლავა ჯვარია, რომლის წვეროებზეც ოვალური გირჩები ჰკიდია. ჯვარი ლურჯით არის დახატული, მაგრამ გარშემოწერილობა, გირჩები და მკლავების შუაში მონიშნული ზოლები ყვითელია, მისი წრიული ფონი კი – მეწამული. წრის ქვემოთ ერთსტრიქონიანი მრგვლოვანი მოსახსენიებელი წარწერაა. სიტყვები განკვეთილი არ არის. დაქარაგმება ჰორიზონტალური ზოლებითაა აღნიშნული (ტაბ. 239, სურ. 59).



**ქ(რისტ)ე ა(დი)დე დ(ავი)თ [კ(ურა)პ(ალ)]ატი**

59. წარწერა აღმოსავლეთი ფასადის ფრონტონზე

[597] ახლა ანტეფიქსთაგან ერთიც აღარაა თავის ადგილზე. სახურავის მოწყობის წესები და ანტეფიქსების გამოყენება ტაო-კლარჯეთის ეკლესიებში მოკლედაა განხილული: Djobadze, "Churches", გვ. 119-122, სურ. B.

[598] *ექსპედიცია*, გვ. 76, სურ. 42. მონოგრამის თაყაიშვილის მიერ შემოთავაზებული გახსნა, სიტყვა „კურაპალატის" ნებისმიერი ჩართვით, უმართებულოა.

ე. თაყაიშვილმა, რომელმაც გამოაქვეყნა ეს წარწერა,[599] მოახერხა ბოლო სიტყვის წინ ნაწილობრივ დაცული „მ“-ის ამოკითხვა, რამაც საფუძველი მისცა წაეკითხა: „ქრისტე ადიდე დავით მეფე კურაპალატი“. ვინაიდან დავითი აქ კურაპალატის ღირსებით იხსენიება, რომელიც მას 978 წელს მიენიჭა და წარწერა თავდაპირველი ფრონტონის თავზეა მოთავსებული, იგი მეორე სამშენებლო პერიოდს, 978-1001 წლებს უნდა მიეკუთვნებოდეს.

3. აფსიდის დიდი სარკმლის შიდა პირზე ლურჯ ფონზე დახატულია ფიგურა, რომელსაც უპყრია ოთხთა ეკლესიის მსგავსი სამნავიანი ბაზილიკა. მას ახლავს სრული, ერთი სიტყვის შემცველი, ერთსტრიქონიანი წარწერა. პირველი ორი ასო, თუმც გადაშლილი, უტყუარად იკითხება (ტაბ. 240, სურ. 60):



**ს(ი)ონი**

60. წარწერა სიონის ალეგორიულ ფრესკულ გამოსახულებაზე

ასე რომ, ასოებს შორის მოქცეული გამოსახულება ეკლესიით ხელში წმ. ნინო კი არ არის, როგორც ქნ ნ. ტიერის ჰგონია,[600] არამედ სიონისა, ანუ ზეცათა იერუსალიმის ალეგორიული გამოსახულება. ყოველ დილას სხივი, „მზე აღმოსავლისა“ ეკლესიაში პირველად სწორედ „სიონის“ კომპოზიციას სწვდებოდა, ანათებდა და იქ გულმხურვალედ მლოცველ ბერებს მხნეობის გასაძლიერებლად შთააგონებდა, რომ ოთხთა ეკლესია გაიგივებულია ბიბლიურ სიონთან, რომელიც არის „სახლი ღმრთისაი წუერსა ზედა მთათასა...“ (ესაია 2; 2), და იერუსალიმის სიონის ბაზილიკასთან, რომელიც არის „დედაი ყოველთა ეკლესიათა“.

შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ოთხთა ეკლესიის „სიონი“ სურათოვანი ანარეკლია X საუკუნის შუა წლებში ტაო-კლარჯეთში გაძლიერებული ეროვნული აღტყინებისა, ბაგრატიონთა გენეალოგიური წარმოშობისა დავით წინასწარმეტყველის წიაღიდან და დავით კურაპალატის შორსმჭვრეტი მიღწევებისა.

საკითხავია, თუ რამ შთააგონა ჩვენთვის უცნობ განსწავლულ მხატვარს „სიონის“ გამოსახულების ფორმალური მხარე. მგონია, რომ ის გულდასმით ჩაუკვირდებოდა ლიბანისა და ანტიოქიის სანახებში უხვად გაბნეულ ადრექრისტიანული ხანის ბიბლიური

[599] *ეპიგრაფიკა*, გვ. 75, სურ. 41.

[600] "Peintures", გვ. 78, სურ. 5. ალეგორიული ფიგურის ვინაობასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ნესტორიან ჩერსეს მიერ ეკლესიის მისტიკური განმარტება, სადაც საკურთხეველი სიონთან არის გაიგივებული: A. M. Schnieder, "Liturgie und Kirchenbau in Syrien", *N. G. Gött*, 1949, №3, გვ. 54, შენ. 41.

და საერო შინაარსის იატაკის მოზაიკებში ჩართულ ალეგორიულ განსახიერებებს „დედამიწისა“ (ΓΗ), „ზღვისა“ (ΘΑΛΑΣΣΑ), „სულგრძელობისა“ (ΜΕΓΑΛΟΨΥΧΙΑ), „განახლებისა“ (ΑΝΑΝΕΩΣΙΣ) და სხვა მრავალს. ამ პერსონიფიკაციებს, წარწერების გარდა, დართული აქვთ მათივე შესაფერი ატრიბუტები (მაგალითად, დედამიწას — ბროწეული და სიუხვის რქები, ზღვას — თევზები) — ისევე, როგორც ჩვენს „სიონს“ აქვს შედგმული თავზე სიონის ეკლესიის მოდელი.

აღსანიშნავია დახატული, ლამაზი მრგვლოვანის უაღრესი სიფაქიზე და ტყუბწმმტოვნება, რაც მის X საუკუნის მეორე ნახევარში შესრულებას მიგვანიშნებს.

ოთხთა ეკლესიის დანარჩენი წარწერებისთვის უნდა ინახოს ე. თაყაიშვილის „ექსპედიცია“ (გვ. 77-78, ტაბ. 127).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# D. პარხლის მონასტერი

პარხლის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი იუსუფელიდან 40-ოდე კმ-ით ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. წელიწადის მშრალ დროს აქ შეიძლება მდ. პარხლის გასწვრივ გაყვანილი უსუფთაო გზით მანქანით მიხვიდეთ. მონასტერი, რომლისგანაც ახლა მხოლოდ დიდებული სამნავიანი ბაზილიკაღაა გადარჩენილი, ბალ-ბოსტნებით მოფენილი ნაყოფიერი გორაკის სამხრეთ ფერდობზე, მდ. პარხლის მარცხნივ, მისგან არც-თუ 2 კმ-ის დაცილებითაა განლაგებული.

ტაძარი ოთხთა ეკლესიის ხუროთმოძღვრული ტყუპისცალი, განკერძოებულ-განმარტოებული აღიმართება 60 მ-ის სიგრძისა და 50 მ-ის სიგანის ტერასაზე (ტაბ. 241-242), რომელიც მის ასაგებად მოუსწორებიათ.[601] თავიდან სამშენებლო მოედანი, დროთა განმავლობაში დამეწყვრის გამო საგრძნობლად დაპატარავებული, ბევრად უფრო ვრცელი იქნებოდა. აღმოსავლეთ, დასავლეთ, მეტადრე კი ჩრდილოეთ მხარეს, სადაც ეკლესიის გაყოლებით 3-5 მ-ის საბჯენი კედელია აგებული, ადგილის ვითარება და ჩრდილოეთი ფასადის ფიგურული ქანდაკებანი, ამჟამად სრულებით აზრდაკარგული, გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად ჩრდილოეთით ბერების საცხოვრებლები, ეპისკოპოსის სახლი, სკრიპტორიუმი, სატრაპეზო და სხვა სამონასტრო ნაგებობები იქნებოდა, ახლა ერთიანად გამქრალი. ოშკსავით, ბაქანს სამხრეთიდან, ვიწრო ბილიკით ვადგებით და თავიდანაც ასევე უნდა ყოფილიყო.

პარხლიდან დასავლეთით 15-ოდე კმ-ის მანძილზე კარჩკარის წარმტაცი მთებია და 3.650 მ-ის სიმაღლის ზეგანას ზეკარი, საიდანაც ფეხით, განსაცვიფრებელი ალპური საძოვრებით (*yaylalar*) და ბაღნაროვანი ბილიკებით, ორ-სამ დღეში შავი ზღვის პირს, არდაშენს ჩახვალთ.

## 1. ეკლესია

ეკლესია (ტაბ. 242) საუცხოოდაა დაცული, რადგან ხახულის მსგავსად, მასში მეჩეთია გამართული. 1917 წელს, ე. თაყაიშვილისა და მისი ექსპედიციის სხვა წევრთა აქ ყოფნაში, მისი ჩრდილოეთი კედელი სარკმელთა პირველი რიგის დონემდე (3.60 მ) ნიაღვრის დანარიყი მიწითა და ხრეშით იყო დაფარული. ახლა ეს მხარე მთლიანად გაწმენდილია და მთელი ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი ფასადების გაყოლებით პარხლის მცხოვრებთა მიერ საბჯენი კედლებია ამოყვანილი. შეკეთებულია გარე კედლების (მეტადრე აღმოსავლეთი ფასადის) მცირე დაზიანებები და კრამიტის სახურავიც.

ეკლესიის საშენ მასალად მონაცრისფრო ქვიშაქვაა გამოყენებული. მშენებლობის წესი იგივეა, რაც, საზოგადოდ, ტაო-კლარჯეთის ეკლესიათა უმრავლესობაში. გულდასმით გამოთლილი ბლოკები ერთმანეთის ზედმიწევნით მიმყოლ რიგებადაა დალაგებული იმგვარად, რომ კედლების გარე მოპირკეთებას არ დაემჩნეს ხსნარი ქვებს შორის; მეორე მხრივ, შიდა, მოსახატი კედლები ტლანქად ნათალი, დაკუთხვილი ქვებისაა, გარეთა კედლების რიგზე დამუშავებული პილასტრების, კარ-სარკმელთა მოჩარჩოების და ბურჯების გამოკლებით. კედლის შიდა და გარე პირებს შორის შუალედი შევსებულია ხრეშით, რომელზედაც კირხსნარია დასხმული.

---

[601] პარხლის ეკლესია დღემდე ყველაზე საფუძვლიანად ე. თაყაიშვილის მიერაა ნაკვლევი: *ექსპედიცია*, გვ. 83-95, ტაბ. 132-148.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




61. ქალუბია, გეგმა

ოთხთა ეკლესიის მსგავსად, პარხალიც ორსაფეხუროვან საფუძველზე ამოყვანილი სამნავიანი ბაზილიკაა (სურ. 61). ყოველი საფეხური 0.22 მ-ის სიგანისა და სიმაღლისაა. ძირითადსა თუ წვრილმან ხაზებში იგი განსაცვიფრებლად ჰგავს ოთხთა ეკლესიას, თუმცა არის მეტად არსებითი გამონაკლისიც. მისი გარე ზომები (28.40 × 18.65) თითქმის იგივეა, რაც ოთხთა ეკლესიისა – 28.46 × 18.60 მ.

ეკლესიას ერთი ზომის (1.86 × 2.80 მ) და მოყვანილობის სამი შესასვლელი აქვს. ამჟამად მათგან მხოლოდ დასავლეთისაა მოქმედი. ჩრდილოეთი კარი მთლიანად არის ამოშენებული მიწის ჩამოწოლის შიშით. სამხრეთ კართან უმარტივესი მიშრაბია მოწყობილი. სამხრეთ კარზე მიდგმული კარიბჭე მთლიანადაა განადგურებული და მას მხოლოდ ე. თაყაიშვილის გეგმით[602] ვიცნობთ. თითქმის რომ იგივე ითქმის დასავლეთ კარიბჭეზედაც, რომლის სამი მეოთხედი მონგრეულია. საბედნიეროდ, მისმა დანგრევამ გამოაჩინა დასავლეთი კედლის პირზე, კარის ზემოთ, უხეშად თლილი ქვის ნახევარწრიული ზედაპირი – ეს ადასტურებს, რომ თავიდან დასავლეთ კარს უფრო პატარა კარიბჭე ჰქონია.

## a. ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასადები

გვერდითი ნავების სამხრეთი და ჩრდილოეთი ფასადები (ტაბ. 244, სურ. 62) ათ-ათი დაცალკევებული, საფეხუროვანი სართავი თაღითაა ხაზგასმული. ისინი ერთ სიმაღლეზე ადის და სიგანითაც ყველა 1.88 მ-ია, გარდა კარის მომცველი შუალასი, რომლის განი 2.38 მ-ია. შესაბამისად, მათი იმპოსტები უფრო დაბლაა ჩამოტანილი, ვიდრე მიმდებარე თაღებისა (ტაბ. 244). ოთხთა ეკლესიაში ეს პრობლემა განსხვავებულადაა გადაჭრილი – ყველა იმპოსტი იქ ერთ სიმაღლეზეა მოქცეული, ხოლო კარს მოვლებული თაღი კი მოუხეშავადაა შემაღლებული მეზობელ თაღებთან შედარებით.

პილასტრების სიგანე 0.44 მ-ია, შუა ნაშვერის განი და სიღრმე კი ყველა შემთხვევაში 0.18 მ-ია.

ორივე გვერდითი ნავის ექვს-ექვსი სარკმელი (0.70 მ-ის სიმაღლისა და 0-.25 მ-ის სიგანის) თანაბრადაა განაწილებული 3.76 მ-ის სიმაღლეზე. სამხრეთი ფასადის ქვედა რეგისტრის ყველა სარკმელი მორთულია შეკრული წარბებით, რომლებიც ჰორიზონტალურ, კედლის თაღების კიდეებს გადაბმულ ქუსლებს ებჯინება (ტაბ. 244). ყველა წარბს სამმაგი პროფილი აქვს, გარდა დასავლეთიდან პირველისა და მესამისა, რომელნიც სადაა. ამ სარკმელთა თავზე მეორე, მომცრო სარკმლების რიგია, ზედ კედლის თაღების ქვემოთ. ამას გარდა, კარის თავზე, პირველი რიგის სარკმლის სანაცვლოდ, დიდი სარკმელია გაჭრილი.[603] ამრიგად, როგორც ირკვევა, ეკლესიის ინტერიერი ჩრდილოეთი და სამხრეთი ნავების სარკმლებით თანაბრად იყო განათებული.

ამგვარივე სიმეტრია და წონასწორობაა მიღწეული შუა ნავის სამხრეთ (ტაბ. 243) და ჩრდილოეთ კედლებზე, რომელთა ზედაპირი 12 თანაბარი საფეხუროვანი სართავი თაღითაა დაყოფილი. ისინი 1.80 მ-ის სიგანისაა და ემყარება სადა, მოხდენილ სვეტებს, სადა მონოლითური იმპოსტებით, რომელთა მსგავსს ეკლესიის შიგნითაც ვხედავთ. ერთის გამოშვებით თაღებში თაღოვანი სარკმელია, გამონაკლისია ორი სართავი თაღი აღმოსავლეთით, სადაც აფსიდის კონქი შეუძლებელს ხდის სარკმელთა დაყოლებას. ოთხთა ეკლესიაში შუა ნავის ორივე ზედაპირი (ტაბ. 217-218) ერთნაირადაა დამუშავებული. აქ

---

[602] *ექსპედიცია*, 86, ტაბ. 132.

[603] ვინაიდან კარსზემოთა თაღი მიმდებარე თაღებზე საგრძნობლად განიერია, იმავე სიმაღლეზე კი რჩება, მისი იმპოსტები უფრო ქვემოთაა ჩამოტანილი მომიჯნავე თაღების იმპოსტებთან შედარებით (ტაბ. 244). ოთხთა ეკლესიაში სხვაგვარი გადაწყვეტა გვაქვს – ყველა პილასტრის იმპოსტი ერთ სიმაღლეზეა მოქცეული, სამაგიეროდ თაღი უფრო მაღალია მომიჯნავეებზე და ლავგარდანსაც კი გადაკვეთდა, რის გამოც მას წვერი ჩამოუთალეს (ტაბ. 218). იმავე ხარვეზს ვხედავთ ამავე ეკლესიის აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზედაც (ტაბ. 216, 224), რაც არაა ნაჩვენები ე. თაყაიშვილის ექსპედიციის ნახაზებში (*ექსპედიცია*, ტაბ. 118).




62. ეკლესია, ჩრდილოეთი ფასადი

ხუროთმოძღვრული ელემენტები უფრო გამრავალფეროვნებულია, მაგალითად, სართავი თაღებიც პარხლისებრ სადა კი არა, სპირალურად დაღარულია.

პარხლისა და ოთხთა ეკლესიის სხვაობა ყველაზე მეტად თვალსაჩინო სამხრეთ ფასადზეა (სურ. 54). ორივე 12 სართავი თაღითაა გაწყობილი, ოთხთა ეკლესიაში მათი სიგანე მერყეობს 1.20 მ-სა და 1.75 მ-ს შორის, პარხლის შესაბამის თაღებს კი (სურ. 62) ერთნაირი, სტანდარტიზებული სიგანე აქვს. ეს აცდენა იმით აიხსნება, რომ ოთხთა ეკლესიაში შუა ნავის გარეთა თაღნარები მოგვიანებითაა დამატებული, სახელდობრ, 978 წლის შემდეგ, პარხლის ეკლესიის წაბაძვით, მეორე სამშენებლო პერიოდში.

## ხ. აღმოსავლეთი და დასავლეთი ფასადები

აღმოსავლეთი ფასადი (ტაბ. 245, სურ. 63) 90 გრადუსით დახრილი სახურავით სავსებით ემთხვევა ოთხთა ეკლესიისას (ტაბ. 216). ორივეგან მსგავსია შვიდი სართავი თაღის სიმაღლის თანდათანობითი მატება ცენტრისკენ[604]. სართავი თაღების სიგანე 1.61 მ-ია, შუათანას გამოკლებით, რომელიც სამხრეთი და ჩრდილოეთი კარის მომცველი შესაბამისი თაღებივით 2.38 მ-ის სიგანისაა.

---

[604] იხ. ამის გამო ჰ. ზედლმაირის დაკვირვებები – "Östliche Romanik", გვ. 64-65.

ეროვნული ბიბლიოთეკა




63. ეკლესია, აღმოსავლეთი ფასადი

ეკლესიის ინტერიერს აღმოსავლეთი ფასადის 11 სარკმელი ანათებს (სურ. 63). ოთხი პირველ რეგისტრშია, ხუთი – მეორეში (თუკი მათ შუა ნავის ცენტრალურ დიდ სარკმელსაც მივათვლით) და ორიც – მესამე რეგისტრშია. მე მხოლოდ პირველი რეგისტრის სარკმელთა გაზომვა მოვახერხე: ისინი 0.71 მ-ის სიმაღლისა და 0.25 მ-ის სიგანისაა და 2.40 მ-ის სიმაღლეზეა განთავსებული. პარხლის ეკლესიის ყველა სარკმელი თაღოვანია, გარდა მთავარი ნავის შუაში, მის უმაღლეს წერტილში მოქცეული მრგვალი სარკმლისა (ტაბ. 246). მისი საპირე ორი ფაქიზად თლილი, ერთმანეთზე დაყენებული ქვისაგან შედგება. იგი თამამადაა ხაზგასმული სამი წრიული, მაღალი რელიეფით შესრულებული ორნამენტირებული პროფილით. მის შიდა არეს ამკობს ათი ნახევარწრე, რომელთაგან ყოველი ორ-ორი, მათ შიდა გვერდებს მიჯრილი, შიგნითკენ შექცეული ყლორტითაა შექმნილი. მას მოსდევს ორფა გრეხილი, რომელსაც შემატებული აქვს პატარა სფეროიდები, გადახლართვის ადგილას ჩაბურღული ღრმულებით. მესამეს შეადგენს რადიალური შეღრმავებული წვეთები, სახეში აკაშკაშებული მზისა. ამგვარ „ვარდულებს“, რომელთაც პირველად ჩვდებათ მზის ნათელი, ხშირად ილენებდნენ შუასაუკუნოვან ქართულ ეკლესიებზე, მათში „მზის თვალს“ ხედავდნენ, რაც ასახავს მზის ძველთაძველ გაგებას ვითარცა ცხოვრების წყაროსას. დროდადრო, როგორც იშხნის კათედრალის სარკმლის სა-

პირეზე, მას ემტერება ნათლისა და თვით ცხოვრების მოსპობის მოსურნე მითიური გველეშაპი.[605] ხშირად გველეშაპი სარკმლის ირგვლივაა დახვეული, როგორც [illegible]ტალის ეკლესიაში, სადაც სარკმლის საპირის მესამე მონაკვეთი გადახლართული გველების ორი წყვილით არის შედგენილი.

რაც შეეხება ჩვენს მრგვალ სარკმელს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი დანარჩენ სარკმელთაგან არა მარტო მოყვანილობით განირჩევა, არამედ ფუნქციითაც. ისევე როგორც ოთხთა ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, იგი კედლის მთელს სიღრმეს არ კვეთს. შესაბამისად, იგი ეკლესიის ინტერიერის გასანათებლად კი არ ყოფილა გამიზნული, არამედ შუქი უნდა მიეწოდებინა აფსიდის ორივე მხარეს მოქცეული საიდუმლო ოთახებისთვის. ეს, დღესდღეობით მიუდგომელი, სადგომები გამოიყენებოდა ბერების მიერ შიშიანობის დროს ძვირფასი სამღვდელმსახურო ნივთების გადასანახად და სამალავადაც.

დასავლეთი ფასადი აღნაგობისა და ფორმის მხრივ არსებითად ისეთივეა, როგორც აღმოსავლეთი. სარკმლების ნაკლები რაოდენობისა და აწ დანგრეული კარიბჭის გამოკლებით. უკანასკნელის შემორჩენილი ნაშალი და დუღაბის ნაკვალევი კარის თავზე გვარწმუნებს, რომ იგი კედელს არ ყოფილა გადაბმული და ისიც, ახლა დაკარგული სამხრეთი კარიბჭის მსგავსად, გვიანი დანამატი იყო. ესეც კიდევ ერთ მოწმობაა პარხლისა და ოთხთა ეკლესიის ბაზილიკების ნათესაობისა.

## c. გარეთა ქანდაკოვანი მორთულობა

გარეთა კედლების სამკაული, რომელიც თემატურადა თუ სტილური და ტექნიკური მახასიათებლებით ორ ჯგუფად განიყოფა, თითქმის მთლიანად მონოლითურ თაღებსა და სარკმელთა წარბებზეა თავმოყრილი. პირველი, უფრო დიდი ჯგუფი (ტაბ. 248-253) მოიცავს აღმოსავლეთ და სამხრეთ ფასადებს მთლიანად, ასევე დასავლეთი ფასადის შუა და სამხრეთ მონაკვეთებს. მას ახასიათებს სტილიზებულ მოტივთა მრავალგვარობა – ნახევარპალმეტები რომბებითურთ (ტაბ. 248), წნულოვანი გრეხილი, მცენარეული სახეები (ტაბ. 253). მართალია, დასავლეთი ფასადის შუალა სარკმელზე ერთადერთ მცენარეულ მოტივს ვხედავთ (ტაბ. 249). აღმოსავლეთი ფასადის სარკმელთა პირველი მწკრივის წარბები დაღარული გრეხილით, მისი მომფარგვლელი ასტრაგალებითა (ტაბ. 251) და ნახევარლილვითაა შექმნილი (ტაბ. 252). აღმოსავლეთი ფასადის სხვა ჩუქურთმები მკაცრად გეომეტრიულია, მაგალითად, ორ-ორი გადაჭდობილი წრით გამოყვანილი მოჩარჩოებული ჯვარი (ტაბ. 250), მისი სახესხვაობა სამხრეთ ფასადზე (ტაბ. 260, სურ. 64), ორი კვადრატი, ჩაწნული წრეების წყებაში და მომაჩარჩოებელ წრეს გადანასკვული (ტაბ. 257) და მსგასი კომპოზიცია, ტოლმკლავა ჯვრებად ჩამოქნილი (ტაბ. 258-259, სურ. 65-66). დასასრულ, გეომეტრიული მოტივებია შერჩეული აღმოსავლეთი ფასადის წრიული სარკმლისთვისაც (ტაბ. 246).

ეს ჯგუფი არა მხოლოდ სახეთა ნაირსახეობის სიმრავლეს გვიჩვენებს, რაც საერთოდ ტაო-კლარჯეთში აგებული ყველა ეკლესიის განმასხვავებელი ნიშანია, არამედ ხელობის სინატიფით და გულმოდგინე შესრულებითაც გამოირჩევა, რაც მონახაზთა სიმკვეთრესა და მოდელირების სილბოში მდგომარეობს. ეს თვისებები განსაკუთრებითაა გამოხატული შუა ნავის აღმოსავლეთი ფასადის დიდი სარკმლის სამმაგ საპირეზე, რომელიც ტაოკლარჯეთის ხუროთმოძღვრების საუკეთესო ტრადიციების მიდევნებითაა შესრულებული. ჩვენ არ ვიცით, ვისი ნახელავია ეს ჩუქურთმები. არის მსგავსება აღმოსავლეთი ფასადის დიდი სარკმლის ვაზის ყლორტსა და დოლისყანის სამხრეთი კარის თაღის ამდაგვარსავე სახეს შორის (ტაბ. 89). ამავე სარკმლის წარბი სტილურად დოლისყანის სამხრეთი მკლავისას ენათესავება (ტაბ. 81). ასევე მჭიდრო ფორმისეული და სტილური ურთიერთკავშირია პარხალში წრეთა უნიკალურ წნულსა (ტაბ. 260) და დოლისყანის სამხრეთი კარიბჭის აღმოსავლეთი ფასადის მსგავს სახეს შორის (ტაბ. 87). ეს პარალელები შესაძ-

---

[605] Djobadze, "Observations", გვ. 94. ტაბ. 15-4.



64. ეკლესია,
სამხრეთი ფასადი,
წნული ჯვარი



65. ეკლესია,
აღმოსავლეთი ფასადი,
წნული ჯვარი



66. ეკლესია,
აღმოსავლეთი ფასადი,
წნული ჯვარი

ლებელს ხდის დაკუშვათ, რომ ოსტატს, რომელმაც ეკლესიის მშენებლობის მეორე ეტაპზე (954-958) შეამკო დოლისყანის სამხრეთი ფასადი, ათიოდე წლით გვიან პარხალშიც უმუშავია.

ქანდაკოვანი სამკაულის მეორე ჯგუფი შედგება ცხოველთა, ფრინველთა და ადამიანთა გამოსახულებებისაგან, ზოგჯერ სტილიზებულ მცენარეულ მოტივებთან ერთად. ეს ჯგუფი თავმოყრილია ჩრდილოეთი ფასადის დასავლეთ ნაწილზე (ტაბ. 255-256), დასავლეთ ფასადის ჩრდილოეთ მონაკვეთისა (ტაბ. 254) და ჩრდილოეთი ფასადის ქვედა სარკმლების თაღებზე. ყველა ეს ნაქანდაკევი ხასიათდება სახეთა გამოკვეთილი სქემატიზმით, კვეთის დაუდევრობითა და რელიეფის სიბრტყოვანებით. ყოველივე ეს ატყვია წინმავალ ლომს, სრულებით მოკლებულს ზედაპირის რაიმე მოდელირებას (ტაბ. 256), ან ორ ფარშევანგს (ტაბ. 255), რომელნიც მასებით კი არა, უფრო ხაზთა დიაგრამისებრი ქსელითაა გადმოცემული. არადა, ეს ფიგურები ძალზე მრავლისმთქმელია ძველაღმოსავლური თემების ათვისების თვალსაზრისით – თუგინდ იმავე ლომისა, რომელიც ტაო-კლარჯეთის ეკლესიების ხუროთმოძღვრულ სამკაულში ცხოველთაგან ყველაზე ხშირად გვხვდება. აქ ლომი პროფილშია ნაჩვენები, მისი მრისხანედ დაბღვერილი კუთხოვანი სახე კი, მნახველს საშიშრად მოჩერებული – ფასში. მისი აპრეხილი კუდი ამძაფრებს ლომის აგრესიულ ბუნებასა და მის დგომას, ყითარცა ბოროტ ძალთა განმქარვებელსა და ერთგული მცველისა, ეს კი ეჭვს გარეშეა, მის აღმოსავლურ წარმომავლობას გვიცხადებს.[606] იგივე ითქმის ბოლოებგაშლილი ბერძნული ჯვრის აქეთ-იქით პირშექცევით მდგომ ფარშევანგებზეც (ტაბ. 255). მათი ნისკარტიდან დაშვებული თვლები და თავს უკან აფრიალებული ბაფთები ჩვენი ეკლესიისთვის სასანური თემატიკის გარკვეულად ათვისების მანიშნებელია.[607]

მეორე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ასევე დასავლეთი ფასადის ჩრდილოეთი სარკმლის თაღის კვეთილობაც (ტაბ. 254). აქ უმეტესი ადგილი თვრამეტ მეწამულად დაფერილ

---

[606] პარხლისა და ტაო-კლარჯეთის სხვა ეკლესიებში მრავლად გამოხატულ ფრინველებსა და ცხოველებთან დაკავშირებით გვახსენდება პროკოპი კესარიელი, რომელიც სწვევია ამ მხარის ქრისტიანებს და გვამცნობს, რომ აქაურები გარეულ ფრინველებსა და სხვა არსებებს ღვთაებებად მიიჩნევდნენ და ეთაყვანებოდნენ მათ (*Edif.*, III, $6_{3\text{-}5}$).

[607] Djobadze, "Observations", გვ. 98.

შეღრმავებულ რადიალურ სეგმენტს ეთმობა, რომელნიც მარაოსავითაა გაშლილი სწორკუთხა ჩარჩოში. მათ თავზე, ჩრდილოეთ თაღთაშორისში ტოლმკლავიანი ჯვარია ბურთულებით გადაშლილი მკლავების კუთხეებში და მრგვალ სადგარზე დაფუძნებული ბუნით. მოპირდაპირე თაღთაშორისში ფრონტალურად მდგომი წვეროსანი ხელებაპყრობილი კაცუნაა, ტერფებამდე დასულ გრძელ ჩასაცმელში; ჯვარსა და ფიგურას შორის ჩაკვეთილი ქართული ნუსხური წარწერაა:

**ქ(რის)ტ(ე) შ(ეი)წყ(ა)ლე თ[ეოდორ?]ე**

ვინაიდან მას არც ხელისუფლის მდიდრული სამოსი აცვია და არც საბერო ჩოხა, არამედ სადა, გრძელი კაბა, რომელიც თანამედროვე ყაიდის ქამრით აქვს შეკრული, და რადგანაც ის მოკრძალებული ზომითაა წარმოდგენილი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ თეოდორე ხუროთმოძღვარია, პარხლის ეკლესიის მაშენებელი. ეს ვარაუდი იმდენადაა დასაშვები, რამდენადაც ტაოს სამთავროში ხუროთმოძღვარნი თუ მშენებლობის ზედამდგომელნი არა მხოლოდ ქებით მოიხსენიებოდნენ წარწერებში, არამედ მათ საპატიოდ გამოხატავდნენ კიდეც ტაძართა კედლებზე. ორი საამისო მაგალითია პორტრეტები გაბრიელ დიაკვნისა, გამოკვეთილი დოლისყანის ეკლესიის სამხრეთ ფასადზე (ტაბ. 85), და გრიგოლისა – ოშკის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი კარიბჭის რვაწახნაგა სვეტზე (ტაბ. 145). შეიძლება კაცი დააბნიოს ამავე დასავლეთი ფასადის სამხრეთი სარკმლის თაღზე ჯვრის მარჯვნივ მოთავსებულმა წარწერამ (ტაბ. 253): „ქრისტე, შეიწყალე თეოდორე". იქნებ იგი რომელიღაც გამოუცნობ ხელისუფალს კი არ იხსენიებს, როგორც ჩვეულებრივ ვარაუდობენ, არამედ იმავე ხუროთმოძღვარ „თეოდორეს"?

მთავარი ნავის სამხრეთი ფასადი ქანდაკებით სრულებით არ მოურთავთ. სხვადასხვაფერით დატანილი რადიალური ზოლები სარკმელთა თაღების თავზე, აკაშკაშებული მზე დაწყვილებული წრეების ჩარჩოში მეთერთმეტე კედლის თაღის აღმოსავლეთ მხარეს, საწინამძღვრო ჯვრის ნაშთები მეთორმეტე, კიდურა აღმოსავლეთ თაღზე – მოგვიანო დანამატებია. ამას ნათელყოფს მეექვსე და მეშვიდე კედლის თაღთა წარწერა, სადაც ნათქვამია:

**სახელითა ღმრთისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთის მშობელისაჲთა, წმიდისა იოვანე ნათლის მცემელისაჲთა ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქსა იოვანეს. პარხალს ეკლესიასა ზედა ჩასდუდარაჲ კურაპალატსა აეშენა, აღარავის ეკაზმა და მან შეკაზმა, ჰგიესმცა დიდებაჲ მისი უკუნისამდე.**[608]

გარეთა კედლების უამრავი სხვა წარწერა ჩამოირეცხა ან გამოხუნდა, ანდა ძალზე ძნელად იკითხება – მაგალითად, ეკლესიის მშენებლობითა თუ პატრონობით დასაქმებულ მუშაკთა მოსახსენიებელი, სადაც დასახელებულია გალატოზი სიხარულა და ოქრომჭედელი მანდია.[609] აღმოსავლეთი ფასადის მრგვალი სარკმლის ირგვლივ რამდენიმე ლაკონიური წარწერაც განირჩევა. მათი თარიღი, შინაარსიდან გამომდინარე, დაუდგენელია. დავით კურაპალატისა (terminus post quem 978 წელი) და თურქთა ხელისუფლების მიერ ქართული მონასტრების გაუქმებას შორის, სულ ცოტა, ოთხი პატრიარქი სახელად იოვანე. მაგრამ მიჭირს მივიღო ე. თაყაიშვილის შემოთავაზებული დათარიღება – XVI საუკუნე,[610] რადგან XIII საუკუნის შემდეგ ტაო-კლარჯეთის ეკლესიებზე შემდგომი სამუშაოები აღარ ტარდებოდა, ვგონებ, პოლიქრომიული მორთულობისა და წარწერების თარიღის საბოლოოდ გარკვევა თვით წარწერათა შედარებით პალეოგრაფიულ გამოკვლევას უნდა დაეფუძნოს.

---

[608] თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 89, სურ. 44-45.
[609] იქვე, გვ. 91-93.
[610] იქვე, გვ. 93.

## ძ. ეკლესიის შიდა მასები

პარხლის ეკლესია გვარიანად დიდი სამნავიანი ბაზილიკაა (სურ. 67). მთავარი ნავი, გვერდითებზე ორჯერ განიერი და მათზე ზეაწვდილი, სიხალვათის ძლიერ შთაბეჭდილებას ქმნის. მას ხუთ მონაკვეთად ყოფს ოთხი მასიური, ჯვრისებრი ბურჯი, რომელთა შვერილებს შორის შესამტკიცებლად 0.28 × 0.28 მ მოცულობებია ჩადგმული. 0.54 მ-ის სიგანის განზიდული შვერილები ზიდავს ოდნავ წაისრულ, დასაყეხუროვნებულ გარდიგარდმოსა და გრძივ თაღებს (ტაბ. 263-264).

კედლების სიმაღლე გარდიგარდმო თაღთა წამოწყებამდე თვით ეკლესიის სიგანის ტოლია. ამგვარი ფარდობა წესად ჩანს ამ მხარის სამნავიან ბაზილიკებსა და ცალნავიან სამლოცველოთათვის.

შიდა სივრცის დანაწევრება, მაგალითად, მეოთხე მალის გაგანიერება (სიგანე – 4.60 მ) იძლევა სიხალვათის განცდის საკურთხევლისკენ მატებას, ზუსტად ისევე, როგორც ოთხთა ეკლესიაში. იგივე ითქმის დასავლეთ პატრონიკეზე (ტაბ. 265). ოთხთა ეკლესიის პატრონიკისგან განსხვავებით, აქაური უბრალოდ მიბჯენილი კი არა, გადაბმულია დასავ-




67. ეკლესია, ჭრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა




68. ეკლესია, ინტერიერი, სამხრეთ-დასავლეთი ბურჯი ნიშით, გეგმა

ლეთ კედელს, რაც გვავარაუდებინებს, რომ ოთხთა ეკლესიის პატრონიკე „ნასესხებია" პარხლიდან და მოგვიანებით, სახელდობრ, ოთხთა ეკლესიის გადაკეთებისას არის დამატებული. აღსანიშნავია, რომ პარხლის ეკლესიაში ბურჯთა მესამე წყვილის აღმოსავლეთ პირზე მოწყობილია 0.83 მ-ის სიგანისა და 0.50 მ-ის სიღრმის და, ასე, 2.40 მ-ის სიმაღლის ნიშები (ტაბ. 266-267 და სურ. 68), რომელნიც ფორმით, აღნაგობითა და ზომით მსგავსია, მაგრამ განსხვავდება ერთმანეთისაგან ქანდაკოვანი მორთულობით. სამხრეთი ნიშის 0.13

მ-ის სიგანის პილასტრები შემტკიცებულია შეწყვილებული მოხდენილი სვეტებით, რომელთა კუბურ კაპიტელებს ამკობს არაღრმა რუდიმენტული ვოლუტები და სქემატური, ბრტყელი ფიგურული, – ეკლესიის შიდა კედლების არაერთგზის შეფეთქვის გამო გაბუნდოვანებული – რელიეფები.[611] სამხრეთ კაპიტელზე დაბალი რელიეფით ანგელოზის ნახევარფიგურაა გამოსახული – ხელები მას სალოცავად დაუკრეფია, შემომრგვალებული ფრთები კი თითქმის წრედ არის შეკრული (ტაბ. 266). ანგელოზის ჩაცმულობა ვერტიკალური ღარებითაა გადმოცემული,[612] მსგავსად გაბრიელ დიაკვნისა დოლისყანის სამხრეთ ფასადზე (იხ. ზემოთ, ტაბ. 85). ნიშის თაღის პირი მორთულია არაღრმა გულისებრი გაბმული ორნამენტით, რომელიც ქსოვილებიდან მომდინარეობს და ხშირადაა გამოყენებული XI საუკუნის ბიზანტიურ დასურათებებსა და მინანქრებში. ტაო-კლარჯეთში მსგავსი მაგალითები არა გვაქვს, გარდა დოლისყანის სამხრეთი ფასადისა (954-958). კაპიტელთა ქანდაკებებისა (ზოგი მათგანი დაზიანების გამო არ განირჩევა) და გულისებრი ორნამენტის[613] ფორმისეული და სტილური კავშირი დოლისყანასთან კვლავ გვაფიქრებინებს, რომ დოლისყანელმა ოსტატებმა, იქ მუშაობის დამთავრების შემდეგ, მონაწილეობა მიიღეს პარხლის ეკლესიის აშენებაში.

მეორე, ჩრდილოეთი ბურჯის აღმოსავლეთი წახნაგის ნიშა (ტაბ. 267) პირველისაგან მხოლოდ მორთულობით განსხვავდება. მისი პილასტრები ამოზიდული სვეტებით კი არა, ჩაზნექილი ღარებითაა აქცენტირებული. კუბური კაპიტელების ნაცვლად თაღი ეყრდნობა გრეხილით დაღარულ აბაკზე. თაღის პირი შემკულია გადაწნული წრეებით, რომელნიც ორმაგი ლენტითაა შექმნილი – ის, ამასთანავე, ნაყშს ჩარჩოდ ევლება.

შუა ნავის ბურჯებზე სიმეტრიულად განლაგებული, ნაქანდაკევ-მოჩუქურთმებული ნიშები საკურთხევლის წინ ტაო-კლარჯელ ოსტატთა ტიპური ნიშანია. იგი X საუკუნის მეორე ნახევარში, 960 წლის ახლოს ჩნდება და მალევე ტაო-კლარჯეთის ყველა საყურადღებო ეკლესიის სტანდარტული ელემენტი ხდება (პარხალი, ოშკი – ტაბ. 132, სურ. 28, ხახული – ტაბ. 194-195, მოგვიანებით, განუვითარებელი სახით – იშხანი), ოღონდ ოთხთა ეკლესიისა კი არა. უადრესი იმ ეკლესიათაგან, სადაც გამოყენებულია ეს მხატვრული მოტივი, არის ოშკი (963-973) და პარხალი (973 წლამდე ცოტა ადრე). ასე რომ, ამ ნიშების იდეა X საუკუნის 60-იან წლებში უნდა იყოს შემუშავებული. მათი უქონლობა ოთხთა ეკლესიასავით თვალსაჩინო ტაძარში იმის კიდევ ერთი საბუთია, რომ იგი პარხალსა და ოშკზე ადრე ააშენეს, მისი გადაკეთება კი მოხდა პარხლის აგების შემდეგ, რომელიც, თავის მხრივ, ოთხთა ეკლესიის ზედმიწევნითი, მაგრამ გაუმჯობესებული პირი ჩანს. ეს გადაკეთება უნდა ჩაეტარებინათ X საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისის შემდგომ – მაშინ დაამატეს შუა ნავის სართავი თაღები, შუა ნავის დასავლეთი პატრონიკე და ზოგიც სხვა რამ (იხ. ზემოთ). ოსტატებმა, ამასთან, თავი შეიკავეს აღმოსავლეთ ბურჯებში ნიშების ჩაკვეთისაგან, რაც სახიფათო იქნებოდა და შეეძლო გამოეწვია ეკლესიის ჩამოქცევა.

რაც შეეხება პარხლის ნიშების დანიშნულების საკითხს, მისი დამაკმაყოფილებელი პასუხი არ მოგვეპოვება. ე. თაყაიშვილის ვარაუდი, რომ ისინი საეპისკოპოსო იყო, არ უნდა იყოს სწორი, რადგან ისინი ერთი კი არა, ორია და მათში არაა დასაჯდომი. ამდენად, ეპისკოპოსი სულ ფეხზე უნდა მდგარიყო. ამას იქით, პარხლის ეკლესიის აფსიდში გვაქვს ერთსაფეხურიანი სინთრონონი სამღვდელოებისთვის და ეპისკოპოსის საყდარიც. იგი უშუალოდ აფსიდის შუა სარკმლის ჩამოსწვრივ ნახელოვნებ ნიშაშია (ტაბ. 263), რომელიც სტრუქტურითა და ფორმით ზემოხსენებულ ორ ნიშას ჰგავს. ახლა აფსიდში სინთრონონის დონეზე ხის იატაკია დაგებული, საეპისკოპოსო ნიშა კი ნაწილობრივ ცემენ-

---

[611] 1983 წელს ინტერიერი ერთიანად შეათეთრეს, რამაც არა მხოლოდ ხუროთმოძღვრული ორნამენტები, არამედ აფსიდის მხატვრობის ნაშთებიც მიჩქმალა.

[612] Winfield, "Sculptures", გვ. 57, ტაბ. 28c.

[613] მის ნაირსახეობებს ჯერ კიდევ ბანას კათედრალის თაღნარს ზემოთ ვხვდებით (*MAK* XII, ტაბ. XXb მარცხნივ).

ტის ბლოკებითაა ამოვსებული. მისი თავდაპირველი სახე ე. თაყაიშვილის ფოტოსურათე-ბზე შეიძლება ვნახოთ.[614]

თავდაპირველად აფსიდი მთლიანად მხატვრობითა და ქართული წარწერებით იყო მოფენილი. მხატვრობის ფრაგმენტები და არასრული, შელახული წარწერები იძებნებოდა აგრეთვე ბურჯების ნიშათა კამარებშიც.[615] ეს წარწერები და მხატვრობა ახლა ნაწილობრივ ამოკოდილია, ანდა მთლიანად ჩაკარგული სქლად დადებული ბათქაშის ქვეშ. პარხალში 1973-1975 და 1981 წლებში ყოფნისას ვერ შევისწავლე ვიწრო ორმაგი სადგომები – აფსიდის აქეთ-იქითა და მეორე სართულის კვადრატული უაფსიდო ოთახები, რადგან ისინი საშენი მასალით, ავეჯეულობით და აქაურების კუთვნილი სხვა ნივთებით იყო გამოტენილი. როგორც ე. თაყაიშვილის აღწერა და გეგმა გვიჩვენებს,[616] ეს გვერდითი ოთახები, იმჟამად ნაწილობრივ შელახული, მხოლოდ 1.50 მ-ის სიგანისაა და ერთმანეთში 100 მ-ის სიგანის ღიობებით გადის. მეორე სართულის ოთახებში ასასვლელი, ეტყობა, ორმაგი სადგომებიდან არის, რომელთაც ე. თაყაიშვილი პასტოფორიუმებად მიიჩნევს.

ყოველი ორმაგი ოთახის გარე დასავლეთ კედელზე შეწყვილებული ბრტყელი თაღოვანი ნიშაა (0.82 მ-ის სიგანისა). თაღები კუბური კაპიტელებით დაბოლოებულ მოხდენილ სპირალურ სვეტებზეა გადაყვანილი. მათი ბაზისები ფორმითა და ზომებით კაპიტელების იგივეობრივია (ტაბ. 268). ამ ნიშებს იგივე დანიშნულება უნდა ჰქონოდათ, რაც მათ მსგავსთ ოთხთა ეკლესიაში, ე.ი. ისინი დიდი ხატების შოასასვენებლები იყო.

## 2. სამწერლობო მოღვაწეობა და ეკლესიის თარიღი

პარხალში გადანუსხული რამდენიმე ხელნაწერი გვაფიქრებინებს, რომ აქ იყო სკრიპტორიუმი. X-XI საუკუნეთა მიჯნაზე აქ მომუშავე კალიგრაფთაგან ერთი გაბრიელ პატარაი ყოფილა. მან პარხლისთვის გადაწერა „მრავალთავი", წმინდანების რჩეულ „ცხორებათა" კრებული (A-144), ოთხთავი (S-4927) და მეორე მრავალთავი (A-95, ტაბ. 269), რომელიც შეიცავს წმ. იოანე ოქროპირისა და წმ. გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიებს და იოანე ბოლნელის ქადაგებებსა და ისეთ უადრეს ქართულ ლიტერატურულ თხზულებებს, როგორიცაა „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი" (V ს.) და „წამებაჲ აბო ტფილელისაჲ" (VIII ს.). ამ ვეებერთელა (45.5 × 34.5 სმ.), 1310 გვერდიან კოდექსს ახლავს ანდერძი (fol. 590-591), რომელშიც ნათქვამია:

> **კურთხეულნო ერნო, მომავალნო, რომელნი ჩუენსა შემდგომ ყოფად ხართ, პირველ ოდეს ამას წიგნსა დავიწყე ესრე მედვა გულსა, ვითა დედათა წამებაჲ და ცხორებაჲ ოდენ დავწერო და მით გავასრულო და ვიხარკე დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა ვძებნე დედაჲ და ესთენ ვიპოვე, ვერღარა შემეძლო ძებნაჲ მერმე. ესე მამათა მოწამეთაჲ, რომელი პარხალს არა ეწერა, იშხნით მოვიღე და მით გავასრულე... გაბრიელ ლასკაველი და გაბრიელ ხორგაი დიად დამიდგეს თანა, ღმერთმან შეუნდვენ ცოდვანი. ოდეს მიმჭირდეს, მათ მივჰმართი, პურაი მციან. იოვანე გაცვეთილმან კუტლითა ღჳნოჲ მომართუა.**[617]

სამწუხაროდ, ხელნაწერი არ შეიცავს გადაწერის თარიღს, მაგრამ fol.52v-ზე ჩვენ ვგებულობთ, რომ XVI საუკუნეში მოთარეშე თურქებს ის მონასტრიდან გაუტაციათ და შემდგომ „ტყვეობიდან დაუხსნია" თავად დადიანის ასულს, მარიამ დედოფალს. ეს ცნობა

---

[614] *ექსპედიცია*, ტაბ. 144 მარცხნივ (საეპისკოპოსო ნიშა), ტაბ. 145, მარჯვნივ (აფსიდის წინაპირი).

[615] იქვე, გვ. 94, ტაბ. 147 მარჯვნივ და მარცხნივ.

[616] იქვე, გვ. 85-89, სადაც საუბარია ამ საკითხებზე და აღნუსხულია ოთხთა ეკლესიისა და პარხლის მსგავსება-განსხვავებანი.

[617] *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. A-კოლექცია* I-1, 1973, გვ. 388-389; ლ. მენაბდე, *კერები*, I-2, 1962, გვ. 459, ამ ხელნაწერთა უახლესი და ვრცელი ანალიზი: M. van Esbroeck, *Les plus anciens homilaires géorgiens*, გვ. 54-60; იქვე „ანდერძი" და მისი ლათინური თარგმანი – გვ. 56-57.

გვაფიქრებინებს, რომ ტაო-კლარჯეთის მონასტერთა უმრავლესობასავით, პარხალიც მოქმედი ყოფილა XVI საუკუნის ბოლომდე. ხელნაწერის სხვა მინაწერი გვაუწყებს (fol. 367r), რომ იგი წმ. იოანე ნათლისმცემლისადმი იყო მიძღვნილი. ანდერძიდან ვგებულობთ, რომ პარხლისა და იშხნის სამწერლო წრეებს მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონიათ. სახელგანთქმული კალიგრაფის, იოანე ბერაიას გადანუსხული პარხლის ოთხთავის (A-1453) ანდერძი გვავარაუდებინებს, რომ სამწერლო ურთიერთობა იყო დამყარებული პარხალსა და სხვა მეზობელ მონასტრებს, თუნდაც შატბერდს, შორისაც ანდერძში შემდეგს ვკითხულობთ:

**მე, ივანე-ბერამან, მწერალმან შატბერდელმან [ესე ოთხთავი] შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატბერდელთა... [ესე ოთხთავი] წინაშე ახალსა ეკლესიასა ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდვას სადიდებლად ღმრთჳ გჳრგჳნოსნისა მეფეთა მეფისა (ადიდემან ღმერთმან!) ღმრთივ დამყარებულის დავით მაგისტროსისა...**

საბედნიეროდ, იმავე გვერდზე მოცემულია ხელნაწერის გადანუსხვის დამთავრების თარიღი: „ქრონიკონი იყო რჟგ", რაც უდრის 973 წელს (193+780=973). ამგვარად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ 973 წლისთვის პარხლის მონასტერი ამოქმედებული იყო, მისი ეკლესია კი ახლად აშენებული და რომ მას ჰქონდა სკრიპტორიუმიცა და ბერების სენაკებიც. ამავე დროს, ხელნაწერში პარხლის ქტიტორად მრავალგზის მოიხსენიება მეფეთა მეფე დავით მაგისტროსი;[618] რადგანაც დავითს მაგისტროსობის პატივი 961 წელს ჰქონდა მიღებული, ჩვენ ხელთ გვაქვს ჩვენი ეკლესიის მშენებლობის მიახლოებითი თარიღებიც: ante quem 973 და post quem 961, რაც თანხმობაშია თავად ნაგებობის ხუროთმოძღვრების შედარებითი ანალიზის შედეგებთანაც.

თუკი, როგორც რ. შმერლინგი მიიჩნევს,[619] პარხლის ოთხთავი ქართული ხელნაწერის დეკორაციული გამშვენების უადრესი მცდელობაა, მაშინ აქ ვხედავთ უზუსტეს თანადამთხვევას იმ მომეტებულ ყურადღებასთან, რასაც აქცევენ ტაძართა ფასადების შემკობას ქართველი ქვითხურონი.

დასასრულ, მოკლედ უნდა მოვიხსენიოთ პარხალში გაბრიელ პატარაის მიერ გადანუსხული მეორე ხელნაწერის (A-144) მინაწერი, რომელიც ადასტურებს, რომ პარხლის მონასტერი ადგილობრივ ფეოდალ კავკასიძეთა საგამგებლო იყო (fol. 174).[620]

## 3. სამლოცველოები

ტაო-კლარჯეთ-შავშეთის ყველა დიდი ტაძრის შემოგარენში ვნახულობთ მცირე სამლოცველოებსა და ცალნავიან ეკლესიებს. გამონაკლისი არც პარხალია. სამხრეთისკენ, ასე, 1.5 კმ-ის მოშორებით, მაღალი, ფიცხელი მთის ჩრდილოეთი ქანობის შუაწელზე მოიპოვება ნაშთები მცირე სამლოცველოსი დამატებითი ოთახით ჩრდილოეთ მხარეს.

თვით მთის მწვერვალზე, დიდ, ზაფხულში ველური ყვავილებით სავსე მდელოზე დარბაზული ეკლესიაა (ტაბ. 270, სურ. 69), რომლის გარეთა ზომებია 7.50 × 5.20 მ. იგი ტლანქად ნაკვეთი, ერთი ზომის (0.20 × 0.25 მ), სწორად დაწყობილი ქვიშაქვებითაა ნაგები დუღაბის გულზე. ეკლესია სავსებით შეუმკობელია. ტურ აბდინის ეკლესიათა მსგავსად, მისი კედლები გაცხოველებულია წითელი, ლურჯი, მწვანე და ყვითელი შეფერილობის ნაირფერადოვანი ქვებით, რაც არღვევს მონოტონურობას და ფერწერულობა შემო-

---

[618] საამისო დამატებით საბუთებს შეიცავს შუა ნავის სამხრეთ ფასადზე წითელი საღებავით დატანილი წარწერები. იხ: ვ. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, გვ. 88-89, სურ. 44-45, ტაბ. 138-140; ასევე: *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. A-კოლექცია*, I-1, 1973, გვ. 393 [24].

[619] Р. Шмерлинг, *Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI столетий*, Тбилиси, 1979, გვ. 56-60.

[620] *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. A-კოლექცია*, I-2, თბილისი, 1976, გვ. 195-197. კავკასიძეთა შესახებ იხ. ზემოთ.




69. სამლოცველო, გეგმა

აქვს. მის 3.58 მ-ის სიგანისა და 1.95 მ-ის სიღრმის აფსიდ'ში ერთადერთი, ახლა მორღვეული სარკმელია გაჭრილი, რომელსაც აქეთ-იქით პატარა გვერდითი ოთახები აქვს, ყოველ მათგან'ში თითო-თითო სარკმლით. მცხრალად განათებულ ეკლესია'ში დამატებითი შუქი დასავლეთი კედლის სარკმლიდან შემოდიოდა. ეკლესიის კამარა მთლიანად ჩაქცეულია, ერთადერთი შესასვლელი კი მას სამხრეთ ფასად'ზე აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# E. იშხნის კათედრალი

ტაოს სამთავროს იშხნის კათედრალი ოლთისის წყლისა (ოლთუ ჩაი) და თორთუმის წყლის შესართავზე 5-ოდე კმ-ით მაღლა მდებარეობს. აქ მოხვედრა ორი გზით შეიძლება: ფეხით, ვიწრო ბეწვის ხიდით მდინარეთა შესართავიდან სამიოდ კილომეტრში, რომელიც ციცაბოდ მიმავალ ბილიკს ადგება, ანდა ავტომანქანით, უფრო შემოვლითი გზით, რომელიც ბილიკიდან აღმოსავლეთით, 3 კმ-ის იქით იწყება, ბენზინის ჩასასხმელთან, და ქვის ხიდზე გადაივლის (სურ. A).

სოფელი იშხანი განთქმულია გემრიელი და წყალუხვი წყაროებით, სასარგებლო ჰავით და მის სამხრეთით მდებარე ცოტათი გაშიშვლებული, მაგრამ უაღრესად ფერადოვანი და დატეხილ-დანაწევრებული ქედის საკვირველი ხედით. იშხნის მცხოვრებნი „გამაჰმადიანებული" ქართველებია, თუმცა ორიოდ კაცილა ვიპოვე, ვისაც ქართულად საუბარი ხელეწიფებოდა, თან მათგან ერთი კლარჯეთიდან (მაჭახიდან) ჩამოსული მასწავლებელი იყო. დასახლებას გარს ერტყმის ხეხილნარები და ბოსტნები. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ბოლოში დგას მოზრდილი, მაგრამ ერთიანად განადგურებული ციხესიმაგრე.[621]

ამ მხარის სხვა რელიგიურ ცენტრთა მსგავსად, იშხნის კათედრალი ცხოველხატულ ადგილას მდებარეობს, მოსწორებული ეზოს აღმოსავლეთ მხარეს. კათედრალის სამხრეთით, ოცდახუთიოდ მეტრში პატარა, მაგრამ ძალზე ლამაზი სამლოცველოა, მეფეთა მეფის, გურგენის, მიერ 1006 წელს აგებული (იხ. ქვემოთ). სამონასტრო ეზოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში კვადრატული სარწყავი ცისტერნაა. 1973 წელს ეზოს დასავლეთ კიდეზე, ცისტერნასა და სკოლას შუა ახალი აბანოს საძირკვლის თხრისას, ადგილობრივები წააწყდნენ გათლილი ქვების კედელს. სამშენებლო ტექნიკითა და გულდასმით დაკუთხვილი, სუფთაზედაპირიანი ქვებით იგი კათედრალის კედლების მსგავსადაა დამუშავებული და შეიძლება მისი თანადროული იყოს. მართალია, გათხრები შეწყვიტეს, თხრილი კი ამოავსეს. კედლის დანიშნულება და იმ შენობის რაობა, რომელსაც იგი ეკუთვნოდა, გაურკვეველია: ხელობა მის მნიშვნელობას მიუთითებს და იქნებ იგი ეპისკოპოსის სასახლე ან, სულ ცოტა, ბერთა სენაკები, სასტუმრო, სასნეულო ან სატრაპეზო ყოფილიყო. ყველა ეს ნაგებობა საჭირო იყო მონასტრისთვის და იშხნისებრ სახელგანთქმული საეპისკოპოსო სამყოფელს ისინი უთუოდ ექნებოდა. გათხრები სამონასტრო ეზოს დასავლეთ საზღვართან ან ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით მეტს გაგვაგებინებდა ამ დამხმარე ნაგებობებზე, რომელთა თაობაზე მცირეოდენი რამ თუ ვიცით.

იშხნის, ამ მხარის ერთი უთვალსაჩინოესი რელიგიური კერის[622] ისტორია VII საუკუნის შუა წლებს სწვდება, როდესაც სომეხთა კათალიკოსმა, ნერსე III-მ, ქალკედონური მრწამსის მხარდაჭერის გამო შურისგების შიშით, თავი შეაფარა იშხანს და ააშენა ოთხაფსიდიანი ეკლესია, რომლის ნაწილი ახლაც არსებობს. ეს ტაძარი აგების მერე ცო-

---

[621] ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ იშხნის ციხე ბაგრატიონთა თავშესაფარიც ყოფილა. მაგალითად, დემეტრე მეფემ, მონღოლთა ყაენის კარზე მოწამებრივი აღსასრულის წინ, ამ ციხეში გაგზავნა თავისი ძე გიორგი, რათა მასაც იგივე ბედი არ სწეოდა (*ქართლის ცხოვრება*, II, გვ. 288).

[622] ტაო-კლარჯეთ-შავშეთში ხუთი საეპისკოპოსო იყო. ამათგან ორი ტაოს ეკუთვნოდა: ბანასი, ადარნასე II კურაპალატის (†923) აგებული, რომლის პირველი ეპისკოპოსი კვირიკე ბანელი ყოფილა, და იშხნისა, სადაც პირველი ეპისკოპოსი საბა იყო. ორი საეპისკოპოსო – ანჩისა და ახიზის – მდებარეობდა კლარჯეთში. კიდევ ერთი საეპისკოპოსო, ტბეთისა, აშოტ კუხის (†918) დაფუძნებული, შავშეთში იყო. ყველა ამათში უსახელოვანესად იშხნის კათედრა ითვლებოდა.

ტა ხანში უნდა დაქცეულიყო, ბაღდადელი ხალიფების მიერ მოწყობილი ერთ-ერთი დამსჯელი ლაშქრობის დროს. მათგან ყველაზე ავადსახსენებელი 736-738 წლებში მარვან იბნ-მუჰამადის სარდლობით მოხდა. ამ მიზეზითაა, რომ ერთი საუკუნის შემდეგაც ეს კუთხე უკაცრიელი და გაუდაბურებული იყო და მხოლოდ წმ. გრიგოლ ხანცთელმა და მისმა დეიდაშვილმა, საბანმა, იპოვეს იგი „ღვთის შეწევნით". ამასთან დაკავშირებით გრიგოლის „ცხორების" აღმწერელი შემდეგს გვიამბობს: „და ვითარცა მოიწინეს მახლობლად იშხანსა გამოეცხადა ღმრთისა მიერ ნეტარსა გრიგოლს და ღირსსა საბანს იშხნისა დიდებულებაჲ: ...და ჭეშმარიტ ვითარმედ კუალად განახლებად არს პირველებრ ჴელითა საბანისითა. და ეცნობა გზაჲცა მისავალად, რამეთუ მის ჟამისა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი იგი. და მო-რაჲ ვიდეს იშხანს, ფრიად უხაროდა პოვნაჲ დიდებულისა მის ადგილისაჲ, რამეთუ იყო მას შინა ნუგეშინის საცემელი სულიერი და ხორციელი".[623] ყველაფერი ამით აღფრთოვანებულ საბანს სურდა იშხანს დარჩენილიყო, მაგრამ გრიგოლმა უთხრა, ჯერ ხანცთას დავბრუნდეთ, ძმანი მოვინახულოთ და მერეღა შეგეძლება ამ წმინდა ადგილას მიქცევაო. მართლაც, „შემდგომად მცირედთა დღეთა საბან განუტევა იშხანს და ორნი მოწაფენი მისცნა მას და თჳთ განაგებდა სულიერსა ცხორებასა ხანცთისასა ნებისაებრ უფლისა".[624]

შემდგომ, ნათქვამია „ცხორებაში", „ნებითა ღმრთისაჲთა იქმნა საბან ეპისკოპოს იშხანსა ზედა, ნეტარისა ნერსე კათალიკოზისა აღშენებულსა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა მისსა, რომელი წელიწადთა მრავალთა დაქცევებულ იყო. აქ კუალად იქმნა სულიერი ქორწილი და მეორედ აღეშენა ამის ნეტარისა [საბანის] მიერ, ხოლო ხორციელად მოღვაწებითა ღმრთისმსახურთა მათ მეფეთა".[625]

ამ ნაწყვეტიდან შეიძლება დავასკვნათ: 1. ნერსე ეპისკოპოსმა ააგო იშხანს ტაძარი, გარშემოსავლიანი ტეტრაკონქი. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მალევე 652-653 წლებს შემდეგ, როდესაც ნერსე დვინში ეზიარა ბერძენ ეპისკოპოსთაგან და ამით „კანონიერჰყო" ქალკედონის მრწამსის მიმდევრობა, რის გამოც მოუხდა იშხანს გადახვეწა; 2. ცოტა ხნის შემდეგ, უფრო ამ მხარეში მარვან-იბნ-მუჰამადის დამსჯელი ლაშქრობისას 736-738 წლებში, ნერსეს ეკლესია დანგრეულ და მიტოვებულ იქნა; 3. IX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს საბანმა ააგო ეკლესია, რომლის საკურთხეველში მოაქციეს ადრეული ტეტრაკონქის გადარჩენილი აღმოსავლეთი სვეტნარი.[626]

## 1. ნერსეს ტეტრაკონქის ნაშთები და მასთან დაკავშირებული საკითხები

ნერსესეული ეკლესიის შემორჩენილი აღმოსავლეთი ნაწილი (ტაბ. 277, სურ. 70) გვიჩვენებს, რომ იგი საკმაოდ წააგავდა მილანოდან სირიასა და უფრო შორსაც, თვით სომხეთამდე გავრცელებულ ადრექრისტიანულ ტეტრაკონქებს. სომხეთში ნერსემ, იშხანს მოსვლამდე, 644-652 წლებში ააშენა საპატრიარქო სასახლის ახლოს, „მღვიძარე ძალთა" (ზუართნოცი) სახელობის ტეტრაკონქი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავისი იერით იშხნის ნერსესეული ეკლესია ზუართნოცს ემგვანებოდა: სამი ერთმანეთზე შედგმული, სულ უფრო მცირე ზომის ცილინდრი, შიგ ოთხყურათი, ყოველ აფსიდში რვა სვეტით. ცილინდრებსა და ოთხყურას შორის გაჩენილი წრიული გარშემოსავლელის გარე კედლები ყველა

[623] *ცხორება*, თავი 15, გვ. $265_{6-12}$.

[624] იქვე, თავი 15, გვ. $265_{6-12}$.

[625] იქვე, თავი 26, გვ. $274_{28-35}$. საბა „მეორედ აღმშენებლად" იხსენიება ასევე: თავი 5, გვ. $252_{20}$.

[626] საბას აგებული ეკლესიის თარიღი შეიძლება გამოვითვალოთ „გრიგოლ ხანცთელის ცხორებაში" მოთხრობილ ამბავთა მოშველიებით. კონსტანტინოპოლში ხანმოკლე ხტუმრობის შემდეგ ტაოში დაბრუნებული გრიგოლი გებულობს აშოტ კურაპალატის სიკვდილის ამბავს. რაკი აშოტი 826 წელს გარდაიცვალა, ხოლო კონსტანტინოპოლში იგი ორი-სამ წელზე მეტ ხანს ვერ დარჩებოდა, ეკლესიის მშენებლობა კი მისი დაბრუნებისთანავე დაწყებულა, მისი თარიღი დაბეჯითებით შეიძლება დავდოთ IX საუკუნის 30-იან წლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა




70. კათედრალი, გეგმა

სართულზე მორთული იყო სართავი თაღების გაბმული მწკრივით; ტაძარს ასრულებდა ტრომპებიანი გუმბათი.[627] ამჟამად იშხანში აღმოსავლეთი ექსედრაღაა შემორჩენილი: იგი შედგება ახლახან ძველის სანაცვლოდ ამოყვანილ 1.40 მ-ის სიმაღლის ნახევარწრიულ კედელზე დადგმული რვა სვეტისაგან. მოყვითალო ქვის ღეროები 1.65 მ-ის სიმაღლისაა, გარდა განაპირებისა, რომელნიც 2.00 მ-ს აღწევს. მათი დიამეტრი უცვლელად 0.54 მ-ია, კვადრატული პლინთები და თორუსები 0.07 მ-ის სიმაღლისაა. კაპიტელები ტიპოლოგიურადაც სხვაობს ერთმანეთისაგან და მორთულობითაც. რვიდან ექვსის კუბური სვეტისთავები მცენარეული და გეომეტრიული სახეებითაა შემკული, ორი კი განუვითარებელი ფორმის, დეფორმირებული კორინთული კაპიტელია, გამობერილ თორუსებზე შედგმული. ეს კაპიტელები შელესილსა და მეწამულად დაფერილ ნალისებრ თაღებს ზიდავს.

სვეტებსშორისები ერთნაირია, 1.30 მ-ის სიგანისა, კიდურა სვეტების გამოკლებით, რომელთა სიმაღლე დაახლოებით 0.35 მ-ითაა გაზრდილი, რის გამოც თაღის სიმაღლეც დანარჩენებს 0.35 მ-ით აღემატება. კონქის აღმოსავლეთი კიდეების გადაბმა სვეტების აღმოსავლეთ წყვილთან ნერსესეული ტეტრაკონქისა კი არა, მოგვიანო, XI საუკუნის პირველი ნახევრის გადაკეთების დროისაა. ექსედრის განაპირა სვეტები და მათი თაღები გვიჩვენებს, რომ ნერსესეულ, თავდაპირველ ეკლესიაში განაპირა სვეტების სიმაღლე გაზრდილი იყო, რათა შესაძლებელი ყოფილიყო გუმბათქვეშა ბურჯებთან გადაბმა. იმავე გზით მიდის ხუროთმოძღვარ მორჩაისძის 1032 წელს ჩატარებული გადაკეთებაც.

სამწუხაროდ, წერილობითი წყაროები არაფერს გვეუბნება საბანის აშენებული ეკლესიის მოყვანილობასა, ზომასა თუ სხვა რომელიმე მხარეზე: ამ მხრივ 1917 წლის ე. თაყაიშვილის ექსპედიციის ჯგუფმაც ვერაფერი ხელმოსაჭიდი ფაქტები მოიძია. ამიტომაც რაიმე დასკვნის გამოტანა საბანისეულ ტაძარსა და, როგორც ეტყობა, X საუკუნის შუახანებში მისი პირველი დიდი გადაკეთების შესახებ უნდა გადაიდოს ხელსაყრელ პირობებში კათედრალის აღმოსავლეთი ნაწილის სისტემურ და ამომწურავ გათხრებამდე, რომლებიც არა მხოლოდ საბანის ტაძრის საძირკველს გამოაჩენს, არამედ ნერსეს ტეტრაკონქისაც. ამ საქმის განხორციელებას აძნელებს უამრავი სირთულე, განპირობებული კათედრალის საფუძვლიანი გადაკეთებით, გარდასახვით და განვრცობით – XI საუკუნის პირველ მესამედში, იშხნის მთავარეპისკოპოსის – ანტონის თაოსნობით. ვიდრე ჩატარდებოდეს ასეთი დიდი სამუშაო, სავარაუდოდდა შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ საბანის თავდაპირველი ეკლესია მოკრძალებული სამნავიანი ბაზილიკა იქნებოდა (ასე, 17.00 × 12.50 მ), მოქცეული ახლანდელი ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში. სიგანე შუა ნავისა (7.60 მ), რომელსაც 2.00 მ-ის სიგანის გვერდითი ნავები ახლდა, ემთხვეოდა ნერსესეული კონქის დიამეტრს. ასეთი მოკრძალებული ზომების ნაგებობა შეიძლება შევადაროთ სხვა თანადროულ ეკლესიებს – ნუკას საყდარს, პარეხთასა და ოპიზას, აგებულთ ნივთიერი გაჭირვებისა ანდა ბუნებრივი და ფიზიკური უბედურებისგან გამობრუნების ხანაში, რომელიც ახლად დაარსებულმა სამთავროებმა გამოიარეს.

დავუბრუნდეთ ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილს. ჩვენი გამოკვლევით ირკვევა, რომ მთლიანად აფსიდის კედელი ნერსესეული ექსედრის სვეტების თავზე XI საუკუნის საამშენებლო მოღვაწეობას უნდა მივაკუთვნოთ. ამგვარ დასკვნას ემხრობა აფსიდის გვერდების ორმაგ სარკმელთა კაპიტელებიც (ტაბ. 279, 280). ისინი გულდაგულ იმეორებენ დასავლეთი ბურჯების ბაზისების გირჩოვან სამკაულს (ტაბ. 287, 288). ამას გარდა, ორმაგი სარკმლების თაღთა იმპოსტების პროფილების მოხაზულობა ისეთივეა, როგორიც აფსიდის არქივოლტის მიმდებარე იმპოსტებისა და კედლის სვეტების პროფილები.

სამშენებლო ფენები ნერსესეული ექსედრის აღმოსავლეთით რთული განსაშრევია. დღევანდელი მდგომარეობა კათედრალის ამ ნაწილის აზომვის საშუალებას არ იძლევა. ამ მხრივ ჩვენ უნდა დავემყაროთ ე. თაყაიშვილის ექსპედიციის რამდენიმე თეორიულ ანაზომს. ასე, კიდურა, აღმოსავლეთიდან შეყენებული შენობა[628] არც აღმოსავლეთი ფასადის

[627] C. Mango, *Byzantine Architectura*, New York, 1976, გვ. 184, სურ. 205-207.
[628] *ექსპედიცია*, ტაბ. 3. ნახაზზე გამოტოვებულია ფრონტონის გვერდითი მრგვალი სარკმელი.

ხაზზეა და არც მასთან გადაბმული და მოგვიანო დანამატად უნდა იქნეს მიჩნეული. მეორე მხრივ, აღმოსავლეთი ფასადის სამკუთხა, კონქებიანი ნიშები არ სწვდება ატაკის დონეს, რაც გვაფიქრებინებს, რომ აღმოსავლეთ მინაშენს წინამორბედი ექნებოდა. თუ აღმოსავლეთი ფასადის აღმოსავლეთი მინაშენი გვიანი დანამატია, იგი 1032 წელს კათედრალის მრავლისმომცველი გადაკეთებების შემდეგ მალევე უნდა აეგოთ. ამას გვაფიქრებინებს ქვაზე კვეთილობის სტილი და ამ აღმოსავლეთი მინაშენის ხუთი თაღოვანი სარკმლისა და მათი ორნამენტული წარბების ნაქანდაკევისათვის მოშველიებული სახეები.

ოთხთა ეკლესიის გამოცდილების მიდევნებით, აღმოსავლეთ ფასადზე კარნიზის ქვეშ ფრონტონზე სიმეტრიულად განთავსებული სამი მრგვალი სარკმელია (ტაბ. 281). აღმოსავლეთი ფასადის შიდა პირი ტლანქად ნაკვეთი კი არა, სუფთად თლილი ქვებით არის ნაგები; ნახევარგუმბათი და განმტვირთავი კამარა არ სწვდება სახურავის ზედა წერტილს. მეორე სართულზე, აფსიდის ორკეცი ორმაგი სარკმლების მიღმა, პატარა სადგომებია, სწორი მოყვანილობისა კი არა, არამედ როგორც ჩვენს ფოტოსურათზე ჩანს (ტაბ. 282) – ირეგულარული, აღმოსავლეთი ფასადის კონქის მრუდის გაყოლებით გადაშლილი.

საკურთხევლის მიმდებარე მეორე სართულის კვადრატული ოთახების დანიშნულების განსაზღვრა ვერ ხერხდება. ე. თაყაიშვილის ვარაუდი,[629] ეს საქალებო იყოო, საფუძველსაა მოკლებული.

## 2. კათედრალის აღწერა

დიდი თუ მცირე ცვლილებების შემდეგ ეკლესიამ აწინდელი სახე მიიღო. ესაა ჯვრისებრი გუმბათიანი ნაგებობა, სადაც გუმბათი ყელითურთ ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯს ეყრდნობა (სურ. 70). ამდენად, ტიპოლოგიის მხრივ იგი იმავე რიგისაა, რაც ნახევარი საუკუნით ადრე აგებული ოშკის შესანიშნავი ტაძარი, რომელიც უნდა სცოდნოდა ხუროთმოძღვარ მორჩაისძეს, ვინც 1032 წელს იშხნის კათედრალს საბოლოო სახე მიანიჭა.

კათედრალი აღმართულია ორსაფეხურიან ბაქანზე (ყოველი საფეხურის სიღრმე და სიმაღლე 0.20 მ), მასალად მოყვითალო ქვიშაქვაა გამოყენებული, ტექნიკა კი (იხ. ქვემოთ) ზუსტად ისეთივეა, როგორიც X საუკუნის მეორე ნახევარს აქეთ აგებულ ეკლესიებში (ოშკი, ხახული, ოთხთა ეკლესია და პარხალი).

ზომებით იგი იმ რიგისავეა, რაც ამ მხარის ტიპოლოგიურად მონათესავე ორი ძირითადი ტაძარი, ოშკი და ხახული, ორივე X საუკუნის მეორე ნახევრისა. იშხნის საერთო გარეთა სიგრძე აღმოსავლეთ-დასავლეთი ღერძის გასწვრივ 36.60 მ-ია. აღმოსავლეთი მკლავის სიგანე 18.40 მ-ია. იგი მოიცავს განიერ, გრძივად განვითარებულ, აღმოსავლეთ ფასადს გადაუბმელ გვერდით ოთახებსა და ირეგულარულ ოთახებს მათ ზემოთ, რომელნიც საბანისეული ეკლესიისა კი არა, მოგვიანო დანამატია.[630] დასავლეთი მკლავი, ჩრდილოეთი მინაშენის გარეშე, 11.80 მ-ის სიგანისაა, ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების განი კი 12.20 მ-ია. ეკლესიის შიდა სიგანე მკლავთა გადაჯვარედინებაზე 19.00 მ-ს უდრის.

### დასავლეთი მკლავი

დასავლეთი მკლავი შედგება 15.15 მ-ის სიგრძისა და 8.95 მ-ის სიგანის ორი მონაკვეთისაგან. ორივე მხარეს პილასტრებია ორ-ორი დამატებითი საფეხურით. დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ ბოლოში 16.10 მ-ის სიგრძისა და 4.80 მ-ის სიგანის ოთახია, რომლის ერთადერთი შესასვლელი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეშია გაჭრილი.[631] მისი შიდა საბჯენები საკმაოდ მარტივადაა ნაგები. პილასტრებისთვის ნახმარია როგორც სუფთად თლი-

---

[629] *ექსპედიცია*, 16.

[630] ამგვარ დასკვნას გვკარნახობს ორი მოგვიანო სარკმლის დაგვირგვინებათა აღნაგობის, სტილისა და ორნამენტაციის განსხვავება მათ შორის მდებარეთაგან, ასევე აღმოსავლეთი ფასადის შიდა პირის სამშენებლო გაუმართაობა.

[631] უხეშად გაჭრილი დასავლეთი კარი გვიანი დანამატია, სარკმელი კი მის თავზე – თავდაპირველი.

ლი, ისევე ტლანქად ნათალი კვადრატული ქვები. შიდა და გარეთა კედლებში ჭარბობს ტლანქად ნათალი ქვები: გამონაკლისია სუფთად თლილი ქვებით ამოყვანილი გარეთა კუთხეები. აღმოსავლეთი ფასადის მსგავსად, არც ამ ოთახის კედლებია გადაბმული ჩრდილოეთი და დასავლეთი მკლავებისას, არც დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ ფასადის მომგვარებელი კედლის თაღების სისტემა მიჰყვება მთელს კედელს – ისინი ჩრდილოეთი ოთახის სახურავის ჩაზზე წყდება, ზუსტად ისევე, როგორც ეს აღმოსავლეთ ფასადზე ვნახეთ.

ამ ნიშნებით ეს სადგომი წინ უსწრებს 1032 წელს კათედრალის საბოლოო გადაკეთებას. მეორე მხრივ, ჩვენ ზუსტი თარიღის დასადგენად ხელთ არაფერი გვაქვს. მისი აბსოლუტური ზომები და ეკონომიკური მოსაზრებანი კაცს აფიქრებინებს, რომ ჩრდილოეთი ოთახი და მთლიანად კათედრალი მისი ახლანდელი სახით ვერ აშენდებოდა საბანის დროს. გავბედავ ვივარაუდო, რომ საბანისეული ტაძარი გვარიანად გაადიდეს და გადააკეთეს დაახლოებით X საუკუნის შუახანებში. ამას, სხვათა შორის, გვავარაუდებინებს გრძელი, თუმცა არასრული წარწერა (იხ. ქვემოთ) განსახილველი ოთახის სამხრეთ კედელზე და ტლანქად ნათალი ქვით ნაშენი შუა ნავის ჩრდილოეთი კედელი (ტაბ. 284).

რაც შეეხება დანიშნულებას, თუმცა წერილობითი საბუთები არ გაგვაჩნია, მაგრამ ქვაზე კვეთილობის, კედლის მხატვრობის, ნიშებისა და ამგვარი ხუროთმოძღვრული ელემენტების ან შესაბამისი განათების სრული უქონლობა, რომელნიც საკულტო ფუნქციაზე მიგვანიშნებდა, გულისხმობს, რომ ეს დიდი ოთახი ზიარების შემზადებისთვის იყო განკუთვნილი, მსგავსად დასავლეთ მკლავზე მიდგმული ჩრდილოეთი სათავსებისა პარეხთას ზედა ეკლესიაში, ოშკსა და ხახულში. ამგვარი იდენტიფიკაცია უფრო დამაჯერებელი გახდებოდა, რომ შეიძლებოდეს ახლანდელი ხის იატაკის ქვეშ (იგი ე. თაყაიშვილმა 1917 წელსაც ნახა) მიწაში დაფლული ქვევრების კვალის მიგნება.[632]

დასავლეთ მკლავში კათედრალს ორი კარი აქვს: ერთი სამხრეთითაა (ტაბ. 293) და მასზე ქვემოთ ვისაუბრებთ, მეორე, ამჟამად მთლიანად ამოშენებული, დასავლეთი ფასადის შუაშია (ტაბ. 272). მას წინ ახლავს მხატვრობით მორთული, ბრტყელგუმბათიანი კარიბჭე. სამწუხაროდ, ამ კარიბჭისა და შესასვლელისგან ძალზე ცოტა რამ შემოგვრჩა. იგი მთლიანად ფარავდა დასავლეთი ფასადის შუა ნაწილის ქვედა მონაკვეთს, სადაც განმტვირთავი თაღების სვეტები მიწამდე უნდა ჩამოდიოდეს. თუკი ეს დაკვირვება მართებულია, კარიბჭე 1032 წელზე ცოტათი მოგვიანებით ყოფილა აშენებული.

## 3. მკლავთა გადაკვეთა

მკლავთა გადაკვეთაზე გუმბათი ემყარება ოთხ მძლავრ თავისუფლად მდგომ სვეტს (დიამეტრი 1.55 მ). აღმოსავლეთი წყვილის ღერო რვაწახნაგა კი არ არის, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ ცხრაწახნაგა. მათი მასიური ბაზისები (სიმაღლე – 1.04 მ) ოშკისას მოგვაგონებს, თუმცა განსხვავდება შუალა ფასციის ორნამენტული მორთულობით, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ბურჯზე (ტაბ. 285) თევზისფხური სახითაა შემკული, სადაც ხუთფოთოლა მცენარეული მოტივია შეტანილი. მისი შესატყვისი, ძლიერ ჩამოტეხილი ადგილი (ტაბ. 286) ჩრდილო-აღმოსავლეთით დამაჯერებლად შეიძლება აღვადგინოთ როგორც S-ის ნახევრების ყლორტი; შიგნითკენ დაგრაგნილი ყოველი ელემენტი გამახვილებულია სიმეტრიულად დაკიდებული ვაზის მტევნებით – ამ მოტივს კვლავ შევხვდებით გუმბათის ყელის მრგვალი სარკმლის საპირეზე (ტაბ. 307).

ბურჯების დასავლეთი წყვილი ჯვრისებრი კვეთისაა: მკლავებს შუა კედლის სვეტებია ჩამატებული. მკლავები 0.70 მ-ის სიგანისაა. მათი სრული სიგრძე 1.50 მ-ია, რაც უტოლდება აღმოსავლეთი ბურჯების დიამეტრს. კედლის სვეტების დიამეტრიც ყველგან

---

[632] *ჯიხაძეიცა*, გვ. 14. უადრესი მაგალითი იატაკში დაყოლებული ქვევრისა ამ მხარეში მოპოვებულია პარეხთას ზედა ეკლესიაში, რომელიც IX საუკუნის შუახანისაა (იხ. ზემოთ). იხ. აგრეთვე ხახული.

0.36 მ-ია. დასავლეთი ბურჯების ბაზისები გამშვენებულია სადა თორუსებითა და მათზე ზევით შეკიდული გირჩებით (ტაბ. 287-288).

იგივე გირჩები ფესტონებით, გრეხილით, მოკლე შეწყვილებული ნახევარწრეებით, წრეებითა და თორუსით მოჩარჩოებული მძივებით დაგვირგვინებული, გამოყენებულია ბურჯების აღმოსავლეთი წყვილის კაპიტელებზეც (ტაბ. 290). დასავლეთი წყვილისათვის მცენარეული მოტივია შერჩეული – შვეული ყლორტი აქეთ-იქიდან შვიდ-შვიდი, სიმეტრიულად დალაგებული მოკლე ფოთოლაკით (ტაბ. 289, 291). ამ სამკაულთა შესწავლა ნათელქმნის, რომ ორნამენტული მახვილი დასავლეთ ბურჯზე კი არ არის დასმული, როგორც ოშკში, არამედ აღმოსავლეთ წყვილზე. ეს მოვლენა კიდევ ერთხელ გამოკვეთს ტენდენციას, რომელიც X საუკუნის მიწურულიდან შეინიშნება და ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილის, სახელდობრ, საკურთხევლის, ლიტურგიული და თეოლოგიური ფოკუსის ხაზგასმას გულისხმობს.

დასავლეთ ბურჯებს აღმოსავლეთის მხრიდან ერთნაირი ნაშენი ნაშვერები აქვს. ყოველი მათგანი აღმოსავლეთ მკლავში 0.20 მ-ით შემოდის. სამხრეთისა თავმომრგვალებულია, ბრტყელი და გლუვი (ტაბ. 287). ჩრდილოეთ ნაშვერს კვადრატული თავი აქვს, იგი 1.90 მ-ის სიმაღლისაა, 0.92 მ-ის სიგანის და თავისი წყვილისაგან განსხვავდება შუა ნაწილის ოდნავი შეზნექილობით, რომელიც 0.43 მ-ის სიგანისაა და მარტოოდენ 0.10 მ-ის სიღრმისა. ამ ბრტყელი ნიშის დამასრულებელი თაღოვანი მონოლითის ორივე მხარეს სქელი ბათქაშის ნარჩენებია. მის ქვემოთ, გვერდებზე სიმეტრიულად განლაგებული ფოსოებია. ისინი წარმოგვადგენინებენ ამ საგანს, მაგალითად, სალხინებელს, რომელიც მიმაგრებული იყო ბრტყელი ნიშის ზედა მხარეს. ბურჯების ამგვარი მინამატების წინასახეები გვაქვს ოშკის, ხახულისა და პარხლის ეკლესიებში. ამგვარივე მოყვანილობისა და ზომისანი, ისინი ასევე დასავლეთი ბურჯების აღმოსავლეთ წახნაგებზეა მიმაგრებული და ალბათ იგივე დანიშნულებაც ექნებოდათ. მაგრამ ყველა ეს მაგალითი იშხნისგან მეტი გამოყვანილობით განირჩევა, რაც აჩვენებს, რომ იშხანში ისინი ან ბოლომდე არ მიუყვანიათ, ანდა XI საუკუნეში მათ უკვე დაეკარგათ თავისი პირვანდელი დანიშნულება.

## 4. გუმბათი (შიგნით)

იშხნის გუმბათი თავდაპირველი სახითაა მოღწეული.[633] გარედან იგი თექვსმეტწახნაგაა, შიგნით კი მრგვალი (დიამეტრი 7.86 მ, სიმაღლე 11.40 მ). იგი ოთხ დასაფეხუროვნებულ, ოდნავ წაისრულ თაღს ემყარება (ტაბ. 292). კვადრატიდან გუმბათის წრიულ საფუძველზე გადასვლა ხორციელდება ნატიფად დაღარული აფრებით, რომელთაც გრეხილიანი განმტვირთავი თაღები ასრულებს. ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს ყოველი აფრის ზემოთ ორი მრგვალი (დიამ. 0.30 მ) საგნის ნაშთია, რომელნიც ფოსოებში ჩასმული რკინის ლურსმნებითაა დამაგრებული. ამ საგანთა დანიშნულება ჩემთვის უცნობია. გუმბათის ყელის გარეთა სიბრტყეები (ტაბ. 307) დანაწევრებულია 16 დეკორაციული თაღით, რომელნიც შეწყვილებულ გრეხილ სვეტებზეა გადაყვანილი,[634] ყელის წიბოებს რომ ფარავენ. თაღები შენაცვლებით ყრუა ან თითო თავმრგვალი სარკმლით გაჭრილი. ყველა სარკმელი მოჩუქურთმებულ საპირეშია ჩასმული, რომელთა ნაირგვარ ორნამენტულ მოტივებზე ქვემოთ იქნება საუბარი.

გუმბათის ყელის შვერილი კარნიზის სიგანე 0.05-0.20 მ-ის შუა მერყეობს. შესაბამისი სიგანე შიდა ლავგარდანისა (ეს რუდიმენტული აივანია), რომელზედაც მე გვერდულად გავლა შევძელი, 0.30 მ-ს აღწევს. ოშკის ამგვარივე აივანი 0.10 მ-ით განიერია და, თავდაპირველად, რკინის მოაჯირით ყოფილა მოღობილი.

---

[633] იშხნის გარდა, XI საუკუნის მხოლოდ ორმა ქართულმა ეკლესიამ – ნიკორწმინდამ (1010-1014 წწ.) და მანგლისმა (1014-1027 წწ.) შემოგვინახა თავდაპირველი გუმბათი.

[634] დანაწევრების ასეთივე სისტემაა გამოყენებული გუმბათის ყელის შიდა პირზეც, სადაც შეწყვილებული კედლის სვეტები და მათი შემადგენელი ნაწილები სადაა.

შიგნით ტაძარი 1032 წლის ოდნავ გვიან მოიხატა. საუკეთესოდ გუმბათის მხატვრობაა შემონახული. მას მთლიანად ფარავს „ჯვრის ამაღლების" მონუმენტური კომპოზიცია ოთხი მფრინავალი ანგელოზით, თემა, რომელიც სავალდებულო გახდა შემდგომი საუკუნეების საქართველოს ცენტრულ-გუმბათოვანი ეკლესიებისთვის. ამ კომპოზიციის ქვემოთ ოთხი აპოკალიფსური ეტლია, ზაქარიას ხილვის შესაბამისად (6:1-6). ჩრდილოეთ მხარეს მთვარის პერსონიფიკაციაა – ხარზე (ეს მთვარის ზოდიაქური ნიშანია) მჯდომარე ქალი. ქალის ფიგურა მთვარის მღვდლობით აიხსნება. აღსანიშნავია, რომ XI საუკუნის მეორე ეკლესიაში, მანგლისში, მზის მსგავსი პერსონიფიკაცია გვაქვს: ყრმა, ბარაქის რქით ხელში მზის ზოდიაქურ ნიშანზე – ლომზე არის ამხედრებული.

## 5. სამშენებლო ტექნიკა და მისი ზოგიერთი ნიშანი

იშხანში დამოწმებული სამშენებლო ტექნიკა არსებითად იგივეა, რაც ტაო-კლარჯეთის სხვა ტაძრებშიცაა გამოყენებული X საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული. თაღები, კამარები, კონქი მსუბუქი ფოროვანი ვულკანური ქვით, სპონდიკითაა ნაშენი. კედლების შიდა წყობაში, მეტადრე აღმოსავლეთ მონაკვეთსა და მკლავებში, გვხვდებანაირგვარი მასალა და სამშენებლო ხერხები, რომელნიც ზოგჯერ განსაცვიფრებლად ტლანქია.

კიდევ ერთი რამაა მოსახსენებელი: დასავლეთი მკლავის აღმოსავლეთი ბოლოს ჩრდილოეთ მხარეს, კედლის შიდა და გარე პირს შორის, ზედ კარნიზის ქვეშ მოქცეულია ქვიტკირის განუვითარებელი კიბე (ტაბ. 271 და 275). მე დავუყევი ამ კიბეს და დასავლეთ მკლავში გამართული ჯამეს სახურავს დავადექი.[635] აქედან მე გავარჩიე დასავლეთ კედელზე მხატვრობის ფრაგმენტები, რომელნიც აქამდე არავის ენახა. მოხატულობა ოდესღაც მთელს ეკლესიას აცხოვლებდა. შედარებით კარგად დაცული გუმბათის მხატვრობა მიმოხილული აქვს ქ-ნ ნ. ტიერის.[636] იგი ოღონდაც, ვერ იქნებოდა შესრულებული 1032 წლამდე, როგორც ამას ქ-ნი ნ. ტიერი ვარაუდობს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ 1032 წლის მერე, როდესაც ამოავსეს მრგვალი სარკმლები. უკვე ტაძრის მოხატვის შემდეგ საჭიროდ მიუჩნევიათ ტაძრის უკეთ განათება: ამისთვის გახსნეს მრგვალი სარკმლები, რამაც მხატვრობის ნაწილი დააზიანა. მრგვალი სარკმლების გასინჯვით დგინდება, რომ მათი ნაწილი ახლაც ამოვსებულია. თანაც, გუმბათის სვეტისთავების სათუთად ხატალი თვალწარმტაცი მცენარეული მორთულობის ნაწილებს დღემდე ფარავს ბათქაშის ფრაგმენტები და მასზე დართული მოხატულობა, რაც დამატებითი უტყუარი საბუთია იმისა, რომ იშხანი 1032 წლის შემდეგ მოუხატავთ.

## 6. ფასადები და მათი ხუროთმოძღვრული პლასტიკა

ეკლესიის კედლებისა და გუმბათის ყელის გარე სიბრტყეები აქცენტირებულია სართავი თაღებით, რომელთა რიტმული მწკრივი ნაგებობის ყველა მხარეს ანაწევრებს.[637] ამ თაღების სიგანე ზოგჯერ მერყეობს, სიმაღლე კი მუდამ ერთია, მკლავების ფასადთა გამოკლებით, სადაც, X-XI საუკუნეების ტაო-კლარჯეთის ყველა ეკლესიის მსგავსად, სართავი თაღების სიმაღლე მატულობს ცენტრისაკენ, ფრონტონის დახრილობის მიყოლებით და ხაზს უსვამს ეკლესიის ასწრაფულობას. იშხნის მკლავების ფასადებზე მხოლოდ სამ-სამი თაღია (ტაბ. 272, 274-275), მაშინ როდესაც ტიპოლოგიურად მონათესავე ოშკის ეკლესიაში ხუთ-ხუთია, ხოლო ოთხთა ეკლესიისა და პარხლის X საუკუნის ტაძრებში სართავი თაღების რაოდენობა აღმოსავლეთითა და დასავლეთით შვიდს აღწევს (ტაბ. 216, 245).

X საუკუნიდან მოყოლებული, ამ მხარის ცენტრულ ეკლესიებში აღმოსავლეთ ფასადს გამოყოფდნენ არა მარტო სართავი თაღებით, არამედ შუათანა, გამორჩეული სარკმლი-

[635] ასეთივე განლაგებული კიბეები გვაქვს ოშკსა და ხახულშიც.

[636] "Peintures", გვ. 86-105, განსაკუთრებით გვ. 86, სურ. 15-31; მისივე, "Voyage" გვ. 26.

[637] ყველაზე თამამად იგი გათამაშებულია სამხრეთ ფასადზე, რომელსაც ახლა აქ გაზრდილი მცენარეულობა ფარავს (ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, ტაბ. 4).

თაც, რომელიც სამკუთხა ნიშებს შორის იყო მოქცეული. ამგვარი დანაწევრების ერთ-ერთი ხუროთმოძღვრული მიზანი შიდა მასების სამნაწილიანობის, ე. ი. აფსიდისა და მიმდებარე პასტოფორიუმების გარედან გამოჩინება და საკულტო ნაგებობის ლიტურგიული ცენტრის გამოკვეთაა. იშხანში ამგვარი სამკუთხა ნიშები გამოყენებულია, მიუხედავად იმისა, რომ საბასეული ეკლესიის და ნერსესეული ტეტრაკონქის ნაშთების არსებობითა და მერმინდელი გადაკეთებებით აღმოსავლეთი მკლავი ერთიანობასაა მოკლებული. კიდევ მეტი, თვალს ხვდება ასეთივე ნიშების გამოჩენა დასავლეთ ფასადზეც (ტაბ. 272), სადაც მათ რაიმე ლიტურგიული თუ სამშენებლო საჭიროება არ გააჩნიათ. ამ ხერხის მოხმარება გვითვალსაჩინოებს ხუროთმოძღვრის განსაკუთრებულ გატაცებას ეკლესიის დეკორაციული მხარით, რამაც განსაზღვრა მისი ამორჩევა.

კათედრალის გარეთა ზედაპირები გამომსახველადაა დანაწევრებული ოთხმაგი სართავი თაღებითა და საფეხუროვანი კომპოზიტური პილასტრებით. ყველა შემთხვევაში პილასტრის წინა მხარე შედგენილია ახლო-ახლო მიტანილი, ერთი დიამეტრის (0.20 მ) სამი კედლის სვეტით (ტაბ. 272, 274), რომელთაც ერთმანეთის მიყოლებით მისდევს კვადრატული საფეხური (0.22 × 0.22 მ), სვეტი (დიამეტრი 0.25 მ) და ერთი ზომისა და ფორმის კიდევ ორი გვერდითი საფეხური. პილასტრების მაქსიმალური სიგანე 1.57 მ-ია. ყველა პილასტრი აიმართება სადა, კუბურ, ბურთულებით მოთავებულ ბაზისზე. იმპოსტები, თუმც მათ იგივე მოყვანილობა აქვთ, რაც პილასტრებს, აგებულებით თუ ორნამენტული რეპერტუარით და პროფილებით უფრო რთულია (ტაბ. 294, 296-298). ძირიდან პირველი ფასცია ფესტონებიანია, მას მოსდევს სკოცია, წნული, ასტრაგალი, ცერობი და მოჩარჩოებული ლილების მწკრივი. ამ იმპოსტებიდან, რომელნიც ზოგან გაუბრალოებული აღნაგობისაა და შეუმკობელიც[638] კი, ამოდის მრავალნაწევრა ნახევარწრიული განმტვირთავი თაღები.

კედლის დანაწევრება სართავი თაღებით არ გახლავთ გამონაგონი ხუროთმოძღვრისა, რომლის სახელი, იოანე მორჩაისძე, სამხრეთ კედელზეა აღბეჭდილი (იხ. ქვემოთ), ისინი X საუკუნის მეორე ნახევრის სხვა ეკლესიებშიც ჩნდება (ოშკი, პარხალი, ოთხთა ეკლესია, ტბეთი), სადაც უკვე უთუოა სართავი თაღების მნიშვნელობა ფასადთა აგება-მოწესრიგებისათვის. იშხანში ეს ხუროთმოძღვრული ელემენტი საგრძნობლად წინწასულია – შეწყვილი ნაწილების გამრავალკეცებით, სართავი თაღების სიღრმის მომატებით და ორნამენტიკის შემადგენლობის გაზრდით. ამგვარად, ოსტატმა დროულად გამართა პილასტრების სამშენებლო ფუნქცია და კედელი დეკორაციულადაც გაამდიდრა. თუ რამდენად აღელვებდა მას „თავისი“ ეკლესიის ესთეტიკური მხარე, გვიმხელს კედლებში თაღებს შუა გაჭრილი სარკმლების ნაირგვარი მოხდენილი საპირეები თუ წარბები, ასევე აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასადების ფრონტონებში გაჭრილი სამ-სამი წრიული სარკმელი.

სარკმელთა ჩუქურთმების რეპერტუარი თითქმის რომ ერთიანად სხვადასხვა გეომეტრიული, წნულოვანი სახეებითა და სტილიზებული მცენარეული მოტივებითაა შედგენილი (ტაბ. 294-295, 297-306). ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისია დასავლეთი მკლავის სამხრეთი ფასადის სარკმელი (ტაბ. 296), სადაც ლომისა და ვეშაპის ორთაბრძოლაა[639] გადმოცემული.

განსაკუთრებით ნაირფეროვანი და მდიდრულია სამხრეთი ფასადის ორნამენტიკა: სარკმლები დაყურსული, უხვი დეკორაციული ფორმებითაა გამშვენებული. სარკმელთა მოჩარ-

---

[638] მაგალითად, დასავლეთ ფასადზე, ტაბ. 272.

[639] ეს კომპოზიცია ეხმიანება ძველთაძველ მითოლოგიურ რწმენას, რომ დაბნელების მიზეზია საზარელი უშველებელი გველი, რომელიც ყლაპავს მზეს და სპობს ნათელსა და ცხოვრებას. გველის მოწინააღმდეგე – ლომი მზის სიმბოლოა. აქ ეს კომპოზიცია მართებულად სარკმელთან, სინათლის წყაროსთანაა მოთავსებული. იხ. Djobadze, "*Observations*", გვ. 94, ტაბ. $15_2$. ნიშანდობლივია, რომ ჩვენი გველის გარეგნობას (ყურები და თავისებური საყელო) ზუსტად იმეორებს მისი უახლოესი და ერთადერთი პარალელი (საქართველოში) ნიკორწმინდის ეკლესიის დასავლეთ ტიმპანზე (Mepisašvili, Zinzadse, *Georgien*, სურ. გვ. 131-ზე).

ჩოებას ევლება რთული, ნაოსტატარი გეომეტრიული სახეები – ერთგვარი სტილით გადმოცემული სამღარიანი ლენტით მოვლებული გადაბმული წრეების ერთი ან ორი წყება (ტაბ. 294), ანდა მჭიდრო ჩახლართული წრეებისა და ჭადრაკოვანი სახეების ორმაგი მწკრივი (ტაბ. 295). სხვები გადაბმული კვადრატების ორმაგი წყებითაა შედგენილი (სარკმლის წარბზე, ტაბ. 296); სხვადასხვა სიხშირის ორი ჩაწნული წრით (ტაბ. 299), თევზისფხური სახით (ტაბ. 297), სხვადასხვანაირი რომბებითა და წნულებით, ნახევარპალმეტებით და ნახევარ S-ებად დაწყობილი ვაზის ყლორტით (ტაბ. 296, 302).

ამ ორნამენტთა კრებულის ზოგიერთ სახეს შეიძლება ახლომდებარე X საუკუნის მეორე ნახევარში აგებული ეკლესიების (ოშკი, ოთხთა ეკლესია, პარხალი) სარკმლებში მივადევნოთ თვალი, მაგრამ იშხნის ჩუქურთმები რაღაცგვარად უფრო მშრალია, სქემატიზებული, უფრო დაყურსული და მჭიდრო, ფონის თითქმის დანმთქმელი. ამას გარდა, იშხნის ჩუქურთმოვანი მოჩარჩოებები კიდევ დახვეწილი ბაზისებითა და კაპიტელებით აღჭურვილი წყვილედი სპირალისებრი სვეტებითაც (ტაბ. 295) არის გამდიდრებული. სარკმლებს ახლავს ასევე უხვად დაჩუქურთმებული ომეგას მოხაზულობის, ჰორიზონტალური ქუსლებით დაბოლოებული წარბებიც. მაგრამ არც აქაა დატოვებული ადგილი სარკმლის თავის მოჩარჩოებასა და მასზე მჭიდროდ გადმომჯდარ წარბს შორის ტაოს უფრო ძველი ეკლესიებისთვის სახასიათო რადიალური ფერადი ზოლებისთვის. ესეც დეკორაციულობის გაჯერება-გამკვეთრების ერთ-ერთ ხერხად შეიძლება ჩაითვალოს.

მიუხედავად ამ სარკმელთა ქანდაკოვანი მორთულობის იშვიათი ზედმიწევნითობისა, შეინიშნება ორნამენტულ სახეთა არაკანონზომიერი გამოყენება – მაგალითად, დასავლეთი ფასადის შუალა და ჩრდილოეთი განმტვირთავი თაღების კაპიტელებისა (ტაბ. 272), სამხრეთი (ტაბ. 297) და ჩრდილოეთი (ტაბ. 300) მკლავების შუალა სარკმლების წარბებზე; ზოგჯერაც ორნამენტული ნაქანდაკევის ნაცვლად მხოლოდდა მონახაზია შემოვლებული.

1032 წლის უკანასკნელი დიდი სამშენებლო პერიოდისათვის მიკუთვნებულ ყველა სარკმელს აქვს ორნამენტირებული წარბი, გარდა დასავლეთი მკლავის სამხრეთი კარის ასწვრივ მოქცეულისა, რომლის თავზე სადა პროფილია (ტაბ. 294), უთუოდ ქტიტორთა წარწერის ნაწილის დასატევად გამიზნული, რადგან აქ ნათქვამია, რომ ზემოხსენებულ ხუროთმოძღვარ მორჩაისძეს მშენებლობა 1032 წელს დაუსრულებია (იხ. ქვემოთ, წარწერა 4, ტაბ. 214-215).

დასავლეთი მკლავის სამხრეთი ფასადის დეკორაციულ გამართულობას დამატებული აქვს ნახელოვნები შესასვლელი (ტაბ. 293), რომელსაც თავიდან, ისევე, როგორც ოშკში, წინ გადაკეთების დამთავრებისას მონგრეული ღია ბჭე ჰქონია. ეს შესასვლელი, ბოლო დროს ტლანქად ამოშენებული, შედარებით კარგადაა დაცული თაღის ზედა მონაკვეთის გამოკლებით, რომელიც სარკმლის ჩადგმისას დაზიანდა. ასევე ნაწილობრივაა ჩამოთლილი კარის წირთხლთა გარე პირი, მაგრამ ისინი კარგადაა შენახული შიგნით, სადაც მიჰრაბია ჩაშენებული, რაც შესასავლელის მალის გაზომვის საშუალებას გვაძლევს (1.75 მ.).

გარედან კარს ამკობს (ტაბ. 293) რთული გეომეტრიული კვეთილობა, შედგენილი კვადრატების გაბმული რიგისაგან, რომელიც გადაბმულია სამმაგ ლენტს, ყოველი მათგანი კი შევსებულია X-ებრი ნახატით. ეს სახე გრძელდება ტიმპანის ზემოთ და კარის ორივე მხრიდან კაპიტელ-იმპოსტებიანი სპირალისებრი სვეტებითაა მოჩარჩოებული. ფესტონებიან რგოლებსა და კვადრატულ ბაზისებს ამშვენებს S-ებრი წნულის სეგმენტები.

ამ ჩუქურთმიან ჩარჩოსა და კაპიტელებს ტაო-კლარჯეთში ცოტა პარალელი მოეძებნება, სამაგიეროდ, ისინი საქართველოს სხვა კუთხეებში გვხვდება. მაგალითად, ეხვევის პატარა ეკლესიის (იგი XI საუკუნის დასაწყისისა შეიძლება იყოს) აღმოსავლეთი და დასავლეთი სარკმლების ჩუქურთმა[640] ჩვენი შესასვლელის ყველა ელემენტს შეიცავს. ისინი

---

[640] E.Takaišvili, “Four Basilican Churches in the Quirila Valley”, Georgica, a Journal of Georgian and Caucasian Studies, 1-2, 1936, გვ. 167-172, ტაბ. XIX, XX, XXII. ეხვევისა და იშხნის მჭიდრო ურთიერთკავშირს გვაფიქრებინებს გადახლართული კვადრატების წყება აღმოსავლეთი სარკმლის წარბზე, რომელიც გაორმაგებული სახითაა მოცემული იშხნის სამხრეთი ფასადის სარკმლის წარბზე (ტაბ. 296). საინტერესოა, რომ ქართულ ხუროთმოძღვრულ პლასტიკაში ამ მოტივის იშვიათი, თუ არა

მოიცავს ქერეჭისებრ ნახჭსაც და გრეხილსაც. აღარსად გამეორებულა იშხნის გვერდითი დაღარული კრონშტაინები, რომელნიც ზიდავს ბურთულებით, ასტრაგალითა და თარითი მოვლებული ლამაზი მრგვლოვანი წარწერის[641] ჩარჩოს (ტაბ. 293).

გადამუშავებული ანტიკური ელემენტებით მორთულ მძლავრ კრონშტაინებს ქვის ზემოთ თითქოს არა აქვს რაიმე ტექტონიკური დატვირთვა. მაგრამ მათზე შეიძლებოდა ჩამოყრდნოთ კარიბჭის თაღები და თუ ასეა, ისინი მოწმობენ აქ დოლისყანის, ოშკისა და ხახულის ტაძართა მსგავსი კარიბჭის არსებობას, რომელიც იქ დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ სადგომს აწონასწორებს.[642] ეს კარიბჭე შეიძლება ანტონი მთავარეპისკოპოსის თაოსნობით გიორგი I-ის მეფობაში იყოს აშენებული. თუკი ეს განხორციელებული იყო, იგი 1032 წლის საბოლოო გადაკეთების ჟამს უნდა მოეცილებინათ.

ასეა თუ ისე, ჩვენი პორტალი თავისი საუცხოოდ შეწონილი და ჩინებულად დამუშავებული დეკორაციული სისტემით ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ გამორჩეულ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. მისი ესთეტიკური და ცხოველხატული ღირსებანი გაზრდილია ცისფერი საღებავით, რომელიც პორტალის ზედა ნაწილის ჩუქურთმათა ფონს ფარავს და, თუ არ ვცდები, გამონაკლისია ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრებაში.

## ა. აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასადები

დასავლეთი მკლავის სამხრეთი ფასადის დეკორაციული იდეა ასეთივე ძალით ვლინდება ეკლესიის დანარჩენ კედლებზეც (ტაბ. 274- 275).

სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე შუალა დეკორაციული თაღი სიმაღლითა და სიგანით სჭარბობს მოდაბლო და უფრო ვიწრო გვერდითებს; შესაბამისად, შუა სარკმელიც გვერდითებზე მაღლაა მოთავსებული, ფასადის ფრონტონის კუთხის შესაბამისად. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადებზე, ამასთან, თითო სარკმელია, რადგან გვერდით თაღებში სარკმელთა ნაცვლად სამკუთხა კონქიანი ნიშებია. ამას გარდა, დასავლეთი ფრონტონის გამოკლებით, ყველა მკლავზე თავმომრგვალებულ სარკმლებს ფრონტონებში ემატება მრგვალი, წრიული საპირეებით აქცენტირებული ღიობი. ძველთაძველი ტრადიციიდან მნიშვნელოვანი გადახვევაა სწორკუთხა საპირე, რომელიც დასავლეთ ფასადზე ჩნდება (ტაბ. 272). სწორკუთხა საპირის მეორე მაგალითს გაცილებით გვიან ვხვდებით, უკვე XIII საუკუნეში, ტბეთის კათედრალის სამხრეთის მკლავზე (ტაბ. 329).

იშხნის დასავლეთი ფასადის თითქმის იგივეობრივი საპირეები ლამისაა ერთდროულად საქართველოს სხვა კუთხეებშიც ჩნდება. მათგან ყველაზე თვალსაჩინოა მცხეთის კათედრალის მაგალითი (1010-1029), სადაც ისინი ოთხივე ფასადზეა მოხმარებული, ისევე როგორც 1030 წელს დამთავრებული სამთავისის კათედრალის აღმოსავლეთ ფასადზე.

იშხნის აღმოსავლეთი და სამხრეთი ფასადების შუალა კედლის თაღები გამოსაჩენ ადგილას მოთავსებული დიდი ჯვრებითაა გაცხოველებული. ამგვარი განთავსება საკმაოდ მოულოდნელია. X საუკუნის მეორე ნახევრის ეკლესიათა უმრავლესობაში ჯვრები გარეთა სიბრტყეებზე ან არ არის (ხახული), ან სიმცირისა და ადგილმდებარეობის გამო ძნელად გასარჩევია (ოთხთა ეკლესია, ოშკი).[643]

---

უნიკალური, ნაირსახეობა გამოყენებულია ანტიოქიის დასავლეთით მდებარე წმ. სვიმეონის მონასტრის წმ. სამების ტაძარში (Djobadze, *Investigations*, გვ. 105, სადაც მოყვანილია სხვა მაგალითებიც და ტაბ. 38, სურ. 152). ეს თავისებური სარკმელი გამოქვეყნებული აქვს ასევე ი. ბალტრუშაიტისსაც (*Etudes*, ტაბ. IV-3), შესადარებელი მაგალითების ჩვენებით.

641 საქტიტორო წარწერის შესახებ, რომელიც ტაძრის გიორგი I-ის მეფობაში (1014-1027) განახლებას იხსენიებს, იხ.: ქვემოთ, წარწერა 2.

642 X საუკუნის მეორე ნახევარსა და XI საუკუნეში ამგვარი კარიბჭეები ქართულ არქიტექტურაში თითქმის საყოველთაო უნდა ჩანდეს. თითქმის საყოველდღეო შეიქნა.

643 ოთხთა ეკლესიაში გაჭირვებით დასანახი ჯვარი აღმოსავლეთი ფასადის წვერშია მოქცეული; ოშკში ამავე ადგილას, დასავლეთ ფასადზე იყო ერთ ქვაზე ამოკვეთილი, აწ დაკარგული, ჯვარი სამფოთლის ოთხი მდინარის თავზე.



71. წნული ჯვრები

როგორც ეტყობა, იმხანად ჯვრის ყველაზემიღებული სახე ე. წ. „განედლებული ჯვარი“ ყოფილა. მას ახასიათებს გადაშლილი მკლავები (ჩვეულებრივ, სამნაწილედი ბოლოებით) და ძირის ორივე მხარეს გამომავალი, ზეამართული ფოთლები. პარხლის დასავლეთ ფასადსა (ტაბ. 253) და, განსაკუთრებით, ხახულის სამხრეთ სამლოცველოში ფოთლები თვით ჯვრებზე აღმატებულ, დახვეწილ ყლორტებად იქცევა. ოშკის სამხრეთ ბჭეში გამოკვეთილი ჯვრის (სურ. 29) ძირიდან ორ-ორი, ერთმანეთის თავზე მოქცეული ფოთოლი გამოდის. ყველა ამ მაგალითში ჯვრების ფოთლები ბუნებითი ზრდის თვისებას ამჟღავნებს. იშხანსა და XI საუკუნის პირველი მესამედის სხვა ეკლესიებში ამგვარი ჯვრების ფორმა თვალსაჩინოდ იცვლება. ისინი უფრო დიდი, ოღონდაც მეტად სქემატური ხდება, მათ მკლავების თანდათანობითი გაშლა კი არ ახასიათებთ, არამედ მოხაზულობის

კუთხოვანება.[644] ჯვრების ძირიდან ამოსული ფოთლებიც მცირდება და სქემატურდება, იშხნის სამხრეთი ფასადის მსგავსად (ტაბ. 274). საბოლოოდ, ტბეთის კათედრალის ორ ჯვარსა და იშხნის აღმოსავლეთ ჯვარს ისინი საზოგადოდ აღარა აქვს. მეორე მხრივ, გურგენ მეფის აშენებული იშხნის მცირე ეკლესიის დასავლეთ ფასადზე (სურ. 71) ჯვარს კიდევ აქვს შერწყმული საყუძველთან ორმაგი რტო, ისევე როგორც 1010 წლის ეზოვის ჯვარსაც (სურ. 71). რაც მთავარია, ამ დროს ჯვართა გეომეტრიულად გააზრებული მკლავები შედგენილია ორმაგი ან, სულაც, სამმაგი წნულების ნაირსახეობებით. თუ არ ვცდები, ამ ხერხს დიდხანს არ უარსებია და იგი XI საუკუნის შუახანს არ გადასცდება.

ჯვრის ორივე ტიპის ახლო პარალელები მრავლად მოიძებნება შუაბიზანტიური ხანის აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში. მაგალითად, ჯვარი, მისი მკლავების ბოლოებზე გადაბმული რვა ყულფით, ცოტა ხნის წინ აღმოჩნდა მირას (ლიკია) წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში,[645] ჰოსიოს ლუკასის ეკლესიის ჯვარი კი[646] იშხნის აღმოსავლეთი ფასადისას ემსგავსება (ტაბ. 276). მისი მსგავსი ჯვარი კონიიდან, ძირიდან აღმავალი ფოთლებით[647] (ახლა სტამბოლის მუზეუმში), იშხნის სამხრეთი მკლავისას ედარება (ტაბ. 274, სურ. 71). შეჯერებისას მუდამ გასათვალისწინებელია თავად წნულთა მოტივების განსხვავებულობა.

## ხ. გუმბათი (გარედან)

ტაძრის ფასადთა დეკორის პროგრამა გუმბათის ყელის გარე ზედაპირზედაც პოვებს გაგრძელებას (ტაბ. 307). იგი მოუკლებელი შთაგონებითაა შესრულებული, რაც უჩვ, უაღრესად მრავალფეროვან ქანდაკოვან რეპერტუარში აისახება და მისი ესთეტიკური ზემოქმედების შესამატებლად მეწამული საღებავის გამოყენებაშიც. ფერის ინტენსიურობა გუმბათის სხვადასხვა ქვაზე საკმაოდ არათანაბარია, რაც არღვევს კედლის ზედაპირის მონოტონურობას და აძლიერებს საერთო ცხოველხატულ შთაბეჭდილებას.

თავიდანვე ყელის წრიულ ფუძეზე თამამი მახვილია დასმული. აქ სამი ფასციაა – პირველი ფესტონების მწკრივით, მეორე – შეზნექილი გრეხილით, სადაც გადანასკვის ადგილას ფაქიზი ვიწრო ღარებია, დასასრულ კი – ორმხრივ ლენტით მოსაზღვრული ღილები. თექვსმეტწახნაგა ყელი თექვსმეტივე სართავი თაღის გაბმული მწკრივითაა დანაწევრებული. თაღებში ერთმანეთს ენაცვლება მაღალი თავმომრგვალებული და მცირე მრგვალი სარკმლები. პირველნი წარბითაა მორთული, მეორენი – მრგვალი ჩარჩოთი. კაცს გააკვირვებს ჩვენი ოსტატისათვის დამახასიათებელი ფორმათა თვალშისაცემი სიზუსტე და მკაფიობა თუ ძალზე მსხვილი ორნამენტული სახეების მასშტაბი. სარკმელთათვის გამოყენებულ სახეებთან დაკავშირებით გამოსაყოფი მგონია ჩვენს ფოტოსურათზე (ტაბ. 307) მარჯვნივ ასახული მრგვალი სარკმლის საპირე, რომელიც ძალზე გავრცელებული S-ებრი ორნამენტითაა შექმნილი. საგულისხმოა აქ მასში ჩართული ვაზის მტევნები. მის ნაირსახეობას ტაო-კლარჯეთში ერთხელღა ვხვდებით – ტბეთის კათედრალის აღმოსავლეთი მკლავის მრგვალ სარკმელსა (ტაბ. 319) და სამხრეთი მკლავის აღმოსავლეთ ფასადზეც (ტაბ. 323, სურ. 84).[648] ეს კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ იშხანში მომუშავე ოსტატებს ტბეთშიც უმუშავიათ.

---

[644] ეს პროცესი პარხალში დაიწყო. სამხრეთი ფასადის ორ ჯვარს (ტაბ. 258, 259, სურ. 56, 57) არა მხოლოდ კუთხეების ყულფები აკლია, არამედ ძირზე ამოსული მცენარეულობაც. განედლებული ჯვრების შესახებ – რაც არსებითად არის ქრისტეს გენეტიკური ჯვრისა და „ცხოვრების ხის" შერწყმა, იხ.: K. Rahner, *Griechische Mythen in christliche Deutung*[3], Zürich, 1957, გვ. 63-73 და J. Flemming, "Baum", და "Bäume", წიგნში: E. Kirschbaum (ed.), *Lexikon der christlichen Ikonographie*, ტომი I, 1968, გვ. 258 და შემდ.

[645] O. Feld, წიგნში: *Myra: Eine lykische Metropole in antiker und byzantinischer Zeit*, ed. Jürgen Borchardt, 1975, გვ. 376, ტაბ. 122c და შენ. 322-324, სადაც მოტანილია სხვა მაგალითებიც.

[646] A. Grabar, *Sculptures Byzantines du moyen âge*, II, 1976, გვ. 53, ტაბ. XVII-a.

[647] იქვე, ტაბ. XVII-b.

[648] ამ მოტივს შეიძლება დავუმატოთ კიდევ კლაკნილი ღერო ორივე მხარეს მასზე მიჯრილი სამყურა, უკან გადაწვენილი ფოთლებით. ეს მოტივი ჩნდება ტბეთის აფსიდის სარკმელზე (ტაბ. 320),

გუმბათის ყელის ყოველი წახნაგი მოჩარჩოებულია თაღებით, რომლებიც თაღნარად იკვრება. თავად ისინი და მათი შეერთების ადგილებიც ნაირნაირი მცენარეული და ორ თუ სამმაგი ლენტის წნულებითაა მორთული. ზოლები ქვედა საფეხურზე სადაა და წითლით გამშვენებული, რომელსაც ძირითადად ახლაც შერჩენია პირვანდელი ინტენსივობა. თაღები სპირალური, დახვეწილი ბაზის-კაპიტელებით მოთავებულ სვეტებზეა გადაყვანილი, რომელთა პარალელები შეიძლება მოვიძიოთ ახლა მთლიანად განადგურებულ ექექის ეკლესიაში,[649] ოშკსა (ტაბ. 121) და ხახულში (ტაბ. 205). ამასთან, იშხანში სვეტების მამკობი ელემენტები გაცილებით დეტალიზებულია, მათი რაოდენობა გაზრდილი, ხოლო კვეთის ხელოვნება კალიგრაფიულ ზედმიწევნითობამდეა აყვანილი. როგორც გვიჩვენებს ტაბ. 307, ყველა ბაზისის პირზე მკვეთრი, სტილიზებული მცენარეული მოტივია: ასევე მათ ზემოთ მოთავსებული ქვებიც გამშვენებულია ნაირგვარი ჩუქურთმებით, რომელნიც ისე ფაქიზადაა შესრულებული, რომ თითქმის არც ჩანს.

დაწყვილებულ რგოლჩამოცმულ ბურთულებს თავზე ფესტონები აქვს; ისინი შეტყუპებული სვეტის ტანის ზემოთაც მეორდება. მთელს ამ სისტემას აბოლოებს კუბური, სამმხრივ მოხდენილი, სტილიზებული მცენარეული მოტივებით შემკული და სადა წყვილადი აბაკით მოთავებული კაპიტელები.

ზედაპირი თაღნარსა და ყელის ზედა ლავგარდანს შორის თამამადაა აქცენტირებული მონუმენტური ღილაკებით მეწამულ ფონზე. ზედა ლავგარდანი გადმოწეული პროფილისაა, ერთგვარი, თევზისფხურის მსგავსი მოტივით შედგენილი, რომელსაც აგვირგვინებს გრეხილი, ზედ ფესტონებით. ლავგარდანის ფონი ზევით გამახვილებულია მეწამულ-წითელი სადებავით, რაც მდიდრულ დაჩუქურთმებას კიდევ უფრო ანაწევრებს და აცოცხლებს.

დასასრულ, ესთეტიკურ შთაბეჭდილებას განასრულებს გუმბათის ძალზე მრავალფერიანი, ღარიანი მოჭიქული კრამიტის სახურავი. ეკლესიის სახურავის კრამიტები ახლა ერთიანად დაკარგულია, მაგრამ გუმბათის მონაცვლე მეწამული და მწვანე ზოლები ახლაც პირვანდელი სიკაშკაშით კიაფობს ლურჯ ცარგვალზე. ეჭვს გარეშეა, შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერი იქნებოდა, როდესაც მთელი იყო ეკლესიის სახურავი.

ბაგრატ IV-ის მეფობის (1027-1072) დასაწყისში, 1032 წელს აგებული იშხნის კათედრალის იშვიათად მდიდარი ქანდაკოვანი სამკაულის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ოსტატ მორჩაისძის უპირატესი განზრახვა, რომელსაც მან წარმატებულად მიაღწია, ტაძრის დეკორაციული და ცხოველხატული მხარის უმაღლეს მწვერვალამდე განვითარება იყო. მართლაც, გიორგი I-ის ზეობაში (1014-1027) აშენებულ ნიკორწმინდის ეკლესიასთან ერთად იგი საუკეთესო განსახიერებაა ქართული ხუროთმოძღვრების მემკვიდრეობისა.

ოშკის ტაძრის ქანდაკოვან სამკაულზე მსჯელობისას, მე ვცადე დამედასტურებინა, რომ მისი შთამაგონებელი წყარო გვიანანტიკური კულტურის კერებშია საძებნელი, მეტადრე ორონტის ანტიოქიისა და მისი მიდამოების მდიდარი ვაჭრებისა და მოხელეების სახლებისა თუ ადრექრისტიანული ეკლესიების კედლებისა და იატაკის მოზაიკებში, ე. ი. იმ ცენტრში, რომელთანაც ქართველებს დიდხანს საეკლესიო წეს-წყობილება აკავშირებდათ. მათ ამ მხარეში უამრავი მონასტერი და სკრიპტორიუმიც ჰქონდათ და, როგორც გვიჩვენებს წმ. სვიმეონ საკვირველმოქმედისა და დედამისის, წმ. მართას „ცხორებანი", VI საუკუნიდან მოყოლებული, ისინი დიდად იყვნენ ჩაბმულნი აქაურ ცხოვრებაში. ქართველ ბერებს, უწინარეს კი ქართველ ქვითხუროებს, რომელნიც სამშობლოდან ანტიოქიის დასავლეთ სანახებში ეკლესიათა ასაშენებლად მისულიყვნენ, შეუნიშნავი ვერ დარჩებოდათ ვრცელი გვიანანტიკური დეკორაციული რეპერტუარი. ბიძგი, რომელიც მიიღეს ქართველ ქვითხუროებს, ზოგ მაგალითში – მათ შორის, იშხანშიც – ისე ძირფესვიანადაა გარდაქმნილი, რომ წინასახე ძნელად თუ შეიცნობა.

---

იშხნის სამხრეთი მკლავის სარკმელზე (ტაბ. 274) და ჩვენსას უმცირესი წვრილმანებითაც ემსგავსება. იგივე ითქმის მკლავის ლავგარდანზე გამოყენებულ S-ის ნახევრებისა და თევზისფხურ სახეებზეც.

[649] ექექის 1960-იანი წლების დასაწყისში დანგრევის შესახებ იხ.: D. Hills, "*Travels*," გვ. 228. მისი გუმბათის შესახებ იხ.: ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია*, ტაბ. 111.

იშხნის კათედრალის დღევანდელი სახე არსებითად იმ მრავლისმომცველი გადაკეთების ნაყოფია, რომელიც ანტონი მთავარეპისკოპოსის თაოსნობით ჩაუტარებია ხუროთმოძღვარ მორჩაისძეს. მშენებლობა გიორგი I-ის მეფობაში (1014-1027) წამოუწყიათ და მცირე შუალედის შემდეგ, რომელიც ალბათ ქართველ-ბიზანტიელთა მტრობამ გამოიწვია,[650] განახლდა მორჩაისძის მოთავეობით. დასავლეთი მკლავის სამხრეთი ფასადის წარწერა (იხ. ქვემოთ) გვატყობინებს, რომ კათედრალი ბიზანტიისაკენ მიდრეკილი ხელმწიფის, ბაგრატ IV-ის, მეფობაში (1027-1072), 1032 წელს დასრულდებოდა.

იშხნის კათედრალი საკულტო არქიტექტურის ასპარეზზე ტაო-კლარჯეთში სამშენებლო მოღვაწეობის მწვერვალია. სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლების საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში გადანაცვლებამ და ბიზანტიელთა ლაშქრის ტრაგიკულმა დამარცხებამ მანზიკერტთან (1072 წელი), მისი თანმდევი საზარელი მოვლენებით, სათავე დაუდო როგორც სამონასტრო ცხოვრების, ასევე, ბუნებრივია, სამშენებლო მოღვაწეობის სწრაფ დაქვეითებასაც.

მიუხედავად ბუნებისაგან თუ ადამიანისაგან მოწეული ზიანისა, იშხანმა, როგორც ჩანს, XVII საუკუნის ბოლომდე იარსება. უკანასკნელი იშხნელი ეპისკოპოსი 1650 წელს იხსენიება (S-252, გვ. 17). იშხნის საყდრის თავისთავადობა საიმდროოდ უთუოდ დაკარგული იქნებოდა, ვინაიდან მთავარეპისკოპოსობას საქართველოს კათალიკოსი კი არა, თურქეთის ხელისუფლება ანიჭებდა. საბოლოოდ იშხანი თურქეთმა XVII საუკუნის გასულამდე მიიერთა.

## 7. გურგენ მეფეთა მეფის სამლოცველო

კათედრალის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 30-ოდე მეტრის მანძილზე, მდებარეობს მშვენიერი სამლოცველო (სურ. 72), რომელიც, აწ ამოქოლილი ჩრდილოეთი შესასვლელის ტიმპანის წარწერის თანახმად, მეფეთა მეფე გურგენმა (†1008)ააშენა 1006 წელს. მისი გარეთა ზომები 10.35 × 5.65 მ-ია, რაც აქაურ, კერძო მსახურებისთვის აგებულ ეკლესიათა პირობაზე საკმაოდ ბევრია. კედლების სისქე ყველგან 0.73 მ-ია.

წყობა ისეთივეა, როგორც კათედრალისა, მაგრამ ნაგებობას მთლიანობაში სითბოსა და ფერადოვნებას მატებს მოყვითალო და მოწითალო ქვიშაქვის ხმარება. სამლოცველო შედარებით კარგადაა დაცული, სამხრეთი კედლის ნაწილის გამოკლებით, სადაც მოძარცვულია გარეთა პერანგის სუფთად თლილი ქვები. იგივე ითქმის აფსიდის სარკმლის ნაქანდაკევი საპირის სამხრეთ ნაწილზედაც. დასავლეთ ფასადზე გაჭრილია უსწორმასწორო, გაუმართავი კარი და მთლიანადაა ამოკოდილი სარკმლის თავზე წნული „განედლებული ჯვრის" თარაზული მკლავები. ლავგარდანი და მისი გრეხილები დაუშავებელი უნდა იყოს, ხოლო სახურავს კი კრამიტები ერთიანად გადაცლილი აქვს.

სამლოცველო ცალნავიანი კამაროვანი ნაგებობაა, ორ მონაკვეთად დასაფეხუროვნებული თაღითა და მისი მზიდავი 0.48 მ-ის სიგანის პილასტრთა წყვილით დაყოფილი. კიდურა საფეხურები 0.20 × 0.20 მ-ის ზომისაა. 3.30 მ-ის სიგანისა და 1.90 მ-ის სიღრმის აფსიდში გაჭრილია უხვად შემკული სარკმელი (გარეთა სიგანე 0.30 მ.; ტაბ. 308, სურ. 73).

იმავე ზომის მეორე სარკმელია დასავლეთ მხარესაც. მის გარე პირსაც ამკობს გეომეტრიული ორნამენტი, რომელიც რომბოიდების, კვადრატებისა და მჭიდროდ ჩაწნული, ორივე კიდეზე ჩაღარული ლენტებითაა შექმნილი (ტაბ. 310). ეს მოტივი, რომელსაც ცალი არ ეძებნება არც საქართველოს მრავალფეროვან ჩუქურთმებს შორის და არც სადმე სხვაგან, მოფარგლულია გრეხილითა და ასეთივე ლენტოვანი კვადრატებით შექმნილი წარბით. სარკმლის წარბის ასწვრივ „განედლებული ჯვარია", რომლის ამოკოდილი თარაზული მკლავები თანდართულ რეკონსტრუქციაშია ნაჩვენები (სურ. 71).

---

[650] მშენებლობის წყვეტილი, როგორც „მატიანე ქართლისაჲ" გვაფიქრებინებს, (*ქართლის ცხოვრება*, I, გვ. 285) უფრო 1021-1022 წლების ომის დროსაა მოხალოდნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




72. გურგენისეული სამლოცველო, გეგმა

ყველაზე მეტ ცნობის წადილს გარეთა ნაქანდაკევში ჩრდილოეთი შესასვლელის ომეგასებრი წარბის კომპოზიცია აღძრავს (ტაბ. 309, სურ. 74). იგი შედგება ოცი გადაბმული კვადრატისაგან, რომლებშიც ერთმანეთის მიყოლებით თავსდება რეალური თუ მითიური ცხოველები ანდა ფრინველები. მეორე კვადრატში (თუ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გავაყოლებთ თვალს), ერთის მაგიერ ორი ერთმანეთისკენ პირმიქცეული ფარშევანგია; შუალა კვადრატში ვაზის მტევანია შეკიდული. დასავლეთი კიდურა ცხოველი გამოქარულია და არ იკითხება. დანარჩენი ცხოველების დაცულობა რიგიანია, თუმცა სიმცირისა თუ ფანტასტიკურობის გამო ზოგი მათგანი დაბეჯითებით ვერ განისაზღვრება. მარცხნიდან მარჯვნივ აქ ვხედავთ: ფრთოსან ცხენს, პირშექცეულ ფარშევანგებს, ჯიხვს, კიდევ ერთ ჯიხვს, ფრთოსან დრაკონს, ლომს, მეორე ლომს, ფრთოსან ცხენს (?), სპილოს, მდედრ ირემს (?), ხარირემს, კუდაპრეხილ გრიფონს, მესამე ლომს, მესამე ჯიხვს, კვლავ ფარშევანგს, მეორე ფრთოსან ცხენს და გამოქარულ ცხოველს, რომელიც ვეღარ ამოიცნობა. ზოგიერთს კისერზე საყელო აქვს შემოხვეული, რაც გვანიშნებს, რომ ისინი სანადირო მამულის მკვიდრნი არიან.

ყველა პირუტყვი თუ ფრინველი მკაცრ პროფილშია, გარდა სამი ლომისა, რომელთა თავები, აღმოსავლურ ყაიდაზე, წინისკენაა მობრუნებული. ერთგან (მარჯვნიდან მეხუთე) ლომის კუდს შუაში ნასკვი აქვს, ფოჩს კი სამნაწილედი დალარული მცენარეული მოტივი აქვს მიბმული. ზოგიერთი ცხოველი (მაგალითად, ლომი, სპილო) საქართველოში არ ცხოვრობს და უცხოეთიდან უნდა იყოს შემოტანილი. ორ თანაბარ ჯგუფად დანაწილებული ცხოველები შუალა ვაზის მტევანთან ხვდებიან ერთმანეთს.

შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრულ პლასტიკაში, მეტადრე ტაო-კლარჯეთში, მრავლადაა ზოომორფული თემები. მათ ენიჭებოდათ დამცველი, დეკორაციული და თვით ასტროლოგიური მნიშვნელობაც კი, მაგრამ გურგენისეული სამლოცველოს ქანდაკებებს ვერც ერთ მათგანს ვერ მივაწერთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



73. გურგენისეული სამლოცველო,
აღმოსავლეთი სარკმლის რეკონსტრუქცია



74. გურგენისეული სამლოცველო, სამხრეთი კარის ტიმპანის თავსართი

იშხნის პორტალის წარბის საზრისის გასაგებად სასარგებლოა მოკლედ მიმოვიხილოთ ადრექრისტიანული იატაკის მოზაიკები, მეტადრე სასუფევლის თემატიკა, [illegible]ერიგად პოპულარული V-VI საუკუნეების სირიის, პალესტინისა და კილიკიის მოზაიკით მოფენილ იატაკებზე. ამგვარი კომპოზიციების მწკრივს შეემატა რესაფას წმ. ჯვრის ეკლესიის ცოტა ხნის წინათ გახსნილი იატაკის მოზაიკები, სადაც მრავალნაირი ცხოველები დიდებულ, ნაყოფით დახუნძლულ ხეებსა და ყვავილებს შორისაა განთავსებული.[651] სამოთხის თემის შემდგომი მაგალითებია იორდანიის პირას, ნებოს მთის ბაზილიკის სანათლავის მოზაიკები, სადაც ექვსი ცხოველი ორ ჯგუფადაა წარმოდგენილი[652] და იმავე ბაზილიკის ღმრთისმშობლის სამლოცველო, სადაც ჰერალდიკურადაა მოცემული ცხოველთა ორი წყვილი.[653] ელაიუსა სებასტეს აიასის (კილიკია) ტაძრის ეკლესიაში ედემის ბაღის ცხოველები აფსიდის წინ ჰორიზონტალურ რიგებადაა გადმოცემული.[654] ამას გარდა, კარლიკის ბაზილიკაში ჰორიზონტალურად დალაგებულ ცხოველებს თანმხლებ წარწერებში სახელებიც კი ერქმევათ (თუმც არცთუ მუდამ სწორად).[655] აქაც, ელაიუსას მსგავსად, მძოვარა და მტაცებელი ცხოველები სიმეტრიულადაა დაჯგუფებული მშვიდობიან მდგომარეობაში. აკდეგირმენ ჰუიუკის ეკლესიაში სამოთხეს უჭირავს ტაძრის მთელი შუა ნაწილი და ყველა დაწყვილებული ცხოველი თითქოს მძოვარაა.[656]

ადრექრისტიანული ხანიდან მოყოლებული, ქართველები უამრავ მონასტერს ფლობდნენ სირიის, პალესტინისა და კაპადოკიის წმიდა ადგილებში. აქ მოსული ქართველი ქვითხუროები ინარჩუნებდნენ კავშირს სხვა ერების კუთვნილ მონასტრებთან. შესაბამისად, მათ უნდა კარგად ცნობოდათ მათი ეკლესიებიცა და მათი ფერწერული ხელოვნებაც, ასევე მათი იატაკის მოზაიკები, მეტადრე სელევკიის მარტირიონი და მისი ცნობილი სასუფევლის მოზაიკა.[657] ამდენად, ქვითხუროებს ეს მოზაიკების თემები სამშობლოში მოჰქონდათ და ითვისებდნენ მათ საკუთარი ხუროთმოძღვრული პლასტიკისთვის. ქართველ ოსტატთათვის მისაღები უნდა ყოფილიყო ედემის ბაღის ჩვეულებრივი კომპოზიციების შემოკლება თუ მათგან გადახვევა. ასე, ალთამარის სომხურ ტაძარში, აღმოსავლეთი ფასადის სამოთხის კომპოზიციაში „ადამი სახელს არქმევს ცხოველებს და მხეცებს", სამოთხის ბაღი საერთოდ არ ჩანს და ზოგიერთი ცხოველი პროტომებადაა მოტანილი.[658]

ამგვარი კუთხით განხილვისას დიდი არაფერი კადნიერება იქნება ჩვენი უჩვეულო კომპოზიცია სამოთხის გასქემატურებულ და შემოკლებულ ვერსიად მივიღოთ. ამ თემის ისეთ საჭირო ელემენტებს, როგორიცაა მდინარენი, ყვავილები და ხენი აშკარად ერთადერთი ვაზის მტევანი ჩაენაცვლა, მაგრამ ცხოველთა თვინიერი ქცევაცა და მათი თან-

631 Th. Ulbert, *Resafa II. Die Basilika des Heiligen Kreuzes in Resafa-Sergiupolis*, 1986, გვ. 134 და შემდ., ტაბ. 38-1, 2, სურ. 62.

652 S. J. Saller, *The Memorial of Moses on Mount Nebo* I, 1941, გვ. 230-232, სურ. 27e; ნაწილი II, ტაბ. 103.

653 იქვე, გვ. 233 და შემდ., სურ. 27g, ტაბ. 109.

654 M. Gough, "A Temple and Church at Ayas", *An.St.* 4, 1954, გვ. 59 და შემდ., ტაბ. 4.

655 M. Gough, "The Peaceful Kingdom: A Early Christian Mosaic Pavement in Cilicia Campestris", *Mélanges Mansel* I, Ankara, 1974, გვ. 411-419. ცხოველები სამოთხეში წარწერებითაა სახელდებული, ასევეა კილიკიაში, კორიკოსის მოზაიკებშიც (E. Herzfeld, S. Guyer, *MAMA* II, 1930, გვ. 706, სურ. 104 და შემდ.) და მაინის ეკლესიაში (R. de Vaux, "Une mosaique Byzantine à Ma'in", *Rev. Bibl.* 47, 1938, გვ. 233 და შემდ).

656 H. Candemir, J. Wagner, "Christliche Mosaiken in der nördlichen Euphratesia", *Studien zur Religion und Kultur Kleinasiens: Festschrift F. K. Dorner*, Leiden, 1978, გვ. 201, 205-207, სურ. 1, ტაბ. LXXVIII-9, LXXIX – 10, 11. სხვა მაგალითების გარჩევა იხ.: H. Maguire, "Adam and the Animals: Allegory and the Literal Sence in Early Christian Art", *DOP* 41, 1987, გვ. 363-373.

657 D. Levi, *Antioch Mosaic Pavements* I, Princeton, 1947, გვ. 359 და შემდ., ტ. II, ტაბ. 87-89.

658 S. Der Nersessian, *Aghtamar, Church of the Holy Cross*, 1965, გვ. 20 და შემდ., ტაბ. 31; H. Vahramian, Aghtamar, Documenti di architectura armena, 8, 1974, გვ. 13, 71, ტაბ. 44. „სამოთხისა" და ცხოველთა V-VI საუკუნეების მოზაიკური გამოსახულების დაწერილებითი მიმოხილვა იხ.: H. Hellenkemper, *RBK* IV, 1990, გვ. 336-349.

მხლები წარწერაც: „ესე არიან ბჭენი უფლისანი და მართალნი შევლენან ამას"[659] ამ ჰიპოთეზას დამაჯერებელს ხდის. ცხოველების იდილიური ყოფა და სიმშვიდე იმაზე მიუთითებს, რომ ისინი გამოსახულნი არიან „ცთუნებამდე".

ჩრდილოეთი ტიმპანის წარბის კომპოზიციის ზოომორფულ ნაირსახეობას ვხვდავთ აღმოსავლეთი სარკმლის საპირეზე (ტაბ. 308, სურ. 73). წამყვანი მოტივი აქ გადაკვეთილი წრეების ორი წყებაა. სეგმენტებში მოთავსებულია იმგვარივე ცხოველები, როგორიც ჩრდილოეთი ტიმპანის წარბზე გვაქვს. ამჟამად სარკმლის მოჩარჩოების კვეთილობის მესამედი დაკარგულია, დანარჩენი კი გაშავებულია ახლა არარსებული საკვამურის ჭვარტლით. რამდენამდე შელახულია მისი ქვედა მონაკვეთიც. მიუხედავად ამ ხარვეზებისა, მთლიანი სურათი საკმაო სიზუსტით შეიძლება აღვადგინოთ. თაღოვანი დაგვირგვინების ყოველ წრეში სამ-სამი ცხოველია მოქცეული; გვერდით სეგმენტებში ვაზის მტევნებია ჩაწერილი. თუკი ასეთივე იყო ამჟამად დაკარგული სამხრეთი მხარეც, მაშინ ცხოველთა და ფრინველთა საერთო რაოდენობა 29 უნდა ყოფილიყო. ეს რიცხვი ათით აღემატება ჩრდილოეთი კარის ტიმპანის წარბის ცხოველთა და ფრინველებისას. აქაც ცხოველები თითქმის სრული სიმრგვალითაა გამოკვეთილი და საკვირველად პლასტიკური და ცოცხალია. მათი სტილი, ფორმა და რაგვარობა ისეთივეა, როგორც ჩრდილოეთი კარის ცხოველებისა. ფიგურების მცირე ზომა და დაზიანება აძნელებს მათ ამოცნობას, მით უფრო რომ ზოგიერთი ცხოველი მეორდება (მაგალითად, პანტერა, ვეფხვი, მამალი). მიუხედავად ამისა, ხერხდება შემდეგი ცხოველების გაიგივება: ვირთაგვა, მამალი, პანტერა, ვეფხვი და კურდღელი.

ეს საპირე უჩვეულო რამ არ გახლავთ: მსგავსი საპირე აქვს მოყლებული ნიკორწმინდის ტაძრის შუალა სარკმელსაც, სადაც გადახლართულ წრეებში გრიფონებია მოქცეული.[660] მეორე პარალელია კუმურდოს აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის საპირე (964),[661] სადაც ცხოველები და ფრინველებია ჩართული.

უნდა აღინიშნოს მითოლოგიურ და ცხოველთა გამოსახულებების მოტივთა დიდი ნაირგვარობა გურგენ მეფის სამლოცველოსა და ტაო-კლარჯეთის სხვა მნიშვნელოვან ტაძრებში: ცხოველთა შერკინება (ლომი თავს ესხმის ხარს, ხარირემს ანდა გველს), დაცალკევებული ცხოველები (როგორც იშხანში), ცხოველთა წყვილები, სიცოცხლის ხის ორკერძი ფრინველები – დაწალიკებული ანდა შეპირდაპირებული თუ მტაცებელი ფრინველები ცხოველით (კურდღლით ან რქოსნით) კლანჭებში. ყველა ესენი, უეჭველია, შუამდინარული წარმოშობისაა და უცვლელად თუ გადასხვაფერებული სახით, ირანის გზით, იქაური ლითონის ნაკეთობებისა თუ ქსოვილების მეშვეობით მოხვდა მეზობელ ქვეყნებში – სომხეთში, საქართველოსა და ბიზანტიაში.

ტაო-კლარჯეთის ტაძრების ფრინველთა და ცხოველთა ტიპურად სასანური ნიშნებია ოშკის არწივისა (ტაბ. 160) და ხახულის გრიფონის (ტაბ. 203, სურ. 49) მომარგალიტებული ყელსაბამები; ურთიერთშექცეული ფრინველების ნისკარტებიდან გადმოკიდებული მოსართავები ოშკსა (ტაბ. 172) და პარხალში (ტაბ. 255) და გრიფონების ნისკარტიდან – ოშკში (ტაბ. 167); ასევე ლენტებით მორთული საყელოები ხახულის გრიფონისა (ტაბ. 204, სურ. 49). ეს მამკობი მოტივები არც დოგმატური აზრის მატარებელია, არც მორალურისა და არც რელიგიურის, მაგრამ ისინი სამეფო ინვესტიტურასა თუ პატივს გამოხატავს (ხვარანა), ცხოველურ არსებებზე გადმოსულს, რომელნიც ამ გზით გარკვეული ზომით საკრალურნიც ხდებიან.

---

[659] ეკლესიის კარის ვითარცა სამოთხის ბჭის სახების შესახებ იხ. ზემოთ. ასევე: U. Götz, "Die Bilderprogramme der Kirchentüren des 11. und 12. Jahrhunderts", Diss. Tübingen 1971, გვ. 18; M. Frazer, "Church Doors and the Gates of Paradise: Byzantine Bronze Doors in Italy", *DOP* 27 (1937), გვ. 147-152. მსჯელობა ადრექრისტიანული პორტალების მნიშვნელობისა და ქრისტესადმი მიძღვნილი რომანული ქანდაკებიანი პორტალების განვითარებაში მათი წვლილის შესახებ იხ.: F. W. Deichmann, *Ravenna* I, 1969, გვ. 202 და შემდ.; მისივე, *BZ* 64, 1971, გვ. 272. იხ. აგრეთვე ზემოთ.

[660] W.Djobadze, "Observations", გვ. 89, სურ. 2.

[661] Н. Северов, Г. Чубинашвили, *Кумурдо и Никорцминда*, Москва 1947, ტაბ. V მარჯვნივ.

ხელმწიფეთა იკონოგრაფიას ეხმიანება ძველისძველი სცენა ლომისა და ხარის შერკინებისა, რომელიც ამბივალენტური მნიშვნელობისაა. უფრო მეტად მას კოსმიური აზრი აქვს, იგი ქვეყნიერებაში უხილავი, კეთილისმყოფელი და დადებითი ძალების უპირატესობის სიმბოლოა და ამ რიგზე უკავშირდება ხელმწიფის კულტს.

ტაო-კლარჯეთის ტაძრებში, ისევე როგორც შუამდინარულ სასახლეებში, ცხოველები თავს იყრიან ღიობების თუ კარ-სარკმლების გარშემო, რომელთაც არა მარტო კლიტე და გასაღები უნდა იცავდეს, არამედ ყოვლისშემძლე მხეცებიც. ამიტომ, ჩვენი ცხოველები ტაო-კლარჯეთის ეკლესიებში თანაბრად უნდა განვიხილოთ როგორც მცველნი და როგორც დეკორაციული ხასიათის გამოსახულებანი. ისიცაა, რომ საუკუნეთა განმავლობაში თავდაპირველი საზრისი და დანიშნულება დაიმცრობოდა უკანასკნელი ზემოქმედების სასარგებლოდ. ეს იძლეოდა ქრისტიანული და წარმართული მოტივების თანაარსებობის შესაძლებლობას, როგორც ამას ოშკის დასავლეთ ფასადსა და ხახულის სამხრეთ კართან ვხედავთ.

თვალში საცემია, რომ X საუკუნის მეორე ნახევრისა და XI საუკუნის დასაწყისის ტაძართა გარე კედლების დეკორაციული ზემოქმედება (ოშკი, ხახული, პარხალი, გურგენისეული სამლოცველო იშხანში) იმდენად ბიბლიური თემებით კი არ მიიღწევა, რამდენადაც ცხოველთა სახეებით.

ასევე დამახასიათებელია, რომ გურგენის მცირე სამლოცველოს ქანდაკოვან გარე მორთულობაში არსებითად ცხოველებია წამძღოლი, 1032 წელს აქვე აგებულ ბევრად დიდ კათედრალზე კი ერთადერთი მცირე ზოომორფული სახეა. ამგვარივე პროცესი უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სხვა მხარეებშიც, სადაც 1025 წლის შემდგომ ცხოველთა ალეგორიული გამოსახულებანი თანდათან ცოტავდება და განიძევება კიდეც ეკლესიების ფასადთა დეკორაციული რეპერტუარიდან.

ეს პროცესი თანხვდება დამოუკიდებელი ქართული სამთავროების საბოლოო გაერთიანებასა და ცენტრალიზებული მონარქიის დაფუძნებას, რაც, თავის მხრივ, დაემთხვა არაბთა განდევნასა და 1027 წელს ბაგრატ IV-ის მეფედ კურთხევას. ამის შემდგომ საგრძნობლად განმტკიცდა ბიზანტიასთან კავშირიც. არაფერი საკვირველია, თუკი ეს პოლიტიკური მოვლენები ტაძართა ქანდაკოვან მორთულობაშიც აისახებოდა და რომ უკანასკნელი ტაძარი, სადაც ცხოველთა თემა ჭარბადაა წარმოდგენილი – ნიკორწმიდაა (1010-1014), ხოლო 1032 წლის იშხნის კათედრალში იგი ერთადერთ გამოსახულებამდეა დასული.

## 8. წარწერები

იშხნის ტაძარი ძალზე მდიდარი იყო საქტიტორო, სამახსოვრო, ბიბლიური და ისტორიული შინაარსის წარწერებით, რომელნიც X საუკუნის შუა წლებისა და XV საუკუნის შუალედით თარიღდება. მათი დიდი ნაწილი შეაგროვა მამა ნ. სარგისიანმა და შემდეგ გამოაქვეყნა მ. ბროსემ.[662] საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ იგივე წარწერები, უკეთესი და გამართული წაკითხვით, გამოსცა ე. თაყაიშვილმა,[663] თან კი მათ სხვებიც შემატა, რომელნიც მამა სარგისიანს გაპპარვოდა.

აქ მე კვლავ ვაქვეყნებ ზემოხსენებულ მკვლევართა წყალობით უკვე ცნობილ ოთხ წარწერას. ამის მიზეზი, ჯერ ერთი, ისაა, რომ ისინი გვიჩვენებენ იშხნის ეკლესიათა მშენებლობის თარიღებს და, მეორეც, იმედი მაქვს, ჩემი წაიაკითხი ავსებს წინამორბედ მეცნიერებთან შეპარულ ხარვეზებს. წარწერა № 3, რომელიც სამხრეთი კარიბჭის აღმოსავლეთ მხარეს აღმოჩნდა, აქამდე უცნობი იყო. აქ წარმოდგენილი ხუთი წარწერიდან ოთხი ტაძართა გარე კედლებზეა ამოკვეთილი, ერთიც, № 1, მათ შორის უადრესი, დასავლეთი მკლავის მობათქაშებულ კედელზეა დატანილი. ორ შემთხვევაში (№№ 1 და 4) ჩვენ ვეფუძნებით ე. თაყაიშვილის წაიაკითხს, ვინაიდან № 1 წარწერის დასავლეთი ნაწილი 1917

---

662 "Inscriptions", გვ. 14-20, № 15-22.

663 *ექსპედიცია*, გვ. 11-30, სურ. 11-19, ტაბ. 9, 10, 11 ზევით მარჯვნივ, 31 მარცხნივ და 37, 38.

წლის აქეთ ძლიერ დაშავდა, № 4 კი დაჩრდილულია თუთის ხის ტოტებით და ნაწილობრივღა იკითხება. ყველა შემთხვევაში ჩემს წაკითხვებს საბუთად წარწერების ფოტოსურათები და ფაქსიმილეები ახლავს. ვიძლევი აგრეთვე მხედრულ ტრანსკრიფციებსა და ყველა ქარაგმის გახსნასაც. ჩემს ტრანსკრიფციაში ასო „უ" გადმოცემულია ლიგატურით, როგორც დედანშია. წარწერების №№ 2, 4 და 5 პირველი სტრიქონები, დედანში დაშორიშორებული, პრაქტიკული მოსაზრებებით შემჭიდროებითაა გადმოტანილი.

1. ჩრდილო-დასავლეთი სადგომის სამხრეთ კედელზე ლილისფრად შეღებილ ბათქაშზე თეთრით გრძელი წარწერაა დატანილი (ტაბ. 311, სურ. 75). იგი 27 სტრიქონს მოიცავს. ბოლო რვა სტრიქონი ახლა სრულებით გადაფხეკილია, დანარჩენი 18 კი ბოლოებისკენ სხვადასხვა ზომაზეა გახუნებული. ამისდა მიუხედავად, იგი უთუობით იკითხება.



75. კათედრალი, წარწერა სამხრეთი მკლავის სამხრეთ კედელზე

1. X ქრონიკონსა X რლზ-სა თ(უეს)ა X სეკტენბერსა X ზ-სა X
2. შეწევნითა ქ(რისტე)სითა და მადლითა წმიდისა
3. კათოლიკე ეკლესიისაჲთა ადარნესე ქართ
4. ველთა მეფისა ბრძანებითა დ(აა)დგინა ნეტარი
5. მამაჲ ჩ(უე)ნი ბასილი ეპისკოპოზი[664] და ჰმსახურა ამას
6. წმიდასა ეკლესიასა წელიXთ: კეთილითა მოღოუაწებითა
7. და სროულითა სარწმოუნოვებითა და შეჰვედრა
8. სოული თ(ჳ)სი ო(უფალს)ა:[665] თ(ოუეს)ა დეკემბერსა Xკვ დღესა პა
9. რასკევსა X ქ(რისტ)ე სოულსა მათსა განოუსოუენე ა(მი)ნ X
10. X და შემდგომად მათსა ბრძანებითა დ(ი)დებოულთა ღირსთა [მეფეთა]
11. აცხოვნენ ღ(მერთმა)ნ მეფენი ჩ(ოუენ)ნი დავით ქართველთა მეფე და
12. აშოტ კოურაპა(ლა)ტი[666], ბაგრატ მაგისტროსი [და სუმბატ ანთი]

---

[664] ფაქსიმილეშიც და ტრანსკრიფციებშიც ე. თაყაიშვილს (*ექსპედიცია*, გვ. 15, სურ. 3) წაკითხული აქვს „ეპისკოპოსი".

[665] იქვე: ტრანსკრიფციაში „და" ნაცვლად „თა"-სი.

[666] იქვე: ტრანსკრიფციაში „კურაპალატი", ნაცვლად „კოურაპა(ლა)ტი"-სა.

13. **პატრიკი X ადიდენ ღ(მერთმა)ნ წარავლინეს საბერძნეთს ტრა**
14. **პეზონთა და მოჳნ აკოჳრთხეს მღდე(ლ)თ[667] მთავრად [იშხანისა]**
15. **სტეფანე პატიოსანი და ღირსი მამაჲ ჩ(უე)ნი ჴელითა**
16. **ბასილი ღ(მერ)თ შემოსილისა და პატიოსნისა ბერძენთა პარტიარქი**
17. **საჲთა X თ(უეს)ა მარტსა X ა-სა დღესა კჳრიაკესა. ღ(მერთმა)ნ წარუ**
18. **მართენ ა(მი)ნ X რ(ამეთუ) მას ჟამსა ქართლისა [კათალიკოსი ნეტა]**
19. **რი**

წარწერა სხვადასხვა კუთხითაა მნიშვნელოვანი: ა. იგი უადრესია იშხნის წარწერათა შორის; ბ. ავსებს ქართულ მატიანეებში დაცულ ცნობებს ტაო-კლარჯეთის ქართველ ხელისუფალთა შესახებ; გ. შეიცავს ახალ, სხვაგრივ უცნობ ისტორიულ ფაქტებს; დ. გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია იშხნის IX საუკუნის 30-იანი წლების თავდაპირველი, საბანისეული კათედრალი გადაკეთდა 954-955 წლებში.

ე. თაყაიშვილმა მართებულად გააიგივა ამ წარწერაში ნახსენები ისტორიული პირები,[668] რომელნიც შემდეგნაირად განსაზღვრა: ადარნერსე (ადარნასე) ტაოს შტოს ბაგრატიონთაგანია (889-923), შესაბამისად, ქართველთა მეფე, ბანას ტაძრის აღმშენებელი. ლეო VI-მ მას კურაპალატობის პატივი მიანიჭა. 137 ქრონიკონს (780+137=917) ადარნასემ დასვა ბასილი იშხნის ეპისკოპოსად. 19 წლის მსახურების შემდეგ, 936 წელს, ბასილი გარდაიცვალა. იმხანად ტაოს განაგებდა ადარნასეს ოთხი ძე: დავით II ქართველთა მეფე (†937), ბაგრატ II მაგისტროსი (†945), რომელმაც წამოიწყო დოლისყანის მშენებლობა, აშოტ IV კურაპალატი (†954) და სუმბატ I კურაპალატი (†958), რომელმაც დაასრულა („მეორედ აღაშენა") დოლისყანის ეკლესია. ამ ოთხს წარუგზავნიათ ტრაპეზუნტს ვინმე სტეფანე, რომელიც 1 მარტს, კვირადღეს ბერძენ პატრიარქ ბასილის უკურთხებია იშხნის მთავარეპისკოპოსად. ეს 937 წელს უნდა მომხდარიყო, რაკი სტეფანეს წინამორბედი, ბასილი, 936 წლის 26 დეკემბერს გარდაცვლილა. ის კია გაუგებარი, რატომ წარგზავნეს სტეფანე ტრაპეზუნტს და არა მცხეთას, რათა იგი ქართლის მწყემსმთავარს ეკურთხებინა. დასადგენია „ღმერთშემოსილი" ბასილის ვინაობა, რადგან ტრაპეზუნტში საპატრიარქო არასოდეს ყოფილა.

წარწერის შინაარსით მისი დათარიღებაც ხერხდება. ვინაიდან ადარნასეს ყველა ვაჟი წარწერაში გარდაცვლილი ჩანს (სუმბატ I-ის გამოკლებით (†958), ის კი ანტიპატრიკოსად იხსენიება და არა კურაპალატად, ეს ღირსება კი მან 954 წელს მისი ძმის, აშოტის, გარდაცვალების მერე მიიღო), იგი 954-955 წლებისა უნდა იყოს. დროის ამ მოკლე მონაკვეთში აშოტი გარდაიცვალა, ხოლო მისი ძმის, სუმბატის ტიტული კონსტანტინოპოლიდან კი წარმოაგზავნეს, მაგრამ თავის ადგილს ჩამოღწეული ჯერ არ ყოფილა.[669]

2. სამხრეთ ფასადზე ორი ვრცელი წარწერაა, რომელნიც ტაძრის სხვადასხვა დროის ორგზის განახლებას გვაუწყებენ.

პირველი წარწერა (№ 2),[670] 12 ნახევარწრიული სტრიქონისაგან შემდგარი (ტაბ. 293, 312, სურ. 76), მოთავსებულია დასავლეთი მკლავის სამხრეთი კარის მონოლითურ ტიმპანზე. პირველი სტრიქონი საკმაოდ მსხვილი ასოებითაა შესრულებული, დანარჩენები – თვით ტიმპანზე დატეული (ტაბ. 312) – გაცილებით პატარებით. ჩაკვეთილი მრგვლოვანი ასოები ცისფერი საღებავითაა დაფერილი. ხელობა მეტად გულმოდგინეა, მეტადრე პირველი ხაზისა. სიტყვები არაა განკვეთილი და არც სასვენი ნიშნებია ნახმარი. ასოები **ა, დ, თ, ც** გამახვილებულია ბოლოებში ჩაბურღული ნახვრეტებით; ასეთივე ნახვრეტები აქვს ბოლოებში ქარაგმის სწორი ხაზებით დამჩნეულ ნიშნებსაც.

---

[667] იქვე. ტრანსკრიფციაშიც და ფაქსიმილეშიც „მღდლთ" ნაცვლად დედნისეული „მღდეთ"-ისა.
[668] *ეპიგრაფიკა*, გვ. 16-17.
[669] იქვე, გვ. 17.
[670] გამოქვეყნებული აქვთ მ. ბროსეს ("Inscriptions", გვ. 18-19, № 18) და ე. თაყაიშვილს (*ეპიგრაფიკა*, გვ. 12-13, ტაბ. 9-10 და სურ. 1 გვ. 11-ზე).

წარწერა საკმაოდ კარგად არის დაცული, გარდა პირველი სტრიქონისა, სადაც შუა ნაწილის ასოების ზედა ნახევარი იმსხვერპლა სარკმლის გამართვამ. ჩემს წანაკითხში დაკარგული ნაწილები ე. თაყაიშვილის ფაქსიმილეს მიხედვითაა აღდგენილი. მეხუთე და მეცხრე სტრიქონების საწყისი ასოები ამოკოდილია, მაგრამ ადვილად აღსადგენია.



76. კათედრალი, წარწერა დასავლეთი მკლავის კარის ტიმპანზე

1. ქ. ი(ესო)ჳ ქ(რისტ)ე ადიდე ორთავე შინა ცხ(ო)რ(ე)ბ(ა)თა გ(იორგ)ი მ(ე)ფე და შვილნი მათნი ა(მი)ნ
2. ქ. ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრთისა)ჲთა მე გლ(ა)ხ(ა)კმა [ა]ნტ(ო)ნი ებ(ი)ს(კ(ო)პ(ო)სმ[ან][671] იშხნ(ე)ლმ[ან] გ(ან)(ვა(ა)ხლე ესე კარისა ბჭე წ(მი)დისა
3. კ(ა)თ(ო)ლ(ი)კე [ე]კლ(ე)ს(იი)ს(ა)ჲ[672] ს(ა)დ(იდე)ბ(ე)ლ(ა)დ მ(ე)ფ(ე)თა გ(იორგ)ი მ(ე)ფ(ი)სა და შვ(ი)ლთა მ(ა)თთა ს(ა)ლ(ო)ცვ(ე)ლ(ა)დ ს(უ)(ლ(ი)სა ბ
4. (ა)გრ(ა)ტ კ(ურა)პ(ა)ლ(ა)ტის(აჲ)სა, შ(ე)ნდ(ო)ბისათჳს ც(ო)დვ(ა)თა[673] ჩ(უე)ნთ(ა)ჲსა. წ(მიდა)ო კ(ა)თ(ო)ლ(ი)კე ეკ(ლე)სი(ა)ო[674] შ(ე)მწე და მ
5. [ფ](ა)რვ(ე)ლ გოჳეყ(ა)ვ წ(ინაშ)ე ღ(მრ)თისა და ნ(ა)ვთს(ა)ყ(უ)დ(ე)ლ გჳექმ(ე)ნ საში-ნელსა მა
6. [ს] დღესა მისაგებელისას[ა] წ(ინაშ)ე მს(ა)ჯო[ჳ]ლისა ყ(ოვე)ლთ
7. [ა]სავიქმნეთ[675] მოტევებისა[676] ც(ო)დვ
8. [ა]თ(ა)სა[677] და წყ(ა)ლ(ო)ბ(ა)სა ღ(მრ)თის(ა)სა გ(ე)ვ(ე)დრ(ე)ბი
9. [ყ](ოვე)ლთა შ(ე)მ(ა)ვ(ა)ლთა ლ(ო)ცვასა მ(ო)მიჴ
10. ს
11. ენე
12. თ
13. ...

[671] ე. თაყაიშვილი კითხულობს „ეპისკოპოსმ(ან)".
[672] ე. თაყაიშვილთან „ეკლესიისა".
[673] ე. თაყაიშვილთან „ცოდვათა".
[674] ე. თაყაიშვილი ამატებს არარსებულ ასო „ლ"-ს.
[675] ე. თაყაიშვილის ფაქსიმილეში „ვიქმნთ".
[676] ე. თაყაიშვილის ფაქსიმილეში „მოტოვებასა".
[677] ასოს დიდი ნაწილი ამოტეხილია, მაგრამ ნათლად განირჩევა ორი წერტილი, რაც ამტკიცებს, რომ მერვე სტრიქონის თავში „ა" იყო.

წარწერაში თარიღი არ არის მოტანილი, მაგრამ იხსენიება „გიორგი მეფე და შვილნი მათნი“, რომელნიც, ე. თაყაიშვილის მართებული დასკვნით,[678] გიორგი II (1072-1089), ბაგრატ IV-ის ძე, კი არ არის, როგორც მ. ბროსე ფიქრობდა,[679] არამედ გიორგი I (1014-1027), ბაგრატ III-ის ძე, ვინაიდან ჩვენი წარწერის გიორგის ერთზე მეტი შვილი ჰყავდა. მართლაც, გიორგი I-ს ხუთი შვილი ჰყავდა, გიორგი II-ს კი ერთადერთი ძე, დავით აღმაშენებელი. ამას გარდა, გიორგი I მუდამ უთანხმოებაში იყო ბიზანტიელებთან, რაც გვიხსნის წარწერაში ბიზანტიური ტიტულის მოუხსენიებლობას. გიორგი II კი, მეორე მხრივ, თითქმის ყველა ბიზანტიური პატივის მქონებელი იყო (კურაპალატი, ნოველისიმოსი, სებასტოსი და კეისარიც კი), რაც წარწერაში გამოჩნდებოდა, თუკი კარიბჭე მის ზეობაში იქნებოდა აშენებული. ასე რომ, სახელთა აღრევა მოხსნილია და ვღებულობთ გარდუვალ დასკვნას, რომ აწ გამქრალი კარიბჭე გიორგი I-ის მეფობაში ააგეს. ეს მოსაზრება ჩინებულად ეთანხმება კარიბჭის შემორჩენილ ხუროთმოძღვრულ პლასტიკასაც. ამას გარდა, წარწერიდან ვგებულობთ, რომ ტაძრის მომგებელი ანტონი იშხნის ეპისკოპოსი ყოფილა.

3. სამხრეთი პორტალის დასავლეთი თაღის ქუსლის 0.2 მ-ის ქვემოთ მოთავსებულია ერთსტრიქონიანი (სიმაღლე 0.07 მ.) ჩაკაწრული წარწერა, რომელიც წინამორბედ მკვლევართ არ შეუმჩნევიათ. სიტყვები აქ განუკვეთელია, ქარაგმის ნიშნად კი სადა ხაზია გამოყენებული. მისი სახასიათო ნიშანი ასოთა კუთხოვანებაა (ტაბ. 313, სურ. 77).



ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე მ(ო)რბ(ე)დ

77. კათედრალი, ექსტერიერი.
სავედრებელი წარწერა დასავლეთი მკლავის სამხრეთ კარზე

პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა XI საუკუნის პირველ ნახევარში ეკლესიის გადაკეთების თანადროულია. საკუთარი სახელი „მორბედ“ არ ჩანს ტაო-კლარჯეთ-შავშეთის ცნობილ წარწერებში, მაგრამ ქვის ფრაგმენტზე საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარიდან მოიპოვება სახელი „მორბედაი“.[680] ამგვარი სავედრებელი წარწერები მრავლად არის ტაო-კლარჯეთის ტაძრების გარე კედლებზე (დოლისყანა, პარხალი, ხახული) და უმეტესწილად გალატოზებს მიეწერება. შეიძლება ასე იყოს „მორბედის“ შემთხვევაშიც, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო სამხრეთი ბჭის გამძღოლი გალატოზი.

გუმბათის ყელის დასავლეთი სარკმლის წირთხლზე შევნიშნე მეორე სავედრებელი წარწერა, რომელიც „მორბედისას“ ჰგავს. ესაა სგრაფიტო, რომლის terminus post quem 1032 წელია. ამ წარწერის მახასიათებელი (მე იგი შესაფერისად ვერ გადმოვწერე) ასოთა, XI საუკუნის პირველი ნახევრისთვის, ეგზომ ნიშანდობლივი კიდურწაისრულობაა.

4. სამხრეთი ფასადის მეორე სარკმლის წარბის გაყოლებაზე მოთავსებულია წარწერა, რომელიც საპირის აღმოსავლეთით გრძელდება და ათ სტრიქონს შეიცავს (ტაბ. 314, სურ. 78). ეს წარწერა, გამოქვეყნებული მ. ბროსესა[681] და ე. თაყაიშვილის[682] მიერ, დაჩრდილულია თუთის ხის ვარჯით. ჩემი წაკითხვა ხსენებულ მეცნიერთა მონაცემებს ეფუძნება. სიტყვები ერთმანეთს მოსდევს და განუკვეთელია. დაქარაგმების ნიშანი ასოების თავზე ოდ-

[678] *ექსპედიცია*, გვ. 12.
[679] "Inscription", გვ. 20.
[680] ნ. შოშიაშვილი, *კორპუსი*, გვ. 88, ტაბ. 12-2.
[681] "Inscription", გვ. 18, № 17.
[682] *ექსპედიცია*, გვ. 13-14, ტაბ. II, ზემოთ მარჯვენა, სურ. 2.

ნაკ გადრეკილი ხაზია. წინადადების ბოლოს დასმულია ბოლოებში ჩაბურღული ისრისებრი ნიშანი:



78. კათედრალი, ექსტერიერი, ქტიტორის წარწერა დასავლეთი მკლავის სამხრეთ სარკმელზე

1. ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მე, ანტონი იშხნელ მთავარ ეპისკოპოსმან, განვაახლე და განვასრულე წმიდაჲ ესე ტაძარი ღმრთისაჲ, კათოლიკე ეკლესიაჲ,
2. სადიდებლად ბაგრატ კურაპალატისა,
3. სალოცველად და სახსენებლად
4. სულისა ჩემისა და
5. ცოდვათა ჩემთა
6. შენდობისათჳს >
7. ქრონიკონსა სნბ >
8. და ვაშენე ჴელითა ი(ო)
9. ვანე მორჩაჲს ძი
10. საჲთა >

წარწერის თანახმად, იშხნის კათედრალის მეორე და უფრო ვრცელი გადაკეთება ბაგრატ IV-ის ზეობაში (1027-1072), 1032 წელს მომხდარა, დამკვეთი იშხნის მთავარეპისკოპოსი ანტონი ყოფილა, ხუროთმოძღვარი კი იოვანე მორჩაჲსძე. ე. თაყაიშვილი[683] მართებულად შენიშნავს, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი წარწერა მოსალოდნელი იყო გამოსაჩენ ადგილას, სამხრეთი კარიბჭის ტიმპანზე ყოფილიყო, მაგრამ რაკი იქ უკვე მოთავსებული იყო წარწერა №2, იგი უფრო მოკრძალებულ ადგილას მოექცა, რაც კვლავ ასაბუთებს, რომ №2 წარწერის გიორგი მეფე ნამდვილად გიორგი I-ია (1014-1027) და არა გიორგი II (1072-1089).

ჩვენი წარწერები – №2 და №4 იშხნის კათედრალის განახლების ნათელ სურათს გვთავაზობს. იგი გიორგი I-ის მეფობაში, ანტონი იშხნის ეპისკოპოსის დროს დაწყებულა. 1022 წლის ომი ბიზანტიელებთან და მუდმივი შფოთი გიორგი I-ის ზეობისას უნდა ყოფილიყო მიზეზი მშენებლობის მცირე წყვეტილისა. იგი გაგრძელდა მისი ძის, ბაგრატ IV-

[683] *ექსპედიცია*, გვ. 12.

ის მეფობაში, როდესაც ჩამოვარდა მშვიდობიანობა და ბიზანტიელებთან მეგობრული ურთიერთობა დამყარდა; ასე რომ, 1032 წელს, როდესაც ბაგრატ IV-ს ახლად ჰქონდა მინიჭებული კურაპალატობა, ანტონმა კი მთავარეპისკოპოსობა მოიპოვა, დაიწყო კათედრალის გადაკეთების საბოლოო ეტაპი და ხუროთმოძღვარმა მორჩაისძემ 1032 წელს განახორციელა მისი უმაგალითო სიმდიდრის ხუროთმოძღვრული პლასტიკით შემკობა, რითაც სამუშაოები დასრულდა კიდევაც.

5. ეს წარწერა, გამოცემული მ. ბროსესა[684] და ე. თაყაიშვილის[685] მიერ, კათედრალის სამხრეთით აგებული სამლოცველოს ჩრდილოეთი კარის მონოლითურ ტიმპანზეა ამოკვეთილი. იგი S-ებრი ყლორტის თავზე მოთავსებული ერთი სტრიქონით იწყება და შუა ტიმპანზე დაპატარავებული ასოებით გრძელდება. იგი კარგადაა შერჩენილი, გარდა ძირში რამდენიმე გადაფხეკილი ასოსი – ესენიც ადვილად აღსადგენია (ტაბ. 315, 316, სურ. 79).

ასოების – **ა, ი, თ, მ, ტ** და **ნ,** ასევე ჰორიზონტალურ ხაზებად დატანილი ქარაგმის ნიშნების ბოლოები ჩაბურღული ნახვრეტებითაა აქცენტირებული. ზოგ შემთხვევაში ასოებს ისრისებრი ბოლოები აქვს. ამგვარი რამ გვაქვს ასოებში **შ, ს, ბ, ა.** სიტყვები ერთმანეთს არ გამოეყოფა, მაგრამ პირველ სამ სტრიქონში განკვეთის ნიშნებად ორწერტილებია ნახმარი.



79. გურგენისეული სამლოცველო, ექსტერიერი, ქტიტორის წარწერა ჩრდილოეთი კარის ტიმპანზე

1. ქ. ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრ)თის(ა)ჲთა მე გ(უ)რგ(ე)ნ მეფ(ე)თა მეფ(ე)მ(ა)ნ[686] აღვ(ა)შ(ე)ნე ესე წ(მიდა)ჲ ეკლეს(ია)ჲ
2. ს(ა)ხ(ე)ლსა ზ(ედ)ა წ(მი)დ(ი)სა ღ(მრ)თისმშ(ო)ბ(ე)ლისასა, ს(ა)ლ(ო)ცვ(ე)ლ(ა)დ[687]
3. ს(უ)ლისა ჩემისა. წ(მიდა)ო ღ(მრ)თისმშ(ო)ბ(ე)ლო, ტ(ა)ლ(ა)ვარ
4. მექმენ დღ(ე)სა მას ს(ა)შჯ(ე)ლისასა.
5. ესე არი(ა)ნ[688] ბჭ(ე)ნი[689] ო(კფ)ლის(ა)ნი და
6. მ(ა)რთ(ა)ლნი შ(ე)ვლ(ე)ნან ამ[ა]ს

[684] "Inscription", გვ. 19, № 22, ტაბ. IV.
[685] *ექსპედიცია*. გვ. 29-30, სურ. 19, ტაბ. 37-38.
[686] ე. თაყაიშვილის ფაქსიმილეში (*ექსპედიცია*, სურ. 19) გამოტოვებულია მეორე ასო „ე".
[687] მეორე სტრიქონის ბოლო ორი ასო აშკარად რკალისებრია და ამიტომაც „ლად"-ად კი არ იკითხება, როგორც ე. თაყაიშვილთან (იქვე, სურ. 19), არამედ „ვლდ". ბოლო ასო „დ", უჩვეულოდ პატარაა და „ლ"-ს მრგვალი მუცლის თავზეა ამოკვეთილი.
[688] იქვე, დამატებულია არარსებული ასო „ა".
[689] იქვე, დამატებულია არარსებული ასო „ი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ყ(ოვე)ლთა შემ(ა)გ(ა)ლთა ლ(ო)ც
8. ე(ა)სა მომიჴს
9. ენ
10. ეთ
11. ქრ(ონი)კ(ო)ნი იყო: სკვ: (=226) (226+780=1006).[690]

წარწერაში ნახსენები გურგენ მეფე ბაგრატ II-ის ძეა და მამა ბაგრატ III-ისა, რომელიც 978 წელს აფხაზთა მეფედ აკურთხეს.

საგულისხმოა, რომ ქართული წარწერის ძირას ამოკვეთილი სომხური ასოები პალეოგრაფიულად ქართული ასოების ნიშნებს გვიჩვენებს, მაგალითად, წრიულსა და წაისრულ დაბოლოებებს, რაც ორივე წარწერის ერთი და იმავე, ორენოვანი ოსტატის ხელს ამჟღავნებს.

[690] იმავე 1006 წელს მოცემულია ქართულის პირისპირ გამოკვეთილი სომხური თარიღიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# F. ტბეთის (ჯევიზლის) კათედრალი

ტბეთის ტაძარი, მიძღვნილი ღმრთისმშობლისადმი, შავშეთის საერისთავოს ყველაზე მნიშვნელოვანი ეკლესიაა. ის მდებარეობს პროვინციულ ქალაქ შავშეთიდან (შავშატიდან) 15-ოდე კმ-ით ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნაყოფიერ ვაკეზე, მდ. იმერხევის მარჯვენა ნაპირზე (სურ. A).

უადრესი ისტორიული ცნობა ტბეთის კათედრალის შესახებ მემატიანე სუმბატ დავითის-ძისგან მომდინარეობს. იგი მოგვითხრობს, რომ „აშოტ ერისთავთა-ერისთავმან, ძმან გურგენ კურაპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა, და დასუა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე უწყებითა სულისა წმიდისათა“.[691] სხვა ცნობას შეიცავს „მატიანე ქართლისა“: „გარდაიცვალა აშოტ კუხი, რომელმან აღაშენა ტბეთი საეპისკოპოსო, ძე მის გურგენ კურაპალატისა, ქორონიკონსა რლჱ (=918)“.[692] ამავე ფაქტს იხსენიებს ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი, რომელიც გვამცნობს, რომ „ტბეთს არს ეკლესია გუნბათიანი, მდიდრულად ნაგები და დიდ-შვენიერი. ესე აღაშენა აშოტ კუხმან ბაგრატიონმან. იჯდა აქ ეპისკოპოსი, მწყემსი ანარკეტს ზეითისა, სრულიად შავშეთისა და არტანუჯისა“.[693] გრიგოლ ხანცთელის ბიოგრაფის, გიორგი მერჩულეს, მიხედვით, აშოტ კუხს აუგია არა მხოლოდ ტბეთის ტაძარი, არამედ ხანცთის მონასტრის მთავარი ეკლესიაც. ამასთან დაკავშირებით იგი ამბობს: „შემდგომად გურგენ კურაპალატისა, ძმან მისმან, აშოტ ერისთავთა-ერისთავმან, ხანცთას ახალი ეკლესიაჲ დაიწყო წადიერად და ურიცხუ შესაწირავი გარდაჰმატა მას“.[694]

ახალ დროში ტბეთის ტაძრის ყველაზე ადრინდელი აღწერა მოგვცეს გ. ყაზბეგმა და დ. ბაქრაძემ, რომლებიც აღაფრთოვანა მისმა მშვენიერებამ და დიდებულმა მორთულობამ.[695] 1888 წელს ეკლესია ნახა და მოკლედ აღწერა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა არქიტექტორმა ა. პავლინოვმა. მან გამოაქვეყნა შენობის გეგმა, ჭრილი და ექვსი ფოტოსურათი.[696] ტაძრის უფრო დეტალური და გაცილებით ზუსტი აღწერა ეკუთვნის ნ. მარს, რომელიც ტბეთში 1904 წლის 22-25 ივლისს იმყოფებოდა.[697] ნ. მარის დაკვირვებანი ფრიად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მათში დაწვრილებით არის აღნუსხული უამრავი ამჟამად დაკარგული დეტალი. უკანასკნელ ხანს ტბეთს ეწვივნენ ნ. და მ. ტიერები.[698] ჩემი კვლევა-ძიება ტბეთის ტაძარზე ჩავატარე 1973 და 1981 წლების ზაფხულში.

ბოლო დრომდე ტბეთის ტაძარი ტაო-კლარჯეთ-შავშეთის რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე უკეთ შემონახული ეკლესია იყო, მაგრამ 1961 წელს მისი ვრცელი დასავლეთი ნაწილი დაანგრიეს.[699]

---

691 *ქართლის ცხოვრება* I, გვ. $380_{1-11}$.
692 იქვე, გვ. $260_{1-2}$.
693 *ქართლის ცხოვრება* IV, გვ. $679_{14-17}$.
694 იხ. ზემოთ; გიორგი მერჩულე, *ცხოვრება*, თავი 28, გვ. 276, 277.
695 ამ მეცნიერის ნაშრომისათვის, რომელიც ჩემთვის მიუწვდომელია, იხ. ლ. მენაბდე, *კერები* I, გვ. 466.
696 *МАК* III, გვ. 71-74, ტაბ. XLI-XLVII და სურ. 44.
697 *Дневник*, გვ. 11-27, სურ. 1-5.
698 "Voyage", გვ. 58-61 და ფოტოსურათი გვ. 60-ის პირდაპირ (აჩვენებს სამხრეთი ფასადის ნაწილს).
699 1960-იანი წლების დასაწყისში ტბეთის ტაძარი დაანგრიეს, ისევე, როგორც ამ მხარის მრავალი სხვა ეკლესია. მოკლე შენიშვნები ამის თაობაზე იხ.: D. Hills, *Travels*, გვ. 227-228 და I. Zdanevitch, *L'itineraire*, გვ. 6.

ჩემი საველე სამუშაო ტბეთში ძირითადად მოიცავდა შენობის გადარჩენილი აღმოსავლეთი ნაწილის შესწავლასა და ფოტოგრაფირებას. ვიმედოვნებ, რომ მის შედეგად შეიძლება ერთადერთი არსებული გეგმის (ა. პავლინოვისა) შესწორება და დაზუსტება.

## 1. ტაძრის აღწერა

ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა. ის შეიძლება მიეკუთვნოს ე.წ. croix libre-ის ტიპს. ჯვრის ფორმა იკითხება არა მხოლოდ შიდა სივრცეში, არამედ გარე მასებშიც. ტიპოლო-




80. კათედრალი, გეგმა

ეროვნული ბიბლიოთეკა




81. კათედრალი, ჭრილი

გიურად ტაძარი მხოლოდ ზოგად ფარგლებში ამჟღავნებს საერთო წარმომავლობას croix libre-ის ტიპის სხვა ეკლესიებთან, ძირითადად X-XI საუკუნეთა განმავლობაში ხელახლა აგებულ ენი რაბათთან. ტბეთის შიდა სიგრძე 22,80 მ-ია, მაქსიმალური მთლიანი სიგანე,

ჩრდილოეთი მკლავის მიმდებარე აფსიდიანი სათავსის ჩათვლით, – 22,40 მ. გეგმა მკლავებითურთ თითქმის ზუსტად იწერება კვადრატში (სურ. 80, ტაბ. 317). ნახევარწრიულ აფსიდში გაჭრილია ორი თაღოვანი სარკმელი: ზემოთ დიდი და მასზე დაახლოებით 1.80 მით ქვემოთ უფრო მომცრო, ამჟამად გამქრალი. აფსიდის იატაკი სამი საფეხურითაა შემაღლებული. მართკუთხა, ძლიერ წაგრძელებული, უაფსიდო პასტოფორიუმები პირდაპირ საკურთხეველს უკავშირდება. თითოეულ მათგანს აქვს ორ-ორი პატარა თაღოვანი სარკმელი ერთიმეორის ზემოთ (ტაბ. 318)[700] და ორ-ორი თითქმის კვადრატული (0.47 × 0,50 მ, სიღრმე – 0,47 მ) ნიშა, სიმეტრიულად განლაგებული ორივე მხარეს. აფსიდის სარკმლის ქვემოთ შემოინახა ნახევარწრიული თაღი (ტაბ. 338). ის უტყუარად მოწმობს, რომ აქ, ისევე, როგორც ამ რეგიონის X საუკუნის II ნახევრისა და XI საუკუნის I ნახევრის სხვა ეკლესიებში, ეპისკოპოსის დასაჯდომი იყო მოწყობილი. ჩრდილოეთი მკლავის ამჟამად შემორჩენილ ნაწილში მოზრდილი ცილინდრულკამაროვანი აფსიდიანი სათავსია. ის ნათდება აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი თაღოვანი სარკმლებით (ტაბ. 324) და კარით უკავშირდება ეკლესიას. მეორე კარი გადის ნახევრად დანგრეულ დასავლეთ მინაშენში, რომლის დანიშნულებაც ვერ დგინდება.[701] ამ სათავსის შიდა და გარე კედლებზე დაკვირვება ადასტურებს, რომ ის არ ეკუთვნის თავდაპირველ ეკლესიას, მოგვიანებით არის მასზე მიშენებული. ამ დასკვნამდე მივყავართ რამდენიმე თავისებურებას, რომლებიც ნ. მარმაც[702] შენიშნა და მეც. ესენია: 1. სათავსის სამხრეთი კედლის ჩრდილო პირის გადაწყვეტა; 2. მოგვიანებით ამოვსებული თავდაპირველი სარკმლის კვალი; 3. სარკმლის წნულჩუქურთმიანი თავსართის ნაშთი; 4. ნაშთი შეწყვილებული ყრუ თაღისა და მსუბუქი ნახევარსვეტებისა ტყუპი ბურთულებით; 5. ტაძრის ჩრდილოეთი მკლავის მთელი აღმოსავლეთი კედლის გადაწყვეტა, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული. სამლოცველოს თავზე იყო მეორე სართული, ის იხსნებოდა ეკლესიის შუაგულისაკენ ორ დაბალ სვეტზე დაყრდნობილი სამი პროფილირებული თაღით (სურ. 81). გარდა ამისა, ჩრდილოეთის სამლოცველოში ნ. მარმა იპოვა იატაკის ქვეშ სათავსის არსებობის დამადასტურებელი ნიშნები[703].

## a. სამხრეთი მკლავი

შედარებით უკეთ შემონახულ სამხრეთ მკლავს უფრო მარტივი აგებულება აქვს, ვიდრე მის მეწყვილეს ჩრდილოეთ მხარეს. ის ჩრდილოეთ მკლავზე რამდენადმე მოკლეა – აქ აღმოსავლეთი კედლის გარე სიგრძეა 7,40 მ, მაშინ როცა ჩრდილოეთ მკლავში შესაბამისი კედელი 8,20 მ-ს აღწევს. ამავე დროს, სიგანით სამხრეთი მკლავი ჩრდილოეთისას 0,40-ოდე მ-ით აჭარბებს. ის ორ მონაკვეთად იყოფა ორი პილასტრით (0,45 მ სიგანისა და 0,12 მ სისქისა), რომლებსაც ემატება 0,12 მ სისქის მართკუთხა შვერილი.[704] პილასტრებს აბოლოებს სადა იმპოსტები. მათ ეფუძნება მსუბუქად შეისრული თაღი. სამხრეთ კედელში ორმაგი სარკმელია, მართკუთხა გარედან და თაღოვანი შიგნიდან (ტაბ. 341). ზემოთ, აღმოსავლეთ მხარეს დაუდევრად, უსწორმასწოროდ გაჭრილი მრგვალი სარკმელია. კედლის წყობა არარეგულარულია, სხვადასხვა ზომის ბლოკებით გამოყვანილი რიგები ხშირად ირევა. ფართო ზოლები რიგებს შორის საშუალო დონის ოსტატის ხელს ამჟღავნებს. მეტიც, კედლის წყობა ასახავს ეკონომიკურ გაჭირვებას, რომელსაც განიცდიდა ქვეყანა XIII საუკუნეში. სწორი ვერტიკალური ხაზი სამხრეთი მკლავის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებს შუაზე (შიგნიდან) გვაფიქრებინებს, რომ ჩრდილოეთი და, შესაძლოა იმავდროს, სამხრეთი მკლავები ორჯერ გაუზრდიათ სიგრძეში.

---

[700] *Дневник*, გვ. 13-14.

[701] შესაძლოა, ის გამოიყენებოდა სამკვეთლოდ, ზიარების პურისა და ღვინის შესამზადებლად. ისევე, როგორც პარეხთასა და ხახულის მცირე ეკლესიებში და სხვა მსგავს ნაგებობებში, თიხის ქვევრები შეიძლება მიწაში ჩაედგათ იატაკის ქვეშ ღვინის შესანახად.

[702] *Дневник*, გვ. 14; აგრეთვე *MAK* III, გვ. 73.

[703] *Дневник*, გვ.14.

[704] ა.პაველინოვის გეგმაზე (*MAK* III, ტაბ. XXXIV) ეს ელემენტები ნაჩვენები არ არის.

## ხ. დასავლეთი მკლავი

დასავლეთი მკლავი ახლა თითქმის მთლიანადაა დანგრეული (ტაბ. 339). მაგრამ ჩვენ ხელთა გვაქვს ნ. მარისა და ა. პავლინოვის მოკლე აღწერები და ა. პავლინოვის მიერვე შესრულებული გეგმა და გრძივი ჭრილი. მკლავის სიგრძე, ნ. მარის მიხედვით, 10,65 მ-ს უტოლდებოდა.[705] მას სიგანეზე გაუყვებოდა ორთაღიანი გალერეა. თაღები ეყრდნობოდა პილასტრებს ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებთან და ფაქიზად გათლილ სვეტს შუაში (ტაბ. 340, სურ. 80). გალერეას ასასვლელი ჩრდილოეთიდან ჰქონდა. ასეთი გალერეები, რომლებიც ქალების დასადგომად იყო განკუთვნილი, ჩვეულებრივი მოვლენაა X საუკუნის უმთავრეს ეკლესიებში (მაგალითად, ოთხთა ეკლესიაში, პარხალში, ოშკში), მაგრამ, რამდენადაც ვიცი, აღარ გვხვდება XIII საუკუნის შემდეგ. დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ მონაკვეთზე გაჭრილი იყო მცირე, ერთგვარად რუდიმენტული შესასვლელი.

გრძივი და განივი მკლავების გადაკვეთაზე იქმნება ცენტრალური კვადრატი. თაღები, რომლებიც ქმნიდა გუმბათის საფუძველს, ეყრდნობოდა ოთხ მძიმე ბურჯს. ახლა ისინი დანგრეულია[706]. აქაც, ისევე, როგორც ზემოთ ნახსენებ ტიპოლოგიურად მონათესავე ეკლესიებში, გადასვლა გუმბათქვეშა კვადრატიდან წრეზე მიიღწევა სამკუთხა დაღარული სფეროიდების თავზე გამოყვანილი ოთხი მომცრო თაღით. მათი მეშვეობით გუმბათის სიმძიმე გადადიოდა ბურჯებსა და ეკლესიის გვერდითა კედლებზე. ამ სამკუთხა ელემენტებისაგან, რომელთაც შეიძლება აფრები ვუწოდოთ, დღესდღეობით არაფერია შემორჩენილი. რამდენადაც დ. ერმაკოვის ფოტოსურათით (ტაბ. 338) შეიძლება ვიმსჯელოთ, ისინი აგებულებითა და მოყვანილობით წააგავს ანი რაბათის (შატბერდის?) ანალოგიურ ელემენტებს,[707] რაც მოწმობს, რომ ისინი X საუკუნის შუახანებზე ადრე არ უნდა ყოფილიყო ამოყვანილი.[708]

საგულისხმო შედეგებს იძლევა გუმბათქვეშა ბურჯების კვლევა. აღმოსავლეთი წყვილი თავისუფლად დგას, დასავლეთისა ებმის გუმბათქვეშა კვადრატის კუთხეებიდან გამოშვერილ მოკლე კედლებს. ასეთი საკმაოდ უჩვეულო გადაწყვეტა შეიძლება ინახოს ქართულ და სომხურ არქიტექტურაში.[709] ცენტრალური არე ზუსტი კვადრატი არ არის, 0,90 მ-ით წაგრძელებულია დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ბურჯები გეგმაში ჯვრისებრი კი არ არის, როგორც ეს დამახასიათებელია ქართული ეკლესიებისათვის და, კერძოდ, ჩვენი რეგიონის ნაგებობათა უმეტესობისათვის (ოშკი, ხახული, ოთხთა ეკლესია, პარხალი), არამედ რვაწახნაგაა, როგორც იშხანში. ამ რვაწახნაგა ბურჯებს ტბეთშიც და იშხანშიც გარკვეული სტრუქტურული ცვლილება განუცდია. ყველაზე მეტად ეს ეტყობა ბურჯების იატაკსქვედა ნაწილს, დიდ მრგვალ ბაზისებთან ერთად (ტაბ. 342). როგორც ჩემი ფოტოსურათი აჩვენებს, იატაკზე დაახლოებით 1,00 მ-ით ქვემოთ არის სხვა, უფრო ადრინდელი ან თავდაპირველი იატაკი. ბურჯის მდიდრულად მოჩუქურთმებული ბაზისის ქვეშ მოთავსებულია სხვა ბურჯის ნაწილი და სუფთად გამოყვანილი ბრტყელი, მრგვალი ბაზისი. ეს ბურჯი ნაკლები დიამეტრისაა და ფორმაც განსხვავებული აქვს – გეგმაში წააგავს რვაქიმიან ვარსკვლავს, რომელსაც შეჭრილ კუთხეებში ემატება ამდენივე შეწყვილებული ნახევარსვეტი. ასეთი რთული ბურჯები ვერ შეიქმნებოდა 918 წელს, ისინი განვითარების მოგვიანო საფეხურზე მეტყველებენ. არ მეგულება ამგვარი ბურჯის პარალელები არც საქართველოში და არც სომხეთში, გარდა

---

705 ნ. მარის მიერ მოტანილი ზომა (*Дневник*, გვ. 15) მეტია, ვიდრე ა. პავლინოვისა (*МАК* III, გვ. 71-73).

706 თავდაპირველის შემცვლელი გვიანი გუმბათი (ტაბ. 317) მოკლედ აღწერა ნ. მარმა (*Дневник*, გვ. 13, 22).

707 იხ. ტაბ. 104-105.

708 ამგვარი დასკვნის გამოტანას მხარს უჭერს ხანცთისა (დაახლ. 940 წ.) და ოპიზის (დაახლ. 950 წ.) ეკლესიები, რომლებშიც აფრების ნაცვლად ტრომპებია გაკეთებული.

709 ასეთი გადაწყვეტა გვხვდება, მაგალითად, კუმურდოს ეკლესიაში (964 წ.), ოღონდ აქ გუმბათის საფუძველი ექვსწახნაგაა და არა კვადრატული (Н. Северов, Г. Чубинашвили, *Кумурдо и Никорцминда*, 1947. ტაბ. 1).

იშხნისა (ტაბ. 287), სადაც ისინი ასევე მოგვიანო რვაწახნაგა ბურჯების ბაზისების ქვეშაა მოქცეული. ეს გვაფიქრებინებს, რომ X საუკუნის ოცდაათიან წლებში ტბეთისა და იშხნის კათედრალებში კონსტრუქციული სისტემა საფუძვლიანად შეიცვალა.[710]

გადაკეთების შემდეგი ფაზა უნდა ყოფილიყო ბურჯებისათვის რვაწახნაგა ფორმის მიცემა და მრგვალი მოჩუქურთმებული ბაზისების გაკეთება – ისეთივესი, როგორსაც ვხედავთ იშხანში. ეს ნაბიჯი XI საუკუნის I ნახევრის განმავლობაში უნდა იყოს გადადგმული, რასაც ადასტურებს ტბეთისა და იშხნის ბაზისების სკულპტურული შემკულობის შედარებითი ფორმალური და სტილისტური ანალიზი. იშხანში მდიდრული დეკორაციული კვეთილობა გამოყენებულია დასავლეთი ბურჯების ბაზისებზე და არა აღმოსავლეთისაზე, როგორც მოსალოდნელი იყო. ტბეთში იშხნის გეგმა შემობრუნებულია და დეკორაციული აქცენტი ბურჯების აღმოსავლეთ წყვილზეა გადატანილი, რაც უთუოდ საკურთხევლის მნიშვნელობის ხაზგასმის ცდას წარმოადგენს. ეს პროცესი დაიწყო უკვე X საუკუნის ბოლოს, როგორც მოწმობს ოთხთა ეკლესია, და გაგრძელდა XI საუკუნეში, როგორც გვიჩვენებს ტბეთი და იშხანი. ჩემი მოსაზრების სისწორეს დამატებით ამტკიცებს ტბეთის ბაზისების ჩუქურთმის ფორმისა და სტილის ანალიზი. ოშკსა და იშხანში ბურჯების ბაზისები ერთმანეთისაგან განსხვავდება ორნამენტული ლექსიკონის თვალსაზრისით. ამჟამად ტბეთის ორივე ბაზისი ნანგრევებშია ჩამარხული, მაგრამ შეგვიძლია მოვიშველიოთ ჩრდილო-აღმოსავლეთი ბაზისის ა. პავლინოვისეული ფოტოსურათი (ტაბ. 342) და მისივე ნახატი სამხრეთ-აღმოსავლეთ ბაზისისა (სურ. 82). თუ ვივარაუდებთ, რომ ა. პავლინოვის ნახატი ზუსტია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამხრეთი ბურჯის ბაზას შეადგენს ნახევარლილვი, ფართო სარტყელი, შემკული ნატიფად შესრულებული ურთიერთგადახლართული ხვეული ფოთლოვანი ორნამენტებით, და ღარიანი გრეხილი ლილვი. ბაზისს აგვირგვინებს ფესტონები და დისკოები.

ჩვენი მიზნისათვის ყველაზე საყურადღებოა ძირითადი, ძლიერ სტილიზებული მცენარეული ხლართის მოტივი. ის განვითარდა S-ისებრი მოტივიდან, რომელიც ძალზე პოპულარული იყო, მაგრამ აღარ იხმარებოდა 1020-იანი წლების ბოლოდან. ჩვენი ხვეული ჩუქურთმის ზოგადი მსგავსება იშხნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ბურჯის (ტაბ. 286) ბაზისის ნაწილობრივ შემონახულ ჩუქურთმასთან, მისი ძლიერ დინამიკური, განვითარებული ნახატის გაზრდილი განყენებულობა და ფონის მთლიანად შევსების მცდელობა საფუძველს გვაძლევს, მივუჩინოთ მას ადგილი იმავე ქრონოლოგიურ ფარგლებში, რომლებშიც თავსდება იშხანი.

ბაზისის ზედა ნაწილის ორნამენტი შედგება გრეხილი ლილვის, ფესტონებისა და დისკოებისაგან. მათ პარალელები მოეპოვებათ ოშკისა და იშხნის ბურჯების ბაზისებში. აქაც ტბეთის ჩუქურთმა არ მიჰყვება ოშკის გამობურცულფორმიან ნიმუშს. ის უფრო იშხნის მაგალითს მისდევს, რომელშიც გრეხილი კვეთილობა შეღრმავებულია და სპირალური ღრმულები ერთმანეთს ვიწრო ამობურცული, ღარდატანებული წიბოთი გამოეყოფა.

მეორე, ჩრდილო-აღმოსავლეთი ბაზისი (ტაბ. 342) აგებულებით წააგავს თავის სამხრეთ-აღმოსავლეთ მეწყვილეს (სურ. 82), მაგრამ მისი ორნამენტაცია, გრეხილი ჩუქურთმის გარდა, მთლიანად განსხვავებულია. მეტ-ნაკლებად მიახლოებული მონათესავე მცენარეული მოტივი ქვედა ნახევარლილვის ზემოთ შეიძლება მომდინარეობდეს მრავალი წყაროდან, მათ შორის ოშკის სამხრეთ-დასავლეთი პორტიკის ლამბაქისებრი გუმბათებიდან და იშხნის გუმბათის ყელის ორსაფეხურიანი თაღების იმპოსტებიდან. ტბეთში ის ორღარიანი ლენტის წნულის არსებითი ნაწილია. ეს ორნამენტი უფრო განვითარებულია ნახატის მხრივ და უფრო რთული, გამდიდრებული დამატებებით ხვეულებს შორის. მის ზემოთ არის სხვა მოტივი, რომელიც შედგება ორღარიანი ლენტის ხლართით შექმნილი გადაჯაჭვული წრეების რიგისაგან. ლენტი გრძელდება წრეების ზემოთ და ქვემოთაც, როგორც მათი ჩარჩო. ყოველ წრეში ჩასმულია ექვსყურა ვარდული – საქართველოში საკმაოდ იშვიათი

[710] ამას მოწმობს მოკლე ჯვრული ბურჯები ზედ მიდგმული ოთხ-ოთხი სვეტით. ისინი აღმართულია მკლავების კუთხეებში, ბურჯების კაპიტელების ზემოთ (ტაბ. 338).

ეროვნული ბიბლიოთეკა



82. კათედრალი, ჩრდილო-აღმოსავლეთი ბურჯის ბაზისი

ორნამენტული სახე, რომელიც, თუ არ ვცდები, ტაო-კლარჯეთში ტბეთის გარდა არსად გვხვდება. მისი უადრესი პარალელი მოიპოვება მცხეთის კათედრალში (1010-1029), სადაც ის სარკმლის საპირეზეა გამოყენებული,[711] და ანტიოქიის დასავლეთით ქართველი ოსტატების მიერ აშენებული ეკლესიის (დაახლ. 1040 წ.) პორტიკზე.[712] უახლოესი და ყველაზე მნიშვნელოვანი პარალელი კი გვაქვს იშხანში, აღმოსავლეთი ფასადის შუა სარკმლის თავზე (ტაბ. 304). იგივე უნდა ითქვას ზედა ორნამენტის – ორღარიანი ლენტით გამოყვანილი ხვეული ჩუქურთმის შესახებაც. მისი ზუსტი ანალოგი გვხვდება იშხნის კათედრალზე.[713]

ეს ორნამენტული რეპერტუარი იოლად ეწერება XI საუკუნის I ნახევარში. ამდენად, უეჭველია, რომ ზემოთ მოკლედ განხილული არქიტექტურული ნაწილები მიეკუთვნება არა 918 წლის წინა ხანებში აგებულ თავდაპირველ ეკლესიას, არამედ XI საუკუნეს.

როგორც ჩანს, ტბეთსა და იშხანში ერთსა და იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე. აღდგენისას არა მხოლოდ გარე კედლები შეუმოსავთ სუფთად თლილი ქვის პერანგით და

---

711 J.Baltrusaïtis, *Etudes sur l'art médiéval en Géorgie et en Arménie*, Paris, 1929, ტაბ. IX-16.

712 W.Djobadze, *Investigations*, გვ. 165, ტაბ. 78, სურ. 312-315. ურთიერთგადახლართულ წრეებს შიგ ჩაწერილი ვარდულებით (სურ. 342) ან ვარდულების გარეშე (სურ. 334) და მათს ვარიანტებს მრავლად ეძებნება პროტოტიპები გვიანრომაულ იატაკის მოზაიკებში ანტიოქიაში (წარმოდგენილია მუზეუმში) და ამავე რეგიონის ადრექრისტიანულ კანკელებში (R. Stillwell, *Antioch-on-the-Orontes* III, 1941, გვ. 168, № 211). იგივე მოტივი შეიძლება ინახოს კანკელებზე ნეო-ანქიალოსსა (A. Orlandos, *Basiliki* II, 1954, სურ. 585) და რავენაში (F. W. Deichmann, *Ravenna* I, 1969, სურ. 66, 78-80), აგრეთვე სამების ბაზილიკის სოფიტებზე წმ. სვიმეონ მესვეტე უმცროსის მონასტერში (W. Djobadze, *Investigations*, სურ. 150, 152). როგორც აჩვენა დაიხმანმა, ურთიერთგადახლართული წრეების მოტივი ფართოდ იყო მიღებული უკვე V საუკუნის II ნახევრიდან და შუაბიზანტიურ ხანაში არ გამოჩენილა, როგორც ეს ზოგ მკვლევარს ეგონა (F. W. Deichmann, "Zur spätbyzantinischen Bauplastik von Ephesus", *Mélanges Mansel*, Ankara, 1974, გვ. 556).

713 მართალია, ასეთი ხლართი უფრო ადრე უკვე იყო გამოყენებული 964 წლით მტკიცედ დათარიღებულ კუმურდოს ეკლესიაში (Н. Северов, Г. Чубинашвили, *Кумурдо и Никорцминда*, Москва, 1947, ტაბ. IV-2, სურ. 7:4), მაგრამ ის შექმნილია ცალღარიანი ლენტით, ხოლო იგივე მოტივი ორი ღარით ჩნდება მხოლოდ XI საუკუნის I ნახევარში, მაგალითად მანგლისში (1020-1027), და ქართველი ხუროების მიერ 1040 წელს აგებული ძველი ცხოვრებისაში (W.Djobadze, *Investigations*, გვ. 147, სურ. 249).

ეროვნული ბიბლიოთეკა



83. აშოტ კუხის ქანდაკება, რეკონსტრუქცია

შეუმკიათ არქიტექტურული პლასტიკით, არამედ ხელახლა მოუპირკეთებიათ ბურჯებიც. საფიქრებელია, რომ ეს უნდა მომხდარიყო XI საუკუნის დასაწყისში.

ჩვენს დათარიღებას არ ეწინააღმდეგება პილასტრის იმპოსტი გუმბათქვეშა კვადრატის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. ის შემკულია ურთიერთგადამკვეთი გადახლართული წრეების მჭიდროდ კომპონირებული ჩუქურთმით, რომელსაც ქვემოდან ემატება ფესტონები, ხოლო ზემოდან – თარო და ლილვი (ტაბ. 343). მას არ ეწინააღმდეგება არც აფსიდის თაღის ჩრდილოეთ მხარეს შემონახული მცირე იმპოსტი, მორთული ორღარიანი ლენტის გეომეტრიული წნულითა და მისი დამაგვირგვინებელი დისკოების მწკრივით. პი-

რიქით, არქიტექტურული დეტალების რთული გეომეტრიული წნულებით აქცენტირების სურვილი მიგვანიშნებს არა X საუკუნეზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია სადა მორთულობა, არამედ უფრო მოგვიანო ხანაზე. რამდენადაც იმხნის ზოგი იმპოსტი მსგავსად არის გადაწყვეტილი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქ სახიანი დეკორი ჩნდება XI საუკუნეში, როცა ეკლესიათა მორთულობის მატება ქართველ მშენებელთა ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი გახდა.

ეკლესიის ინტერიერის მიმოხილვის დასასრულს უნდა შევეხოთ მისი ქტიტორის – აშოტ კუხის (†918) მონოლითურ ნატურალური ზომის ქანდაკებასა და კედლის მხატვრობას.

1. აშოტ კუხის სამგანზომილებიანი გამოსახულება გამოკვეთილია მორუხო მონოლითისაგან. ის თავიდან დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელში იყო ჩადგმული. წინგაწვდილ ხელებში აშოტს მის მიერ აგებული ტაძრის მოდელი ეჭირა (ტაბ. 346). მარჯვენა ხელი და ეკლესიის დიდი ნაწილი ჩამოტეხილია,[714] სახე მრავალგან არის ატკეჩილი და ტანის ზოგი ნაწილიც დაზიანებულია. მიუხედავად ამისა, შეიძლება გაირჩეს, რომ აშოტი იყო წვეროსანი და თავს ყაბალახი უბურავდა. მისი სამოსი სწორი, მაღლა აწეული საყელოთი დამზადებული იყო სქელი ქსოვილისაგან და მოქარგული ლომების გამოსახულებებით (სურ. 83).[715] ძლიერ ჩამოგრძელებული დეკორაციული სახელოები პირდაპირ პროტოტიპს პოვებს მცხეთის ჯვრის ფასადზე გამოკვეთილ ქართლის მმართველთა პორტრეტებში.[716] ნახევრად გახსნილი ზედა სამოსის ქვეშ ჩანს ქვედა ჩასაცმელი, მოქარგული უწყვეტი რომბების ნახჭით. აშოტს გარს არტყია ტყავის ფართო, ლითონის საკინძებიანი სარტყელი, რომლისგანაც გრძელი, ქვემოთკენ გაფართოებული ზოლი ეშვება. ფეხზე მას უქუსლო ჩექმები აცვია.

2. ეკლესიის ინტერიერი მთლიანად დაფარული იყო კედლის მხატვრობით,[717] გარდა სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავებისა, რაც მოწმობს, რომ ეს ნაწილები შენობას კედლების მოხატვის შემდეგ დაემატა. მოხატულობას ერთვოდა ასომთავრული განმარტებითი წარწერები.

ეკლესიის დანგრევამ გამოაჩინა სამშენებლო ხერხები, რომლებიც მთლიანად მისდევს ქართულ სამშენებლო ტრადიციას. განსაკუთრებით საინტერესოა სახურავი ჩრდილოეთი მკლავის მეორე სართულის თავზე (ტაბ. 339). იგი გაკეთებულია დუღაბის დასხმით მჭიდროდ დალაგებულ გაურანდავ ხის ძელებზე და შემდეგ ზედ დალაგებულია კრამიტები.

## c. ფასადები

ტაძრის ფასადებს აქვს სუფთად თლილი ქვის პერანგი. X საუკუნიდან მომდინარე ტრადიციის შესაბამისად, კედლებს გარედან თაღნარი ანაწევრებს, მაგრამ არა ყველგან და არა თანაბრად. მაგალითად, თაღები არ არის დასავლეთი მკლავის არც ერთ მხარეს, ისევე, როგორც აღმოსავლეთი მკლავის ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასადების შიდა (კუთხის) ნაწილებზე. სამაგიეროდ, 11 მ-ის სიგანის სამნაწილიან აღმოსავლეთ ფასადს სამი ღრმა განმტვირთავი თაღი აქვს. აღმოსავლეთი მკლავის აღმოსავლეთი ნაწილის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე თითო თაღია.

### *(1) აღმოსავლეთი მკლავი*

აღმოსავლეთი მკლავის ყველა სართავი თაღი დაფუძნებულია შეწყვილებულ მსუბუქ ნახევარსვეტებზე, რომელთაც ტყუპი ბურთულისა და სალტისაგან შედგენილი ბაზისები

---

[714] ეს ქანდაკება ადგილზე ნახა და მოკლედ აღწერა ნ. მარმა (*Дневник*, გვ. 15). ახლა ისინახება თბილისში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

[715] W. Djobadze, "*Observations*", გვ. 87. აქ განხილულია მათი სიმბოლიკა.

[716] W. Djobadze, "The Sculptures on the Eastern facade of the Holy Cross of Mtzkheta", *OrChr*. 44, 1960, სურ. 2, 3, 5; მისივე, Or.Chr. 45, 1961. გვ. 71 და შენიშვნა 136 დამატებითი მაგალითებისათვის.

[717] ამ მხატვრობის ყველაზე ადრინდელი აღწერა მოგვცა ნ. მარმა (გვ. 16).

აქვთ. ყველა იმპოსტი სადა თაროსა და ლილვის პროფილისაა (ტაბ. 318). ორმაგი და სამმაგი სვეტების დიამეტრიც ყველგან 0,14 მ, ხოლო ცალი ნახევარსვეტებისა 0,20 მ-ია. აღმოსავლეთი ფასადის სხვა ელემენტთაგან აღსანიშნავია შემდეგი: ჯერ ერთი, შუა განმტკირთავი თაღი სიგანით ორჯერ სჭარბობს გვერდითა თაღებს. ეს პროპორციები ქართული არქიტექტურის ტრადიციიდან გადახვევას წარმოადგენს – უნიშებო აღმოსავლეთ ფასადებზე (ოთხთა ეკლესია, პარხალი) შუა და გვერდითი თაღების შეფარდება მერყეობს 1:1-სა და 1:1,4-ს შორის. მეორეც, თაღების სიმაღლის ხაზგასმული გრადაცია, რაც ასე დამახასიათებელია ოშკის, პარხლისა და ოთხთა ეკლესიისათვის, ტბეთში სრულიად უარყოფილია. შუა თაღი აქ იმავე იმპოსტებზეა დაბჯენილი, რომლებზეც გვერდითები. ეს იწვევს შეუსაბამობას პროპორციებში და ქმნის კედლის ვრცელ მონოტონურ სიბრტყეს თაღებსა და ფრონტონს შორის. სამთაღიანი აღმოსავლეთი ფასადის მსგავსი გადაწყვეტა ამ რეგიონში გვხვდება მხოლოდ ოპიზაში (ტაბ. 3) და საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვართან მდებარე ზოგ ეკლესიაში. საინტერესოა, რომ ტბეთის სამხრეთ ფასადზე ტრადიციული გადაწყვეტა ამჯობინეს – აქ შუა თაღის იმპოსტები გვერდითებისაზე გაცილებით მაღლაა მოთავსებული.

დიდი თაღოვანი სარკმელი შუა თაღში მხოლოდ ნაწილობრივ შემოინახა (ტაბ. 320).[718] თავიდან მთელი ღიობი მოჩარჩოებული იყო ორღარიანი ლენტით გამოყვანილი ურთიერთგადახლართული კვადრატებით. ლენტი ორივე მხარეს იკვრება და საპირეს ჩარჩოს ქმნის. ზემოდან სარკმელს აბოლოებს ფაქიზად მოჩუქურთმებული თავსართი. ორნამენტი შედგება პალმეტის ფოთლების რიგისა და ორი ლენტის წნულისაგან (guilloche), რომელიც შემოწერს თავსართის ზედა რკალს.

ალბათ, შეიძლებოდა ეს კვეთილი შემკულობა X საუკუნის II ნახევრით დაგვეთარიღებინა, მაგრამ დეკორის სიმდიდრე, წნულის სირთულე, ჩუქურთმის ერთიმეორესთან მიჯრით, მჭიდროდ გაკეთება სარკმლის საპირესა და თავსართს შორის თუნდაც სულ მცირე ადგილის დაუტოვებლად, ნიშანდობლივ XI საუკუნის I ნახევარზე მიგვანიშნებს.

მცირე სარკმლებს არა აქვთ არც საპირეები და არც სხვა რამ მორთულობა. ერთადერთია სამხრეთი (მარცხენა) თაღის ზედა სარკმელი აღმოსავლეთ ფასადზე, დაგვირგვინებული ორღარიანი ლენტით გამოყვანილი დავითის ვარსკვლავით.

ფრონტონში, ზედ კეხის ქვეშ სიმეტრიულად თავსდება სამი წრიული, თითო ქვაში ნაკვეთი სარკმელი. ისინი ძლიერად არის აქცენტირებული წნულჩუქურთმიანი საპირეებით (ტაბ. 319). ასეთი სარკმლები გვხვდება ტაო-კლარჯეთის სხვა ეკლესიებშიც: იშხნის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე და ასევე გუმბათის ყელის სართავ თაღებში (ტაბ. 307), პარხლისა და ოთხთა ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადებზე (ტაბ. 225, 246). ყველა შემთხვევაში, ტბეთის ჩათვლით, მათი დანიშნულებაა სამალავი ოთახების განათება. ტბეთის ტაძრის შუა თაღის ზემოთ, სამხრეთ მხარეს პაწია სადა მრგვალი ღიობის გაკეთების მიზანი უთუოდ ასეთი სამალავისაკენ (თუ სამალავებისაკენ) მისასვლელის განათება უნდა ყოფილიყო. წრიული საპირეების ჩუქურთმის სახეები უნიკალურია, გარდა შუა საპირის სახისა, რომელიც ანალოგიას პოვებს ენი რაბათის ეკლესიის სამხრეთ კედელში ხელახლა გამოყენებულ ფრაგმენტებსა (ტაბ. 100) და, გარკვეულწილად, იშხნის ტაძრის გუმბათის ყელის სამხრეთი მხარის მრგვალ სარკმელთან (ტაბ. 307). ყურძნის მტევნების მოტივი ტბეთში გამოყენებულია სამხრეთი სარკმლის საპირეზე. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ წრიული საპირეების ჩუქურთმის მასშტაბი ტბეთში იგივეა ან უფრო მცირეც კი, ვიდრე ეკლესიის ქვედა ნაწილის ორნამენტებისა. ამის გამო წრიული საპირეების კვეთილი შემკულობა მაყურებლისათვის მთლიანად იკარგება. არქიტექტურული პლასტიკის ამგვარი გადაწყვეტა ხაზგასმულად უპირისპირდება აღრინდელი მშენებლობის რაციონალურ მიდგომას, რომლის მაგალითსაც გვაძლევს, ვთქვათ, ოშკი – აქ პლასტიკის მასშტაბი ეკლესიის ზედა რეგისტრში პროპორციულად იზრდება.

---

[718] სარკმლის რეკონსტრუქციას აიოლებს ფოტოსურათი, გადაღებული ერთი საუკუნის წინ, როცა ის ჯერ კიდევ მთლიანად იყო შემონახული (*МАК* III, ტაბ. XLV).

დასასრულ, უნდა შევჩერდეთ ორმაგი ლენტის ხლართით გამოყვანილ ჯვარზე, რომელიც შუა მრგვალ სარკმელსა და ფრონტონის კეხს შორის არის მოთავსებული (ტაბ. 319, სურ. 710), და აღვნიშნოთ მისი მნიშვნელობა ჩვენი ტაძრის დათარიღებისათვის. ეს ტოლმკლავა ჯვარია, მხოლოდ ქვედა მკლავია ოდნავ წაგრძელებული. შიგა მხრიდან მკლავის ორივე მხარეს გამოზრდილია ორი ზემოთკენ ჩახვეული ნახევარპალმეტი და სხვა მცირე ფოთლოვანი ჩუქურთმა. „განედლებული ჯვრების" გამოსახულებანი საქართველოში ადრექრისტიანული ხანიდან იყო პოპულარული. ჩვენი ნიმუში, რომელიც მცირეოდენი ცვლილებებით მეორდება ასევე ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთ ფასადსა (სიგრძე 8,20 მ) და სამხრეთი მკლავის სამხრეთ ფასადზე (სიგრძე 7,40 მ), მიეკუთვნება ტიპოლოგიურად დაკავშირებული ჯვრების ცალკე ჯგუფს. ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ მეორეხარისხოვანი დეტალებით განსხვავდება. ამ ტიპის ჯვრები ტაო-კლარჯეთის ეკლესიებში მხოლოდ X საუკუნის შემდეგ ჩნდება.[719] უადრეს მაგალითს წარმოადგენს ჯვარი გურგენის სამლოცველოს (1006 წ.) დასავლეთი სარკმლის თავზე იშხანში (სურ. 71 a).[720] ნიმუშები ტბეთის ტაძრიდან (იხ. შედარებითი სურ. 71) საკმარისად მტკიცე საფუძველს გვაძლევს საიმისოდ, რომ აღმოსავლეთი ფასადი XI საუკუნის I ნახევარს მივაკუთვნოთ. ამ დათარიღების სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე კარნიზი თავისი მჭიდროდ კვეთილი მდიდრული S-ისებრი ჩუქურთმით, რომელსაც ზემოდან გაუყვება ამოღრმავებული გრეხილი ლილვი და ფესტონების მწკრივი (ტაბ. 319). ეს შემკულობა გასაოცარი სიზუსტით არის გამეორებული იშხნის კათედრალის აღმოსავლეთი ფასადის კარნიზზე (ტაბ. 272). ეს მეტ საბუთიანობას ანიჭებს ჩემს რწმენას, რომ არა მხოლოდ გუმბათის საყრდენი სისტემა, არამედ მთელი აღმოსავლეთი ფასადიც ტბეთში XI საუკუნის III ათწლეულით უნდა დავათარიღოთ. ამავე ხანას მიეკუთვნება ჩრდილოეთი მკლავის მთელი აღმოსავლეთი ფასადიც. ალბათ, არ იქნება მეტისმეტი სითამამე, ვივარაუდოთ, რომ ტბეთსა და იშხანში მშენებელთა ერთი და იგივე არტელი მუშაობდა. ამას დამატებით მოწმობს სარკმლის თავსართიც აღმოსავლეთ ფასადზე (ის გაფორმებულია გულისებრი ჩუქურთმით, რომელიც პირველად XI საუკუნის დასაწყისში ჩნდება ნიკორწმინდასა და იშხანში) და ხლართით გამოყვანილი ჯვარი, კერძოდ, კი მისი ნატიფად ნაკვეთი კიდურწერტილოვანი ასომთავრული წარწერა.

## (2) აღმოსავლეთი მკლავის სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები

აღმოსავლეთი მკლავის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე ასევე ცხადად შეიმჩნევა არეულობა ზედაპირის დანაწევრებაში. ორივე კედლის აღმოსავლეთ ნაწილებზე (ტაბ. 321) არის დაბალი დეკორაციული თაღები. ისინი შეწყვილებულ მსუბუქ სვეტებს ეფუძნება იმპოსტების გარეშე. აღმოსავლეთი ნახევრის წყობა უფრო თანაბარია, უკეთ გათლილი ქვებით, მაშინ, როცა დასავლეთი ნახევარი დაუდევარ ხელს ამჟღავნებს. ქვები აქ სხვადასხვა ზომისაა (ტაბ. 321). თაღის ქუსლი გვიჩვენებს, რომ ერთ დროს თაღი საპი-

[719] X საუკუნეში ასეთი ჯვრები ძალიან იშვიათია და თანაც ან ნაკლებად „განედლებული", ან, როგორც ამას პარხლის ჯვრები (ტაბ. 258-259) მოწმობს, სრულიად მოკლებული მცენარეულ ელემენტს, მკაცრად გეომეტრიული ფორმისა. ასეთი გეომეტრიული ხლართით გამოყვანილი ჯვრების სახესხვაობები, როგორც ჩანს, განსაკუთრებით პოპულარული იყო XI საუკუნეში ბიზანტიის პროვინციებშიც და თვით კონსტანტინოპოლშიც (O. Feld, წიგნში: *Myra: Eine lykische Metropole*, ed. J.Borchhardt, Berlin, 1975, გვ. 376, ტაბ. 122-e, სხვა მაგალითებისათვის: იქვე, შენ. 322; A.Grabar, *Sculptures Byzantines du moyen age*, II, Paris, 1976, ტაბ. XXVI-a, XLIII-d, LIV-b, LXXX-d, e).

[720] დალარული ლენტის ხლართით გამოყვანილი ჯვრების პოპულარობას ამ რეგიონში XI საუკუნის მანძილზე მოწმობს არა მხოლოდ მათი ხშირი წარმოდგენა ფასადებზე, არამედ გამოჩენაც ხელნაწერთა გაფორმებაში, კერძოდ, სატიტულო ფურცელზე მესტიის სახარებაში (fol. 2v), რომელიც იშხნის ეპისკოპოსმა დაუკავეთა ოშკის სკრიპტორიუმს 1030 წელს (ტაბ. 178). მეზობელ სომხეთში ასეთი ჯვრის უადრესი მაგალითი გვაქვს ახთამარის ეკლესიაში ვანის ტბაზე (S. Der Nersessian, *Aght'amar. the Church of the Holy Cross*, Cambridge, Mass., 1965, გვ. 92, სურ. 5, 11, 12).

რისპირო მხარესაც გადადიოდა. ასეთივე თავისებურება იჩენს თავს სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავების აღმოსავლეთ ფასადებზეც (ტაბ. 322, 325). ორივე შემთხვევაში არის მხოლოდ თითო თაღი კედლის კიდეზე, ხოლო დანარჩენი სიბრტყე გლუვად არის დატოვებული. ეს თაღებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან, ისევე, როგორც დასავლეთი მკლავის თაღებისაგან. ჩრდილოეთ მკლავს აქვს შეწყვილებულ მსუბუქ სვეტებზე დაყრდნობილი თაღი, რომელიც ფესტონებით შემკულ იმპოსტებზეა გადაყვანილი. ისინიც დიდად განსხვავდება მკლავის იმპოსტებისაგან. აქ ერთ მხარეს სამი სვეტის კონაა, მეორე მხარეს კი – შეწყვილებული სვეტი. გარდა ამისა, სამმაგი სვეტის იმპოსტი (უფესტონო) გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად მას ეყრდნობოდა ჩრდილოეთისკენ გადასროლილი თაღი. ამდენად, მიმდებარე გლუვი კედელი თავიდან თაღით უნდა ყოფილიყო გაფორმებული. ამას ადასტურებს სარკმლის ამჟამად ძლიერ გამოქარული თავსართიც (ტაბ. 323), რომელიც ხელახლა გამოუყენებიათ სამხრეთი მკლავის კუთხესთან. ის გვიჩვენებს, რომ აქ, ისევე, როგორც ჩრდილოეთი მკლავის შესაბამის მხარეს, სარკმელი უნდა ყოფილიყო. ამჟამად მის ადგილს რუდიმენტული ღიობია. მას აგვირგვინებს ჩუქურთმიანი ქვა, რომელიც, როგორც ჩვენი ნახატიდან ჩანს, თავიდან წრიული სარკმლის საპირეს წარმოადგენდა. ქვაზე გამოკვეთილია ჯვრის სახით განთავსებული ვაზის ყლორტი და მტევნები (სურ. 84).[721] ჩემს მოსაზრებას ამტკიცებს მეორე ელემენტიც, ჩადგმული ნახსენები თავსართის ფრაგმენტის ქვეშ – შეწყვილებული ნახევარსვეტების ძლიერ გამოქარული მოხაზულობა.



84. კათედრალი, სამხრეთი მკლავის აღმოსავლეთი ფასადი, წრიული სარკმლის ჩარჩო, რეკონსტრუქცია

[721] ამ საკმაოდ იშვიათი მოტივის უადრესი ნიმუში გვხვდება VI საუკუნის კოპტურ თუ სირიულ სეფისკვერის ტვიფარზე (G. Galavaris, R. Hamann-Mc Lean, *Brotstempel aus der Prinz Johann Georg-Sammlung in Mainz*, Hefte des Kunstgeschichtlichen Instituts der Universität Mainz 3, Mainz, 1979, გვ. 41, სურ. 15). ჩვენი ჩუქურთმა უთუოდ შთაგონებულია იოანეს სახარებით (15; 1-5) და ამ კონტექსტით შეიძლება მივანიშნებდეს ზიარებაზე.

ყველა ეს ნიშანი, თაღის მოუხეშავი მრუდისა და კედლის შუაზე სწორი ვერტიკალით აღნიშნული განტეხვის ნათელით, შფოთიან ჟამთა საბუთია და მოწმობს, რომ შენობა არაერთხელ აღუდგენიათ და გადაუკეთებიათ. დასასრულ კი მოკლედ აღვნიშნავ, რომ სამხრეთი მკლავის აღმოსავლეთი ფასადის ყრუ თაღის თავზე მოთავსებულია ლომის მონოლითური პორელიეფური ქანდაკება (ტაბ. 322) – ისე, როგორც ხახულსა (ტაბ. 208) და ოშკში (ტაბ. 152).

### (3) ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასადები

ჩრდილოეთი (სიგრძე – 8,20 მ, სიგანე – 11,70 მ) და სამხრეთი (სიგრძე – 7,40 მ, სიგანე – 10,40 მ) მკლავები (ტაბ. 324, 328) ერთმანეთისაგან მხოლოდ ზომებით როდი განსხვავდება. მათი აღმოსავლეთი კედლები თვალსაჩინოდ სხვაობს გამოყენებული მასალის, შესრულების ხარისხისა და დეკორაციული თაღების არსებობა-არარსებობისა თუ მათი ფორმის თვალსაზრისით. ჩრდილოეთი მკლავისაგან ნაწილობრივ შემონახული ჩრდილო-აღმოსავლეთი (ტაბ. 324) და აღმოსავლეთი (ტაბ. 325-327) კედლების გარდა ცოტა რამ თუ დარჩა. ეს ნაწილები საკმარის ფასეულ ინფორმაციას გვაწვდის მათ დასათარიღებლად XI საუკუნის I ნახევრით. ამ დათარიღებას განამტკიცებს ქანდაკებები და წარწერის ფრაგმენტიც სარკმლის თავსართის ზემოთ (ტაბ. 326, სურ. 71d).

სრულიად განსხვავებულ სურათს წარმოგვიდგენს სამხრეთი მკლავი, განსაკუთრებით მისი კარგად შემონახული სამხრეთი კედელი (ტაბ. 328), მდიდრულად შემკული გეომეტრიული და მცენარეული წნული და ფიგურული მოტივებით. პირველ ყოვლისა, ფასადის ზედაპირის დანაწევრება ოთხ საფეხურად შეღრმავებული ყრუ თაღნარით აქ უფრო გამომსახველია. ჩრდილოეთის ფასადზე მხოლოდ სამი საფეხურია. შუა თაღის სიგანე 3,25 მ-ია და სიღრმეში 2,60 მ-მდე მცირდება. გვერდითი, უფრო მცირე, ბევრად უფრო დაბლა გადაყვანილი თაღები 2,08 მ სიგანისაა და 1,44 მ-მდე ვიწროვდება. თაღების სიღრმე ყველგან ერთნაირია – 0,60 მ. ამის წყალობით იქმნება შუქ-ჩრდილის მძლავრი თამაში. ხაზგასმული აქცენტი თაღების მეტ სიღრმესა და სვეტების რაოდენობის ზრდაზე ჩანს უკვე იშხნის ტაძარში. XII-XIII საუკუნეთა მანძილზე აგებული ეკლესიებისათვის ეს აქცენტირება საზოგადო თვისება გახდა, მაშინ, როცა იმავდროულად ნახევარსვეტები გათხელდა და შემსუბუქდა.[722] ამდენად, საბოლოოდ, მათ დაკარგეს კონსტრუქციული დანიშნულება და წმინდა დეკორაციული ფუნქცია შეიძინეს. ნახევარსვეტებთან შედარებით თაღები ბევრად ნაკლები სამშენებლო ოსტატობით, უწესრიგოდ არის გამოყვანილი, რაც, კერძოდ, შესამჩნევია მრუდსა და არასწორი ფორმის იმპოსტებთან მოუხეშავ დაკავშირებაში.

ასევე ღირშესანიშნავია შეწყვილებული მართკუთხა სარკმლები და მათი ორნამენტული კვეთილობა. შეწყვილებული სარკმლები ძალზე პოპულარულია ამ მხარეში. თითქმის ყველა სხვა შემთხვევაში ისინი თაღოვანია, ტბეთში კი მართკუთხაა (ტაბ. 329), ოთხმხრივ მოჩარჩოებული, და დიდად განსხვავდება ოშკის (ტაბ. 166), ხახულისა (ტაბ. 201) და ენი რაბათის (ტაბ. 98) კომპოზიციებისაგან. მათი გეომეტრიული საპირეები იქმნება ორლარიანი ლენტის წრეების ხლართისაგან, რომელიც მოქცეულია ორსალტიან ბურთულებზე შემდგარ ნატიფ სვეტებს შორის. საპირეთა კუთხეებში ჩასმულ კვადრატულ ჩუქურთმიან ფილებს ფუნქცია არ გააჩნიათ, მათი გაკეთება აიხსნება მხოლოდ მშენებლის მცდელობით, გააძლიეროს სამხრეთი მკლავის დეკორაციული ეფექტი. ამ სარკმლების სამშენებლო თავისებურებები, ისევე, როგორც ორნამენტული ლექსიკონი, ტიპურია XIII საუკუნის ბოლო ხანის საპირეებისათვის საქართველოში. მაგალითად, წრეების ორმაგი ხლართი და მისი ვარიანტები ჩნდება ერთაწმინდაში[723], ახტალასა[724] და აქორში[725]. მოტივი ოთხი

[722] ოშკის განმტვირთავი თაღების საყრდენი ნახევარსვეტების დიამეტრია 0,40 მ. ტბეთში ის შემცირებულია 0,20 მ-დე აღმოსავლეთ ფასადზე და 0,14 მ-მდე სამხრეთ ფასადზე.

[723] J.Baltrusaïtis, *Etudes*, გვ. 6, ტაბ. III-2, VII.

[724] იქვე, ტაბ. V-1.

[725] R. Mepisašvili, W. Zinzadse, R. Schrade, *Georgien*, სურ. 534-535.

ურთიერთგადაკვეთილი ნახევარწრით კვადრატის ოთხ მხარეს და ორი წრით შუაში გამოყენებულია სარკმლის საპირეთა კუთხეებზე ერთაწმინდაში[726], რკონში[727], მუჯაბში[728], ხობში[729], დმანისსა[730] და XII საუკუნის მიწურულისა და XIII საუკუნის მრავალ სხვა ეკლესიაში. სხვა სახესხვაობა – ჩარჩოში ჩასმული დავითის ვარსკვლავი [illegible] გვხვდება აქორში[731]. ამავე დროით ფარგლებს განეკუთვნება ზოგი ორნამენტული ფრაგმენტი, რომლებიც ვიპოვე ტბეთის ეკლესიის ეზოს გალავანში (ტაბ. 336). მათი საერთო მოტივი, შექმნილი გეომეტრიული და მცენარეული ელემენტების შერწყმით, შედგება ორღარიანი ლენტით გამოყვანილ გადახლართულ წრეებში ჩასმული ხუთყურა ფოთლებისაგან. მისი ვარიანტები გამოიყენება XI საუკუნისა (სამთავრო, ბაგრატის ტაძარი) და XIII საუკუნის (საფარა, დმანისი, ახტალა, განსაკუთრებით მღვიმევი[732]) ეკლესიებში. ამავე დროს უნდა მიეკუთვნოს კერძო სახლების კედლებში ხელმეორედ გამოყენებული ორიოდე ფილა, შემკული ორღარიანი წრეების მჭიდრო ხლართით (ტაბ. 335).

თუ დავუბრუნდებით კვლავ სამხრეთ ფასადს, შევამჩნევთ, რომ X-XII საუკუნეთა ორნამენტული სახეების ტბეთში თავმოყრილ ვრცელ ნაკრებთან შედარებითაც კი დეკორაციული ელემენტები აქ მეტია. ამასთან, ისინი ხასიათდება მეტი სქემატიზაციით, სიმშრალით და ნახატის ნაკლები მკაფიობით. ერთგვარად სტერილური შემადგენელი ელემენტების დაქუცმაცება და ჩუქურთმის მოუფიქრებელი, შემთხვევითი გამოყენება, ჭარბი მორთულობის ხმარება დეკორაციული ეფექტების ძიებაში და ოსტატობის ხშირად შესაგრძნობი დაქვეითება – ყოველივე ეს მოგვიანო თარიღზე მიგვანიშნებს. ამგვარ დასკვნას განამტკიცებს სამშენებლო და ფორმალური განსხვავებაც სამხრეთი მკლავის მრგვალი სარკმლის ინტერიერსა და ექსტერიერს შორის (ტაბ. 330, 341). აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი მკლავების კარნიზები შემკულია ნახევარ-S-ისა (ტაბ. 319, 333) და პალმეტის (ტაბ. 321) ჩუქურთმით, რომლებიც, სხვათა შორის, ჩნდება იშხნის ტაძრის კარნიზებზეც (ტაბ. 272).

სამხრეთი ფასადის მამკობი ჯვარი ხაზგასმულია ლენტის ხლართით გამოყვანილი გაფართოებული მკლავებითა და ორი შიგნითკენ ჩახვეული პალმეტით. მის ირგვლივ განლაგებული ჩუქურთმებისაგან ის განსხვავდება ნატიფი, აკურატული კვეთით. ეს ჯვარი მჭიდრო სიახლოვეს ამჟღავნებს აღმოსავლეთი ფასადის მსგავს ჯვრებთან, რომლებიც XI საუკუნის I ნახევარს განეკუთვნება. როგორც ჩანს, ის ხელახლა გამოიყენეს სამხრეთ ფასადზე XIII საუკუნეში. იგივე შეიძლება ითქვას შუა სართავი თაღის ორივე მხარეს არათანაბრად ჩასმული, მცენარეული და გეომეტრიული ჩუქურთმით გაფორმებული წრიული საპირეების შესახებ, გაცილებით რთულია ღრმა თაღოვან ნიშაში მდგარი შარავანდიანი მახარებლის ფრონტალური ქანდაკების საკითხი. მის მარცხენა ხელს გრძელი სამოსი ფარავს, მარჯვენა ფაქიზად დევს წიგნზე. თაღს, რომელიც ორ სვეტს ეყრდნობა, ამკობს წყვილი ნახევარწრიული გრეხილი ლილვი. სვეტებს აქვს ნახევარლილვური ბაზისები და კუბური კაპიტელები, გაფორმებული აკანთის ფოთლებით. ეს უნიკალური ქანდაკება გასაოცრად ჰგავს სწორედ ამ რეგიონში შესრულებულ მახარებელთა პორტრეტებს, განსაკუთრებით მათესა და ლუკას 940 წელს შატბერდის მონასტერში გადაწერილი და დასურათებული სახარებიდან[733].

თუ მოკლედ შევაჯამებთ ტაძრის აღდგენა-გადაკეთებების თანმიმდევრობას, უნდა დავასკვნათ, რომ: 1. ტაძარი ტბეთში ააგო აშოტ კუხმა 918 წლის წინა ხანებში; 2. XI საუკუნის I ნახევარში შენობა აღადგინეს და გააფართოვეს. ამ პერიოდს მიეკუთვნება გუმ-

---

[726] J. Baltrusaïtis, *Etudes*, ტაბ. IX-2.

[727] R. Mepisašvili, W. Zinzadse, R. Schrade, *Georgien*, სურ. 361.

[728] იქვე, სურ. 461.

[729] იქვე, სურ. 485.

[730] იქვე, სურ. 488.

[731] იქვე, სურ. 534-535.

[732] ი. გომელაური, *მღვიმევი*, თბილისი, 1982, გვ. 48, ტაბ. 30 ქვემოთ მარჯვნივ, 44 ხ, სურ. 12 ხ.

[733] Р. Шмерлинг, *Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI столетий, Тбилиси*, 1979, გვ. 33 და შემდგ., ტაბ. 16, 18.

ბათქაშა ბურჯების პერანგი, პილასტრებისა და იმპოსტების ორნამენტული კ[illegible]ლობა, აფსიდის მთელი აღმოსავლეთი კედელი და ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთი ნახევარი; 3. სამხრეთი მკლავი და მთელი სამხრეთი კედელი უნდა მიეკუთვნოს XIII საუკუნეს. კედელში ხელახლა გამოიყენეს უფრო ადრინდელი, XI საუკუნის I ნახევრის დროინდელი ჩუქურთმიანი ქვები; 4. როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაძლოა 918 წლის წინა ხანებში ეკლესიის აგების შემდგომ, XI საუკუნის I ნახევარში ფართომასშტაბიანი რეკონსტრუქციის ჩატარებამდე განხორციელდა გარკვეული დამატებითი აღდგენითი სამუშაოები. ამგვარ შესაძლებლობას ადასტურებს ახლანდელი იატაკის ქვეშ ხილული რვაქიმიანი გეგმის სვეტი. მისი ტანი ჰგავს იშხნის სვეტისას, რომელიც დაახლოებით 950 წლით თარიღდება და რომელიც 1032 წელს ხელახლა შემოსა ხუროთმოძღვარმა იოანე მორჩაისძემ.

ამ შესაძლებლობის შესწავლის ამოცანა უნდა გადავდოთ სამომავლოდ, როცა შეიქმნება უფრო ხელსაყრელი პირობები ამომწურავი გათხრების ჩასატარებლად.

## 2. ტბეთის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა

აშოტის მმართველობის ხანაში ტბეთი სწავლა-განათლების მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. როგორც ჩანს, ის ყოველმხრივ უწყობდა ხელს აქ ლიტერატურულ საქმიანობას. მან პირადად ჩააგონა სტეფანე მტბევარს, გიორგი მერჩულეს მიერ დიდად დაფასებულ მოღვაწეს, შეედგინა ისტორიულ-ბიოგრაფიული ნაშრომი – „წმ. გობრონის წამება“. იგი შეიცავს მნიშვნელოვან ისტორიულ ცნობებს აბულ ყასიმის ამაოხრებელი ლაშქრობის თაობაზე საქართველოსა და სომხეთში 914 წელს.

